საჭირო კი მხოლოდ ერთია

ეკლ. 36ბ3 ნიკეთი

საჭირო კი მხოლოდ ერთია

ჰენს ერიკ ნისენი

Dansk Balkan Mission
Lutheran Heritage Foundation
2020

Georgian Version **"Only one thing is needed"**
Original title in Danish: "Et er nødvendigt"
Author: Hans Erik Nissen

© Georgian, translation: 2020 1st edition printed March 2020, 500 copies

Publishers: Dansk Balkan Mission / Lutheran Heritage Foundation

Editor: Nino Amaglobeli
Linguistic work: Ruslan Tsintsadze
Graphics: Valerian Jugeli
Printed by: Printing House Poligraphy
Front page illustration: "The Burning Bush LV" by Jorn Henrikm Olsen, (www.jornhenrik.com)

All biblical quotations are from Georgian Bible (revised version 2015).

The translation and publishing of this book has been made joint by the two publishers. All rights reserved. No part of this book may be reproduced, stored in a retrieval system, or transmitted, in any form or by any means, electronic, mechanical, photocopying, recording, or otherwise, without the prior written permission of the publishers.

Dansk Balkan Mission
Br. Roddingvej 5a,
DK - 6630 Rødding
www.balkanmission.dk dbm@balkanmission.dk

Lutheran Heritage Foundation
51474 Romeo Plank Road
Macomb, Michigan 48042 USA
www.LHFmissions.org info@LHFmissions.org

Funding for the publication of this volume was provided by faithful supporters of the Lutheran Heritage Foundation. Soli Deo Gloria!

გრიგოლ ხანცთელის 24. ქუთაისი. საქართველო 4600
Grigol Khantsteli N24. Kutaisi. Georgia 4600

შესავალი

ამ წიგნის მიზანი მარტივი და ცხადია, რომ მკითხველს ქრისტეს შესახებ სიცოცხლის მიმნიჭებელი სიტყვა მისცეს. ასეთ სიტყვას თითოეული ჩვენ-განი ვსაჭიროებთ. მისი ყოველდღიური საკითხავი კი მიუთითებს იმ ერთზე, რომელიც ყველაზე მეტად გვჭირდება: იესო ქრისტეზე, როგორც მხსნელსა და ცოდვილთა შემრიგებელზე.

ჩემი ლოცვაა, რომ ეს წიგნი მის ყოველდღიურ მკითხველს, არა მხოლოდ რწმენაში დაეხმაროს, არამედ ნამდვილ ქრისტიანად დარჩენაში. დაე, შენი ყოველი ძალის წყარო მასში იყოს, რადგან ქრისტეა ის, ვინც შენ გჭირდება. მარტოდ მყოფი უპოვარი ხარ — მასში კი სიმდიდრით აღვსილი. როდესაც სულიწმიდა ქრისტეში გვიცხადებს მის კურთხევას, შინაგანად ვიწმინდებით და ღვთისათვის ნაყოფის მოტანას ვიწყებთ. გულში მას დიდებას ვუძღვნით და მიუხედავად ჩვენი კარგი თუ ცუდი ყოფისა, იესო ქრისტეს გამარჯვებაში ვიწყებთ სიარულს.

ამრიგად, მოცემული წიგნის მეშვეობით შევეცადე გადმომეცა ის, რამაც ჩემი ცხოვრება გაამდიდრა. დაე, ღმერთმა მისი სიტყვით მოგიტანოთ კურ-თხევა, რათა უკანასკნელ ჟამს, როდესაც ცა და მიწა გადაიკარგება, თქვენ მაინც მის წინაშე უბიწოდ წარდგომა შეძლოთ.

kopenhageni 2012

hens erik niseni

1 ივნისი

ძმებო! ჩემი გულის სურვილი და ჩემი ვედრება ღვთისადმი ისრაელისათვის არის, რათა გადარჩნენ.

რომაელთა 10:1

აჰა, ახალი წელი დადგა. თავში უამრავი აზრი მოგვდის. ნეტა რას მოგვიტანს დამდგარი ახალი წელი? ნეტა რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ ის კარგ წელიწადად ვაქციო? ეს წელი ომისა და უბედურების მომტანი ხომ არ იქნება? დიახ, ყოველი ახალი წლის მოსვლა, სერიოზულ განცდას ბადებს ჩვენში.

იმ დროს, როდესაც სიძნელეებს გავდივართ, ან თუნდაც რამის მოხდენას ვიმედოვნებთ, მუდმივად ყურადღების მიღმა გვრჩება, რაც მნიშვნელოვანია. ეს კი, გადარჩენის შესახებ დასმული კითხვაა.

არცერთმა ჩვენგანმა არ იცის დამდგარი წელიწადი, ჩვენი საფლავის ქვაზე ამოიკვეთება თუ არა. ისიც არ ვიცით, სწორედ ამ წელიწადს დაბრუნდება თუ არა იესო. მაგრამ ერთ რამეში შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ: დადგება დღე, როდესაც ყველა დანარჩენი კითხვა მნიშვნელობას დაკარგავს — და საკითხი ასე დადგება, გადავრჩი თუ ღმერთს სამუდამოდ დავშორდი.

შენ, ვინც ხელახლა შობილი ხარ, რწმენა იესო ქრისტესი დამდგარ ახალ წელს უნდა შეურწყა. უნდა იზარდო იმ წარმოუდგენელი სიმდიდრის შემეცნებაში, რაც ქრისტე იესოში გაქვს. არ უნდა ისურვო ისეთი რამ შეგხვდეს მიმდინარე წლის განმავლობაში, რაც ამ საქმეში არ დაგეხმარება. ის თავად იქნება შენი ძალა, ენერგია და გაბედულება. ამიტომ ნუ შეგეშინდება, არამედ მტკიცედ ირწმუნე მისი, რომელმაც შენ გიხსნა. ის გააგრძელებს და აღასრულებს თავის დაწყებულ საქმეს.

თუ ქრისტიანი არ ხარ, საჭიროა ილოცო, რომ დამდგარი წელიწადი შენი გადარჩენის წელიწადი გახდეს. შენ იმ ხის მსგავსი ხარ, რომელსაც ნაყოფის გამოსაღებად ბატონმა დრო მისცა. ნუ ალოდინებ მას ამაოდ. მოინანიე და ირწმუნე უფლის!

ყველაზე მეტად ჩვენ გვჭირდება, რომ ჩვენს ქვეყანაში სულის ქარის ქროლვა ვიხილოთ. მოდით ღმერთს გამოღვიძება ვთხოვოთ. წარმოიდგინეთ ისეთი რამ განვიცადოთ, რომ უდაბნოში ვარდების ბაღი აყვავდეს!

ღვთისათვის არაფერია შეუძლებელი. ის გარეგან პირობებზე როდია დამოკიდებული, ის სასწაულების ღმერთია, ვისაც მკვდრის აღდგენა შეუძლია.

ამიტომ, ღვთის წინაშე დახსნისთვის ვილოცოთ, არა მარტო ჩვენი, არამედ ჩვენი ახლობლების, ჩვენი ერის და ყველა იმ ხალხისათვის, რომელზეც უფალი პასუხისმგებლობას გვადებს. კარგი იქნება თუ ამ ახალ წელს ღვთის წინაშე ვილოცებთ, ღვთისა, რომელიც ჩვენს ლოცვებს ისმენს.

2 ოსტვალი

საჭირო კი მხოლოდ ერთია.

ლუკა 10:42

შენს გონებაში ღმერთის სიტყვა უნდა ჩაიბეჭდო. მუდმივად უნდა ისმინო ის, ვინაიდან მისი გაგება მეტად რთულია. ღვთის ფიქრები ჩვენი ფიქრები არ არის.

შენის აზრით, ყველა სხვა დანარჩენი უფრო მნიშვნელოვანია. ვინაიდან ვერ ათვითცნობიერებ, რომ მთავარი მარადიულობაა. შენს გონებას საუკუნო სიცოცხლის დატევა არ შეუძლია. ბიბლიური აღწერილობა ჯოჯოხეთზე შიშით გავსებს, მაგრამ ვერასოდეს ბოლომდე ვერ გაიგებ, რაოდენ საშინელებაა მარადიული მსჯავრდადება. ზეციური ნეტარების აზრი შენს გონებაში სიხარულს ბადებს და აცნობიერებ, რომ ზეცა გაცილებით დიდებულია, ვიდრე მისდამი შენი შემეცნება.

მარადიულ რეალობას იესოს მსგავსად, რომ წვდებოდე, მაშინ შენთვის ნათელი იქნებოდა, რომ საჭირო მხოლოდ ერთია.

განკითხვის დღეს ორი განსხვავებული მდგომარეობა იქნება. ღმერთი ყველას ერთი და იგივე გზით როდი მიმართავს. იქნება ზოგი, რომელსაც კურთხეულს უწოდებს, ხოლო სხვებს წყეულთ.

ღვთის სასამართლო მარადიულია. ის არ შეიცვლება. ამიტომ სხვა დანარჩენი საკითხი ღვთის განაჩენთან შედარებით, უმნიშვნელოა. განაჩენი, რომელიც ან ცხონება, ან კიდევ მარადიული ჯოჯოხეთი შეიძლება იყოს.

ღვთის სასუფეველში თუ მსურს რაიმეს მივაღწიო, მისკენ მიმავალ გზას უნდა დავადგე. თუ ზეცაში შესვლა მინდა, მაშინ იმ გზას უნდა გავყვე, რომელიც მისკენ მიდის.

საჭირო კი მხოლოდ ერთია, ის, რაც მარიამმა გააკეთა: დავჯდეთ და იესოს სიტყვას მოვუსმინოთ. მარიამი, კრიტიკისა და გასამართლების მიზნით არ დამჯდარა იქ. ის არ ფიქრობდა, რომ სიტყვაზე აღმატებული რაიმე იყო. არამედ მან აღმოაჩინა, რომ ქრისტე ნეტარ სიტყვებს წარმოთქვამდა. მას მართებდა მისთვის ესმინა, რათა სიცოცხლე შეძლებოდა.

საჭირო კი მხოლოდ ერთია!

ღვთის შვილისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლის სიტყვაა. მის გარეშე ჩვენ ზეცას ვერ მივწვდებით, ვინაიდან იესო და უფლის სიტყვა ერთია და მის გარეშე ხსნა არ არსებობს.

მაშასადამე მე და შენ ერთი რამ უნდა გავაკეთოთ: უნდა ვცნოთ მთავარი საჭიროების ფაქტის შედეგები. ღმერთის სიტყვას ჩვენს ცხოვრებაში წამყვანი ადგილი უნდა დავუთმოთ.

3 ოსტვალი

მე წავალ შენს წინ და გამრუდებულს გავასწორებ, სპილენძის კარს შევამტვრევ და რკინის ურდულებს დავლეწავ.”

ესაია 45:2

ღვთის მიყოლა ხშირად დიდ სიძნელეებს იწვევს. ამ გზაზე შეიძლება სპილენძის კარიბჭეები, რკინის ურდულებით ჩარაზული შეგხვდეს.

წინააღმდეგობამ და ჭირმა არ უნდა გაფიქრებინოს, რომ შენ იქ არ ხარ, სადაც ღმერთს სურს რომ იყო. ეს მოიცავს შენს ოჯახს, შენს სამუშაო ადგილს ან თუნდაც ქრისტიანულს კრებას.

სამოცდაათი წლის შემდეგ ბაბილონში დატყვევებულ ისრაელ ერს დიდი მოლოდინი არ ჰქონდა, რომ იერუსალიმს კვლავ იხილავდა.

ხოლო ღმერთი, ღმერთია. ის ისრაელს წინ გაუძღვა. ამას ის შენთვისაც გააკეთებს. ის ყოველ დაბრკოლებას შემუსრავს.

შესაძლოა ფიქრობ, რომ ღმერთი ვიწრო და ბნელ გზებზე წინ მიგიძღვის. გეჩვენება, თითქოს მას სასრული არ აქვს. მაგრამ მათ სასრული აქვთ. ღმერთი არასოდეს არ დაუშვებს, რომ მისმა შვილმა სასოწარკვეთილებით დაასრულოს. სიხარული განთიადივით ამობრწყინდება. ზოგისთვის ის მანამდე არ დგება, ვიდრე მარადისობაში არ გადავა, მაგრამ უმრავლესობა ჩვენთაგანისთვის ღმერთს ის ამ დედამიწაზე ყოფნისას მოაქვს.

თუ ბედნიერება გხვდა წილად და იესოსთან ერთად უკვე მრავალი წელია დადიხარ, მაშინ ეს კურთხეული გამოცდილება შეძენელი გექნება: დროდადრო უფალს გაჭირვებიდან მაშინ გამოყავდი, როდესაც მას მოუხმობდი.

სწორედ ამიტომ, უფლის მიმართ გაბედული რწმენა უნდა იქონიო. ნუ შეხედავ შენს უღირსობას და ნუ მისცემ მას უფლებას, ღვთის აღთქმები შენს ცხოვრებაში გააბათილოს. პირიქით, შენი თვალები უფლის მადლს მიაპყარი. ღმერთის სიყვარული იმ ფაქტს არ ემყარება, რომ სიყვარულის ღირსი ხარ. ის იმ მტკიცე ფაქტზეა დამყარებული, რომ ღმერთს შენ გულანთებულა უყვარხარ.

უფალს არ დაუვიწყნიხარ. თუნდაც მისგან შორს იყო, ის მაინც გხედავს. როცა მიუახლოვდები თვალები აგეხილება და იხილავ, რომ უფალმა ყველა დაბრკოლება შენთვის შემუსრა.

ჭირი და შევიწროვება საუკუნოდ არ გაგრძელდება. დამოუკიდებლად შენს გამარჯვებებს ვერ მოიპოვებ. უფალი იბრძოლებს შენთვის. ფართოდ გაახილე შენი თვალები! სასოწარკვეთას არ დაჰყვე. შენ, მომავალი და იმედი გაქვს.

4 ოქტომბერი

გაგზავნა მათ წინ კაცი; მონად გაიყიდა იოსები.

ფსალმუნი 105:17

მიკვირს, რომ იყო ისეთი პიროვნება, რომელიც ფიქრობდა, რომ იოსები ეგვიპტეში ღმერთმა გააგზავნა. განა მისმა ძმებმა არ გაყიდეს იგი? განა მიდიანელი ვაჭრები არ იყვნენ, რომელთაც ის ეგვიპტეში ჩაიყვანეს? განა მათ არ გამოიყვანეს ის ბაზარზე გასაყიდად? განა ფოტიფარის ცოლის ცრუ ბრალდების გამო არ მოხდა ის საპყრობილეში? განა ღვინის მწდემ, მისი სიკეთე არ დაივიწყა?

დიახ, ეს ყველაფერი ასე იყო.

ღმერთი სად იყო მაშინ, როდესაც ეს ყველაფერი ხდებოდა? ის ყოველ ამ მოქმედებაში იყო ჩართული. ყოველივე ამ მომხდარის უკან იყო ღმერთი, რომელიც იოსების მეშვეობით თავის ხალხს შიმშილისაგან გადაარჩენდა.

ცხოვრებაში სხვადასხვა მოვლენებს აქვს ადგილი. ზოგჯერ მათ შემთხვევითობას მიაწერ, მაგრამ ეს ასე არ არის. ღმერთს შენდამი თავისი განზრახვა აქვს და მათდამიც, რომელთა კურთხევა შენი მეშვეობით უნდა.

არის ჟამი, როცა ღვთის გზას ვერ ვხედავთ. ვერც იოსები ვერ ხედავდა. მაგრამ ის ღმერთის სიტყვას ეჭიდებოდა და სწორედ ამ ღმერთის სიტყვის მეშვეობით წინააღმდეგობას უწევდა ყოველ გამოცდას.

ღმერთის ჩანაფიქრის გამოცნობა შენ არ შეგიძლია, მაგრამ მან ბიბლიის მეშვეობით თავისი თავი გაგვიცხადა. ამიტომ დაწერილს დიდი ყურადღება უნდა მიაქციო. ის დიდი დახმარება იქნება შენთვის, როდესაც ღმერთი გაჭირვებასა და განსაცდელებს გაგატარებს.

როდესაც ღმერთი გწრთვნის, მისგან მრავალი სარგებლის მიღება შეგიძლია. ის მის სიტყვას არასოდეს განგაშორებს. პირიქით, მისი მეშვეობით დაგაჯერებს, რომ ღვთის მოყვარულებს ყოველივე სასიკეთოდ ეწევა.

ხანდახან ღმერთი თავის ჩანაფიქრს ნათელს მოჰფენს, ჯერ კიდევ მაშინ ვიდრე ცოცხლები ვართ. იოსების მსგავსად ასეთი რამ მრავალმა განიცადა. სხვა შემთხვევაში მანამდე არ მოგვცემს განმარტებას, ვიდრე მარადისობაში არ გადავალთ.

მიუხედავად იმისა, რასაც არ უნდა აკეთებდეს შენს ცხოვრებაში ღმერთი, როგორც ღვთის შვილმა უნდა ერწმუნო ფაქტს, რომ გამოსავლის გარეშე დარჩენილი არ ხარ. ზეციერი მამა ყოველივეზე უფლობს. გულქვა და ბოროტი ძმები ღვთის გეგმის მხოლოდ ნაწილია. იგივეა ცრუ ბრალდებები და საპყრობილე.

ამიტომ მიუხედავად სიძნელისა, შენ ღვთის გზაზე დარჩენა გმართებს. დაემორჩილე მის ნებას. მისი დროის შესაბამისად კვლავ სამშვიდობოზე გაგიყვანს. მაშინ სხვათა კურთხევა გახდები და ღვთის სახელს მიაგებ დიდებას.

5 ოქტომბერი

ახლაც ყველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩემი უფლის იესო ქრისტეს შეცნობის უპირატესობის გამო, რისთვისაც უარი ვთქვი ყოველივეზე და ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა ქრისტე შევიძინო.

ფილიპელთა 3:8

ღვთის შვილისათვის რთულია ყველაფერი წაგებად მიიჩნიოს. ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ქრისტეს შემეცნების მდგომარეობიდან ვხედავთ საგნებს.

ამიტომ საჭიროა მუდმივად მიუბრუნდე ნამდვილ, ღრმა და ერთადერთ შეურყეველ ცხოვრების საფუძველს: იესოს შემეცნებას. ყველაფრის ცოდნა შენ არ გაგაჩნია. მომენტმა შესაძლოა მთელი შენი ცხოვრება შეცვალოს. მაგრამ იესო შეუცვლელია.

წლებთან ერთად შენც იცვლები. ვერ ვიჯერებთ, რომ სერიოზული ავადმყოფობა ან ტანჯვა შესაძლოა შეგვემთხვეს, მაგრამ ის მაინც ხდება. თუ იესო მანამდე არ მოვა, ერთ დღეს დაგვმარხავენ, რაც ნიშნავს იმას, რომ მიწისაკენ გაგვისტუმრებენ. ვინ იცის, შეიძლება ატომური ომის მიერ დავიხოცოთ, რა დროსაც მიცვალებულებს არც კი მარხავენ.

ჩვენ ყველაფერს დავკარგავთ, გარდა იესოს შემეცნებისა. სიკვდილი მას ბოლოს ვერ მოუღებს.

დაკვირვებულხარ იმას, რომ ცხოვრებაში საუკეთესო საგნებიც კი გაფუჭებულა? ნაბიჯ-ნაბიჯ ღმერთი შენს უბადრუკებას უფრო და უფრო გაჩვენებს. შენ დაინახავ, რომ თვით შენი ქრისტიანული ყოფაც კი ცოდვითა და ეგოიზმით არის დავირუსებული. ღმერთმა, რომ თავისი მადლით არ დაფაროს შენი მსახურება, გარდაუვალი იქნება შენზე ღვთის რისხვის მოსვლა. ვინაიდან ის სუფთა და წმიდა ღვთის წინაშე არ არის. ის ხედავს შენს ემოციებს, აზრებს და მოშურნეობის ნაკლებობას. ღვთის სახის წინაშე არაფერია დაფარული. ამიტომ ის სჯის ყველას და ყველაფერს.

განა სიმდიდრე არ არის, როდესაც ყველაფერს წაგებად მივიჩნევთ და იესოსკენ ვბრუნდებით? მას არასოდეს მივუტოვებივარ და ამას ის არასოდეს ჩაიდენს.

წარმოიდგინეთ, მომეცა უფლება, რომ ვიცნობდე მას! ის თვალს არ მომარიდებს. რწმენით, მისი სიტყვის მეშვეობით პირისპირ ვიხილავ მას.

იესოზე ფიქრით არასოდეს დავიღლები. და ეს ასე იქნება მარადიულად. ისაა ერთადერთი, რომელსაც ჩემი თვალები ძიებას დაუწყებს, მაშინ, როდესაც საზღვარზე გადავალ (იგულისხმება სიკვდილი). და როს იხილავს მას ჩემი თვალები, არ მივცემ უფლებას, რომ ის ჩემი თვალსაწიერიდან მიეფაროს.

იცნობდე იესოს, ეს დიდი რამაა უკუნითი უკუნისამდე.

6 ოქტომბერი

რადგან ყველა, ვინც ღვთისგან არის შობილი, სძლევს წუთისოფელს: და ეს არის ძლევა, წუთისოფლის მძლეველი არის ჩვენი რწმენა.

1 იოანე 5:4

რწმენა, იესოში დაჯერებაა. იქონიო დიდი რწმენა ნიშნავს, იქონიო დიდი დაჯერებულება.

ურწმუნო წუთისოფელი რწმენას არაფრად თვლის. მას ვინც იესოშია დაჯერებული და ცხოვრებას მასზე აშენებს, გულუბრყვილოდაა მიჩნეული.

ღმერთი განსხვავებულად სჯის. ის პიროვნების რწმენას ხედავს. რწმენის გარეშე შეუძლებელია მისთვის სათნოდ ყოფნა.

მნიშვნელობა არ აქვს რა გიკეთებია ან რას აკეთებ, ვინაიდან შენი საქმეებით წუთისოფელს ვერასოდეს ვერ ძლევ. მაგრამ რწმენით ძლევ. ეს შესაძლებელია, რადგან რწმენა შენი მისგან არის განუყოფელი, ვის მიმართაც გაქვს რწმენა. სიტყვამ იესოს შესახებ შენს გულში რწმენა წარმოქმნა და ეს იგივე სიტყვაა, რომელიც მას ყოველდღიურად კვებას.

იესოში, შენ მასთან ერთად იზრდები. რაც მას ეხება, ის შენც გეხება.

იესომ წუთისოფელს სძლია. ეს მან მაშინ გააკეთა, როდესაც ისე სჩანდა, თითქოს წუთისოფელმა მასზე გაიმარჯვა. წითელ პარასკევს წუთისოფელს ეგონა, რომ მასზე გაიმარჯვა. მაგრამ ის შეცდა. ეს პირიქით იყო. წუთისოფელი იესოს ჯვრის მიერ იქნა ძლეული.

იგივე მეორდება დღევანდელ დღეს. წუთისოფელი ყოველმხრივ გამარჯვებული ჩანს. ის გამარჯვებიდან გამარჯვებაში გადადის. ყოველივე, რაც ქრისტიანული ცხოვრების გაგებას თუ მსოფლმხედველობას ეკუთვნის, გვერდზეა გადაწეული. ძველ ქრისტიანულ ქვეყნებში, სრულიად უცხო რელიგიები იკიდებს ფესვს. ნეო-მრავალღმერთიანობა, თავისი აზროვნებით და ცხოვრების სტილით მუდმივად ვრცელდება. ისე ჩანს თითქოს წუთისოფელი რწმენას ძლევს, მაგრამ ეს არ მოხდება. ამ წუთისოფელში არიან ისეთნი, რომელნიც ამ წუთისოფელს არ ეკუთვნიან. მათ ძლიეს წუთისოფელს. მათი რწმენა იქამდე გაგრძლედება, ვიდრე საწყისები ცეცხლით არ განადგურდება და მიწა და მასზე მყოფი არ დაიღუპება.

რწმენა იესოსი დარჩება.

რწმენა შენსა და მას შორის კავშირია. სიკვდილს მისი გაწყვეტა არ შეუძლია. ის სამუდამოდ იქნება. ამიტომ საჭიროებ ამ უბრალო რწმენაში დარჩენას. ის სუსტია თავისი არსებით, მაგრამ იესოს ძალა აქვს შემეცნებული. იესო მის საქმეს გაასრულებს თუ მის რწმენაში ბოლომდე დარჩები. მაშინ ამ სიტყვებით შეძლებ გალობას: „მარადიულ გამარჯვებას ვფლობ მე მარადიულად და უფალი ქრისტე ჩემშია!“

7 ოქტომბერი

რა დღესაც მოგიხმე, მიპასუხე, გამამხნევე და სული განმიმტკიცე.

ფსალმუნი 138:3

შენ ამბობ, რომ მხნეობა გაკლია.

შენ ცხოვრებას დანებდი. დროდადრო მცდელობას არ აკლებდი. მთელი ძალების კონცეტრირებას ახდენდი, მაგრამ ამაოდ. მთლიანად დაიცალე მისგან და აღარ შეგრჩა მისი მარაგი.

რაღაც ვერ გაიგე. ღმერთი არ ელის, რომ შენი მცდელობებით მოიტან გამარჯვებებს. საკუთარი ძალებით წინ ვერ წახვალ. რადგან შენი დაცემისთვის უამრავი პირობაა შექმნილი. ყველაფერი უკუღმა წავა და ადრე თუ გვიან, დიდ უბედურებაში ამოყოფ თავს.

მხნეობა უფლისგან უნდა მიიღო. ის არის ერთადერთი, რომელიც ისეთ გაბედულებას მოგანიჭებს, რომ მაშინაც კი გაძლო, როდესაც ყველაფერი შენს წინააღმდეგ იქნება.

ღმერთი მხნეობას მისტერიული გზით როდი იძლევა. უფალი მის შეწევნას ციდან აგზავნის. ის მის სიტყვასთან შენი შეხვედრით აკეთებს.

ამიტომაა, რომ სასოწარკვეთილს ღვთის სიტყვით ცხოვრება ჭირდება. შენ უნდა იკითხო და დაიცვა სიტყვა. მთელი შენი სულით მიენდო მას, რადგან, რასაც ღვთის სიტყვა ამბობს სარწმუნო ფაქტია. ცა და მიწა გადავა, მაგრამ მისი სიტყვა არა. ის არის ლამპარი ჩემი ბილიკისათვის და ამიტომ მის შუქზე მმართებს სიარული.

შენ, ვინც ღვთის სიტყვას ეჭიდები, მისი სიტყვის ნათელს მოგფენს. ის შეგეწევა და სულიწმიდით გიწინამძღვრებს. მისი სიტყვით ცეცხლს აანთებს შენს სულში და მით მთელ შენს გულს აავსებს.

შემდგომ ამისა საოცრებანი მოხდება; შენ გამხნევდები. ეს შენგან კი არა, არამედ ღვთის სიტყვა იმძლავრებს შენზე. მიხვდები, რომ ეს მან მოიტანა და ის შენი ცხოვრებისათვის მტკიცე კლდე გახდება.

ყველაფერი შეირყევა, მაგრამ მისი სიტყვა ურყევი დარჩება. შესაძლოა ეს ჯერ არ გესმის, მაგრამ მოვა დრო და გაიგებ, რომ უფლის აღთქმები და მისი საქმენი დარჩება საუკუნოდ.

ღვთის სიტყვამ კვლავ აღგადგინა. ამიერიდან მისი სიბრძნით იძვრი. გულში სულიწმიდის მიერ მიღებული გაქვს მხნეობა. ამიტომ შეგიძლია აღაპყრო თვალები და უთხრა უფალს: „შენ გამამხნევე და სული განმიმტკიცე!“

8 ოსტვალი

სიბერის ჟამს მიდრიკეს სოლომონის გული მისმა ცოლებმა უცხო ღმერთებისაკენ.

1 მეფეთა 11:4

როგორი იქნები, როცა ასაკში შეხვალ? იქნები მიძღვნილი და ღვთისმოსავი? წმიდა პიროვნება? შენი ცხოვრების დასასრული, იქნება კი მიზეზი ღვთის წინაშე სიხარულით წარდგომისა? თავისუფალ დროს მის წინაშე ილოცებ?

ქრისტიანი კაცის ცხოვრებაში მრავალი ცრუ ოცნებაა, მაგრამ მხოლოდ ერთი ოცნებაა განხორციელებადი, რაც ახალგაზრდული წლებიდან იღებს სათავეს.

სოლომონის შესახებ მრავალი კარგი რამ არის ნათქვამი. ის ჭეშმარიტ სულიერ და ადამიანური ფასეულობების მატარებლად გამოიყურებოდა. მაგრამ მას ეს მთელი სისრულით არ აღუსრულებია.

მეფეთათვის მიცემულ კანონში, რაზეც მეორე რჯულის 17:14-20-ში უფალი ლაპარაკობს, მეფეს მრავალი ცოლი არ უნდა მოეყვანა, არ უნდა დაეგროვებინა დიდი ქონება და ცხენთა რაოდენობა არ უნდა გაემრავლებინა. სოლომონმა ღვთის ეს სიტყვები არ შეისმინა. რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩანდა, რომ ის კარგად მოქმედებდა. მაგრამ მისი ცხოვრების უკანასკნელი ჟამი შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. საბოლოოდ ის კერპმსახურად იქცა.

სოლომონი გეკითხება: იმ გზაზე ხომ არ დგახარ, რომელიც ასაკთან ერთად ჯოჯოხეთისკენ მიგიძღვის? ისეთი სფეროები ხომ არ არის შენს ცხოვრებაში, სადაც ღვთის სიტყვის შესაბამისად არ ცხოვრობ? აცნობიერებ იმას, რომ ქრისტიანის ცხოვრებაში არსებულმა ლაფსუსებმა შესაძლოა ნგრევა გამოიწვიოს, მიუხედავად იმისა გარეგნულად ყველაფერი კარგად ჩანდეს?

მნიშვნელოვანია ცოდვას სათანადოდ გავუსწორდეთ. თუ მის სიმწიფეს დავუშვებთ, აუცილებლად სიკვდილს შობს. მარადიულ სიკვდილს! რა დროსაც მონანიება გვიანი იქნება. ყოველ სწორ ქმედებაში ტკბობას არ მიეცე. არც თქვენს ცხოვრებაში არსებულ ცოდვას, ახსნა არ უნდა მოუძებნოთ.

შენ, რომელიც ასაკში ხარ: ჯერ კიდევ მონანიების ჟამი გაქვს. შესაძლოა მრავალი შესაძლებლობები ამაოდ გაფლანგე და ცხოვრებაში წარუმატებელი იყავი, და თუ ეს ასეა უნდა იცოდე, რომ იესო ცოდვილთა სახნელად მოვიდა. იესოსთან არსებობს მიტევება. მნიშვნელობა არ აქვს თუ რაოდენ დაშორდი მას, იესოს შენი ხსნა მაინც შეუძლია და ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება.

დღეს იესო შენ გიხმობს. გამოეხმაურე მას! მაშინ შენი აღსასრული, სოლომონის აღსასრულიდან სრულიად განსხვავებული იქნება.

9 ოსტვალი

გვასწავლე ჩვენი დღეების დათვლა, რომ გულს სიბრძნე შევძინოთ.

ფსალმუნი 90:12

საკუთარი დღეების დათვლისაკენ, რად უნდა ვიყო მიდრეკილი? იმიტომ, რომ სიკვდილი ეს უკანასკნელი მტერია და ჩემს ძველ ბუნებას არ უყვარს ფიქრი იმ ფაქტის შესახებ, რომ ერთ დღეს სიკვდილთან ჭიდილი მომიწევს და ჩემს მკვდარ სხეულს დამარხავენ.

ღვთის სიტყვა მე სრულად მიცნობს. ამიტომაა, რომ ის სავალი გზისაკენ მიმითითებს. მე შემიძლია ჩემ ციურ მამას ვთხოვო მომანიჭოს ცოდნა იმისა, რაც საკუთარი ძალით არ შემიძლია. ეს უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგან მას გულის სიბრძნე მოჰყვება თან.

ეშმაკი ცდილობს სიკვდილის ფაქტი, როგორმე დაგვავიწყოს. სულის მტერმა იცის, რომ მას შეუძლია სიცოცხლის სასრულზე ფიქრისაგან თავი შეგაკავებიოს; რის შედეგადაც მთელ გონებას ქვეყნიერებისაკენ მიმართავ და ყოველ შენს გათვლას მასზე მოახდენ, თითქოს მისი დატოვება არასოდეს მოგიწევს.

ლოცვა იმისა, რომ ისწავლო დღეთა დათვლა, რეალობის შეგრძნების შეძენას ნიშნავს. ღმერთი, მის მიერ მოცემულ საშინაო დავალების სწავლებაშია ჩართული. ის ნებას გვრთავს მივხვდეთ, რომ საგნები ამა ქვეყნისა ხრწნადია. მტკივნეული და მძიმე სნეულებები აზროვნებას ფიქრით კვებავს. მეგობრის სიკვდილით გამოწვეული დარდიც იგივეს აკეთებს. თუ ასაკში ხარ, გამოქვეყნებული ნეკროლოგთა მონაცემები შეგახსენებს, რომ ბევრმა შენს წლებამდე ვერც კი მოაღწია.

კურთხეული ადამიანი ხარ, თუ შენი ვალდებულება შეასრულე და მზად ხარ წასასვლელად. იცი, რომ სიკვდილი შესაძლოა სრულიად მოულოდნელად გესტუმროს. წარსულს მადლიერებით შეავლებ თვალს, რადგან უფალი გიძღოდა სიკეთის ან უბედურების ჟამს. რაც მთავარია, მისი მადლი მიტევებისა გფარავდა მთელი ამ დროის განმავლობაში.

იმავდროს მომავალს გაბედულად შეხედავ. ყველაფერი, რაც რწმენით აქამდე გცოდნია, ერთ დღეს ხილული გახდება. შეურთდები რა უდიდეს მასას ყოველი ერიდან, ტომიდან, ხალხიდან თუ ენიდან, რომელთა დათვლა არავის ძალუძს. მაშინ მცირე გაბევრდება. ყველას თვალი ყოვლადძლიერი მამა ღმერთისკენ და კრავისაკენ იქნება მიპყრობილი. სულიწმიდა განადიდებს ღმერთს და მარადისობა ქებადიდების გალობით აივსება.

როდესაც ღმერთი დღეთა თვლას გასწავლის, ცხოვრების მარადისობის პერსპექტივით დანახვაში გეხმარება. ეს კი შენს გულს სიბრძნეს სძენს.

10 ივნისი

ჰა, ჩემი სიმრთელისათვის ვიწვნიე სიმწარე.

ესაია 38:17

ცხოვრებისეული სიმწარე საშიშროების შემცველია. მას შენი გამძვინვარება შეუძლია. გონება მიდრეკილია იმ სახით მოახდინოს რეაგირება, როგორსაც გზად შეხვდება. ეს მისი ბუნებრივი თვისებაა. დღიდან დაცემისა, ბუნება ჩვენი გარყვნილია. თუ მისი მიმდევარნი ვიქნებით, ღმერთს ზურგს შევაქცევთ და დავიღუპებით.

მეფე ეზეკია იყო იმ მცირე რაოდენობის იუდას მეფეთაგან, რომელნიც ღვთისმოსავნი იყვნენ. ცხოვრებისეული სიმწარე მისთვის მშვიდობაში გადაიზარდა. კვდებოდა, მაგრამ იცოდა, რომ მოსული სიმწარე და გაჭირვება, ღვთის აღმზრდელობითი ხელი იყო მასზე. ამიტომაც ის მისი გასაჭირის დროსაც, მაინც უფლის ძიებაში იყო.

ღვთის სურვილია ტანჯვისგან გამოწვეული ტკივილით, შენც სარგებელი მიიღო. ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი თუ გაათვითცნობიერებ, რომ რაც ხდება, მხოლოდ უფლისგან ეშვება. დიახ, მაშინაც კი, როდესაც სატანა ქარიშხალივით გიტევს, უნდა იცოდე, რომ ღმერთი ნებისმიერ ძლიერ მტერზე აღმატებულია და ვერცერთი შენი მოწინააღმდეგე წინ ნაბიჯსაც კი ვერ გადმოდგამს უფლის ნებართვის გარეშე.

მწარე გამოცდილებების მეშვეობით ღმერთი გაგიცხადებთ, რას ნიშნავს იცხოვრო ამ დაცემულ ქვეყნიერებაზე, სადაც ცოდვის საზღაური სიკვდილია. ქვეყნიერება და მისი გულისთქმა ნამდვილ ფერებს ამჟღავნებს. შენ კი ხვდები, რომ წუთისოფლის მიერ შემოთავაზებული მშვიდობა, ყოველთვის უბედურებით მთავრდება.

წუთისოფელს არ შეუძლია იმის მოცემა, რაც შენს სულს წყურია. თუ წუთისოფლის მიერ შემოთავაზებული ბედნიერების ფასადის მიღმა არსებული რეალობის დანახვას შეძლებ, მიხვდები, რომ იქ მხოლოდ ღრმა სიმწარით აღსავსე ცხოვრებაა. წუთისოფელი ადამიანებს აცდუნებს და სასოწარკვეთაში აგდებს — ხოლო ამას განსაკუთრებული შემართებით ამ უკანასკნელ დღეებში აკეთებს.

ცხოვრებისეული მწარე გამოცდილებები, სხვა არაფერია თუ არა ღვთის ძახილი მისკენ მოსაქცევად, რომელსაც შენს გულში ნამდვილი მშვიდობის მოცემა შეუძლია. მხოლოდ იესოსთან და მხოლოდ იესოში ჰპოვებ სიცოცხლის წყალს, რომელიც მწველ წყურვილს აცხრობს.

იესომ ღვთიური სიკეეთეები შენთვის მისაწვდომი გახადა. გოლგოთაზე აღსრულებული მსხვერპლის რწმენით იცი, რომ მიუხედავად ცხოვრებაში მომხდარისა, მაინც მშვიდობა გაქვს მასში. ხოლო ღმერთთან მშვიდობა უმთავრესი რამაა. ის მაშინაც გააგრძელებს არსებობას, როცა ალმოდებული საწყისები დაიწყვებიან. ის, შენნაირი და ჩემნაირი ცოდვილების გადამრჩენელია.

11 ივნისი

მაგრამ შენ გაქვს ცოდვების პატიება, რათა ეშინოდეთ შენი.

ფსალმუნი 130:4

ღვთისმოსაობა ყველაფერში გამოსადეგია. ისაა ყოველივეს მაკურთხებელი, როგორც დროებითი, აგრეთვე მარადიული ჩვენი სულიერი ცხოვრებისა. დიახ, ღვთისმოსაობას დიდი ფასი აქვს, რომელსაც აწმყო და მომავლის ცხოვრების აღთქმა უპყვრია.

სამწუხაროა, რომ ღვთისმოსაობა ადამიანთა ცხოვრებაში ნაკლებად მოიპოვება. კვლავ და კვლავ მე ხელებს ლოცვისთვის მაღლა აღვაპყრობ და ვიტვყი: უფალო, ყველაზე მეტად მასწავლე შენი სახელის შიში და სიყვარული.

ღმერთი ჩვენს დასახმარებლად მისი სიტყვით მოდის, რომ რჯულის გზას აგვარიდოს. მან იცის, რომ კეთილი ზრახვები საკმარისი არაა. კაცის ნება უსუსურია. იესო მართალია თავის გამოთქმაში, „ხორცი უძლურია.“

ეს ჩვენი ბედნიერებაა, რომ უფალი ღვთისმოსაობის სხვა გზაზე მიგვითითებს. ეს გზა ცოდვათა მიტევებაა.

ცოტა უცნაურად გვეჩვენება მიტევებასა და ღვთისმოსაობას შორის კავშირი, მაგრამ ეს ასეა.

ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა ტერორში ცხოვრება როდია, არამედ მისდამი შიში და სიყვარული. სრულყოფილი სიყვარული დევნის შიშს და სივრცეს, ნამდვილი ღვთისმოსაობისთვის ანთავისუფლებს.

თუ რწმენით ცხოვრობ, მაშინ ცხოვრებით გამოცდი ამას და ღვთის საწინააღმდეგო ქმედებებს შეიძულებ. სიყვარული, ღვთისადმი საამებელი ქცევისთვის აღგძრავს. მოისურვებ შენი ნება მას დაუმორჩილო. და, რაც უფრო გაიაზრებ, რაოდენ თვით-ნება ხარ, მით უფრო დამდაბლდები შენი მაცხოვრის წინაშე. მთელი გულით მოისურვებ უფლის აზრით იარო და არა შენით.

ღვთის მადლთან შეხვედრით ხედავ შენს სიმცირეს. აცნობიერებ უფლისადმი შენს ვალს და ყოველივე ამის შემდეგ გიჭირს იმის დაჯერება, რომ ღმერთს მაინც უყვარხარ.

შენი ქრისტიანული ყოფა არ არის კარგ ფორმაში.

იმავდროს იმეცნებ, რომ ღვთის მადლი გამრავლდა. შენ ის ყოველდღე გჭირდება. თუ ცხოვრებას თვალს გადაავლებ, ღმერთმა თავისი მადლი ოკეანესავით განუზომლად მოგანიჭა. ისიც კარგად გესმის, რომ უფრო მეტი მადლი გჭირდება, რომ ბოლომდე განვლო ამა ცხოვრების გზა და მარადისობაში გადახვიდე.

როცა შენი გული მიპრობილია ამ უკიდეგანო მადლისაკენ, შენს ცხოვრებაში უფლის სიყვარული და ღვთისმოსაობა იზრდება.

12 ივნისი

არაფერი არ მომაკლდება.

ფსალმუნი 23:1

შესაძლოა ფიქრობ რომ ბევრი რამ გაკლია და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გიპყრობს.

მიგაჩნია სხვებს უფრო მეტი ნიჭები მისცა, ვიდრე შენ. ვიღაცას შენზე უკეთესი გარეგნობა და ბუნება-ხასიათი აქვს. სხვა უფრო ხელმარჯვეა და შენთან შედარებით მეტი გამომხატველობის უნარი აქვს.

სულიერ საკითხებში მრავალი ქრისტიანი ქაცილებით წინაა. ისინი ღმერთთან სიახლოვეში ცხოვრობენ და მის სადიდებელ საქმეებს აკეთებენ.

შენ ფიქრობ, რომ მათ ჩამოუვარდები. ამიტომ, როგორ შეუძლია ღმერთს შენზე თქვას, რომ არაფერი არ გაკლია?

ის ამას ამბობს, რადგან უფალი შენი მწყემსი გახდა, როდესაც იესო ირწმუნე. ის იმდენად დიდია, შენ აღარაფერი მოგაკლდება. შენით აღარ საჭიროებ გზები ეძებო. უკვე სხვა გიძღვის წინ. საკუთარ თავზეც აღარ იღებ მზრუნველობას, რადგან იესოა ვინც ამას აკეთებს.

როგორც ღვთის შვილი უკვე აღარ იცი რაა სიღარიბე, რადგან ქრისტეს მთელი სიმდიდრისა და სიუხვის თანა-მემკვიდრე ხარ. იესოა ვინც ყოველმხრივ ზრუნავს შენზე.

თუ მის მკლავებში დარჩები, ცოდვა ვეღარ დაგაცილებს ღვთისაგან. მწყემსი შენი დაეძებს, რომ იხსნას, ხოლო დახსნილს სრულყოფილად წმენდს. მისი სისხლი გულის ფსკერს წვდება, რათა სული შენი ისე გაათეთროს, როგორც თოვლი.

მანამ ვიდრე მწყემსი გიცავს, ვერანაირი სატანური თავდასხმა ვერ დაგაზიანებს. თუ რამ საშიში მოდის, ამას ღმერთი უშვებს, რადგან მისი სურვილია უფრო მეტად დაგიახლოვოს.

ჩვენ მრავალ სიძნელეს გავდივართ, ვინაიდან იმად გვინდა გავხდეთ, რადაც ჩვენს მწყემს სურს გვიხილოს. საკუთარი თავის დაცვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი თუ თვალებს კეთილი მწყემსისკენ მივაპყრობთ! ამის შემდეგ აღმოვაჩენთ, რომ იესოსთან ერთად არაფრის ნაკოვანებას აღარ განვიცდით.

ის იღებს სრულ მზრუნველობას ჩვენს საკუთარ გონებასა და სხეულზე. დღითიდღე წინ გვიძღვის ზეცისკენ, სადაც მას საუკუნოდ მივუძღვნით ქებადიდებას.

13 ივნისი

ამიტომ ახლა არავითარი მსჯავრი არ არის მათზე, ვინც ქრისტე იესოშია.

რომაელთა 8:1

ეს მუხლი ერთერთი ყველაზე ცნობადი ბიბლიური მუხლია და ამას კარგი მიზეზი აქვს. ბედნიერი ხარ თუ ამ მუხლს ხარ ჩაჭიდებული. ის ნებისმიერი ქარიშხლის დროს ნუგეშისცემით აღგავსებს.

ღვთის შვილი თავისი ქრისტიანული ცხოვრების განმავლობაში, მრავალ ცილისწამებას განიცდის. მრავალთათვის წარუმატებელი ქრისტიანობა ტვირთად იქცევა, რომლის სიმძიმით დაბლა იძირებიან. მათ კარგად ესმით თუ, როგორია ნამდვილი ქრისტიანობა. საამისოდ მცდელობაც არ დააკლეს, რომ მთელი გულით ბედნიერი და თავგანწირული ქრისტიანები გამხდარიყვნენ. მიუხედავად ამისა ეს მათ არ გამოუვიდათ. სული მხნეა, ხორცი კი უძლური. დიახ, ჩვენს ძველ მეში მრავალი ბოროტებაა, რომლის ძლევაც საკმაოდ ძნელია.

გიფიქრიათ იმ ფაქტზე, რომ რომაელთა 8:1 იმ კაცის მიერაა დაწერილი, რომელმაც ამ ბრძოლაში საკუთარი თავი სასიკვდილოდ გაწირა?

წინა თავში პავლე საუბრობს ძველი და ახალი კაცის ერთმანეთთან ბრძოლაზე. შოკისმომგვრელია მისი წაკითხვა. მან განიცადა, როგორ ეტმასნება ბოროტი, როდესაც სიკეთის ქმნის სურვილი აქვს. კეთილის კეთება სურდა და ვერ იქმოდა. პირიქით, ბოროტს იქმოდა, რომელიც არ სურდა. სასოწარკვეთილი ის ღაღადებს „ვინ დამიხსნის ამ სიკვდილის სხეულიდან?“

ამიტომ შენ არა ხარ ერთადერთი, რომელმაც ბრძოლა წარმატებული ქრისტიანობისათვის განიცადე და აღმოჩნდი უიმედობაში. იმედი მხოლოდ მის სიტყვაში მოგვეპოვება: „ამიტომ ახლა არავითარი მსჯავრი არ არის მათზე, ვინც ქრისტე იესოშია.“

პავლე აქ ნახულობს შვებას. ურიცხვმა ქრისტიანმაც იგივე გააკეთა.

შესაძლოა ადამიანებმა მსჯავრი დაგადონ, მაგრამ თუ ქრისტეში ხარ, შენა ხარ ის, რომელზეც არანაირი მსჯავრდადებაა. ისაა მოსამართლე და უზენაესი სასამართლოს სამართალი. ის შენ გამართლებს.

ღვთის გამართლება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ შენს ადგილზე მან სხვას დადო მსჯავრი. საბრალდებო დასკვნა მან მის ძეზე გამოიტანა. მის მხრებზე დადო ყოველი შენი ცოდვა და შენს გამო ის წყეული გახადა. ამიტომ არანაირი მსჯავრდადება აღარაა შენზე. შენ იესოს წყალობით თავისუფალი ხარ და მდიდარი შენს სიღარიბეში, რადგან მის გამო ყოველივე მოგეცა.

14 ივნისი

უთხრა უფალმა გედეონს: „ბევრი ხალხი გყავს, რომ ჩავუგდო ხელში მიდიანელები, გაყოყოჩდება ისრაელი და იტყვის: ჩემმა ხელმა მიხსნაო.“

მსაჯული 7:2

უფლის პატივის მისასაკუთრებლად მცირეა საჭირო. შესაძლოა შენ ამას სიტყვით არ აკეთებ, მაგრამ ფიქრით კი. დღიდან დაცემისა ადამიანს თან სდევს სურვილი, რომ რაღაცას წარმოადგენდეს. ამიტომ თითოეულ ჩვენგანი, ჩვენშივე ვატარებთ ამ საწამლავს.

მრავალი ჭირი და დამცირებაა კავშირში იმ ფაქტთან, რომ ღმერთის ნება არ ყოფილა ჩვენი ცოდვაში დარჩენა. მისი სურვილია საკუთარი თავის შესახებ შეჭმარიტება გვასწავლოს. აუცილებელია გავიგოთ, რომ საკუთარი დამსახურების გამო არაფრის ღირსნი არ ვართ. ყველაფერი ღვთის სიკეთისა და მადლის დამსახურებაა.

გედეონი არ ფიქრობდა, რომ მას დიდი რაოდენობის ჯარი ჰყავდა. შესაძლოა მისი სურვილი უფრო მეტი ჯარისკაცის ყოლა იყო, იმ მტრის წინააღმდეგ, რომელიც რიცხობრივად დიდად აღემატებოდა, მაგრამ მას ესაჭიროებოდა იმის გაცნობიერება, რომ ღმერთს სურდა საკუთარი ძალებით გამარჯვების მოპოვებიდან განთავისუფლება. საკმარისი იყო მცირე ძალა, რადგან ღმერთს უნდოდა გედეონისთვის ესწავლებინა, რომ არ ნდობოდა საკუთარ ძალას.

იგივეა შენს ცხოვრებაში. ფიქრობ, რომ მცირე ძალა გაქვს. ლოცვაში ხშირად მის მომატებას ითხოვ. არ გესმის იმისა, რომ ღმერთი ამ სახის ლოცვას არ გისმენს. თითქმის ლოცვის საწინააღმდეგოს იღებ. ღმერთი გქმნის, როგორც სუსტს, ასევე უმწეოს. არასოდეს დაუშვა ცდუნება იმისა, რომ თითქოს ღმერთი შენს ლოცვას არ ისმენს. არც ის იფიქრო, რომ ღმერთმა დაგტოვა. არა, ის ზრუნავს შენზე. მაშინ, როდესაც აღარაფერს არ წარმოადგენ და არაფრის კეთება არ ძალგიძს, ღმერთი უშვებს, რომ მისი მადლი და ძალა განიცადო. ეს შენს უძლურებაში სრულყოფილდება.

რა შეიძლება ითქვას პატივზე? ის მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. არაფერი გაქვს საამაყო. მხოლოდ ერთი რამის თქმა შეგიძლია: „მხოლოდ ერთისგან და მხოლოდ მის მიერაა ყოველივე, ამიტომ მას ჰქონდეს დიდება საუკუნოდ!“

როდესაც მხოლოდ ღმერთია შენს გულში ამაღლებული, საოცრებები ხდება და გული სიხარულით გევსება. კარგია, როდესაც თავს არ იმაღლებ და იმ პიროვნებად რჩები, რომელსაც ჰქვია: პატივმოკლებული ცოდვილი, რომელიც ყოველმხრივ ღვთის მოვალეა.

15 ივნისი

აქაა თქვენი ღმერთი!

ესაია 40:9

გჯერა, რომ ეს სამი სიტყვა დაგეხმარება? თუ იმ მრავალთაგანი ხარ, რომელიც სასოწარკვეთილების ჟამს დახმარებისთვის სხვა გზებს ეძიებს?

არის ისეთი ქრისტიანები, რომელთაც ის რწმენა მიატოვეს, რომ ღმერთს მათი დახმარება შეუძლია. ისინი იმ დახმარებას არიან გამოდევნებული, რაც ქვეყნიერებას შეუძლია შეთავაზოს.

ღმერთს თავისი ნაშთი ჰყავს შემონახული, რომელნიც ისმენენ სიტყვებს: „აქაა თქვენი ღმერთი!“ და არა მარტო ისმენენ, არამედ მიჰყვებიან კიდეც მათ.

ქრისტიანს ორი ბუნება აქვს. შენს ძველ ეგოისტურ მეს ღვთის წინაშე გაბედულება არ აქვს. ფაქტიურად მას სძულს ღმერთი და მისი მორჩილება არ უნდა. მშვინვიერი კაცი რწმენისა და ნდობის თვალებს მას არასოდეს მიაპყრობს.

იესომ გიხსნა შენი ძველი კაცისგან, რათა ის აღარ უფლობდეს შენზე. ამიტომ არ უნდა მისცე შენს ცხოვრებაში ისეთ საკითხებს ადგილი, რომელნიც ღვთის სიტყვის საწინააღმდეგოდ გიბიძგებს.

მაშინ, როდესაც ხელახლა იშვი, სულიწმიდამ შენში დაიდო ბინა. ამიერიდან შენ ახალი კაცი ხარ, რომელიც ღვთის აღთქმებისადმი მუდმივად თანხმობაშია. გონებაში ისმის „კი,“ როდესაც გესმის ძახილი: აქაა თქვენი ღმერთი! გულში დარწმუნებული ხარ, რომ სწორედ ამ სიტყვებშია გასაღები, ერთხელ და სამუდამოდ ყოველგვარი უბედურებიდან თავის დაღწევისა.

არ არის კარგი, ერთმანეთისა და საკუთარი თავის ანალიზისას, მარტო ბნელი მხარეების აღწერაში გავატაროთ დრო. ის მხოლოდ უსუსურობის განცდის ზრდას ემსახურება. დახმარება მოდის მხოლოდ მაშინ, როდესაც მთებივით აზვირთულ სიძნელეებს თვალს აარიდებ და მას ღმერთს მიაპყრობ. შეხედე მას, რომელმაც თავისი ძე ჩვენთა ცოდვათა გამო მისცა. შეხედე მას, რომელმაც გვიპოვა, მხრებზე შეგვისვა და მამის სახლში დაგვაბრუნა. შეხედე მას, რომელიც მრავალი ჭირისა და სირთულის გზით, წინ ათღქმული მიწისაკენ მიგვიძღვის.

ჩვენ კურთხეული მოწოდებისადმი გავხსნით გულს: აქაა თქვენი ღმერთი! ამ სიტყვებს ჩვენს გონებაში სივრცეს დავუთმობთ და რწმენის თვალით შევხედავთ ღმერთს, რომლისთვისაც არაფერია შეუძლებელი.

16 ოქტომბერი

განა დაივიწყებს ქალი თავის ძუძუმწოვარ შვილს; განა არ შეიბრალებს ძეს თავის მუცლისას? იმათ რომც დაგივიწყონ, მე არ დაგივიწყებ! აჰა, ხელის გულებზე ამოგტვიფრე.

ესაია 49:15-16

მაცდუნებელი აზრი იმისა, რომ ღმერთმა მიგატოვა, მუდმივად გხვდება გზად. ის მოდის მაშინ, როდესაც გაჭირვების ჟამს ილოცე და ღმერთი არ ჩაერია ნალოც საკითხში. ის მოდის მაშინ, როდესაც წარსულის ცოდვები გონების თვალიდან არ გცილდება. ის მოდის მაშინ, როდესაც გამარჯვებისთვის ილოცე, მაგრამ სანაცვლოდ, ისევ ცოდვისგან მიყენებული ჭრილობები შეგრჩა ხელში.

იესო გეუბნება: „არ დაგივიწყებ!“ და მას მიზეზი მოჰყავს, თუ რატომ არ დაგივიწყებს: მან ხელის გულებზე ამოგიტვიფრა. სიტყვა ამოტვიფრა, იგივეა რაც წარწერის გაკეთება. სახელი შენი ისეა დაწერილი, რომ ადვილად არ წაიშლება.

ამ სიტყვებს ისე ვერ წაიკითხავ, რომ არ გაიხსენო ნალუსმევი. როცა ასე მოქმედებ, გულით ხვდები, რომ ჯვარზე მილურსმულმა იესომ იტვირთა შენი ვალები და მისი ხელის გულებზე შენი სახელი ამოიტვიფრა.

თომასა და იესოს შეხვედრიდან ვიცით, რომ მას კვლავ აქვს ხელზე ნალურსმევი. მისმა აღდგომამ ის არ შეცვალა. განა არის სხვა ადგილი გარდა იესოს გულისა, სადაც შენი სახელი გინდა რომ ეწეროს? იცოდე, რომ იქ ხარ შენ. ის შენ გულით, მარადიული სიყვარულით გატარებს.

ეს სიყვარული უბრალო სიტყვები როდია. მისი განმსჭვალული ხელები, შენდამი სიყვარულის დასტურია. მას შენ უნდოდი და საამისოდ სიყვარულის მსხვერპლი გაიღო. ეს რწმენით მოხდა, გოლგოთაზე აღსრულებული მადლის საქმით.

თუ იესოს მიერ გაღებულ საფასურს ცნობ, ყველა კითხვა არსებობას შეწყვეტს. იესოს სისხლმდინარე გული შენს გულს ეტყვის, რომ დავიწყებული არ ხარ. პირიქით, შენ ისეთი აღმატებული და ღრმა სიყვარულით ხარ შეყვარებული, რომელსაც ბოლომდე ვერასოდეს ჩაწვდები.

ღმერთი ყოველთვის არ გრთავს ნებას გაცოდინოს, თუ რატომ გატარებს ამ გზებით. თუმცა მას არ სურს, რომ ეჭვით იცხოვრო: თითქო მან დაგივიწყა. მან თავის ხელის გულებზე ამოგიტვიფრა. დღეს იქაა შენი სახელი. ის იქ რჩება, როდესაც ძნელბედობის ჟამს გადიხარ. ის იქ იქნება, როდესაც უფლის სასამართლოზე წარდგები. იცოდე, შენ უფლისგან დავიწყებული არ ხარ.

17 ოქტომბერი

რომელშიც გვაქვს გამოსყიდვა და ცოდვების მიტევება.

კოლასელთა 1:14

იცი როგორია გამოსყიდვისადმი ლტოლვა? განა ყველამ არ ვიცით რაა ის? ჩვენ ვილტვით თავისუფლებისაკენ, რომ ყველა ბორკილი ახსნილი იქნას.

ვიღაცა სიმდიდრისადმი ილტვის. მრავალი ცდილობს ფინანსურ შეზღუდულობას თავი დააღწიოს, რომ ის აკეთონ, რაც სურთ. ზოგიერთი კავშირს წყვეტს ოჯახთან, მეგობრებთან და სანაცნობოსთან, ვინაიდან არავისთან ვალდებულებაში ყოფნა არ სურთ. განა არის ვინმე, რომელსაც ავადმყოფობისაგან და ტანჯვისგან თავის დაღწევა არ სურდეს?

გამოსყიდვისადმი მხოლოდ ერთი გზაა. საჭიროა არა მხოლოდ ცოდვათა შედეგებისაგან თავის დახსნა, არამედ თავად ცოდვისგან. ამის გაკეთება მხოლოდ იესოს შეუძლია. მას შეუძლია ნებისმიერი ცოდვის ტყვე, თავისუფლებაში მოიყვანოს.

იესო იმ სახის ადამიანებად არ გვაქცევს, რომელიც გარეგნულად ძლიერად გამოიყურება. ის ჩვენს შინაგანზე იჩენს მზრუნველობას, ხელახლა გვშობს და ახალ გულს გვაძლევს.

ეს ყველაფერი მაშინ იწყება, როდესაც იესოს რწმენას იწყებ. ამის შემდეგ ღმერთი გაძლევს ძალას და უფლებას ყოველივე მოიპოვო, რაც მან თავის სიტყვაში აღგითქვა.

თუ მრავალი წინაღობის გამო თავი შებორკილად მიგაჩნია, იცოდე, იესოს მიერ ყოველი საკვრელისაგან თავისუფალი ხარ. იყო თავისუფალი იესოს მიერ ნიშნავს, ყოველივე იმისგან იყო თავისუფალი, რისგანაც თავადაა თავისუფალი. ის იმ რჯულიდანაც არის თავისუფალი, რისგანაც შენ გაგანთავისუფლა. ის თავისუფალია სიკვდილიდან და სასამართლოდან და ამიტომაც ხარ შენც მისგან დახსნილი.

თუ გადარჩენილი ცოდვილი ხარ, შეგიძლია შენს გულს უთხრა: იესო არაფრით იყო შებორკილი, გარდა ღვთის სიყვარულითა და მისი ნებით. მან მთელი მისი სიმდიდრე მომცა. რაც მას ეკუთვნის, ჩემიც გახადა. მე ნამდვილად თავისუფალი ვარ. ტანჯვა და აჩრდილნი ცოდვისა, რომელსაც მუდმივად ვხვდები, მხოლოდ დროებითი მოვლენაა. სულ მალე გამოსყიდული და თავისუფალი, ღმერთის ტახტის წინაშე განვაგრძობ ცხოვრებას, სადაც მარადიულად მას დიდებისა და მადლიერების საგალობლებს ვუგალობებ.

მასში ჩვენ გამოსყიდვა გვაქვს.

18 ივნისი

აჰა, მოგეცი შენს წინაშე ღია კარი, რომლის დაკეტვაც არავის ძალუძს.
გამოცხადება 3:8

ღვთის სიტყვა დროდადრო ჩვენი ფიქრების საწინააღმდეგოს გველაპარაკება.

ფილადელფიის საკრებულოს სიტუაცია ნამდვილად რთული იყო. ისინი რიცხობრივად მცირედნი იყვნენ. ქალაქის უმრავლესობა წარმართი იყო და ეკლესია იუდაელთა მძიმე წნეხის ქვეშ ცხოვრობდა.

მიუხედავად ამისა, იესომ მათ წინაშე ღია კარი დადო.

როგორია შენი მდგომარეობა? დაკეტილი კარის წინაშე ხომ არ დგახარ? ნაბიჯ-ნაბიჯ ისე ხომ არ ხდება, რომ აღარ იცი რა აკეთო?

ისმინე იესოს სიტყვები, „აჰა, მოგეცი შენს წინაშე ღია კარი, რომლის დაკეტვაც არავის ძალუძს.“ ვიდრე ჩვენ ღია კარის ძიებაში ვართ, იესომ უკვე ღია კარის წინაშე დაგვაყენა. რა სახის ღია კარია ის?

უპირველეს ყოვლისა ის ღვთის ღია გულის კარია. იესომ ჩვენთვის ეს კარი გახსნა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ჩვენზე მოსასვლელი წყევლით თავად გინგმირა. იესოს უკან კი ღმერთი იდგა. მან ერთადერთი პირმშო მოგვცა, რათა მისი გულის კეთილგანწყობაში ეჭვი არ შეიტანო. უნდა იცოდე, რომ რაც არ უნდა შეგემთხვეს, ღვთის სიყვარულში შესასვლელი გზა მუდამ ღიაა.

მეორე ის, რომ მაშინ, როდესაც ყველა კარი დარაზული გეგონა, ღმერთი დროდადრო ინტერვენციას ანხორციელებდა. ეს კი ხშირად, შენი სურვილის საწინააღმდეგოდ, მოგვიანებით ხდებოდა. თუმცა ყოველთვის დროული იყო.

უფალი გვიცნობს ჩვენ. მან იცის ჩვენს სიკეთეს რა მოემსახურება. ის ჩვენს წინამძღოლობაში არასოდეს არ უშვებს შეცდომას.

მისი სურვილია თავისი სიტყვის რწმენა გვასწავლოს. მან შენს წინაშე ღია კარი დადო, მიუხედავად იმისა თუნდაც მას ვერ ხედავდე. შენთვის გზა არის ხსნილი, თუმც ვერ პოულობდე მას. ღმერთი კი თავის დროზე და თავისი გზით აუცილებლად ჩაერევა და მოახდენს ინტერვენციას.

ერთ დღეს წარსულს მოავლებ თვალს და მაშინ დაინახავ, როგორ გამართა ღმერთმა დაგრეხილი გზები და გაოცებული იტყვი: უფალო, შენ მომიქციე სასიკეთოდ ყოველივე.

19 ივნისი

უთხრა მათ იესომ: შვილებო არაფერი გაქვთ საჭმელი?
იოანე 21:5

უცნაურად ჩანს, რომ მიწაზე მდგომმა იესომ, ტიბერიის ზღვაში მყოფთ კითხვით მიმართა. ხშირად იყო, რომ მკვდრეთით აღმდგარი იესო მის მოწაფეებს ხილული სახით ეცხადებოდა. ნუთუ ხორციელ პურზე მეტად მათ არაფერი არ ესაჭიროვებოდათ?

იესოსთვის უმნიშვნელო საკითხი არ იყო ეს და მისი სურვილია, თავის მეგობრებს ამის შესახებ უთხრას. მისი სურვილია მათ იცოდნენ, რომ აღმდგარი და განდიდებული მაცხოვარი, ჩვენს ყოველდღიურ საჭიროებებზეც ზრუნავს. ეს მხოლოდ მაშინ არ იყო, როდესაც ის მიწაზე დადიოდა, წყალს ღვინოდ აქცევდა და უდაბნოში ათასობით ხალხს აპურებდა. იესო დღესაც იგივეა.

ყოველდღიური საზრუნავის გამო, არა მცირე ქრისტიანი იტანჯება. მათ ეჭვი არ ეპარებათ, რომ იესომ ისინი იხსნა და ღვთის წინაშე ისაა მათი შუამდგომელი. მაგრამ უჭირთ იმის დაჯერება, რომ იესო მათი ყოველდღიური პურის შესახებაც ზრუნავს.

მოწაფეებმა ის უთხრეს, რისი თქმაც იესოსადმი შენც გმართებს. იმ ღამეს თევზი საერთოდ ვერ დაიჭირეს. მაშინ იესომ მათ უბრძანა, ბადე ნავიდან მარჯვნივ გადაეგდოთ. მაშინ მათ, 153 დიდი თევზის დაჭერა შეძლეს.

უფალს შენი დახმარება სურს, შენ კიდევ შეგიძლია მას მიენდო. ტიბერიის ზღვის ეს გამოცდილება, მოწაფეთათვის სამომავლოდ უთუოდ კარგი გაკვეთილი იყო. თუმცა ეს არ იყო უკანასკნელი სიძნელე, რაც მათ გაიარეს.

შენ გჭირდება, ღვთის სიტყვას კვლავ და კვლავ მიუბრუნდე. უფალი შენს ყოველდღიურ საჭიროებაზე ზრუნავს. ის არ დაუშვებს, რომ მშიერმა იარო. შესაძლოა, მისი სურვილია, ჩვეულზე ნაკლებით თავის გატანა გასწავლოს, მაგრამ ის არასოდეს არ მიგატოვებთ.

153 დიდი თევზი ნამდვილად არ იყო მცირე ნადავლი. ზოგი ჭამეს, ზოგიც გაყიდეს. ამ გზით მათ თანხაც გაუჩნდათ, რომ დღე გაეტანათ. შემდგომ ამისა, იესო კვლავ დაეხმარებოდა მათ და ასე გაგრძელდებოდა მთელი მათი დარჩენილი ცხოვრება.

ასე იქნება შენს ცხოვრებაშიც. გაანდე შენი ცხოვრების სვლა იესოს. მიენდე მას. ელოდე მის ჩარევას. შესაძლოა შენი ლოდინი დაუშვას, მაგრამ შეუძლებელია, რომ გიღალატოს. მას მისი შვილები, უპატრონოდ არასოდეს დაუტოვებია.

20 ივნისი

მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. წუთისოფელი რომ იძლევა მე ისე არ გაძლევთ. ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება.

იოანე 14:27

უამრავი ადამიანი იესოს იმას თხოვდა, რასაც ქვეყნიერება იძლევა, მაგრამ ის ამას არ აკეთებდა.

ერთხელ ერთი კაცი მოვიდა მასთან. მას ქონებრივი დავის გადაჭრა სურდა. უფალმა მას დახმარება აღმოუჩინა, ოღონდ მისი მოლოდინიდან განსხვავებული. იესომ მას უგუნური მდიდრის იგავი მოუთხრო (ლუკ. 12:13-21).

რასაც ქვეყნიერება იძლევა, იესო იმასვე არ იძლევა. ქვეყნიერება ისე არაფერს მოგცემს, ვიდრე შენგან საფასურს არ აიღებს. საფასური დიდია, რადგან მასაც შენი გული უნდა. ღმერთის სიტყვა ამბობს: „გამდიდრების მსურველნი კი ცვივიან განსაცდელსა და მახეში, ასევე მრავალ ბრიყვულ და მავნე გულისთქმაში, რომლებიც გასანადგურებლად და დასაღუპავად ითრევენ ადამიანს“ (1ტიმ. 6:9).

ღმერთს არასოდეს თხოვო ქვევით სვლაში დაგეხმაროს, რომელიც მარადიული წარწყმენდისაკენ მიემართება. მაგრამ შენ უნდა თხოვო ის, რაც ძველი კაცის საამებლად არ იქნება, ის რასაც ქვეყნიერება იძლევა.

რაც იესომ დატოვა, ყველაფერზე აღმატებულია. სხვა სიტყვებით ეს მისი მშვიდობაა.

უპირველეს ყოვლისა, ეს ღმერთთან მშვიდობაა. იესომ იტვირთა ჩვენი ცოდვა და ცოდვის საზღაური თავის თავზე იმწვნია. სასჯელი ჩვენი მშვიდობისათვის მასზე მოვიდა და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ.

კურთხეულია ნებისმიერი საბრალო ცოდვილი, რომელიც ღმერთთან მშვიდობას იესოს რწმენით, დაუმსახურებელი მადლით ღებულობს. რის შედეგადაც, ვერანაირი ცოდვა ვერ დააბრკოლებს ჩვენსა და ღმერთის ურთიერთობას. უკვე აღარაა მსჯავრდადება. არის მხოლოდ იესოს მოცემული მშვიდობა.

იესო თავისი ცხოვრებისას, წუთისოფლის საგნებისადმი დამოკიდებულებისაგან სრულიად თავისუფალი იყო. ის ნამდვილი ადამიანური ცხოვრებით ცხოვრობდა და ღვთისგან მიღებული ნიჭებისათვის მადლიერი იყო. ის მხოლოდ ღვთით და მისი ნიჭებით იყო გარემოცული.

რწმენის მეშვეობით, წუთისოფელთან შენი დამოკიდებულების ყოველი არტახი იხსნება. ცხოვრება შენი, შენს საკუთრებაზე დამოკიდებული აღარ არის. უკვე ზეცაში გყავს მამა, რომელიც მარადიულ მზრუნველობას იღებს შენზე. შენ კი უფლება გეძლევა, ბავშვური ნდობით მასში ნეტარება ჰპოვო.

იესოს რწმენით, ზეცასა და მიწაზე მშვიდობა გეძლევა. ესაა იესოს შენდამი მოცემული ნიჭი. ნუ დააყოვნებ და დღესვე მიიღე ის!

21 ივნისი

იესო ქრისტე.., რომელმაც საკუთარი სისხლით გვიხსნა ჩვენი ცოდვებისაგან.

გამოცხადება 1:5

ძნელია ფუნდამენტური საკითხების შენარჩუნება. გონება ვერ ხვდება, თუ რაა არსებითად მნიშვნელოვანი. მაგრამ გულს შეუძლია მისი რწმენა. ხოლო გული რწმენას სმენით ღებულობს. ღვთის სიტყვა კი კვლავ და კვლავ გვეუბნება, რომ შენ იესოს სისხლის მიერ ცოდვებისაგან იქენი დახსნილი.

შესაძლოა სხვისთვის შესამჩნევ ცოდვებზე გამარჯვება მოიპოვე, მაგრამ შინაგან დაფარულ ცოდვებს შენ ვერ ძლევ. ამპარტავნობა მუდმივად იჩენს თავს. შენი სურვილია რაღაცას წარმოადგენდე და საკუთარი თავი დაიცვა. შენი მდგომარეობა ერთი ნორვეგიელი პოეტის სიტყვებს შეესაბამება:

„ვტირი და ვკვნესი, რადგან არ ვიცი მომავალმა რა გამიმზადა.
ზეცის მეორე სანაპიროს თუ გავალ ნეტა?“

ეს შესაძლებელია თუ ღვთის სიტყვას ყურს მიუგდებ! ის ამბობს, რომ ცოდვებისაგან, რისგანაც თავად არ შეგეძლო თავის დახსნა, მის მიერ ხარ გამოხსნილი. უკვე ძლიე მის მტანჯველ ძალას და ეს, იესოს სისხლით მოხდა. ამიტომ ჩადენილ ცოდვას თუ პირად განცდას, აღარ შეუძლია ამ სახარების შეცვლა.

განცდის დონეზე არ მომხდარა შენი განთავისუფლება. შენ იმ დონეზე ხარ თავისუფალი, რა დონეზეც იესოს დაღვრილ სისხლს შეუძლია მიღწევა. კრავის სისხლი კი ნებისმიერ წვრილმან ცოდვამდე აღწევს. როცა ცოდვიდან თავისუფლდები, მასზე ფიქრს თავიდან იშორებ. ნაცვლად ამისა, თვალთა ხედვა გამომსყიდველსა და განმანთავისუფლებელზე გადაგაგ. აუცილებელია რწმენით მიიღო შენი თავისუფლებისათვის იესოს მიერ გაღებული საფასური. ვერცხლმა და ოქრომ ვერ შეძლო ამის გაკეთება. ვერაფერმა სხვამ, გარდა ძის მიერ დაღვრილი სისხლისა.

შენი ბუნებრივი ძალებით ეს არ შეგეძლო, მაგრამ იესოს სისხლი ჯერ კიდევ მანამდე იყო გაღებული შენს დასახსნელად, ვიდრე ნათელს ამა ქვეყნისას იხილავდი. ხოლო იესოს რწმენის მეშვეობით, ამ გამოსყიდვის სრული სისავსე შენი გახდა.

ზეცაში იმაზე მეტად არ იქნები ცოდვისგან დახსნილი, ვიდრე აქ, რწმენით დედამიწაზე. ღმერთმა უკვე აღარ იცის შენს მიერ ჩადენილი ცოდვა, რადგან მადლის ზღვის სიღრმეში მოისროლა.

შეიძლება დამნაშავედ გრძნობ საკუთარ თავს, მაგრამ ეს ასე არაა. შენ თავისუფალი ხარ. ბორკილები დამსხვრეულია. იესომ გაგანთავისუფლა. ამიტომ შენ შეგიძლია იგალობო:

„გამარჯვება მაქვს მე საუკუნო,
რადგან უფალი ცხოვრობს ჩემში!“

22 ივლისი

„უფრთხილდით ცრუწინასწარმეტყველებს..“ „მათი ნაყოფით იცნობთ მათ.“

მათე 7:15-16

იესო თავის მოწაფეებს ელაპარაკებოდა, როდესაც ცრუწინასწარმეტყველებზე აფრთხილებდა. ისინი არა მარტო ურწმუნოთათვის, აგრეთვე მორწმუნეთათვისაც საშიშნი არიან. ქრისტიანის ძველი ბუნება ამ დროს ახალ და განსხვავებულ უწყებას იღებს.

ჩვენი ბუნებრივი მე, ქრისტეს ჯვრის ქადაგებით ადვილად იღლება. ფაქტში, რომ იესო ცოდვილთა მხსნელი და გამომსყიდველია, არაფერია ახალი. ის ხშირადაა ნათქვამი და მოსმენილი.

ამიტომ ბევრი ფიქრობს, რომ ამის მონოტორულად მოსმენა მოსაწყენია. თუ ვინმე რაიმე ახლით და ჯერ არსმენილით მოდის, ცნობისმოყვარეობა ეგრეევე თავს იჩენს. მრავლის აზრით სულიერ სტაგნაციას განვიცდით. ისინი ახალი საწყისის მოლოდინში არიან. ამიტომაც ისინი ნებისმიერი ახლისადმი არიან სრულიად გახსნილი. მათი მუდმივი კითხვაა: სად არის სულიერი განახლების გზა?

მრავალს ვისაც ასეთი მიდგომა აქვს, უკვე სიცოცხლის მიმცემი სახარების გზიდან გადაუხვიეს. ინტელექტუალურ დონეზე ისინი კვლავ ეჭიდებიან, მაგრამ ეს უკვე აღარაა სიცოცხლის პური.

იესო ამბობს, რომ წრუწინასწარმეტყველებს მათი ნაყოფით იცნობთ. შეხედულებით ვერ განარჩევთ მათ. ვერც იმით, რასაც ისინი თავის თავზე ამბობენ. არა, ისინი ნაყოფით უნდა იქნან გამოცნობილნი.

ჭეშმარიტი მოწაფე ცოდვილებს იესოსკენ მიუძღვის, რათა მათ ცოდვათა მიტევება და ღვთის კეთილგანწყობა მიიღონ. ჭეშმარიტი მოწაფე არასოდეს შეწყვეტს იესოს სისხლის ამაღლებას. ის მუდამ ქადაგებს იესოს, როგორც ღვთის დაკლულ კრავს.

ამ დროს ცოდვის სერიოზულობა მჟღავნდება. დაბრკოლების გარეშე არცერთ ქრისტიანს არ უწევს ცხოვრება. სადაც იესო შედის, ის ადგილი ცოდვამ უნდა დატოვოს. ღვთის მადლი გვასწავლის უღვთოობაზე და წუთისოფლის ვნებებზე ვთქვათ „არა.“

ჭეშმარიტი წინასწარმეტყველები იესოს ნაკვალევს მიყვებიან. ნაყოფი მათი მსახურებისა ცოდვილთა ხსნაა, რაც უფალს განადიდებს. ისინი არ იღლებიან იმ საფასურის შესახებ საუბრით, რაც მათი დახსნა დაჯდა. ისინი კვლავ და კვლავ ქადაგებენ რომ ქრისტეს საქმე აღსრულებულია. მათი გადაწყვეტილებაა იცნობდნენ მხოლოდ იესოს და ისიც ჯვარცმულს.

ცრუწინასწარმეტყველები ანემიურ სახარებას ქადაგებენ. გარდა დაკარგული ადამიანების ცოდვისა და მადლისა, ისინი ყველა საკითხს ეხებიან. უფრთხილდით მათ!

23 ივლისი

მე რჯულის მეშვეობით მოვკვდი რჯულისათვის, რათა ღვთისათვის ვიცოცხლო.

გალატელთა 2:19

სიცოცხლე არ მოკვდება. არც ჟინი ცხოვრებისა. ის გადარჩენას ყოველმხრივ შეეცდება.

სიტყვებით გამოხატული ღვთის რჯული, ღვთიური სიწმინდეა. რჯულმა ლიმიტი არ იცის. ის ყველაფერს ითხოვს. თუ ერთ მცნებას შესცოდე, ყველაში დამნაშავე ხარ.

შენს ძველ კაცს რჯულის ეშინია. ის მუდმივად ცდილობს არაპირდაპირი იყოს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ღვთის სული სიტყვას ნათელს ჰფენს, შეუძლებელია რჯულს აერიდო. ამ დროს ღვთის წინაშე მხილებული ხდები. ბაგე გიდუმდება და თავის დაცვას ვერ ახერხებ.

ცოდვათა სიმრავლე როდი გდებს მსჯავრს მხოლოდ ცოცხალი ღმერთის სახის წინაშე. არა, ამ დროს იმასაც აცნობიერებ, რომ შენი საუკეთესო ნამოქმედარიც კი სიბილწეა მის წინაშე. ყველაფერს რასაც აკეთებ, შენით აკეთებ. თვით ღვთიურ საკითხებსა და საუკეთესო საგნებსაც კი იყენებ, რომ საკუთარი თავი აამაღლო. ცდილობ სხვებმა შეგამჩნიონ. და თუ არავინ არ მოგაქცევს ყურადღებას, თავად კავდები საკუთარი თავის ყურადღებით.

უფსკრული ბიწიერებისა ღრმაა. ღვთის სული შენი გულის შემუსვრას იწყებს, როგორც კი ამ ბიწიერებას გაგიმჟღავნებს.

თუ შენი ქრისტიანობით ცდილობ გადარჩენას, საუკუნოდ იქნები დაკარგული. ეს არა მხოლოდ მარცხია, არამედ მიზანზე სრული აცდენა.

როდესაც ამას ხვდები, აღარაფერი გრჩება საიმედო. იმაზე მეტად დაკარგული ხდები, ვიდრე ოდესმე. არაფერი გრჩება გარდა იმისა, რომ ცოდვა შენი ღვთის წინაშე მიიტანო. ყველაფერი რის მიღწევასაც ცდილობდი, შენ წინააღმდეგ იმართება.

საშინელება ისაა, რომ რჯული თავისით მართალია. იმაზე მეტად დაღუპული ვერვინ იქნება, როგორიც შენ ხარ. ყოველი შენი საქციელი, საუკეთესონიც კი, ჯოჯოხეთის ბრალდებით გასამართლებენ.

როდესაც ღმერთი რჯულის მეშვეობით ამ დონეზე გმუსრავს, შენში ბადებს ასეთ კითხვას, „რა უნდა ვქნა, რომ გადავრჩე?“ ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ერთია, „ირწმუნე უფალი იესო და გადარჩები!“ ჩაეჭიდე გოლგოთიდან გამოწვდილ ხსნის ხელს!

24 ივნისი

ძმარი რომ იგემა, თქვა იესომ: „აღსრულდა!“ თავი დახარა და სული განუტევა.

იოანე 19:30

მან ხმა აღიმაღლა და თქვა, „აღსრულდა!“ ამაზე უკეთესი სიტყვა ჯერ არ თქმულა. მისი თქმა მას ეკუთვნუდა. შეუძლებელია მან იცრუოს. ამიერიდან შენი ვალია მის ამ თქმულზე დაფიქრდე.

ადამიანთაგან მრავალს უთქვია დიდი და ძლიერი სიტყვები. მათი გამოთქმები ხსნის სხვადასხვა გზებთან იყო კავშირში. მათ გამო მილიონობით ადამიანმა განიცადა სასოწარკვეთა და სიმწარე, ხოლო მრავალი უკანასკნელ ჟამს მიეცემა იგივე განცდას, რადგან ჭეშმარიტება მათთვის გაცხადდება. მაშინ უამრავი გააცნობიერებს, რომ აქამდე ისინი ცრუწინასწარმეტყველებს მიჰყვებოდნენ.

იესომ დაამტკიცა, რომ ის ძე ღვთისაა. ის მან მაშინ მოიმოქმედა, როდესაც მკვდრეთით აღდგა. მისი ნათქვამია, „აღსრულდა!“ ეს სიტყვა იესოს დროს ყველა მაცხოვრებელ ადამიანს ეთქვა, მებაჟე იყო ის თუ ცოდვილი, ფარისეველი თუ მწიგნობარი. დიახ, ის შენც გეხება — და ყველას შენს ირგვლივ მყოფს. არავინაა გამონაკლისი. მნიშვნელობა არა აქვს ცხოვრებაში რას განიცდი, ან რაოდენ უღირსად მიგაჩნია თავი.

იესომ თქვა, „აღსრულდა!“ მისი ეს ნათქვამი მთელი ცხოვრება თანგდევს; ის მსჯავრად გექცევა თუ ამ დიდებულ ხსნას უგულებელყოფ.

რა აღსრულდა?

ყველაფერი რაც შენს ხსნას ემსახურება. შენი ხსნა აღსრულდა. ის აღსრულებულია და შენია, თუ მას რწმენით მიიღებ.

როგორ შეძლო იესომ, რომ ეს კურთხეული სიტყვა წარმოეთქვა?

მან ეს შეძლო, ვინაიდან მან ჯვრის ძელზე თავისი წმიდა და ძვირფასი სისხლით შენთვის საფასური გადაიხადა. მოცემული ფასი ღვთისათვის საკმარი იყო. ახლა უკვე თამამად შეგიძლია სასამართლოზე წარდგომა. თუ შენს გადარჩენას ამ აღსრულებულ საქმეზე დააშენებ, მაშინ ცხოვრების კლდოვან საფუძველს შეიძენ. დამატება აღარაა საჭირო. იესოს ხელზე ნალუსმევი გეუბნება, რომ შენ ნაყიდი ხარ და შენს გამო ფასია გადახდილი. ეს ყველაფერი უკვე აღსრულდა!

25 ივნისი

მაგრამ მოწაფეები რომ შემოეხვივნენ გარს, წამოდგა და ქალაქში შევიდა.

საქმე 14:20

ქალაქ ლისტრაში პავლეს ჰერმესი უწოდეს. მაგრამ, როცა არ ისურვა თაყვანისცემის მიღება, უკვე ძნელი აღარ გახდა იუდეველთათვის ხალხი მის გადევნაზე დაერწმუნებიათ. ამიტომ ჩაიქოლა ის სწორედ იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ცოტა ხნის უკან მას ღმერთად მიიჩნევდა. ბრბოში სტაბილურობა არ არსებობს. ერთ მომენტში ბრბო „ოსანას“ გაჰყვიროდა, ხოლო მეორეში „ჯვარს აცვი.“

პავლე ქალაქ გარეთ გაათრიეს, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ მკვდარი იყო. მაგრამ ეს ასე არ იყო.

რას ფიქრობ, გონს მოსულმა პავლემ რა განიცადა მაშინ? ის ქრისტიანებით იყო გარემოცული. დარწმუნებული იყავი, მრავალი იქ მყოფი ლოცვაში იყო.

როცა პავლე გონებას კარგავდა, ზიზღით აღსავსე თვალები მიშტერებოდა მას. როცა გონს მოეგო, სიყვარულით აღსავსე თვალები შეეგება.

სიტუაციის ცვლა უცნობი რამ არ არის. მრავალ ქრისტიანს განუცდია იგივე. მათზე სხვადასხვა თავდასხმა მოსულა. ზოგჯერ გონებიათ, რომ ყველაფერი დამთავრდა. თუმცა მარტონი არ დარჩენილან. მეგობრები გაერთიანებულა მათ ირგვლივ. ეს ის ხალხი შეიკრიბა მის ირგვლივ, რომელთაც ჯეროდათ, რომ როცა ყველა კარი დარაზულია, ლოცვისათვის მაინც რჩება ღია კარი.

ორი მიზეზია იმისა თუ რატომ წამოდგა პავლე და გამხნევებული შევიდა ქალაქში. მთავარი მიზეზი ისაა, რომ ღმერთი ლოცვას ისმენს. შუამდგომლობა ღვთის ძალას გზას უხსნის. როცა პავლე ჩაიქოლა, მას საკუთარი თავისათვის აღარ შეეძლო ლოცვა. მაგრამ იქ იყო სხვა, რომელსაც ამის გაკეთება შეეძლო. ღმერთი კი ლოცვას ისმენს.

მოწაფეთა ზრუნვა მეორე მიზეზია თუ პავლემ, რატომ მიიღო განახლებული ძალა. ჩვენ ძალას გვმატებს იმის ცოდნა, რომ გვერდში მყოფების მიერ არ ვიქენით მიტოვებული.

მოდით ერთმანეთისათვის ვიშუამდგომლოთ! სნეულისა და განსაცდელში ჩავარდნილის ირგვლივ ლოცვისათვის გარსშემოვიკრიბოთ. ღმერთი დღესაც სასწაულების ღმერთია. ღვთის მრავალ შვილს შეუძლია ამის დამოწმება.

არსებობენ ისეთი ქრისტიანი ძმები და დები, რომელნიც თავს დამარცხებულად მიიჩნევენ. მოდით ერთად წარვუდგინოთ ისინი უფალს. დაე, ღვთის კურთხევა ერთად გადმოვიდეს, მათზე და ჩვენზე.

26 ივნისი

...და დაიცვეს შენი სიტყვა.

იოანე 17:6

ძნელი არაა იესოს მოწაფეებზე დაკვირვების განხორციელება. მათი ცხოვრებაც ცოდვის მიერ იყო დადაღული. თუმცა მათ ყველაფერი დატოვეს და გაჰყვნენ იესოს. მათ მასთან ერთად გაიარეს ყოველი სიძნელე. მათ მის ნაკვალებზე სიარულისას მრავალი მსხვერპლის გაღება მოუწიათ. როგორც ვიცით ზოგ მათგანს საკუთარი რწმენის დამოწმება, სისხლის ფასად დაუჯდა.

თუმცა ეს ყველაფერი არაა, რაზეც იესომ თავისი მღვდელმთავრული ლოცვის დროს ყურადღება გაამახვილა. ის ამბობს: მოწაფეებმა დაიცვეს ღვთის სიტყვა. ქრისტიანებს ამაზე მეტად ღვთისადმი პატივის მიგება არ შეუძლიათ. ის ვინც ღვთის სიტყვას იცავს, მას სჯერავს მისი. ის ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ როცა ღმერთი რაღაცას ამბობს, ის ჭეშმარიტებას მოიცავს. არავის და არაფერს არ შეუძლია ამ სიტყვის განადგურება. მას ეკუთვნის მთელი ხელმწიფება ცაში და დედამიწაზე. მან არ შეიძლება იცრუოს და მისი სიტყვა მტკიცედ დგას.

იესოს სწავლების მეშვეობით სიტყვა მოწაფეთა გულებში ჩაინერგა. მათ ის მის მეგობრებს გადასცა, რომ ცხოვრების მტკიცე საფუძველი ჰქონოდათ. აღმდგარმა მხსნელმა თაობებიდან თაობებში იგივე გააკეთა.

ბევრი რამ არ არის შენს ცხოვრებაში, რაც მტკიცედ დგას? ერთი რამ კი: ღვთის სიტყვა. ძნელბედობის, გამოცდის და ბრძოლის ჟამს უფალი კვლავ მიგვითითებს ამ მტკიცე საფუძველზე. მაშინ, როდესაც მისი სიბრძნით ზღვის სიღრმეებში შეჰყავხარ, ყველა საჭირო საგნით უზრუნველგყოფს. მნიშვნელობა არ აქვს ცხოვრების გზაზე რაოდენ ჩამობნელდა, ჩვენთვის მაინც არსებობს ნათლის ბრწყინვალება. შეუძლებელია ამის ჩახშობა. ეს სიტყვის ნათელია. შეიძლება ფიქრობ, რომ ის ჩაქრა და სიტყვამ აღარ მოქმედებს შენთვის, მაგრამ ამ დროს ცდები. არ არსებობს სიტუაცია, სადაც ღვთის სიტყვა არ იდგეს მტკიცედ.

როდესაც სიტყვა პირველად სცანით, გადარჩით. ამის შემდეგ კრავის სისხლით იქენით ყოველი ცოდვისაგან განწმენდილნი.

ქრისტიანულ ცხოვრებაშიც იგივეა. მანამ ვიდრე ღვთის სიტყვას ეჭიდებით, შეუძლებელია დაიღუპოთ. იესო ირწმუნება შენზე და ამბობს, „რადგან შემიყვარა, ვიხსნი მას; დავიცავ მას, რადგან ცნო ჩემი სახელი“ (ფსალმ. 91:14).

27 ივნისი

მითხრა: „არ გაკმარებ ჩემს სამსახურს იაკობის ტომთა აღსადგენად და ისრაელის ნატამალის დასაბრუნებლად, ერების სინათლედ განგაწესებ, რათა დედამიწის კიდეებს მისწვდეს ჩემმიერი ხსნა.“

ესაია 49:6

ეს მისი ძისადმი ნათქვამი ღმერთის სიტყვაა.

იესოს იაკობის ტომები უნდა აღედგინა. რჯულმა ეს ვერ შეძლო. კეთილი საქმეების გზებმა დანიშნულებამდე ვერ მიიყვანა. შემცვლელის, მხსნელის და გამომსყიდველის გარეშე ისრაელში ვერავინ ვერ გადარჩება.

ღმერთმა თავისი ძე თავის ერში გამოაგზავნა. სახარება ჯერ იუდაელებს ეკუთვნის, რაც დღესაც ძალაში რჩება. გაოცებითა და სიხარულით ჩვენ ვიხილავთ უფლის ტომთა აღდგენას. მთელ ისრაელში უამრავი მესიის მორწმუნეთა ჯგუფები იქმნება. უფალი მის ხალხს არ ივიწყებს.

თუმცა უფალი ამით არ კმაყოფილდება. ღმერთმა იესო წარმათთა ნათლად განაწესა. მთელ წუთისოფელში წარმართები რწმენაში მოქცევით გადარჩენას ღებულობენ.

ზოგან ბევრია, ზოგან ცოტა.

იესოსთვის მაინც მცირეა იმ მიღწეულთა რიცხვი. მისი ხსნა ქვეყნის კიდეებს უნდა მიწვდეს. ამრიგად ეჭვგარეშეა უფლის ნება და მიზანი.

კითხვა ისმის, ის რაც უფლისთვის ცოტაა, შენთვის თუ არის ცოტა? თუ სცანი ის ფაქტი, რომ ისე, როგორც სახარებამ მოგვაღწია, ასევე ეს გადარჩენა უნდა მიწვდეს მიწის კიდეებს და თუ არის ეს შენი ცხოვრების მთავარი მიზანი?თუ უფლისათვის რაღაც მცირეა, ჩვენთვისაც მცირე უნდა იყოს! არ შეიძლება იმ ფაქტით კმაყოფილება, რომ ჩვენ და გარკვეული რაოდენობის ჩვენი მეგობრები, ღვთის სამეფოს სწორ მხარეს ვიმყოფებით. აუცილებელია სახარებით წინსვლა. ჩვენ არ დავასრულებთ მისიონერულ საქმიანობას ვიდრე მთელი ქვეყნის კიდეებამდე არ მივალთ.

1000 წელზე მეტი ხნის წინ იყო ადამიანები, რომელთაც არ შეეძლოთ იმ ფაქტის შეგუება, რომ ჩვენ წარმართობის ბნელეთში ვცხოვრობდით — ღვთისა და ამ წუთისუფელში ყოველგარი იმედის გარეშე. ამის გამო მოვიდა ჩვენამდე გადარჩენა. რწმენა სიტყვის მოსმენით მოდის. როგორ იქნება მოსმენა შესაძლებელი, თუ საზღვარს არავინ გადაკვეთავს?

დღეს უფალი მოგვიწოდებს და გვგზავნის. არ შეიძლება ნეტარებას მივეცეთ, როდესაც წარმართები იხოცებიან. ღმერთი ნებას არ გვრთავს მიღწეულით დავკმაყოფილდეთ. ეს ძალზედ მცირეა. არ დავუშვათ მოდუნება. ჩვენ უნდა ვიაროთ წინ — თვით წუთისოფლის დასასრულამდე.

28 ივნისი

ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე — მართალი იესო ქრისტე.

1 იოანე 2:1

ზოგიერთები ცოდვას მსუბუქად ეკიდებიან. ცოდვათა პატიებას ასეთნი სამომავლოდ დებენ და ამიტომ ისინი წყალობას არასოდეს ითხოვენ. ჩადენილს მუდმივად ამართლებენ, ხოლო მათი სულიერი ცხოვრება დაუძლურებულია. მათ არ იციან ცოდვის სინანული. ან საერთოდ რატომ უნდა ჰქონდეს ასეთ ადამიანს სინანულის გრძნობა?

განა გასაკვირია, რომ ასეთ ადამიანს შუამდგომლის, იგივე ადვოკატის ყოლის საჭიროება არ გააჩნია?

ისინი თავის თავზე იღებენ სრულ მზრუნველობას.

ამის გამო მათ, იესოს სახარების და მისი გამოსყიდვის შესახებ მოსმენის სურვილი, საერთოდ არ გააჩნიათ.

შენთვის, ვინც ღმერთთან ნამდვილ ურთიერთობაში ცხოვრობ საქმე სულ სხვანაირადაა. კარგად გესმის შენს მიერ ჩადენილი ცოდვა მაცხოვარს რა დაუჯდა. ამიტომ შენთვის ცოდვა ყველაზე დიდი მტერია.

თუ არ შეწყვიტავ ლოცვას, რომ უფალი შეგეწიოს, მაშინ არ შესცოდავ მის წინაშე. დაფიქრდი ზეცაზე, სადაც არასოდეს მოგიწევს ცოდვიან გულისთქმებთან ჭიდილი.

ასევე ნათელია, როგორ ცდილობენ ცრუმოძღვარნი ცოდვის გარეშე ცხოვრების დაპირებას, რისი მეშვეობითაც გარკვეულ გავლენას ახდენენ შენზე. შენ კი არ გაჰყვე მათ, ვინაიდან ღვთის სიტყვა სულ სხვა რამეს ამბობს. ვიდრე მიწაზე ხარ ძველი ბუნების მეშვეობით ჯერ კიდევ ატარებ უკიდეგანო ბიწიერებას, რაც დროდადრო თავს იჩენს ხოლმე. მომხდარის გამო შიში გიპყრობს და კითხვას სვამ: რა ხდება ეს?

ღვთის სიტყვა შენ პასუხს გცემს. უფალთან შუამდგომელი გყავს. ის ამ პოზიციას არასოდეს დატოვებს.

ღმერთმა ეს საქმე დაავალა, რომ შენი სათხოვარი მან მოიტანოს და იესო ამ მოწოდებას დათანხმდა. ის შემსუბუქებულ მდგომარეობებზე, როდი ამახვილებს ყურადღებას. ცოდვა შენი ძველი მედან მოდის, სრულიად გარყვნილი ბუნებიდან. ამიტომ იესო შენკენ არაფერს მიუთითებს. ის თავის თავზე მიუთითებს, რადგან ისაა ყოველი შენი ცოდვის გამომსყიდველი მსხვერპლი. სწორედ მან შეგარიგა შენ მამასთან.

იესომ იტვირთა ყოველი შენი ცოდვა. როცა მან ეს თავის თავზე აიღო, მასზე მოვიდა სასჯელი ტანჯვის სახით. შენ არ საჭიროებ ცოდვის შედეგების ტარებას. მან ეს შენს მაგივრად გააკეთა, რის გამოც მადლი მოგენიჭა.

29 ივნისი

მე განვუცხადე მათ შენი სახელი და კვლავაც განვუცხადებ, რათა სიყვარული, რომლითაც შემიყვარე, მათშიც იყოს და მეც ვიყო მათში.

იოანე 17:26

ქრისტიანში, როგორ რჩება ღვთის სიყვარული? ეს მნიშვნელოვანი კითხვაა. ჩვენ ღვთის სიყვარული საკუთრებაში ფულის მსგავსად არ გვაქვს. ინფლაციამ შესაძლოა შეზღუდოს ჩვენი კაპიტალის ღირებულება. მაგრამ, როცა საჭიროება გვაქვს მისი გამოყენება შეგვიძლია.

ღვთის სიყვარულთან მიმართებაში ასე არაა. სიცოცხლე მუდმივ კვებას მოითხოვს, რომ სიკვდილი არ განიცადოს. ის შენში რჩება, როდესაც იესო ღვთის სახელს მოუწოდებს შენზე. ამის შემდეგ ის ღვთის შესახებ გასწავლის, რომ იცნობდე მას. ღვთის სახელის მნიშვნელობა შენს გულში ცოცხალი ხდება.

იესო უპირველესად თავისი სიტყვით ამ საკითხს გასწავლის. ღვთის სიტყვის კითხვა და მოსმენა ღმერთის შვილის ცხოვრებაში უმთავრესი საკითხია. თუ ასე არ იმოქმედებ, მისი სიყვარული გამოკვებილი არ იქნება და ცხოვრებაში სულიერ ზრდას ვერ განახორციელებ.

იესო თავისი წინამძღვრობით ღვთის სიტყვას გასწავლის. ის უშვებს, რომ სიბნელეში გაიარო, რათა ღვთის ნათელი შეიმეცნო. ის უშვებს, რომ ცხოვრების საფუძველი შეგერყას, რათა იცოდე, რომ უფალი კლდესავით შეურყეველია. ის იმასაც უშვებს, რომ ადამიანებმა ცივად მოგექცნენ, რათა ზეციურ მამასთან ეძიო ნამდვილი სითბო.

იესო ღმერთს იმის შესაბამისად გვიცხადებს, რა დონეზეც მის საჭიროებას გვრძნობთ. შენ მუდამ გჭირდება ის, მაგრამ ყოველთვის ამას ვერ ხვდები. ის შენი თვალის ამხელია, რათა მისი სახე იხილო.

ქრისტიანების უმრავლესობა ღვთის გზის ძიებაშია. მათი აზრით ცხოვრება სირთულეებითაა აღსავსე. რაც სავსებით მართალია. მაგრამ იესოსთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ ღვთის სახელი გაცოდინოს, რის შედეგადაც ცხოვრებას ადვილად გაუმკლავდები.

იცნობდე ღმერთს ნიშნავს, მისი სიყვარული იცოდე. თუ მისი ეს სიმდიდრე და დიდებულება შენში მძლავრობს, აუცილებლად დაგეუფლება ღრმა შინაგანი სიხარული, რასაც ცხოვრებისეული სიძნელეები ვერ წაგართმევს. დიახ ეს ასეა! ეს სიხარული დღითიდღე იმატებს. არაფერია იმაზე დიდებული, როდესაც ღმერთს იცნობ.

30 ივლისი

ქრისტემ გამოგვისყიდა რჯულის წყევლისაგან და ჩვენს ნაცვლად გახდა წყეული.

გალატელთა 3:13

ცხოვრებაში უდიდესი წყევლა, რჯულის წყევლაა. ღვთის რისხვის ქვეშ ყოფნას არაფერი ჰგავს. წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრების არცერთ სფეროში მისი ნების თანახმად არ მოქმედებთ. მის თვალთა წინაშე ვისაც ანგარიშს ვაბარებთ, ყოველივე ცხადია. ის ჩემი გულის იმ კუნჭულებსაც ხედავს, რასაც თავად ვერასოდეს დავინახავდი. მან ჩემი გულის ფარული დარბაზები იცის.

როდესაც საკუთარ თავს ღვთის ნათლის მეშვეობით ხედავ, უნდა დაეთანხმო მას. სხვა შემთხვევაში დაიღუპები. ღმერთს შენი უგულებელყოფის გამო ვერ განიკითხავ. სასამართლოს დღეს მის წინაშე მუხლის მოდრეკა და მის ღმერთად აღიარება მოგიწევს. მას უპყვრია ჭეშმარიტების მთელი სისავსე, როცა შენ თავად სიბნელითა და უმართლობით ხარ სავსე.

ეს ყველაფერი არ არის, რაც ამ საკითხზე შეიძლება ნათქვამი იქნას. არსებობს მეტად გასაოცარი და სასწაულებრივი სიტყვა. ეს სახარებაა. არის ერთი პიროვნება, რომელმაც რჯულის წყევლისგან გამოგისყიდა. ეს იესოა. რა დაუჯდა მას ეს? უპირველესად მან თავი იმ ადგილზე დააყენა, სადაც ღვთის წყევლა მოვიდა მასზე. ამის გაკეთება მას მართლის მდგომარეობაში არ შეეძლო. ღმერთი წმიდას და უმწიკვლოს ბრალს არ დებს.

იესო ჩვენს გამო ცოდვად უნდა ქცეულიყო. ის ღვთის მცნებათა დამრღვევად უნდა წარმოჩენილიყო. მისთვის ნაცნობი უნდა გამხდარიყო უწმინდურებითა და ცოდვით აღსავსე გული. მის ცხოვრებას დაბინძურება უნდა განეცადა. მამასთან მისი ურთიერთობა უნდა გაწყვეტილიყო და იმ კონდეციამდე უნდა მისულიყო, რომ ეთქვა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო რად მიმატოვე?“

პასუხი ამ სასოწარკვეთილი ღაღადისა იყო ის, რომ იესო შენს გამო ღვთისაგან წყეული გახდა. ღმერთმა შენი ცოდვის მთელი სიმძიმე მსხვერპლად მოტანილ კრავზე დადო. მან შეხედა იესოს და იმ ადგილზე მთელი წუთისოფლის ერთად შეკრებილი ცოდვა იხილა.

ახლა თუ ხვდები იმას, იესომ მოცემული ტვირთის ქვეშ, როგორი წნეხი განიცადა? თუ ხვდები იმას, რომ ამ წნეხიდან მისი აღსრულებული საქმის მეშვეობით თავის დაღწევა შეგიძლია? შენ, ვისაც იესოსი გწამს, გჯერავს, რომ მხსნელმა შენი ადგილი დაიკავა. მან ეს მოიმოქმედა, რათა მის ადგილზე მისვლა შეგძლებოდა. ამიერიდან შენ მისთვის ძვირფასი ხარ.

31 ივლისი

უთხრა მათ: „დიდად მსურდა თქვენთან ერთად მეჭამა ეს პასექი ჩემი ტანჯვის წინ.“

ლუკა 22:15

იესო მისი მოწაფეებისათვის თავისი ხორცისა და სისხლის მიცემას აპირებდა. ეს მისი დიდი სიყვარულიდან გამომდინარე ხდებოდა. მას მათთვის სხვა ბევრი კარგი რამის მიცემა შეეძლო. ეს არ ყოფილა კარგი ჯანმრთელობა და ქონებრივი სიმდიდრე. არა, ეს მხოლოდ მისი ხორცი და სისხლი იყო.

ღვთის შვილი უფრო მეტად აღმატებულ ნიჭზე უნდა იყოს დაინტერესებული, რომელიც თავად იესოა, ვიდრე სხვა წუთისოფლის დამატებით საგნებზე. წუთისოფლის სიყვარული ადამიანის გულისა და გონების დაპყრობას უწყვეტად ცდილობს. თუ ეს მოხდა მაშინ იესოსადმი ლტოლვა წარსულის მსგავსად აღარ გექნება.

თუ მეგობრები რეგულარულად არ ხვდებიან, მაშინ ისინი ნელ-ნელა ერთმანეთს შორდებიან. თავიდან ისე ჩანს, როგორც მანამდე. მაგრამ დროთა განმავლობაში აღმოვაჩენთ, რომ თითოეული ჩვენგანი განსხვავებულ სამყაროში ვცხოვრობთ. ეს აშკარა ჩვენი შეხვედრით ხდება. უკვე საერთო ინტერესები აღარ გვაკავშირებს.

მეგობრობა მუდმივ კვებას ითხოვს. ეს თანაცხოვრებით ხდება. სულიერ სფეროშიც იგივეა. თუ მუდმივად იქ არ ხარ სადაც იესოა, მაშინ მისგან განდგომილი ხდები.

ეს უფლის სერობასაც ეხება. ღვთის შვილისათვის კარგია, როდესაც უფლის ტაბლის თანა-მოზიარე ხდება. იესოს შენი რწმენაში განმტკიცება სურს, ვინაიდან ის არა მხოლოდ ნიჭებს, არამედ თავის ხორცსა და სისხლს იძლევა. ეს აღთქმა შენ სიტყვაში გაქვს. საოცარი კი ის არის, რომ ის თავის თავს, ვიზუალური ფორმით — ანუ პურითა და ღვინით გვაძლევს. მისი სურვილია ეჭვი არ შეიტანო იმ საკითხში, რომ ის შენ გეკუთვნის.

იესო გელის, თუ როდის მიიღებ შენ მას. მას ზიარების ტაბლასთან შენთან შეხვედრა სურს. შენი ადგილი იქ ცარიელი არ უნდა იყოს.

ეს არის ნამდვილი და ცოცხალი უფლის მოწაფის მახასიათებელი, რომელიც იესოსთან შესახვედრად მიდის. კითხვა იმაში არ მდგომარეობს მოწაფე თვლის თუ არა, რომ უფლის ტაბლასთან მისვლა მას ჭირდება. ის ცხოვრების განმავლობაში, რეგულარულად ღებულობს ღმერთის გასაოცარ ნიჭს. ამიტომაც შენთვის და სხვათათვის ქადაგებ ამას, რომ იესოს ხორცი და სისხლი ის ფუნდამენტია, რაზეც ჩვენი ხსნაა დაფუძნებული.

1 თებერვალი

სისხლში ამოვლებული სამოსელი ემოსა. მისი სახელია 'ღმერთის სიტყვა.'
გამოცხადება 19:13

როდესაც იესო იოანეს ეცხადება, რომელიც ანტიქრისტეს დასამარცხებლად მოდის, მისი სამოსი სისხლშია ამოვლებული. ეს სამოსელი მტრის სისხლი კი არა, არამედ საკუთარი სისხლია.

იოანე იესოს ზეცაში ხედავს, როგორც დაკლულ კრავს. იესო იმ მსხვერპლთან საუკუნო კავშირშია, რომელიც ცოდვილთა სახსნელად არის მიცემული. ის მუდმივად რჩება იმად, რომელმაც შენი ცოდვის გამო სისხლი დაღვარა.

იესო თავისი სისხლის შესახებ, როგორც სიტყვიდან ასევე ზიარების ტაბლიდან შეგვახსენებს. მასთან უკანასკნელი შეხვედრა არ არსებობს. სისხლი ზეცაშია. იესო თავადაა საფასური, რომელიც შენთა ცოდვათა გამოსაყიდად იქნა გადახდილი. ის შენთვის საუკუნოდ, უსაზღვროდ ძვირფასი დარჩება.

უბედურების ჟამს თავისი საიდუმლოებები გააჩნია. ეს განსაკუთრებით უკანასკნელი ჭირის დღეებს უკავშირდება. ვერ ვიგებთ თუ რატომ დაუშვებს ღმერთი, რომ მისი შვილები ასე მკაცრად გამოიცადონ. რატომ იკავებს ღმერთი თავს ინტერვენციიდან, რათა მათ გამოესარჩლოს ვინც სატანური ძალების თავდასხმის გამო შიშსა და ძრწოლას განიცდის?

დაგვიდგება თუ არა მსგავსი დღეები, ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ყველა ამ განსაცდელის ჟამს მოგვჩვენება, რომ საფუძვლები ირყევა და გაგვიჩნდება კითხვა: რატომ?

ღმერთი ჩვენი ცხოვრების ყველა საიდუმლოს არ გვიხსნის. მაგრამ ერთ რამეში მას არ უნდა ეჭვი შეგვეპაროს, რომ ჩვენ იესოს სისხლით ვართ ნაყიდნი.

უდიდესი ძალაა იმაში, როდესაც გული მისი სისხლისკენ გვაქვს მიმართული. როგორც კი ის დაგველაპარაკება, ყველაფერი ცვლილებას ექვემდებარება. კითხვები მეორე ხარისხოვანი ხდება და ღვთის წრთვნას ნებაყოფლობით ემორჩილები. შენ მას ეტყვი, „და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრემცა ქვეყანასა ზედა!"

იმავდროს შენი ლოცვაა, მალე მოდი იესო. მაშინ იხილავ მის სამოსელს სისხლში ამოვლებულს. დღეს შენ რწმენა გჭირდება, იმ დღეს კი მას პირისპირ იხილავ.

მისი ხილვა არ შეგაშინებს. პირველი მასთან შეხვედრა, მის გამწმენდ სისხლთან ხდება. შენ ნაყიდი ხარ. ფასია შენს გამო გადახდილი. ამიტომ კრავს იქეთ გაყევი, საითაც წავა.

2 თებერვალი

ძალითა და ღირსებით არის შემოსილი და უღიმის მომავალს.
იგავნი 31:25

სოლომონის იგავთა ბოლო თავი, ხოტბას კეთილ ცოლს ასხამს. ღვთისა და მისი ხალხის ურთიერთობა, დროდადრო საქორწილო ურთიერთობასაა მიმგვანებული. მოცემული თავი გამონაკლისის გარეშე იმავე სხივს აირეკლავს.

ძალითა და ღირსებით შემოსილი! მოცემული მუხლი ხსნის საიდუმლოებას მოიცავს. ცოდვილს თავისში ძალა და ღირსება არ გააჩნია. ჩვენი საკუთრება საამისოდ საკმარი არაა.

არც სათანადო პატივია ჩვენში. შესაძლოა ადამიანების მიმართ კი, მაგრამ არა ღვთის მიმართ. ის ამას ხედავს. ცოდვა ჩვენს საუკეთესო მხარეებთანაც კია მიტმასნილი.

უფლის წინაშე გაგიაზრებია, რომ პატივაყრილი და ცოდვილი ხარ? ოდესმე გსმენია მისი ბრწყინვალე სიტყვები: „მოგეტევა შენი ცოდვები?" იესოს სულით ხელახლა შობა თუ განგიცდია?

შემდგომ ამისა უფალი შენს ბინძურ სამოსელს შემოგაძარცვავს და სანაცვლოდ ძალისა და ღირსების მოსასხამით შეგმოსს. ძალის წყარო შენგან არ იქნება. არც ღირსება. იესოა ვინც ძალისა და ღირსების სამოსელს გაცმევს.

ესაა გამართლების საიდუმლოება. შენ სხვის სამოსელს იღებ. ამიტომაა შესაძლებელი, რომ ღვთის წინაშე დადგე.

თუ იესოსთან შენი ძონძებით მიხვალ, ის თავის სიმდიდრეს მოგანიჭებს. მაშინ განა რამე მოგაკლდება? არც არაფერი. ყველაფერი უხვად გექნება. მნიშვნელობა არ აქვს, რაოდენ საცოდავად მიგაჩნია თავი, იესოს თვალში შენ უმწიკვლო ხარ.

ამიტომ მომავალს შეგიძლია ღიმილით შეხვდე. არ იცი ის რას გაგიმზადებს. მიუხედავად ამისა შენ მხნედა ხარ. რაც უმთავრესია უკვე იცი: უფლის მადლი ყოველ სისხამზე ახლდება. არა მხოლოდ დღეს გეძლევა უფლება ხსნის სამოსელის ტარებისა. ქრისტეს საპატარძლო მხოლოდ ერთი დღით კი არ ხარ, არამედ საუკუნოდ.

იესოს სისხლი შენ ყოველგვარი ცოდვისაგან, დღესაც და ხვალაც გწმენდს. არც ზეგ იქნები დავიწყებული და მიტოვებული. მისი მომდევნო დღეც იესოსთან ერთად დადგება. განა გასაკვირია, რომ ღვთის შვილი მომავალს ღიმილით ეგებება?

3 თებერვალი

და ყოველ ადგილს, რომელზეც ტერფს დაადგამთ, თქვენ გაძლევთ, როგორც ვუთხარი მოსეს.

იესო 1:3

არსებობს დაყოვნება, რომელიც ურწმუნოებას წარმოშობს. სიმართლეა ის, რომ ყველაფერს ვერ გავუმკლავდებით. ისიც სიმართლეა, რომ ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ ცოდვითაა ინფიცირებული. ღვთის წინაშე ჩვენში არაფერია წმიდა და უმწიკვლო. მაგრამ თუ აქ მოყვანილი ფაქტები ღვთის აღთქმების მიღებისაკენ თამამად სვლაში გვაბრკოლებენ, ერთადერთი ვინც ხეირობს სატანაა.

არსებობს ქრისტიანები, რომელნიც გაუაზრებლად მოქმედებენ. ისინი თავად უსახავენ საკუთარ თავს ღვთის გზას. მაგრამ უფრო მეტია იმათი რიცხვი, რომელნიც უფლისგან აღთქმულ ახალ მიწაზე შესვლას ვერ ბედავს. ისინი აღთქმების საზღვრებთან ბანაკდებიან და აღთქმულ მიწას არ იმკვიდრებენ.

ღმერთს თავისუფლად შეეძლო ისრაელიდან წარმართი მაცხოვრებლების აყრა. მათი ცოდვების საწყაო ბოლომდე იყო აღვსილი და ღვთის სამსჯავრო იყო მათზე გამოცხადებული. თუმცა ღვთის სურვილი იყო მის ხალხს, თავად დაემკვიდრებია ქვეყანა.

ღმერთს ანგელოზების გაგზავნა შეეძლო, რომ ახალი ერებისათვის გადარჩენის სახარება ექადაგათ, მაგრამ ამის კეთება მის მოწაფეებს დაავალა. ეს გაბედულ რწმენის ნაბიჯს მოითხოვს, რომ უსაფრთხო და დაცული ქვეყანა მიატოვო. თუ უფალი მოგიწოდებს, ასეც უნდა მოიქცე. რწმენაა საჭირო, რომ მისიონერები მოამზადო და შემდეგ წარგზავნო. მისიონერთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება და მასთან ერთად იზრდება მათ უზრუნველსაყოფად ფინანსების საჭიროება. მისიონერებს, რომ პური საჭმელად ჰქონდეთ, ფული ციდან ხომ არ ცვივა?

არ შეიძლება გაუაზრებლად სიარული. საჭიროა ფასის განსაზღვრა. პირველად უფალთან უნდა ვილაპარაკოთ ყოველივე ამის შესახებ.

იმავდროს უნდა ვიცოდეთ, რომ ის ჩვენს მომდევნო რწმენის ნაბიჯს ახალისებს. მოსესა და იეშუასათვის მიცემული აღთქმები ჩვენიცაა. ღმერთი არ შეცვლილა. ის საუკუნოდ იგივეა. ჩვენ მისი სიტყვით მოქმედება გვმართებს. ხოლო ჩვენი უსაფრთხოება „დაწერილშია“ უზრუნველყოფილი.

მაშ, აღვივსოთ გაბედულებით. ჩვენ იესოზე ვართ სრულად დამოკიდებული. ჩვენით არაფერს წარმოვადგენთ. მხოლოდ უფალზე მინდობილთ შეგვიძლია წინ სიარული.

4 თებერვალი

ნუთუ არ იცით, რომ ყველანი ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ?

რომაელთა 6:3

იყო ღვთის შვილი, ეს საოცარი განცდაა. გაოცებული ვსვამ კითხვას, ნუთუ სიმართლეა ის, რომ მე, ასეთი პატარა ქმნილება, რომელიც ცოდვითა და უბედურებით ვარ დადაღული, ვარ ცისა და მიწის შემოქმედის შვილი? ნუთუ შესაძლებელია ერთ დღეს სასამართლოს წინაშე წარვდგე და დაღუპვისაკენ არ წავიდე? როგორ იქნება ეს შესაძლებელი?

ღმერთი თავად ჩაერთო ამ საკითხში და მისი სიტყვითა და საიდუმლოებით ჩვენი ხსნის სიფუძვლიანობაში გვარწმუნებს.

საფუძველი იესო ქრისტეს სიკვდილია.

შენ გწამს ჯვარცმული იესო ქრისტესი, რომელიც შენთვის ყველაფერია. ჯვარზე ის შესაწირი კრავი იყო, რომელმაც ყველა ცოდვისაგან გამოგისყიდა. ძელზე ამაღლებული ცასა და მიწას შორის გამოეკიდა, როგორც ღვთის მიერ დაწყევლილი, რაც შენი ხსნის მიზეზი გახდა.

ღვთის სურვილია გარკვეულ დღეზე მითითება შეგეძლოს, რომ თქვა, ‘მე იესო ქრისტეს სიკვდილში მოვინათლე.’ ღმერთის სურვილი არაა ეჭვი შეიტანო იმაში, რომ მისი ძის სიკვდილი შენ არ გეხება. ყველაფერი, რაც იესომ წითელ პარასკევს აღასრულა, შენ გეხება.

იმედია ხვდები, რომ თუ უგუვლებელყოფთ ამ დიად გადარჩენას ღვთის სამსჯავროს ვერ გავექცევით? ხსნის საქმისა და გამოსყიდვის უკუგდება გაცილებით სერიოზული დანაშაულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ცოდვა.

თუ ვერ გაგიაზრებია, თუ ღმერთმა ნათლობის მეშვეობით რა მოგცა, მაშინ საუკუნოდ ხარ დაკარგული. მაგრამ თუ წრფელი გულით შენ ის დაიჯერე, მაშინ როზენისთან (ცნობილი კომპოზიტორი) ერთად იგალობებ, „ქრისტემ გიყიდა, გაგწმინდა და მოგნათლა, ის გატარებს, გიცავს და აკურთხებს შენს სულს.“

იესოს სიკვდილი ნიშნავს, რომ ის შენს ცოდვასთან გაიგივდა. ღმერთმა ის უშუალოდ შენს ცოდვად აქცია. ის უცოდველი იყო. მაგრამ შენს ადგილზე მოკვდა და ღვთის რისხვა და მსჯავრი თავს დაიტეხა.

ამ რეალობით ფანტასტიკის სფერო იქნა შეძენილი! იესომ თავის თავზე აიღო, რაც იყო ჩემი, რათა შემძლებოდა მიმეღო, რაცაა მისი, მთელი მისი სიყვარული, მისი სიწმინდე და სისავსე მადლისა.

ეჭვი ხომ არ გეპარება, რომ მისგან შეყვარებული ხარ? ნუთუ სხვა რამის გაკეთება შეგიძლია, გარდა იმისა, რომ ირწმუნო იესო და გაჰყვე მას?

5 თებერვალი

იყუჩე უფლის წინაშე და მოთმინებით დაელოდე მას!

ფსალმუნი 37:7

უფალთან ცხოვრება, გრძნობით აღსავსე გულით გამოირჩევა. სიტყვაში ვკითხულობთ: „იყუჩე უფლის წინაშე!“

ღვთის ხმა გამჭოლია. მას ყველაფრის დადუმება შეუძლია. ღმერთია ის, ვისაც პირველი და უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის. თუმცა ცოდვისა და სიკვდილის ამ სამყაროში, ადვილია უფლის ხმის ჩახშობა.

ფაქტია ის, რომ ღმერთი დედამიწაზე წარმოსადეგი შესახედაობით არ მოსულა. მას არ უყვირია და არც უდავია. გარეგნულად არ უცდია სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენა. მისი მიმდევრები მოწოდებულ იქნენ ერთგულნი დარჩენილიყვნენ იმ „უგუნურებისადმი,“ რასაც ქადაგებდნენ. ადამიანთა აზრით არავინაა უფლის მსახურზე დიდი, რომელიც გადამრჩენელი ჯვრის შესახებ ქადაგებს.

მაშასადამე, სიკვდილისაგან მხსნელი მისი სიტყვაა. მაშინ, როდესაც ამა ქვეყნის ხმები ყელში გაქვს ამოსული, საჭიროა უფლის წინაშე მდუმარება. არაფერი გაქვს სათქმელი მისთვის, ისე, როგორც დამნაშავესა და მსჯავრდებულს. მისი სასამართლოს წინაშე წარმდგარს, თვალები ძირს უნდა გქონდეს დახრილი.

შენთვის ის ჩაუწვდომელია. ღმერთმა შენი წარმოდგენებიდან სრულიად განსხვავებული რამ გითხრა. თავისი რისხვით არ გაგანადგურა. მან იმის შესახებ გიქადაგა, რომელიც შენს გამო იქნა შემუსვრილი და ეს ყოველივე მდუმარებით დაითმინა: იესო, რომელსაც ბაგე არ დაუძრავს, როდესაც დასაკლავად წაიყვანეს.

როდესაც სულიწმიდამ შენს გულში, სიტყვა შენს მონაცვლესა და გამომსყიდველზე ჩადო, ამ დროს ხელახლა იშვი. შენით არაფერი არ გაგიკეთებია. ღვთის სიტყვამ გააკეთა ყოველივე და შენ ახალ ადამიანად შეიქენი.

უფლის სიტყვის წინაშე მდუმარება, ჭეშმარიტი მორწმუნის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მის გარეშე შენ უძლურდები. ღმერთს აღარ რჩება არანაირი საშუალება, რომ შენთან ურთიერთობა დაამყაროს. როცა ამას ვერ ახერხებს, რწმენა კვდება. რწმენა უფლის სიტყვის მოსმენით მოდის.

უფლის სიტყვის მოსმენასა და უფალზე დალოდებას შორის ახლო კავშირია. დასაჯერებელია, რომ ღმერთი დაინტერესებულია შენთან ურთიერთობით. მას არ შეუძლია იცრუოს. როდესაც შენი გული მისი სიტყვის მიმართ ღიაა, სხვა რამ გარდა სმენისა, როგორ უნდა აკეთო?

ამიტომ, „იყუჩე უფლის წინაშე და მოთმინებით დაელოდე მას!“

6 თებერვალი

ჩვენ გვაქვს სამსხვერპლო, საიდანაც ჭამის უფლება არ აქვთ კარვის მსახურთ.

ებრაელთა 13:10

ჩვენ სულიერად უწესრიგო და ქაოტურ ყოფაში გვიწევს ცხოვრება. ხან სულიერი ცხოვრების ერთ სფეროში ზრდა-განვითარებას გვირჩევენ და ხან მეორეში. კვების განრიგი, ლოცვა, მარხვა, მედიტაციაში ვარჯიში და კიდევ სხვა მრავალი, ქრისტიანთა შორის მონაცვლეობითი თემებია. ვიდრე ამის გააზრებას შეძლებენ, მათი სინდისი მარწუხებში ექცევა. ახლის ინტერესით ოკუპირებულია მათი გონება, რის გამოც მათი გული იესოს, როგორც ჩვენი რწმენის ავტორსა და სრულმყოფს აღარ მიმართავს.

ინტელექტუალურ დონეზე პიროვნება კი ეჭიდება სწორ სიტყვასა და შეხედულებებს, მაგრამ ჭეშმარიტება მის ცხოვრებაზე გავლენას ვერ ახდენს.

სამწუხაროდ რჯულს დავუბრუნდით და იმაზე ვზრუნავთ, რა უნდა ვაკეთოთ და რანი უნდა ვიყოთ.

ამ შემთხვევაში გოლგოთაზე შეწირული მსხვერპლი მიუღწეველი ხდება. მრავალი ფიქრობს, რომ ყველა შემთხვევაში შეგვიძლია იესოს მიერ ცოდვათა მიტევების მიღება, რაც არაა ასე.

რჯული მადლს გამორიცხავს. შეუძლებელია ერთდროულად ღმერთის რჯულის ქვეშაც იყო და მისი მადლის ქვეშაც. სადაც რჯულია, იქ მადლი აღარაა. ხოლო სადაც მადლია, იქ რჯული არაა.

ქრისტიანმა ღმერთის სიტყვის ადაპტირება უნდა მოახდინოს. მაგრამ ის ვალდებული არაა ძველი აღთქმის წესებსა და მითითებებს დაემორჩილოს, რაც მომავალ სიკეთეთა მხოლოდ აჩრდილია. არამედ მტკიცედ ჩაეჭიდოს იმას, რაც თავად ქრისტეში მიიღო.

შენ გაქვს სამსხვერპლო, საიდანაც ჭამის უფლება გაქვს მონიჭებული. ისე როგორც ლევიტელი თავის სარჩოს სამსხვეპლოდან იღებდა, შენც ასევე გოლგოთიდან იღებ ყოველივეს. ის რისი მიღებაც არ შეგიძლია იესოს მიერ აღსრულებული საქმით, მათი საკუთრებაში ქონა არც კი უნდა ისურვო.

გოლგოთა იმდენად გამდიდრებს, რამდენადაც შესაძლებელია. იესოს სისხლი ყოველი ცოდვისაგან გწმენდს და მისი წმიდა სიცოცხლის მიერ შენ გამართლება გეძლევა. მეტი რაღა უნდა ინატრო კაცმა? ყველაფერი სიუხვით და საუკუნოდ მოგენიჭა.

7 თებერვალი

მცირე ძალა გაქვს, მაგრამ შეინახე ჩემი სიტყვა და არ უარყავი ჩემი სახელი.

გამოცხადება 3:8

როდესაც მცირე ძალა გაქვს, თავისთავად ტანჯვაა. ამ დროს იმედი ქარწყლდება და ადამიანი თავის თავს ეკითხება, ნეტა როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი.

ღვთის სამეფოში კი ყველაფერი სხვანაირადაა. აქ სისუსტეც კი სარგებლად შეიძლება შეირაცხოს. ვინაიდან ის, ღვთის სიტყვის ჩაჭიდებისაკენ გიბიძგებს.

როდესაც ძალით ხარ მოცული, მაშინ ღვთის სიტყვა შენთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა კარგად იცი, რომ ღვთის შეწევნის გარეშე საქმეს ვერ წარმართავ, მაგრამ მაინც ფიქრობ, რომ თავადაც შეგიძლია რაღაცის კეთება.

თუ შენი ძალა მცირეა, მაშინ ძალის წყარო სადღაც სხვაგან უნდა ეძიო. ღმერთს შენი თვალების ახელა შეუძლია, რომ ადგილი რაზეც დგახარ დაინახო. ეს სიტყვის შეურყეველი საფუძველია. ცა და მიწა გადავლენ, მაგრამ შენ არა, ვინაიდან შენ მარადიულ მიწაზე დგახარ.

ღვთის სიტყვა ყველგან გაგატარებს და შეუძლებელია ამ სიტყვის ძალა სხვას არ გაუზიარო.

განსაკუთრებულ სიტუაციებში, ღვთის სიტყვა ხშირად განსაკუთრებულ სიტყვას გეუბნება. ის შენს გულში აცოცხლებს მას და გაბედულებას გმატებს. ვიღაცისთვის ეს უცნაურია, მაგრამ შენ რეალურად განიცდი, ვინაიდან უშუალოდ შენ გეთქვა ის და გრძნობ ამ სიტყვის ძალმოსილებას. მოსმენილ სიტყვას ეჭიდები და შენთვის იმეორებ.

სიტყვაზე ჩაჭიდებასა და იესოს არ უარყოფას შორის, ახლო კავშირია.

იესოს მაშინ უარყოფ, თუ მისი სიტყვისა არ გჯერა. მაგრამ მისი სიტყვიდან მცირე იოტაც კი არ გაქრება, რადგან ღმერთს არ შეუძლია იცრუოს. თუ მანამდე არა, ზეცაში მაინც იტყვი: უფალმა ყოველი მისი სიტყვა აღასრულა.

მძიმე ასატანია, როდესაც იესო შენი საკუთარი ძალებიდან გძარცვავს. გაუსუსურება არაა ადვილი გადასატანი. უსუსურად ყოფნა უფლის რეალური მიზანი როდია. მას შენი იესოს სიმდიდრეში გადაყვანა სურს. ეს ყველაფერი მის სიტყვაში თავშესაფრის პოვნას ემსახურება. მაშინ შენ იტყვი: რა კარგია, რომ მრავალი რამ წარსულმა ჩაიბარა. უფლის გზა ყოველთვის ყველაფერს აღემატება. მისი ჩანაფიქრია, რომ გული უდიდესი ნიჭის მისაღებად გამიხსნას: იესოს სრული სიმდიდრისა და მადლის მისაღებად. და თუ ეს მაქვს, მაშინ აღარაფერს მოვისაკლისებ. დიახ მე ყველაფერი მაქვს და მაქვს უხვად.

8 თებერვალი

ქრისტეა ყოველივე ყოველივეში.

კოლასელთა 3:11

შენ ღმერთის არ გესმის. ისწრაფვი ცოცხალი ქრისტიანი გახდე, რომელიც სხვებისთვის კურთხევა იქნება. ამისათვის ღვთის წინაშე ლოცულობდი კიდეც, მაგრამ არც არაფერი მოხდა. ღმერთი ყოვლისშემძლეა და ადვილად შეეძლო ამის შენს ცხოვრებაში მოხდენა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. შენ კვლავ იგივედ რჩები. სურვილი იმისა, რომ იესოს უფრო მეტად დამგვანებოდი, მან რატომ არ აღასრულა?

სურვილი იმისა, რომ წმიდა ადამიანად იქცე, ღვთისგანაა. არასწორია შენი ცდომილი შეხედულებები, თუ როგორ მოხდება ეს. შენ ფიქრობ, რომ უცაბედად, რაღაც უნდა დაგემართოს. ვერ გაგიცნობიერებია, რომ ამ დროს იმას იმკვიდრებ, რაც უკვე ქრისტე იესოში გეკუთვნის.

ღმერთი სიამოვნებას იღებს, როდესაც იესოსი გჯერავს, იესო, რომელიც მისთვის სათნოა. ღმერთი შენში იესოს უყურებს. იესო ყოველთვის ძლიერია მასში, ვინც საკუთარ თავს სუსტად ცნობს.

საკუთარი თავის რწმენას ღმერთი ამიტომ ანგრევს შენში. ამას მაშინ განიცდი, როდესაც მას შენგან ყველაფერი მიაქვს, რათა შეგეძლოს თქმა: ახლა მე მხოლოდ იესო მყავს.

ჩვენ გაღარიბებულად ვგრძნობთ თავს, როდესაც საკუთარი თავისადმი ნდობას ვკარგავთ. საკუთარი, სულიერი დაჯერებულობის დაკარგვა მძიმეა. როდესაც ჩვენი გულის წიაღში, სადაც მრავალი ფარული ცოდვა მკვიდრობს, ღმერთი თავისი სიტყვის ნათელით შემოდის, სრულიად შიშველი ვრჩებით.

ღმერთი შენთან თავისი სიტყვით მოდის. მნიშვნელოვანია ყური მას მიუგდო. არ არსებობს გაჭირვება, რაზეც სიტყვას არ ქონდეს შეწევნის ძალა. თუ სიტყვას დაემორჩილები, მაშინ ის შენში რწმენას შექმნის.

ღვთის შვილი ზეცის მემკვიდრეა. თუ შენი მხსნელი ქრისტეა, მაშინ უმდიდრესი ადამიანი ხარ. ისაა შენში. ეს განსაკუთრებულ ქრისტიანებს არ ეხება — არა, ეს ყველას ეხება. შეუძლებელია ქრისტიანი იყო და იესოში ყველაფრის მფლობელი არ იყო. თუნდაც დასუსტებული და მცირე რწმენა გქონდეს, მას შენს გულში ზეცის ყოველი სულიერი კურთხევა აქვს ჩადებული. მან ეს თავისთვის არ დაიტოვა. შენ მოგცა. ამაზე მეტის მიღება შეუძლებელია. ქრისტე ყოველივეა ყოველივეში და შენშიც. მიუხედავად ნაკლოვანებებისა, შენ დღეს ღვთის კურთხეული შვილი ხარ.

9 თებერვალი

ესენი ეშმაკთა სულები არიან. ისინი ახდენენ სასწაულებს. გამოდიან მთელი მსოფლიოს მეფეებთან, რათა შეკრიბონ ისინი საომრად ყოვლისმპრობელი ღვთის დიდი დღისათვის.

გამოცხადება 16:14

როდესაც წუთისოფელში ცოდვა შემოვიდა, მას თან მტრობაც შემოჰყვა. ომს ომი მოჰყვა და მეორე მსოფლიო ომი არ იქნება უკანასკნელი დიდი ომი.

მომავალი ომის შედეგების, მსოფლიოს მილიონობით ადამიანს ეშინია, რომელიც ჩვენს წარმოდგენებზე გაცილებით უფრო მეტი იქნება. ხალხი იმედოვნებს, რომ უმრავლესობის ძალისხმევა ომის პრევენციას მოახდენს. მაგრამ ეს იმედი გაცრუვდება.

ღვთის სიტყვა ამბობს, რომ ომი, დემონური სულისგანაა წარმოშობილი. ეს ბოროტი სულები თავად სატანისგანაა კონტროლირებული. იესო მის შესახებ ამბობს, რომ ის მხოლოდ მოსაპარად, მოსაკლავად და გასანადგურებლად მოდის.

სატანას ცის ქვეშეთში, თავისი ბოროტი სულიერი ძალები გააჩნია, როგორც თანამზრახველები. ეს ძალები ადამიანების მშვიდობის ქონის სურვილით თავს არ იზღუდავენ. მხოლოდ ერთი სახელი ამარცხებს მათ; და ეს სახელია იესო.

წუთისოფელი რომ მას იცნობდეს და მისი სიტყვა და სული გაეხსნას, მაშინ ძლიერთა შორის უძლიერესს გაჰყვებოდნენ და ეშმაკის ომის დაწყების ყოველი მცდელობა, ჩაიშლებოდა.

მაგრამ სამწუხაროდ ქვეყნიერება არ იცნობს იესოს. უმეტესობა ადამიანებისა მას იგივე სიძულვილით ხვდება, როგორც მაშინ, წითელ პარასკევს. ქყვეყანა ეშმაკს მიყვება, რომელიც ამ წუთისოფლის ღმერთია. ამიტომაც ეშმაკთა სულები, სხვადასხვა ქვეყნის მეფეებს საომრად წარმატებულად შეკრებენ.

უცნაური ისაა, რომ ეს ომი ყოვლისშემძლე ღმერთის დიად დღედ იწოდება. ეშმაკის სულის განზრახვა ამ სახის დღის ინიცირება არ ყოფილა. მაგრამ ბოროტება, თავისი თავის ბატონიც კი არაა. როდესაც ცოდვის საწყაო ივსება, ღმერთს ხელში შოლტი ეძლევა.

დადგება დრო, როდესაც ღმერთი ამ შოლტს გამოიყენებს. ეს მისი კანონია, რომ კაცი, რასაც თესავს იმას იმკის კიდეც. ქყვეყნიერება სატანას უფლად ვერ აირჩევდა, მის მორჩილებაში რომ არ ყოფილიყო.

ამ თავზარდამცემი ამბის შემდეგ, ღვთის შვილმა რა უნდა გააკეთოს?

ღმერთის სურვილი არ იყო ამ ამბავთა შესახებ რომ არ გვცოდნოდა. ამ ეშმაკთა სულების შემდეგ უფალი ამბობს, „აჰა, მოვდივარ როგორც ქურდი! ნეტარია ის ვინც ფხიზლობს!“

10 თებერვალი

რადგან ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა და სიკვდილი — მონაგები.

ფილიპელთა 1:21

არაქრისტიანთა დიდი რაოდენობა, ჯანმრთელი და მდიდარი ცხოვრებით ცხოვრობს. ჩონგურივით აქვთ ცხოვრება აწყობილი და არავის არაფერში ევალებიან.

მაგრამ ქრისტიანებისათვის ასე არაა. ის ცხოვრებაში ყოველი სიკეთისათვის ღმერთს მადლობს. ისინი ღვთისგან მოსული საჩუქრებია, მაგრამ მთავარი საჩუქარი თვით იესოა.

თუ ეს, მთელი თავისი არსით სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, მაშინ შენ, როგორც ღვთის შვილმა, თამამად უნდა შეგეძლოს მისკენ გაიწოდო ხელი და თქვა: იესო ჩემი სიცოცხლეა.

შენ იცი, სხვები რასაც სიცოცხლეს უძახიან, სიკვდილით მთავრდება. ერთ დღეს ის დასრულდება. ამიტომაც მიგაჩნია, რომ ცხოვრება მკვდრეთით აღმდგართან ურთიერთობის გარეშე, სიღარიბეში ცხოვრებაა.

იესო შენი სიცოცხლეა ნიშნავს, რომ შენი გული მასზეა მიძღვნილი. შენი რწმენა მასზეა ფოკუსირებული. იესოა, ვისაც ყველა შემთხვევაში ენდობი, ვინაიდან იცი მისი სიყვარული. ის შენს გულში გაქვს და ეს საოცრებაა. ღმერთმა ის შენში თავისი სულიწმიდით ჩაღვარა. ეს საკუთარი თავის ანალიზით კი არ დაასკვენი, არამედ ღმერთის სიტყვამ გითხრა, რომ ასეა. და შენ ღვთის სიტყვას ეჭიდები.

ის ჭეშმარიტება, რომ ქრისტე სიცოცხლეა, სულიერი ვარჯიშით არ მიიღწევა. ის საჩუქრად მოგეცა და შენ უბრალოდ მიიღე. და ასე გახდა ის შენთვის სიცოცხლე.

არ არსებობს ქრისტიანი, რომ იესო, მისი სიცოცხლედ არცნობის გარეშე მიეღოს. ამიტომაც შეგიძლია თქვა, „ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა.“ ის შენს გულში შემოვიდა და შენი სულიერი სიცოცხლის პულსი გახდა.

იესოა აღდგომა და სიცოცხლე. მასში შენ უკვდავ სიცოცხლეს ფლობ. იოანეს 14:19-ში ის ამბობს: „მე ცოცხალი ვარ და თქვენც იცოცხლებთ.“ ამ სიტყვებში, შენი დედამიწაზე ყოფნის უკანასკნელ დღეზეც კი იმედია მოცემული. რადგან შენი სხეული დაიმარხება, მაგრამ შენ თავად არ მოკვდები. ის ვინც სიცოცხლეა სამოთხეში შეგიყვანს. იესოს რწმენით მასთან ხარ გაერთიანებული, რომელ ერთობასაც სიკვდილი ვერ დაარღვევს. ჩემთვის ქრისტეა სიცოცხლე და ამიტომ ეს სიცოცხლე სამუდამოდ გაგრძელდება.

11 თებერვალი

მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, შენი გამომყვანი ეგვიპტის ქვეყნიდან; პირი გააღე და მე აგივსებ მას.

ფსალმუნი 81:10

უფლის ხალხი ტყვეობაში იმყოფებოდა. ადამიანურად თავისუფლების გზა არ არსებობდა. მაგრამ უფალი ჩაერია.

შენ პირად ცხოვრებაშიდაც ასეა. თქვენ საკუთარი თავის დახსნა არ შეგეძლოთ, მაგრამ ღმერთი ჩაერია. იერუსალიმის გარეთ მან გამოსყიდვის ხე აღმართა და მისი ძის მილურსმვნა დაუშვა. იესო დასჯილ იქნა ღვთის დამანგრეველი რისხვით, რათა ის ვინც მასში ჰპოვებს თავშესაფარს, გადარჩენა ჰპოვოს.

შენ გოლგოთის დავიწყება არ შეგიძლია. მუდამ იმას უნდა დაუბრუნდე, რაც ღმერთმა შენთვის მოიმოქმედა. მაშინ, როდესაც ღვთის სიყვარულის მესხვერპლის წინააღმდეგ იქცევი, ის გეუბნება, რომ მისი გული შენს მიმართ არ შეცვლილა.

ფართოდ გააღე შენი ბაგე და უფალი აღავსებს მას. დიდი საკითხებისადმი, თამამად გმართებს ღვთის წინაშე ლოცვა. ამ დროს დუმილი არაა საჭირო. უფალი შეისმენს შენს ლოცვას.

უდიდესი საკითხი გადარჩენაა. პასუხი გაქვს კითხვებზე: ოდესმე მიზანს მივაღწევ? მათ შორის ვარ ვინც გზა იპოვა? გულში კი იმედი ცოცხლობს, რომ ერთ დღეს ახალ იერუსალიმში შესვლის ნება მომეცემა!

ფართოდ გახსენი შენი პირი! უფალს შეავედრე შენი გადარჩენა. მან ვინც კეთილი საქმის კეთება შენში დაიწყო, ქრისტე იესოს დღეს სრულყოფამდე მიიყვანს (ფილ. 1:6).

შენი ყველაზე საზიზღარი მტრის სურვილია, რომ სასოწარკვეთის სულით აგავსოს. სატანამ ამ წუთისოფლის სიმდიდრით ბევრი დამარცხებამდე ვერ მიიყვანა, მაგრამ სასოწარკვეთის მეშვეობით მრავალი გახადა პარალიზებული.

დიახ, ამის შესახებაც უნდა ილოცო დღეს. ის სწორედ იმ გზით გაგიძღვება, რა გზითაც უდაბნოში მისი ხალხი ატარა. უსმინე მის პასუხს. უფლის სურვილია, მისი სიტყვით შენი რწმენა განამტკიცოს. სულიწმიდა შენს გულში ღვთის სიტყვას დებს, რის შედეგადაც ეჭვის ადგილი აღარ რჩება. უფალი ამას შენი გულისთვის აღასრულებს. შენ მიზანს მიაღწევ და სწორედ შენ იქნება ერთი იმ მრავალთა შორის, რომელიც იესოს, როგორც ღვთის დაკლულ კრავს საუკუნოდ განადიდებს, უფალს, რომელმაც გადარჩენამდე მოგიყვანა.

12 თებერვალი

თუ ღმერთი ჩვენს მხარეზეა, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ?

რომაელთა 8:31

ღმერთი ყველა თავის შვილს ერთნაირად არ ექცევა. ჩვენი ცხოვრების მდინარება ერთმანეთისგან განსხვავდება. ჩვენთვის ცნობილია ორივე, კეთილიც და ბოროტი დღეებიც.

ხანდახან გვეჩვენება თითქოს ყველა ჩვენს წინააღმდეგაა. ასეთი დღეების გადატანა ნამდვილად არაა ადვილი.

ხალხი ვერ გვიგებს. შენი ახსნა-განმარტება მათთვის გასაგები არაა. კედელს ებრძვი და ვერ არღვევ. ადამიანებს ისეთი მოტივებით აღძრული ჰგონიხარ, რომელიც არასოდეს გქონდა. ამის გამო გული გეჭრება. თვით-ბრალდებაც არაა შენთვის უცხო. შეიძლება ეს ყველაზე საშინელი მსჯავრია. შენს ირგვლივ ვერაფერს ხედავ, რომელიც კმაყოფილებას განიჭებდეს და ზიხარ საბრალდებოდა სკამზე, სადაც თავად ხარ მოსამართლე.

ყოველივე ამის უკან ეშმაკური ძალებია. მათი ლიდერი სულის მტერია. მათი სურვილი შენი სულის უფსკრულში ჩათრევაა. მათ სურთ შენი სასოწარკვეთაში გადაგდება, რათა მუდმივი სადარდებელი გაგიჩნდეს შენზე მათი ძლევის გამო.

ამ შემთხვევაში რას გააკეთებ?

თუ ღმერთი ჩვენს მხარეზეა, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ?

ბევრი რამ შეიძლება ჩვენს წინააღმდეგობაში მოვიდეს, მაგრამ ყველა ერთად შეკრებილი ჩვენი მტერიც კი ღვთის წინაშე რაა?

მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ყოველი მათი თავდასხმა ღმერთს, მისი გადარჩენის გეგმაში ჰყავს შეყვანილი. ყველაფერს შენდა სასარგებლოდ მოაქცევს. პავლე ამბობს, რომ ჩვენ დასაკლავ ცხვრებად ვართ მიჩნეულნი. დაკვლის დღეს კრავად ყოფნა არაა ადვილი. მაგრამ რადაც არ უნდა ვიყოთ მიჩნეულნი და როგორადაც არ უნდა მოგვექცნენ, ჩვენ მძლეველებზე უფრო მეტნი ვართ მის მიერ, რომელმაც ჩვენ შეგვიყვარა.

ფაქტია, რომ ღმერთი ჩვენს მხარეზეა. ერთ დღეს კი ყოველი ძალა და სტიქია მის ფერხთა ქვეშ მოექცევა. ნებისმიერი ძალა იესოს მიერ იქნება შემუსვრილი. ის გამარჯვებულია. ამას ჯერ ვერ ვხედავთ, მაგრამ ის გამომჟღავნდება.

თუ იესო შენი პირადი მხსნელია, მაშინ შენს მხარეზეა უკვე. შენ მასში ხარ და ღმერთი, როგორც ძეს ისე გეპყრობა. არავის და არაფერს შენი ვნება არ შეუძლია. ისაა შენი დაცვა — შენს ცხოვრებაში, სიკვდილსა და მარადისობაში.

13 თებერვალი

სიმართლის ბილიკზე წამიძღვება, თავისი სახელის გამო.

ფსალმუნი 23:3

ყოველთვის არ ფიქრობ, რომ ღვთის გზა სამართლიანია. ხშირად ისინი იმდენად უცნაურად გეჩვენება, ეჭვობ საერთოდ ღმერთი თუ გიძღვის ცხოვრებაში.

მართალი გზები ხშირად ტანჯვის გზებია. ღმერთმა თავის ძე ტანჯვით სრულყო და ძემ ტანჯვის მეშვეობით გარკვეული ცოდნა შეიძინა.

ღმერთს ტანჯვის სკოლაში, ბევრი რამ აქვს ჩვენთვის სასწავლი. ჩვენი ვალდებულებაა ჯვარი ავიღოთ და იესოს მივყვეთ. იესოს ნაკვალევზე სიარულით მაინც ვერ დავიმსახურებთ იმის მიღებას, რაც იესომ ჩვენთვის მოიპოვა. მიუხედავად ამისა უფალი ზეცის მიმავალ გზაზე წინ წაგვიძღვება.

ხშირად ვფიქრობთ, ღმერთს რომ ცხოვრება გაეადვილებინა ჩვენთვის, უფრო უკეთესად შევძლებდით მის მსახურებას. რატომღაც ვფიქრობთ, რომ ღვთის მიერ მოცემული ჩვენი საკუთარი ჯვარი, დანიშნულების აღსრულებაში გვზღუდავს.

ღმერთმა ჩემი ამპარტავნული განწყობა კარგად იცის. მან ისიც იცის კეთილდღეობის ჟამს, როგორი ზედაპირული ვხდები. ვიდრე ამის გაცნობიერებას შევუდგები, იესოზე ღრმა დამოკიდებულებიდან შორს მივდივარ. ჩემი შეხედულებით კი მგონია ვიზრდები.

ასეთი მსახური მსახურებისათვის გამოუდეგარია. ამიტომაც ღმერთი ერევა საქმეში. ის უშვებს, რომ გარკვეული ტანჯვები გადავიტანო, რაც მაიძულებს შევჩერდე და ჩემი თვალთა ხედვა მასზე შევაჩერო.

ღვთის გზები მუდმივად იესოსკენ მიმიძღვის. ის ცდილობს შენი ცხოვრება მასთან დააკავშიროს. ის უშვებს საკუთარ თვალში სუსტი და უმწეო გაგხადოს, რათა მისი მადლის საჭიროება დაგანახოს.

ღმერთი მის გზაზე დარჩენაში გეხმარება. როდესაც უფალი გარკვეულ ტვირთს გადებს, შენთვის უფრო ადვილი ხდება მისი ზიდვა. ამ დროს უფრო მეტი მოგეკითხება, ვიდრე ზლაზვნით სვლა.

უპირველესად ღვთის გზებს მიზნისკენ მიჰყავხარ. წუთისოფლის ვალდებულებებით დაკავებული ჩვენ ადვილად ვხდებით, რაზეც უფალი შეჩერებისაკენ მოგვიწოდებს. მისი სურვილი ხომ ისაა, რომ ჩვენი თვალები მარადიული სამყოფელისაკენ გვქონდეს მიმართული.

ერთ დღეს უკან მოიხედავ. მაშინ ახლანდელთან შედარებით სხვანაირად შეაფასებ ყოველივეს. მაშინ იტყვი, რომ ღმერთმა დაუმსახურებელი მადლი მოგანიჭა, რაც ყველაზე მეტად საჭირო იყო და წყნარ წყლებზე წაგიძღვა შენ. იმ დღეს შენი გული უფლის განდიდებით აივსება და შენთვის მარადისობა დაიწყება.

14 თებერვალი

მისი ტანისამოსი ბრწინვალე და სპეტაკი გახდა, ისე რომ ამქვეყნად არც ერთ გამთეთრებელს არ ძალუძს ასე გათეთრება.

მარკოზი 9:3

სიწმიდისადმი წყურვილი სულის სიღრმეში ცხოვრობს. წუთისოფელმა მისი ჩაღშობა ვერ შეძლო. ეს ვერც ჩვენმა უწმიდურებამ მოახდინა. ჩვენ სიწმიდისათვის ვართ შექმნილნი. ყოველი უწმიდურების მიზეზი სატანაა. ეს შხამი ჩვენში და წუთისოფელში, სადაც ჩვენ ცხოვრება გვიწევს მან შემოიტანა. სიწმიდისადმი წყურვილი ოცნების სფეროდ მან აქცია.

ადამიანური სიწმინდე შთამბეჭდავად ჩანს და მთელი სიწმინდე, რისი წარმოჩენაც შეგვიძლია, მხოლოდ გარეგნულია. დედამიწაზე ცოდვამ ყველაფერი გააბინძურა. სრულყოფილი სიწმინდე მხოლოდ ერთ ადგილზე შეგიძლია ნახო. მხოლოდ იესოსთან. ცოდვა მთელს მის შინაგანში არ მოიპოვება.

სამმა მოწაფემ ფერიცვალების მთაზე მისი მოსასხამი თოვლივით სპეტაკი იხილა. ის ისეთი თეთრი იყო, რომ არცერთ გამთერებელს ისე გათეთრება არ შეეძლო. მოწაფეებს ეს გამოცხადება არასოდეს დავიწყნიათ. სისპეტაკე სამოსლისა, იესოს სულის სიწმინდის განსახიერება იყო.

იესოს სიყვარული შენდამი იმდენად დიდია, მას თავისთვის არაფრის დატოვება არ სურს. მას შენთან ყველაფრის გაზიარება უნდა, ასევე მისი სიწმინდისა. ეს მას თავის სისხლად დაუჯდა. ის რომ არ დაღვრილიყო, საკუთარი ცოდვებიდან განწმენდის საშუალება აღარასოდეს გვექნებოდა.

იესოს სისხლი არა მარტო ფარავს ცოდვას, არამედ მთლიანად შლის. ეს ნიშნავს, რომ შენი ცოდვა აღარ არსებობს. ღმერთმა აღარ იცის ის ცოდვები, რომელიც იესოს სისხლმა უკვე წაშალა.

ამიტომ იესოს შეუძლია, შენი ღვთის წინაშე უმანკო საპატარძლოდ წარდგინება. გამოცხადებაში ეს აზრი რამოდენიმეჯერ არის განმეორებული, რომ ისინი ვინც იესოს ეკუთვნის, ღვთის წინაშე თეთრ ბისონს ატარებენ.

სიტყვა ასევე გვეუბნება თუ მოცემული ბისონები რამ გაათეთრა. ისინი კრავის სისხლში იქნენ განბანილნი. მიუხედავად ამისა ჩვენი ყურადღება ზეციურ ბისონებზე არ უნდა გადავიტანოთ. ჩვენ იესოს უნდა ვუცქიროთ, ხოლო მისი ყურება სხვა ყველაფერს უფერულად აჩენს. იმ დღეს იმის გამო კი არ იქნება სიხარული, რომ კვლავ ერთად შეგვყარა, არამედ მის გამო, რომ თავისთან შეგვყარა.

ისაა განთიადის ვარსკვლავი, რომლის მიმართაც ჩვენი ფიქრებია მომართული.

15 თებერვალი

ასეთი იქნება მათთვის უფლის სიტყვა: მცნება მცნებაზე, მცნება მცნებაზე, წესი წესზე, წესი წესზე, ცოტა იქ, ცოტა აქ, რომ წავიდნენ და გულაღმა დაეცნენ, დაილეწონ, მახეში გაებნენ და დატყვევდნენ.

ესაია 28:13

ხალხი ესაიაზე ბრაზობდა. ისინი მას დასცინოდნენ. ის პურობის დროს ქილიკის საგანი იყო. ისინი ამბობდნენ: „ვის მოძღვრავს ის? ის განხეთქილებას წარმოშობს. მისი აზრით ჩვენ ყოველთვის რაღაც გვეშლება.“

ადამიანებს შოკის მომგვრელი დამოკიდებულება ჰქონდა. როგორც იცით ესაია თავის საქმეს კარგად ასრულებდა. ის უბრალოდ იმას იმეორებდა, რასაც უფალი ეუბნებოდა.

სასჯელის გარეშე არავინ არ დარჩება, ვინც ღვთის სიტყვას ისე ეპყრობა, როგორც ადამიანთა სიტყვასა და მოსაზრებას. ჩვენი აზრი და მიდგომა ამჟღავნებს, რომ დაცემული რასის კუთვნილება ვართ. ღვთის სიტყვა საუკუნოდ რჩება და ყოველი ღვთის მიერ თქმული, ჭეშმარიტებაა. ის როგორც განკითხვის სიტყვა, ასევე ხსნის სიტყვაცაა.

აღსანიშნავია ღვთის სიტყვის მოძულეებზე, მისი სასამართლოს მოსვლა. უფალი მათ თავიანთ ნებაზე უშვებს და მდუმარედ რჩება. ისინი კი თავიანთ სიმართლეში უფრო მეტად დაჯერებულნი ხდებიან.

ასეთნი ღვთის სიტყვას, საკუთარი შეხედულებით აძლევენ ადგილს. ასე გონიათ, რომ ღმერთის სიტყვა მუდმივად მათ უნდა მიესადაგებოდეს. ამის გამო მათ მხოლოდ ღვთის მსჯავრი ესმით, როდესაც ღვთის სიტყვასთან აქვთ შეხვედრა. ვერასოდეს ისმენენ უწყებას ჯვრის შესახებ, რომელიც ღვთის ძალაა გადასარჩენად.

რა შეიძლება ჩვენზე ითქვას?

ოდესმე გიფიქრია იმ ფაქტზე, რომ უდიდესი კავშირია ღვთის სიტყვისადმი შენს პირად დამოკიდებულებასა და შენს ცხოვრებაში მის ყოფნას შორის? თუ ღვთის სიტყვის მიმართ ინდიფერენტული ხარ, ისიც ინდიფერენტული იქნება შენს მიმართაც. თუ მისი კითხვისას კრიტიკულად ხარ განწყობილი, ის უფრო მეტად კრიტიკული იქნება შენს მიმართ.

თუ ღვთის სიტყვას გულშემუსვრილი კითხულობ, მაშინ ის თავისი მადლით განკურნავს მას.

ყურადღება მივაქციოთ საკუთარ თავს. როდესაც ღვთის სიტყვას ვისმენთ, ჩვენ მაშინ ცოცხალ ღმერთს ვუსმენთ. იმ დროს წმიდა მიწაზე ვდგავართ.

მოდით ვერწმუნოთ უფალს. მოდით გავითავისოთ ის. ღვთის სიტყვა უმნიშვნელო არ არის. ყველაფერი, ღვთისგან მომდინარე სიტყვაზეა დამოკიდებული.

16 თებერვალი

ეძიებდა ღმერთს (ყუზია) ზაქარიას დღეებში, რომელიც საღვთო ხილვებში იყო განბრძნობილი.

2 ნეშტთა 26:5

ყუზია სულ რაღაც 16 წლის იყო, როდესაც მამა მოუკვდა. მისი სიცოცხლის ადრეულ წლებში მეფედ გახდომა, ნამდვილად მძიმე ტვირთი იყო მისთვის. მაგრამ ყუზია წარმატებული იყო. მას თავმდაბლობა არ აკლდა, რომ ესმინა ზაქარია მღვდლისათვის, რომელიც მას უპირველესად მიძღვნილ ცხოვრებაზე ასწავლიდა.

ღმერთმა ადამიანები გამოიყენა იმისათვის, რომ მე ღვთისმოშიში ცხოვრება დამეწყო. არ ვიცი დღეს სად ვიქნებოდი, რომ არა ადამიანები, რომელნიც ჩემს მიმართ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ. მათ ხელი ჩამჭიდეს და საკუთარი ცხოვრების საიდუმლოებრივ სიმდიდრეს მაზიარეს.

საშიში რამ არის, როდესაც სულიერი ცხოვრებისათვის დირექტივის მომცემს ვკარგავთ. ეს ყუზიასთვისაც საშიში იყო და შენთვისაც საშიშია. ის ზაქარიას სიკვდილის შემდგომ, სულ სხვა პიროვნებად იქცა. თუ მანამდე ღმერთი მიაჩნდა ამაღლებულად, ახლა თავის თავს დაუწყო ამაღლება.

რა გემართება მაშინ, როდესაც მშობლებს ან სულიერ ზედამხედველს, რომლის მიმართაც პასუხისმგებელი ხარ კარგავ?

ამ დროს უდიდესი კითხვა ჩნდება, თუ გრჩება შეგნებაში ის ფაქტი, რომ ის უფალია და შენ მის წინაშე აგებ პასუხს. შენ მას უნდა ჩააბარო ანგარიში.

სხვისი ღვთისმოსაობით დიდხანს ვერ იცხოვრებ. მოდის დღე, როდესაც ღმერთი ყოველ ადამიანურ უზრუნველყოფას განგაშორებს. მაშინ შენი რწმენა იქნება გამოცდილი.

შენ იესოსთან პირდაპირი და პირადი ურთიერთობა უნდა გქონდეს. თუ არა, დიდხანს ვერ გაძლებ და გამოცდის ჟამს განდგები.

როდესაც ზაქარია მოკვდა, ყუზიას შეეძლო უფალთან ღრმა ურთიერთობასა და ნდობაში შესულიყო. როცა მან დირექტივის მიმცემი დაკარგა, უფალს შეეძლო მისი მრჩეველი გამხდარიყო. მაგრამ მან ეს არ ისურვა და ცხოვრების წარმართვა საკუთარ თავზე აიღო.

როდესაც შენი სულიერი დამრიგებელნი კვდებიან, მაშინ შენ გზის გასაყარზე დგები, სადაც უფლის თვალია შენდამი მოპყრობილი. რომელ მიმართულებას აირჩევ? შენით დაიწყებ მოქმედებას თუ უფლის ძიებას დაიწყებ? გინდა ყველაფერზე მისგან მიიღო რჩევა და მან გიწინამძღვროს?

17 თებერვალი

...ვინც ხორციელად იტანჯა წყვეტს ცოდვის ჩადენას.

1პეტრე 4:1

მკაცრი ფიზიკური ტანჯვა ადამიანს ცვლის. ისე ჩანს თითქოს, სხვა დანარჩენნი განსხვავებულ სამყაროში ცხოვრობს. ამ დროს კაცი უცნაურად და მიტოვებულად გრძნობს თავს. ირგვლივ მყოფები ინტერესს გამოხატავენ მის მიმართ, მაგრამ თავად ტანჯულს თავში მხოლოდ ერთი რამ უტრიალებს, როგორ დააღწიოს ამ მდგომარეობას თავი. როცა ტანჯვითა ხარ გარემოცული, სხვებსა და სხვების პრობლემას აღარა აქვს შენში ადგილი. ამ დროს კაცი ფიქრობს, რომ სადარდებელი საკმარისად აქვს. საშიშროება კი იმაშია, ამ შემთხვევაში ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავითაა გარემოცული. ასეთი კაცი იმდენად უბედურდება, თავს იობის სიტყვების შესაბამისად გრძნობს: „სული ჩემი მოგუდვას და სიკვდილს ამჯობინებს — ვიდრე ჩემს ძვლებში ყოფნას“ (იობ. 7:15).

ტანჯვა ბევრს აბოროტებს, მაგრამ ღმერთს მისი გამოყენება სურს. მას აღთქმის აღსრულება უნდა: „ვინც ხორციელად იტანჯა წყვეტს ცოდვის ჩადენას.“

წუთისოფელი და მისდამი ვნება მიმზიდველობას კარგავს, როდესაც ფიზიკური თუ მენტალური ტანჯვა ჩვენი ცხოვრების ნაწილი ხდება. არის ხალხი, რომელთაც ვერ გაუგიათ ისეთი ადამიანების არსებობა, რომელნიც ყოველგვარი ღვთიური ფიქრის გარეშე მათთვის სასურველს აღწევს. ზოგს მიაჩნია, რომ ღმერთს უნდა მადლობდეს იმის გამო, რომ არანაირი სატანჯველი არ ხვდა წილად. მაგრამ გაიხსენე რას გრძნობდი, როცა სრულფასოვანი ჯანმრთელობა გქონდა. განა შენი გონება ხშირად იმ ფიქრებით არ გავსებდა, რომელიც შენს სულს ძარცვავდა?

ახლა უმწეოდ ხარ. უფრო დიდი საშინელება კი ისაა, რომ გიჭირს სიხარულისა და ღმერთში შვების პოვნა. ქარიშხლის დროს დაბლა მფრინავ ჩიტს წააგავხარ. სული სიმძიმის გამო, მიწასთანაა ახლოს. ტანჯვა შენი გკრავს და გბორკავს.

ღმერთი შენს სიტუაციას შენგან განსხვავებულად ხედავს. მისი შეხედულებით ტანჯვის მეშვეობით ცოდვის ქმნას წყვეტ. ცოდვისადმი სიყვარული დამსხვრეულია. ღვთის სურვილია მისი ნება გაითავისო, თვით შენი სნეულების, ტანჯვისა და უბედურების დროს, საკუთარი თავი უფლის ხელს გადასცე და სრულად მისცე მას უფლება, რომ შენზე იზრუნოს.

გატეხილი და დათგრუნვილი ქრისტიანი სხვა ადამიანთა თვალში ფასეული არაა, მაგრამ ღვთის წინაშეა მოსაწონი. შენმა ტანჯვამ ბორკილი ბორკილზე დაამსხვრია და ქვეყნიერებამ თავისი იძულებითი ძალა, შენზე სრულად დაკარგა. იმავდროს კავშირი შენსა და უფალს შორის უფრო განმტკიცდა. ამას შეიძლება ვერ გრძნობ, მაგრამ ღვთის სიტყვა ამბობს, რომ ეს ასეა. „ვინც ხორციელად იტანჯა წყვეტს ცოდვის ჩადენას.“

18 თებერვალი

ტროფიმოსი ავადმყოფი დავტოვე მილეტში.

2 ტიმოთე 4:20

რატომ არ განკურნა პავლემ ტროფიმოსი? მას ხომ განკურნებათა ნიჭი ჰქონდა და მისთვის ადვილი იყო ტროფიმოსისთვის ხელი დაესხა, რათა სნეულების სარეცლიდან წამომდგარიყო.

პავლეს ტროფიმოსის რომში წაყვანა სურდა, მაგრამ ღმერთს სულ სხვა რამ უნდოდა მისთვის. პავლე მის ნებას დაჰყვა. სულ ისე არ ხდება, რომ ღვთის თანა-მსახურნი იკურნებოდნენ, ვინაიდან ღმერთი სნეულებათა მქონე მსახურებს საჭიროებს.

ჩვენ ავადმყოფობა და სისუსტე დაბრკოლებად მიგვაჩნია, მაგრამ ღვთისათვის ეს ასე არაა. თავს დამცირებულად ვგრძნობთ, როდესაც სხვისი ზრუნვის ობიექტი ვართ და საკუთარ თავზე ზრუნვა არ შეგვიძლია. ვფიქრობთ, ღმერთს ისეთი საკრებულო ჭირდება, რომლის მახასიათებელიც ერთმანეთზე საერთო მზრუნველობაა. ძნელია დახმარების მიმღების პოზიციაში ყოფნა. პავლე ამ ამოცანის შესასრულებლად ტროფიმოსს მილეტში ტოვებს.

ტროფიმოსისათვის დარჩენა ძნელი იქნებოდა, რადგან მთელი არსებით პავლეს გაყოლა სურდა. მან იცოდა, რომ ის პავლეს ჭირდებოდა და მას განცდილი ჰქონდა კურთხევა, რაც უფლის ერთგული მსახურის გვერდში ყოფნით მოდის.

როდესაც მილეტის ნავსადგურიდან გემი დაიძრა, ტროფიმოსის გული შუაზე გაიგლიჯა. იმ დღეს უკანასკნელად ნახენ ერთმანეთი. ორივე უფლის მსახურებაში იყო. პავლე რომისკენ გაეშურა, რათა თავისი სიკვდილით განედიდებინა იესო. ხოლო ტროფიმოსი მილეტში დარჩა, რათა თავისი სნეულებით ედიდებინა უფალი.

არ შეგიძლია ღმერთს გაუგო, როდესაც მძიმე ტვირთს გადებს. ადვილია იგალობო: „მომეცი და შეიწირე შენი სურვილისამებრ!“ მაგრამ ძნელია, როდესაც ღმერთი უშუალოდ თავისი სურვილისამებრ გექცევა. უფლისმიერი დისციპლინა ზრდის განუყოფელი ნაწილია, რაც მეტად მნიშვნელოვანია. ის ღვთის სიყვარულთან პირდაპირ კავშირშია. „ვინაიდან უფალი მათ წრთვნის ვინც უყვარს და სჯის ყოველ ძეს, ვისაც ღებულობს“ (ებრ. 12:6).

თუ ძირს დაეშვი და დამცირდი, უფალი მოთმინებასა და თაშეკავებას ყოველი ამ სიძნელით გასწავლის. ამის შემდეგ ის იესოსადმი ღრმა მინდობაში შეგიყვანს. ესაა ნამდვილი ქრისტიანობა, რომელიც ყველაზე მეტად იესოზეა დამოკიდებული და რომელიც იესოს ხატებას აირეკლავს.

19 თებერვალი

ღმერთმა თავისი მხოლოდშობილი ძე მოავლინა ქვეყნიერებაზე, რათა მის მიერ ვიცოცხლოთ.

1 იოანე 4:9

ქრისტიანი იესოთი უნდა ცოცხლობდეს.

ბევრს ეს ავიწყდება. მათ ახსოვთ, რომ გადარჩენა მისით მიიღეს, მაგრამ შემდგომ ამისა ისინი ქრისტიანად ყოფნის ვალდებულებებით ხდებიან დაკავებული. როცა გონება და ფიქრი ამითაა სავსე, სიტყვა და შეხედულება შესაძლოა სწორი იყოს, მაგრამ იესო აღარაა ჩვენი გულის ცენტრი.

ისე როგორც შენი სხეული ყოველდღიური პურით ცოცხლობს, ასევე სული შენი იესოს ძალით. პური შენს სხეულს ძალას და სიცოცხლეს ანიჭებს, ხოლო იესო შენს გულს, რაც მას სჭირდება.

მრავალი ქრისტიანი გადაღლილია და ეს გასაკვირი არაა. სხვანაირად, როგორ შეიძლება იყოს? წუთისოფლის სულით და მასზე ფიქრით დაბინძურებული ვართ. ყოველი ინდივიდი უფრო და უფრო საკუთარი თავის ირგვლივ ტრიალებს. საკუთარი თავის პოვნა კი ცხოვრების მთავარ მიზნად იქცა.

ქრისტიანობისათვის იესოა მთავარი ცენტრი. ის ჩემს შესახებ კი არა, მის შესახებაა.

თუ საკუთარი სიცოცხლის წყაროებისაკენ გაეშურებით, უფრო გულდამძიმებული შეიქნებით. ვინაიდან აღმოაჩენთ, რომ ბევრი არაფერი გაქვთ მისგან ამოსაღები. დროდადრო ისინი საერთოდ შრება. სულ სხვაა, თუ იესოს მიმართავ. სიცოცხლის მდინარე იხეთქებს მისგან. თუ მისგან შესვამ, მაშინ შენი შინაგანი კაციდან ცოცხალი წყლის ნაკადები იდინებს.

ჩვენ იესოთი გვმართებს სიცოცხლე. ჩვენ მისი ძალით უნდა ვიცხოვროთ.

შენი ვალია, რასაც სიტყვა ამბობს ყოველივე ირწმუნო. ცოცხალი რწმენა მისი დაჯერებიდან მოდის. ის მას ეჭიდება და არ შორდება.

ღმერთის სიტყვა ამბობს, რომ იესო ჩემი სიმართლეა. ეს სიმართლე კი შეურყეველი და დაუმარცხებელია.

ღმერთის სიტყვა ამბობს, რომ იესო ჩემი გამოსყიდვაა. ამიერიდან მე გამოსყიდული ვარ ყოველივე იმისაგან, რაც მბორკავდა და მაბრკოლებდა.

იესო ჩემი სიწმინდეა. ამიტომ მე წმიდა ვარ, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თავს ცოდვილად და უწმინდურად ვგრძნობ.

ღმერთის სურვილია იმით იცხოვრო, რასაც იესოში წარმოადგენ. ესაა გზა სიუხვით აღსავსე სიცოცხლისკენ.

20 თებერვალი

მღვდელმთავრებმა ლაზარეს მოკვლაც გადაწყვიტეს.

იოანე 12:10

ლაზარე იესოს ღვთაებრივი ძალის მოწმე იყო. ის ამტკიცებდა, რომ ღმერთი იესოს მხარეს იდგა. იესოს სიტყვები ლიტონი ნამდვილად არ იყო, როცა თქვა, „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე.“

სატანასა და მის მსახურთ მუდმივად სურთ იესოს მოწმობის შეჩერება. ეს მაშინ მოხდება თუ მოწმეს დაადუმებენ. სწორედ ამის გამო სურდათ ლაზარეს მოკვდინება.

თითოეული ღვთის შვილი, იესოს გადამრჩენელი ძალის ცოცხალი მოწმეა. როგორც იცი ის სიკვდილიდან სიცოცხლეში იქნა გადაყვანილი, სატანის ძალაუფლებიდან ღმერთში. ამიტომაა, რომ სატანა ყოველ ქრისტიანს თავის მტრად მიიჩნევს.

დრო და დრო სატანური თავდასხმა პირდაპირ დევნაში გადადის. დღესაც არსებობენ ისეთი ქრისტიანები, რომელთა თანა-პატიმრებად თავი უნდა მივიჩნიოთ. ღვთის ხალხისათვის დიდი სიძნელეებია სამომავლოდ შენახული. ღმერთის სიტყვა ამბობს ასე. იესოს მოვლინების წინ ის დრო განმეორდება, რაც მოციქულთა ეპოქაში იყო.

სატანა ძალადობას მიმართავს. ზოგი შეშინდება. მაგრამ ბოროტი ასეთი პრობლემების გაჩენით იმოქმედებს. ძველი თქმულება ამბობს, ‘ეკლესიის თესლი წამებულთა სისხლია.’ ეს მუდამ ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება.

ამიტომ სატანა განსხვავებულ გზას მიმართავს. ის იესოს მოკვლას შენს გულში ცდილობს. თუ წარმატებას ვერ მიაღწევს, მაშინ სხვა გზით იმოქმედებს. საშუალებები მისთვის არაფერს არ ნიშნავს, თუ ის მათ მიზნამდე მიყავს. მანამ ვიდრე სატანა პიროვნებაზე უფლობს, მისი ქონება მშვიდად განისვენებს. ეს მშვიდობა საგანგაშოა, ვინაიდან ის საცდუნებლადაა. ის სიკვდილის მშვიდობაა, რომელიც ჯოჯოხეთს ეკუთვნის.

თუ სატანა მსხვერპლს კარგავს, მაშინ ის შეტევაზე გადადის. იესო თავის მოწაფეებზე ამბობს, რომ სატანამ მათი გაცხრილვა ითხოვა. ამის კეთება სატანას არ შეუწყვეტია. მისი სურვილია დანაკარგი უკან დაიბრუნოს.

შენი ძალით არაფრის კეთება არ შეგიძლია. დარჩი იესოსთან ახლოს. იცხოვრე მის ხსნაში. მისი სიტყვა გამოიყენე. იხარე მის გამარჯვებაში.

შემდგომ ამისა შენ რწმენის ფარს აიღებ, რომლითაც ბოროტის ნებისმიერ გავარვარებულ ისარს ჩაახშობ. სატანას არ მიეცემა არანაირი საშუალება, რომ ფატალური ჭრილობა მოგაყენოს. მაგრამ თუ მოხდა და სიცოხლე დაკარგე, შენ იცი, რომ სული შენი იესოს ეკუთვნის.

21 თებერვალი

ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, ის ჩემი მოყვარულია.

იოანე 14:21

იესოსადმი სიყვარული ორი გზით გამოიხატება: პირველი, შენ მისი მცნებები გაქვს, მეორე, მათ ემორჩილები.

სიყვარული, მუდმივად საყვარელი ადამიანის სიტყვებს ეფუძნება. მისგან გამოგზავნილი წერილი, რამოდენიმეჯერ არის წაკითხული. ის ისეთ უწყებას შეიცავს, რაც წერილის მიმღებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

ასეა იესოს სიტყვების მიმართაც. ის მთელი ბიბლიის უკან დგას და ამრიგად მისი სიტყვები უაღრესად ფასეულია მისთვის, ვინც მასზეა შეყვარებული. ის ხელშეუხებელი ინვესტიცია როდია. არა, ქრისტიანს მისგან დრო და დრო გამოაქვს. როცა კითხულობ და ისმენ, უნდა ილოცო: უფალო დამეხმარე შენი სიტყვის მიღებაში!

თუ სიტყვა ჩასაჭიდებლად არ მექნება, რწმენა მომიკვდება. რწმენა სიტყვით ცოცხლობს. თუ სიტყვა არ მიიღო მოკვდება. ხოლო თუ ღვთის სიტყვიდან ის ნოყიერად იკვებება, მაშინ ჯანმრთელი და ძლიერი ხდება.

ჩათვალე, რომ ღვთის სიტყვა არ გაქვს, თუ მას არ იყენებ. ამიტომ სიტყვიდან უნდა იკვებო შენ. თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ იესოს სიყვარული შენთვის ცარიელი სიტყვები ყოფილა.

პირველად ის უნდა ისმინო, მეორე კი შეასრულო.

მოსმენა და მისი შენახვა საკითხის ერთი ასპექტია. ხოლო მეორეა მისი რწმენა. აშენდი მტკიცე კლდეზე. დაე ღვთის სიტყვა გახდეს შენი ცხოვრების ფუნდამენტი. სხვების შეხედულებებსა და აზრებს ყურადღებას ნუ მიაქცევ. ადამიანური დახმარება და მითითებები საკმარი არ არის. სულ სხვაა, რასაც ღმერთი ამბობს. მისი ნათქვამი საუკუნოდ რჩება. თუ სიტყვა იესოს მორწმუნეს სრულ და მთლიან გადარჩენას აღუთქვამს, დაჯერებული იყავი იმაში, რომ ის უკვე დასრულებული საქმეა. შეუძლებელია სიტყვის დამცველი იყო, თუ ღმერთის აღთქმების არ გჯერავს.

შენ გონებას არ შეუძლია იმის წარმოდგენა, თუ რაოდენ დიდია ქრისტიანის პრივილეგია. მაგრამ შენ მისი რწმენა შეგიძლია, ვინაიდან ღმერთია ის, რომელმაც ის თქვა.

დასაჯერებელია ასევე ყოველივე, რაც იესომ მიწაზე სიცოცხლის შესახებ თქვა.

გაითავისე ღვთის სიტყვა. თუ ამას არ გააკეთებ, იესოს მოყვარული ვერ იქნები. მან ეს თავის ღვთაებრივი ძალაუფლებით თქვა. მოდით მას ვუსმინოთ, გავყვეთ და გვიყვარდეს ის.

22 თებერვალი

ვინაიდან ქრისტეა რჯულის დასასრული ყოველი მორწმუნის გასამართლებლად.

რომაელთა 10:4

მანამ ვიდრე საკუთარი სიმართლითა ხარ გარემოცული, შეუძლებელია საჩუქრად მოცემული სიმართლისადმი სათნო იყო. ამაოდ ცდილობ ხელი ჩასჭიდო იმას, რაც სინამდვილეში არ არსებობს. ამის გამო იესოს მიერ მოცემული ნიჭის მიღება არ შეგიძლია.

ყველაფერი ცვლილებას დაექვემდებარება, როდესაც საკუთარ მცდელობებს თავს დაანებებ. ეს მაშინ მოხდება, როცა გაათვითცნობიერებ, რომ ყველაფერს, რასაც იქმ, ცოდვითა და ეგოიზმითაა გაბინძურებული. ხანდახან გგონია, რაღაც წმიდა ჰქმენი, მაგრამ გადამოწმების შედეგად ასე არ აღმოჩნდება, რაც უიმედობის, უილაჯობის და დაბნეულობის განცდას იწვევს.

ამ დროს რა უნდა გააკეთო?

შენ იმ სიმართლის ძიებაზე უნდა გადახვიდე, რაც საჩუქრად მოგეცა. რჯულის მორჩილების მეშვეობით იესომ ის შენთვის მოიპოვა. არ დარჩენილა არცერთი რჯულის მოთხოვნა, იესოს რომ არ დაეკმაყოფილებინოს. იესომ ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამიტომ ყველას ვისაც სწამს, ეძლევა სიმართლე. ის თავის სრულყოფილებას გაძლევს, რისი მეშვეობითაც ღვთის წინაშე წარდგომას შეძლებ.

დაბრუნდი იესოსთან! ისაა შენი ნამდვილი სიმართლე. იმაზე მართალი ვერ გახდები, რაც ახლა ხარ. შენ ხარ წმიდა, სუფთა, ძვირფასი და ყოველივეს მფლობელი, რაც მან მოგანიჭა.

ესაა შენი, როგორც ქრისტიანის, ხსნისა და სიცოცხლის საიდუმლოება. გადარჩენილი ცოდვილი, მხოლოდ მადლით ცდილობს ყველაფრის მიღებას. ღმერთის სურვილი არ არის შენ ინტერვალებით იმოქმედო. არა, შენ წყალი ხსნის ჭებიდან უნდა ეზიდო. იესო შენთან მარადიული სიმართლით მოვიდა. ესაა შენი მხოლოდ ერთი და უდიდესი საგანძური.

როცა ამ მოცემულ სიმართლეში მთლიანად ეშვები, ქება-დიდების სიმღერა ძალისმიერად ამოხეთქავს. მაშინ ღვთისადმი მადლიერებით აღარ დაიღლები იმ სიკეთისათვის, რაც მან უკვე მოგცა.

როდესაც სიტყვას კითხულობ, დარწმუნებული ხარ, რომ შენი გადარჩენა მარადიულ და შეუძრავ საძირკველზეა დაფუძნებული. ეს დამტკიცებული ფაქტია და მისი გაბათილება არაფერს არ შეუძლია. ქრისტეს ჭრილობებით შენ მთლიანად გამართლებული ხარ.

თუ შენდამი მოცემული სიმართლის გამო იესოსადმი მუდმივად მადლიერი ხარ, კურთხევა არ დააყოვნებს. ღმერთს დღეს ამისათვის მადლობა უთხარი! იგივე გააკეთე ყოველდღე! და დაე ასე იყოს მარადიულად!

23 თებერვალი

ახალგაზრდები დაემორჩილეთ უხუცესთ.

1 პეტრე 5:5

ღვთის სიტყვის აღსრულებას დიდი კურთხევა მოყვება. დაფიქრდით ბიბლიის ნათქვამ სიტყვებზე, რომელმაც თქვენი ცხოვრების კურსი რადიკალურად შეცვალა. ისინი გახდნენ თქვენი ქცევის მიზეზიც, რომელიც წარსულიდან განსხვავდება. როდესაც სიტყვასთან ქადაგების ან კითხვის მეშვეობით გაქვს შეხება, განა სიხარულით არ გავსებს ის? შენი ცხოვრება უკვე მასთანაა მუდმივ კავშირში. შენ უკვე გამოცდილი გაქვს კურთხევა, რაც ღმერთმა ამ სიტყვებში ჩადო.

იშვიათია, როცა ჩვენი აზრი ღვთისას ეთანხმება. ეს წესი აგრეთვე მაშინაც თავს იჩენს, როცა საკითხი უხუცესთა მორჩილებას ეხება. ხშირად გვეჩვენება, რომ მათი რჩევები ზრდისა და პროგრესის დამაბრკოლებელია.

თუმცა, ასაკოვანი ადამიანებისადმი მორჩილების გამოხატვა, საოცარი მშვიდობის მომტანია. ეს ფაქტი საფუძველს მოკლებული არაა. შენ კურთხეული ხარ და მუდმივად კურთხევაში რჩები, რადგან ღვთის სიტყვას ემორჩილები.

შესაძლებელია პროტესტის გრძნობა გაგიჩნდეს. გეჩვენება უხუცესთა მორჩილება დიდ ფასს ითხოვს. ამ დროს საშიროება ჩნდება იმისა, რომ დაგავიწყდეს თუ შენს საკუთარ გზებს ღვთის გზები, რაოდენ აღემატება. წერილი ამბობს, თუ ღვთისა და ადამიანთა წინაშე თავს დაიმდაბლებ, მაშინ ის თავის დროზე აგამაღლებს.

ჩვენს ცხოვრებაში ასეთ შემთხვევებს ღმერთი არც თუ ისე იშვიათად უშვებს. ჩვენს შორის მრავლადაა ასაკოვანი ადამიანები, რომელნიც წუთისოფლის თვალში დიდები და მნიშვნელოვანნი საერთოდ არ არიან, მაგრამ უფალმა აღამაღლა ისინი. ჩვენ ვინც მათ ვიცნობთ, დარწმუნებული ვართ, რომ ეს ასეა. უფალი მათთან ახლოს სასწაულებრივად არის. ამაზე დიდი პატივი კი შეიძლება იყოს?

ერთი საკითხი კი საორჭოფო ნამდვილად არაა: კაცი რომელიც თავს იმდაბლებს, მარადისობაში ამაღლდება. ღვთის სიტყვა ამბობს ამას.

წარუმატებელმა და ცოდვით აღსავსე წარსულმა, უფლის აღთქმით სიარულში არ უნდა დაგაბრკოლოს. მადლი კვლავ გამაღლებს და შენს ფეხს კურთხევის სამეფო გზაზე სვამს, მაშინ, როდესაც ღვთის სიტყვის მიმდევარი რჩები.

სიტყვა კურთხეული ბნელ წუთისოფელში კაშკაშა ნათელია: „ახალგაზრდები დაემორჩილეთ უხუცესთ.“ მიყევი ამ მითითებას და კურთხეული იქნები!

24 თებერვალი

იესო ქრისტე...მიწიერ მეფეთა მთავარი.

გამოცხადება 1:5

ადამიანები დიდ ყურადღებას აქცევენ თუ რას იტყვის, ამა სოფლის დიდი და ძლიერი ადამიანები. მათი აზრით მილიონთა ბედი ამ ხალხის ხელშია, მაგრამ ეს ასე არაა.

არის ერთი, რომელიც მეფეთა მეფე და უფალთა უფალია. იესოა ის ერთი.

დედამიწის განვითარება მისით წყდება. საკმარისი არაა ვთქვათ, რომ ის ამაში უბრალოდ ჩართულია. არა, მის გარეშე საერთოდ არაფერი არ ხდება.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ღმერთი ომებიდან, უბედურებიდან და ჭირით გამოწვეულ ქაოსს განსჯის.

სატანა ცდილობს დაგვაჯეროს, რომ ცოდვას შედეგები არ მოჰყვება. გარეგნულად არაფერი ხდება, როდესაც ადამიანები თავისუფლად მიდიან ღვთის წინააღმდეგ და ადგილს აძლევენ დაცინვას, შეურაცხყოფასა და ზიზღს.

მაგრამ არ დაიჯერო მისი. ის ცრუა. ის თავიდანვე ასეთი იყო და ცეცხლის ტბაში ჩაგდებაბდე ასეთი დარჩება. მხოლოდ მაშინ გააცნობიერებს ყოველი, თუ რა მაცდური ძალა ჰქონდა მის ტყუილებს.

იესო მსაჯულია.

მან ეს ერთხელ მაშინ გააკეთა, როდესაც საბლის შოლტი აიღო და მოვაჭრენი ტაძრიდან გამოყარა. მას არ შეეძლო იმის დათმენა, რომ მამის სახლი ასე იყო გაბინძურებული.

იესომ გაასამართლა იერუსალიმი, როდესაც მომავალმა იმპერატორმა ტიტემ ქალაქს ალყა, მიწის ზვინულით შემოარტყა.

იესომ მე-20 საუკუნე ორი მსოფლიო ომის დაშვებით გაასამართლა, რომელთაც ძველ ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი ქაოსი გამოიწვია. ახლა უკვე მრავალი წელია, რაც მშვიდობა მკვიდრობს. მაგრამ ამ მდგომარეობამ არ უნდა აფიქრებინოს არცერთ მორწმუნეს, რომ უფლის სასამართლო და რისხვა დასრულებულია. ის არ დააყოვნებს. ღმერთი წმიდა ღმერთია. მან თქვა, „კაცი იმას მოიმკის, რასაც თესავს.“

აბრაჰამმა სოდომისა და გომორის შეწყალებისათვის ილოცა. ჩვენც იგივეს გაკეთება გვმართებს. ჩვენდა გასაოცრად ვიხილავთ, რომ იესო თავის რისხვას შეაკავებს. მეორეს მხრივ კი უნდა ვიცოდეთ, რომ ის აუცილებლად მაინც მოვა. ხალხს შიშით გული შეუწუხდება. დიდი ადამიანებიც კი ვერ აცდებიან მას. იესო მოსამართლეა და ის მიწის ყოველ მთავარზე მეფობს.

25 თებერვალი

ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით.
1კორინთელთა 6:20

კორინთოს საკრებულოს ზოგიერთ წევრს, ცოდვისადმი არასწორი დამოკიდებულება ჰქონდა. თავიდან აზრს კონტროლს უწევდნენ. მოგვიანებით კი საკუთარ სხეულზე თავად გამეფდნენ.

თუ ძველი კაცი აიღებს მმართველობას, მაშინ ის ქრისტიანს აუცილებლად ცოდვასა და უბედურებაში ჩააგდებს. მნიშვნელოვანია მუდმივად გვახსოვდეს, რომ ქრისტიანში ისე, როგორც არა ქრისტიანში, ხორცის ბუნება იგივეა. ჩვენი ძველი კაცი წმიდა ვერასოდეს გახდება. მთელი ჩვენი ცხოვრება მისი მოკვდინებით უნდა დავკავდეთ. ეს კი ყოველდღიური მონანიებით ხორციელდება.

ცოდვისადმი არასწორი დამოკიდებულება პირდაპირ კავშირშია, მადლთან მიმართების არასწორ დამოკიდებულებასთან. ძველ კაცს არ სურს მადლის მიმართ ვალში ყოფნა. ის ცდილობს, როგორმე სხვა რამით დაგაინტერესოს. ხშირ შემთხვევაში წარმატებასაც აღწევს. ამ დროს სახარება დისტანცირებული, არარეალური და მხოლოდ თეორიად რჩება. გამოცდას ვერ უძლებ, რადგან სუსტი ხარ.

როდესაც ღმერთს შენი ცოდვიდან გამოყვანა უნდა, ის იმ ფაქტს შეგახსენებს, რომ შენ შეძენელი ხარ და ფასია შენთვის გადახდილი. ღმერთი შენ უკეთ გიცნობს, ვიდრე საკუთარი თავი. ცოდვისადმი ზიზღი უფრო ძლიერდება, როდესაც უყურებ თუ რა ტანჯვა გადაიტანა მხსნელმა შენთვის, რათა ცოდვის ბორკილები დაემსხვრია. ამ დროს შიში გიპყრობს და უფალს კითხვით მიმართავ: იესო, ნუთუ ჩემი ცოდვის გამო მართლა ამხელა საფასურის გადახდა მოგიწია?

დიახ მოუწია. აი რატომ არ უნდა ვცოდოთ. ცოდვამ შენი მხსნელი ღვთისმიერ უარყოფის ბნელეთთან მიიყვანა. ცოდვას გზა აღარ უნდა გაუხსნა, რადგან იესომ მისთვის ფასი გადაიხადა. მან მისგან გამოგისყიდა. ამის გამო მის მონად ყოფნა აღარ გმართებს.

იესომ ღვთის სადიდებლად აღასრულა ეს გამოსყიდვა.

როდესაც იესოს მიერ გაღებულ ფასს არ ივიწყებ, შინაგანში წმიდა გრძნობა გეუფლება, რომ მას ყველაფერში მიაგო პატივი. აღარ გინდა, რომ შენს ცხოვრებაში ისეთი სფერო დარჩეს, რომელზეც მას უფლობა არ ექნება. თუ მან გიყიდა, მაშინ ის უნდა იყოს შენზე პასუხისმგებელი. ამიტომ შენი სხეულითაც პატივი მიაგე უფალს, იესოს!

26 თებერვალი

ამიტომ ძალუძს სრულად გადაარჩინოს ყველა, ვინც მისი შუამდგომლობით მიეახლება ღმერთს.

ებრაელთა 7:25

რატომაა ასე ძნელად დასაჯერებელი, რომ მე ნამდვილად დახსნილი ვარ? ჩემი მერყევი ქრისტიანული ცხოვრება ამ საკითხში უწყვეტლივ მდებს ბრალს. ნუთუ ღვთის შვილად ყოფნა იმ მდგომარეობით შემიძლია, როგორშიც ვარ? ნუთუ შემიძლია ხელახლა შობილ პიროვნებად დავრჩე, როდესაც ჩემში არსებული ახალი სიცოცხლიდან ასე მცირე ძალას ვგრძნობ?

რამოდენიმეჯერ საკუთარი თავი საკითხების შესაცვლელად განვაწყვე. საკუთარი გზების გაკვალვაც შევეცადე. თუმცა რაიმე ძირეულ ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. გადაწყვეტილებიდან მცირე ხნით მეჩვენებოდა, რომ უკეთესობისაკენ მიდიოდა საქმე. მაგრამ სულ მალე ყველაფერი, ისევ პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდებოდა.

ამავე დროს მე ვიცნობ ქრისტიანებს, რომელთაც საკუთარი პროგრესისა და გამარჯვების შესახებ ბევრი შეუძლიათ ილაპარაკონ. ამიტომ წარმოიშვება კითხვა: ნამდვილად ვარ ღვთის შვილი?

დიახ, მრავალი წრფელი ქრისტიანი სვამს ამ კითხვას. არასწორი აზროვნების გამო მათთვის წმიდა ბიბლიური შეხედულებანი ნათელი არ არის, თუ სინამდვილეში რას ნიშნავს იესოს კუთვნილებად ყოფნა.

ღვთის საქმე დასრულებულია. ადამიანთა უმრავლესობა ამ საკითხს ეთანხმება. ღვთისა და მისი საქმის მიმართ არანაირი შენიშვნა არ გვაქვს, მაგრამ პრობლემა ჩვენს ქმედებაშია.

საოცარი ის არის, რომ უფალმა არა მარტო თავისი, არამედ შენი გასაკეთებელიც აღასრულა. ამიტომ საქმე აღარაფერი აღარ დაგრჩა.

ღვთის სიტყვა ამბობს, რომ იესო სრულად და მთლიანად იხსნის. ნაწილობრივი გადარჩენა მისგან არ ხდება.

სიმართლეა ისიც, რომ ჩვენს ირგვლიც ყველაფერი არასწორად მიდის, როდესაც საკუთარ თავს ჭეშმარიტების სინათლის გამჭოლი თვალით ვხედავთ. ისიც ფაქტია, რასაც იესო ხელით ეხება ყველაფერი წარმატებული ხდება. რა უნდოდა მას? მისი სურვილი იყო ცოდვილთათვის, მარადიული და სრულყოფილი ხსნა გამხდარიყო. და ეს ასეც მოხდა. ღმერთმა ის სამარხიდან აღადგინა. ამით მამამ გააცხადა, რომ იესოს საქმე სრულყოფილებაში მოვიდა.

სისუსტის ჟამს თუ მასთან მიირბენ, მისი მფლობელი ხარ. ის თავდებად გიდგება. ამიტომ გაბედულად შეგიძლია თავი აწიო და თქვა: მე დახსნილი ვარ. იესომ სრულად და მთლიანად გადამარჩინა!

27 თებერვალი

თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის ერთგული და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და გაგვწმენდს ყოველგვარი უმართლობისაგან.

1 იოანე 1:9

რატომ უჭირთ ცოდვის აღიარება?

მთავარი მიზეზი ამისა ცოდვის გააზრების ნაკლოვანებაა. თუ ცოდვას ცოდვად ვერ ცნობ, მაშინ აზრი არა აქვს მის აღიარებასაც. შეცდომები შეიძლება გამოსწორდეს. ის რაც არ გამოგივიდა, შეიძლება სხვა დროს გააკეთო. ამიტომ შეცდომების და დეფექტების გამოსწორება სრულიად შესაძლებელია.

ძირითადად თვით-სიმართლეა, ვინც ცოდვის გამართლებას ცდილობს. სიტყვა ცოდვა თავზარდამცემი სიტყვაა. ის თვით-სიმართლეს ანადგურებს. ამიტომ მტერი ცდილობს მის სანაცვლოდ სხვა სიტყვა აგარჩევინოს. ამით ის, ღმერთთან ურთიერთობის დალაგებაში გიშლის ხელს.

შეუძლებელია იმ ცოდვიდან განთავისუფლება, რომელიც არ გაგიაზრებია და ამ მიზეზის გამო არ გიღიარებია. ამიტომ თუ პიროვნებას საკუთარი თავისთვის ვერ უშველია, სხვას დახმარებას ვერ გაუწევს.

სამაგალითოდ მრავალი ნომინალური ქრისტიანი გამოდგება. მათ გამოსყიდვა არ მიუღიათ, რადგან იესო ქრისტეს სისხლს ნებას არ რთავენ, რომ განწმენდილ იქნან. ამაო მცდელობების გამო ისინი ერთ ადგილს ტკეპნიან. მათ მადლით მინიჭებული სიხარული არ იცინიან და საკუთარ თავს უფლისგან დალოცვილად არ მიიჩნევენ.

თუ შენც ერთი იმათგანი ხარ, გამოსავალი მხოლოდ ერთია. ღვთის სიტყვის ნათელში შესვლა. იქ ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. იქ ყველაფრის გარკვევაა შესაძლებელი.

ამ დროს, არა მარტო ცუდი საქმეები და მოტივები გამჟღავნდება, არამედ თვით გონების ფარულ დერეფნებში არსებული, მალული ცოდვებიც კი იქნება სინათლეზე გამოტანილი. შენ ცოდვის აღიარებას იწყებ. დუმილს აღარ აპირებ. შენთვის აუცილებლობა ხდება, ღმერთს მთელი სიმართლე უთხრა. გულის სიღრმიდან მსგავსი ლოცვა იფეთქებს, „ღმერთო, იყავ მოწყალე ჩემდამი, ცოდვილის მიმართ!“

ამ მდგომარეობაში შენ უფლება გეძლევა ისმინო უფლის ძვირფასი სიტყვა. მის სიმართლეზე დაყრდნობით ის შენს დარწმუნებას იწყებს, რომ შენ ნაპატიები და ყოველი უმართლობისაგან განწმენდილი ხარ. ღმერთი იესოს ვერასოდეს დაივიწყებს. ცოდვა შენი აღებულ იქნა და სასჯელი შენი გამოსყიდული. ეს სიკეთე კი ასე იქნება დღეს, ხვალ და საუკუნოდ.

28 თებერვალი

იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი და გულით თავმდაბალი ვარ და ჰპოვებთ თქვენი სულის სიმშვიდეს.

მათე 11:29

იესო ამბობს, რომ მისი უღელი სასიამოვნოა. ჩვენ ეს გვესმის. მაგრამ ძნელია იმის გაგება, რომ მისი ტვირთიც მსუბუქია. მაგრამ ესეც ასეა.

თუ თანახმა ხარ მისგან ისწავლო, მაშინ მისი ტვირთის ქვეშ ექცევი. იმავდროს ცხოვრებაში გეძლევა ისეთი რამ, რაც ამ ტვირთს ამსუბუქებს.

იესოსგან ისწავლო თვინიერება და თავმდაბლობა, ტვირთია.

ამ წუთისოფელში შენ აღზრდილი ხარ, რომ შენი მოვალეობა შეასრულო და შენი უფლებები მოითხოვო. მაგრამ იესოს ასე არ გაუკეთებია. ის მთლიანად მოწოდებაში შევიდა, რომელიც მამამ მას მიანდო და მან ის აღასრულა. მიუხედავად ამისა, მას მისი უფლებები არ მოუთხოვია. მოცემული უფლებები მან მამას მიუძღვნა.

ცოდვით დაცემულ ქვეყანაზე მრავალი უსამართლობაა. ქრისტიანი კი მისგან თავის კუთვნილს იღებს. ჩვენ ბუნებრივი გამოხმაურება პროტესტია.

იესოს ეს ასე არ გაუკეთებია. მღვდელმთავრის მსახური კი ამხილა, მაგრამ მას სამართლიანად მაინც არ მოექცნენ. ის სხვების ტვირთის შესამსუბუქებლად მის ბოლო წუთამდე მოქმედებდა. ყოველ პიროვნებაში ის ძმას ხედავდა და მათ ჭეშმარიტების გზაზე დაყენებას ცდილობდა. როცა მღვდელმთავრის მსახურმა მას უმიზეზოთ სახეში გააწნა, მისი შეჩერება ისევ მისდა სასარგებლოდ მოუწია.

ისე ჩანდა, თითქოს უმართლობამ იმძლავრა, მაგრამ სინამდვილეში არა. ღმერთი მთელი კაცობრიობის მსაჯულია და სანამ ის ბოლო სიტყვას არ იტყვის არაფერი არ ხდება.

ღვთის შვილს მოლოდინისათვის დრო აქვს მიცემული. ის ყოველივე მომხდარს ღვთის ხელს რწმენით გადასცემს. მის მსგავსად არავინ არ იქცევა. მან სრულყოფილად იცის ყველაფერი. მის თვალთა წინაშე არაფერია დაფარული და დამალული.

ღმერთმა შენი გულიც იცის. შესაძლოა შენი ხელებიც არაა ისე სუფთა, როგორც შენ მიგაჩნია. როდესაც საკუთარი თავის დაცვაზე გადავდივართ, უმეტეს შემთხვევაში უმართლოდ განვსჯით.

კარგია, როცა უფლის წინაშე თვინიერებითა და თავმდაბლობით მივდივართ. ასეთი ნაბიჯი მუდამ ღვთისადმი წყალობის თხოვნით სრულდება. მადლის მოპოვებით კი ჩვენი გულისა და გონების შემსუბუქება ხდება. კარგია იესოსგან სწავლა.

29 თებერვალი

...მათ, ვინც ჩვენსავით მიიღო იგივე ძვირფასი რწმენა.

2 პეტრე 1:1

ჩვენი რწმენა ძვირფასია. ის ღვთის მიერ მოცემული დიდებული და ფასეული ნიჭია. ამიტომ მას დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ის დავიცვათ.

არ არსებობს ღვთისადმი იმაზე დიდი პატივის მიგება, ვიდრე მისდამი ნდობა, ისევ მისგან მოცემული რწმენის მეშვეობით. უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავით არ უნდა შევეცადოთ ღვთისადმი პატივის მიგებას. ფაქტიურად არც არაფერი გაგვაჩნია, რომელსაც შეიძლება, რომ ჩვენი საკუთარი ვუწოდოთ. ყველაფერში ღვთის მოვალე ვართ. ის დიადი გამცემია. ჩვენ კი ისინი, ვინც მუდმივად ვიღებთ და ვიღებთ მისგან.

თუ შენთვის ღირებული საგანი სხვას მიეცი, ყურადღებას აქცევ თუ ის ამ საჩუქარს იყენებს. ყოველთვის გახარებს იმის ხილვა, როცა შენგან ნაჩუქარს იყენებენ.

როდესაც ღმერთი შემოგხედავს, უპირველესად შენს ქმედებებს როდი აკვირდება. ის ამჩნევს თუ, როგორ ექცევი მისგან მიღებულ საჩუქარს.

რწმენა ღვთისათვის ძვირფასია, ვინაიდან მას ეს საკუთარი სისხლის ფასად დაუჯდა. მისთვის მსხვერპლი იქნა გაღებული. საკმარისი არ იყო ურიცხვ ხართა და ცხვართა შეწირვა. კრავი უნდა დაკლულიყო. ეს ის კრავი იყო, რომელიც წუთისოფლის შექმნამდე იქნა დადგენილი.

ეს შეწირული კრავი უკუნითი უკუნისამდე იქნება ამაღლებული.

როდესაც ღმერთმა თავისი ძვირფასი რწმენა მოგცა, ეს მან იესოს მოცემით მოგანიჭა. ეს იესო ამაღლებული და სამაგალითო არ ყოფილა. არა, ეს იესო ცოდვისა და დანაშაულის მსხვერპლი იყო.

მისი სისხლი ღვთისათვის ძვირფასია. შენი რწმენაც ძვირფასია, ვინაიდან ეს მისი სისხლის რწმენაა. შენ არასოდეს შეგძლებია საკუთარი თავის უზრუნველყოფა. ეს უშუალოდ უფლისგან მოდის. მისი განუზომელი სიყვარულის გამო, მან ამ ძვირფასი ნიჭის შენთვის გაზიარება ისურვა. მისი სურვილი იყო, რაც მისთვის ძირფასია, შენთვისაც ძვირფასი გამხდარიყო. ღმერთი იესოში მისი სიხარულის თანა-მოზიარესაც გაგხდის.

შენი ამ ძვირფასი რწმენით, ღვთის გულს აამებ. რწმენის მეშვეობით იესო, როგორც ღვთის წინაშე, ისე საუკუნოდ იქნება შენთან.

1 მარტი

და მითხრა ერთმა უხუცესთაგანმა: „ნუ სტირი, აი გაიმარჯვა ლომმა იუდას ტომიდან, დავითის ფესვმა, რათა გახსნას წიგნი და მისი შვიდი ბეჭედი.“ შევხედე და, აჰა, ტახტსა და ოთხ ცოცხალ არსებას შორის და უხუცესებს შორის დგას კრავი, როგორც დაკლული.

გამოცხადება 5:5-6

ერთადერთი შემთხვევა სადაც იოანე ტირის ეს ზეცაა. ღმერთმა ნება დართო მას მაღლა აეყვანა და ეხლილა მომავალი. მან იხილა პერგამენტის მსგავსი წიგნი, რომელიც ღვთის ხსნის გეგმას შეიცავდა. მაგრამ არავის შეეძლო მისი გახსნა. არც ცაში და არც მიწაზე არავინ იყო, რომელიც ღვთის გზისა და ნების გაცხადებას შეძლებდა. აი ამიტომ ატირდა ის.

ერთერთი უხუცესთაგანი მას დაეხმარა, რომ ყურადღება დაკლული კრავისაკენ გადაეტანა. მისი სიტყვით ის იყო ღირსი ამისა, რაც იოანეს დავიწყებული ჰქონდა. ახლა მისი მზერა მთლიანად მის მიმართ გადავიდა, რომელიც მუდმივად იქ იყო.

შენც იოანესავით ხომ არა ხარ? თუ ხარ დაკვირვებული, როგორი სტრესი მოდის, როდესაც ყურადღება ცხოვრებისეულ სიძნელეებსა და პრობლემებზე გადაგაქვს ნაცვლად იმისა, ვინც მუდმივად შენთანაა და წერილებს გიხსნის?

დიახ, ჭეშმარიტებაა ის, რომ ღმერთი ამ ცხოვრებაშივე ყოველ ცრემლს ჩვენი თვალებიდან გვწმენდს. ეს მაშინ ხდება, როდესაც დაკლული კრავის ხილვის უფლება გვეძლევა. მაშინ ჩვენ გამოსყიდვის მტკიცებულებას ვხედავთ. ის ღვთის მიერ იყო გატანჯული, დაჭრილი და დასნეულებული. ეს ჩემი უკეთურებისათვის შეემთხვა. ყოველ ჟამს ღმერთი თავისი ხსნის სიმდიდრეს აცხადებს, როგორც მადლის მზეს, რაც ყოველივეს ნათელს ჰფენს.

რატომღაც გვჯერა, თითქოს ღვთიური დახმარება ეს, რაღაც ახალი მოვლენაა. მაგრამ არასწორია. იესოში მან ყოველივე ახალი ქმნა. ჩვენი მთავარი საჭიროებაა, რომ თვალი აგვეხილოს, რათა ჩვენთან ახლო მყოფი კრავის ხილვა შევძლოთ. იესო ჩვენთან ახლოს უნდა მოვიდეს. ის ჩვენს შორისაა. ის ჩვენს ცოდვით დაცემულ ქყეყანაში მსჯავრის დასადებად კი არა, არამედ თავისი სისხლით ჩვენს განსაწმედად შემოვიდა.

თქვენ არ მოგიპოვებიათ გამარჯვება და მას თქვენით ვერასოდეს მიაღწევთ. მიუხედავად ამისა გამარჯვება მაინც შენია. როცა იესო ირწმუნე, იუდას ლომის მოპოვებული გამარჯვების თანა-მონაწილე გახდი.

აღარაა მიზეზი ტირილისა. იესომ გაიმარჯვა. ამაში ის თავისი სიტყვით გვარწმუნებს. ამიტომ ჯერ კიდევ აქ, დაბლა მიწაზე, უნდა ვუგალობოთ კრავს ქებისა და დიდების საგალობელი.

2 ივნისი

მან შეუნარჩუნა სიცოცხლე ჩვენს სულს და ფეხი ჩვენი დაიცვა წაბორძიკებისაგან.

ფსალმუნი 66:9

სატანის არმია დიდი რაოდენობის სულებისაგან შედგება და მისი დავდასხმის იარაღი ბევრია. ის ყოველმხრივ და ყოველჟამს უტევს. ადამიანი თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს — განსაკუთრებით მაშინ, როცა მას ძირს განრთხმულს დიდი დრო აქვს გატარებული. ხანდახან იკრიბავს ძალებს და თავდასხმისათვის ცდილობს ფეხზე წამოდგომას.

რას ვიზამ, წარმატებულად განვლი ცხოვრებას თუ, მეც სატანასთან და მის ანგელოზებთან ერთად ცეცხლის ტბაში ამოვყოფ თავს?

წლების განმავლობაში საკუთარი თავის დანახვა შევძელი. თვალები ახალი საფრთხეების შესახებ ამეხილა. თუ წარსულს გადავავლებ თვალს, შიში მიპყრობს. ო, რაოდენ ხშირად ვყოფილვარ სულიერ სიკვდილთან ახლო, მე კი უზრუნველად და არხეინად ვაგრძელებდი სვლას.

რა საოცარია, როდესაც მის კურთხეულ სიტყვასთან შეხვედრით გული სიხარულით იწყებს ღაღადს, „მან შეუნარჩუნა სიცოცხლე ჩვენს სულს და ფეხი ჩვენი დაიცვა წაბორძიკებისაგან.“

მე საიდუმლო აღმოვაჩინე. ღვთის შვილად თუ დავრჩი, ეს მხოლოდ უფლის დამსახურებაა.

მან შეინარჩუნა ჩემი სიცოცხლე. მასზე ნაკლებად ვზრუნავდი. მის შესანარჩუნებლად მე არაფერი გამიკეთებია. მაგრამ უფალი ზრუნავდა ჩემზე.

რამდენჯერ ყოფილა ფეხი ჩემი მოსაცურებლად მზად? დედამიწაზე მრავლადაა მოცურებადი ბილიკები. ვიდრე მის შესახებ შევიტყობდი, უკვე მასზე აღმოვჩენილვარ. მოვცურებულვარ კიდეც. მაგრამ უფალი ასეთ დროს კვლავ და კვლად გასაოცრად ჩარეულა. უფსკრულში არ გადავშვებულვარ, რადგან ცოცხალია ის.

როდესაც ღმერთზე ვფიქრობ, მადლიერებითა და სიხარულით ვივსები. წარმოიდგინეთ ის გუშინ, დღეს და უკუნისამდე იგივეა. ის ჩემს სულზე მომავალშიდაც იზრუნებს. უფალი ჩემს გვერდით ივლის და როგორც კი მოცურების საშიშროება შემექნება, ხელს გამომიწოდებს.

სატანის დიდმა ძალამ შენი პარალიზება არ უნდა გამოიწვიოს. იცნობ შენ მას, ვინც მასზე ძლიერია? უფალია ის. მან ეს გოლგოთაზე გვიჩვენა. ის შენს დასახმარებლად თავისი სიყვარულით მოდის.

3 ივნისი

მონანიებასა და სიმშვიდეში იქნებოდით დახსნილნი, სიწყნარესა და მყუდროებაში იქნებოდა თქვენი ძალა.

ესაია 30:15

ცოდვა მოუსვენრობას ქმნის. ცოდვილი, მუდმივ მოქმედებაში მოსულ ზღვის აქაფებულ ტალღას ჰგავს. თითქოს სულ რაღაც უნდა მოხდეს. ცხოვრება გამოცდილებებისა და გართობის ძიებადაა გადაქცეული.

გამოსავალი არსაიდან ჩანს. სული კაცისა სიმშვიდეს ვერ პოულობს. ის სიცარიელეში ბორგავს და შინაგანად უფრო და უფრო ცარიელდება.

მყუდროებისა და სიმშვიდის არ ქონა, მხოლოდ არაქრისტიანის პრობლემა არ არის. მყუდროებაში ყოფნა ღვთის შვილისათვისაც სიძნელეა. გარედან მოსული წნეხი დიდია. დაუგეგმავად შესაძლებელია ვიღაცის გავლენის ქვეშ მყოფმა მთელი დღე ასე გაატარო. ვერ ისვენებ. შენმა გონებამ შეიძლება თავადვე შეგაღონოს. ამას ემატება ცხოვრებისეული მოთხოვნილებები. მათ გასამკლავებლად ძალა არ შეგწევს. ამიტომ ისინი შენს ბრალდებას ეწევიან.

ღვთის სიტყვა შეგვაგონებს, რომ ყოველ სადარდებელს ზურგი ვაქციოთ. იესომ ჩვენი პრობლემები და სიძნელეები თავის თავზე განიცადა. მან ყველაფერი კარგად იცის. ამიტომ მან ჩვენთვის უსაფრთხო ნავსაყუდელი უზრუნველყო: ღვთის სახის წინაშე, სახარების მეშვეობით გასაოცარი სიმშვიდე და მოსვენება.

დიდი რამაა, როცა უნარი გაქვს ზურგი აქციო ყოველ სადარდებელს და სიცოცხლის წყლის წყაროებს დაეწაფო. შეუძლებელია დამშვიდდე თუ უფლისადმი ნდობით არ აღივსები. ის შენს გულს ეცხადება და მის შემეცნებაში მოდიხარ, რისი მეშვეობითაც მის განუსაზღვრელ, უძირო სიყვარულში ეშვები. ხვდები, რომ გასაჭირის ჟამს ღმერთი ზრუნავს შენზე. ღმერთი ეხება ყველაფერს და ის კურთხევად აქცევს.

უფალი უპირველეს ყოვლისა თავის მადლს გიჩვენებს. მადლი ყოველი ჩადენილი ცოდვისადმი. მადლი, რაც ცხოვრებაში თავად ვერ განკარგე. მადლი ყოველი უმეცრებისათვის. დიახ, მყუდროებაში ღვთის ტახტის წინაშე ის გიჩვენებს თუ რა თვალით გიყურებს. შენ იესოს მადლით ხარ დაფარული — და დაცული მასში.

4 მარტი

რომელშიც წინადაცვეთილები ხართ ხელთუქმნელი წინადაცვეთით, ხორცის ცოდვილი ბუნების მოშორებით — ქრისტესმიერ წინადაცვეთაში. მასთან ერთად დამარხულნი ნათლისღებაში...

კოლასელთა 2:11-12

ძველ აღთქმაში აღთქმის ნიშანი იყო მიცემული: ყოველი რვა დღის ბიჭი წინადაცვეთილ უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასე არ გაკეთდებოდა, ბავშვს საზოგადოებიდან რიცხავდნენ. ის აღთქმის ერს აღარ მიეკუთვნებოდა.

აღთქმის ნიშანი ახალ აღთქმაშიც არის: ნათლობა. ისე, როგორც ბავშვები ძველი აღთქმის დროს წინადაცვეთას იღებდნენ, ასევე ჩვენ მასთან მიგვყავს ისინი, ვინც თქვა, „გამოუშვით ბავშვები ჩემთან და ნუ აბრკოლებთ მათ, ვინაიდან მაგათნაირებისაა ცათა სასუფეველი“ (ლუკ. 18:16).

ბავშვთა ნათლობას დიდი წინააღმდეგობები მოჰყვა. უმრავლესობა ამათგან, ძველი აღთქმის წინადაცვეთასაც აბსურდად მიიჩნევენ.

სიმართლეა, რომ პატარას რწმენა არ შეუძლია. არც ზრდასრულსაც. ლუთერი მართალია, როდესაც რწმენის მესამე არტიკულის განმარტებას აკეთებს. ის ამბობს, „მე მწამს, რომ ჩემით არ შემიძლია ჩემი უფლის იესო ქრისტეს რწმენა, ანუ საკუთარი გონებითა და ძალით მასთან მისვლა.“ თუ პიროვნებას გადარჩენა სურს, ეს უშუალოდ ღმერთმა უნდა მისცეს რწმენა. იესოს რწმენის გარეშე, გადარჩენა არავის შეუძლია. ამის გამოა, რომ ბავშვები მოსანათლად მიგვყავს. ჩვენ გვსურს, რომ მათ ირწმუნონ და გადარჩნენ.

ნათლობას განმეორება არ ჭირდება. „ვინაიდან ღვთის ნიჭი და მოწოდება შეუნანებელია“ (რომ. 11:29). თუ პიროვნება რწმენით არ ცხოვრობს, ის დაკარგულია. ნათლობა გარკვეული კუთხით გადარჩენას უფრო სერიოზულს ხდის. წარმოიდგინეთ იესო, როგორც ნიჭი მიიღო მთელი თავისი სისავსით და მერე ურწმუნობის გამო ის უარყო!

თუ იესოსი გწამს, ყველაფერი, რასაც ღმერთი ნათლობის მეშვეობით გაძლევს შენი ხსნისათვისაა მოცემული. თუ არ გწამს, მაშინ მსჯავრი უფრო დიდი იქნება შენზე.

მოდით მოვნათლოთ ჩვენი შვილები და ქრისტე ვუქადაგოთ მათ. ეს მათთვის და ჩვენთვის, გზაა ხსნისა.

5 მარტი

თუმცა გვწადია, რომ ყოველი თქვენგანი ბოლომდე ასეთივე ერთგულებას იჩენდეს იმედის აღსრულებამდე. რათა არ გაზარმაცდეთ...

ებრაელთა 6:11-12

ცოცხალი ქრისტიანი მუდმივად სატანის თავდასხმის ქვეშაა. ხანდახან, როგორც მბრდღვინავი ლომი ისე დაძრწის; ხანდახან გველივით დასრიალებს. შესაძლოა ყველაზე საშიში მაშინ არის, როდესაც ქრისტიანებს სიბრიყვის მეშვეობით აჯადოებს და აძინებს. სატანა ცდილობს ქრისტიანების სიმშვიდეში დარჩენა დაუშვას.

რა უნდა ქნა, როდესაც ამგვარი საფრთხის წინაშე დგახარ?

ღვთის სიტყვა გვეუბნება, „ყოველი თქვენგანი ბოლომდე ასეთივე ერთგულებას იჩენდეს იმედის აღსრულებამდე.“

მის სიტყვაში ღვთის ნათქვამს, კვლავ და კვლავ გულდასმით უნდა ჩაუკვირდე. თუ ამას არ გააკეთებ, ნელ-ნელა ის უკან გადაინაცვლებს და სრულიად არარეალური გახდება იგი შენთვის.

რაზე ვაშენებ ჩემს ცხოვრებას? რაა ჩემი ფესვი? რაა ჩემი ურყევი საძირკველი? როცა ყველაფერი დაემხობა, რა დარჩება?

ყველაზე მეტად დაუცველი ცხოვრების მაგალითი, ქვემოთაა მოყვანილი: „ქარი გადაუქროლებს და — აღარ არის, ვეღარავინ იცნობს მას.“ დავითი ფსალმუნის 103:16 ამ სიტყვებით გალობს. ცხოვრება ნიავივითაა. დარწმუნებული არ ვარ ხვალინდელი დღე გამითენდება თუ არა.

მაშასადამე იმედი ურყევია. იესო ზეცის თავდები ხდება. მან ყოველ მასზე დანდობილ ცოდვილს, ადგილი მოუმზადა. არ ვიცი ჩემი გზა ამ წუთისოფელში, როგორ გაგრძელდება. მაგრამ ზუსტად ვიცი სად დასრულდება.

მარადისობის აქეთა სანაპიროზე მე ხიზნობას ვეწევი. ამ ქვეყანაზე არსებული ჩემი სახლი, ჩემივე ხიზნობის დროებითი საცხოვრებელია. მე მომავლის პილიგრიმი ვარ. ყოველ საღამოს უკან ვიტოვებ ჩემი მოგზაურობის თითო დღის სავალს.

თუ ხიზნობა წლები გრძელდება, მიძინების საშიშროება მეტია. დაღლილობა მატულობს. მოგზაურობა ძნელდება და ჩამოსვენების სურვილი იზრდება.

ეს არ გააკეთო!

იმედის აღსრულებამდე, ბოლომდე გამოიჩინე გულმოდგინება! არ დანებდე! წინ იყურე იმ დღისაკენ, როდესაც ახალი იერუსალიმის ბრწყინვალე კარიბჭეში შეაბიჯებ. იქ იესო შემოგეგებება და ის შენი ღვთის წინაშე წარგადგენს. ეს დღე მალე დადგება!

6 პარგი

ვინაიდან მე უკვე ვიღვრები შესაწირივით, დადგა ჩემი წასვლის ჟამი.
2 ტიმოთე 4:6

სასაფლაოზე სიარული ჩამაფიქრებელია. „ჩვენი ცხოვრების წლები სამოცდაათი წელია — ხოლო ჯანმაგრობის შემთხვევაში შესაძლოა ოთხმოციც.“ მაგრამ ვიღაც იტყვის, რამდენ ადამიანს უწევს წასვლა, ვიდრე ამ ასაკს მიაღწევს.

ამ დროს წარმოიშვება კითხვა: მე როდის უნდა წავიდე? კარგია თუ მზად ვიქნები. ჩემი გარდაცვალება შეიძლება ვიდრე მე ვფიქრობ იმაზე ახლოს იყოს.

რას ნიშნავს მზადყოფნა?

ეს ნიშნავს ღვთისა და ადამიანთა წინაშე სწორ ურთიერთობას.

როგორი ურთიერთობა გაქვს ღმერთთან? შენსა და მას შორის, რაიმე აჩრდილებს ხომ არა აქვს ადგილი?

ნაპატიები ცოდვა აჩრდილად აღარ შეირაცხება. ამ დროს სუსტი ადგილი აღარ რჩება. მაგრამ თუ მიუტევებელი ცოდვით ცხოვრობ, ჯობია აღიარო და ღვთის წინაშე შენი მდგომარეობა მოაწესრიგო. საჭიროა ღვთის სულის ხმის მოსმენა, რომელიც მონანიებისაკენ და ცხოვრების გზის გასწორებაზე მოგვიწოდებს.

ადამიანებთან, რამდენად სწორ დამოკიდებულებაში ხარ? არის ისეთნი, რომელთათვისაც არ მიგიტევებია? ვიდრე ამ ქვეყნიდან გახვალ, ხომ არაა ისეთი პიროვნება, რომელთანაც ურთიერთობა უნდა დაალაგო?

არასოდეს არ უნდა დაივიწყო, თუ რა მოკლეა წუთისოფლის დღეები.

ნეტარი ხარ, როცა ღვთისა და ადამიანთა წინაშე ურთიერთობა მოწესრიგებული გაქვს. უნდა დარწმუნდე იმაში, რომ არაფერია დაულაგებელი, რისი დალაგებაც წუთისოფლიდან გასვლამდე ვერ მოასწარი. შენ მზად ხარ. თუ ეს ასეა, უკვე იესოს ნებისმიერ დროს შეუძლია შენთან მოსვლა და გაყვანა. უბრალოდ სიხარულით უნდა შეგეძლოს მის მიმართ შენი ხელების აპყრობა. შენი გზა იმ ქვეყნისაკენ მიდის, სადაც შენი გული უკვე წლებია განისვენებს. ახლა კი მოვიდა ჟამი დაეუფლო იმ საცხოვრებელს, რომელიც მან გაგიმზადა.

ქრისტიანისათვის სიკვდილი უსაშინლესი განცდა არ არის. იესომ სიკვდილის ნექტარი თავისივე სიკვდილით გააქარწყლა. რისი მეშვეობითაც მან, სიკვდილი სახლში წასასვლელ გზად აქცია.

რატომ უნდა წახვიდე ამ წუთისოფლიდან?

იქ საქორწილო დღესასწაულია. აქ გატარებულ შენს ცხოვრებას ნათელი უნდა მოეფინოს და ერთი რამ, რაც მეტად სარწმუნოა: ის დღე მასთან დაახლოების საშუალება იქნება, თუ სინამდვილეში შენს ღმერთთან შესახვედრად ხარ მზად.

7 პარგი

კურთხეულია ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთი და მამა, რომელმაც გვაკურთხა ქრისტეში ყოველგვარი სულიერი კურთხევით ზეცაში.
ეფესელთა 1:3

მრავალი ქრისტიანი მიწიური კურთხევებით უფრო დაკავებულია ვიდრე ზეციურით. დააკვირდით რამდენი ჩვენი ლოცვა მიწიური ცხოვრებისთვისაა აღმართული.

ცუდი არაფერია იმაში, ღმერთს ყოველდღიური პური რომ ვთხოვოთ. იესომ თავად გვასწავლა ამის კეთება. მან აგრთვე გვითხრა, რომ ღმერთმა ჩვენი საჭიროებანი იცის და ის ჩვენზე ზრუნავს.

თუმცა, კურთხევა, რომელსაც ღმერთი თავის შვილებს აძლევს, უპირველესად ზეციურ სამყაროში არსებული სულიერი კურთხევაა. დიახ, ხშირად ღმერთი მიწიურ კურთხევას გვიკავებს, რათა ჩვენს გულსა და გონებაში ზეციურისათვის დატოვოს ადგილი.

ღმერთს სრულ სურათთან აქვს წვდომა. ის ხედავს, რა ადვილად წარგვიტაცებს ხოლმე წუთისოფლისგან შემოთავაზებული საგნები. მან იცის, რაოდენ ბუნებრივია ადამიანისათვის გულდანდობილი იყოს, როდესაც მრავალი წლის ჭარბი მარაგი აქვს. ამის გამო ღმერთი გვაფრთხილებს, რომ ცხოვრება მოკლეა და მის დასატოვებლად მუდმივად მზადყოფნაა საჭირო. ვინაიდან წუთისოფლის სიმდიდრე სამუდამოდ ვერ დარჩება.

ღმერთი ჩვენი თხოვნის შესაბამისად ყოველთვის არ იძლევა, როცა მას მუდმივად უღრუბლო ცას ვთხოვთ. ასეთი ყოფა მარადისობას ეკუთვნის. ამ ქვეყანაზე კი სულის ნაყოფები მხოლოდ მზიანი და მხიარული დღეებით არ აიღება. თუ წუთისოფლის შემოთავაზებიდან შენს პორციას შეჭამ, მაშინ ზეცაში არსებული შენი სულიერი კურხევებისადმი გული გაგიცივდება.

სწორედ ამიტომ, ღმერთი მთელი ცხოვრების განმავლობაში იმ გზით გატარებს, რომ მისი სიმართლისადმი შიმშილისა და წყურვილის სურვილი გაგიჩინოს. ამ დროს შენ, მისი სულიერი კურთხევის მიღების უნარის მქონე ხდები.

ღვთის სურვილია იესოს სიმდიდრე, შენი მთავარი საგანძური გახდეს. თუ ეს ასეა, მაშინ დედამიწაზეც ბედნიერი იქნები. ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი სიკეთეა, რისი დაკარგვაც შეუძლებელია. ეს იესოა და ყველაფერი ის, რაც ისაა შენთვის.

საგანძური, რომელიც მასში გაქვს ფასს არასდროს კარგავს. რაც უფრო მეტად უკვირდები მას, მით უფრო ძვირფასი ხდება ის შენთვის. ამქვეყნიურ საგნებს ის უფერულად აქცევს და შენს გულში აჩენს სურვილს, რომ თქვა: დიდება ჰქონდეს ღმერთს, რომელმაც ციდან, ქრისტესმიერი ყოველი სულიერი კურთხევით მაკურთხა.

8 მარტი

მართლაც შენა ხარ ღმერთი დაფარული — ისრაელის მხსნელი.

ესაია 45:15

როდესაც ღმერთს სიძნელესა და სიდუხჭირეში გაყავხარ, მის გზებს ვერ ხვდები. სინანულის ჟამს შესაძლოა მოგეჩვენოს, თითქოს ღმერთმა დაგტოვა. იღაღადო და ილოცო, მაგრამ პასუხი არსაიდან ჩანდეს.

უსმინე რას ამბობს ღვთის სიტყვა: ღმერთმა თავისი სახე დაფარა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მიგატოვა. მას შენ ვერ ხედავ, თუმცა ის გვერდით გყავს. არ გესმის მისი, მაგრამ მას ყოველი შენი ამოსუნთქვა ესმის.

ღმერთმა თავისი თავი დაფარა. მან ეს შენს გადასარჩენად გააკეთა. ღმერთს თავისი შვილები ისეთი გზებზე დაყავს, სადაც მათ ეჩვენებათ, რომ ის იქ არ არის. ამას იმ მიზნით აკეთებს, რომ მათ გულში ღრმა წყურვილი აღძრას.

ღმერთს შენთან შეხვედრა სურს. მაგრამ შენ გაუცხოებული შვილი ხარ. შენ ერთადერთ შემთხვევაში, თუ რთულ მდგომარეობაში ხარ ჩავარდნილი, მისცემ მას უფლებას გადაგარჩინოს. ამიტომაც ის თავის თავს დროებით მალავს.

როდესაც ღმერთი შენს ცხოვრებაში დაფარული ღმერთი ხდება, მაშინ მისი მწრთვნელი ხელის ქვეშ იმყოფები. ძნელია ამ დღეში ყოფნა, მაგრამ იმავდროს კურთხევის მომტანი. უფალი შენს დისციპლინას იმ მიზნით ეწევა, რომ დაგიახლოვოს. ის სიბნელის მოსვლას უშვებს, რათა მისი საკვირველი სინათლისაკენ გაგიკვლიოს გზა.

მოგვიანებით ყველაფერს მიხვდები. საკუთარი თავის დაფარვით ღმერთი ახალ კურთხევებში შეგიყვანს და ეს მაშინ, როდესაც თავის თავს ისევ გაგიცხადებს. წარსულში არაფერი გქონდა. უკიდეგანო ღატაკი იყავი. მაგრამ შემდეგ ღმერთი მოვიდა. ამ დროს თვალები აგეხილა და მიუხედავად ის შენთვის აქამდე დაფარულ იყო, თურმე ამ ხნის განმავლობაში მთლიანად გარემოგიცავდა.

იესო ღვთისგან იქნა მიტოვებული. მიტოვებული შენს გამო. თუ უმწეო ცოდვილი ხარ, მაშინ განსაცდელის ჟამს შენ არასოდეს მოგიწევს იგივეს თქმა, „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო რად მიმატოვე?“ იესომ ეს შენს გამო შესძახა.

ამიტომ უნდა იცოდე, როდესაც ღმერთი დროებით თავს შენგან ფარავს, ეს მხოლოდ შენს გადასარჩენადაა. ღმერთი შენთან თავისი მადლის სრული სიმდიდრით მოდის. შესაძლოა ქვეყნიერებაზე, რაღაც დაკარგო, მაგრამ შინაგანად აუცილებლად შეიძენ. მხსნელი შენი, შენს ძნელბედობის დღეებს, ზეცაში შენს შესაყვანად გამოიყენებს. ეს დღე შენს წინაა — დღე შენი უფალთან შეხვედრისა, როდესაც შესძახებ: ჩემო მეფეო და ჩემო ღმერთო!

9 მარტი

რომელსაც ვქადაგებთ ჩვენ.

კოლასელთა 1:28

პავლემ და მისმა თანამშრომლებმა იცოდა, რომ ყველაფერი ერთის ირგვლივ, იესოს ქადაგებისკენაა. ამის გამო ისინი მსმენელთა თვალთა წინაშე ხატავდნენ მას, როგორც ჯვარცმულს.

დრო იცვლება, მაგრამ დახმარება იგივე რჩება. შენც თვალთა მზერის იესოსადმი გადატანა გმართებს. არ არსებობს ისეთი განსაცდელი, რომ მას ვერ მიმართო.

შეუძლებელია იესოს უყურო და ის ვერ შეამჩნიო, ვინც თქვენ ორს შორის შუაში ეჩრება.

შესაძლოა ვინმე დაიღალოს, მაგრამ ის არა. ის გისმენს შენ და მისი უდიდესი სურვილია, რომ ნება დართო შენს გაჭირვებაში ჩაერთოს.

იესო მუდამ იმ ფორმით არ ახდენს ინტერვენციას, როგორც თავად გსურს. შენ გამარჯვება გინდა და ძალა შეგწევს მისთვის, მაგრამ იესო თავისი მოცემული მადლით მოქმედებს. ის ასე აკეთებს, რადგან კარგად იცის უფრო მეტად რისი საჭიროება გაქვს. მან ისიც იცის, მიუხედავად იმისა შენი სურვილის თანახმად ქრისტიანი გახდი, მისი განმწმენდი სისხლის გარეშე მაინც დაკარგული იქნები.

უდიდესი შენი და ჩემი საჭიროება საკუთარი ცოდვებისგან განწმედაა. ეს კი მხოლოდ იესოს სისხლითაა შესაძლებელი.

ფაქტი იმისა, რომ მან თავისი სისხლი ჩვენთვის გაიღო იმას ნიშნავს, რომ მან საკუთარი სიცოცხლე მისცა, რათა ღვთის რისხვისაგან და სასამართლოსგან დახსნილი ვყოფილიყავით. მან იტვირთა ჩვენი ცოდვა, ყოველი მისი საშინელებებით. ღვთის სიტყვა ამბობს, რომ იესო თვით ცოდვად იქცა.

ცოდვა, რის გამოც დაისაჯა, მისი არ იყო. ღმერთმა შენი ცოდვები მის ძეს დაადო. ძემ კი, როგორც შესაწირმა კრავმა ის ყოველივე ღვთის რისხვის ქვეშ გადაიტანა. ღმერთმა ჩვენი ცოდვის შედეგი თავის ძეს მიაღებინა. ამის გამო იყო მისთვის, სიკვდილი ასე მწარე. თუმცა იესოს მისთვის თავის არიდება არ უცდია. მან საბრძოლი ბოლომდე იბრძოლა და თანაც ისე, რომ საბოლოო მისი სიტყვა იყო, „აღსრულდა!“

პავლე ამბობს, რომ ჩვენ მას ვქადაგებთ. მან იხილა იესო და ამ ხილვამ ყველაფერი შეცვალა. ჯვარცმული და აღმდგარი უფლის რწმენამ მთელ მის ცხოვრებაზე, მადლის გადმოფრქვევა გამოიწვია. იგივეა შენდამიც. სიტყვა ჯვრის შესახებ, საუკუნო ღვთის ძალაა გადასარჩენად. ის ყოველი უბედურების, საშიშროების და განსაცდელის ჟამს შეწევნაა — თვით დღემდეც კი.

10 მარტი

ვინაიდან ქრისტეს გულისათვის მარტო რწმენა კი არ მოგეცათ, არამედ ტანჯვაც მისთვის.

ფილიპელთა 1:29

შეძენილ რწმენასა და მოცემულ რწმენას შორის განსხვავებაა.

შეძენილი რწმენა გადაწყვეტილების ნაყოფია. ეს ნებელობის და ინტელექტის საკითხია. ის ცივი და მკვდარი რწმენაა. ამიტომ ის უნაყოფოა. მას თანზდევს ქვეყნიერება და კამათი — და არა ღვთისმოსაობა და წმიდა ცხოვრება.

ამგვარი რწმენის მქონე ადამიანები, ადრე თუ გვიან, ეკლესიასა და თაყვანისცემის ადგილებს დაემშვიდობებიან. ცოტა მათგანი თუ რჩება სიცოცხლის ბოლომდე მტკიცე. ასეთებს მოულოდნელი შიში დაატყდებათ. წარმოიდგინეთ, გადაკვეთავენ რა მარადისობაში შემავალ ზღურბლს, მხოლოდ მაშინ, ღვთის სასამართლოს წინაშე აღმოაჩენენ, რომ მათ გადამრჩენელი რწმენა თურმე არ ჰქონიათ.

მოცემული რწმენა იესოსგან მოდის. მისი წყარო ადამიანური უნარი და ძალა არ არის. მას ადამიანის გულში ღვთის სული ქმნის, მაშინ, როდესაც ღვთის სიტყვა ისმინება.

სულიწმიდა ადამიანურ კონტროლს განირიდებს. როცა და სადაც სურს, ის დაკარგული ცოდვილის გულში თავის საქმეს აკეთებს. ის იესოს რწმენას წარმოშობს.

ღვთის სიტყვის თანახმად ეს მადლია. მისი ქონა არავის არ დაუმსახურებია.

ისე როგორც უფალი რწმენას, როგორც ნიჭს გვაძლევს, ასევე მასთან ერთად ტანჯვასაც იძლევა. ჩვენს ძველ ბუნებას იმის გაგება არ შეუძლია, რომ ღმერთი გვაძლევს მას. მაგრამ ახალმა ბუნებამ იცის, რომ ყველაფერი, რასაც ცხოვრებაში ვხვდებით უფლისგან მოდის, თუნდაც სიძნელე იყოს ის, გაჭირვება თუ მძიმე დღეები.

იესოსათვის ტანჯვის მეშვეობით ისეთ ურთიერთობაში შედიხარ, რაშიც სხვანაირად ვერ შეხვიდოდი. იესო ამ დროს თავის ტკივილს ჩვენ გვიზიარებს.

ჩვენ არ ვართ ის, ვისაც გადარჩენა შეუძლია. მხოლოდ იესო აკეთებს ამას. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია სხვები ამ მადლის სიმდიდრეში მოვიყვანოთ. ეს მსხვერპლშეწირვის გარეშე არ მოხდება. უფალი ამ პასუხისმგებლობას ჩვენზე დებს, მანამ, ვიდრე მის ნაკვალევს საკუთარი ნებით მივყვებით.

მან რწმენა მადლით მოგვცა. მადლით მისი მიმდევარნი გაგვხადა. ღმერთი მისით გვანიჭებს ძალას, რათა მისი ჭეშმარიტება და ცოცხალი რწმენა შევინარჩუნოთ. და ღმერთია ის, რომელიც უნარს გვაძლევს ვიცხოვროთ არა ეგოისტური ცხოვრებით, არამედ სხვისთვის.

11 მარტი

იმიტომ, რომ ყველაფრით გამდიდრდით მასში.

1 კორინთელთა 1:5

განა შენს ქრისტიანულ ცხოვრებას არ ახლავს გულგატეხილობა, რადგან ვერ ხედავ იმ სიმდიდრეს, რაც იესოში გაგაჩნია?

ყოველი იესოს შეხედვისას, საკუთარ თავს ათჯერ გადაავლებ თვალს. კვლავ და კვლავ გიწევს იმის აღიარება, რომ შენ და შენი ქრისტიანობა ისე არაა, როგორც უნდა იყოს. გარეგნულად მშვენივრად გამოიყურები. შინაგანად კი საშინელება ხდება. რატომ არის ადამიანთა სულში გადარჩენისადმი ასეთი ნაკლები გულისტკივილი? ცხოვრებისეული ქარიშხლის დროს, რად იჩენ რწმენის ასეთ უსუსურობას? რად ხარ ასეთი უზრუნველი, როცა იცი მიწაზე ყოფნის დრო, რაოდენ მოკლეა? რად არ გაშინებს ჯოჯოხეთის არსებობა? და რად არ ცდილობ ზეცაში შესვლას?

თუ შეამჩნიე ის ფაქტი, რომ, რასაც იესოში ფლობ ნაკლებ სიამოვნებას განიჭებს? მიუხედავად ძალისხმევისა, მაინც იგივე აზრზე რჩები. თუ წრფელი ქრისტიანი ხარ, მაშინ მიღწეულით არასოდეს დაკმაყოფილდები.

ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ, იესოსკენ უნდა შემობრუნდე. მისი წადილია, შენს გულს თავისი სიმდიდრე გაუცხადოს. შენ იესოში განუსაზღვრელი სიმდიდრის პოვნა შეგიძლია. ის ყოველმხრივ მდიდარია. მისი სიყარული ყოველ ჩვენს წარმოდგენას აღემატება. მისი ღვთაებრივი სიწმინდე იმდენად დიდებულია, მის წინაშე მუხლებზე მდგომმა უნდა სცე მას თაყვანი. მისი სულგრძელობა და თმენა შენდამი არ შესუსტებულა, მიუხედავად იმისა ისეთი განცდა გაქვს, თითქოს უარგყვეს.

იესოს სიმდიდრეში ეჭვი არ შეიტანო! დაე ღმერთმა აგიხილოს თვალები! შემდგომ ამისა დაინახავ, რომ ყველაფერთან, რაც იესოს გააჩნია თანაზიარება გაქვს. ასეთია იესოს გული: მას არ შეუძლია ყველაფერი თავისთვის დაიტოვოს. ის ყველაფერს გიზიარებს. ჭეშმარიტებაა ის, რომ შენ უპოვარი ხარ, მაგრამ იმავდროს რწმენის მეშვეობით, ყოველი მისი სიმდიდრის თანამოზიარე ხარ.

ღვთის ყოველი შვილი თავისით უპოვარია. იმავდროს ღვთის ყოველი შვილი იესოში, უსასრულოდ მდიდარია. და ისინი ყოველმხრივ მდიდარნი არიან. როდესაც ღმერთის სიტყვა ამბობს, „ყოველმხრივ," ე. ი. ეს ნიშნავს ყოველმხრივ. იესომ თავის სრულ სიმდიდრეში შეგიყვანა. ის რეალურად შენია უკვე. შენ მასში ყოველმხრივ მდიდარი ხარ.

12 მარტი

აჰა, მე გამოგადნე, მაგრამ არა ვერცხლივით; ტანჯვის ქურაში გამოგცადე. ჩემ გამო, ჩემ გამო ვაკეთებ ამას.

ესაია 48:10-11

ღვთის სურვილია ჩვენი ცხოვრებიდან ყოველი ბინძური ნალექი იქნას მოცილებული. ნალექია ის, როცა პიროვნებას თავისი გავლენის ქვეშ უნდა ყველაფერი მოაქციოს. ამის მსგავსი მრავალი რამაა. ჩვენს ძველ ბუნებას ცენტრში დარჩენის სურვილი აქვს.

ეგოისტი ადამიანი რწმენას ვერ ეთანხმება. რწმენა, რომელიც მთელ პატივს იესოს მიაგებს და მხოლოდ მისი განდიდება წყურია. ამის გამოა ბრძოლა. სული ხორცის, ძველი ბუნების წინააღმდეგ იბრძვის და ხორცი, როგორც ძველი ბუნება სულის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში ღმერთი მარტო არ გტოვებს. ის გეხმარება. ამას კი შენი ტანჯვის ქურაში გატარებით აკეთებს. ამ დროს ყოველი ნალექი გცილდება.

მრავალი ქრისტიანი, სწორედ ტანჯვის გადატანის შემდეგ იესოსთან განახლებულ ურთიერთობაში შევიდა. მათ დაინახეს თუ რაოდენ ექვემდებარება ყოველივე ცვლილებასა და ხრწნილებას. პიროვნების მიწიური ბედნიერება შესაძლებელია წამში შეიცვალოს.

ტანჯვა გვაფხიზლებს. ამ დროს სინამდვილეს ვეჩეხებით. ჩვენ ორთქლს ვგავართ, ერთხანს რომ ჩანს და შემდეგ უჩინარდება. ყველაფერი რაც გაგვაჩნია, დროებით ნანათხოვარია.

როდესაც ტანჯვის ქურაში გადავდნებით, ამპარტავნობა და თვით-დაჯერებულობა გაქრება. ამ დროს შევიმეცნებთ, თუ რაოდენ ცოტა რამ ძალგვიძს. თუ ღმერთი არაფერს მოგვცემს, მაშინ არაფრის მქონენი დავრჩებით.

დიახ, ღმერთმა იცის თუ რას აკეთებს, როდესაც მისი შვილები ტანჯვის ქურაში შეყავს. მისი სურვილია, რომ ჩვენ მას ნამდვილი ფასეული სიმდიდრე ვთხოვოთ, რომელსაც ვერც წარუმატებლობა, ვერც სნეულება და ვერც სიკვდილი ვერაფერს ავნებს.

თუმცა ის ყოველთვის თავის მიზანს ვერ აღწევს. ბევრი რამა არის, რაც ჩემსა და შენს ცხოვრებაში ღვთის გზის შესაბამისად არ მიდის.

ამ დროს ღმერთი რას აკეთებს?

ნუთუ უკუგვაგდებს ღმერთი? ნუთუ მსჯავრს დაგვდებს? ხომ არ იტყვის ჩვენზე, რომ უვარგისნი ვართ? არა, ის თავისი თავის გულისთვის სხვანაირად იმოქმედებს. ღმერთში ყოველი საოცრებაა. მაგრამ არსებობს იმაზე დიდი საოცრება, რაც ღვთის მადლია? მისი მადლი არა ჩვენში, არამედ ღმერთში პოულობს საფუძველს.

ჩვენ ის გვიხსნის, რომელნიც ვართ ღატაკნი, უღირსნი და წარუმატებელნი, მაშინ, როდესაც იესოში ვპოულობთ თავშესაფარს. ამას ის თავისი სახელის გამო აკეთებს.

13 მარტი

ის, ვინც თავისი საკუთარი ძე არ დაინდო, არამედ გასწირა ჩვენთვის, განა მასთან ერთად ყოველივეს არ გვაჩუქებს?

რომაელთა 8:32

ყოველივე მხოლოდ იესოსთან ერთად!

თავი შეიკავე ღვთის შვილო, რადგან ვერ ხვდები ღმერთმა ჩარევა რატომ არ მოახდინა. შენ იხილე საფრთხე და ღმერთს შეჰღაღადე, მაგრამ მან შემთხვევის პრევენცია არ მოახდინა. ისე ჩანდა, რომ ღმერთს პასიური მდგომარეობა ეჭირა.

ახლა შენ სასოწარკვეთილი და განხიბლული დარჩი.

ღმერთი დუმს. მან ვინც მისთვის ძვირფასი არ დაინდო, მასთან ერთად ყოველივეს მოსაცემადაა მზად.

განა იესოსთან ერთად ყოველივე მაქვს, როცა მეუღლე, ჯანმრთელობა, სამსახური და სახლ-კარი დავკარგე?

დიახ, შენ ეს გაქვს! ღვთის შვილისათვის დამტკიცებულია, რომ ღმერთი მუდამ, ნებისმიერ მდგომარეობაში იესოსთან ერთად ყოველივეს იძლევა. მაშინაც კი, როდესაც ის შენს წრთვნას ეწევა. ღმერთის წრთვნა კი მკაცრია. ამას მისი სიტყვა ამბობს. მაგრამ ღმერთი იესოს და მასში არსებულ კურთხევებს არასოდეს წაგართმევს. ისეთ გასაჭირს არ დაუშვებს, რომ ვერ შეძლო თქმა: იესო ქრისტეში ყოველივეს ვფლობ.

საჭიროა შენი ფიქრების დატყვევება ისწავლო, რომ ისინი უფლის სიტყვის მორჩილებაში მოიყვანო. გონება არ უნდა იყოს შეზღუდვის არიალი. პირიქით, ეს უწყება უნდა განივრცოს შენს გულში და რწმენით ჩაეჭიდო ყოველივე იმას, რასაც შენი გონება ვერ წვდება.

ღმერთი უგუნური როდია. როდესაც მან თავისი ძვირფასი ძე მისცა, მასთან ერთად ის მზადაა ყოველივე გასცეს.

მასთან ერთად ყოველივე მიიღო ნიშნავს, რომ ის მუდმივად ყოველივეს შენს სასიკეთოდ მომართავს. ღმერთის გონებაში უპირველესად შენი სულის დახსნაა გამიზნული. ნუთუ ამის გამო მადლიერი არ ხარ?

ერთ მშვენიერ დღეს შენ ყოველივეს გარდასახული სინათლით იხილავ. მაშინ აღარ გექნება ეჭვი. და ასე იქნება საუკუნოდ! შენთვის ცხადი გახდება, რომ ღმერთმა ქრისტე იესოში ყოველივე მოგცა.

14 მარტი

შენი სახელით ილხენენ მთელ დღეს და შენი სიმართლით მაღლდებიან.
ფსალმუნი 89:16

ილხინო მთელი დღის განმავლობაში, სრულებითაც არ ნიშნავს ყოველთვის წარმატებული იყო. დროდადრო ღმერთს თავისი შვილები ცრემლის ველზე მიყავს. ამ გზის გადალახვა მძიმეა. მაგრამ ღმერთმა განსაცდელის გადასალახად ყოველი საშუალება მოგცა. ეს ქება-დიდების საგალობელია.

საკუთარი თავის განდიდება არ შეგიძლია, რადგან საკუთარი ძალით ცხოვრებას თავი ვერ გაართვი. მაგრამ უფალი უნდა ადიდო. რისი კეთებაც დღე და ღამ შეგიძლია. ღმერთი მუდამ იგივე რჩება. ის უცვლელი და მარადიული კლდეა მაშინაც კი, როდესაც ზღვა ქარიშხლის გამო აზვირთებულა.

მთელი დღის განმავლობაში შეგიძლია იხარო. თუ იესოსი გწამს, არის ისეთი რამ, რაც ცვლილებას არ ექვემდებარება. ეს არის სიმართლე, რომელიც დაუმსახურებლად მოგეცა. ეს სიმართლე შენი ცხოვრებით არ გამომუშავებულა. ეს იესომ მოიპოვა, როდესაც მან რჯული აღასრულა.

იესოს აღდგომით, ღმერთმა მისი სიცოცხლისადმი უცილობელი უფლება ცნო. ეს უფლება მიეცა სწორედ ყოველ მორწმუნეს. არავის და არაფერს არ შეუძლია მისი შერყევა, თუ შენ თავშესაფარი იესოში ჰპოვე.

შენი სიმართლით არ ხარ ამაღლებული. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ უფლის სახის წინაშე სიცოცხლის კარი შენთვის სამუდამოდ იქნებოდა გამოკეტილი. შენ იესოს სიმართლით ხარ ამაღლებული. ღმერთმა ეს ერთხელ და სამუდამოდ ყოველმხრივ დაამტკიცა. მას შემდეგ ყველა პატივის მქონეა, ვინც ამ ღვთის სიმართლის მატარებელი გახდა.

მიწაზე ცხოვრება ვიწრო და მძიმე გზებით მიდის. ის გამოწვეულია საკუთარი თავითა და იმ გარემოებებით, რომელსაც შენ ვერ აკონტროლებ. ღმერთი ხშირად მისი დისციპლინის ხელის ქვეშ გამყოფებს. ადვილია ამ დროს ფიქრი, რომ ღმერთი შენდამი იგივე აღარაა. მაგრამ მსგავს ცდუნებას ადგილი არ უნდა მისცე. ნაცვლად ამისა უნდა მიაშურე იმისაკენ, რაც საუკუნოდ რჩება: იესოს სამართლიანობა.

ამ დროს გონება განდიდებისადმი იმართება. ხვდები, რომ ისეთი მხსნელი გყავს, რომელსაც მთლიანად მოჰყავხარ გადარჩენაში! მისი გული შენდამი არ შეცვლილა. შენთვის მოცემული ნიჭი არ წაურთმევია. ის კვლავ ხარობს იმ სიხარულით, რომ შენ მისი სიცოცხლის სიმდიდრე მოგანიჭა. რაც მიზეზი ხდება იმისა, რომ შენც მთელი დღე ამ სიხარულში გაატარო.

15 მარტი

იფხიზლეთ და დაიცავით თავი ყოველი ანგარებისაგან.
ლუკა 12:15

იესო ყოველი სახის ანგარებაზე ლაპარაკობს. არსებობს მრავალი სახის ანგარება. ყოველი მათგანის უკან კერპმსახურება იმალება. ანგარება სულის მიწიურ საგნებზე მიჯაჭვულობას ახდენს, რის გამოც ფიქრები მუდმივად მის გარშემო ტრიალებს.

ანგარება მხოლოდ მდიდრის საფრთხე არ არის. მცირეა იმ ქრისტიანთა რიცხვი, რომელსაც „მომხვეჭელობის სნეულება“ არ შეყრია.

სულ სხვა რამ არის, როდესაც პიროვნებას მეტიც შეძენა უნდა. მათი ინტერესები იგივე არ არის აქ. მატერიალიზმი, იგივე დაგროვების მანია და კულტურული ინტერესების ძიება, ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდის.

ეშმაკისათვის მეორე ხარისხოვანია თუ რას აირჩევ. ის კმაყოფილი რჩება, თუ შენი გონება მიწიური საგნებითაა დაკავებული. მისი სურვილია მეტი და მეტის შეძენით შეპყრობილი იყო, ასე იარო წინ და ყველაფერზე წამსვლელი გახდე.

სატანამ იცის თუ ამას მიაღწევს, ღმერთი და ღვთის სასუფევლის საკითხები შენი ცხოვრებიდან განდევნილი იქნება. ბიბლიის კითხვა და ლოცვა, მძიმედ შესასრულებელ ვალდებულებად იქცევა. ღვთის სიტყვის სმენის სურვილი უბრალოდ გაქრება. ხოლო გონება, სულ სხვა რამით გახდება დაკავებული.

იესო ამბობს, იფხიზლეთ. ჩვენი სამშვინველის მდგომარეობა, მან შენზე და ჩემზე კარგად იცის. იესომ ისიც იცის, რომ მაცდური მხოლოდ მასთან არ მისულა. არა, ის ჩვენთანაც მოდის და თან სხვადასხვა სახით.

მომხვეჭელი კაცი ხშირად სხვა ადამიანების მიერ არის განდიდებული, როდესაც ისინი საუბრობენ მძიმე შრომაზე, ცოდნაზე, უნარზე და სხვადასხვა ინტერესის ქონაზე.

თუმცა ღმერთი ამ მდგომარეობას განსხვავებულად აფასებს. ის ფასადის მიღმა ხედავს. მან იცის, რომ ანგარება სულიერი ცხოვრების შიმშილობას იწვევს, რაც საბოლოოდ ნელი სვლით ღვთიური სიცოცხლის მოკვდინებამდე მიდის. მრავალი ქრისტიანის ცხოვრებაში ზუსტად ამ სახით განვითარდა მოვლენები. ამ დროს თვალსაჩინო ცოდვებს არ ჰქონია ადგილი, რისი მეშვეობითაც მათი სულიერი ცხოვრება მოიშთო. ეს უბრალოდ ანგარება იყო.

ანგარება დასრულდება, როდესაც საბოლოოდ დასაძინებლად წახვალ. მაშინ ღმერთი შენს სულს უკან მოიხმობს. სამწუხაროდ მონანიება უკვე გვიანი იქნება. იესო იმ ღამით უგუნურს გიწოდებს. ეს ჟამი იმაზე ადრე დადგება ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ. ამიტომ ყოველი მიზეზი გაქვს იმისათვის, რომ უფლის წინაშე შენი სული გადაამოწმო. არ დაივიწყო, რომ უფალი შენს ლოცვას ისმენს. თუ თავშესაფარს მასში ჰპოვებ, ის ანგარებასთან ბრძოლაში შეგეწევა. მოგაშორებს ამ ცოდვას და წინ ცხოვრების გზაზე წაგიძღვება.

16 მარტი

მიენდე უფალს, დაიცავი მისი გზა და ის აგამაღლებს, რათა დაიმკვიდრო ქვეყანა.

ფსალმუნი 37:34

ღვთის გზა უცნაურად გვეჩვენება. მას ღვთის კურთხევა მოყვება უკან, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ვამჩნევთ. ის სინათლის და ჭეშმარიტების გზაა და ამ ბნელ წუთისოფელში ღირს მისი მიყოლა. ადამიანთა უმრავლესობა დროის კარნახით დადის და ქრისტიანი მუდამ იმ საცდურის წინაშეა, რომ როგორც სხვები დანებდეს და მათ მსგავსად მოიქცეს.

შენი ვალდებულებაა ღვთის გზაზე დარჩე, თუმც ის ბუნდოვანი და უცნობი იყოს. ის ერთადერთია, რომელსაც მიზნამდე მიჰყავხარ. რაში გადგია გზა, რომელიც ფართო და ადვილად სავლელია, მაგრამ დაღუპვისაკენ მიდის?

თუ უფლის გზას ადგახარ, პრივილიგებული ხარ, რადგან ის სხვა ნებისმიერი გზიდან განსხვავდება. თუ უფლის მოლოდინში დარჩები, ამაოდ არ იქნება ეს. მოლოდინის ჟამი შესაძლოა დაუსრულებლად მოგეჩვენოს, მაგრამ უფალი თავისი შეწევნით აუცილებლად მოვა.

უთუოდ ჭეშმარიტ ქრისტიანებს იცნობ, რომელთაც ცხოვრება კარგად გაიარეს. მათ სიძნელეებისა და ბრძოლის გადატანა მოუწიათ. მაგრამ მიუხედავად ამ მდგომარეობებისა, ისინი მაინც უფლის გზაზე დარჩნენ.

მიყევი მათ ნაკვალევს. სხვა გზას სასოწარკვეთილებასა და უბედურებისაკენ მიყავხარ. როდესაც უფლის გზაზე უბედურება და გაჭირვება შეგემთხვევა, დიადი შენაძენია თუ იმის თქმა შეგეძლება, რომ დარწმუნებული ხარ, რომ იქ ხარ, სადაც უფლის ნებაა. ეს ნიშნავს, რომ შენი ცხოვრება შენს ხელს კი არა, არამედ მის ხელს გადაეცი.

დადგება დღე, როცა უფალი აგამაღლებს. მოუთმენლობის გამო, თავად არ უნდა შეეცადო თავის ამაღლებას. შენდამი ღვთის მოწოდება, მის გზაზე დარჩენაა. დანარჩენზე არ უნდა იდარდო. ღმერთი აწმყოშიც ხშირად ახდენს ჩვენს ცხოვრებაში ჩარევას. მას შეუძლია თავისი სიუხვით გაკურთხოს. დიახ, მას შეუძლია გააწყოს ტაბლა, შენს წინაშე, შენს მტერთა თვალწინ.

სხვა შემთხვევაში ღმერთს თავისი შვილები იმ ტანჯვებში შეყავს, რისი გადატანაც თვით იესოს მოუწია. ადამიანთა შეხედულებით, იესო მთლიანად განიძარცვა. მას სიცოცხლის გაღებაც მოუწია. მიუხედავად ამისა, ის მაინც ღვთის გზაზე დარჩა. „ამიტომ უდიდესთა შორის დავუმკვიდრებ მას წილს“ (ეს. 53:12).

როდესაც ღმერთი აგამაღლებს, შენ იმას დაიმკვიდრებ, რისი ღირსიც არ იყავი. იესომ ის სამეფო მოიპოვა, რომელსაც შენ უნდა დაეუფლო. დარჩი მის გზაზე, რომ მან მისი მოცემა შენთვის შეძლოს.

17 მარტი

ახლა არ იცი, რას ვაკეთებ, მერე კი გაიგებ.

იოანე 13:7

ხშირ შემთხვევაში არ იცი იესო რას აკეთებს. მაგრამ ის ამბობს, რომ ერთ დღეს შენ მას გაიგებ.

პეტრე გაბრაზდა, როცა იესო მას მონასავით მოექცა. მას არ სურდა იესოს მდაბიოთა საქმე გაეკეთებინა. პირიქით, მისი სურვილი იყო იესო დიდებაში ამაღლებულიყო.

იესო ჩვენთან დიდებულებით, ძალითა და პატივით არ მოდის. ის მუდამ მზადაა მდაბიოთა წინაშეც კი დაიხაროს.

მას ვერ ვუგებთ, როდესაც, რაღაც ჩვენს საწინააღმდეგოდ მიდის. ღვთის წინაშე დახმარებას ვითხოვთ, მაგრამ არაფერი არ იცვლება. ჩვენ უფრო და უფრო უძალო და უმწეო ვხდებით.

მაშინ, როდესაც იესო შენი გამწარებული და შეღონებული სულის წინაშე მოდრეკას იწყებს, ვერ ხვდები, რომ ეს შენს განსაკურნებლად მოვლენილი მადლია. შენ ფიქრობ, რომ დახმარება იქნება ის თუ არსებული გასაჭირიდან გაგანთავისუფლებს. სხვა არაფერი დაგაკმაყოფილებს.

თუმცა ყოველივე ამით ის ხდები, ვინც არ ყოფილხარ. დადგება დღე, როდესაც იესო აგიხელს თვალს ფაქტისადმი, რომ ყველაფერზე აღმატებული მისი მადლია. სხვა ყველაფერთან შედარებით მთავარი ისაა, რომ ყოველი მხრიდან უფალი გარემოგიცავდეს.

პეტრემ დაიწყო იმის გააზრება, რომ იესომ რაღაც აღმატებული უკვე გაკეთა მისთვის, მაგრამ ჯერ საკმარისი არ იყო. ამის გამო ეუბნება მას იესო, რომ განბანილს აღარ ჭირდება დაბანა, რადგან ის წმიდაა.

იგივეა შენდამიც, რომელმაც ღვთის მადლი იგემე. შენი სურვილია ნიაღვარივით იდინოს მან. მაგრამ იესო გეუბნება: შენ უკვე მიღებული გაქვს, რისთვისაც ილოცე.

იესო მის მადლს ძუნწად არ იძლევა. უპოვარსა და თავმდაბალ კაცს, ის მას მდინარესავით თავზე აღვრის. როდესაც მისი საკუთრება ხარ, შენ მის მადლში რჩები.

მაშინ, როდესაც ეს ჭეშმარიტება რეალური და მნიშვნელოვანი ხდება, შენთვის ძნელი აღარ იქნება, რომ იესოს ყოველივე დანარჩენი სამართავად გადასცე. ცხოვრება შენი მისთვის სასიამოვნოდ გაგრძელდება, თუ მის მადლში დარჩები. ამ დროს შენ სრულად განიწმინდები და აღარაფრის საჭიროება აღარ გექნება. დიახ, გაჭირვების დროსაც კი გექნება სიუხვე.

18 მარტი

ამიტომ ყველაფერში ძმებს უნდა დამსგავსებოდა, რათა ყოფილიყო მოწყალე და ერთგული მღვდელმთავარი ღვთის წინაშე, ხალხის ცოდვების მისატევებლად.

ებრაელთა 2:17

იესო მღვდელმთავარია.

ის ღვთისა და შენს წინაშე შუამდგომელი გახდა. ამის გამო ღვთის რისხვის ელვამ მასზე გაიარა. როდესაც ღმერთმა შენი ცოდვებისათვის საფასური მოითხოვა, მისი გადახდა იესოს მოუწია. ის წინ წავიდა და ცოდვის საზღაური სრულად მიიღო.

იესომ, როგორც მღვდელმთავარმა ჩვენი ცოდვის გამოსყიდვა მოახდინა. ჩვენი ცხოვრების ცოდვის შედეგები თავის თავზე აიღო. იესომ არა მარტო ცოდვა იტვირთა, არამედ თავად გახდა ცოდვა. ისე აიღო ის, რომ მასთან ერთი სრული გახდა.

რა საშინელი განცდა იქნებოდა იესოსთვის, როდესაც წუთისოფლის ცოდვამ, მთელი თავისი საზიზღრობით წმიდის ცვლილება გამოიწვია!

მიუხედავად ამისა, ღვთის შესაწირავ კრავს უკან არ დაუხევია. ის ისეთი მღვდელმთავარია, რომელიც ღვთის წინაშე მუდამ წარგადგენს. როგორც მღვდელმთავარი ის მწალობელია. მან ყოველი შენი ცოდვა და სისუსტე იცის. მან იცის, რომ შენ ცოდავ და დაცემული ხარ; თუმცა მისი სიყვარული შენდამი უზღვავია.

იესო შენს უბედურებას თავისად მიიჩნევს. როდესაც პეტრემ იესო მღვდელმთავრის ეზოში დაგმო, ის მის მზერას შეეჩეხა, რამაც აიძულა გარეთ გასულიყო და ექვითინა.

იესო ასეთია. ის მაშინ მოდის შენთან, როდესაც ეცემი. შენს მიერ უარყოფა, მის სიყვარულს ვერ აცხრობს. შენმა ცოდვამ ის გოლგოთაზე მიმავალი ვერ შეაჩერა. ღვთიური თანაგრძნობით აღვსილი ის მსხვერპლშეწირვის ადგილზე მივიდა, რათა ყოველი შენი ცოდვისათვის გადაეხადა.

იესო ერთგულია. შენ მისი ნდობა შეგიძლია. ის დღესაც ზუსტად იგივეა, როგორიც ტანჯვის გზაზე მიმავალი იყო. იესო შენ ღმერთთან გაკავშირებს. მან ღმერთსა და შენს შორის ხიდი ააგო. ამიტომ ახლაც და საუკუნოდ მისი ხარ.

19 მარტი

იესო ქრისტე გუშინ, დღეს და უკუნისამდე იგივეა.

ებრაელთა 13:8

როგორი იყო იესო გუშინ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად იმ გამოცდილებას, რაც იესოსთან გვაკავშირებს შეგვიძლია სრულად დავეყრდნოთ. იესოს თანდასწრება და დახმარება განვიცადე თუ არა გუშინ?

სრულიად შესაძლებელია თქვენ გაქვთ განსაკუთრებული მტკიცებულება იმისა, რომ იესო ცოცხალია და თქვენზე ზრუნავს. ეს იმ ფაქტზე საფიქრებლად იქნება წახალისება, რომ იესო დღესაც იგივეა. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ გუშინ ერთი ჩვეული კვირის დღე იყო შენთვის. ამიტომ მიგაჩნია, რომ ისეთი რამ არ მოხდარა, რაც ქრისტეს უცვლელობაზე გაფიქრებინებდა.

ამიტომ საკუთარი გამოცდილებებით განსჯა არ უნდა დაიწყო. ვინაიდან გამოცდილება ცვლილებას ექვემდებარება, მისგან დიდვადიან დახმარებას ვერ მიიღებ.

არა, მიმართე ღმერთის სიტყვას.

როგორი იყო იესო გუშინ? ის ისეთი იყო, რასაც ღმერთის სიტყვა ამბობს. არცერთი სიტყვა იესოს შესახებ ან თვით იესოსი, გუშინ არ გაცუდებულა. ყველაფერი რაც მის შესახებ წერია ჭეშმარიტება აღმოჩნდა. დღესაც იგივეა. იესო არ შეცვლილა.

თუ მარადისობის ჭრილში დააკვირდები, მიხვდები, რომ იესო როგორიც მიწაზე სიარულის დროს იყო, საუკუნოდ იგივე დარჩება. თუ ეს აზრი შენს გულში ღრმად გაჯდება, მაშინ ღრმა და უძირო ბედნიერება დაგეუფლება. შენ ისეთი იესო ნახე, რომელიც სამუდამოდ იგივეა, მაშინ, როდესაც წუთისოფელში ყველაფერი ცვლილებას და გარდასხვას ექვემდებარება.

ამის გამო მომავალი გაურკვეველი აღარ რჩება. იქ შენი თანამგზავრი იესო იქნება. ის მარტო არ დაგტოვებს. მუდამ შენთან იქნება. შენს ცოდვებს თავისი სისხლით დაფარავს, რათა მსჯავრი არ დაგედოს. ხოლო სიძნელეებსა და განსაცდელებს, რომელთა არიდება შეუძლებელია, გადალახვას შეგაძლებინებს.

იესო ასეთი რჩება. მისი სიტყვა ამაში გარწმუნებს. ის ასეთი იქნება მომავალშიც. ღვთის სიტყვა ამბობს, რომ ის გუშინ და დღეს — და საუკუნოდ, იგივეა.

20 მარტი

ხოლო ის, ვინც თქვენთან ერთად გვაფუძნებს ქრისტეში და გვცხო, ღმერთია.

2 კორინთელთა 1:21

პასუხი გაქვს მტანჯველ კითხვაზე: „მივაღწევ მიზანს?“ შენ გინახავს ადამიანები, რომელნიც რწმენისგან განდგნენ და კითხვა გიჩნდება, იგივე ხომ არ შეგემთხვევა. საკუთარი თავი სხვებთან შედარებით უკეთესი არ მიგაჩნია. შენი ცხოვრებიდან გამომდინარე იცი, რა ძალებმა ჩამოაცილეს ისინი იესოსგან.

შესაძლოა ფიქრობ, რომ შენი სულიერი ცხოვრება წარსულში უფრო ძლიერი იყო. მაშინ უფრო იყავი ენთუზიაზმითა და მოშურნეობით აღვსილი. შენი ღმერთთან ურთიერთობა მეტი ინტესივობით გამოირჩეოდა. ახლა კი არაკომფორტულ დაუდევრობაში ხარ გადავარდნილი.

ამ დროს რა უნდა გააკეთო?

უნდა შეისმინო სიტყვა: „ის, ვინც თქვენთან ერთად გვაფუძნებს ქრისტეში, ღმერთია.“ ჩვენზე, რომ ყოფილიყო მისი კეთება, მიზანს ვერასოდეს მივაღწევდით. მაგრამ ღმერთია ის, რომელიც ქრისტეში გვაფუძნებს.

როდესაც უფალი ნებას გვრთავს დავინახოთ ჩვენი უსუსურობა და ის თუ, რაოდენ მცირეს გაკეთება შეგვიძლია, ამას სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის გამო არ აკეთებს. ის იესოსკენ გვიბიძგებს. რაც გვჭირდება მასთან ვპოვებთ. მიუხედავად ჩვენი სიღარიბისა და საჭიროებისა, მასში მდიდარნი ვართ.

ღმერთმა ჩვენ გვცხო. მან სულიწმიდა მოგვცა. სულიწმიდაა, რომელიც იესოს ღვთის შვილის გულში ადიდებს. თუ იესოს მისი დიდებულებით ვეღარ ხედავ, საჭიროა ილოცო, რომ გულის თვალები აგეხილოს. ზურგი აქციე საკუთარ თავს. ღვთის სიტყვას ჩაეჭიდე. საკუთარი თავის ყურება კარგი არ არის. ნუღარ იფიქრებ მუდმივად ისეთ გამოსავალზე, რომელიც არასოდეს მატერიალიზდება. უკეთესია ღმერთის აღთქმებით აღიჭურვო.

მოცემული სიტყვა ო, რა საოცარ კურთხევას ამჟღავნებს! ეს ღმერთია, რომელიც ქრისტეს გაკავშირებს. ღმერთი კი საოცრებების ღმერთია. ის შენი ცხოვრებიდან ყველაფერს გამოიყენებს, რომ მას დაგაახლოვოს — თვით იმ გამოცდილებასაც, რაც მძიმედ და ძნელად გეჩვენება.

რა თქმა უნდა ეს სიტყვა პავლესა და მასთან დაახლოებულ პირებს ეკუთვნოდა. პავლე თავის თავს აიგივებდა სუსტ და მოუმწიფებელ კორინთელებთან. ღმერთი მადლის ღმერთია. ის ყოველ ჩვენგან თავის ძესთან მტკიცედ გვაკავშირებს. ჩვენ შეგვიძლია მის სიტყვას მივენდოთ. უფალი დაგვიფარავს და წინ წაგვიძღვება. ამიტომ მას ჰქონდეს დიდება!

21 მარტი

წყლის გაშვებას ჰგავს ჩხუბის დაწყება. შეწყვიტე დავა, სანამ გადმოხეთქავს.

იგავი 17:14

ბევრის თქმით ელვა ჰაერს წმენდს. ზაფხულის მხუთავ დღეებში, ეს მართალია. მაგრამ ადამიანთა ურთიერთობებში მართალი არ არის. მგზნებარე რისხვის გადმოფრქვევა კარგს არაფერს მოიტანს.

„წყლის გაშვებას ჰგავს ჩხუბის დაწყება. შეწყვიტე დავა, სანამ გადმოხეთქავს.“

შეურაცხმყოფი სიტყვები აღწევს იმ ადამიანის ფიქრებს ვის მიმართაც იყო ნათქვამი. წლების განმავლობაში მათ ახსოვთ შენი სახე, თუნდაც შენ დავიწყებული გყავდეს. შეურაცხმყოფი სიტყვები ადამიანთა ურთიერთობების მიწისქვეშა დარბაზებს წვდება და ერთ დღეს მათ სრულ კოლაფსს გამოიწვევს. ხშირად ის იმაზე მეტ ზიანს იწვევს, ვიდრე ვინმე ელოდა.

არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა გვმართებს. ეს უნდა მოხდეს მშვიდი და წყნარი სულით და არა სიმართლის სახეში მიხალებით.

მრავალი დავა ჭორაობიდან იღებს სათავეს. „ვინც ბევრს ლაპარაკობს, ცოდვას ვერ აცდება“ ამბობს ღმერთის სიტყვა 10:19. ზედმეტი ლაპარაკი იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც იქვე ადგილზე არ არიან, საშიშია. ჩვენ რომ გვეგონა საკითხი გადავჭერით, აღმოჩნდა, რომ ჩვენი საუბარი ცილისწამებით დავასრულეთ. ისეთ მოტივებს ვაშუქებთ, რომელნიც მათ არ ჰქონიათ. იმ პიროვნებისადმი ურთიერთობა, რომელზეც ვლაპარაკობთ გაუთვითცნობიერებელია და ამ დროს ცეცხლს ნავთი ემატება. იგავთა წიგნი შეგვაგონებს, რომ დავა უნდა შევწყვიტოთ. ბრძნულია საკუთარ თავს ჰკითხო, რომ რასაც ამბობ, დავას ხომ არ წარმოშობს. ამიტომ მანამ უნდა შეაჩერო ის, სანამ შესაძლებელია.

რა კარგია, როცა ძმებმა თავის დროზე იციან ყველაფერი. როცა უთანხმოებაა, ვიდრე დავა წარმოიშობა საჭიროა ერთმანეთს შეჩერებისაკენ მოვუწოდოდ. ნამდვილი სიმდიდრე ისაა, რომ ერთობლივად შეგვიძლია უფლისადმი ლოცვა, რათა ჩვენ, ცოდვილი ადამიანები მის სიყვარულსა და მადლში გაგვაერთიანოს და შეგვეწიოს, რომ არ გავხდეთ უკურნებელი ჭრილობების მიზეზი.

დაე, უფალმა მოგვცეს მადლი და გვასწავლოს თავმდაბლობა, რათა ერთად შევძლოთ იმ დღისაკენ წინ სიარული, როცა ყველანი ერთ გუნდათ ვიქნებით გაერთიანებული, ღვთისა და კრავის პატივისა და დიდების საგალობლად.

22 მარტი

იესოს უყვარდა მართა, მისი და და ლაზარე.

იოანე 11:5

იესოს ყველა უყვარს. თუმცა არიან ისეთნი, რომელთა მიმართაც განსაკუთრებულ სიყვარულს ამჟღავნებს. მათ შორის იყო ლაზარე, მართა და მარიამი. ამ სამ დედმამიშვილში იესოს სიყვარულმა ადგილი ჰპოვა. ისინი მისი სიტყვისადმი იყვნენ გახსნილნი. ყველაფერი, რაც იესომ თქვა, მათ გულში იყო აღბეჭდილი. სწორედ ამის გამო ისინი მის მორჩილებაში იყვნენ.

მართა საკუთარი კარის გახსნით, იესოს და მის მეგობრებს ემსახურებოდა. მარიამმა ძვირფასი ნელსაცხებელი სცხო მას. ლაზარე იესოს ღვთაებრივი ძალის ცოცხალი მოწმე იყო. სადაც არ უნდა წასულიყო ლაზარე ხალხმა იცოდა, რომ ის, ის კაცი იყო, იესომ რომ აღადგინა მკვდრეთით.

მეტი თანამოზიარეობით სიყვარული დიდდება. იესო თავის მეგობრებს საკუთარ რწმენას უზიარებდა. ის სხვადასხვა რჩევებს თავაზობდა მათ, რათა მის შესახებ სრული ცოდნა მიეღოთ.

ამ დროს ისინიც ცდილობდნენ ყოველი აზრი მისთვის დაემორჩილებინათ. ლაზარეს ავადმყოფობის დროს მათ იცოდნენ ვისთვის შეეთვალათ სიტყვა. იესოსა და მათ შორის დიდი სიახლოვე იყო.

იესოს შენდამი საუკეთესო სურვილები აქვს. მას სურს ამ სამის მსგავსი იყო. მას თავისი სიტყვის სიღრმეში შენი შეყვანა სწადია. ის ამას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ მის ფეხებთან დაჯდები და მის საუბარს მოუსმენ. იესო თავის კეთილგანწყობას მოგანიჭებს. ეს ამას მხოლოდ მაშინ შეძლებს, როდესაც მართას მსგავსად ყველაფერს, რაც საკუთრებაში გვაქვს მის ხელს გადავცემთ გამოსაყენებლად.

თავი და თავი ის არის, რომ იესოს სურს მისი ცოცხალი მოწმე იყო. ეს მაშინ ხდება, როდესაც იმის შემეცნებას გაძლევს, რომ ოდესღაც უკეთურებასა და ცოდვებში მკვდარი, ახლა მასში გაცოცხლდი.

იესოს თავისთვის უნდიხარ. ის თავის სიტყვას გაძლევს და მას შენს გულში დებს. იყო იესოს საყვარელი შვილი, უდიდესი სიმდიდრეა.

23 მარტი

მაშ, გავიდეთ მასთან ბანაკის გარეთ და ვიტვირთოთ მისი შეურაცხყოფა.

ებრაელთა 13:13

ჯვარზე მყოფ იესოს დასცინოდნენ. ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობდა, მისი დამცირებული სიკვდილი, მისი სიტყვებისა და საქმეების საკადრისი მსჯავრი იყო. განაჩენმა ჯვართან მდგარი მისი მეგობრებიც შეძრა.

წლები გავიდა, მაგრამ იესო კვლავ დამცირებულია. ეს ჭეშმარიტება მათაც მიესადაგება, რომელთა მიმართაც სიტყვა ჯვრის შესახებ ღვთის ძალა გახდა გადასარჩენად.

ბევრი იესოსადმი ინტერესს გამოხატავს. რატომღაც მისთვის გვერდის ავლა არ შეუძლიათ. მისი სიტყვა და საქმე ისეთ საიდუმლოებებს ამჟღავნებს, რომლის ჩაწვდომა დღესამომდე ვერავინ შეძლო. თაობიდან თაობამდე, როგორც რელიგიური, ასევე არარელიგიური ადამიანები იესოთი იყვნენ დაკავებულნი.

ღვთის შვილმა რა უნდა აკეთოს?

უნდა გახვიდე „ბანაკის გარეთ," რათა მისი შეურაცხყოფა ზიდო. თანამედროვე ადამიანებისათვის დამახასიათებელია უყურონ იესოს, როგორც ღვთის კრავს, რომელმაც მთელი ჩვენი ცოდვები იტვირთა. ისინი ვერ ხედავენ იესოს, რომელიც ჩვენს გამო ღვთისგან წყეული გახდა.

თუ შენ ჯვრის მეშვეობით სიცოცხლე ჰპოვე, იესო შენთან ყოველი მისი სიტყვით და საქმით ლაპარაკობს. მაგრამ უპირველესად იესომ საკუთარი თავი ყველა შენი ცოდვისათვის შეწირა; რათა შენ კვლავ და კვლავ სიტყვა ჯვრის შესახებ გესმინა.

ჯვართან მუდამ სირცხვილი ასოცირდებოდა. ის ნებისმიერს ყოველი პატივისგან ძარცვავდა. ჯვარი ამბობს, რომ არავის შეეძლო საკუთარი ცოდვის გამოსყიდვა. იესოს მოუხდა ამ განუზომელი ფასის გადახდა. ეს რომ მას არ გაეკეთებინა, მაშინ ერთადერთი რაც გვრჩებოდა, მარადისობის ღვთის რისხვისა და მსჯავრის ქვეშ გატარება იყო.

სიტყვას ჯვრის შესახებ ჩაეჭიდა. მაშინაც კი ასე მოიქეცი, როდესაც ქრისტიანთა უმრავლესობა ხან ერთი რამით არის გატაცებული, ხან კიდევ მეორეთი.

როდესაც პავლე კორინთოში იმყოფებოდა, ის სხვა რამის ცოდნას გარდა ერთისა უგულებელყოფთა. ეს იყო იესო ქრისტე და ისიც ჯვარცმული. ის მასთან ერთად „ბანაკის გარეთ" გავიდა. მან მისი შეურაცხყოფა იტვირთა. მოდით მის ნაკვალევს მივყვეთ! ესაა გზა, რომელიც სიცოცხლისაკენ მიდის.

24 მარტი

მეექვსე თვეს კი ღმერთმა ანგელოზი გაბრიელი გალილეაში, ნაზარეთად წოდებულ ქალაქში წარმოგზავნა. ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო იოსებზე, დავითის სახლიდან; ქალწულს სახელად მარიამი ერქვა.

ლუკა 1:26-27

საუკუნე საუკუნეს ანაცვლებდა, მაგრამ მარიამი არავის ავიწყდებოდა. უდავოა იესოს გამო. ის რომ არა, მარიამის შესახებ მიწაზე არავის ეცოდინებოდა.

მარიამი იერუსალიმიდან არ იყო, არამედ გალილეის ქალაქ ნაზარეთიდან. ის გავლენიანი ოჯახის წრიდან არ გამოსულა. არც ისეთ პიროვნებაზე დანიშნულა, რომელსაც დაბადებიდან ისეთი ნიჭი თუ ცოდნა ჰქონდა, რაც ებრაელი ხალხისათვის მნიშვნელოვანი იყო.

არა, ღმერთი უმნიშვნელოს მნიშვნელოვნად აქცევს. ამაში ახალი არაფერია. ის მუდამ ასე იქცეოდა.

როდესაც სამუელი ისრაელის მეორე მეფეს ირჩევდა, დავითისათვის საერთოდ არ დაუძახნიათ. ადამიანთა შეხედულებით მწყემსი ბიჭის მეფედ არჩევა, დღის წესრიგში არ დადგებოდა. მაგრამ ღვთისათვის ასე არ იყო. ზუსტად ამ სახით მოხდა მარიამის არჩევაც. და ასეა შენი მისგან არჩევაც. თუ შენ სხვასთან შედარებოთ რაღაცას წარმოადგენ, მაშინ არ გაგიჩნდებოდა კითხვა თუ ღმერთმა რატომ აგირჩია.

ღმერთი კი ხშირად ისეთ ადამიანებს ირჩევს, რომელნიც ადამიანთა თვალში არაფერს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე ჩვენ არანაირ ქებას არ ვიმსახურებთ. ყოველი ქება უფალს ეკუთვნის.

მარიამისა და იესოს ცხოვრება ერთმანეთთან იყო გადამბული. იესომ საკუთარი დედა მსოფლიო ისტორიაში შეიყვანა, ხოლო მოგვიანებით მარადისობაში.

თუ შენ იესოს რწმენით ღვთის შვილი ხარ, მაშინ შენი სიცოცხლეც მასთანაა გადამბული. ის არის მთავარი ძაფი, რომელიც ყველაფერს აკავშირებს. მან თავისი სისხლით ყოველი შენი ცოდვა წარხოცა. ის ყოველდღე შენს გვერდით დადის. ის საუბრობს შენთან და მისი მსახურებისაკენ მოგიწოდებს.

ნაყოფი შენი ცხოვრებისა ისაა, რაც იესომ შენის მეშვეობით მიაღწია. სხვა დანარჩენა განქარდება. მაგრამ მის მიერ წარმოქმნილი ნაყოფი სამარადისოდ დარჩება.

25 მარტი

ერთ დღეს წარვხოცავ ამ ქვეყნის ცოდვებს.

ზაქარია 3:9

წითელი პარასკევი ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი დღეა. ყველა ჩემი ცოდვის წარხოცვა მაშინ მოხდა.

მთელი ჩემი ცხოვრება მის მცდელობაში რომ გავატარო, მაინც ვერ გავაკეთებ, რაც ღმერთმა ერთ დღეში მოიმოქმედა. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ღვთისათვის ცოდვების წარხოცვა ადვილი იყო. წითელი პარასკევი ყველა დღესთან შედარებით ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა.

ღმერთს თავად მოუწია საკუთარი შვილისათვის ხელის ჩაჭიდება და მსხვერპლშეწირვისთვის მთაზე აყვანა. ეს მძიმე სვლა იყო. იესო მთელი ცხოვრება იმას აკეთებდა, რაც მამისთვის იყო სათნო. მამაც ყოველთვის სიხარულით შესცქეროდა თავის ძეს.

წარმოდგენაში იესოს გოლგოთაზე გაყევი. სიცოცხლე მსხვერპლად უნდა გაღებულიყო. ღვთის საყვარელი ძე, მისსავე წყევლის ქვეშ უნდა მოსულიყო. ღვთის მიერ არჩეულ შესაწირავ კრავს, მთელი წუთისოფლის ცოდვა უნდა აეღო.

ნუთუ გიკვირს, რომ ღმერთი ამ ტანჯვის დღეს არასოდეს ივიწყებს? ის, რაც მისმა მამობრივმა გულმა გადაიტანა, მაშინ, როდესაც იესოს მთელი ცოდვის საშინელი ტვირთი დაედო, არცერთ ჩვენგანს არ შეუძლია მისი გაგება. უფრო ნაკლებად ვწვდებით იმ ფაქტსაც, რომ ღმერთმა ეს ყოველივე ჩვენდა გადასარჩენად მოიმოქმედა! მაგრამ ღვთის სიყვარული ჩვენდამი დიდია!

როდესაც გოლგოთაზე ჩამოწოლილი სიბნელე ღმერთმა გაფანტა, სწორედ მაშინ მოაშორე უფალმა მთელ დედამიწას ცოდვა და დანაშაული. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა გადარჩენაში მოვა. ვინაიდან ღმერთი არავის არაფერს არ აძალებს. თუმცა ინდივიდუალურად ყოველ ცოდვილს მის მადლს თავაზობს. შენ, რომელმაც მიიღე იესო, უნდა იცოდე, რომ ყოველი შენი ცოდვა წარხოცილია. ეს მოიცავს არა მარტო წარსულში ჩადენილ ცოდვებს, არამედ იმ ცოდვებსაც, რომელთაც შენი ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე ჩაიდენ.

ყოველი მათგანის მოშორება ღმერთმა მხოლოდ ერთ დღეში შეძლო. მადლი საოცარია! ვიდრე ცოდვა იქნება ჩადენილი, უკვე ის წარხოცილია. ვიდრე ზეცის კარიბჭეში შეაბიჯებ შენ უკვე გადარჩენილი ხარ. ღმერთმა ასე გააკეთა. ის ჩაერია. მარადისობის განმავლობაში შენ წითელი პარასკევი მუდამ გემახსოვრება. იმ დღეს იესომ ზეცა მოგიპოვა.

26 მარტი

ჯარისკაცებმა ეკლის გვირგვინი დაწნეს და თავზე დაადგეს ...

იოანე 19:2

წუთისოფელში არსებულ ყველაზე ბრწყინვალე გვირგვინებსა და ეკლის გვირგვინს შორის არჩევნის გაკეთება თუ მოგიხდებოდა, უდაოა გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებოდა. ამ გვირგვინთა გვერდით, ის შენს ყურადღებას აუცილებლად მიიქცევდა. უთუოდ ის დაცინვის ობიექტი იქნებოდა. მაგრამ სინამდვილეში ის თავისი სილამაზით ყოველ გვირგვინს აღემატება. ის ხომ თვით იესომ ატარა.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ სამეფო გვირგვინის ტარება ადვილი რამ არის. თავიდან ასე ჩანს, მაგრამ სამეფო ძალა მის საფასურს ითხოვს.

ეკლის გვირგვინი მხოლოდ ერთი მეფის მიერ იქნა მოპოვებული. ისიც ამაღლებულ იქნა, ოღონდ ჯვარზე. არცერთ გვირგვინს არ მოუთხოვია ამ სიდიდის ფასის გადახდა. იესომ თავისი სიცოცხლით გაიღო ის.

როდესაც იოანემ იესო ზეცად იხილა, ის დაკლული კრავივით იყო. სიკვდილის იარებს ის კვლავ ატარებს.

უდაოა გაოცება შეგვიპყრობს, თუ მარადისობაში ეკლის გვირგვინის ნაკვალევს ვიხილავთ.

ღმერთმა იესოს ყველა სახელზე აღმატებული სახელი მიანიჭა. ყოველი მუხლი მის წინაშე მოიდრიკება. მისი დიდება ყოვლისმომცველია. იმავდროს ის რჩება იმ პიროვნებად, რომელიც ჩვენი უმართლობის გამო იქნა განგმირული და ჩვენი უკეთურების გამო დაჭრილი; სასჯელი ჩვენი მშვიდობისათვის მასზე იყო და მისი ჭრილობებით ჩვენ განვიკურნეთ.

ჯვარცმით სიკვდილი საშინელებაა. ეს არის სიკვდილი წამებით. იესოს სიკვდილი უფრო საშინელი აღმოჩნდა. ვინაიდან ეს ღვთის რისხვის ქვეშ სიკვდილი იყო. ამის გამოა, როდესაც გოლგოთის შესახებ ვკითხულობთ შიში გვიპყრობს. თუმცა ღვთის დიდება იესოზე განისვენებს. მის გამო ჩუმი და ღრმა მადლიერებით ვივსებით, რომელიც სიტყვებით არ გამოითქმის. გული მოსვენებასა და სიმშვიდეს პოულობს, რადგან ჩვენი სასჯელი მასზე მოვიდა.

ჯარისკაცებმა იესოსთვის ეკლის გვირგვინი მოქსოვეს. მაგრამ ღმერთი მათ უკან იყო. ეს რისხვის თასი თავის ძეს ხელში მან მიაწოდა. იესოსათვის მისი არიდება შეუძლებელი იყო, თუ ქვეყნიერების მხსნელი ნამდვილად იყო ის.

იესო, შენი მეფე, ეკლითაა დაგვირგვინებული. მასშია მთელი სიღრმე დეგრადაციისა და უდიდესი წარმატებისა, ერთადაა თავმოყრილი. ყოველივე ამასთან ერთად მისი ანთებული გული, შენდამი სიყვარულით აღსავსე აგრძელებს ცემას.

27 მარტი

მაშინ სახეში დაუწყეს ფურთხება და ცემა, ზოგიერთები კი სილას აწნავდნენ და ეუბნებოდნენ: „გვიწინასწარმეტყველე ქრისტეე, ვინ დაგარტყა?“

მათე 26:67-68

ჯარისკაცები იესოს შეუბრალებლად მოექცნენ. ცემდნენ მას და ფიქრობდნენ, რომ მან ვინ იყვნენ ისინი არ იცოდა.

უცნაურია იმ ფაქტზე ფიქრი, ვინაიდან აქ მყოფ ადამიანებს, მხოლოდ ერთი სურვილი ექნებათ: რომ იესოს მიერ იყვნენ ცნობილნი. თუ მათ თავისებად ცნობს, მაშინ ისინი მასთან გაატარებენ მარადისობას. თუ ვერ ცნობს მათ, მაშინ ცეცხლში ამოყოფენ თავს, რომელიც ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვის საუკუნოდაა გამზადებული.

თუ მოგვიანებით მათ მოქცევა შეძლეს, მაშინ ცნობს მათ. ვისაც იესო სწამს, ვერა ცოდვა ვერ დადებს მსჯავრს; და მნიშვნელობა არ აქვს თუ პიროვნება, რაოდენ ჰყავს ცოდვას ნაცემი.

იესოს ცემისას და დამცირებისას მათ ანონიმურად დარჩენა სურდათ. არადა გზა ხსნისკენ, სწორედ იესოს მიერ ცნობაზე გადის. ყოველივე დღის სინათლეზე უნდა გამოვიდეს და ყოველივე აღიარებული უნდა იქნას.

შვების მომცემია, როცა მას ყველაფერს ვუყვებით! ო, რა სიამოვნებაა ღვთის შვილად ცხოვრება, რომელიც უფლისგან არაფერს არ მალავს. მთავარი ისაა, რომ იესო ისეთს მიცნობს, ვინც სინამდვილეში ვარ; მიუხედავად ამისა ის არ უკუმაგდებს. მას დაუმსახურებლად ვუყვარვარ. იესო ყოველ ჩემს უწმინდურებას და იმავდროს ჩემს ნათელ მხარეებს ხედავს. ასევე ის მის მადლში შემოსილს მიყურებს, რომელიც თხემიდან ტერფამდე მფარავს.

წარმოიდგინეთ ზეცაში იმ ადამიანებთან აღმოჩნდეთ, ვინც იესო განგმირა — რა დიდებული რამ იქნება! ვინაიდან ყველა მდგომარეობის გათვალისწინებით, სინამდვილეში იესო ჯვარზე შენმა ცოდვებმა აცვა. მას არ სურს ხსნა არცერთი ჩვენგანისადმი ამაო არ იყოს; ანუ მისთვისთვისაც კი ვინც სხვასთან შედარებით უფრო მეტადაა დაცემული. დაე, იესო შემოვიდეს შენი ცხოვრების ბნელ კუნჭულებში. მისი მადლია რომელიც გიხსნის გულს და თუ ასე მოიქცევი გადარჩები კიდეც.

შემდგომ ამისა იესო, ღვთის ძე, საუკუნოდ გცნობს. თუ შენი ცოდვების სიმძიმე მასზე დაიდო, მაშინ მის ხნას, მისი მადლის მიღებით, ასე ძალუმად, რომ წყურია შენთვის მოცემა, შეგიძლია ეზიარო.

28 მარტი

„...უმჯობესია ერთი ადამიანი მოკვდეს ხალხისთვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს.“

იოანე 11:50

ეს სიტყვები მღვდელმთავარმა კაიაფამ თქვა. ღმერთმა დაუშვა თვით იესოს მტრებსაც ეთქვათ ჭეშმარიტება. ან მთელი ერი უნდა დაიღუპოს, ან იესო უნდა მოკვდეს.

იესო რომ არ მომკვდარიყო, მაშინ ჩვენ ყველანი დავიხოცებოდით. სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით სიკვდილი არ აგვცდებოდა. ფიზიკური სიკვდილის შემდეგ გარდაუვალი იქნებოდა მარადიული, ღვთის სიტყვის თანახმად მეორე სიკვდილი. ის არის ცეცხლის ტბა, რომელიც ცეცხლითა და გოგირდით იწვის.

ღმერთი წმიდაა. მისი სიმართლე მოითხოვს, რომ ცოდვა გამოსყიდულ იქნას. მისი გულისთვის უნდა გადაიხადოთ. სხვა შემოვლითი გზა, არ არსებობს. ღმერთი მჭამელი ცეცხლია.

ამის გამო ჩვენ მისი რისხვის ქვეშ ვიყავით მოქცეული. ყველამ შესცოდა და მოკლებული არიან ღმერთის დიდებას. შედეგად ყველა ერი იღუპება.

უკეთესია ერთი ადამიანი მოკვდეს მთელი ერისათვის. კაიაფა ამ სიტყვებს გაუაზრებლად ამბობს და არ იცის, რომ ღმერთს იგივე აქვს ნათქვამი. კაიაფა ფიქრობს, რომ იესო ცრუწინასწარმეტყველია. ღვთისათვის იესო ძეა, რომელიც მისთვის სათნოა. იმავდროს ის ღვთის ჭეშმარიტი შესაწირავი კრავია, რომელიც მსხვერპლშეწირვის ადგილზე აღესრულება.

ის იყო ერთადერთი, რომელსაც ყველას ცოდვების გამოსყიდვა შეეძლო. ის უცოდველი იყო. ამის გამო მას, ყველა სხვა დანარჩენის ცოდვების ტვირთვის უნარი ჰქონდა. ეს ჩვენი სიკეთისათვის იყო, რომ ის ჩვენს გამო მოკვდა; სხვანაირად ყველანი დავიღუპებოდით. იესოს მიმართ რა შეიძლება ითქვას? ეს ყველაფერი მისთვისაც სიკეთის მომტანი იყო?

თუ ღვთის გზაზე სურდა დარჩენა, მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. წუთისოფლის შექმნამდე ის, ცოდვის აღსაკვეთად ღვთის მიერ იყო არჩეული.

იესოს სხეულიდან გეთსემანიის ბაღში სისხლის წვეთები გადმოდინდა, მაშინ, როდესაც ის თავის ნებას უფლის ნებას უმორჩილებდა.

ჩუმი, მაგრამ ღრმა აღფრთოვანებით საჭიროა ვთქვათ, რომ იესოსთვის სიკეთე ის იყო, რომ მან ნებით მიიღო ცოდვილთა ადგილზე დგომა და ღვთისგან უარყოფის განცდა. ამიტომ ღმერთმა აღამაღლა ის და მისცა ყველა სახელზე აღმატებული სახელი. დიახ, მის გამო მოხდა ჩვენი გადარჩენა.

29 მარტი

...აიღეს მისი სამოსელი და ოთხ ნაწილად გაყვეს; ხოლო კვართი შეკერილი არ ყოფილა, თავიდან ბოლომდე ნაქსოვი იყო. თქვეს ერთმანეთში: „ნუ დავხევთ, წილი ვყაროთ მასზე. ვნახოთ, ვის შეხვდება.“

იოანე 19:23-24

იესო ღარიბი იყო. „მელიებს სოროები აქვთ და ცის ფრინველებს — ბუდეები. მაგრამ ძეს კაცისას თავის მისადებიც არ გააჩნია!“ (მათ. 8:20).

ერთადერთი ფასეული, რასაც იესო ფლობდა, ეს კვართი იყო. ჩვენ არ ვიცით თუ როგორ შეიძინა ის მან, მაგრამ ვიცით, როგორ დაკარგა.

ის მას ჯვარცმის დროს ჩამოართვეს. ჯარისკაცებმა მისი დაჭრა გადაიფიქრეს, რადგან თავიდან ბოლომდე ერთიანი ნაქსოვი იყო. ჯარისკაცი, რომელიც მისი პატრონი გახდებოდა, სურდა კვართი დაურღვევლად ყოფილიყო.

ბიბლიაში სამოსელი ხშირად გადარჩენის სიმბოლოდ გამოიყენება. როცა იესოს კვართზე გვესმის, ჩვენც სწორედ ამ ჭრილში უნდა ვიფიქროთ მასზე.

იესო ღვთის რისხვის ქვეშ ჯვარზე მოამაღლეს, ხოლო მისი კვართი, მთლიანი და სრული, ჯვრის ძირში იყო განფენილი. იმ წითელ პარასკევს პირველად მოხდა, როდესაც ცოდვილი, გოლგოთიდან სახლში წასული იესოს სამოსელში გამოწყობილი მივიდა. მან ის მთლიანად დაფარა.

კარგად იცი, წილისყრით მოგებული სამოსელის გამო ის კაცი გადარჩენაში არ მოსულა. მაგრამ თუ გადარჩენილი ხარ, ფიგურალურად იმ კვართის ფლობელი ხდები.

როდესაც იესო ცოდვად იქცა, ღმერთმა მისგან სამართლიანობის სამოსელი აიღო. ის შესამოსელი შენთვისაა გამზადებული. მას შენ რწმენით ღებულობ. თუ ირწმუნებ იმ ფაქტს, რომ იესო შენს გამო შეეწირა, გადარჩენა შენია. მაშინ შენ მისი სისხლით დაიფარები და ღვთის თვალში ისეთი მართალი ხდები, როგორც თვით იესო. ამ დროს შენი სიწმინდე იესოს შეესატყვისება და ღმერთი, მისი ძის სიმართლეს შენსად თვლის.

ამიტომ დარწმუნებული შეგიძლია იყო. შენ ახალი იერუსალიმის გზას ადგახარ. მაშინ, როდესაც დარდი მოგაწვება, უბრალოდ შეხედე სამოსელს, რომელსაც ატარებ. ეს ხსნის სამოსელია. იესომ სრულგყო შენ. ნუ გეშინია; შენ მისი დასრულებული საქმით ხარ დაფარული.

30 ივნისი

გამოსყიდულნი...ქრისტეს ძვირფასი სისხლით.

1პეტრე 1:18-19

შენ რეალურად გამოსყიდული ხარ. ეს გოლგოთაზე მოხდა, როდესაც იესომ თავისი სისხლი შენთვის გაიღო. არასწორია ვიფიქროთ, რომ, რაც უფრო უკეთესი ქრისტიანი ხარ, მით უფრო გამოსყიდული ხდები.

არა, მაშინაც კი, ვიდრე ქრისტესთან მოხვიდოდი, შენ განმოსყიდული იყავი. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ შენ გონებაში იესოს მიერ აღსრულებული საქმე მუდმივად იყოს. შენი დახსნა მას თავისი ძვირფასი სისხლი დაუჯდა. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, ღვთისათვის წარმოუდგენლად ძვირფასი ხარ.

ძნელია იმის გაგება, რომ ღვთის ერთადერთი ძის სისხლი ღმერთისთვის ძვირფასია. რისი გაგებაც არ შეგიძლია ეს ისაა, რომ ღმერთს იმდენად უყვარხარ შენს გამო იესო მისცა. ღმერთმა მისი ტანჯვა შენს გამოსახსნელად დაუშვა.

ამის გაკეთება ღმერთმა, როგორ შეძლო?

ამის ახსნა არ შეგვიძლია, მაგრამ გული ჩვენი მადლიერებითა და გაოცებით გვევსება. ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს წმიდა მიწაზე ვდგავართ. მდუმარებაში მის წინ პირისპირ ვატარებთ და ვხვდებით, რომ ის ჩვენს გამო იქნა შემუსვრილი.

უამრავი რამ არის, რისგანაც თავისუფლება გინდა. ცოდვა, ჭირი და სნეულებაა, რომელიც თითქოსდა არ სრულდება. სიძნელეები და პრობლემები, შავი და მძიმე ღრუბელივით თავზე გფარავს.

რაც გამძიმებს ყოველივეს ზურგი აქციე. დაე, შენში სახარება მთელი თავისი სისავსით დამკვიდრდეს. შენ იესოს სისხლით გამოსყიდული ხარ. მთლიანად და არა ნაწილობრივ. ყოველივესაგან, რის ბორკილებსაც განიცდი, გამოსყიდული ხარ. იესომ ცოდვისაგან და მისი მარადიული შედეგებისაგან გაგანთავისუფლა. ეს მან ცოდვად გახდომით შეძლო.

მაშასადამე შენ გამოსყიდული ხარ.

თუ გული გაგიცივდება, იცი სადაც უნდა მიხვიდე. მასთან, ვინც შენი გულისთვის საკუთარი სისხლი გადაიხადა. იქ ყოველი სისხლის წვეთი, შენთვის ძვირფასი გახდება. როცა ის წვეთავდა, შენი საუკუნო გამოსყიდვა სწორედ მაშინ მოხდა.

31 ივნისი

მისგან ხართ თქვენ ქრისტე იესოში.

1კორინთელთა 1:30

ადამიანს რწმენის მიღება თავისით არ შეუძლია. თავისი ნებით საკუთარი თავის ღვთის საყვარელი ძის სასუფეველში შეიყვანა, არავის შეუძლია. ამის შემძლე მხოლოდ ღმერთია.

უფალი დაკარგულებს სხვადასხვა გზით უხმობს. ეს შეიძლება გააკეთოს ავადმყოფობით, მარტოობით, დარდით, სიძნელით და ცხოვრებისეული სირთულეებით. უფალი მუდამ ისეთ მწყემს დაეძებს, რომელიც თავისი ცხვრის ძიებაშია.

ფაქტიურად ჩემი გზა ღვთისადმი, მისი გზაა. მე მის ძიებას არასოდეს მოვისურვებდი, თავად რომ არ მოვეძიე და მე არ შემეძლებოდა იესოს მიღება, თავად რომ არ მივეღე.

ამრიგად ხსნისადმი შენი სურვილი იმის დასტურია, რომ ღმერთს უკუგდებული ანუ მიტოვებული არ ყავხარ. პირიქით, ეს ღვთის სულია, რომელიც გიხმობს. ჟამი ღვთის მონახულებისა დაგიდგა. ამ დროს ღმერთი მოდის და პიროვნებას იზიდავს. შენგან ყურადღების მიქცევაა საჭირო, რომ საკუთარი თავი ღმერთს მისცე, რათა მან დაგიხსნას.

მრავალი ქრისტიანი გარკვეული ქმედების შედეგად ღებულობს გადარჩენას. ისინი თავის თავს ღვთის ნებას უმორჩილებენ. ეთანხმებიან მას. სწამთ იესო. ტოვებენ ყველაფერს და მას მიყვებიან. მიუხედავად ამისა, გადარჩენა მაინც ღვთის საქმეა. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ იესომ ისინი თავისთან მიიზიდა, რათა მათ სახლში მისვლა უსაფრთხოდ და უნაკლოდ შეძლონ.

სახარებაში დიდებული ძალაა. დიდი შეწევნაა, როდესაც ცოდვის გამო ბრძოლა და აგონია გიპყრობს. ამ დროს კაცი ინსტიქტურად სვამს კითხვას: ნუთუ ოდესმე მიზანს მივაღწევ? ნუთუ ის ვარ, რომელმაც დაიწყო, მაგრამ დამთავრება ვერ შეძლო?

შენი თვალები ღვთის სიტყვას მიაპყარი. ის არის ვინც, თავისი საყვარელი ძის სასუფეველში შეგიყვანა. მიტოვებული რომ ყოფილიყავი, ამას ადგილი მისგან არ ექნებოდა. თუ შენს ციურ მამას ჩაეჭიდები, მაშინ ის იესოში დაგტოვებს. ღმერთს ყველაზე მეტად სურს მასში გიხილოს. თუ მასში ხარ, მაშინ ზეციურ სამყაროში არსებული ყოველი სულიერი კურთხევის თანამოზიარე ხარ. შენ ღვთის სიმდიდრის მფლობელი ხდები. და ეს ყველაფერი იმის გამო, რადგან შენ ქრისტე იესოში ხარ.

1 სექტემბერი

დანაშაულის დამვიწყებელი სიყვარულს ეძებს, ხოლო დანაშაულის შემხსენებელი ახლობლებს აშორებს.

იგავი 17:9

ქრისტიანთა შორის ჩხუბი და დავიდარაბა, მრავალ საკრებულოში რწმენასა და სიხარულს ანგრევს. მისი ასახვა გაბედულებაზე ხდება და ჩვენ უნარი აღარ გვაქვს გარეთ გასულებმა ადამიანები ქრისტესთან მოვიყვანოთ, ვინაიდან საკრებულოს შიდა მდგომარეობა ასეთია.

ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგ საკუთარ თავს ეკითხებიან: ნუთუ ამ ყოველივეს პრევენცია არ შეგვეძლო?

სასარგებლოა ერთმანეთთან მშვიდობიან თანაცხოვრებაზე ვიფიქროთ, რათა რაშიც ერთმანეთს არ ვეთანხმებით გონება მით არ გვქონდეს დაკავებული. ასეთი მიდგომა თავშეკავებულობას ქმნის. მნიშვნელოვანია ისეთი შედეგები არ დადგეს, რომ ერთმანეთს უკურნებელი ჭრილობები მივაყენოთ.

თუ ზიანი უკვე ვინმეს მიადგა და რომელიმე პიროვნებასთან თანხმობაში ვერ მოვდივართ, მაშინ საჭიროა შეურაცხყოფიდან გამოწვეული ურთიერთობის განკურნება. ეს ყველაფერი სიყვარულით უნდა გაკეთდეს. სიყვარული მრავალ ცოდვას ფარავს.

დანაშაულის შეხსენება სიტუაციას ართულებს და ერთმანეთს უფრო გვაშორებს. გამოსავალი კი სიყვარული და თანაგრძნობის ერთმანეთისადმი ჩვენებაა.

არ განგიცდია რაოდენ კარგია, როდესაც თბილად გხვდება პიროვნება, რომელთანაც უთანხმოება გქონდა. ამ დროს შეუძლებელია ვინმეს დანაშაული გაუხსენო. პირიქით მალავ მას და უბრალოდ სიყვარულს აჩვენებ.

შესაძლოა შენ ხარ ის, რომელმაც პირველი ნაბიჯი უნდა გადადგა. ამას სიტყვებით მხოლოდ ნუ იზამ, არამედ საქმით. სიყვარულმა ერთმანეთზე გაგულისებული მრავალი ძმა შეარიგა.

არსებობს თანხმობა, რომელიც ყოველივეს აღემატება. ეს არის სიყვარული, რომელიც მადლის ტახტთან გვაერთიანებს. იქ უფალთან ყველაფერს ვტოვებთ, რომელმაც ჩვენი გულები სრულად იცის. განსაკუთრებული უფლება იქ არავის ენიჭება, გარდა უფლება მადლისა. ის სხვა თანა-ქრისტიანებთან გვაერთიანებს. თითოეული ჩვენგანი სწორედ ამ მადლით უნდა ცხოვრობდეს.

2 სექტემბერი

იესო ნაზარეველი, იუდეველთა მეფე.

იოანე 19:19

წარწერა, რომელიც იესოს ჯვარზე პილატემ გააკეთა, ასე ჟღერდა. მის ვინაობაში არავის ეპარებოდა ეჭვი. წარწერა ებრაულად, ლათინურად და ბერძნულად იყო გაკეთებული.

იუდეველები სიტყვების შეცვლას ცდილობდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს. პილატემ გაუთვითცნობიერებლად დაწერა ჭეშმარიტება.

იესო ყოველი პიროვნების მეფეა. ის მხოლოდ მათი მეფე როდია, ვინც მას ნებით ირჩევს. ეს მსჯავრი მარადიულად ექნება მრავალს: შენ უარყავი ის, რომელიც შენი ცხოვრების მეფე უნდა გამხდარიყო. ეს არის უდიდესი ცოდვა, რაც შეიძლება ადამიანმა ჩაიდინოს.

უარყო იესო ნიშნავს, უარყო ღმერთი. ამის გამო დაუსჯელი არავინ დარჩება. ისინი მის გარეშე, რისხვისა და მსჯავრის ქვეშ გაატარებენ.

თუ იესოს ეკუთვნი, ე. ი. ის, როგორც შენი მეფე შეგიცვნია. არასწორია, როდესაც ვინმე ფიქრობს, რომ იესო ჯერ მხსნელად უნდა მიიღო და მერე უფლად.

არა, იესო ქრისტიანთა მეფეა. ამიტომ მეფისათვის ადგილი გამოანთავისუფლე. შენ საკუთარ თავს არ ეკუთვნი, არამედ შენს მეფეს, რომელიც შენშივე ცხოვრობს.

მასთან ასოცირება შენ ჩვეულ ცხოვრებას განსხვავებულობას ანიჭებს. ისაა ძალაუფლების მქონე და მისდამი შენი მსახურება კურთხევის მომტანია.

მოწაფე მოძღვარს თავის მდგომარეობას უზიარებს. იესო კი მრავლის მიერ შეურაცხყოფილია. ყველა ქრისტიანი ამას გრძნობს, რადგან მისი უგულებელყოფა ხდება. მაგრამ თუ შენს მდგომარეობაზე უფალს ელაპარაკები, ეს მისთვის პატივის მიგებაა.

გიკვირს ის ფაქტი, რომ შენმა მეფემ მოღვაწეობა ჯვარზე დაასრულა. იესომ თავი დაიმდაბლა და მსახური გახდა. დიახ, თავისი სიკვდილით ის შენ ჩაგენაცვლა.

მისი ამ უდიდესი თავმდაბლობის გამო, განა მეტად არ უნდა მიყვარდეს? განა უფრო მეტად არ უნდა განვადიდოთ და ავამაღლო მისი სახელი?

ამის კეთებით, ჩვენი ცხოვრების მეფეს გვირგვინით ვმოსავთ. ის უნდა იყოს მბრძანებელი. ის უნდა იყოს უფალი. ჩვენ კი მისი მიმდევარნი.

3 სექტემბერი

უთხრა იესომ: „მარიამ!“

იოანე 20:16

თუ ვინმე შენს სახელს ახსენებს, ეჭვიც არ გეპარება, რომ ის შენ გგულისხმობს.

შესაძლოა შენ ქრისტიანულ ოჯახში გაიზარდე. შესაძლოა ბევრი რამ იცი ქრისტიანობის შესახებ. ან კიდევ, შესაძლოა ქრისტიანად გახდომას ლამობ. ყველა აქ ჩამოთვლილი ვერანაირ სარგებელს ვერ მოგიტანს თუ არ ირწმუნებ, რომ იესო შენთვის მოკვდა და აღდგა. თუ არ მოგისმენია შენ გულში იესოს ხმა: „შენ ჩემი ხარ!“ მაშინ შენ ჯერ კიდევ ღვთის სასუფევლის მიღმა ხარ.

მაგრამ უფალი შენ სახელით გიხმობს, ისე, როგორც მარიამს უხმო. ამაზე დიდი სიმდიდრე ადამიანის ცხოვრებაში არ არსებობს.

როდესაც ეს ხდება, მაშინ იესოსგან მიღებულით კი არა, არამედ თავად იესოზე იქნებით მომართული. მხოლოდ მასზე იფიქრებთ. მისკენ იქნებით მიზიდული. და ის გახდება თქვენთვის ყველაფერი.

ასაკში შესულმა უფლის მსახურმა ასეთი რამ თქვა, „ჩემთვის ქრისტე სიცოცხლეა.“ თუ კარგად დავაკვირდებით, ის მხოლოდ იესოთი იყო დაკავებული. განა მარადისობაც ასე არ გაგრძელდება?

მრავალი ქრისტიანი ფიქრობს, რომ ზეცაში მათი გადაუჭრელი საკითხები მოგვარდება. მაგრამ ისმის კითხვა, რამდენად დაგაინტერესებს ის მიწიური საკითხები მაშინ, როდესაც პირისპირ იესოს წინაშე წარდგები. იმ დღეს იმდენად გარემოცული გახდები მისგან, რომ ყოველივე დანარჩენი დაგავიწყდება.

წარმოიდგინეთ, რომ იესო გიცნობთ! წარმოიდგინეთ ის დიდებული დღე, ასეთი ძვირფასი რომ არის შენთვის. წარმოიდგინეთ იესო სახელით გეძახით და გეუბნება, მოდი და დაიმკვიდრე სასუფეველი, რომელიც მამამ წუთისოფლის შექმნამდე დააფუძნა.

იესო სახელით მოგიხმობს შენ.

ის ამას დღესაც აკეთებს. შესაძლოა თავს დამსხვრეულად, გაცივებულად, მკვდრად და დაცარიელებულად მიიჩნევ. მარიამიც ასე გრძნობდა საკუთარ თავს, როდესაც ფიქრობდა, რომ ყველაფერი დაკარგა. თუმცა, განსაკუთრებული რამ მოხდა იმ დღეს, როცა იესო მასთან მივიდა. მან იცის, რომ სახელით მოწოდება გჭირდება. ამიტომ ის გეუბნება, „ნუ გეშინია, რადგან გამოგისყიდე; სახელით მოგიხმე და შენ ჩემი ხარ!“

4 სექტემბერი

„ბატონო, იესოს ნახვა გვსურს.”

იოანე 12:21

ზოგიერთი ბერძენთაგან ფილიპესთან მივიდა და იესოს ნახვა თხოვეს. მათ კვალს მრავალი გაჰყვა, ზოგი ცნობისმოყვარეობის გამო და ზოგიც გარკვეული საკითხების შესწავლის მიზნით. ზოგი კიდევ იმის გამო მივიდა იესოსთან, რადგან იცოდნენ, ის იყო ერთადერთი, რომელსაც სულის შიმშილისა და წყურვილის დაცხრომა შეეძლო.

ამ დახმარების მისაღებად ერთადერთი გზა, იესოს ნახვაა. ყოველი მხრიდან შენ გარემოცული ხარ სხვადასხვა ცდუნებებითა და საფრთხეებით. ამ საშინელებებზე თვალის მიპყრობა კი სრულიად უსარგებლოა. არც ისაა კარგი, სულ საკუთარი თავის უსუსურობასა და უმწეოებას უცქირო. არა, შენ იესოსთან უნდა მიხვიდე. ის არის ვის მიმართაც გულის თვალი უნდა აგეხილოს.

როგორ მოხდება ეს?

ეს არ ხდება შენი წარმოდგენით, როდესაც საკუთარი თავის იესოს ტანჯვასთან გაიგივებას ცდილობ. ეს არც მაშინ მოხდება, თუ იესოსთან მისტიკითა და ექსტაზით კავშირის დამყარებას შეეცდები. არც გალობით და არც ერთი და იმავე მისამღერის გამეორებით მოხდება ეს.

იესო ბიბლიაში იპოვე. ღმერთის სიტყვა შენს თვალთა წინაშე მის პორტრეტს საუკეთესოდ ხატავს. შენ ღვთის ძესთან, რომლის მიერ ყოველივე იქმნა შეხვედრას შეძლებ. მას, როგორც ადამიანს ისე შეხვდები. შენ მას შეხვდები ავადმყოფთა, უმწეო და გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებთან მიმავალს. შენ მას აგრეთვე შეხვდები, როგორც დაკლულ ღვთის კრავს, რომელმაც საკუთარი სისხლით ღვთისათვის თითოეული ჩვენგანი შეგვიძინა.

ღმერთის სიტყვაში მას ხვდები, რომელსაც ერთ დღეს პირისპირ თავის დიდებაში იხილავ. ის თავისი ძალითა და მადლით შენს გულში შემოიჭრება.

შემდგომ ამისა შენც იმავე გამოცდილებას შეიძენ, რაც მოციქულებმა, როდესაც იესოს აღდგომის შემდეგ კარჩაკეტილში, იუდეველთა შიშის გამო იმყოფებოდნენ. იესო მოვიდა მათთან და მათ ეჩვენა. მოწაფეებმა გაიხარეს, რადგან უფალი იხილეს.

მუდმივი სიხარულის მიზეზი იესოს ხილვაა. ეს გზა უსაფრთხოა. ამ გზაზე სიარულისას მნიშვნელობა არ აქვს რა პირობებში იმყოფები! შესაძლოა აცრემლებულმა იხილო ის; თუმცა ჭეშმარიტება მაინც იგივე რჩება: თუ იესოს ნახავ, მაშინ ის გულის ნამდვილ მშვიდობას მოგცემს, თვით შენი გასაჭირის, დარდის და ბრძოლის ჟამს.

5 სექტემბერი

„უფალო, თუ გინდა, შეგიძლია ჩემი განწმედა.“

მათე 8:2

ვიდრე ცოდვილი იესოს ამ სიტყვებს ეტყვის, მანამდე მრავალი მარცხი დადგება: უფალო, თუ გინდა, შეგიძლია ჩემი განწმედა.“

თავიდან საკუთარი ცოდვის გამართლებას შეეცდები. ყველაფერს სხვას დააბრალებთ და საკუთარი თავის სხვაზე შედარებას დაიწყებთ. იფიქრებთ, რომ სხვებთან შედარებით არც ისე ცუდი ხართ.

მიუხედავად ამისა ღვთის წინაშე ცოდვას ვერ გაამართლებთ. ის ყველაფერს ხედავს. მან შენი გულის შიდა რეცესია იცის. მასში არსებული ყოველი უწმინდურება მისგან დაფარული არ არის.

როდესაც ცოდვილი ამის გაცნობიერებას იწყებს, ცოდვისგან განთავისუფლების ბრძოლას ედება სათავე. მისი ერთბაშად ჩამორეცხვა არ ხდება. ის კეთრივითაა. ის შიგნიდან, ჩვენი არსების ღრმა ნაწილიდან მოდის. მნიშვნელობა არ აქვს შენს მცდელობას, მის ფესვამდე მაინც ვერ დახვალ. ის შენს გულშია განრთხმული და ვერ გაიგებ ხან რომელ მხარეზე მიდის ის და ხან რომელზე.

ამ კონდიციაში დარჩენით დაკარგულ ადამიანად დაასრულებ. ერთ დღეს უფლის სახის წინაშე წარდგები და ამგვარ განცხადებას გააკეთებ: მინდოდა ქრისტიანად ყოფნა, მაგრამ ვერ შევძელი. არ გამომივიდა საკუთარი თავის განწმენდა.

ნუთუ ვერ ხედავ შენსა და კეთროვნის მსგავსებას?

ჩვენი ბრძოლა და მცდელობა არ გვშველის. არის ერთი, ვისაც ჩვენი დახმარება შეუძლია და ის იესოა.

უფალო, თუ გინდა, შეგიძლია ჩემი გადარჩენა! შეიძლება ამის თქმა საშინელებად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს ასე არაა. ფაქტიურად, ერთადერთი გზა შენი კურთხევისა ესაა. საკუთარი თავის უმწეობისა და უსუსურობის გააზრება, იესოს გზას უმზადებს.

იესოს შეკვრა მხოლოდ ცარიელი ხელითაც შეიძლება. მანამ ვიდრე საკუთარი თავის გაუმჯობესებას საკუთარი ძალით ცდილობ, იესოს ხმის მიმართ ყრუ ხარ. ხოლო, როცა შენს უმწეობას აღმოაჩენ, მაშინ შეისმენ უფლის კურთხეულ სიტყვებს, „მინდა, განიწმიდე!“

ეს ორი მცირე სიტყვაა, მაგრამ გადარჩენის ძალით აღსავსე. უბრალოდ დაფიქრდი — იესოს უნდა! და არა მარტო უნდა, არამედ იწვდის თავის ხელს და გეხება.

ესაა გადარჩენა. იესო შენთან მოდის. ის თავის სისხლით გფარავს და გწმენდს. შენ თოვლივით სპეტაკი ხდები. შემდგომ ამისა ღმერთი შენ, როგორც უცოდველს ისე გიყურებს. ამიერიდან შენ იესოს წმიდა და უმწიკვლო საპატარძლო გახდი.

6 სექტემბერი

და გაიხარეს მოწაფეებმა უფლის ხილვით.

იოანე 20:20

სულიწმიდის ერთი ნაყოფთაგანი სიხარულია, მაგრამ ეს სიხარული სულ სხვა სახისაა, რაც მანამდე, მორწმუნედ გახდომამდე ვიცოდით. ის არასოდეს არ ქრება — სიძნელის, წნეხისა და წუხილის დროსაც კი. მიუხედავად სასოწარკვეთისა, ქრისტიანს მაინც რჩება, ღრმა და მალული სიხარული.

ამ სიხარულსა და იესოს რწმენას შორის ახლო კავშირია. როცა გულის თვალები მისკენაა მიპყრობილი, სიხარული დიდია. როცა ცოდვიანი აზრები ჩვენს გონებაში გაბატონებას იწყებს, მაშინ ქრისტიანული სიხარული უკანა ფლანგზე ინაცვლებს.

იესოს ჯვარცმის შემდეგ მოწაფეები დიდი წნეხის ქვეშ ცხოვრობდნენ. არ იცოდნენ თუ, როგორ მოექცეოდნენ მათ იესოს მტრები. ამის გამო ისინი ერთერთის სახლში გამოიკეტნენ. ნათელია ამ საკითხში დიდად არაფერი შეცვლილა იესოს გამოცხადების შემდეგ. მათი უსაფრთხოება კვლავ საშიშროებაში დარჩა. თუმცა ყველაფერი შეიცვალა. მათ ის იხილეს. რის გამოც სიხარულმა შეაღწია იმ ოთახში. ცოცხალ მხსნელთან შეხვედრამ მათი საუბრის თემაც კი შეცვალა. მანამდე ისინი ბნელ და გაურკვეველ მომავალზე ლაპარაკობდნენ; ახლა კი ერთმანეთს უმეორებდნენ, რომ იესო ცოცხალია.

მომავალ დღეებს და სიძნელეებს ისინი, ამიერიდან ცოცხალ მხსნელთან ერთად შეეგებებოდნენ!

რა თქმა უნდა სიძნელეებს გაივლიდნენ, მაგრამ ყველა შემთხვევაში იესო დარჩებოდა მათთან.

ო, როგორ გვჭირდება, რომ თვალი მუდმივად გვეჭიროს ჩვენს აღმდგარ მხსნელზე და უფალზე! საკუთარ და ადამიანთა უმწეობაზე მუდმივი ცქერა, მხოლოდ სასოწარკვეთას გაზრდის. მაგრამ თუ რწმენა იესოსი გაიზრდება, მაშინ მომავალს გაბედულად გავუსწორებთ თვალს, რადგან ღმერთი იქნება ჩვენთან.

მრავალი ქრისტიანი ფიქრობს, რომ მკვდრეთით აღმდგარ იესოს სახარებას ჩაწვდნენ. რა თქმა უნდა მათ გაიგეს, რომ იესო მესამე დღეს საფლავიდან აღდგა. ისიც გაიაზრენ, რომ აღდგომის ცისკარი ყველას გულში უნდა დადგეს. როცა ეს ხდება, მზე ამოდის და გული სიხარულით პირთამდე ივსება.

ჩვენ არ ვიცით მომავალი რას მოგვიტანს. თუმცა ერთი რამ ვიცით, რაც უმთავრესია. მომავალ დღეებს მარტო არ შევხვდებით. ჩვენ იესოსთან ერთად ყოველივეს გადავლახავთ. თუნდაც დიდი წინაღობა შეგვხვდეს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ისეთი არაფერი იქნება, რომელი დახურული კარის გავლაც იესომ ვერ შეძლოს.

7 სექტემბერი

უფალმა კი მას დააკისრა ყველა ჩვენგანის ცოდვა.

ესაია 53:6

ძნელია იმ სინამდვილის დაჯერება, რომ კაცი საკუთარი ცოდვის გამო საჭიროებას განიცდის. ამ დროს ადამიანი გრძნობს, როგორ უყურებს მას ღვთის წმიდა თვალები. თავის მართლება შეუძლებელია. ის დუმს და ღვთის სამსჯავროს ელოდება.

შემდეგ ღმერთი თავისი სიტყვით მოდის და გეუბნება, რომ ყველა ჩემი ცოდვის შედეგი იესოს დაეკისრა. სულ სხვამ შესცოდა, მაგრამ დანაშაული იესომ იტვირთა.

იესომ ჩვენი შინაგანი ადამიანი კარგად იცის. მან იცის, რაოდენ ძნელია შენი დეპრესირებული გულისათვის დაიჯეროს, რომ ყველა ცოდვა გამოსყიდულია. გწამს, რომ ეს შეიძლება სხვას ნებისმიერს ეხებოდეს, მაგრამ არა შენ.

ღმერთი ამბობს, რომ ეს ყველა ჩვენგანის ცოდვა იყო, რომელიც უფალმა იესოს დააკისრა. როცა ის სიტყვა „ყველას„ ამბობს, ნიშნავს ყველას. მასში ყველა ცოდვა მოიაზრება.

შენ იმის გაგება გმართებს, რომ შეუძლებელია შენზეც და მასზეც ერთდროულად იყოს ბრალი დადებული. როცა ის შენგან აიღო და მასზე დადო, მას შემდეგ ის შენ აღარ გაკისრია.

ეს საოცარი ხსნის საქმე უფალმა თავად აღასრულა. ერთადერთი, რისი მიცემაც შენ შეგეძლო, ეს იყო ცოდვა. ამიტომ აიღო ღმერთმა ის, რისი მიცემაც შენ შეგეძლო და შენს ადგილზე მისი ძე შეწირა.

ამ ნათქვამში მთელი წუთისოფლის ცოდვა იგულისხმება, „უფალმა კი მას დააკისრა ყველა ჩვენგანის ცოდვა.“

აქ ტვირთის სიმძიმეა საგულისხმო! ამიტომ, ხომ აღარ გიკვირს, როდესაც ბიბლია იესოზე ამბობს, რომ ის ჩვენ გამო იქნა „დალეწილი?“

ბოლომდე ვერ ვწვდებით ხსნის საფასურს. ჩვენს მიწიურ საზომს მისი გაზომვა არ ძალუძს, მაგრამ ღვთის სიტყვა გვიმარტავს და გვეუბნება, რომ მასთან ღვთის უსასრულო სიყვარულია კავშირში.

ღმერთი სიყვარულია!

მან ყველა ადამიანი ცოდვის ბრალით იხილა. დედამიწაზე არ ყოფილა და არც იქნება ისეთი, რომელსაც დანაშაული არ ჰქონდეს ჩადენილი. ამიტომ ღმერთმა დანაშაული შენ კი არა, არამედ თავის ძეს დააკისრა. ბრალი მათ გამო არ დაგედება. მათ გამო ძე იქნა ბრალდებული.

ღმერთმა ეს ცოდვილთა სახსნელად აღასრულა. რომელთაც მისი მადლი მიიღეს, მათ შორის შენც ხარ? თუ არა, მაშინ შენ ახლა უნდა გააკეთო ეს. ღმერთმა საამისოდ ყველაფერი მოამზადა.

8 სექტემბერი

და თუმცა ძე იყო, ტანჯვის მეშვეობით ისწავლა მორჩილება.

ებრაელთა 5:8

ბევრს ჯერა, რომ ურჩს, მხოლოდ მორჩილების სწავლა ესაჭიროება. თუ ეს ასეა, მაშინ იესოც ურჩი ყოფილა. არა, ის ასეთი არასოდეს ყოფილა. ის მორჩილი იყო არა მარტო მშობლების, არამედ ღვთის მიმართაც.

როდესაც ქრისტიანი ღვთის სკოლაში, მისი დისციპლინის ხელს განიცდის, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა დავაშავე?

კითხვა ლეგიტიმურია. ზოგჯერ ის დაკავშირებულია ჩვენს განსაცდელებსა და ცოდვებთან, მაგრამ არა ყოველთვის.

შვილებს სკოლაში იმის გამო არ ვუშვებთ, რომ მათ რაღაც დააშავეს. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რათა იმაზე მეტი ისწავლონ რაც იციან.

ღვთის სურვილია მისი შვილები მორჩილებაში გაიზარდონ. ისინი მისი ძის ნაკვალევს უნდა გაყვნენ და მოწიფულობას, ტანჯვის გზით უნდა მიაღწიონ.

ტანჯვისას ადამიანი მტკიცე და შეურყეველ ნიადაგას ეძებს, სადაც ღუზის ჩაშვებას შეძლებს. იესო ღვთის ნებას შეერწყა, ვისთვისაც ის წინამძღოლი ვარსკვლავი და მტკიცე ნიადაგი იყო.

როდესაც ტანჯვაში შედიხარ, ხშირად ისეთი განცდა გეუფლება თითქოს მიწა ფეხქვეშ გეცლება. ამ დროს შეუძრავს ეძებ. მან ვინც შენს გამო ღვთის ნება აღასრულა, სწორედ ისაა მტკიცე ნიადაგი.

უპირველეს ყოვლისა ღვთის ნება მორჩილებას გასწავლის, რაც იესოს რწმენაა. იესო შენი გულისთვის ყველაფერია. შენ მას უნდა ჩაეჭიდო.

ისე ჩანს თითქოს ღმერთი ტანჯვის მეშვეობით გვაღარიბებს. ზედაპირული დაკვირვებით შესაძლოა ეს მართლაც ასეც ჩანდეს. რა დროსაც ცხოვრება ფასს კარგავს.

მიუხედავად ამისა ჭეშმარიტება სხვაა. ტანჯვის მეშვეობით ღმერთი ნამდვილ ცხოვრებას გვასწავლის. დედამიწაზე ყველაფერი სიკვდილს ექვემდებარება. ამის გამო მთელი ქმნილება გმინავს. ამ მიზეზით ღვთის შვილებიც გმინავენ.

მაგრამ უფალი გაჭირვების ჟამს მოგიწოდებს, რომ იესო შენი ძალა, სიმდიდრე და სიხარული იყოს. ის შენთვის ყველაფერი უნდა იყოს. ამ გზით მორჩილების სწავლა, ნამდვილი კურთხევის წყაროა.

9 სასრული

მიმიზიდე და ერთად გავიქცეთ!

ქებათა-ქება 1:4

„მცირე საკითხიც კი, რაც რომ გადარდებს, უფალს მიანდე და ის მოგიგვარებს!“ ჩვენ ამ სიტყვებით ვგალობთ და ეს ჭეშმარიტებაა. ჩვენ იესოს შეგვიძლია ყველაფერი გავანდოთ. მან უნდა უწინამძღვროს ჩვენს ნაბიჯებს და პილიგრიმობის განმავლობაში დაგვეხმაროს, რომელიც ხშირად სიძნელეებითა და წინააღმდეგობებითაა სავსე.

თუმცა ეს ასეა, ჩვენს სულიერ ცხოვრებას ბალანსი ესაჭიროება. არასწორია, თუ ლოცვის მეშვეობით ღმერთის ჩვენს სამყაროში გადმოყვანას ვცდილობთ. უპირველესი ჩვენი ლოცვა იმაზე უნდა იყოს მიმართული, რომ ის ჩვენი წინამძღოლი იყოს.

მიმიზიდე და ერთად გავიქცეთ!

იესო ტკივილს ატარებს, რისიც შენთან გაზიარება უნდა. ეს ტკივილი მათი საჭიროებაა, რომელნიც უღვთოდ და იმედის გარეშე ცხოვრობენ. მან შენს გულში სიყვარული ჩაღვარა, რათა მათი სიყვარული, რომელნიც მას უყვარს შენც შეძლო.

უფლის ინსტრუმენტად ყოფნა, კურთხევა და სიმდიდრეა. რა თქმა უნდა მსახურება, მძიმე და სიძნელეებით აღსავსე იქნება. ღვთის მსახურად დარჩენას ამტანობის გარეშე ვერავინ შეძლებს. მაგრამ თუ შენს ცხოვრებას უკან გადახედავ, ეჭვის გარეშე აღიარებ, რომ არ არსებობს იმაზე დიდი სიმდიდრე, თუ არა დავალება, რომელიც უფლისგან გაქვს მიღებული.

მიმიზიდე და ერთად გავიქცეთ!

ეს ლოცვა ფაქტიურად, იესოს უკეთ შესაცნობად არის მიმართული. შენი ქრისტიანობა იესოზეა დაფუძნებული. აზრი და სურვილი მისკენ გაქვს მიმართული. ისაა, ვინც გიყვარს. ამის გამო გსურს, რომ ის თავის დიდებაში იხილო.

წარმოიდგინე, რომ გამოსყიდვაზე ღრმა შემეცნება მიიღე. ისიც წარმოიდგინე, რომ მოგეცა უნარი ჩაწვდე საფასურს, რაც ღმერთს ჩვენი გადარჩენისთვის დაუჯდა. არცერთ ადამიანს არ შეუძლია ეს. ეს ღვთის საიდუმლოებაა, რომელიც სულიწმიდის მიერ თავისი სიტყვით უნდა გაგიცხადოს. რა დროსაც გული ღვთით განათდება. შეუძლებელია სიტყვებით გადმოსცე ის, რასაც ღმერთი გულის სიღრმეში გიცხადებს. ყოველი ასეთი მცირედი ცოდნა, შენს ლოცვებს გააძლიერებს.

მიმიზიდე და ერთად გავიქცეთ! წარმიძეხი შენ საწმინდარში! მაცოდინე შენი წმიდა აზრები! გამაოცე შენი დიდებით, რომელიც მადლითა და ჭეშმარიტებითაა სავსე!

ამ ლოცვით შენ ბაგეზე, ღვთისადმი წყურვილი ჩანს. ისაა ერთადერთი, რომელსაც ამ წყურვილის მოკვლა შეუძლია. ამას ის მისი მადლით გააკეთებს.

10 სასრული

მოვიდა მათთან იესო და უთხრა: „მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ზეცაში და დედამიწაზე. ამიტომ წადით და დაიმოწაფეთ ყველა ხალხი...და აჰა, მე თქვენთანა ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე.“ ამინ!

მათე 28:18-20

მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება. ეს არის იესოს მეფური განცხადება. არის გარკვეული ადამიანები, რომელთაც ძალაუფლება აქვთ, მაგრამ არა მთელი ძალაუფლება. ამიტომ ისინი იმაზე შორს ვერ წავლენ, სანამდეც იესო დაუშვებს. ადამიანს გარკვეული ხელმწიფება შეიძლება მიეცეს, მაგრამ ის ბოროტად გამოიყენოს, თუნდაც შვილების აღზრდაზე. თუმცა ყველას მოუწევს მის წინაშე მოდრეკა და თავის დამდაბლება. მხოლოდ იესო რჩება მთელი ხელმწიფების მქონე, რომლის წინაშეც მუხლს მოიდრეკს ყოველი ზეციერი, მიწიერი და ქვესკნელისა.

„ამიტომ წადით და დაიმოწაფეთ ყველა ხალხი!“ ეს იესოს მეფური ბრძანებაა. ის მუდმივად შეუსრულებელ ამოცანად ჩანდა. პირველად მისი შესრულება, მცირე, თერთმეტკაციან მოწაფეთა ჯგუფს მიეცა. მოცემული ბრძანება სხვადასხვა სიტუაციებში იქნა გაჟღერებული. ათასობით ადამიანმა შეისმინა ის და დაემორჩილა კიდეც.

ბრძანება ერთდროულად კაცისგანაც გაიცა და ღვთისგანაც, ვინაიდან იესო ღმერთია. ბრძანება განხილვას არ ექვემდებარება. ის უბრალოდ უნდა შესრულდეს.

„მისია,“ ყველა ქრისტიანის ცხოვრების ნაწილია. ჩვენ ყველანი იესოს მცნების ქვეშ ვართ მოქცეული. დიადი დავალება ერთია, მაგრამ მასში თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ნაწილი გვაქვს შესასრულებელი.

ჩვენ ვგალობთ: ‘ჩემი საოცარი მხსნელი, ყველამ უნდა იხილოს!’ და რასაც ვამბობთ, ვგულისხმობთ კიდეც. ახალგაზრდები მოწოდებასთან ბრძოლობენ. მშობლები ღმერთს ავედრებენ საკუთარი შვილების მოწოდებას. ხოლო ჩვენ, მათთან ერთად ვართ ჩაფლული ომში, რომელნიც ღვთის სასუფევლის წინა ფრონტზე იბრძვიან. რის შედეგადაც, ღვთის სამეფოს განვრცობას ვხედავთ.

მადლიერებით ვფიქრობთ მათზე, რომელთაც მორჩილება გამოიჩინენ და სახარებით მოვიდნენ ჩვენთან. დღეს მათ ნაკვალევს მივყვებით ჩვენ. ყოველთვის არ არის ადვილი, მაგრამ ვიცით, ის ვინც ცრემლით თესავს, სიხარულის ყიჟინით მოიმკის.

შემდგომ ამისა ჩვენ ვხედავთ თუ, როგორ ასრულებს იესო თავის მეფურ აღთქმას. ის ჩვენთანაა ყოველდღე და დღეთა განურჩევლად. ჩვენი მსახურების მეშვეობით უფრო ვუახლოვდებით მას. ის არ უკუგვაგდებს. ჩვენთან რჩება და ჩვენში იქმს საქმეს, რომელიც მისი დიდებისთვის აღსრულდება. არ არსებობს იმაზე დიდი სიხარული, ვიდრე იმის ხილვა, რომ იესო თავისი ტანჯვის სანაცვლოდ, სრულ საზღაურს იღებს.

11 სექტემბერი

მერე კვლავ დაადო ხელი თვალებზე და თვალისჩინი აღუდგა მას, განიკურნა და ყველაფერი ნათლად დაინახა.

მარკოზი 8:25

იესოს პირველივე ხელდასხმით, ბრმამ დახმარება მიიღო. ის მის ირგვლივ მოსიარულე ადამიანებს უკვე ხედავდა. მაგრამ ისინი ხეებივით იყვნენ. მისი თვალები ბოლომდე მხოლოდ მაშინ განიკურნა, როდესაც იესომ მეორედ დაასხა ხელები.

ბევრი ვინც იესოს შეხვდა, მსგავსი გამოცდილება შეიძინა. მათ ისეთი რამ დაინახეს, რაც მანამ არ ეხილათ. იესო მათთვის ცოცხალი რეალობა გახდა. ის შეეხო მათ და მათი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა.

მიუხედავად ამისა, ისინი ცხადლივ მაინც ვერ ხედავენ.

ასეთნი გამოსყიდვის საიდუმლოებას ვერ ჩაწვდნენ. საკუთარი თავით და საკუთარი ქრისტიანობით უფრო დაკავებული არიან, ვიდრე იესოს მიერ აღსრულებული გამოსყიდვის საქმით.

თუ შენ ერთი მათგანი ხარ, მაშინ ბრმა კაციდან გაკვეთილი უნდა ისწავლო. ის წრფელი იყო და იესოს მისი ნამდვილი მდგომარეობა გაანდო. ბევრი ამას არ აკეთებს. ასეთნი სულიერად ცხადლივ-მხედველთა იმიტაციას ახდენენ, რაც სინამდვილეში არ არის. ამის გამო მათი დახმარება შეუძლებელი ხდება. ამას მათი თვალთმაქცობა უშლის ხელს. არსებული მდგომარეობა მათ აფიქრებინებს, რომ არანაირი დახმარება არ ჭირდებათ.

ისწავლე ბრმისგან! იყავი წრფელი!

იესოს მიერ დაწყებული კეთილი საქმე არ უგუბელყო. ნურც ისე მოიჩვენებ თავს, თითქოს იესომ თავისი სახარების ნათელი სრულად მოგანიჭა.

თხოვე იესოს, რომ კვლავ დაგადოს ხელები. თხოვე მას გაგიხსნას მისი გამოსყიდვისა და მადლის სიმდიდრე, რათა სრულყოფილად იხილო თავისუფლების რჯული და იარო მასში.

ყურადღება ღმერთის სიტყვაზე გადაიტანე. იესო თავისი სიტყვით, ზეცაში არსებულ ყოველი სულიერი კურთხევისაკენ მიგვიძღვება. ეს სულიერი გამოცდილებით არ მიიღწევა. არა, უბრალოდ ის შენს გულს ნათელს ფენს, რათა მასში არსებული შენი სიმდიდრე დაგანახოს. შენ დაინახავ, რომ იესო მხოლოდ გამომსყიდველი მსხვერპლი არ ყოფილა. მან შენი გულისთვის იცხოვრა კიდეც. რჯული აღასრულა. და რისი ნაკლოვანებაც გაქვს, ყოველივე მასში უხვად გენიჭება.

სულ მალე იხილავ, რომ შენ უსასრულოდ მდიდარი ხარ.

12 სექტემბერი

მე ვიცნობ ჩემს ცხვარს და ჩემი ცხვარი მიცნობს მე.

იოანე 10:14

თუ ხელახლა შობილი ხარ, მაშინ შენთვის იმაზე ძვირფასი არაფერია, როგორც იესოს შემეცნება. ეს ზედაპირული ცოდნა არ არის; ასე ვერავინ გადარჩება.

არა, შენ გულისმიერი ცოდნისაკენ ხარ მოწადინებული. როდესაც ბიბლიას გახსნი, საჭიროა ლოცვა, რათა შენმა გულმა შენს მონაცვლესა და გამომსყიდველში სიმშვიდე ჰპოვოს. როცა, რომელიმე მსახურებას ან საეკლესიო შეკრებას ესწრები, შენი სწრაფვაა სიტყვა ჯვრის შესახებ მოისმინო.

ეს გრძნობაა შენს გულში, ვინაიდან ღვთის მადლს გემო გაუსინჯე. არ შეგიძლია იმ ადამიანებს გაუგო, რომელნიც ყველაფრით არიან დაკავებულნი გარდა ჯვრისა, რადგან იესოს დაღვრილი სისხლი შენთვის უკვე ყველაფერია. მისი გოლგოთის საქმე გადარჩენას უდრის და ამიტომაც გაქვს მეტი შიმშილი სახარების მოსმენის მიმართ. გამოსცადე და იცი, რომ მშვიდობის მისაღებად ერთადერთი მხოლო ისაა. როდესაც იესო შენს თვალთა წინაშეა წარმოდგენილი, ეჭვი არ გეპარება, რომ შენ ღვთის შვილი ხარ.

იცნობ იესოს?

დიახ, შენ ისეთი შემეცნება გაქვს, რაც ღვთის წინაშე ფასეულია. შენ იესოს იცნობ.

ამის გამო იესოც გიცნობს. როცა ის გიყურებს, ის ხედავს ღარიბი ცოდვილის გულს, რომელიც მადლით გადარჩენასაა ჩაჭიდებული. იესო შენში თავის თავს ხვდება. ის თავის სისხლს ხვდება. რისი მეშვეობითაც შენი გული განიწმიდა და თოვლივით სპეტაკი გახდა.

იესო შენ უნდა გიცნობდეს? ის საკუთარ თავს უნდა იცნობდეს, ეს ხომ ასეა? მთელი შენი ცხოვრება მასზეა დამოკიდებული. ისაა ერთადერთი, რომელზეც ხელი გაქვს ჩაჭიდებული. მისი სახელი შენს გულშია ამოკვეთილი.

დიახ, იესო მისი სისხლით გამოსყიდულებს იცნობს.

რამხელა გაბედულებას მოგანიჭებთ ეს იმ დღეს, როდესაც დაძაბუნდებით და ხელში არაფრის აღება აღარ შეგეძლებათ. მაშინ თავად იესო არ გაგიშვებთ ხელს. მხრებზე შეგისვამთ და მთელი გზა სახლისკენ თავად გატარებთ. ერთხელ იესომ უკვე ხის ჯვრით ატარა შენი ცოდვები. ახლა შენ გატარებს, ოღონდ განწმენდილს და ბოლომდე სუფთას. იესომ გიხსნა შენ. ის თავისად მიგიჩნევს.

ყველაფერი გადავა. მაგრამ შენ გარდაუვალ სიცოცხლეს ფლობ, რადგან იესომ თავის შვილად გცნო.

13 სექტემბერი

იესო ქრისტე, რომელიც არის სარწმუნო მოწმე.

გამოცხადება 1:5

ბევრი იაფფასიანი სიტყვა არსებობს. შესაძლოა ისინი სიმართლედ მოგეჩვენოთ, მაგრამ გამოცდას ვერ უძლებენ. მათ უკან ძალა არ დგას.

ამას იესოს სიტყვებზე ვერ ვიტყვით. ყოველი მათგანი სისხლითაა დადასტურებული.

იესო არც ყვიროდა და არც დაობდა. ამის საჭიროება არ იყო. ის წყნარად და დამაჯერებლად ლაპარაკობდა და მისმა ნათქვამმა, თაობიდან თაობაში მრავალი გადარჩენაში მოიყვანა.

თუ ღმერთის ცოცხალი და მარადარსებული სიტყვით ხელახლა იშვით, მაშინ შინაგანად გაქვთ ამის გამოცდილება. როცა ვერავის ხმა ვერ გშველოდათ, მაშინ ისმინეთ კეთილი მწყემსის ხმა. საოცარი რამ მოხდა: ღმერთმა ტალახიდან და მტვრიდან წამოგაყენათ და კლდეზე დასვათ.

თავისი ხმის სხვისთვის მიწვდენას ყველა ცდილობს. ისეთ სამყაროში გიწევს ცხოვრება, სადაც ამ ხმათა ნაირსახეობას ვერ აირიდებ. შესაძლოა მათ გამო ზოგჯერ გზიდანაც გადასულხარ. ისეთ ადგილზე გივლია, სადაც არ უნდა გევლო, რის გამოც ზღე კიდეც. თუმცა იესო ამ ხნის განმავლობაში არ დადუმებულა. ის გეძახდა. სანდო სიტყვამ შენამდეც მოაღწია, რომელიც თავის გადამრჩენელ ძალას არასოდეს დაკარგავს.

როდესაც ადამიანთა მიერ ნათქვამი სიტყვები შენში სასოწარკვეთილებას წარმოშობს, მუდამ რჩება ის, ვისაც შეგიძლია მიაშურო. ეს არის სარწმუნო მოწმის სიტყვა.

გასაჭირისა და ძნელბედობის ჟამს გეჩვენებათ, თითქო იესოს სიტყვები უმოქმედოა. მაგრამ ეს მხოლოდ შეზღუდული დროით. ღვთის ჟამის დადგომისთანავე ფარდა იხსნება და გაოცებული ხვდები, რომ შენ მარადიული სიტყვის კლდოვან ნიადაგზე დგახარ. მაშინ იესოთი, სარწმუნო მოწმობის გამო გაიხარებ. მისი სიტყვა შეურყეველი კლდეა მაშინ, როცა ზღვის ტალღები აქაფებულა. დადგება დღე, როდესაც იესოს სიტყვები გამოცდის წინაშე წარდგება. ეს არის დღე განკითხვისა. თუ ისინი შენს სასარგებლოდ დაამოწმებენ, გადარჩენილი ხარ. თუ არა, მაშინ დაღუპული.

ამიტომ ეჭვის საფუძველი არ გაქვს. თუ იესოს ჩაეჭიდები, გადარჩები. მისი სიტყვები ზეცაშია განმტკიცებული. ისინი მისი სისხლითაა დადასტურებული, რომელიც იქ დიდად ფასობს.

14 სექტემბერი

აჰა, რამდენი წელია გემსახურები, არასოდეს შენს ბრძანებას არ გადავსულვარ და არასოდეს მოგიცია ერთი ციკანიც კი, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად გამეხარა.

ლუკა 15:29

უფროს ძმას სიხარული არ გააჩნდა. ჩანს, რომ ყველაფერზე კანონიერი უფლება ჰქონდა. ყველაფერი, რაც მამას ჰქონდა მისი იყო. ისიც ჩანს, რომ თვითონ კარგად ორგანიზებული პიროვნება იყო, რაზეც ზრუნავდა კიდეც.

მიუხედავად ამისა ის უბედური იყო. დღეს მრავალი ქრისტიანი იგივე მდგომარეობაშია. ფაქტია, ძეობის სრული უფლება, მონურმა დამოკიდებულებამ ჩაანაცვლა.

ღმერთთან რჯულისმიერ ურთიერთობაში ძალზედ ადვილად შევდივართ. დიდი ხნის განმავლობაში შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუ რა ევალება ქრისტიანს და რას არ აკეთებს. მაგრამ იესოსა და მისი საქმის შესახებ საუბარი მწირია. ამის გამო იესო გულსა და გონებას არ ავსებს, რის შედეგადაც ბაგეც დუმს.

საცოდავი უფროსი ძე! ის ფიქრობს, რომ ციკანს მისი გახალისება შეუძლია. მისი სიხარული პურობასთან ასოცირდება. ცოტა ხნით დაივიწყებს, რომ მომდევნო დღეც მუშაობაში უნდა გაატაროს.

ქრიტიანული სიხარული ასეთი გამოცდილების მქონე არ არის. ბევრს ასე ჯეროდა, მაგრამ გარკვეული ხნის განმავლობაში აღმოაჩინეს, რომ ის არაფრის მომტანია.

არა, სიხარულის გზა ძეობის სრულ უფლებაზე გადის. პატარა ძმისთვის კურთხევა გახდა, როდესაც მამამ ის გულში ჩაიხუტა. სწორედ ეს ჭირდებოდა მის უფროს ძმასაც.

რა ხანია მას შემდეგ გასული, რაც შენ მხსნელის მკავებში გადაეშვი? რა ხანია მას შემდეგ გასული, რაც იხილე მამა შენკენ მორბენალი, რომელმაც ხელი მოგხვია და დაგკოცნა?

ნამდვილი და ცოცხალი ქრისტიანი ღმერთთან მამა-შვილურ ურთიერთობას არასოდეს ტოვებს. რაც ხარ, მუდამ იმად უნდა დარჩე. მუდმივად გჭირდება მადლი — დაუმსახურებელი მადლი. საოცარი ამაში კიდევ ის არის, რასაც ღებულობ უსასყიდლოდ ღებულობ და შენ ბედნიერი ხარ.

ყველაფერი ვინც ხარ და რაც გიკეთებია, დავიწყება მოგიწევს. მამას სახეში ჩახედე. მიეცი მას უფლება, მისი სიყვარული შენში ჩაღვაროს. შენ მისი საყვარელი შვილი ხარ.

15 სექტემბერი

რადგან, თუ გულმოდგინება არის, ეს მიიღება იმის მიხედვით, ვისაც რა აქვს, და არა იმის მიხედვით, რაც არა აქვს.

2 კორინთელთა 8:12

სულიერი სიზარმაცე და დაუდევრობა, სულიერი ცხოვრების გარდაუვალი საფრთხეა. მაგრამ ის ერთადერთი საფრთხე როდია. ქრისტიანმა შესაძლოა, როგორც საკუთარ თავს ასევე სხვასაც ისეთი რამ მოთხოვოს, რაც მათ ნამსხვრევებად აქცევს.

ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ კეთილი საქმეებისადმი ერთმანეთის წახალისება გვმართებს. იმავდროს ისიც უნდა გავიაზროთ, რომ ყველას ერთი და იგივე გულმოდგინება არ აქვს. პიროვნების მხრიდან გულმოდგინების არსებობა ღვთისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როცა ის მზადაა მისი უნარის შესაბამისად გასცეს.

ღვთის სასუფეველში მუშაობით მრავალი გადამწვარი მსახურია. ისინი საკუთარ თავზე იმაზე მეტს იღებენ, რაც მიცემული აქვთ და ღმერთი ამით სიამოვნებას ვერ ღებულობს. ღვთის სურვილი არ არის, რომ იმაზე მეტი გავიღოთ, რაც მისი მსახურებისათვის გვანდო.

ზოგ ქრისტიანს ნამდვილად ექსტრაორიდინალური უნარები აქვს მიცემული. ისინი მზად არიან საკუთარი თავი მოწოდებას ბოლომდე გადასცენ. მათი მოწოდების უგულებელყოფა არ შეიძლება. იმავე დროს ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ საკუთარი საქმიანობა სხვის ნიჭებსა და უნარებს არ უნდა შევადაროთ. თითოეულმა ჩვენგანმა, მისგან მოცემულის შესაბამისად ანგარიში უნდა ჩავაბაროთ ღმერთს.

შვებაა თუ საკუთარი თავისა და სხვათა მოთხოვნებიდან განვთავისუფლდებით. შენ ღვთის თვალთა წინაშე დგახარ და ის სრულყოფილად გიცნობს. მან შენი ძალები და ინტელექტუალური უნარი კარგად იცის, ვინაიდან ისინი მისი მოცემულია. მისი სურვილია შენ მათი მეშვეობით ემსახურო. მან ისიც იცის, რომ ახალგაზრდა თავისი ძალით ასაკოვანს აღემატება.

ღვთის განგებულობაში ყოფნით აცნობიერებ, რომ ერთი მთლიანის ნაწილი ხარ, რასაც ქრისტიანი სიხარულით აღსავსე მსახურებაში მოყავს. ღმერთს ჩემთვის ყველაფერი არ მოუცია, მაგრამ ის რის ნაკლოვანებასაც მე განვიცდი სხვას მისცა ღმერთმა.

ღმერთი ჩემგან არ მოელის, რომ ყველაფერი მე ვაკეთო. ჩემთვის ბედნიერებაა, სადაც განმიწესა იმ ადგილზე დავრჩე.

არცერთი ჩვენთაგანი ვალდებული არ არის მთელი საკრებულოს ხარჯები დაფაროს, მაგრამ ჩვენი გულმოდგინებიდან გამომდინარე შეძლების და მიხედვით უნდა გავიღოთ. ამ დროს ჩვენი ცხოვრებითა და მსახურებით ღვთის კურთხევის ქვეშ ვიქნებით და ის ყველაფერში მოგვიმართავს ხელს.

16 სექტემბერი

და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც დიდება მხოლოდშობილისა მამისაგან, აღსავსე მადლითა და ჭეშმარიტებით.

იოანე 1:14

იესოს დიდება ნებისმიერი სხვა დიდებისაგან განსხვავდება. როცა ცა და დედამიწა არსებობას შეწყვეტს, ადამიანური დიდება აღარ იარსებებს — დიახ, მისი უდიდესი ნაწილი მთლიანად განქარდება. სასაფლაოზე დღეს ისინი წვანან, რომელნიც სიცოცხლის დროს დიდად პატივდებულნი იყვნენ, მაგრამ მათი ადგილები დღეს სხვამ ჩაანაცვლა. ჩვენი დიდება მინდვრის ყვავილივითაა. ის იესოს დიდებისაგან სრულიად განსხვავდება.

ადამიანთა უმრავლესობა იესოში ვერანაირ დიდებას ვერ ხედავდა. არც არანაირი დიდება ჰქონია. მელიებს სოროები, ცის ფრინველთ ბუდე, მაგრამ ძე კაცისას თავის მოსადრეკიც არ აქვს. მიუხედავად ამისა, იესოს ახლო მეგობრები ისეთ დიდებას ხედავდნენ, რასაც წინათ ვერ ამჩნევდნენ. ის მიწიურ ქონებასთან არ იყო კავშირში, მაგრამ სავსე იყო მადლითა და ჭეშმარიტებით.

მათი მოგზაურობის განმავლობაში სასწაულები ხდებოდა: სულიწმიდა რეალობას უცხადებდა მათ. ეს იყო ღვთის დიდება, რაც იესოს სახეზე აღიბეჭდებოდა.

როდესაც ქრისტიანი გახდი, იესო გარდასახული ნათლით იხილე. მასთან შედარებით ყველა სხვა მიწიური დიდება დაჭკნა. ისეთ დიდებას შეხვდი, რომელიც არაფერს არ ედრება.

იესოს ყველაზე აღმატებული დიდება, ჯვარზე და აღდგომაში ჩანს. მან იმდენად შეგვიყვარა, რომ სწორედ ამ სიყვარულმა დააკავა ის ღვთის მსჯავრის რისხვის ქვეშ, როცა ცოდვილთა ადგილზე იყო. ასეთი სიყვარული ღვთაებრივ დიდებას ამჟღავნებს. ის მადლითაა სავსე. იესო ყურადღების მისაქცევად არასოდეს იყენებდა მას. სიამოვნებას გადარჩენის შენდამი მონიჭებით იღებს.

ღმერთი იმის გამო არ გაძლევს გადარჩენას, რადგან არ იცის რას წარმოადგენ. ის სრულად გიცნობს. მაგრამ მან შენი მონაცვლეც იცის. იცის, რომ იესოა შენი შესარიგებელი მსხვერპლი, რომელიც ყველა შენი ცოდვისათვის შეეწირა.

იყო ქრისტიანი ნიშნავს საგნებს, როგორც ღმერთი ისე უყურო. იყო ქრისტიანი ნიშნავს იხარო იმით, რითიც ღმერთი ხარობს. ღმერთი თავისი ძის ყურებით ღებულობს სიამოვნებას. შენც იესოს უყურებ და შენც მისით ტკბები. ღვთის და შენი გული იესოს დიდებითაა აღსავსე. ეს დღესაც ასეა. და ეს საუკუნოდ ასე იქნება.

17 სექტემბერი

ხოლო როცა ცოდვა გამრავლდა, მადლმაც გადააჭარბა.

რომაელთა 5:20

ჩვენი ძველი ბუნება ყოველთვის შეეცდება ღვთის სიტყვა არასწორად გამოიყენოს. ღმერთმა ეს ყველაზე კარგად იცის. ამის გამო ის ყველაზე ძლიერ გამოთქმას იყენებს, რათა პიროვნებამ საკუთარი ცოდვების სინანული შეძლოს.

ცოცხალი ქრისტიანი ფიქრობს, დროის გასვლასთან ერთად ცოდვები უფრო საშინელ სახეს ღებულობს. „მე ვიყავ ღარიბი, უფრო გავღარიბდი, უფრო და უფრო ვხედავ ჩემს გულში არსებულ ცოდვას," ასე გალობს პერ ნორდსლეტენი. და ეს ჭეშმარიტებაა. უფლის ნათლის ქვეშ ცოდვა, უფრო დიდი ხდება.

როცა შენი გარყვნილების უფსკრულზე ფიქრობ, სულის მტერი ჩაგჩურჩულებს: ნუთუ ფიქრობ, რომ რამე გეშველება? სად არის შენი რწმენის ნაყოფი? აბა სად არის შენი სიხარული? განა, შენი წარუმატებელი ქრისტიანობა დაღუპვამდე არ მიგიყვანს?

როცა ასეთი ხმა ისმის, მხოლოდ ერთი რამ უნდა გააკეთო. მიმართე დაწერილს.

ხოლო როცა ცოდვა გამრავლდა, მადლმაც გადააჭარბა.

კარგია შეხედო შენი ცოდვის სიმძიმეს. მაგრამ მადლი ნებისმიერ შენს ცოდვას აღემატება. ჩვენი ცოდვის სიმრავლე მადლს ადიდებს. მას ვისაც მეტი მიეტევა, მეტად უყვარს. ამ მიდგომას ჩვენი აზრები აპროტესტებენ, რადგან თუ ეს ასეა, მაშ ვცოდოთ.

არა, ღვთის სიტყვა ამბობს. არავითარ შემთხვევაში! ჩვენ ვინც ცოდვისათვის მოვკვდით: როგორღა ვიცხოვროთ მასში?

თქვენ იმდენად ბევრი გაქვთ ნაცოდი, არ გჭირდებათ მათ რიცხვს კიდევ მიუმატოთ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, თქვენ შეგიძლიათ გაბედულად იყოთ. რადგან არ არსებობს ცოდვა, რომელიც მადლით არ იყოს გადაფარული, მაშინ, როცა თქვენ იესოს ეკუთვნით. ღვთის თანდაწრების წინაშე თქვენ მადლის ნაკადით წარდგებით. მაშასადამე თქვენ უკვე აქ, მიწაზე შეგიძლიათ მადლის სადიდებელი საგალობელი აღავლინოთ. თქვენ წინ თუ უკან და ყოველმხრივ, ღვთის მადლით ხართ გარემოცული. დიახ, ის თქვენზე დარჩება საუკუნოდ!

უფალს ჰქონდეს დიდება!

18 სექტემბერი

რათა მოგცეთ თქვენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად.

ეფესელთა 1:17

ქრისტიანთა დიდი ნაწილი იესოს შესახებ, ძალზედ მცირეს ფიქრობს. მათ იციან, რომ ის მათი მხსნელია. სწამთ, რომ მადლით ცოდვათა მიტევება აქვთ მიღებული. დარწმუნებული არიან, რომ ერთ დღეს ისინი მას შეხვდებიან მაგრამ, რატომღაც მათი თვალთა ხედვა იესოზე არ არის გადატანილი.

შედეგად გაღატაკებული ქრისტიანული ცხოვრებაა, ვინაიდან იესო მხოლოდ ჩვენი რწმენის ავტორი როდია. ის ამ რწმენის სრულმყოფიცაა.

წმიდა ცხოვრების ძალა, იესო ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომის ღრმა შინაარსობრივ ცოდნაზეა დამოკიდებული.

შეუძლებელია იესოს შემეცნება, თუ სულიწმიდა სიბრძნეს და გამოცხადებას არ მოგანიჭებს. შეუძლებელია იესოს განმწმენდ სისხლში შვების პოვნა, თუ სულიწმიდა მას შენს გულში მუდმივად არ განადიდებს. შეუძლებელია იესოს ძიებას, საკუთარი ძალით შეუდგე. შენს გულში სიტყვა უნდა გაცოცხლდეს, სხვანაირად ღმერთში შენს სიხარულს მთლიანად დაკარგავ. საკუთარი თავით სიცოცხლის პურისადმი შიმშილის გაჩენა, არ არსებობს. ეს შიმშილი და წყურვილი ღვთის სულმა უნდა შექმნას.

პავლემ ღვთის გულისაკენ მიმავალი გზა კარგად იცოდა. ის ლოცვითი ცხოვრებით ცხოვრობდა და ჩვენც გვთხოვს, რომ მის მაგალითს გავყვეთ. მან სიკეთისაკენ მიმავალი ყოველი გზა გამოცდილებით შეიმეცნა.

თუ ღმერთმა იესოს შემეცნება მოგცა, მაშინ შენზე მეტი მდიდარი ქრისტიანი სადღაა? ბევრია, რომელთაც ლოცვის ძალის რწმენა დაკარგა. ისინი ვერ ღებულობენ, რადგან არ ითხოვენ.

ლოცვის დაწყება გვიანი არასდროს არის. დაე, შენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ლოცვის საკითხი გახდეს, რომ ღმერთმა სიბრძნისა და გამოცხადების სული, მის უკეთ შესაცნობად მოგცეთ. ღმერთი შენს ლოცვას აუცილებლად დააკმაყოფილებს. ვინაიდან ასეთი ლოცვა მისი ნების შესაბამისია. ის მოგცემთ უფლებას იესოს სიკვდილისა და აღდგომის მნიშვნელობას ჩაწვდეთ. და ის საკუთარ თავზე, როგორც ღვთის შვილზე, განსხვავებულ ხედვას მოგანიჭებთ. შემდგომ ამისა მიხვდებით თუ, რაოდენ მდიდარი ხართ მასში. დარდი და წუხილი დამთავრდება და თქვენ მადლიერებითა და სიხარულით აღივსებით.

ნახავთ, რომ თქვენ განთავისუფლდით ყოველივე იმისაგან, რაც აქამდე გბოჭავდათ. გული იმ ფაქტით გაიხარებს, რომ იესოში ღმერთმა აღასრულა ეს. ამის ცოდნა გაბედულებას შეგმატებთ, რათა ცხოვრების გზაზე სიარული თამამად გააგრძელოთ.

19 სექტემბერი

უგუნურო, ამაღამ მოგთხოვონ შენს სულს.

ლუკა 12:20

იესომ ეს იგავი ერთ უგუნურ მდიდარზე მაშინ მოყვა, როდესაც მემკვიდრეობის განაწილებაზე ერთმა კაცმა მისგან დახმარება ითხოვა. ამ მდიდარი კაცის სულის შემძვრელი ისტორია, რომელიც დაიღუპა, თხოვნისადმი იესოს პასუხი იყო.

იესომ ჩვენი გულები იცის. ის იმას ხედავს, რასაც სხვა ვერა. მან იცის, ღმერთში მდიდრები ვართ თუ არა. თუ ვართ, მაშინ მიწიური სიმდიდრე ჩვენთვის იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც სხვებისთვის.

არის ისეთი სტუაციები, სადაც იესოს სურს გვასწავლოს დათმენა. მძიმეა ამ გაკვეთილის სწავლა, მაგრამ სასარგებლო. სწავლობ, რომ არ შეიძლება ადამიანთა ნდობა. ასევე აცნობიერებ, რომ სიმდიდრე ამა ქვეყნისა უსაფრთხო ნამდვილად არ არის.

ძნელია ღმერთში იცხოვრო და იმავდროს მდიდარი იყო. სიმდიდრეს უამრავი საფრთხე ახლავს თან. ამპარტავნობა აშკარაა, ასევე დარდიც. ო, რა ადვილად შეიძლება საგანძურის დაკარგვა! სიმდიდრე გართობისა და დროსტარების საშუალებას იძლევა, რომელიც ჩვენს გონებასა და ფიქრებს უფლისგან შორს იტაცებს.

უმიზეზოთ არ უთქვია იესოს, როცა თქვა, რომ მდიდრისათვის გადარჩენა ძნელია. ამიტომ გოდება იმისათვის არ გმართებს, რომ მიწიური სიმდიდრე შემოგაკლდა.

ქრისტიანი ყოველთვის რაღაცას სწავლობს, როდესაც ფინანსურ უსამართლობას აწყდება. მისი გონება და ფიქრები ხრწნადს ცილდება და გადადის სიმდიდრეზე, რომელიც არასოდეს დაიღუპება და რომელიც ზეცაშია შენახული.

წარმოვიდგინოთ მდიდრის მინდორს კარგად არ ენაყოფა! შესაძლოა გაჭირვებაში ჩავარდნილი უფალთან მოსულიყო. ამის შემდეგ ის გახდებოდა მოწმე იმისა, რომ უფლის ხელს გადაცემული ნამცეციც კი კურთხეულია ჩვენთვის.

მიუხედავად ამისა, საქმე ასე არ წარიმართა. ის იმდენად გამდიდრდა, რომ უფალი საერთოდ დაავიწყდა. მისთვის სიკვდილის ღამე დადგა და უფალმა მისი სიცოცხლე მოითხოვა.

განა უგუნური მდიდრის იგავის, შიშის გარეშე წაკითხვა შეგიძლია? განა არ გმართებს ლოცვა: უფალო იმდენს ნუ მომცემ, რომ დაგივიწყო? მნიშვნელობა არ აქვს მდიდარი ვიქნები თუ ღარიბი, მთავარია ჩემი სული გადარჩეს.

20 სექტემბერი

და ნუ გაშორდება რჯულის ეს წიგნი შენს ბაგეთ — დღე და ღამე მასზე იფიქრე, რომ იფხიზლო ყოველივე მასში ჩაწერილის აღსასრულებლად, რადგან მაშინ მიაღწევ წარმატებას და სიკეთეს შენს გზებზე.

იესო 1:8

შენი ცხოვრება სიტყვასთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული. ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, ვინაიდან კაცი პურითა ერთით არ ცხოვრობს. თუ ღთის სიტყვასთან ახლო კავშირში ცხოვრობ, მაშინ კურხევა და სიმშვიდე შენს ცხოვრებაში მდინარეებად გადმოიღვრება.

სიტყვა შენში უნდა შემოვიდეს. უნდა აღივსო მით; გულმოდგინედ მისი კითხვისას, მან შენში ადგილი უნდა მოძებნოს. ყურადღებით უნდა მოეკიდო მას და შენი ცხოვრება მისადმი ადაპტირებული უნდა გახადო.

ღვთის სიტყვა შენს ბაგეთ ნუ გაშორდება. არადა შენს დასადუმებლად, ეშმაკი ყველა საშუალებას ხმარობს. მაშინ, როდესაც მრავალი თავისი ჭკუით დადის და ღვთის მცნებები ვადაგასულად მიაჩნია, გაბედულებაა საჭირო, რომ სიმართლე ელაპარაკო მათ, სკოლა იქნება ეს, ოფისი თუ რომელიმე სამუშაო ადგილი. მაგრამ ღირს ამის გაკეთება! ეს არის გზა შენი კურთხევისა.

როდესაც სხვებს ღმერთის სიტყვას უქადაგებ, ამ დროს საკუთარ თავსაც ასწავლი. თუ ჭეშმარიტების მხარეზე დგახარ, შენივე სიტყვებით ხარ დაბორკილი. საკუთარ თავს ღვთის სიტყვით ბორკავ.

თუ ღთის სიტყვით აღვსილი ყოფნა გინდა, აუცილებელია ბიბლიის კითხვაზე მუდმივად დაწაფებული იყო.

მკითხველ ადამიანთა უმრავლესობა, ბევრ თავს არ კითხულობს, არამედ მხოლოდ მცირე ტექსტს, ორჯერ ან სამჯერ. ეს მათ ეხმარება წაკითხულს ჩაუფიქრდნენ. ამ გზით შენ ღვთის სიტყვას, შენში შემოჭრის საშუალებას აძლევს. დაე, ღმერთის სიტყვა შენს გულში გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმასავით მოვიდეს.

ასევე სასარგებლოა, თუ ბიბლიის მუხლებს დავიზეპირებთ. ღვთის სული მათ მაშინ გააცოცხლებს, როდესაც მისი საჭიროება დაგიდგება.

ღმერთი შენ დიდ კურთხევას აღგითქვამს, როდესაც მისი სიტყვა შენი ნაწილი გახდება. ხელი ყველაფერში მოგემართება და კურთხევა დაგედევნება. ღმერთი არ ცრუობს. შენ მის ნათქვამს შეგიძლია მიენდო. მას მთელი შენი ცხოვრება უკავია, დიახ, თვით მარადისობაშიც კი.

ნუ მისცემ უფლებას, რომ ის შენს ბაგეს განშორდეს! დღითა და ღამით ფიქრობდე მასზე.

21 სექტემბერი

დაუკვირდით მოციქულსა და ჩვენი აღსარების მღვდელმთავარს, იესო ქრისტეს.

ებრაელთა 3:1

ნუთუ ნამდვილად საჭიროა ქრისტიანებს ვუთხრათ, რომ მთელი აზრები იესოს დაკვირვებისკენ მომართონ? ადამიანს ამის კეთება ქრისტიანად აქცევს? განა ყოველმა ქრისტიანმა არ განიცადა ეს, რომ, როდესაც ეს ხდება გული სიხარულით და გაბედულებით ივსება?

დიახ, ეს ფაქტი გასაკვირია, მაგრამ ნამდვილად გვჭირდება უფლის მეგობრებს მოვუწოდოთ, რომ მათი აზრები მისკენ მიმართონ. ეს საჭიროა. ამის შესახებ საკუთარი გამოცდილებიდან იცი.

ეშმაკი, ჩვენი ძველი ბუნება და ეს წუთისოფელი, ყველაფერს ცდილობენ, რომ ჩვენი თვალთა ხედვა იესოს მოწყვიტონ. საამისოდ მცირეც კი საკმარისია. ოჯახური თუ სამუშაოზე არსებული სიძნელეები, ავადმყოფობა თუ ფინანსური პრობლემები, ჩვენს გონებასა და აზრებს გარემოიცავს. ამ დროს უიმედობისა და სასოწარკვეთის გრძნობა გიპყრობს.

პრობლემათა უმრავლესობა ცხოვრების განმავლობაში თანგვდევს. ის საკუთარი აჩრდილივითაა. ამის გამო კითხვას ვსვამთ; ოდესმე მისგან თავს დავაღწევთ?

ღვთის სიტყვა გვპასუხობს, რომ ჩვენ უნდა დავუკვირდეთ იესოს, ჩვენი აღსარების მღვდელმთავარსა და მოციქულს. უამრავი კითხვაა, რომელზედაც პასუხი არ მიგიღია, მაგრამ ღმერთმა შენ იესო მოგცა და ამიტომ არ არსებობს არანაირი სიბნელე, რაზეც მას ნათლის მოფენა არ შეეძლოს.

როცა სასოწარკვეთილი ხარ და ამბობ, რომ სიბნელემ მოგიცვა, მისთვის ამგვარი სიბნელე არ შეიძლება ბნელად შეირაცხოს, ვინაიდან ღამე ნათელივით გამობრწყინდება.

უფალზე ყურადღების გადატანა მოუგვარებელი პრობლემების დროსაც სიმშვიდეს განიჭებს, აქეთ, მარადისობის ამ მხარეზე. მისდამი შენი რწმენა ცხოვრებას კი არ გიადვილებს, არამედ გაჭირვებისა და უბედურების დროს ბედნიერებას განიჭებს. უბრალოდ იესოს ყურება გაბედნიერებს. ისაა შენი მწყემსი, შენი მონაცვლე და გამომსყიდველი.

ნებისმიერ შემთხვევაში შენი ცოდვა გამოსყიდულია. მიუხედავად ცხოვრებისეული მარცხისა, იესოს მიერ შენ გამარჯვებას ფლობ. შენი საჭიროებაა იმით თავის შემოსაზღვრა ისწავლო, რაც იესომ შენთვის გააკეთა და მოიპოვა. იმასთან შედარებით, რაც მან შენთვის აღასრულა, შენი მარცხი თუ გამარჯვება არაფერია.

დაუკვირდი მას! მის გამო შენ არასოდეს შერცხვები.

22 სექტემბერი

არ გაგიტაცოთ სხვადასხვა უცხო მოძღვრებებმა; კარგია გულის გამაგრება მადლით. . .

ებრაელთა 13:9

მეორედ მოსვლამდე ქაოსის ჟამი იქნება. მრავალი ცრუ მოძღვარი გამოჩნდება და ადამიანთა საკმაო რიცხვი მათ გაჰყვება.

ცრუ ქადაგება საშიშია. ჩვენი ძველი, დაცემული ბუნება, ცრუ საგნებს კარგად იზიდავს. რაც ახალი და განსხვავებულია, საიტერესოდ აღიქმება.

ცრუ მოძღვარნი ხშირად ბიბლიას ციტირებენ. ისინი ამახინჯებენ სიტყვას ანუ, ბიბლიის გარკვეულ ასპექტს იღებენ და მათ გულს შეუსატყვისებენ.

იმავე ჟამს ისინი აღნიშნავენ, რომ იესოში გადარჩენა, ბუნებრივად მათი საუბრის მთავარი საფუძველია. ამიტომ ამაზე არდათანხმება შეუძლებელი ხდება.

სიტყვებს კი ნუ ითხოვ, არამედ მათში მოქმედი ძალა ითხოვე.

იესოს აღსრულებული საქმე და მისი რწმენის მეშვეობით მადლით გადარჩენა, ბიბლიის ცენტრალური თემაა. თუ ყველა უწყებაში გადარჩენის საკითხი არ იქნება ჩადებული, მაშინ ჩვენი გულები მადლით განმტკიცებას ვერ მიიღებს. პავლე ცდილობდა არაფერი ცოდნოდა, გარდა იესო ქრისტესი და ისიც ჯვარცმულისა. ამის გამო იყო, რომ მან ღვთის სასუფევლისათვის ამდენი ადამიანი მოიპოვა.

ჩვენი ძველი ბუნება გამოსყიდვაზე საუბრის მოსმენით, სადაც იესოა ყველაფერი ადვილად იღლება. ეგო-ცენტრული კაცისათვის ამ სახის ქადაგება მისაღები არ არის, რომელსაც მუდმივად სურს თავად ჩაერთოს და პრინციპული მხარე დაიჭიროს. თუ ამ სახის სურვილს დავუშვებთ, მაშინ მათი ნაოსნობა შედეგად ყოველი სახის დოქტრინალურ ქარს მიიღებს.

არა, დაე ჩვენ ღვთის მადლს ჩავეჭიდოთ; ისაა ერთადერთი, რომელსაც ჩვენი გულების გამაგრება შეუძლია. სახარების ქადაგება ჩვენს რწმენას ქმნის და ამტკიცებს.

ამ მადლთან ყოფნით, რაღაც „ჩემისათვის," ადგილი აღარ რჩება. მადლი ჩემს ცოდვას იესოს აკისრებს და მისი რჯულის აღსრულებას ჩემად ხდის. ეს ყველაფერი გონებისათვის მიუღწეველია, მაგრამ გულს შეუძლია მისი მიღება, თუ მე მის მუდმივ სმენაში ვარ. ღვთის მადლი მე მაბედნიერებს და სიხარულს მაძლევს. ის ჩემში იესოზე მიყოლის წმიდა გრძნობას ბადებს. მადლი აგრეთვე ცოდვისადმი ზიზღს წარმოქმნის.

ძველ სახარებას ჩაეჭიდე. ისაა ერთადერთი, რომელსაც ცოდვისაგან, სიკვდილისგან და სასამართლოსგან ჩვენი გადარჩენა შეუძლია. იბრძოლე რწმენისათვის, რომელიც ერთხელ და საუკუნოდ წმიდანებს გადაეცა. ღვთის მადლს ჩაეჭიდე.

23 სექტემბერი

ვინაიდან ქრისტეს სიყვარული გვაიძულებს...(ინგ. თარგმანი)

2 კორინთელთა 5:14

ისე ვერაფერი ვერ გვაიძულებს რამის გაკეთებას, როგორც სიყვარული. ის ნებისმიერ შეხედულებაზე, რაც საღ აზრს ეწინააღმდეგება ბატონდება. თვით ჩვენს საკუთარ სიცოხლეზეც კი იღებს ძალაუფლებას.

რა არის ის, რისი გაკეთებაც, მამამ თუ დედამ თავის შვილისათვის ვერ შეძლოს? ხანდახან ისე ჩანს, რომ მისთვის საკუთარ ცხოვრებას ანგრევენ. ამ დროს ისინი სიყვარულის იძულებითი ძალის ქვეშ არიან მოყოლილნი.

ქებათა-ქება სოლომონისაში ასეთ სიტყვებს ვხვდებით: „კაცმა სიყვარულისათვის თავისი სახლის მთელი ქონებაც რომ გაიღოს, მაინც ზიზღით უგულებელყოფენ.“

სიყვარული გვაიძულებს. მაგრამ იესოს სიყვარული უფრო ძლიერია. მას, ვიდრე ნებისმიერ სხვას მეტი შეუძლია. ამის გამოა თავს რომ კარგავ მასში, ვინაიდან ის შენ გეხება. ის შენს დაბადებამდე იყო ასეთი. შენ წუთისოფლის შექმნამდე იყავი ამორჩეული. ღმერთმა მის საყვარელ ძესთან ერთად, ჯერ კიდევ მაშინ დაგინახა.

შენმა სულმა გამოსყიდვაში უნდა მოისვენოს. იესოს გამომხსნელი საქმე საუკუნოდ ძალაში რჩება. შენი ცოდვით მასთან მისვლით, უშედეგო არასდროს რჩები. ის გწმენდს შენ და თოვლივით გასპეტაკებს.

ეს სიყვარული იყო, იესო, რომ ჯვარს აცვა. ჯვრის გარეშე ზეცაში შენი შეყვანა მას არ შეეძლო. მისი სურვილია მის მფლობელობაში სამუდამოდ იყო. მისმა სიყვარულმა ზღვარი არ იცის. ამის გამო მან სიყვარულის ფასი გადაიხადა. ჩვენ ბოლომდე ვერასოდეს გავიგებთ, თუ რა ფასი იყო ის. ერთადერთი რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია, ეს მისდამი მადლიერების გამოხატვაა.

სიყვარული, რომელმაც იესო აიძულა, ის შენს ცხოვრებაში მაიძულებელი ძალაა. ღმერთმა თავისი სიყვარული მისი რწმენის მეშვეობით შენს გულში ჩაღვარა. მან სცხო შენს თვალებს, რათა ადამიანებს, როგორც ის ხედავს ისე უყურო. ღვთის სიყვარული იმაზე შორს მიდის ვიდრე შენ ძალგიძს. იესო მის გამო, ყველა ჩვენგანისათვის მოკვდა კიდეც.

ადამიანთა უმრავლესობა უღვთოდ და უიმედოდ ცხოვრობს. მათ გადარჩენის მიღება უბრალოდ არ შეუძლიათ.

იესოს სიყვარული გაიძულებს მიხვიდე ასეთ ადამიანებთან. შენ ხარ ის, რომელმაც ეკლესიის დიად დავალებაში მონაწილეობა მიიღო. სამკალი მოსამკელად უკვე გადათეთრებულია. „საოცარი მხსნელი ჩემია, და ის ყველამ უნდა იხილოს.“

მიეცი სიყვარულს ადგილი, რომ გაიძულოს მოქმედება — რისი კეთებითაც იკურთხები და სხვებისათვისაც კურთხევა შეიქნები.

24 სექტემბერი

რაც თქვენთან ერთად მანუგეშებს საერთო რწმენის მეშვეობით, რომელიც თქვენიც არის და ჩემიც.

რომაელთა 1:12

პავლემ სულიერ ხედვაში და ზრდაში დიდი წინსვლა განიცადა. შევძლებთ კი მის ვინმეზე შედარებას? თუმცა მხოლოდ პავლე არ იყო, რომელსაც რაღაცის მიცემა შეეძლო. რომში მის მეგობრებს ისიც საჭიროებდა. საერთო რწმენაში ნუგეშისცემა, ყოველ მათგანს ჭირდებოდა.

ასე დღესაც. ბევრ მქადაგებელს დახმარება ჭირდება. შესაძლოა მათ ღვთის სიტყვაში უფრო ღრმა ხედვა აქვთ. შეიძლება ისინი ვიდრე შენ, უფრო ახლოს არიან იესოსთან. და შესაძლოა ისინი შენთან შედარებით უფრო ცხოვრობენ იესოს გავლენის ქვეშ.

მიუხედავად ამისა ისინი შენ გსაჭიროებენ.

მათ თქვენი შუამდგომლობა ჭირდებათ. თქვენი სიყვარული. რწმენით ცხოვრებაზე თქვენთან საუბარი. მათ იესოსთან შეხვედრა თქვენით ჭირდებათ. ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ მქადაგებელი ერთი უმწეო ცოდვილია, რომელსაც თავისი სიმართლე არ გააჩნია. ის ისე ეჩეხება საცდურსა და საფრთხეს, როგორც შენ. სასოწარკვეთამ შესაძლოა ორივე თქვენგანს ჩაგხედოთ თვალებში; მსგავსად ამისა თვით-დაცვამაც.

უფრო მეტიც, სატანა განსაკუთრებულად თავს ესხმის მათ, ვისაც ქადაგების მსახურება დაევალა, ან საკრებულოში წამყვანი პოზიცია უკავია. ამ დროს მათ, თქვენი თანადგომა ჭირდებათ. მიღებული სიტყვის გამო, შენ მათი გამხნევება შეგიძლია. უპირველეს ყოვლისა უდიდესი ძალის მქონეა, როცა ადამიანების მხარდაჭერას გრძნობ, რომელნიც შენი გულისთვის შუამდგომლობენ.

აგრეთვე უმნიშვნელოვანესია, რომ შენ თავად იესოზე და მასში არსებულ ღვთის აღთქმებზე გქონდეს მთელი ყურადღება მიმართული. მსახურის გონება პრობლემებითა და სიძნელეებით ადვილად ხდება დაკავებული. ცდუნება დროთა შედარების გაკეთებისა, როცა სულიერი მდგომარეობა სრულიად განსხვავდება, აშკარაა. ამ დროს კარგია ქრისტიანი მეგობრის ყოლა, რომელიც დაგიდასტურებს, რომ იესო არ შეცვლილა და ღვთის ძალა საქმეში ჩასარევად არ შემცირებულა.

ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, რათა ერთგულად აღვასრულოთ უფლის მიერ ჩვენზე დაკისრებული. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ღვთის სიტყვისადმი შეურყეველი დაჯერებულობა. ნებისმიერ მდგომარეობაში უფლისადმი ნდობა უნდა გავაგრძელოთ. ქრისტიანებს ერთმანეთის ნუგეშისცემა ჭირდებათ, როგორც ცხოვრებაში ასევე მსახურებაში, მთელი სიყვარულითა და მზრუნველობით. მოდით, ჩვენი საერთო რწმენით, ერთმანეთს ნუგეში ვცეთ!

25 სექტემბერი

თუმცა, ახლა ვიცი, რასაც სთხოვ ღმერთს, მოგცემს ღმერთი.

იოანე 11:22

ეს მარიამის და მართაა, რომელმაც ეს სიტყვები წარმოთქვა.

განა ის არ იყო, რომელიც იესომ ამხილა? განა იესომ არ უთხრა მას, რომ ის ბევრ რამეზე წუხდა და დარდობდა? და განა მართამ შეგონება არ მიიღო იესოს მიერ მარიამისთვის ნათქვამ სიტყვებში, რომ მან უკეთესი ნაწილი აირჩია?

დიახ, მართას ცოდვები და შეცდომები იესოსათვის დაფარული არ იყო. მისი ნება არ ყოფილა, რომ მას შეეცოდა. თუმცა მართას შესახებ ამით ყველაფერი არ თქმულა.

ის იესოს გარემოცვის წევრი იყო. იქ ყოფნა დიდი კურთხევაა. ის ბეთანიაში ერთერთი სახლის მფლობელი იყო. მან ის იესოსა და მოციქულებს გადასცა. ძნელი საქმეა რიცხვმრავალ სტუმარზე ზრუნვა. მართა კი თავს არ ზოგავდა.

მისგან ჩვენი ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია!

მაშინ, როდესაც მისი მსახურების დროს ის იესოს მიერ იქნა მხილებული, მას მისთვის ზურგი არ უქცევია. პირიქით! მართა ისეთი ამპარტავანი არ იყო, რომ მისი დისგან არ ესწავლა. უკეთესის არჩევა მართამაც ისწავლა.

საიდან ვიცით ეს?

ჩვენ მისი ცხოვრების ნაყოფებიდან ვიცით.

როდესაც ლაზარე ავად გახდა, დებმა იესოს შეუთვალეს. მარტო მარიამმა კი არა, არამედ მართაც ჩართული იყო მასში.

იესოს სიტყვებმა მის გულში რწმენა შექმნა. ის არ ეჭვობდა, რომ იესოსთან მისვლა სასარგებლო იყო. მან ეს თავის თავზე გამოცადა.

ნახეთ, იესოს შუამდგომლობაში მართას, როგორი დაჯერებულობა ჰქონდა!

ლაზარეს სიკვდილის შემდეგ ის იესოს საოცარ სიტყვებს ეუბნება, „თუმცა, ახლა ვიცი, რასაც სთხოვ ღმერთს, მოგცემს ღმერთი.“

ისწავლე მართასგან! ის იესოს ემსახურებოდა. თქვენც იგივეს გაკეთება გმართებთ.

როდესაც იესომ მას, როგორც მასპინძელს საყვედური უთხრა, მან მისი სიტყვების მიმართ თავი დაიმდაბლა. შენც იგივე უნდა გააკეთო. თუ ასე მოიქცევი, მაშინ შენც მართას დაჯერებულობას შეიძენ, რომ იესოს აღვლენილ ლოცვას ყველაფერი შეუძლია.

26 სექტემბერი

მე, მე ვარ ის, ვინც დანაშაულს ჩამოგბანს ჩემივე გულისათვის და შენს ცოდვებს არ გავიხსენებ.

ესაია 43:25

თუ გსურთ ღვთის სიტყვამ სრული დახმარება გაგიწიოთ, მარტო მისი გაგება საკმარისი არ არის. უფლის ნათქვამის რწმენაა საჭირო. თუ ღმერთი იმაში გარწმუნებს, რომ ის შენს ცოდვებს აღარ გაიხსენებს, მაშინ ისღა დაგრჩენია ეს საოცარი უწყება უბრალოდ მიიღო.

რატომღაც ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია ურწმუნოდ არყოფნა, თუ უფლის სიტყვას უარვყოფთ. მაგრამ ეს არასწორია. თუ მისი მიღება რწმენითა და ნდობით არ შეგიძლია, მაშინ ტიპიური ურწმუნო ხარ. თუ სიტყვას არ ღებულობ, მაშინ ის შენს გადარჩენას კი არა, არამედ გასამართლებას მოახდენს.

ღვთის სიტყვის მოსმენა ყოველთვის მუშაობს, რათა ან წინაღობა შვას ან კიდევ სიცოცხლე. ის აგრეთვე ეხება ყველაზე დიდსა და დიდებულ აღთქმებს. ბევრი გულს იქვავებს, როდესაც ისმენენ, რომ ღმერთს აღარ ახსოვს მათი ცოდვები. შესაძლოა მათ ისმინონ და კვლავ ისმინონ, მაგრამ ვერც ვერაფერი გაიგონ. ამ დროს ღვთის სიტყვა უნაყოფო რჩება, რადგან ის მიღებული არ იქნა. ამიტომ მსმენელს ის სიხარულს ვერ ანიჭებს.

როდესაც ღმერთმა თქვა, რომ მას შენი ცოდვები აღარ ახსოვს, შენ კი ნათქვამისადმი უნდობლობას იჩენ, ამ დროს მისდამი ცოდავ. დიახ, ეს იგივეა, რომ ის უნდოდ მიიჩნიო. ამის გაკეთება არ გმართებს. ნაცვლად ამისა, დაე, ამ დიდებულმა ტექსტმა შენს გულში თავისუფლება მოიტანოს! უფალმა შენ ყველაფრისაგან, რაც კი ჩაგიდენია გაგანთავისუფლა. ხოლო ყველაფერი შენ მოგაწერა, რაც იესომ შენი გულისთვის აღასრულა.

ამიტომ შიშმა არ უნდა შეგიპყროს, როდესაც ცოდვათა მოგონებები აზრებში მოგაწვება. ნაცვლად ამისა ღვთის სიტყვას ჩაეჭიდე. უთხარი საკუთარ თავს, რომ ჩადენილი ღმერთს აღარ ახსოვს, ამიტომ არც შენ გაიხსენებ მათ.

ღმერთმა, რაც მის ზურგს უკან მოისროლა, ყველაფერი დაივიწყა. მაშასადამე, შენც იგივეს გაკეთება გმართებს. ისმინე მის ნაცვლად უფალს რა ახსოვს: „აჰა, ხელის გულებზე ამოგიტვიფრე, შენი ზღუდეები მუდამ ჩემს წინაშეა.“

უფალი შენ, როგორც ცოდვილს გიცნობს, რომელიც გამომსყიდველის ხელებზეა ამოტვიფრული. იესოს დალურსმნული ხელები ფაქტზე ამოწმებენ, რომ შენი ცოდვების საფასური გადახდილია. იესომ ეს გოლგოთაზე აღასრულა. ამიტომ შენ მისი გადახდა არ გიწევს. უფალი შენს შესაგებებლად თავისი მადლით მოდის.

27 სექტემბერი

ამიტომ ხელი მოჰკიდეთ ღვთის სრულ საჭურველს, რათა შეძლოთ შეწინააღმდეგება ბოროტ დღეს; და ყველაფრის გადამლახველებმა გაძლოთ.

ეფესელთა 6:13

პიროვნებამ არ უნდა იფიქროს, რომ როცა ყველაფერი აღსრულებულია, გაძლება მაინც ძნელია. მაგრამ ღმერთი სრულად გვიცნობს ჩვენ და მისი სიტყვით საკუთარი თავის სიღრმისეულ შემეცნებას გვანიჭებს.

ხანდახან ხდება, ქრისტიანი, რომელიც წლების განმავლობაში უფალში ცხოვრობდა, სიკვდილამდე ბოლო წლებში რწმენიდან განდგება. მათ ცხოვრებაში, როგორც ქრისტიანებს ბრძოლა და დიდი წნეხი შეხვედრიათ. მათ უბრძოლიათ და წინააღმდეგობა გაუწევიათ, მაგრამ მიზნამდე თითქმის მისულთ საზიზღარი გულგრილობა დაუფლებიათ. რის გამოც მათ სრული კრახი განიცადეს.

ასაკოვანი ქრისტიანი მეომარი თვალს წარსულს გადაავლებს და იქ ბევრ ბძოლებს ნახავს, რომელიც მრავალი მარცხითა და გამარჯვებებითაა აღსავსე. ამ დროს წარმოიშვება კითხვა: ნუთუ მას არასოდეს უცდია ბრძოლის დატოვება?

საშიშია იმაზე ფიქრი, რომ გადარჩენა მიზნის მიღწევამდე გარანტირებული გვაქვს. თუ ამ აზრს შენში არსებობის ნებას დართავ, მაშინ იმაზე ფიქრს შეწყვიტავ, რომ ღვთის მთელი საჭურველის აღებაა საჭირო. თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ სრულიად დაუცველი აღმოჩნდები, როდესაც სატანა მის უკანასკნელ ფართომასშტაბიან თავდასხმას შენზე განახორციელებს.

ისტორიულად ზოგიერთი, ყველაზე ტრაგიკული შემთხვევა მაშინ მომხდარა, როდესაც ალპინისტებს მწვერვალი თითქმის დაპყრობილი ჰქონდათ. ისინი გარდაუვალი გამარჯვების გამო ხარობდნენ, მაგრამ რამოდენიმე წამი გონების კონცენტრაციის გარეშე და ის სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. ფეხი უსაფრთხო ადგილზე არ იქნა დადგმული, რის გამოც უფსკრულში იქნენ გადაჩეხილნი.

სატანა შვებას გრძნობს, როდესაც საკუთარ თავზე ვიწყებთ დანდობას; მნიშვნელობა არ აქვს წარსულში მისი დამარცხება რამდენჯერ შევძელით. თუ საბოლოო გადამწყვეტ ბრძოლაში მას გამოუვიდა, ის გაგვანადგურებს. მისთვის მნიშვნელოვანი საბოლოო გამარჯვებაა.

შენ ეშმაკს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე წინააღმდეგობა უნდა გაუწიო. ამის გაკეთებას შენ იმ აღჭურვილობაში შეძლებ, რაც შენი საკუთრება არაა. ღმერთმა უნდა მოგცეს ყოველივე. მასთან, როგორც არაფრის მქონე გიწევს მისვლა. მთელი ძალა იმ მადლიდან უნდა აიღო, რაც ქრისტე იესოშია. მასში შეიმოსე და ცოდვილი ბუნების დასაკმაყოფილებლად ნუ გაირჯები. არ განუდგე უფლის მსახურებას. თუ ასე მოიქცევი, ნებისმიერ ბრძოლაში დაუმარცხებელი დარჩები და გამარჯვებას მუდმივად შეინარჩუნებ.

28 სექტემბერი

ყოველი, ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლელია; ხოლო თქვენ იცით, რომ არც ერთ კაცისმკვლელს არა აქვს საუკუნო სიცოცხლე.

1 იოანე 3:15

ზოგიერთი ფიქრობს, მიუხედავად ძმის სიძულვილისა, თავის გადარჩენას მადლით მაინც შეძლებს. მაგრამ ღვთის სიტყვა სულ სხვა რამეს ამბობს.

ისეთი ქრისტიანები ყოველთვის იყვნენ, რომელთაც ცოდვებზე პატიების მიღება სურდათ, მაგრამ ცოდვის შეწყვეტა არა. ასეთნი საკუთარ ძმასთან, არასწორი ურთიერთობით ცხოვრობენ. ზოგი სიკვდილამდე ახერხებს ამ პრობლემის მოგვარებას; ზოგიც ვერა.

როდესაც ღმერთი ძმის მიმართ სიძულვილზე ლაპარაკობს, შოკისმომგვრელი განცხადებაა თანდართული. მოცემული სიტყვები იმდენად სერიოზულია, მათი გვერდის ავლა და არგათვალისწინების საცდური დიდია. ჩვენ სიძულვილის განმარტებას ვცდილობთ და ვამბობთ, რომ ეს საკითხი სიძულვილთან კავშირში არ არის. ამის მცდელობით გვინდა სიტყვას ავერიდოთ, რათა მის მიერ ბრალდებული არ ვიქნეთ.

ეს გზა მეტად საშიშია. ყოველი ქრისტიანი ცხოვრობს იმ დღით, როდესაც მას ანგარიშის ჩაბარება მოუწევს. იმ დღეს ღმერთი გეტყვის ცოდვების მიტევება, რაოდენ არასწორად გამოიყენე, რადგან ის, საკუთარი, ძველი ცოდვილი ბუნების შესაწყნარებლად გაიხადე, მაგრამ მისი მონანიება უკვე გვიანი იქნება.

იესოსთან იმ ურთიერთობის შესახებ გისაუბრიათ, რაც გაბუტულ ძმასთან გაკავშირებს?

ძმათა შორის ისეთი ურთიერთობები არის, რომელთა გამოსწორება დიალოგის მეშვეობით შეუძლებელია. არის ისეთი სიტუაციები, სადაც მათი გზები ერთმანეთისგან უნდა გაიყაროს. და თუ ლოცვა ღვთიური ჩარევის გულისათვის შეწყდება, მათ გულებში ბოროტება და სიცივე დაისადგურებს.

ღმერთი საოცრებების ღმერთია. მას შეუძლია იმ გარემოებას უმკურნალოს, სადაც ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. უპირველეს ყოვლისა მან ჩვენი გული და მისი სურვილები იცის.

იესომ თქვა, რომ შენ მტრისათვის უნდა ილოცო. ილოცო მათი დროებითი თუ სულიერი სიკეთისათვის. ლოცვის მეშვეობით შენ ღმერთის გულს შეეხები, ხოლო ის შენს გულს.

ბიბლია ძმის სიძულვილს მკვლელობას უწოდებს. მკვლელს უდავოა არ შეიძლება საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს. იესო და სიძულვილი გვერდიგვერდ ვერ იცხოვრებენ. თუ სიძულვილი არ წავიდა, იესო თავისას ვერ გააკეთებს.

უფალი გვიხმობს. ის თავისთან და ერთმანეთთან შერიგებისაკენ მოგვიწოდებს.

29 სექტემბერი

რადგან ღვთის ყველა აღთქმა, მასში არის 'ჰო.'

2 კორინთელთა 1:20

მრავალი ქრისტიანი ღვთის აღთქმებს ყურადღებას არ აქცევს. ამის კეთებით მათ ძალისაგან ძარცვავენ. სანაცვლოდ, ღვთის აღთქმის აღსასრულებლად სხვადასხვა პირობას ასახელებენ.

ისინი ღვთის სიტყვის სიმტკიცეში არ ეჭვობენ. დარწმუნებული არიან აღთქმულის მიიღებას მაშინ შეძლებდნენ, მათი რწმენა, მორჩილება თუ მსახურება სხვანაირი, რომ ყოფილიყო.

ამის გამო ცდილობენ იმად იყვნენ, რადაც უნდა იყვნენ. ამიტომ მარცხს მარცხი მოყვება. საბოლოოდ ხვდებიან, რომ გაგრძელება მათ არ ძალუძთ. სწამთ, რომ გადარჩენა მადლით აქვთ მიღებული, ვინაიდან იესოს რწმენა აქვთ, მაგრამ ნამდვილი და ჯანმრთელი ქრისტიანული ცხოვრება, ვერა და ვერ შეძლეს.

თუ ასეთი ქრისტიანი ხარ, საჭიროა სიტყვას მიუგდო ყური. შენი პრობლემა ის არის, რომ კვლავ ღვთის აღთქმის 'დიახ-ის' პოვნას შენში ცდილობ. როდის გაიგებ იმას, რომ შენი ხელმოწერით ღვთის აღთქმათა მოქმედება არ დასტურდება? ან რატომ გინდა შენი ხელმოწერა განათავსო იმაზეც, რაზეც იესომ უკვე თავისი სახელი წააწერა?

უფლის ყოველი აღთქმის სინამდვილე, იესოს სისხლის ძალითაა დადასტურებული. ამიტომ თითოეული მათგანი შეგიძლია სანდოდ მიიჩნიო.

როდესაც ღვთის აღთქმებს მის სიტყვაში ხვდებით, საჭიროა თქვათ: ეს დიდებული აღთქმები ძალაში რჩება. იესომ ყოველი პირობა და კონდიცია უკვე დააკმაყოფილა. ამიტომ მათი გამოყენება მე შემიძლია, რადგან იესომ მომცა ისინი.

მისგან მიღებულ საჩუქარს, დაუსრულებელი ღირებულება გააჩნია. მათი დაცვა შენი ვალდებულებაა. უნდა აიღო ისინი და ყურადღება მიაქციო. მათ მიმართ რაც უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენ, უფლისგან შენთვის მოცემული მით უფრო ძვირფასი გახდება.

ბიბლიაში არსებული უამრავი აღთქმა მოიძიე. ჩაეჭიდე მათ. მადლობა უთხარი ღმერთს მათ გამო და მთელი დღეებისა და ღამეების განმავლობაში მათზე იფიქრე.

ღვთის აღთქმები საოცარ ძალას შეიცავენ. ისინი ნებისმიერ ტკივილსა და წინაღობას გადაგატანიებენ. ყოველ აღთქმაზე იესოს სახელია აღბეჭდილი. მან თავად დაწერა ის. ახლა ის მათ შენ გაძლევს, მიიღე და მადლობა გადაუხადება მას.

30 სექტემბერი

„სხვებს იხსნიდა, საკუთარი თავის ხსნა კი არ შეუძლია."

მათე 27:42

ეს სიტყვები დაცინვით იქნა ნათქვამი. რა ფასი უნდა ჰქონოდა მის ხსნას, თუ საკუთარი თავის ხსნა არ შეეძლო? უმწეოდ ჯვარზე გაკრულს, დიდი შესაძლებლობები არსაიდან არ უჩანდა. მის მქირდავებს ეგონათ, ჯვრით ყველაფერი დასრულდებოდა.

თუმცა ისინი ცდებოდნენ. სიზმარშიდაც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათი სიტყვები სიმართლე აღმოჩნდებოდა. მათ ღვთის გზა არ იცოდნენ. რაც თქვეს ჭეშმარიტება იყო. იესოს საკუთარი თავის ხსნა მართლა არ შეეძლო, თუ იგი სხვების გადარჩენას შეუდგებოდა.

რატომ არა?

ღვთისათვის ისევე უსამართლოა მტყუანის გამართლება, როგორც მართლის გამტყუნება. წმიდა ღმერთს უსამართლობა სძულს.

თუ ცოდვილნი სასამართლოზე გამართლდებოდნენ, მაშინ მათი ბრალდებით დასჯილი იესო უნდა ყოფილიყო. ღმერთი მარადიულია. ცოდვა და ბრალი მზის ამოსვლისას ცვარივით როდი დნება. გამოსყიდვა აუცილებელი გახდა.

ვერცერთი შესარიგებელი მსხვერპლი ღვთის რისხვის ცეცხლის დამცხრობი ვერ შეიქნა. ისეთი მსხვერპლი უნდა მოტანილიყო, რომელიც ბოროტისაგან არ იქნებოდა შებღალული. ეს ასეც მოხდა. იესომ მსხვერპლად საკუთარი თავი მოიტანა. როდესაც იესო ღვთის წინაშე ხის ჯვარზე მოამაღლეს, ის იმ დროს ღვთის სუფთა ძე აღარ ყოფილა. იმ დროს მასზე მთელი წუთისოფლის ცოდვა ღმერთმა თავად დადო. იესო, როგორც დამნაშავე ისე მოკვდა.

შენ გადარჩენაში, როგორც უდანაშაულო ისე მოდიხარ.

იესო გადაგარჩენს, თუ მასში თავშესაფარს ჰპოვებ. მაშინ ღმერთი ჩადენილ ცოდვას აღარ მოგკითხავს. წითელ პარასკევს ღმერთმა თავისი რისხვა ცოდვის შესაწირზე უკვე გადმოანთხია.

ღმერთმა მისი რისხვის ქვეშ ტანჯვა არ განგიწესა, არამედ ხსნის მიღება, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით.

იესო ნამდვილი შენი მხსნელია. თუ ღვთის მიერ გამართლდი, მაშინ ცოდვა აღარ გეთვლება. როცა წუთისოფლის ცოდვა მას დააკისრეს, არცერთი ცოდვა არ გამორჩენილა. არც შენი. ვალი შენი, შენს დაბადებამდე იქნა გადახდილი. იესომ, რასაც მომავალში შესცოდავ ისიც იცის. მაგრამ მან, შენი მომავლის ცოდვების შედეგებიც თავის თავზე იგემა.

მისთვის შენი ხსნა უფრო დიდმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საკუთარი თავის ხსნა.

1 ივისი

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, თუ მიწაში ჩავარდნილი მარცვალი არ მოკვდა, მარტო დარჩება. და თუ მოკვდა, ბევრ ნაყოფს გამოიღებს.

იოანე 12:24

ხორბლის მარცვალს მძიმე ბედი ელის. ის ბნელეთის სიღრმეში, ცივ ნიადაგში სასიკვდილოდ უნდა გადაეშვას.

ეს სწორედ ისაა, რაც იესოს შეემთხვა. მას ბნელეთის უკიდურეს სიღრმეში ჩასვლა მოუწია. მოცემული ადგილი ღვთისგან მიტოვებული ადგილია. მან, როგორც ფიზიკური, ასევე მარადიული სიკვდილი განიცადა.

შენ სიკვდილი გმართებს. სხეული შენი მიწის ქვეშ უნდა დასაფლავდეს. უფრო მეტიც, ამ სამარხისაკენ მიმავალ გზაზე ყოველდღიური, შინაგანი სიკვდილის გადატანა გიწევს, რაც საკუთარი თავისათვის სიკვდილია. ვიდრე ცოცხალი ხარ, ხორბლის მარცვლად ყოფნაში უფალი გეხმარება და ეს მაშინ ხდება, თუ ღვთის შვილი ნამდვილად ხარ.

უფალი ამას შენი სხვებისგან გამოყოფით აკეთებს. მანამდე ადამიანების მხრიდან სიკეთესა და აღფრთოვანებას გრძნობდი, ახლა კი არა. შენმა ამ მდგომარეობამ, მათი სასოწარკვეთა გამოიწვიე. მათთვის ნათელი ხდება, რომ ისინი უკვე შენგან შორს არიან. მათი შენზე საუბრები უკვე გესმა. ზოგი მართალია, ზოგიც ჭორი. მაგრამ სიტყვებზე უფრო მტკივნეული მათი შენდამი განწყობაა.

რა ხდება?

ყოველივე ამის უკან უფალი დგას. ის მარცვალს მიწაში სიკვდილისათვის უშვებს. საკუთარ თავზე წარმოდგენა უნდა შეიცვალოს. ამ მიზნის მისაღწევად ის გარე წინააღმდეგობას და სიძნელეს იყენებს.

გაჭირვებისა და წრთვნის გადატანით, საკუთარი მე აღმოიფხვრება; მაგრამ საკუთარი თავისადმი სიცოცხლე სულ ცდილობს სიკვდილს გაექცეს. ის საკუთარი თავის განსადიდებლად ტანჯვასაც კი გამოიყენებს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, უფალი მის შვილს არ მიატოვებს. ერთ დღეს საკუთარ თავს საკუთარ გულთან გაშიშვლებულს იხილავ. ჭეშმარიტების ნათელი გაბრწყინდება და მის დაფარვას შენ ვერ შეძლებ. და აღმოაჩენ, რომ შენს ძველ ბუნებაში, არაფერია სასიკეთო.

საკუთარ თავს უნდა გაეყარო და იესოს ძალით იცხოვრო. შენი საკუთარი არაფერი არ დარჩება. ყოველი, რაც მას ეკუთვნის სამუდამოდ იქნება. არ ისურვო პატივის მიღება. ყოველი პატივი მხოლოდ უფლისაა. ამ გზით შენ ღვთისათვის ნაყოფის გამოღებას შეძლებ.

2 ივისი

გაიხსენეთ სიტყვა, რომელიც გითხარით: მონა არ არის-მეთქი თავის ბატონზე დიდი. თუ მე მდევნიდნენ, თქვენც დაგიწყებენ დევნას.

იოანე 15:20

რა თქმა უნდა მონა თავის ბატონზე მეტი ვერ იქნება. იესოს ამ სიტყვებით, რისი თქმა სურს? ის აქცენტს აკეთებს თხოვნით, რომ გავიხსენოთ მისი ნათქვამი.

იესოს სურს გვითხრას, რომ თუ მის მსახურებას აპირებ საკუთარი თავი ტანჯვისათვის და დევნისთვის უნდა გაამზადო.

ძალიან ადვილია თავიდან უსიამოვნო მოგონებები ამოვიგდოთ. ჩვენი აზრით, იესოს სახელის გამო დევნაზე ფიქრიც კი საშინელებაა.

მიუხედავად ამისა იესო დევნისათვის თავის შემზადებას გვთხოვს. მოციქულებს თავიანთი მდგომარეობებითაც უნდა ჰქონოდათ უფალთან თანაზიარება.

სამყაროს ჩვენს ნაწილში, უკვე მრავალი წელია ღია ეკლესიის დევნა აღარ გვიხილავს. მაგრამ ღმერთის სიტყვა გვეუბნება, რომ დევნას იესოს მოსვლამდე ადგილი ექნება. დიახ, დიდი ჭირი ნამდვილად იქნება.

ეკლესიის ისტორიამ გვაჩვენა, რომ ამა თუ იმ ადგილზე განსაკუთრებულად დიდი იყო განდგომილება, როდესაც ქრისტიანები ივიწყებდნენ, რომ „მონა ბატონზე მეტი არ არის.“

როდესაც დევნა მოუმზადებელ ქრისტიანამდე მიაღწევდა, მაშინ მათ უფალს და მხსნელს ბევრი უარყოფთა.

რეალისტური მიდგომა კარგია. ღვთის სიტყვაზე დანდობილი ასე იქცევა.

დევნის დროს კრიტიკულ დახმარებას, იესოზე ფიქრი გვაძლევს. ის არის უფალი, რომელმაც მაგალითი დაგვიტოვა. ჩვენი მცირეოდენი გასაჭირი მის ტანჯვებს ვერ შეედრება. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც შიში და დარდი გვეუფლება. მაგრამ შველა იესოზე ყურადღების გადატანით მოდის. ის ჩვენთან ყოველ გასაჭირში იქნება და მან ყველაფერი იცის, რისი გადატანაც მოგვიწევს. ის ხომ ჩვენსავით ყველაფერში გამოიცადა. ამის გამო მას ჩვენი თანაგრძნობა შეუძლია.

ადამიანთა შეხედულებით ქრისტიანი პატივსა და დიდებას არ იმსახურებს; იესოზეც ასე ფიქრობდნენ. მისთვის კი მთავარი ის იყო, ღმერთის ნებაში დარჩენილიყო. ასე უნდა იყოს ჩვენთვისაც. მოდით მის ნაკვალევს მივყვეთ. დაე მან გვიწინამძღვროს ჯვრის ამ გზაზე, რომელიც დიდებამდე მიდის.

ზეცაში შენს თავგადასავალს იესოს გაუზიარებ. იქ შენ საუკუნოდ ამაღლებული და პატივდებული იქნები.

3 მაისი

შეიყვარა სოლომონმა უფალი. . .

1 მეფეთა 3:3

გიყვარს იესო?

მძიმე კითხვაა, რასაც იესო დროდადრო სვამდა. ის შენგან სიყვარულს ითხოვს.

რატომ?

ვისაც უყვარს მისთვის ძნელი არ არის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. თუ სიყვარული უნდა გაგრძელდეს, ის ორმხრივი უნდა იყოს. თუ გიყვარს, უნდა იკითხო, უყვარხარ თუ არა მასაც.

სოლომონმა უფალი შეიყვარა. მან ეს იმიტომ გააკეთა, ვინაიდან პირველმა ღმერთმა შეიყვარა ის. ღმერთია ის, რომელიც ჩვენში სიყვარულს ქმნის. ეს ღვთის მხურვალე გულია, რომელიც შენს გულში ცეცხლს ანთებს. ეს მაშინ ხდება, როდესაც იესო თავის სიყვარულს დაგიმტკიცდებს.

ღმერთი შენთვის ცხადს ხდის, რომ შენ მის შენდამი უსაზღვრო სიყვარულს ვერასოდეს ჩაწვდები.

ადვილი შესაძლებელია უარს ამბობ მაღალფარდოვანი სიტყვებით იესოსადმი სიყვარულის გამოხატვაზე და პეტრესავით არჩევ თავმდაბლურად თქვათ: „უფალო შენ ყველაფერი იცი; იცი, რომ მიყვარხარ.“ ამ სიტყვების უკან იესოსადმი ღრმა დამოკიდებულებაა. ამ დროს შენ მასთან სიცოცხლით, სიკვდილით და მარადისობით ხარ დაკავშირებული.

გული დარდით არ გიმძიმდება, როდესაც ისმენ, „შეიყვარა სოლომონმა უფალი?“ ალბათ გახსოვს, რომ ის დიდხან არ გაგრძელებულა? ასაკში შევიდა თუ არა, მისი გული ღვთისაგან განდგა. წარმართმა ცოლებმა მასზე გავლენა მოახდინეს.

დიდი ხნის განმავლობაში ისე ჩანდა, თითქოს ღვთის სიტყვისადმი ურჩობას არაუშავდა. ბევრი დღესაც ასე ცხოვრობს. მაგრამ ეს ცდომილებაა. დადგება დღე, რასაც თესენ იმას მოიმკიან. აღსასრული მათი ცხოვრებისა, როგორც სოლომონის ისეთი ტრაგიკული იქნება. მან ცხოვრება კერპმსახურებით დაასრულა.

თუ შენი გული უფალს ეკუთვნის, ნება უნდა დართო მას, რომ ბოლომდე დაიცვას ის. არავინ და არაფერი არ უნდა შეუშვა მასში. ღვთის სიყვარული მისი მცნებების დაცვას ნიშნავს. სოლომონმა ეს დაივიწყა. მის ნაკვალევს ნუ გაჰყვები. იესოს ვიწრო გზით იარე. ისაა, რომელსაც სიცოცხლემდე მიყავხარ შენ.

4 მაისი

რომელშიც გვაქვს გამოსყიდვა მისი სისხლით, ცოდვების მიტევება მადლის სიმდიდრით.

ეფესელთა 1:7

მრავალი ქრისტიანი უიმედო ბრძოლას, განთავისუფლებისათვის აწარმოებს. თავს მარწუხებში გრძნობენ. ისინი დეპრესირებული არიან. სხვების შეხედულებებსა და აზრებს თავი ვერა და ვერ დააღწიეს. ცოდვილი ფიქრები მუდმივად ადარდებთ და გამარჯვებული ცხოვრების შესახებ ძალინ ცოტა რამ თუ იციან.

იმავე დროს მათ იესოსი სწამთ, მაგრამ გამოსყიდვის ძალა მადლით არ განუცდიათ. მათ არ ჯერავთ, რომ სახარება გადარჩენის ერთადერთი იმედია. ამიტომ ისინი სასოწარკვეთილნი, სხვა გზით და სხვა ადგილზე ითხოვენ დახმარებას. არადა, მხოლოდ იესოს მიერ აღსრულებულ საქმეს შეუძლია, გულის ნებისმიერ სნეულებას უმკურნალოს.

ღვთის სიტყვა ქადაგებს, რომ იესოში შენ ნებისმიერი დამოკიდებულებისაგან ხარ გამოსყიდული. შენი საკუთარი გამოცდილებით კი არა, არამედ იესოს გამომსყიდველი სისხლით.

ღმერთს შენი გამოსყიდვა ძვირი დაუჯდა. მასში მან თავისი საყვარელი ძის სიცოცხლე გადაიხადა. ამიტომ ღმერთი სხვა შვებას არ მოგცემს, გარდა იესო ქრისტეს რწმენაში მოპოვებული მშვიდობისა. ეს იქნება შენი ცხოვრების სიმდიდრე, როდესაც გაჭირვებისა და უბედურების ჟამს, მთლიანი და სრულყოფილი გამოსყიდვა თან გექნება.

შენი გრძნობა და ფიქრი, ღვთის შეხედულებას არ ცვლის. ღმერთი იესოს და მხოლოდ მას ეხმაურება. შენი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ისე არ ფიქრობ, როგორც ღმერთი. ეს მისი მადლის სიმდიდრეა, რომლითაც მას შენი ტარება სურს. მას ვერასოდეს გამოცდი, თუ ღმერთი წარმატებული ქრისტიანის ცხოვრებას მოგანიჭებს, რისკენაც შენ თავად გაქვს ლტოლვა.

ღმერთს სურს იესო შენთვის ყველაფერი გახდეს; ეს მაშინ მოხდება, როცა შენს არარაობას გაიაზრებ. ნაცვლად წუწუნისა, ღვთის ნებაა იმ სიმდიდრით დატკბე, რაც იესოში გაქვს და რაც მან თავისი ღვაწლით მოგიტანა.

გამოსყიდვის მიღწევის სურვილის ნაცვლად, უკვე არსებული შენი გამოსყიდვის ფაქტისათვის ღმერთი უნდა ადიდო. ღვთის საკუთარმა ძემ შენ უკვე გაგანთავისუფლა. შენ სხვა არაფერი, გარდა ღვთის შეხედულებისა არაფერი არ გესაჭიროება. ყველაფერი უხვად გაქვს, ვინაიდან იესო გყავს. მას კი მისი მადლის სიმდიდრე თან მოჰყვება.

5 მაისი

მსურს წავიდე და ვიყო ქრისტესთან, რაკი ეს ბევრად უკეთესია.

ფილიპელთა 1:23

პავლე სიკვდილს კი არა, არამედ იესოსთან ყოფნას ელოდება.

სიკვდილი უკანასკნელი მტერია. თვით ქრისტიანებსაც კი, როდესაც მასზე დაფიქრდებიან შიში და წუხილი იპყრობს.

მიუხედავად ამისა ღვთის შვილისათვის ცოდვის ნექტარი დამარცხებულია. იესომ საკუთარი სიკვდილით ეს გზა გახსნა. ის გზა ვიწრო აღარაა; ის იმდენად ფართოა, რომ ქრისტიანი სიკვდილის კართან მდგომი სიკვდილსაც კი ვერ ამჩნევს, არამედ მხოლოდ ღმერთის დიდებას. ამიტომ სიცოცხლის დასასრულზე არ უნდა იფიქრო. მის მიღმა საუკუნო სიცოცხლის დასაწყისი გელოდება. დიახ, იესო თავის თავს დასაწყისს უწოდებს.

იესოსთან ყოფნის სურვილი იგივე არაა, რაც სიცოცხლისადმი სურვილის დაკარგვა. ცოცხალი ქრისტიანი უფლის სიკეთის მიმართ თავის თვალს ფართოდ ახელს. იესოსთან ყოფნის სურვილი, სიცოცხლის სურვილთან ასოცირდება.

მიწაზე ცხოვრება ყოველთვის ადვილი როდია. ჩვენს შიგნით თუ გარეთ უამრავი რამაა, რაც გვამძიმებს და გვამდაბლებს. ქვეყნიერებას ის მშვიდობა არ მიუღია, რომელსაც შენ დაეძებ. მას საკუთარ თავშიც ვერ იპოვი. ეჭვი და უბედურება შენს ცხოვრებაში, მხოლოდ ბნელ აჩრდილებს მოიტანს.

ერთი სული გაქვს, როდის დადგება ის დღე, როცა შენ იესოსთან იქნები. მაშინ აღარაფრის შიში არ გექნება. არანაირი სნეულება აღარ დაგტანჯავს. სიკვდილი შენს საყვარელ ადამიანებს აღარ წაგართმევს და არანაირი გაუგებრობა არ შეგიპყრობს.

იესო, ყოველივეში ყოველივეა. იმ დღეს ერთმანეთისადმი დამოკიდებულება ისეთი იქნება, როგორიც ჩვენდამი იესოსია.

უბედური, ბნელი და მძიმე ჟამი გადაივლის. სანაცვლოდ, დაუსრულებელი სიხარულით, მსახურება და ღვთისა და კრავის განდიდება და პატივის მიგება მარადიულად გაგრძელდება.

მარადისობაში იესოს მიერ აღსრულებული საქმის გამო შევალთ. ის მტკიცედ დგას. მის გამო არაფერი გვაკლია. ის დღე მალე დადგება, როდესაც ჩვენი თვალები მას იხილავენ.

6 მაისი

უფალო, ნუ მომაკლებ შენს წყალობას.

ფსალმუნი 40:11

ბიბლიაში ისეთი სიტყვებია, რომელიც გამოუთქმელ სიხარულს მანიჭებს. აქ ნათვამი ერთერთი მათგანია; მოცემული მუხლი ძველ დანიურ თარგმანში განსაკუთრებით მომწონს: „შენ უფალო, ჩემდამი გულს ნუ დაკეტავ.“ ჩემს ციურ მამას საამისოდ, ყველა პირობა ჰქონდა. მისი სიყვარული რამდენჯერ დავჭერი. სატანა ბევრჯერ გაბატონებულა ჩემზე. ჩემში ცოდვის სხვადასხვა აჩრდილებია. და გული ჩემი სიცარიელეს, ინდიფერენტულობასა და სიცივეს ხშირად განიცდის.

მაგრამ ღვთის გული სხვანაირია. ის გახსნილია, რადგან ღმერთის სიყვარული შიგნიდან გამოდის. მისი სიყვარულის ნაკადების შეჩერება, გარდა საკუთარი თავისა არავის შეუძლია. ამას კი არასოდეს გააკეთებს. მან ეს მის მსახურს გაუცხადა, რასაც გადმოგვცემს კიდეც.

შესაძლებელია ადამიანებმა გული ჩაგიკეტონ. მათი შეხედულება შენდამი დროსთან ერთად შეიძლება შეიცვალოს. ზოგადად პოპულარულობა ცვლილებას ექვემდებარება.

იესომ ეს თავად განიცადა, ვინაიდან ის ხალხი, რომელიც კვირას მას პატივს მიაგებდა სიტყვებით, „კურთხეულია უფლის სახელით მომავალი!“ პარასკევს ხმამაღლა ყვიროდა, „ჯვარს აცვი იგი!“

იესომ ასევე ყოველ მდგომარეობაში გამოცადა, რომ ღვთის გული მისდამი მუდმივად ღიაა. ეს იმ დღემდე გაგრძელდა, ვიდრე წყევლის ძელზე გაკრულმა შეჰღაღადა, „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“

იმ დროს ღმერთმა იესოსასთვის გული დაკეტა. ის წავიდა, როგორც მონაცვლე და გამომსყიდველი და დადგა ღვთის რისხვის ქვეშ, რა დროსაც გოლგოთა სიბნელემ მოიცვა. იესომ ეს გადაიტანა, რათა ის შენ არ შეგემთხვეს, რის შედეგადაც ღვთის გული შენდამი საუკუნოდ გაიღო. როდესაც ღმერთი შენ გიყურებს, შენ მარტო არ ხარ. შენ იესოთი ხარ შემოსილი. ღმერთი კი თავის ძეს დაკეტილი გულით ვერ შეხვდება. ვინაიდან ღვთის სათნოება იესოშია, შენ ვინც მასში ცხოვრობ მისთვის სათნო ხდები.

ამიტომ შენ სიხარულითა და გაბედულად შეგიძლია თვალნი უფალს მიაპყრო და მისი სახელით ზეცას შემდეგი სიტყვებით მიმართო: გმადლობ შენ ღმერთო, რადგან გულს ჩემდამი არ კეტავ!

7 დღისა

ვისაც ძე ჰყავს, სიცოცხლე აქვს; ვისაც ძე ღვთისა არა ჰყავს, სიცოცხლე არა აქვს.

1 იოანე 5:12

გასაგებად მარტივია. თუ გყავს იესო, სიცოცხლე გაქვს. თუ იესო არ გყავს, არც სიცოცხლე გაქვს. თუ ღვთის ძე შენი პირადი მხსნელი არ არის, დაკარგული ხარ და დაიღუპები. დაღუპვის ასაცილებლად ერთადერთი საშუალება, იესოს მიღებაა.

ადამიანთა უმრავლესობა საკუთარი სულიერი ცხოვრებით კმაყოფილია, მიუხედავად იმისა იესო მიღებულიც კი არ ჰყავთ. ისინი ეკლესიის მსახურებას ესწრებიან და მათი აზრით ეს ქრისტიანულ ცხოვრებას ნიშნავს. თუ ისინი ბიბლიას ან ლოცვას მიმართავენ, თავს უფრო დაცულებად მიიჩნევენ.

მაგრამ ხსნა ჩვენს ქმედებებში არ არის. მრავალი ღვთისმოშიში ადამიანი საქორწილო დარბაზიდან დათხოვილი იქნება. ღმერთი მათ ცხოვრებაში, რასაც დაეძებს იმას ვერ იპოვის.

ღმერთი შენს ცხოვრებაში რას დაეძებს?

ღმერთი იესოს დაეძებს. თუ მოხდება და იპოვის, ის სიცოცხლეს იპოვის. ყველაფერი რაც იესოა და რაც გააჩნია, შენ გიზიარებს, როცა ის შენს გულში ცხოვრობს. ამიტომაც შენ გაქვს სიცოცხლე, როცა გყავს იგი.

უცნაურია არ არის განა — შესაძლოა ყველაფერი გაკლდეს, მაგრამ თუ იესო გყავს სიცოხლე გაქვს? იესოს მარჯვნივ მყოფ ავაზაკს, აღარაფერი გააჩნდა, მაგრამ მან ის მხსნელად მიიღო. ამის გამო მას სიცოცხლე მიეცა.

მრავალი ვინც კეთილი და პატივდებული ცხოვრებით ცხოვრობს, იღუპება. ისინი გადამწყვეტი მნიშვნელობის კითხვასთან არასოდეს მისულან: ძე მყავს თუ არა?

შენ თავს იგივე უნდა ჰკითხო, რასაც ღმერთი განკითხვის დღეს გკითხავს. უნდა იცოდე, რომ იესოა, რასაც ის შენს ცხოვრებაში დაეძებს. მარადისობა იმაზეა დამოკიდებული, მას ის შენს გულში ნახავს თუ არა.

თუ იესო გყავს, ყველაფერი გაქვს. ღვთის გადმოსახედიდან არაფერი არ გაკლია. ის შენ იესოსთან გაერთიანებულს გხედავს. იესოს სიმდიდრე შენი ხდება. როდესაც ღმერთი მას ხვდება, ის სრულყოფილ სიყვარულს და მის ნებაზე დამორჩილებას ხვდება. შემდგომ ამისა მისი გული იესოსა და შენს გამო სიხარულით ივსება, რომელნიც მასში ერთია გამხდარი.

იესო შენი გულის კარზე აკაკუნებს. მას მასში შემოსვლა და შენთან ერთობა უნდა. ამის გამო შენ საუკუნოდ ხარ გადარჩენილი.

8 დღისა

სად არის თქვენი მაშინდელი ნეტარება?

გალატელთა 4:15

კანონით წარმართული მონის გონება ყოველ ნეტარებას ახშობს. საკუთარი თავი კურთხეული აღარ მიგაჩნია და თავს ამ ჭრილში უყურებ. ამ დროს საკუთარ მე გადარდებს და მით ხარ შეპყრობილი. კმაყოფილებას ვერასოდეს განიცდი, რის გამოც თვალთმაქცობაში ვვარდები.

გახდე ქრისტიანი, საკუთარ თავთან საქმის დასრულებას ნიშნავს. უკვე საკუთარ თავზე აღარ ვარ დამოკიდებული და ჩემი წინ თუ უკან გადადგმული ნაბიჯი, აღარაფერს წარმოადგენს.

გახდე ქრისტიანი ნიშნავს, რომ ახლა მთელი ჩვენი გადარჩენა იესოზე და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

ეს ის ადგილი არის, სადაც მრავალი ქრისტიანი იჭედება. ისინი საკუთარ უმწეობაზე ამახვილებენ ყურადღებას. არ მიაჩნიათ, რომ რაიმე პროგრესს მიაღწევენ. ბიბლიას საკმარისად არ კითხულობენ. არც საკმარისად ლოცულობენ. და არც საკმარისად ამოწმებენ. ისინი საკუთარ თავს მუდამ ამ სიტყვით ხვდებიან: არასაკმარისი.

მანამ ვიდრე ასე მოქმედებ, შეუძლებელია საკუთარი თავი კურთხეულად მიიჩნიო. საკუთარი თავი თვით-დარწმუნების გზაზე გყავს გადაყვანილი. ამიტომ მიზანს ვერასოდეს აღწევ.

გაიხსენე რა ხდებოდა, როდესაც იესოს შეხვდი!

ვინ იყო ის ვისითაც ნეტარებდი? ეს იესო და მხოლოდ იესო იყო.

გააცნობიერე რა, რომ ცოდვილი ხარ, ერთადერთი გადარჩენა მხოლოდ მისი მადლით მოგეცა. არანაირი შენი დამსახურება. უბრალოდ დაუმსახურებლად. და მიხვდი, რომ ყველაფერი, რაც მხსნელისგან მიიღე უსასყიდლოდ იყო. ამის გამო მაშინ თავი კურთხეულად ჩათვალე.

მაშინ სხვა არაფერი შეგეძლო, თუ არა ნეტარებით ტკბობა. გული შენი სიხარულით ღაღადებდა.

ღვთის განზრახვაა, რომ შენ მასთან ასეთი ურთიერთობა გააგრძელო. იესოდან გადმომდინარე ხსნით უნდა იხარო. ის შენმა ცოდვებმა არ უნდა წაგართვას; და არც შენმა კეთილმა საქმეებმა, არაფერი არ უნდა შემატოს მას. შენს ცხოვრებაში უდიდესი მიღწევები შენს გარეშე მოხდა — და ეს მხოლოდ იესოს მიერ.

ერთადერთი ვისითაც უნდა დაიკვეხნო იესოა. ისაა მხოლოდ სრულყოფილი. მას უმცირესი ლაქაც კი არ გააჩნია. შენ კი მისი სიმდიდრის თანამონაწილე გახდი. რის გამოც შეგიძლია თავი კურთხეულად მიიჩნიო.

9 დღისა

ასევე თქვენც, ჩემო ძმებო, რჯულისათვის დაიხოცენით ქრისტეს სხეულის მეშვეობით, რომ სხვისი, მკვდრეთით აღმდგარის კუთვნილება გახდეთ, რათა ნაყოფი მოვუტანოთ ღმერთს.

რომაელთა 7:4

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შენ ხსნის ფაქტების მიღება რწმენით მოახდინო. როგორც ქრისტიანი უდიდეს დანაკლისს განიცდი, ვინაიდან სიკვდილის ნაყოფი მოგაქვს! შენ იმ ფაქტის რწმენით მუდმივად არ ცხოვრობ, რომ რჯულისათვის მკვდარი ხარ.

როდესაც ამას არ აკეთებ, შენი ცხოვრებიდან ნამდვილი დიდება ქრება. შენში რჯულის ბრალდება მატულობს. ხოლო ყურადღება ძირითადად იმ ფაქტზეა მიქცეული, რომ ვინც უნდა იყო ის არ ხარ. ბიბლიას საკმარისად არ კითხულობ, საკმარისად არ ლოცულობ, საკმარისად არ ამოწმებ და სხვებისათვის საკმარისად არ ზრუნავ. მთელი ცხოვრება ბრალდების სიტყვა გესმის: არასაკმარისი.

და ეს ჭეშმარიტებაა. რასაც არ უნდა აკეთებდა საკმარისი ვერ იქნება. ვიდრე რჯულის, მთელი თავისი წესებისა და კანონების ქვეშ ხარ, რჯულის წყევლის ქვეშ დარჩები.

სახარებისადმი წაყრუება, როგორ შეგიძლია? იესომ შენ გიხსნა! ამ საბრალდებო სიტყვებიდან თავის დაღწევა, რომ საკმარისად ვერ მოქმედებ, სრულიად შესაძლებელია. როცა იესო მოკვდა, რჯულისათვის შენც მოკვდი. თუ შენი გული მას ჩაეჭიდება, მაშინ რჯულთან შენი „ქორწინება“ უკვე დარღვეულია. შენ ეკუთვნი სხვას, მას ვინც შენთვის მოკვდა და მკვდრეთით აღდგა.

ნაცვლად ტანჯვისა და გმინვისა იმ საზიზღარი სიტყვის გამო, რომელიცაა „არასაკმარისი,“ შენ შეგიძლია სიხარულის ყიჟინა შემოსძახო სიტყვებისათვის, „საუკუნოდ საკამრისია.“ უნდა იცოდე, რომ ეს სიტყვები მთელ შენს ცხოვრებაზეა წარწერილი. იესომ თავისი სისხლით დაწერა ისინი და მის დაწერილს ვერავინ ვერ წაშლის.

იესომ შენს ცხოვრებაზე „საუკუნოდ საკმარისიას“ დაეწერა, როგორ შეძლო? მას ამის გაკეთება შეუძლია, რადგან მისი გახდი. შენსა და მას შორის არანაირი საქორწილო შეთანხმება არ გაფორმებულა. ამის გამო იესოს მთელი სიმდიდრე შენ გეკუთვნის. ეს უფრო მეტია ვიდრე შენი ცოდვების საპირწონე ბალანსი.

შენ მისი გახდი.

უპირველესი შენი მახასიათებელი ეს უნდა გახდეს. როცა ყველაფერია ნათქვამი, მაშინ ესეც უნდა ითქვას. იესო შენ — წინიდან და უკნიდან გარემოგიცავს.

შენ რჯულისაგან განთავისუფლდი. მხოლოდ იესოს საკუთრება ხარ. ის შენთვის ყველაფერია და შენ ყველაფერი ხარ მისთვის.

10 დღისა

რათა ნაყოფი მოვუტანოთ ღმერთს.

რომაელთა 7:4

როდესაც იესოს მორწმუნე გახდი და მან შენს გულში ბინა დაიდო, უდიდესი სურვილი გაგიჩნდა, რომ ღვთისათვის ნაყოფი მოგეტანა. კვლავ და კვლავ საკუთარ თავს ეუბნები: ო, ნეტავ ღვთისათვის ნაყოფის მოტანა შემეძლოს! ეს შენი გულისმიერი ლოცვაა, რასაც უფალი პატივს მიაგებს.

იმავდროს შენ უნდა გაათვითცნობიერო, რომ ეს ყველაფერი არაფრისაკენ მიდის. იღებ ახალ გადაწყვეტილებებს, მაგრამ არაფერი იცვლება. შემდეგ კითხვას სვამ: ნეტავ რა მეშლება?

მიზეზი შესაძლოა სხვადასხვა იყოს, მაგრამ ხშირად მოშურნე ქრისტიანი ნაყოფით უფროა დაინტერესებული, ვიდრე თავად იესოთი.

არანაირი ნაყოფი არ იქნება, მიუხედავად იმისა დღედაღამ მასზე ფიქრობ. მაგრამ თუ იესოზე გადაერთვები, ცხოვრება ჯანმრთელ ზრდას დაუბრუნდება. თუ იესო შენი გულის სიხარული და ბედნიერებაა, რწმენის ნაყოფი აუცილებლად გაიკვირტება.

მუდმივი ნაყოფის ძიება, ცარიელსა და სასოწარკვეთილს დაგტოვებს. რასაც ეძებ ვერ იპოვი. თუ ასე მოიქცევი, არც არანაირი სარგებელი იქნება. ის თავის ამაღლების დიდ საცდურად შეიძლება გახდეს!

არა, უფალმა მის საოცარ სიკეთეში ყველა დანარჩენი გზა დაკეტა. იესოა გზა და გზა ერთადერთი. აგრეთვე ისიც უნდა იცოდე, რომ ის უსაფრთხო გზაა.

შენ ვერასოდეს შეხვდები ქრისტიანს, რომელიც იესოსთან ახლო ურთიერთობაში ცხოვრობს და მისი რწმენის წმიდა ნაყოფს არ განიცდის.

პიროვნება, რომელიც იესოსთან ახლო ურთიერთობაშია მრავალ ნაყოფს იღებს. ეს ძალიან მარტივია. ფაქტიურად არა შენ, არამედ შენის მეშვეობით ამ ნაყოფს იესო იღებს. შენ ხომ ვაზის ლერწი ხარ.

ამის გამო უფალი მისი სიტყვით, ხსნის მთელ სიმდიდრეში შეგიყვანს. თვალი აგეხილება ფაქტზე, რომ არასწორია ფიქრი, თითქოს ყველაფერი გაკლია. შენ ყველაფერი გაქვს. შეუძლებელია იესო გყავდეს და არ ფლობდე ზეცის ყოველ სულიერ კურთხევას.

ღვთისათვის ნაყოფის გამოღება, სწორედ ამ დაუმსახურებელი მადლის შემეცნებით მოდის.

11 თავი

თქვენ კი ამპარტავნობაში ტრაბახობთ; ყოველი ასეთი ტრაბახი ბოროტებაა.

იაკობი 4:16

აქ, რომელი ძლიერი სიტყვებია გამოყენებული? მათ შორის ბოროტი სიტყვები, რომელია?

იაკობის 4:13 ლაპარაკობს თუ მომავალი რაში იქნება გახარჯული: „დღეს თუ ხვალ ამ ქალაქში წავალთ, იქ ერთ წელს დავყოფთ, ვივაჭრებთ და მოვიგებთ.“

რიცხვმრავალ გეგმებს იმ ფაქტის გათვალისწინების გარეშე რატომ ქმნი, რომ ხარ მსგავსი ორთქლისა, რომელიც ერთხანს გამოჩნდება, ხოლო მერე კი გაქრება. შენი სიცოცხლე როდის დასრულდება არ იცი. ისიც არ იცი სნეულება შეგეყრება თუ შენს რეალობას ომის შიში ჩაანაცვლებს.

არა, შენ პატარა ადამიანური არსება ხარ, რომელიც საკუთარ სიცოხლესა თუ მდგომარეობას საერთოდ ვერ განკარგავს. ღმერთის სიტყვის თანახმად ამპარტავნობად ითვლება, თუ ისე ლაპარაკობ, როგორც საკუთარი გადაწყვეტილებების უფალი. დაცემის დღიდან მოყოლებული, ადამიანს ღვთის მსგავსად ყოფნა სულ უნდოდა.

მაშ, რაღა უნდა აკეთო?

შენს ცხოვრებაში ღმერთი უნდა შემოვიდეს. შენი აზრება მან უნდა დაიკავოს. შენს სიტყვებზე გავლენა მოახდინოს. რა უნდა თუ რა არ უნდა აკეთო, შენზე არაა დამოკიდებული. ეს ღმერთმა და მისმა ნებამ უნდა განაგოს.

შენ თავმდაბლობის პოზიციაზე უნდა დარჩე. რაა უკეთესი არ იცი და რომც იცოდე, მის მიღწევას ვერ შეძლებ, თუ ღმერთი სიცოცხლესა და ძალას არ მოგცემს.

ცხოვრებაში ღმერთზე სრულად ხარ დამოკიდებული და ყოველი შენი გადაწყვეტილება, სწორედ ამ დამოკიდებულებით უნდა იყოს გამსჭვალული.

თუ შენი ნება-სურვილით ივლი, ცხოვრება წარმატებას ვერასოდეს მოგიტანს.

ასეთი ქცევა უბრალოდ ამპარტავნობისა და ცოდვის გამოხატულებაა. არა, შენ უფალს უნდა ჩაჭიდო ხელი და ის იმ მიმართულებით წაგიყვანს, რაც მას შენთვის აქვს განსაზღვრული.

საკუთარი ცხოვრების ხელში აღებით უფალს ნუ შესცოდავ. მიენდე მას. ის მარტო არ დაგაგდებთ. არა, ის მისი ნებისა და გეგმის შესაბამისად წინ გაგიძღვებათ, რათა მარადიულ და ზეციურ მიზანს ბოლომდე მიწვდეთ.

12 თავი

დარჩით ჩემში...უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ.

იოანე 15:4-5

ამ სიტყვებს იესო მოწაფეებს ეუბნება. შეიძლება ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვები არა-ქრისტიანებისკენ არის მიმართული. იესოს მათთვისაც აქვს, რაღაც სათქმელი, მაგრამ ამ შემთხვევაში ის მოწაფეებთან ლაპარაკობს.

ქრისტიანი თუ იესოს გარეშე მოქმედებს, დიდი საშიშროების ქვეშაა. გზა შეიძლება სწორად მოგეჩვენოს, მაგრამ ის ღვთის გზა სრულებით არ იყოს. ჩვენ რა უნდა ვაკეთოთ ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ მასში თანამონაწილე იესო უნდა იყოს.

ხშირად იესოს ჩვენი გადაწყვეტილებების კურთხევას ვთხოვთ; განა ასე არაა? ამის კეთებით ვცდილობთ წარმოვაჩინოთ, რომ იესო გადაწყვეტილებაში გვეთანხმება.

ამ მიზეზით ბევრი რამ არ გამოგვდის. საწყისს ჩვენი თავიდან ვიღებთ და შემდეგ მივდივართ იესოსთან. აქ ერთმანეთისგან დაშორებული ვართ. ის თავს ვალდებულად არ თვლის, ჩვენი აზრები და შეხედულებები რეალიზებაში მოიყვანოს.

დაწყება სხვა ადგილიდან გვმართებს. საკუთარი უსუსურობა უნდა ვაღიაროთ. იესოს გარეშე ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. საქმე იმაშია მისი აზრებით ფიქრი არ შეგვიძლია. ამიტომ ის უნდა დაგვეხმაროს და ყველაფერში სწორ გზაზე დაგვაყენოს.

ყველა კურთხეულ საწყისს ფუნდამენტი ეყრება, როდესაც ღვთის სახის წინაშე საკუთარ უსუსურობას ვაცნობიერებთ. მისი საქმეში მოყვანაც იმავე ადგილზე ხდება.

ყველაფერი, იესოში დარჩენაზეა დამოკიდებული. მთელი ჩვენი ცხოვრება მისკენ უნდა მივმართოთ. ჩვენ იმ დონეს ვერასოდეს მივაღწევთ, როდესაც თავად შევძლებთ რაიმეს კეთებას. მისგან მიღება მუდამ დაგვჭირდება.

იესოს სიტყვები ჩვენზე სინათლის შუქს ფენს. იმავე დროს ის სახარების დიდებულებითაა გაჟღენთილი.

წარმოიდგინეთ, იესო ჩვენგან არაფერს მოითხოვს. მან კარგად იცის, რომ მისთვის არაფრის მიცემა არ შეგვიძლია. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, უბრალოდ მასში დარჩენაა. თუ ასე მოვიქცევით, ის ჩვენში იმოქმედებს. შემდგომ ამისა ჩვენ, სხვებისათვის კურთხევა გავხდებით.

ფაქტიურად, მთავარი არაა, რომ ადამიანები ჩვენ შეგვხვდნენ. მათ იესოსთან შეხვედრა მმართებთ. ის კი მის უძალღონო მსახურს, რომელიც თავისით არავინაა დააწინაურებს და ვინაიდან მთლიანად მასზეა დამოკიდებული.

13 ქალი

მას კი, ვინც არ აღასრულებს საქმეს, მაგრამ სწამს უკეთურთა გამმართლებელი, თავისი რწმენა ჩაეთვლება სიმართლედ.

რომაელთა 4:5

აქ ნათქვამი სიტყვები ძალისმიერია: „უკეთურთა გამმართლებელი.“ ჭეშმარიტია ისინი. ღმერთი უმართლოს მართლად აცხადებს, როდესაც ის თავშესაფარს რწმენით იესოში პოულობს.

დიახ უმართლო, მაგრამ ქრისტიანად ქცევის შემდეგ ის ბოროტის ქმნას წყვეტს; განა ეს ასე არ არის? თუ ცოდვილის გულში იესო ცხოვრობს, მაშინ მას უმართლოს ვეღარ ვუწოდებთ; ხომ ასეა ეს?

მნიშვნელოვანია ვისწავლოთ ძველ და ახალ ადამიანს შორის განსხვავებულობა. თუ ვინმე ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა; ძველი წავიდა და ახალი მოვიდა. მაგრამ ყველაფერი იმავე დროს ახალი არ გამხდარა. ჩემი ძველი ცოდვილი ბუნება საფლავის კარამდე მომდევს. ეს სწორედ ის ძველი ბუნებაა, რომელიც დაბადებიდან მოყოლებული, მოქცევისა და სიკვდილის ჩათვლით მაინც ბოროტი რჩება. ის ვერც გადარჩება და არც საამისოდაა განწესებული. ის სიკვდილით უნდა განადგურდეს.

ხშირად შესაძლებელია გვაცდუნოს აზრმა, რომ ძველი კაცი რეფორმირებულია. ეს კაცის ცვლილების ფაქტიდან მომდინარეობს. ცოდვა ისეთ გამომჟღავნებას, როგორც წარსულში ვეღარ ახდენს. მაგრამ ადამიანი სხვა პიროვნება არ ხდება იმის გამო, რომ მან ტანისამოსი გამოიცვალა.

თუ ქრისტიანი მრავალი წელია ხარ, შენ მაინც გჭირდება ღმერთის სიტყვა, რომელიც უკეთურს ამართლებს. შენი ძველი ბუნება ყოველთვის ბოროტად დარჩება. მას თავისი ნებელობა გააჩნია. მას საქმეების წარმოება ღვთის გარეშე უნდა.

გაბედავ იმის დაჯერებას, რომ თქვენ ქრიტიანად ყოფნის ამდენი წლის შემდეგ, მაინც, როგორც ბოროტი პიროვნება მოგიწევთ გადარჩენის მიღება?

ერთადერთი, რაც თქვენ გაბადიათ, იესოს რწმენაა. მიუხედავად თქვენი ბოროტებისა, მას უნდა ჩაეჭიდოთ.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგერაცხებათ თქვენი რწმენა სიმართლედ. თუ ღმერთი მასზე ჩაჭიდებულს გიხილავთ, ყველაფერს, რაც იესომ მოიმოქმედა ის თქვენ ჩაგითვლით. ამის გამო თქვენ ღვთის სამსჯავროზე წარდგენას გაბედულად ელით, ვინაიდან სხვის გაღებულ ხარჯზე იქნებით გადარჩენილი.

14 ქალი

რადგან წმიდაა ღვთის ტაძარი, და ეს თქვენ ხართ.

1 კორინთელთა 3:17

ბიბლია ქრისტიანის შესახებ ნათელ სურათს იძლევა. მაგრამ მისი გათავისება ძნელია! ჩემი გამოცდილებები, აზრები და გრძნობები, ღვთის სიტყვიდან სრულიად განსხვავებულზე მეტყველებენ.

ქრისტიანი ღვთის ტაძარია. ღმერთი სულიწმიდით ყოველ ხელახლაშობილ პიროვნებაში ცხოვრობს. არავის შეუძლია ირწმუნოს იესო, თუ არა სულიწმიდით. არავის შეუძლია ცოცხალი ურთიერთობა ჰქონდეს ღმერთთან, თუ მას ღვთის სული არ ექნა. ხოლო სადაც ღვთის სული ცხოვრობს, ის პიროვნება წმიდა და გამოყოფილია. ის საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის.

კეთილი საქმეები შენ წმიდად არ გხდიან. არა, ეს უფლის აღსრულებული საქმეა, რათა მან შენში დაიდოს ბინა. სადაც ის შედის, იმ სახლს თავისი დიდებით ავსებს. ძნელია გაიგო, რომ ის ვინც ამაღლებული და წმიდაა, შენს უწმიდურ და ცოდვილ გულში შემოდის. მაგრამ ეს იესოს სისხლის დამსახურებაა, რომელიც რწმენის მეშვეობით ყოველი ცოდვისაგან გწმენდს.

საჭიროა ჭეშმარიტებას ადგილი დაუთმო, ვინაიდან შენ, როგორც ღვთის ტაძარი წმიდა ხარ. ეშმაკი თავისი ძალღონით ყველაფერს ცდილობს, რომ ეს დაგავიწყოს. ვინაიდან მან იცის, თუ ამ ჭეშმარიტებას ერწმუნები, მისთვის საშიში გახდები.

რადგან ღმერთმა წმიდა ტაძრად გაქცია, შენ უწმიდურებას არ უნდა დანებდე. არ უნდა ისურვო უფლის საკუთრების დაბინძურება. პირიქით, შენი აღმატებული სურვილი უნდა იყოს, რომ ტაძარი თავისი სისუფთავით მასში მცხოვრებს შეეფერებოდეს.

გულის სიღრმეში იესოს განდიდების სურვილი ცხოვრობს. შენ ამ სურვილის აღსრულებაზე უნდა იყო მომართული. ეშმაკს, ან ქვეყნიერებას ან შენს ბოროტ ბუნებას არ მისცე უფლება, რომ დაგაბინძურონ. იესოს მიეცი უფლება, რომ შენს ცხოვრებაში ტაძრის განწმენდის საქმე აღასრულოს. შემდგომ ამისა მუდმივად მისთვის ემადლიერე. თუ შენ მასში დარჩები და ის შენში, მაშინ ბევრ ნაყოფს გამოიღებ.

ის შენი მეშვეობით მრავლის მიერ იქნება დანახული, რადგან შენ მისი ტაძარი ხარ.

15 ივლისი

მართა კი გულუხვად გამასპინძლებაზე ზრუნავდა.

ლუკა 10:40

მართა უნარიანი ქალბატონი იყო. სახლის საქმეებს ის მოშურნეობით აღასრულებდა. მის გულმოდგინებას სავსე ნაყოფი ჰქონდა. მართა სახლის მეპატრონე იყო, სადაც მისი ძმა და და ცხოვრობდა. მის მოშურნეობასა და სტუმართმოყვარეობას შორის საოცარი ჰარმონია იყო, რომლითაც იესო და მისი მოწაფეები სარგებლობდნენ. თუ ყოველდღიური ამოცანების შესრულებით იქნები დაკავებული, მისგან გარკვეულ სიამოვნებას მიიღებ, ხოლო სხვათათვის კურთხევა გახდები.

მიწიური შენი მოწოდება, ცოდვის წინააღმდეგ ბრძოლაში დაგეხმარება. ამაოდ ყოფნა კარგი არ არის. ლაყბობის საფრთხე აშკარაა. „ფუჭია სიტყვათა სიმრავლე. ამიტომ გეშინოდეს ღვთისა," ამბობს ღმერთის სიტყვა. თავშექცევისა და გართობის სურვილი აშკარად იკვეთება. სეკულარული აზროვნება და მოდა სწორედ მისი ნაყოფია. ვიღაცას ვიღაცის არსებობა აღიზიანებს, რაც ერთმანეთის კრიტიკას იწვევს.

მართა ქრისტიანის მაგალითია. მაგრამ იმავდროს ის დარდიან ადამიანსაც წარმოადგენს. მისი ძლიერი მხარე, მისივე სისუსტე აღმოჩნდა.

მართა ფიქრობდა, რომ მარიამი მას არ გავდა. ეს ტიპიური შემთხვევაა. თუ სამუშაოზე მძიმე შრომას ეწევი, ბრაზობ მათზე, რომელნიც შენსავით მთელი არსებით არ აკეთებენ საქმეს. ამ დროს კრიტიკული და სენსიტიური ხდები.

რა არის ცუდი? იცი, ნებისმიერმა საქმიანობამ შეიძლება იმ დონეზე დაგაკავოს, რომ იმისათვის, რაც საჭიროა ვერ მოიცალო. ამ დროს იესოს ფეხებთან შენ მდუმარებაში არ რჩები.

ლაზარეს სიკვდილთან დაკავშირებით ღმერთის სიტყვა გვეუბნება, რომ იესოს უყვარდა მართა. იესო ბრმა არ იყო, რომ ვერ დაენახა თუ მისთვის მას რა ჰქონდა გაკეთებული. იესომ იცოდა მისი გული, რომელიც მიუხედავად მისი შეცდომებისა თუ ცოდვისა მასზე იყო ფოკუსირებული. იესოსა და მისი მეგობრებისადმი მისმა მასპინძლობამ ეს სიყვარული შვა. მის გამო ის თავს არ ზოგავდა.

მართასნაირი ქრისტიანებით ღვთის ხალხი დღესაც კურთხევას ღებულობს. იესოს უყვარს ისინი. საკუთარი შრომით საუკეთესო მაგალითს გვაძლევენ. მაგრამ იესო იმავდროს ყოველ ქრისტიანს შეახსენებს, რომ საჭირო მხოლოდ ერთია: იესოს ფეხებთან გაშლილი ბიბლიით მდუმარებაში ჯდომა და მის წინაშე ხელი-ხელ გადაჭდობილი ლოცვა.

16 ივლისი

...და მოგვიპოვა საუკუნო გამოსყიდვა.

ებრაელთა 9:12

ცოდვა ბოჭავს. ასე მრავლად დაუხსნელი ადამიანი ამის გამო გვყავს. ისინი ცოდვიდან თავის დახსნას ცდილობენ, მაგრამ არა წარმატებულად. ამ შემთხვევაში რელიგიური და სხვა სახის დახმარება სრულიად უსარგებლოა.

თავისუფლების არქონების გრძნობა ქრისტიანისთვისაც ცნობილია. შესაძლოა ის გარეგნულ ცოდვებს არ ეხებოდეს, რომლის დანახვაც ყველას შეუძლია, არამედ შინაგან, რომელიც გონების სიღრმეში ვითარდება. ის შეიძლება საკუთარ თავზე ორიენტირება, ამბიცია, ამაოება და შენი მცირე რწმენის ყოველი დარდი და წუხილი იყოს.

ამის გამო ქრისტიანს პასუხი აქვს კითხვაზე: როგორ ხდება გამოსყიდვა?

ღმერთის სიტყვა ამბობს, რომ შენ, ვინც იესოსთან საკუთარი ცოდვებით მოხვედი, უკვე გამოსყიდული ხარ. როდესაც მას ერწმუნე, საუკუნო გამოსყიდვა შენი მოვლენა გახდა.

ის არა მარტო ახლა გარემოგიცავს, არამედ მთელი შენი არსებობის მანძილზე შენთან იქნება. დიახ, მისი მფლობელი შენ საუკუნოდ იქნები.

როდის მიხვდები იმას, რომ შენ იმის გამომუშავება არ გჭირდება, რაც იესომ შენთვის უკვე მოიპოვა?

გამოსყიდვა გამომუშავებას კი არა, არამედ მოპოვებას ეფუძნება. საკუთარი თავის გამოსყიდვაზე ენერგიის ხარჯვა, უსარგებლოა. თუ გსურს სხვის მიერ შენთვის მოპოვებული გამოსყიდვის დაუფლება, მაშინ თვალები აღსრულებულ საქმეს უნდა მიაპყრო. ის იქ უნდა ეძიო, სადაც სინამდვილეშია. მიმართე სიტყვას. უსმინე ღვთის ნათქვამს. ჩაეჭიდე მას. შემდგომ ამისა შენ გამოცდი, რომ გამოსყიდვის სიტყვაში ძალაა. სიტყვა გულში განდიდებას წარმოქმნის, რაც გინდა გალობით წარმოთქვა: 'მარადიულ გამარჯვებას ვფლობთ ჩვენ, უფალი იესო მუდამ რომ ჩვენშია, ირწმუნე შენ!"

ისე, როგორც იესოს საკუთრებაში ხარ დარწმუნებული, ასევე დაუხსნელობის გრძნობას უნდა გაემიჯნო. იესომ ახალი სამყაროსთვის დაგიხსნათ, სადაც თქვენთვის მარადიული გამოსყიდვა იქნა მოპოვებული.

თუ იესოზე ნდობას არ ისწავლით, თქვენი სიცოცხლე, როგორც ღვთის შვილისა გაღარიბდება. ლოცვა და განდიდება მოგიკვდება. განდგომილება და სასოწარკვეთა გძლევს.

თუ იმ სიმდიდრეს მიმართავ, რომლის მფლობელიც იესოში ხარ, სიხარული აგავსებს და განდიდების გალობა არასოდეს მიგატოვებს.

17 მაისი

...თავისი ცოდნით მრავალს გაამართლებს ჩემი მართალი მსახური და მათ ცოდვებს იტვირთავს.

ესაია 53:11

არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, როგორც იესოს ჭეშმარიტი ცოდნის ქონა. არაფერია იმაზე აღმატებული, ვიდრე ამ ცოდნის შენარჩუნება.

ნუ იფიქრებ, რომ შენ იესოს იცნობ, ვინაიდან იცი, რომ ის შენი ცოდვების გამო მოკვდა. ისეთი ადამიანები მრავლადაა, რომელნიც სწორ სიტყვებს ლაპარაკობენ, მაგრამ მათი ბაგით ნათქვამი, გულიდან მომდინარე რწმენის აღსარება არასოდეს ხდება.

ჭეშმარიტი იესოს ცოდნა, გულისმიერი ცოდნაა. ის შენში თავის თავს, მისდამი წყურვილში ავლენს. კარგის ნიშანია, თუ გწყურია ისმინო სიტყვები, რომ შენი ცოდვები ჯვრის მეშვეობით მიტევებულია.

შენს ბუნებრივ აზრსა და გრძნობას იესოს სისხლის შესახებ რაიმეს მოსმენა საერთოდ არ სურს. ინტელექტუალურ დონეზე ქრისტიანობის ჭეშმარიტების მიღება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. ხელახლაშობილი გულით ამის გაკეთება კი სულ სხვა რამ არის. ასეთი კაცი იესოს სიტყვაში ცხოვრობს, იესოსი, რომელმაც ჩვენი უსჯულოება იტვირთა. პირველს არ შეუძლია ხსნის შესახებ უწყების მოსმენა, ხოლო მეორეს, რაც უფრო მეტი ესმის, მით უფრო უძლიერდება სურვილი.

ამის გამო გულს ზეცა სწადია. იქ ნაწილობრივი მშვიდობის მცნება არ არსებობს. იქ მას სრულად შეიცნობ.

მიუხედავად იმისა იესოსადმი ცოდნას ბოლომდე ვერასოდეს ვერ ამოწურავ, ის მაინც შენს ცხოვრებაში უძვირფასეს სიმდიდრედ დარჩება. მისდამი გულისმიერი შემეცნება, მისი მადლის სიმდიდრისადმი კარს ხსნის. არ შეგიძლია ბოლომდე ჩაწვდე იმ კავშირს, რაც შენს შემეცნებასა და სისხლის მიერ შენზე მონიჭებულს ერთმანეთთან აქვს. შენს უძლურებასა და მის სრულყოფილ მადლს შორის, შეუთავსებლობაა.

ჩვენ ღვთიური ხსნის მიღება სრულყოფილი გზით არ შეგვიძლია. მაგრამ, რადგან ის სრულყოფილი ხსნაა, რომელიც იესოს შემეცნებით მოგეცა, ჩვენი ცხოვრების არასრულყოფილ მხარეებს თავად ფარავს.

თუ იესოს იცნობ, ღვთის წინაშე გამართლებული ხარ. ღვთის მადლი შენი რწმენის გამო გადახდილი საფასური არ არის. ღვთის მადლი დაუმსახურებელია. მას შენ მხოლოდ იესოს მეშვეობით ფლობ.

ის შენთვის ყველაფერია, ვინაიდან შენს მაგივრად მან ყველაფერი გააკეთა. სწორედ მისი ნამოქმედარის გამო ხარ შენ დღეს ღვთის წინაშე გამართლებული.

18 მაისი

რაკი თვითონ ეტანჯა და გამოიცადა, განსაცდელში მყოფთა დახმარებაც ძალუძს.

ებრაელთა 2:18

გაოცება ხომ არ გიპყრობს, რომ ცხოვრებას კვლავ იესოს ნდობით აგრძელებ?

ზრდასთან ერთად ცხოვრების სხვადასხვა მდგომარეობებს გადიხარ. საკუთარ მშობლებთან სრულიად ახალ ურთიერთობაში შედიხარ, როდესაც საკუთარ თავზე ზრუნვას სწავლობ. შეგირდი ოსტატზეა დამოკიდებული, მაგრამ ერთ დღეს ის თავის საქმეს დამოუკიდებლად წარმართავს.

იესოსთან დამოკიდებულებაში ასე არ არის. შენ მასზე მუდამ და სრულად დამოკიდებული რჩები. შენ ჩვილივით ხარ, რომელიც ზედამხედველის გარეშე ადვილად დაიღუპება.

ეშმაკი შენს შეცდენას სხვადასხვა გზით ცდილობს. მიუხედავად იმისა მისი მცდელობანი იცი, უფლის თვალებით საგნების განსჯას ყოველთვის ვერ ახერხებ. იესომ შენი იმფორმირება მისი სიტყვითა და სულით უკვე მოახდინა.

უკნიდან ხმა არასოდეს გსმენია, რომელიც სწორ გზაზე მიგითითებდა? არ გაუცოცხლებია შენთვის მას სიტყვა და არ დაუნახებია, თუ რომელი გზით არ უნდა წასულიყავი?

ღმერთის სული შენ ცოდვის გამო გამხილებს. როდესაც სატანა განდგომილებისაკენ გიბიძგებს, ის ცდილობს ცოდვა უვნებლად და უსაფრთხოდ დაგანახოს. მაგრამ იესო სულ სხვა რამეს ამბობს. მისი სიტყვით ის ღვთის წინაშე, შენში ცოდვისადმი შიშს ქმნის.

მიუხედავად იმისა ცოდვის სერიოზულობისადმი გაფრთხილებული ხარ, იესოს გარეშე მისი წინააღმდეგობის გაწევა არ შეგიძლია. თუ სატანას შენი ძალებით შეებრძოლები, მარცხი გარდაუვალია.

გამარჯვების გზა, გამარჯვებულთან მირბენაა. თავი იესოს უნდა შეაფარო. ისაა ფარი, რომელიც ყოველმხრივ გფარავს.

სატანა იესოს დასრულებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. როდესაც იფიქრა, რომ გამარჯვება გარანტირებული ჰქონდა, ზუსტად მაშინ იქნა ის ტახტიდან გადმოგდებული. სასიკვდილო დარტყმა მაშინ მიიღო, როდესაც იესო ჯვარცმული იქნა. ახლა სატანას ფატალური ჭრილობა აქვს მიყენებული. ის საშინლად იტანჯება, ვინაიდან იცის, რომ დრო მოკლე აქვს დარჩენილი. მან იესოს ვნება ვერ შეძლო; ვერც მათი, ვინც გამოცდის ჟამს იესოს მკლავებს მიაშურა.

არ იფიქრო, რომ იესო უკუგაგდებს, როდესაც უძლურების გამო მასთან მისვლა მოგიწევს. ის გიცნობს შენ და შენი განსაცდელი კარგად იცის. ამიტომ მან ისიც იცის, როგორ დაგეხმაროს. შენი ვალდებულებაა, წინააღუდგე ეშმაკს და რწმენით მტკიცედ დადგე. აღთქმა კი ასეთია: „უფალი იბრძოლებს შენთვის; შენ კი უბრალოდ იყუჩე.“

19 ივნისი

გახსოვდეთ თქვენი წინამძღოლნი, რომლებიც ღვთის სიტყვას გიქადაგებდნენ; მათი სიცოცხლის აღსასრულის შემყურენმა მიბაძეთ მათ რწმენას.

ებრაელთა 13:7

კარგია სხვის ცხოვრებაზე შევჩერდეთ და დავფიქრდეთ. განმანათლებელური დატვირთვა აქვს, როდესაც პიროვნების განვლილ ცხოვრებას და მის სასრულს სათანადოდ შევაფასებთ. ვინაიდან იმის დიდი შესაძლებლობა არის, რომ თუ იმას დათესავ, რაც მათ თესეს, იმასვე მოიმკი, რაც მათ მოიმკეს.

თუ ქრისტიანი გარკვეული წლებია ხარ, გეცოდინება ადამიანები, რომელთაც რწმენიდან გადაუხვიეს. ხშირად იმის დანახვა ადვილია, თუ მათი განდგომილების მიზეზი რა გახდა. ნუ გაჰყვები მათ გზას. ნურც იმას იფიქრებ, მცირედითაც რომ შეეცვალათ ცხოვრების წესი, რწმენიდან გადახვევის პრევენციას მოახდენდა. დაე, ნელთბილი და განდგომილი ადამიანები, გაფრთხილების სანიმუში მაგალითებად მივიღოთ.

მაგრამ არსებობენ ისინიც, რომელთა მიბაძვა გმართებს. ისინი შენი წინამძღოლნი არიან, რომელთაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში იესოს რწმენა შეინარჩუნეს. ეკლესიის ისტორიაში, ძალიან ცოტა მათგანი თუა ნახსენები, მაგრამ მათ შენს ცხოვრებაში წარუშლელი ნაკვალევი დატოვეს. ეს შეიძლება იყოს დედა, მამა, საკვირაო სკოლის მასწავლებელი, რომელიმე მსახური თუ მქადაგებელი.

ასეთნი ხშირად უფროსი ქრისტიანები არიან. შესაძლოა ცდუნებული იყო იმ აზრით, რომ ისინი განსხვავებულ პერიოდში, სულიერებისადმი უფრო სერიოზულ ეპოქაში ცხოვრობდნენ. ეს არის ის გზა, რომლითაც მტერი ჩვენს ცდუნებას ახდენს, რათა მათ რწმენას არ მივბაძოთ.

შიშითა და თრთოლვით უნდა აღასრულო შენი გადარჩენა. კი არ უნდა წამოწვე და ღვთის სასუფეველზე კი არ უნდა იოცნებო. დროებას შეუძლია ადვილად გადააჩოჩოს ის ქრისტიანი, რომელიც მდინარების საწინააღმდეგოდ არ მოძრაობს. უპირველეს ყოვლისა უნდა დაფიქრდე, თუ შენს წინამძღოლს ღმერთის სიტყვასთან რა ურთიერთობა ჰქონდა. ის სერიოზულად ეკიდებოდა მას. რჯული მათ ამხელდა და განიკითხავდა. ღვთის მადლი კი მათ დროდადრო წამოდგომაში ეწეოდა. მათი ტერფები კი, მტკიცე კლდეზე იდგა.

შესაძლოა შენს ხელმძღვანელს ახლოს იცნობ. მის ცხოვრებაში არსებულ შეცდომებსა და ცოდვებსაც კარგად ხედავ. მიუხედავად ამისა არ ეჭვობ, რომ იესო და მისი გამოსყიდვა მათი ცხოვრების მტკიცე საფუძველი იყო.

ზოგიერთი მათგანი სხვერპლის გზას დაადგა. ისინი მრავალი წლის განმავლობაში უფალს იმ მოწოდებით ემსახურებოდნენ, რომელიც ადამიანების მიერ არ იყო აღიარებული.

მიბაძე მათ რწმენას. რის შედეგადაც მიზანს მიაღწევ.

20 ივნისი

ჩვენ კი ყველანი, რიდეახდილი სახის მსგავსად ვხედავთ უფლის დიდებას, ვუმზერთ რა სარკეში ამ ხატებას და გარდავისახებით დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან.

2 კორინთელთა 3:18

ქრისტიანი გარდასახვას უნდა დაექვემდებაროს. რწმენა აქტიურია. რწმენა გონების ნაყოფი კი არა, არამედ გულისაა. ის ღმერთის შვილს შინაგანად ცვლის.

ეშმაკი ქრისტიანის ზრდის შეჩერებას ცდილობს. ის ამას სხვადასხვა გზით აკეთებს. ხშირად ის ლეგალური აზროვნების წახალისების გზას მიმართავს.

ის ცდილობს დაგვაჯეროს, რომ განწმენდა ეს ნების ძალის საკითხია. რაც გვაკლია ეს გადაწყვეტილებების ნაკლებობაა, მთელი გულით მიძღვნა ანუ გარკვეული სულიერი გამოცდილებები. მოკლედ, სატანა ცდილობს საკუთარ თავზე დაგვაწყებინოს მუშაობა. მან იცის, რომ ჩვენ საკუთარ თავზე კონცენტრირებულნი ადვილად ვხდებით. ამის კეთებით საკუთარი თავის ირგვლივ გალავანს ვიშენებთ, რა დროსაც სიხარული და გაბედულება საერთოდ გვიქრება და ჩვენი ურთიერთობა იესოსთან დღითი-დღე სუსტდება. ბოლოს სულიერი ცხოვრება საერთოდ წყვეტს არსებობას. ამ დროს ყველაზე დიდი საზიზღარი ჩვენი ოპონენტი, გამარჯვებას ზეიმობს.

არა, განწმენდის გზა უფლის დიდების ხედვით ხდება. ის საკუთარ თავზე ყურებით არ მოდის. პირიქით, ღვთის სიტყვის სარკეს შენ უნდა მიმართო. იქ შენ შეხედავ წმიდა და დიდებულ სახეს მხსნელისას. საჭიროა ღვთის სიტყვაში არსებული მოქმედი ძალის დაჯერება გქონდეს. ადამიანთა უმრავლესობა ღვთის სიტყვას უგულებელყოფს, რადგან მისი მნიშვნელობა გააზრებული არ აქვთ. ღმერთს კი, მისი სიტყვის მეშვეობით შეუძლია, საოცარ საგანძურებს გაზიაროს. დიხ, მას მისი მეშვეობით შენი გარდასახვა შეუძლია.

საჭირო არაა გაზომო ცვლილება და მით იყო დაკავებული. თუ ასე მოიქცევი ის შეჩერდება. უბრალოდ მას უყურე ვინც გცვლის. თუ ასე მოიქცევი, იესო შენზე გავლენას კვლავ მოახდენს.

ჩვენ ვერ ვწვდებით თუ ღმერთის სიტყვა ამ დიდებულ საქმეს, როგორ აკეთებს. მაგრამ ის აკეთებს.

ღმერთის სიტყვა რჯულითა და სახარებით შედგება. რჯული, ღვთიური გადარჩენისა და განწმენდის ძალა არ არის; ის სახარებაა. ეს ის სიტყვა არ არის, რანი უნდა ვიყოთ და რა უნდა ვაკეთოთ; ეს იესოს სიტყვებია და ის თუ რა აღასრულა მან.

უყურე მის დიდებას! მაშინ შენ მის მსგავსებაში გარდაისახები.

21 მაისი

რადგან, განმწმენდელი და განწმენდილი, ყველანი ერთისაგან არიან.

ებრაელთა 2:11

ბევრი ქრისტიანი მონებივით მუშაობენ. ისინი საქმით ცდილობენ მიაღიწიონ იმას, რადაც უნდა იყვნენ. კვლავ და კვლავ ისინი აცნობიერებენ , რომ ქრისტიანული ცხოვრებით ცხოვრება მათ არ შეუძლიათ. ქრისტიანული ცხოვრების აუცილებლობაში ეჭვი არ შეაქვთ, მაგრამ იმავდროს მათი გული და სინდისი ბრალს დებს მათ.

რა ხდება?

ეს თვით-განწმენდის უწყვეტი მცდელობანია. ასეთი ბრძოლა წარმატებული ვერასოდეს იქნება. ქრისტიანს თვით-განწმენდა არ შეუძლია. განწმენდის ერთადერთი გზა არის, როდესაც სხვა გწმენდს.

მნიშვნელობა არ აქვს ღვთის ნების შესაბამისად ცხოვრებას რამდენჯერ გადაწყვიტავ, ვინაიდან ყოველთვის ან სასოწარკვეთილებით ან თვალთმაქცობით დაასრულებ.

იესოსთან შენი უძლურებით, როდის მიდიხარ?

მაშინ, როდესაც არაფერი გაკლია. არა, შენ ყველაფრის დანაკლისს განიცდი.

თუ იმ ბედნიერ ადამიანთა შორის ხარ, რომელთაც იესოში თავშესაფარი ჰპოვეს, მაშინ მასში, შენ ყველაფრის მფლობელი ხარ.

რჯულით წმიდა ვერასოდეს გახდები. ეს ნიშნავს იმას, რომ შენი საქმით და ქმედებით თავს ვერასოდეს განიწმიდავ. პირიქით, შენ წმიდა იესოს რწმენით გახდი. თუ შენი რწმენა მასში არსებულ ყოველ შენს სიმდიდრეზეა მიმართული, მაშინ შინაგან გარდასახვას დაექვემდებარები. რაც უფრო მეტად იესოთი გაიხარებ, მით უფრო მისი მსგავსი გახდები.

გადარჩენისა და განწმედის გზა, ერთი და იგივეა. გზა იესოა.

არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენ იესოს გამომსყიდველი საქმით მოვედით გადარჩენაში, ხოლო შემდეგ საკუთარი ძალით შევძლებთ განწმენდას. წყარო ხსნისა და განწმენდისა, მხოლოდ გამოსყიდვიდან იღებს სათავეს.

მნიშვნელობა არ აქვს, როგორც ღვთის შვილი, რას გრძნობ. ცხოვრების ნებისმიერ მდგომარეობაში დარწმუნებული უნდა იყო, რომ იესო შენთვის ყველაფერია. შენით, ისევ არაფრის მქონე რჩები. მაგრამ იმავდროს, ხვდები თუ არა, რომ იესოში შენი სიმდიდრე განუზომელია?

22 მაისი

როგორც კი ძვირფას მარგალიტს იპოვის, წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია და მას იყიდის.

მათე 13:46

იესოს მოპოვებაც ასეა.

შენ საუკეთესო მარგალიტს დაეძებდი. ბავშვობიდან ასე იყო. თუ რამ იპოვე შენი გახადე. წლების განმავლობაში სხვა მარგალიტები გახდა შენთვის მიმზიდველი. ფიქრობდი, რომ უფრო ძვირადღირებული მარგალიტი გაგაბედნიერებდა. თუმცა, ყოველი ასეთი შემთხვევისას სასოწარკვეთა გიპყრობდა. გულის სიღრმეში სხვა რამ და უფრო აღმატებული გწყუროდა.

ერთ დღეს შენ ნაზარეთელი დურგლის შვილის წინაშე წარდექი. იმ დღეს ყველაფერი გადაფასდა. მიხვდი, რომ ქონებას „უნდა ფლობდე“ და ის „არ გფლობდეს.“ როცა გაიაზრე, რომ იესოს თავისთვის უნდოდი, ყველაფერმა თავისი მომხიბვლელობა დაკარგა. მეტი ძებნა აღარ გაგიგრძელებია, რადგან მარგალიტთა შორის აღმატებული უკვე იპოვე.

ცხოვრება ქვეყანაზე გააგრძელე. გარეგნულად ბევრი არაფერი შეცვლილა. მაგრამ გულში, შენ სხვა პიროვნება გახდი. იესო მასში შემოვიდა.

წარსულში, მცირე ცხოვრებისეული მიზნებით იყავი დაკავებული. ახლა ისინი აღმატებულმა გადაფარა. შენ მოწაფე გახდი. ახლა შენი ცხოვრება, სხვისი განვლილი გზის მიყოლაა.

იესო ჯვრის გზითაა ცნობილი, რადგან თავად გაიარა მასზე. ამ გზაზე ის მის მიმდევრებს უწინამძღვრებს. მათ საკუთარი ცოდვის გამოსყიდვა არ შეუძლიათ. მან ეს ერთხელ და საუკუნოდ ყველასათვის მოიმოქმედა. ამიტომ ჯვრის გზაზე ის, ზეცის მიზნის აღსასრულებლად გაგვიძღვება.

როდესაც ფიქრობ, რომ გზა მძიმე და რთულია, საჭიროა ხედვა ძვირფას მარგალიტზე გადაიტანო. ის ყველა დანარჩენზე მეტად ბრწყინავს; და როდესაც მისი სხივი შენზე აირეკლება, საკუთარ თავს ვერ ცნობ. ამ დროს საკუთარ თავს მის ბრწყინვალებასთან შერწყმულს ხედავ.

შემდგომ ამისა ამბობ: არა მსურს სხვა მარგალიტებს დავუბრუნდე. მხოლოდ იესო, რომ მყავდეს, მე მაინც მდიდარი ვარ.

დღეები მიდის. იესო თვალს არ გაშორებს. მის თვალებს შენც გრძნობ და ის ფაქტი, რომ მისი თვალთა ხედვის არეალში ხარ, გაბედნიერებს. ყოველი დღე, ახალი იერუსალიმისაკენ სვლის დღეა. მოგზაურობა იქ მთავრდება. იესოს მიერ დაგვირგვინება იქ მოხდება. ხოლო დიდების საგალობლები შენი და ყველა დახსნილის მხრიდან, მისი ტახტის მხარდასაჭერად საუკუნოდ იქნება აღვლენილი.

23 მაისი

ამის დამმოწმებელი ამბობს: „ჰე, მალე მოვალ!“ ამინ, ჰე, მოდი უფალო იესო!

გამოცხადება 22:20

ბიბლიის ბოლო მუხლში იესო და იოანე საბოლოო სიტყვას წარმოთქვამენ. იოანე ამ დროს კუნძულ პატმოსზეა გადასახლებული. მოხუცი იოანე ძნელად თუ იფიქრებდა, რომ ისევ რაიმე მნიშვნელოვანი მსახურების გაწევას შეძლებდა. უფალს სურდა, რაც სამომავლოდ მოხდებოდა მისთვის გაემხილა. ამ წიგნში გასაოცარი ხილვებია აღწერილი, რომელნიც უფლის ხალხისათვის საუკუნეების განმავლობაში დიდი ნუგეშისცემა და მოტივატორი იყო. გამოცხადების წიგნში განსაკუთრებით დევნილი ქრიტიანები დიდ დახმარებას პოულობდნენ.

იოანე იესოს საყვარელი მოწაფე იყო. რაც იესომ თქვა, მის გულში იყო აღბეჭდილი. მან ისე მისცა იესოს სიტყვებს ადგილი, როგორც სხვამ არავინ. ის იესოს მიმართ სხვა მოწაფეებთან, სიახლოვით გამოირჩეოდა. ის იყო ერთადერთი, რომელიც ჯვართან დარჩა, როდესაც იესო სიკვდილს ებრძოდა.

ბიბლიის ამ ბოლო მუხლში თითქოს ორივე მათგანი ერთმანეთს ხელს ართმევს. ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია. ერთი ზეცის მეფის ძეა, ხოლო მეორე მოხუცი დევნილი უფლის მსახური, რომლის აღსასრულიც მოახლოებულია.

იესო იოანეს არწმუნებს, რომ ის მალე მოვა. იოანე იესოს სიტყვებით იმდენად აღფრთოვანებულია, მის ნათქვამზე ის სწერს „ამინ“ და შემდგომ ამისა თანურთავს ოთხსიტყვიან ლოცვას, „ჰე, მოდი უფალო იესო!“

ამ სიტყვებით შენ იესოს მოყვარულ გულს ხედავ. მისთვის უფალს არ უთქვამს, რომ მოპატიჟების გარეშე არ დაბრუნდება! მაგრამ ის უბრალოდ, იესოს აღთქმას მის ლოცვად აქცევს: ისე გააკეთე უფალო იესო, როგორც თქვი!

კარგია იოანეს გული იქონიო. თუ შენი გული არ იძვრის, როდესაც სახარება მის მეორედ დაბრუნებაზე ლაპარაკობს, მაშინ შენთვის იესო ძვირფასი არ ყოფილა. მაგრამ თუ „ამინის“ თქმით მის მოსვლას ემოწმები, მაშინ ამ ფაქტის შესახვედრად მზად ყოფილხარ.

დაე, იოანეს ლოცვა ჩვენი გახდეს: ამინ. ჰე, მოდი უფალო იესო! უფალს ესმის ეს ლოცვა. მას ჩვენ მალე ვიხილავთ; ვინაიდან თავის სიტყვაში მან ასე გვითხრა.

24 მაისი

ნუ გაიხსენებთ წარსულს, გასულ დღეებზე ნუ იფიქრებთ. აჰა, მე ვქმნი ახალს, ახლა აღმოცენდება, განა ვერ შეიტყობთ ამას?

ესაია 43:18-19

არიან ისეთნი, რომელნიც წარსულიდან ვერაფერს ვერ სწავლობენ. ამიტომ მათ მრავალი თავგადასავლის გავლა მოუწევთ, რათა მათგან გარკვეული გაკვეთილები გამოიტანონ.

არის ისეთი კატეგორია, რომელიც წარსულიდან ვერ თავისუფლდება. ეს მათ პარალიზებას ახდენს. ისინი ფიქრობენ, რომ ღვთის ხალხის მდგომარეობა უიმედოა. იმდენ სასოწარკვეთას და დაცემას ჰქონდა ადგილი, რომ კაცს უკვე მომავლის იმედი აღარ დარჩა; სიცოცხლის იმედზეც შეიძლება იგივე ითქვას. შესაძლებლობა გაფლანგულია.

ამ დროს განდგომის საშიშროება არსებობს. თუ ყველა შენს მარცხს გამუდმებით თანატარებ, მაშინ სრულიად უსარგებლო ინსტრუმენტად იქცევი. საჭიროა ყურადღება ღმერთის სიტყვაზე გადაიტანო, რომელიც წარსული მოგონებების შესახებ გაფრთხილებს. წარსული საქმეების გამოსწორება შეუძლებელია, მაგრამ ღმერთს შენი მომავლის შეცვლა შეუძლია.

მნიშვნელობა არ აქვს შენს ასაკს, ღმერთს შენთვის, რაღაც ახლის შექმნა მაინც შეუძლია. ის უპირველესად ახალ ცნობიერებას მოგანიჭებს, რისი მეშვეობითაც ყველაფერს განსხვავებული სინათლით შეხედავ. ყოველი ხილული ჭკნება და იღუპება — ხოლო, როდესაც ის თვალს აგიხელს — ყველაფერი აღორძინებას იწყებს.

ფოთვლოვან ამონაყარსა და უკვე ზრდასრულ მცენარეს შორის დიდი სხვაობაა. თუ ჩვენთვის ბუნება კარგად ნაცნობი არ არის, მაშინ მცირე და უმნიშვნელო მცენარეებს ყურადღებას ადვილად მოვაშორებთ. თავიდან არ ჩანს ისე, რომ ისინი ოდესღაც რაღაცად შეიქნებიან, ვინაიდან ნორჩნი ბოსტნეულის ბაღში იზრდებიან. მაგრამ რამოდენიმე თვე ყველაფერს ცვლის და ერთ დღეს ისინი მაგიდაზე ჯანმრთელ და ქორფა ბოსტნეულად მოგვევლინებიან.

ღვთის სამეფოში განა ყველაფერი ძირს ეცემა. არსებობს ისეთი მისიონერული მსახურების ადგილები, სადაც უდიდეს გამოღვიძებებს აქვთ ადგილი. უფალთან ათასობით ადამიანი მოდის. ჯვარს თავისი ძალა არ დაუკარგავს.

მიუხედავად იმისა ჩვენს მშობლიურ მიწაზე შეიძლება სიმძიმე და სიბნელეა, მაინც არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც ცოცხალ ღმერთს ხვდებიან. წმიდა სურვილის გამო ისინი მის მიერ არიან გაცოცხლებულნი. შესაძლოა რიცხობრივად ბევრნი არ არიან, მაგრამ უფლის ხელში იარაღად არიან ქცეულნი და თუ ბოლომდე უფალში დარჩებიან, ის მათ მის ტაძარში სვეტებად გახდის.

ღმერთს შენს ცხოვრებაშიც შეუძლია, რაღაც ახლის შემნა. მას შენი გამოყენება ჯერ არ დაუსრულებია. შენ მისი ნათქვამი იცი: „სიბერეშიც გამოიღებენ წვნიანსა და ხასხასა ნაყოფს“ (ფსალ. 92:14).

25 მაისი

მისი სახე იყო როგორც მზე, თავისი ძლიერებით მბრწყინავი.

გამოცხადება 1:16

თუ საკუთარ თავს დააკვირდები, გულგატეხილობა ხშირად გიპყრობს. ცოცხალი ქრისტიანი საკუთარი თავით მუდამ უკმაყოფილოა. სულის მტერმა ეს კარგად იცის. ამის გამო ის ცდილობს, რომ ყურადღება მუდმივად თავზე გადაგატანიოს.

ნუ გააკეთებ ამას!

გამოცდილმა ქრისტიანმა ასე თქვა: თუ საკუთარ თავს ერთხელ შეხედავ, მის სანაცვლოდ იესოს ათჯერ უნდა მიაპყრო თვალი.

იესო, როგორც მზე თავისი ბრწინვალეებით ისე ანათებს. ის იძლევა ნათელს და ის იძლევა სიცოცხლეს; მას შეუძლია სული ცეცხლით აავსოს. ის შენ დახსნილ და რბილ გულს გაძლევს. სხვის მიმართ თანაგრძნობას გიზიარებს და მათთან გგზავნის.

იესო თავის ნათელს შენს შინაგანშიც დებს. საკუთარ თავში შენ ბნელით ხარ მოცული, მაგრამ თუ მისი გწამს, მაშინ წუთისოფლისთვის ანთებული ლამპარი ხდები. შენი ცხოვრება სიბნელე, უფერული და უიმედო აღარაა. უკვე ნათელი მეფობს მასში. ყველა შენს საზრუნავს უფალს ანდობ და მისი ტვირთვა თავად აღარ გიწევს. მის გამო შენ წინ თამამად მიდიხარ. თუ თვალები მისკენ გაქვს მიპყრობილი შენ მხოლოდ ნათელს ხედავ, მიუხედავად იმისა შენს ირგვლივ რა სიბნელეც არ უნდა იყოს.

იესო სიცოცხლეს იძლევა. მასში სიკვდილის ნექტარი დამსხვრეულია. გადახვედი რა სიკვდილიდან სიცოცხლეში, შენ სიკვდილის შემდგომაც შეძლებ სიცოცხლეს.

ამ ყოველივეში მორიგ დარწმუნებას იმდენჯერ მიიღებ, რამდენჯერაც ამ საოცარი მზის ბრწყინვალებას შეხვდები. თუ იესოს ხედავ, ქვეყნიერება მიმზიდველობას კარგავს. ის შთაბეჭდილებას შენზე ვეღარ ახდენს. მიზეზი რატომაც ასე განსხვავებულად ხედავ, შენ კარგად იცი. შენ მაშინ მოგეცა ხედვა, როდესაც წუთისოფელი სიბრმავეში რჩება.

როცა თვალს მზის სხივი ჭრის, მის ბრწყინვალებას აცნობიერებ. მისი ცქერისას სხვა რამის ხედვა გიძნელდება. თუ შენი თვალები იესოზეა მიპყრობილი, ის შენს ცხოვრებაში ხელახლამშობი და გარდამსახველი ძალა შეიქნება. ის შენ ახალ პიროვნებად გაგცევს.

ის შენთვის ყველაფერი ხდება. მთელი შენი ძალა მისგან მოდის. ყველა სიცოცხლის მიმნიჭებელი წყარო მასში გაქვს. ცხოვრებაში ყველაფერი მისკენ მიუთითებს. ისაა მზე, რომელიც თავისი ბრწყინვალებით კაშკაშებს.

26 მაისი

იესო ქრისტე... რომელმაც შეგვიყვარა და საკუთარი სისხლით გვიხსნა ჩვენი ცოდვებისაგან.

გამოცხადება 1:5

ამ სიტყვების მოსმენა ქრისტიანს არასოდეს მოწყინდება. ისინი მის ცხოვრებას ამდიდრებენ და სიხარულით ავსებენ.

იესო ქრისტეს ჩვენ ვუყვარვართ. ეს სიტყვებია გასაღები, რათა იესოს სიცოცხლე ჩავხვდეთ. ასევე ისინი ფლობენ გასაღებს, რათა საკუთარ გულსაც სიღრმისეულად ჩავუღრმავდეთ.

ეს სიყვარული იყო, რომლითაც ის მოქმედებდა. „შეიყვარა რა თავისიანები, წუთისეფელში რომ იყვნენ, ბოლომდე უყვარდა ისინი.“ იესოს სიყვარული იყო პირველი, რასაც მისი მეგობრები შეხვდნენ; უკანასკნელიც იგივე იყო. აღდგომის შემდეგაც მათ კვლავ სიყვარულის ნიაღვარივით შეხვდა.

იესოს სურვილია იცოდე, რომ მას შენ უყვარხარ. თავისი სიტყვით უამრავ მდგომარელობაში გატარებს, მაგრამ უპირველესად ის თავის სიყვარულში გარწმუნებს. ესაა მისი სიხარული, რათა იცოდე, რომ მისგან შეყვარებული ხარ.

წინხედვა ჯანმრთელი მდგომარეობაა. ქრისტიანისთვის კარგია იხედო წინ. ღმერთის სიტყვა გვარწმუნებს, რომ სამომავლოდ ბრძოლა და ჭირი შეგვხვდება. თუმცა საჭიროა შევეცადოთ, გონება მოსალოდნელი გასნსაცდელების გამო არ დაგვიმძიმდეს. რწმენაში ვპოვოთ სიმშვიდე, რომ უფალი გადაგვატანიებს მათ და დაე, უფლის სიყვარულის სიტყვებმა თავისუფლად მოქმედების ძალა მოგვანიჭოს!

არ არსებობს ვინმე არ რამე, რასაც შენი ქრისტეს სიყვარულისაგან ჩამოშორება შეეძლოს. შენ ნებისმიერ მდგომარეობაში, მისით ხარ გარემოცული. ის იქნება, რომელიც ზეცამდე გატარებს. იესოს სახის ხილვისას სწორედ სიყვარული დაგფარავს და მისი მეშვეობით მას შენ დიდებას უკუნითი უკუნისამდე მიუძღვნი.

იესოს სიყვარული მისი სისხლთანაა გაერთიანებული. მისი სისხლია, რომელიც ნებისმიერ ეჭვს აქარწყლებს, რომ შენ მისთვის ხარ ძვირფასი. როდესაც ამ ფაქტს ათვითცნობიერებ, მაშინ მის წინაშე მადლიერებით იდრიკები.

იესოს სიყვარულის სიღრმეს, ბოლომდე ვერასოდეს ჩაწვდები. მაგრამ თუ მით ხარ გარემოცული, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ შენმა ცოდვებმა უკვე დაგტოვა. ის შენგან ვიღაც სხვამ წაიღო. ახლა შენ უმწიკვლო და წმიდა ხსნის სამოსელით ხარ შემოსილი. სხვა მორწმუნეებთან ერთად ქრისტეს საპატარძლოს წარმოადგენ. ის კი ცის ღრუბლებით მალე გამოჩნდება, რათა შენ სახლში წაგიყვანოს.

27 მაისი

სისხლში ამოვლებული სამოსელი ემოსა. მისი სახელია ღმერთის სიტყვა.
გამოცხადება 19:13

იესოს რამოდენიმე სახელი აქვს; თითოეული მათგანით ღმერთი მის ვინაობას გვიცხადებს. ამიტომ მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ, თუ ღმერთი მის ძეს რა სახელებით მოიხსენიებს.

იესო „ღმერთის სიტყვად“ იწოდება.

ის ერთადერთი კი არ არის, რომელიც ღვთის სიტყვასთანაა კავშირში, არამედ ისაა თავად ერთადერთი. როგორიცაა სიტყვასთან შენი ურთიერთობა, შენი იესოსთან ურთიერთობაც ისეთია. მისი შემეცნება სიტყვის მეშვეობით ხდება. სიტყვა არა მხოლოდ მასზე ლაპარაკობს, არამედ ის „ღმერთის სიტყვაა.“

თუ იესოს შემეცნებაში ზრდა გსურს, მაშინ ღვთის სიტყვის ცოდნაში უნდა გაიზარდო. მისი მეშვეობით თვალები იმ სიმდიდრის მიმართ აგეხილება, რაც დაფარულია. როდესაც სიბრძნის საგანძურს, ანუ მის ცოდნას იპოვი, მაშინ ძალით, გაბედულებით და სიხარულით აღივსები.

სატანამ იცის თუ ასე მოიქცევი რა მოხდება. ამის გამო ყოველ ღონეს ცდილობს ღვთის სიტყვის უცოდინრობაში დაგტოვოს. თუ ის წარმატებას მიაღწევს, იესო შენთვის დისტანცირებული გახდება. ფაქტიურად ეშმაკის განზრახვა ესაა. მას შენი მხსნელიდან დაშორება უნდა.

ამ მიზნით ის ღმერთის სიტყვის მოსმენასა და კითხვას გაძულებს. მას ამ საქმეში მოკავშირედ შენი ძველი ბუნება ჰყავს, რომელსაც საკუთარი მეს განადგურება არანაირად არ სურს. ამას ადგილი მაშინ აქვს, როდესაც ღმერთის სიტყვა შენს აზრებსა და გონებაში მთავარ ადგილს არ იკავებს.

არ დანებდე სულის მტერს. წინაღუდექი მას. ნუ დართავ ნებას ღვთის სიტყვას ჩამოგაშოროს. მტკიცედ ჩაეჭიდე სიტყვას. მტკიცედ ჩაეჭიდე იესოს, ხოლო სატანა მის გამო შორს გაიქცევა.

ღმერთის სიტყვასთან დაბრუნება, კურთხევაა. ესაა განახლების გზა, როგორც საკრებულოს ასევე ინდივიდის ცხოვრებაში. გასაოცარი არ არის განა? ღმერთის სიტყვასთან დაბრუნება, როგორც იცი იესოსთან დაბრუნებაა. ხოლო მასთან მისვლა ამაოდ არ ხდება. მისი გულის წადილია თავისი მადლითა და ჭეშმარიტებით აგვავსოს.

იესო სიტყვაში ეძიე! ამას ამაოდ არ გააკეთებ. ის აუცილებლად საკუთარ თავს გამოგიცხადებს.

28 მაისი

ქრისტეც ხომ ეტანჯა თქვენთვის და ნიმუშიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ.

1 პეტრე 2:21

იესო ეტანჯა.

რაოდენ დიდი იქნებოდა ტანჯვა ზეცის მეფის ძისათვის, რომ დაეთმო ზეციური დიდება და იმ სამყაროში დაბადებულიყო, სადაც ცოდვა და ეგოიზმია! როგორი იქნებოდა ის ტანჯვა, როდესაც მან მამა და მისი ანგელოზები დატოვა და იმ ცოდვით აღსავსე ადამიანებთან დამკვიდრდა, რომელნიც მას გულცივად და ჯიბრით დახვდნენ! რა დონის ტანჯვას მიაყენებდა მას, როდესაც მათ ვინც ღვთაებრივი სიყვარულით უყვარდა, სიკვდილის მსჯავრი გამოუტანეს! რაოდენ ტანჯვა იყო ის, როდესაც ღვთის სიახლოვე დატოვა და ღვთისგან მიტოვებულ გოლგოთაზე, ღრმა სიბნელეში მოუწია დაშვება!

იესო ეტანჯა. მის მსგავსად არავინ ტანჯულა. ის შენთვის ეტანჯა. ეს შენი ცოდვა და მისი შენდამი სიყვარული იყო, რომელმაც მისი ტანჯვა გამოიწვია.

ასევე იესო იმ ტანჯვების მაგალითია, რომლის გადატანაც მოგიწევს.

აქ, დედამიწაზე სიკეთის ქმნა და ტანჯვა ერთმანეთთან კავშირშია. ტანჯვა უბრალოდ ცოდვის საზღაური როდია. იესო მისი სიკეთის გამოც იტანჯა. ტანჯვა შენც მოგიწევს, თუ უფლის ნაკვალევს განუხრელად გაჰყვები.

რა იწვევს ამას?

უწმიდური ადამიანი წმიდა ადამიანის საქციელის გამო, მსჯავრდადების ქვეშ ექცევა. ჭეშმარიტება და სიკეთე აკეთებს ამას. ბოროტების ძალები ამ დროს წამოიმართებიან, რათა სინათლეს შეებრძოლონ. იესო შეძულებული იყო, ვინაიდან ის ღმერთის ჭეშმარიტებას ქადაგებდა. არ უნდა გაგიკვირდეს, თუ იმის გავლა მოგიწევს, რაშიც თავად მაცხოვარმა გაირა.

ეს მხოლოდ მწიგნობარნი და ფარისევლნი არ იყვნენ, რომელნიც იესოს წინააღმდეგ იყვნენ მომართულნი. მისი ახლო ნათესავებიც ანალოგიურად იქცეოდნენ. ვერ უგებდნენ მას და მისგან მშობლიური ქალაქის დატოვება მოითხოვეს. შეიძლება მსგავსი ტანჯვა შენც მოგიწიოს და შენი ახლობლებიდან გაუგებრობას წააწყდე. შეიძლება ფანატიკოსად სწორედ მათ შეგრაცხონ.

იესომ მაგალითი დაგიტოვა. შენ მის ნაკვალევს უნდა გაჰყვე. ნუ აირიდებ ტანჯვას. ამ ტანჯვის გზაზე უფალი ძლიერ გაკურთხებს.

29 მაისი

ხოლო თუ მადლით, უკვე არა საქმეებით, თორემ მადლი აღარ იქნებოდა მადლი.

რომაელთა 11:6

ქრისტიანისათვის ყოველთვის დიდი საშიშროებაა, როდესაც საკუთარ საქმეებზე ხდება ორიენტირებული. ხშირად ისინი კარგი საქმეებია. ჩვეულებრივ მათი მეშვეობით საკუთარ თავს სხვას ვადარებთ. თუმცა უმეტეს შემთხვევაში ქრისტიანები მის ნაკლოვანებას განიცდიან. საკუთარ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებენ, როდესაც წარმოიდგენენ, როგორი უნდა იყო ჭეშმარიტი და ცოცხალი ღმერთის შვილი. მათი აზრით ყველაფერში დამნაშავენი არიან. ამის გამო მათ სასოწარკვეთა და უიმედობა იპყრობს.

ამ სიმართლეს თავისი მიზეზი აქვს. ისეთი ჩვენში არაფერია, რომელიც ღვთის წინაშე სამუდამოდ დარჩება. მას საქმეებში ამაოდ ვეძიებთ, რომელიც თვით-სიმართლესა და ეგოიზმისაკენ სრულადაა მიდრეკილი.

მხოლოდ მადლზე დამოკიდებულებას ნეტავ როდის ვისწავლი? თუ საკუთარი თავით და საკუთარი საქმეებით ვარ გარემოცული, მაშინ ღვთის მადლს ჩრდილში ვამყოფებ.

სრულიად სხვაა, როდესაც გული იესოსკენ ბრუნდება. მაშინ ჩემში დაუმსახურებელი მადლი იწყებს ცხოვრებას. ვაცნობიერებ რა, რომ ეს ისეთი რამ არის, რასაც ფუნდამენტი ჩემში არ აქვს. ის ჩემგან დამოუკიდებელია. მე მისთვის არც არაფრის შემატება და არც არაფრის გამოკლება შემიძლია.

იესო ღვთის მადლს ეჭიდება — არა შენ. მადლს იესოსთან აქვს საქმე — არა შენთან. მის გამო ის შენს მიმართ შეუცვლელია. ჯვარზე მისი მსხვერპლის გამო ის უხვად მოგენიჭა. მოცემული ფაქტი არ შეიცვლება.

როგორც ქრისტიანი შესაძლებელია ნანგრევებში ადვილად მოჰყვე. ეჭვიანობის ჟამს საკუთარი ცოდვისა და დანაშაულის მეტს ვერაფერს ხედავ. მაგრამ თუ იესოს ირწმუნებ, გადარჩები და არა შენს საქმეთა გამო. უბრალოდ მისი მადლით და მეტით არაფრით.

ღმერთს მისი მადლი ყველაზე ძვირად დაუჯდა. იესოა მისი საფასური. ამიტომ ის მოშურნეობით ადევნებს თვალყურს, რათა მადლი მადლად დარჩეს. ამას ის, როგორც საკრებულოში, ასევე ნებისმიერი ინდივიდის ცხოვრებაში ასე აკეთებს.

მადლზე მეტად არაფერი არ უნდა აამაღლო. აქაც და მარადისობაში იგივე უნდა აკეთო, მაშინ, როდესაც ღვთის ტახტის და კრავის წინაშე დიდების საგალობელს იგალობებ.

30 მაისი

ვინაიდან ის არის ჩვენი მშვიდობა ...

ეფესელთა 2:14

ყველას მშვიდობის ქონის უდიდესი სურვილი აქვს. მშვიდობა ნიშნავს სიმრთელეს, შეთანხმებასა და ჰარმონიას. ვის არ უნდა ამ ფორმის ცხოვრება ჰქონდეს? წარმოიდგინეთ ისეთი შესაძლებლობა, რომ მოგეცეთ მთელი ცხოვრება ამგვარ ერთობაში განვლოთ! წარმოიდგინეთ ბოლომდე იქონიოთ ღვთისა და კაცთა წინაშე სრული მშვიდობა!

მრავალი ქრისტიანი კი ამ სახის ფონზე შემდეგ კითხვას სვამს: ასე დაყოფილი რატომ ვარ? რატომ ფორიაქობს ჩემი გონება? ასე ადვილად ჩემი მშვიდობა რატომ ირღვევა?

ეს იმ ფაქტის გამო, რომ შენი რწმენა სუსტია.

თუმცა შესაძლებელია მდგომარეობა სხვანაირად იყოს. შენი ახალი კაცის გაზრდა ღვთის სურვილია. ის სიტყვით უნდა იქნეს გამოკვებილი. თუ ამ საკითხს ყურადღებას მიაქცევ და გულთან მიიტან, მაშინ შენი გაბედულება იესოში განმტკიცდება. რწმენა გაიზრდება. ხოლო იესო შენი მშვიდობის მთავარი წყარო გახდება. ეს მაშინაც ასე იქნება, როდესაც ცოდვა, სასოწარკვეთა და დანაშაული შენს წინააღმდეგ ერთობლივად გამოილაშქრებენ.

შენ მშვიდობა იესოს რწმენით გაქვს. ცოდვა კაცს ღვთისგან აშორებს, მაგრამ ის ამას შენს ცხოვრებაში ვეღარ შეძლებს. შენ ხსნის მარადიულ ნიადაგზე დგახარ და მადლით ხარ დაფარული. ცოდვა ვეღარ გაშორებს იესოსგან, არამედ მისკენ გიბიძგებს. შენ მასთან კვლავ და კვლავ შეგიძლია მოსვლა. შეგიძლია ცოდვების პატიება ისევ და ისევ მიიღო. კვლავ განიწმიდო მისი სისხლით, რადგან სისხლი თოვლზე მეტად გასპეტაკებს.

მაშასადამე შენ გაქვს მშვიდობა, რომელიც რჩება. ის შენგან არ არის გამოწვეული, ანუ მისგან, რასაც შენი ქრისტიანული ცხოვრებით აღასრულებ. მშვიდობა ეფუძნება იმას, ვინც შენი მშვიდობაა. იესოს რწმენა ისეთ მშვიდ და ჰარმონიულ გულს გაძლევს, რომლის მოცემაც არავის შეუძლია.

წუთისოფელში არაა შენი მშვიდობა. იქ მრავალ წინაღობას ხვდები. ეს შეიძლება იყოს სახლში, ქორწინებაში, სამუშაოზე თუ ეკლესიაში. მაგრამ სიტყვა ყველა სიტუაციაში ღაღადებს და ამბობს: იესო შენი მშვიდობაა. ნებისმიერ შემთხვევაში ის შენს საშველად მოდის. ის, რაც გავნებს ყველაფერს თავისი ხელით ეხება. როგორც გახსოვს ის ამბობს: „ეს გითხარით, რათა ჩემში მშვიდობა იქონიოთ. ქვეყნიერებაზე ჭირი გექნებათ. მაგრამ გამაგრდით! მე ვძლიე ქვეყნიერებას!“

31 მაისი

ნურც შერცხვება ნურვინ, ვინც შენ გენდობა.

ფსალმუნი 25:3

შესაძლოა ჩვეულებრივი მოვლენაა, თუ ადამიანები შენი იესოსადმი ნდობის გამო გარცხვენენ. ვიღაც შესაძლოა შენს გამო, თავსაც კი გვერდზე გაიქნევს. ამ დროს უნდა გაიხსენო, რომ იესოსაც იგივეს უკეთებდნენ. დამცინავებს ერთი და იგივე გძნობა ამოძრავებთ. მაგრამ მუდამ გახსოვდეს, ისინი არ არიან, ვინც ბოლო სიტყვას იტყვის. ამას უფალი გააკეთებს. საკითხი ბოლომდე არ გადაიჭრება, სანამ ის არ დაილაპარაკებს. ბოლო სიტყვა ყოველთვის ღმერთს ეკუთვნის.

თუ შენ იესოს ენდობი, მაშინ შერცხვენას არ გადაეცემი. ამას ღმერთის სიტყვა ამბობს. ამაში შეგიძლია მას დაუჯერო. შეიძლება ეს ყოველივე იმის გამო უნდა განიცადო, რათა საკუთარ სამყაროში ყველაფერი ჩამოიშალოს. ქრისტიანებმა ხომ ეს ყველაფერი შენამდე გადაიტანეს. მაგრამ არ შერცხვები, თუ უფლის მოიმედე ბოლომდე დარჩები.

რას ნიშნავს უფლის მოიმედე?

მასში არ იგულისხმება მხოლოდ იესოსადმი ნდობის ცოდნა, არამედ მისი შესრულებაც.

დაიმედდე უფალზე არ ნიშნავს ნებისმიერ სიტუაციაში მხოლოდ იესოსადმი ანგარიშის გაწევას; არამედ უშუალოდ მისდამი ნდობის განხორციელებას.

იცოდე, რომ აუცილებელია იესოს მიენდო სულ სხვა რამ არის, ვიდრე ნამდვილად მოქმედებაში ენდობოდე მას.

ამ საკითხში არავინ არ უნდა ცდუნდეს. ცოდნა არ იხსნის; არამედ იესოსადმი რწმენაა მხსნელი ადამიანისა.

შენ ღმერთს უნდა უთხრა: მიუხედავად ჩემი ცოდვებისა, ვენდობი ფაქტს, რომ იესოს სისხლმა გამწმინდა, როგორც თოვლი სპეტაკი. შენს სიტყვაში ამბობ, 'ჭიაფერივით, რომ იყოს ჩვენი ცოდვები, თოვლივით გასპეტაკდება.' აგრეთვე შენ თქვი, რომ „შენი ძის იესოს სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისაგან." მე ვენდობი ამ სიტყვას, რადგან მის უკან თავად შენ დგახარ.

შემდგომ ამისა, შენ შერცხვენას არ დაექვემდებარები. ერთ დღეს სამსჯავროზე წარდგომა მოგიწევს, სადაც აღმოაჩენ, რომ ის რაც ღმერთმა თქვა ცათა შინაა განმტკიცებული.

ხომ არ გიკვირს, რომ ღმერთი ამ გზაზე ყოველგვარ ტკივილს, ბრძოლას და ტანჯვას უშვებს?

სიტყვა აწმყოშიც და მარადისობაში სანდო წყაროდ რჩება: „ნურც შერცხვება ნურვინ, ვინც შენ გენდობა."

1 ივნისი

სარდეს ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ასე ამბობს-თქო, ვისაც ღვთის შვიდი სული და შვიდი ვარსკვლავი აქვს: ვიცი შენი საქმენი, რომ ცოცხალის სახელი გაქვს, შენ კი მკვდარი ხარ.

გამოცხადება 3:1

იესოს სიტყვები, ნებისმიერი სხვა პიროვნების სიტყვებისაგან განსხვავდება. ჩვენ მათ სხვადასხვა დონით ვწვდებით და ვაფასებთ; მაგრამ იესო მის ნათქვამში უცდომელია. მას ადამიანის გულის გამოკვლევა შეუძლია, რასაც აკეთებს კიდეც. მას დედამიწაზე ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ დგება დღე, როდესაც ის დაილაპარაკებს და სიტყვის შებრუნებას ვერავინ ვერ გაბედავს.

„ცოცხალის სახელი გაქვს." ეს ნიშნავს, რომ სხვა ადამიანები შენზე ფიქრობენ, რომ ცოცხალი ხარ. დიახ, ჩვენ რომ გვეხილა სარდეს საკრებულო, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დაგვუფლებოდა, რომ ის გარკვეულ დონეზე ცოცხალი ეკლესიაა. მაგრამ ჭეშმარიტება სრულიად განსხვავებული იყო.

როგორ შეიძლება, რომ ქრისტიანების და იესოს განსჯა, ასე განსხვავებული იყოს?

ჩვენ შეხედულებით განვსჯით. მაგრამ უფალი გულს ხედავს. როდესაც წრფელი აღიარება გვესმის და სანიმუშო ქრისტიანის თუ ეკლესიის ცხოვრებას ვხვდებით, ბედნიერება გვეუფლება.

ჩვენ ცდუნებულნი ვართ. კულისებს მიღმა სეკულარული სული და მისი აზროვნება გვიპყრობს და რწმენის გულის ცემას მოწყვეტილი ვართ.

ეს ფაქტი ამაზრზენია. მის ნათელში ყოველი ქრისტიანი მოწოდებულია, ღვთის სახის წინაშე საკუთარი თავი გადაამოწმოს. რატომღაც ახლომხედველნი გავხდით. მიზეზი გაგვიჩნდა დავითთან ერთად ვილოცოთ: „გამომიკვლიე ღმერთო და შეიცანი ჩემი გული; შემამოწმე და გაიგე ჩემი აზრები. ნახე, ზიანის მომტან გზაზე ხომ არ ვდგავარ და მარადიულ გზაზე წამიძეხი."

ღმერთმა ჩარევა უნდა განახორციელოს. მან უნდა შემაღვიძოს, რათა სიკვდილის ძილით არ ჩამეძინოს. მნიშვნელობა არ აქვს რა დამიჯდება, უნდა შევჩერდე და საწყის წერტილს უნდა დავუბრუნდე. მე მის წინაშე ისევ, როგორც ღატაკი ცოდვილი უნდა წარვდგე. მე, ისევ უფლის წყალობის პოვნა მესაჭიროება.

იესო სულიერ მკვდარს არ უკუაგდებს. ის მათ ეძახის და აფხიზლებს. მოვიდა ჟამი შენც მოუსმინო მას და უკან გაჰყვე.

2 ივნისი

ეს იმიტომ გითხარით, რომ მშვიდობა გქონდეთ ჩემში. წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამხნევდით! მე ვძლიე წუთისოფელს.

იოანე 16:33

ღვთის შვილს ღმერთთან, იესოს რწმენით მშვიდობა აქვს. ის ჩვენი მშვიდობაა. მან ეს მშვიდობა თავისი სისხლით უზრუნველყო. არანაირ ძალას არ შეუძლია ამ მშვიდობის დარღვევა მანამ ვიდრე, მასთან ახლო ურთიერთობაში ვიმყოფებით.

იესოში მშვიდობას რამოდენიმე ასპექტი აქვს. იესოს სურვილია ქარიშხლისა და გასაჭირის დროსაც მშვიდობა ვიქონიოთ.

უამრავი რამ შეიძლება ჩვენს წინააღმდეგ მოიმართოს. წინაღობები, როგორც საკუთარი თავიდან, აგრეთვე გარე მყოფთაგან შეიძლება წამოვიდეს. ვხედავთ, რომ გარემოებები არასასურველად ვითარდება, მაგრამ მათი შეჩერება ჩვენს ძალებს აღემატება.

დიახ, ჭეშმარიტებაა იესოს ნათქვამი: წუთისოფელში ჭირი გექნებათ.

ჩვენც დაგვიდგება ჭირის დღე, როდესაც ჩვენს წინააღმდეგ ღია დევნა წამოვა.

მაშინ ქრისტიანობა, საფასურის გადახდის გარეშე აღარ იქნება. ბევრი უარყოფს მას, რადგან წნეხი და მუქარა დიდი იქნება. საკუთარი გაბედულების შენარჩუნება გაძნელდება.

რისი კეთება გვმართებს?

საჭიროა იესოს მშვიდობისაკენ გავიქცეთ. ეს ნიშნავს იმას, რომ თავშესაფარი მასში ვპოვოთ.

იესო მშვიდობით, მთლიანად სავსე და განმსჭვალულია. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ის ღვთის ნებასთან სრულ ჰარმონიაშია მოსული. იესო თავის ხალხს ამ მშვიდობისკენ უძღვის. მან ეს ჩვენი ჩანაცვლებით და გამომსყიდვით მოიმოქმედა. და რაც საკუთარ თავში არ მოგვეპოვება, დღეს მასში უხვად გვაქვს მოცემული.

იმავდროს იესო ჩვენი მაგალითია. ის გვასწავლის, რომ უფრო მნიშვნელოვანია ღმერთთან ვიქონიოთ მშვიდობა, ვიდრე ადამიანებთან. შენი ვალდებულება, მხოლოდ ღვთის ნების მორჩილებაა.

როდესაც იესომ ეს გეთსემანიაში აღასრულა, მასში მშვიდობამ დაისადგურა, რომლის წინაშეც ადამიანები დაეცნენ. მნიშვნელობა არ აქვს რისი გადატანა მოგიწევს, შენ იესოს გამარჯვების თანამონაწილე იქნები. უბრალოდ მხნეობა არ უნდა დაკარგო. უფალმა ცეცხლშიც რომ შეგიყვანოს, ის ვერ გშთანთქავს. ჩვენამდე ქრისტიანი ძმები, სიკვდილს გალობით ხვდებოდნენ. არავის შეეძლო მათგან მშვიდობის წაღება. ამ მშვიდობითა და იესოს გამარჯვებით უზრუნველყოფილნი, ისინი ფრონტის უკიდურეს ხაზზე გადადიოდნენ და საბოლოო მიზანს აღწევდნენ.

3 ივნისი

ცოცხალია უფალი, ისრაელის ღმერთი, რომლის წინაშეც ვდგავარ.

1 მეფეთა 17:1

ელია მამაცი ადამიანი იყო. ის წარდგა მეფე ახაბის წინაშე და კატასტროფული შიმშილობის შესახებ უწინასწარმეტყველა, რომელიც ისრაელის ხალხს თავს დაატყდებოდა.

ელიას ამის თქმის გაბედულება საიდან ჰქონდა? ის თავისი ნათქვამით ამ კითხვაზე პასუხს ქვცემს, როდესაც ამბობს, რომ ის ღვთის წინაშე დგას.

თუ ხალხის წინაშე დგომას ვბედავთ, საიდუმლო ჩვენი ცხოვრებისა ღვთის წინაშე დგომა უნდა იყოს. პირისპირ, ცოცხალი ღმერთის სახის წინაშე, ჩვენ აღდგომა და გასამართლება მოგვიწევს. ღმერთს ჩვენ უფსკრულიდან ამოვყავართ და მტკიცე კლდეზე გვაყენებს. პიროვნებას კი, რომელიც ამ მტკიცე საფუძველზე დგას, ხალხის წინაშე დგომა გაბედულად შეუძლია. თუ გსურს შენმა სიტყვამ სხვისი გული განმსჭვალოს, ჯერ თავად უნდა გახდე მისგან განმსჭვალული. თუ გსურს სიტყვა სხვას გადასცე, რომელ სიტყვასაც დაცემულის წამოდგომა შეუძლია, ჯერ მისი შემწეობით თავად უნდა წამოდგე. საამისოდ შენ ღვთის სახის წინაშე მუდმივად უნდა მიხვიდე. ის შენი გულის სიღმეებს ხედავს და რასაც შენ ადამიანთა წინაშე ფარავ, მისთვის გაცხადებულია. გულცივობა, დაუდევრობა და უწმინდურება გულისა, მის წინაშე ცხადი და გაშიშვლებულია. ღმერთი სიტყვის მეშვეობით შენს ნამდვილ მდგომარეობაზე გელაპარაკება.

შენ ამბობ, რომ ეს არ გაძლევთ გაბედულებას. რა თქმა უნდა არა, მაგრამ თუ თქვენ აღიარებთ ღვთის სიმართლეს და მისი სახის წინაშე დარჩებით, მაშინ ის მოვა. ღმერთს ძალიან ბევრი რამ აქვს შენთვის სათქმელი.

ეს სიტყვა იესოსია. ის ღვთის წინაშე იდგა და ის შენგან სრულიად განსხვავებული იყო. ის წმიდა, კეთილი და ღვთისთვის სათნო იყო.

ღვთის საყვარელი ძე შენს ადგილზე დასადგომად მზად იყო. ის ასეც მოიქცა. მან შენი ყოველი ცოდვა, დანაშაული და მსჯავრი იტვირთა. ამის გამო დღეს შენ მის წინაშე წარდგომა შეგიძლია. ამ გზით შენ ის, რაც იესოს გააჩნია შეგიძლია იქონია.

საკუთვრივ შენ უწმიდური ხარ. თუმცა შენ მას შემდეგ ახალი ქმნილება გახდი, რაც იესო ირწმუნე. ამიერიდან შენს მონაცვლესა და გამომსყიდველში ხარ.

მის საქმეზე დაყრდნობით თავი შეგიძლია მაღლა აწიო. თამამად შეგიძლია წარდგე ღვთისა და ადამიანთა წინაშე. ამიერიდან შენ მარადიულ და მტკიცე, ღვთის გამოსყიდვის საფუძველზე დგახარ და მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა მოხდეს, ის შენ გაბედულებას განიჭებს.

4 ივნისი

ღრუბელივით წარვხოცე შენი დანაშაული და ნისლივით - შენი ცოდვები; დამიბრუნდი, რადგან მე გამოგისყიდე.

ესაია 44:22

კარგა ხანია ეშმაკი სიმშვიდეს არ გირღვევს, მაგრამ არ გეგონოს, რომ მან დაგივიწყა. ის უცაბედად მოდის. ვერ ხედავ მას მაგრამ მისი ხმა გესმის. ის გეჩურჩულება და შენს გულში ეჭვებს აჩენს: ნამდვილად დარწმუნებული ხარ, რომ შენი ცოდვები ნაპატიებია?

შესაძლოა უკვე მრავალი წელია, რაც ქრისტიანი ხარ. უკან მოიხედავ და ყველაფერი ნაცრისფრად გეჩვენება. რამდენჯერ დაგუფლებია სურვილი, რომ ღვთისათვის ანთებული ყოფილიყავი? რამდენჯერ გადაწყვიტე, რომ ცხოვრებაში ყველაფერი შეგეცვალა? მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ჩემთვის ნაცნობია გრძნობა, როდესაც ყველა ოცნება ჭკნება. წარმატებას ვერც ქრისტიანულ და ვერც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ვერ მივაღწიე, რისი რეალიზებაც მთელი ჩემი გულით მსურდა. ამის გამო საკუთარი თავის ბრალდება და შეურაცხყოფა ხშირად მაკითხავდა.

ამ დროს ადვილია წინ გადავდგა ნაბიჯი და გავიაზრო, რომ მიუხედავად წარუმატებლობისა, ღვთის მადლი ჩემს მდგომარეობას მაინც დიდად აღემატება.

თუ ასე იფიქრებ, მიხვდები, რომ უფალი გიცნობს შენ და მას შენს დასახმარებლად მოსვლა სურს.

ის თავისი სიტყვის დიდი დამარწმუნებლობით ნამდვილად მოდის შენთან: „ღრუბელივით წარვხოცე შენი დანაშაული.“

ყურადღება უნდა მიაქციო იმ ფაქტს, რომ ესაა, რასაც ღმეთი თავის მხრივ აკეთებს. იესოში სიკვდილი, შენი ცოდვები და შეცდომები სრულიად წარხოცილია. ისინი შენგან აღებულია, რადგან იესოზე იქნა დაკისრებული. შენი ვალების გამო ის ღვთის რისხვისა და მსჯავრის ქვეშ იქნა ჯვარცმული. იესომ თავის თავზე მიიღო დარტყმა, რათა შენ მისგან თავი დაგეღწია.

ამიტომ უფალი გეუბნება შენ, „დამიბრუნდი, რადგან მე გამოგისყიდე!“ ღმერთი შენ მსჯავრითა და ბრალდებით აღარ გხვდება. არა, ის შენ გამოსყიდვით გეგებება. იესოს წყალობით ღმერთი ყოველი ცოდვისაგან განთავისუფლებს. ამას ის გოლგოთაზე აღსრულებული საქმით ანხორციელებს.

თუ შენ, საკუთარი სიღარიბიდან გამომდინარე თავშესაფარს იესოში პოულობ, შენში არანაირი ცოდვა და უკეთურება აღარ რჩება. იესოა შენი შემცვლელი. ღვთისათვის ეს სრულიად საკმარისია. ამიტომ ყოველივე ეს, შენთვისაც საკმარისი უნდა იყოს.

5 ივნისი

მიუგო სიმონმა პასუხად: „მოძღვარო, მთელი ღამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ. მაგრამ შენი სიტყვისამებრ ჩავუშვებ ბადეს.“

ლუკა 5:5

ამაო გარჯასა და იესოს სიტყვის თანახმად ბადის ჩაშვებას შორის, არსებობს კავშირი. მანამ ვიდრე საკუთარი საქმით ვღებულობთ სარგებელს, იესოს ნათქვამ სიტყვას დიდად ყურადღებას არ ვაქცევთ.

ღმერთის შვილი ხშირად პეტრეს მსგავს გამოცდილებებს ღებულობს.

დროდადრო საფრთხისა და ბრძოლის წინაშე დგები. ღამე ბნელა და უკვე ყველაფრის სასრული გგონია. მნიშვნელობა არ აქვს, რომელ სათევზაო მდგომარეობაში ხარ, რეზულტატი იგივეა. აზრიც არ აქვს, ბადეს რომელ მხარეს მოისვრი. ამ დროს ყველაფერი ამაოა.

მაშინ კვირვობ, უფალი დასახმარებლად რატომ არ მოდის. მიუხედავად შენი თხოვნისა, ჩარევას რატომ არ ახდენს?

ნუთუ ღმერთმა თავისი აღთქმები დაივიწყა?

არა, არ დაუვიწყია. ის მდუმარებაშია, რათა ბიბლიაში იმ სიტყვის მოძებნა გასწავლოს, რაზეც მყარად დადგები. ის თავის აზრებში შეგიძღვება, რომელი აზრებიც შენსას დიდად აღემატება.

ეს მისთვის ხდება, რომელიც ჯერ ვერ მიმხვდარა, რომ ყველაფერი ღვთისაგან მოდის. მაშინ, როდესაც ჩვენი ჭები ამოიწურება, უფალი წვიმას ზეციდან გვიგზავნის.

შენს ცხოვრებაში, როგორც ქრისტიანის, ყველაზე მდიდარი პერიოდები მაშინ დგება, როდესაც მისი წინამძღოლობით სიტყვის მტკიცე და შეურყეველ ადგილზე ხვდები. გამოცდილება გაჩვენებს, რომ ყველა სხვა საფუძველი მერყეობს. მხოლოდ ერთია შეუძრავი და მუდმივი. ეს ის ნიადაგია, რომელიც თავად ღმერთმა დააფუძნა. წარმოიდგინეთ, პეტრემ იმ პირველი შემთხვევით რა კურთხევა განიცადა, როდესაც ღმერთის სიტყვის თანახმად იმოქმედა!

მისი ცხოვრება ბრძოლითა და უთანხმოებით იყო სავსე. მრავალი მარცხიც განიცადა. მაგრამ უფალმა, ყოველივე ამით ის ზეცისკენ მიმავალ გამარჯვების გზაზე წაიყვანა.

ჩაეჭიდე ღმერთის სიტყვას; მას მიეკარი. ვისაც რა უნდა ის ილაპარაკოს. შენი აზრები და გრძნობები სხვა რამით ძლეული ნუ იქნება.

მსურს გაცნობო, რომ სიტყვა იქედან ახდენს შენს მხარდაჭერას, სადაც უიმედობის მეტი არაფერი ჩანს. ღვთისათვის ხომ ყველაფერია შესაძლებელი. ის ყველაფერს თავისი სიტყვით აკეთებს. ჭეშმარიტება ისაა, რომ ღვთის სიტყვა ზეცაში სრულად სრულდება. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისაა მთავარი, რომ ის ზეცაშია განმტკიცებული. ირწმუნე ის, იცხოვრე მით და შენს ცხოვრებაში აღასრულე!

დაე, მის დიდებაში შენ მან შეგიყვანოს!

6 ივნისი

... და დამყარდეს საუკუნო სიმართლე...

დანიელი 9:24

ეს დანიელის წიგნია, რომელიც ასეთ დიდებულ გამოთქმას იყენებს: „და დამყარდეს საუკუნო სიმართლე.“ ეს იმ პიროვნებაზე მიუთითებს, რომელიც არა მარტო ცოდვის გამოსასყიდი შეიქნა, არამედ, რომელმაც თავისი სიმართლის მოსასხამით შეგვმოსა კიდეც.

რაც ჩვენ გვჭირდება, ეს საუკუნო სიმართლეა. ერთი-ორი დღით მართლად ყოფნა საკმარისი არაა. არც სიცოცხლის ბოლომდე არ არის საკმარი. ისეთი სიმართლეა საჭირო, რომელიც მარადისობაში გადაგვყვება. ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის საუკუნოა.

ასეთი სიმართლის მოპოვებას შენით ვერასდროს შეძლებ. მისი მიღწევისათვის მთელი შენი ძალების კონცენტრირებაც რომ მოახდინო, მაინც ვერაფერს გახდები. კაცთა შეხედულებით შესაძლოა გამორჩეული გახდე, მაგრამ ღვთის სახის წინაშე საუკეთესოც კი რაც გიკეთებია ერთბაშად დაიფერფლება, რადგან ღმერთი მჭამელი ცეცხლია.

ამიტომ გადარჩენის მიღების ერთადერთი შანსი არის, თუ მას ვინმე სხვა მოგცემს. აი ეს გააკეთა იესომ. ისაა შენი სიმართლე.

მაშასადამე, გადარჩენა მხოლოდ იესოს რწმენითა და დაჯერებითაა. მისდამი რწმენა, მის საკუთარ სიმართლედ ცნობას ნიშნავს. აი, რისი გაკეთებ გმართებს. რად გინდა საკუთარი თავის გამოსწორების გზაზე დგომა, თუ ის მიზნამდე მაინც ვერ მიგიყვანს? რად გინდა საკუთარი ძალით იმის მოპოვება, რაც ღმერთმა უკვე მოგიპოვა? ან რად გინდა იმის ყიდვა, რაც მან უკვე უფასოდ, დაუმსახურებელი მადლით უკვე მოგანიჭა?

ირწმუნო ნიშნავს, მადლობდე. ეს ერთბაშად ყველაზე ადვილი და ყველაზე ძნელიცაა.

შენ არსებაში ყველაფერი, ღვთის უფასო მადლს აპროტესტებს. ვერ გებულობ, რომ გადარჩენის მიღება ასე ადვილია. მიუხედავად ამისა ეს ერთადერთი გზაა. საჭირო, ღვთის მადლის სიტყვაზე ჩაჭიდებაა. გაბედე მისი რწმენა და მით იმოქმედე. მის გამო არ გაწბილდები. იესომ მისი მარადიული სიმართლე შენზე გადაფინა. მან შეგისყიდა. მან მოგნათლა. მისი გული კი მოწადინებულია, რომ შენ ადგილი მის სიმართლეს მისცე, რომ შენს ცხოვრებაში ცვლილება მოიტანოს. თუ მისი სიმართლით ხარ გარემოცული, მაშინ შენი სიმართლე აღარაფერს ნიშნავს.

7 ივნისი

ცრემლით მთესველნი სიხარულის შეძახილით მოიმკიან.

ფსალმუნი 126:5

ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ ღვთის სასუფეველი წარმატებას, ღიმილითა და ხალისით აღწევს. ხოლო თუ ადამიანებს ვერ დავანახებთ, რომ ქრისტიანობა გვაბედნიერებს და გვახალისებს, მისკენ ვერავის ვერ მოვაქცევთ. ასეთი აზროვნება სეკულარულია. ღვთის სასუფეველი მარკეტინგული კანონებით არ ვრცელდება.

ღვთის სასუფეველი დედამიწაზე ცრემლთა სამეფოა. იცი, რამდენი ცრემლია იქ დაღვრილი? იესო ატირდა, პეტრე ატირდა, იოანე ატირდა და ურიცხვი ქრისტიანი საუკუნეების განმავლობაში მათ მსგავსად იქცეოდა.

დღეს დიდი მოქმედებებია, მაგრამ რეზულტატი მცირე. ჩემის აზრით ერთერთი მიზეზი ესაა, რომ ცრემლით თესვა მხოლოდ მცირეს სურს.

იესოს სურს მისი უღელი ავიღოთ. მას აქვს ტკივილი, რომლის გაზიარება ჩვენთან უნდა. ეს ტკივილი დაუხსნელი ხალხისადმია. მისი სურვილია, დაღუპვისაკენ მიმავალი ადამიანების გამო ტკივილი შენთვის დაუთმენელი გახადოს. უფალი ასე გააკეთებს, რადგან ის მისთვისაც დაუთმენელია. დაკარგულებისადმი სიყვარულმა ის გოლგოთაზე მიიყვანა და თვით წუთისოფლის აღსასრულამდე მისგან იქნება აღძრული. იესო მას მიჰყვება, ვისაც მოუსვენრობა იმის გამო იპყრობს, რომ ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ერები, რომელთაც სახარება არ სმენია.

ნიადაგი ყამირია. ბევრი არ მიიღებს იესოს. დანებებისადმი ცდუნება დიდია. მაგრამ ვიდრე იმედი არსებობს, სიყვარული არავის არ ჩამოწერს.

შენ ვინც დანებების ცდუნების წინაშე დგახარ, ისმინე ეს: „ცრემლით მთესველნი სიხარულის შეძახილით მოიმკიან.“ ღმერთი შენს ცრემლებს ხედავს და ამ სიტყვებით გარწმუნებს: სიხარულის შეძახილით მოიმკი.

ღვთის სასუფეველში მრავალი ცრემლია დაღვრილი. მაგრამ ბოლოში ტირილი არ იქნება. დადგება დღე, როდესაც ღმერთი ყოველ ცრემლს ჩვენი თვალებიდან მოგვწმენდს. ჯერ ეს დღე არ დამდგარა. სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, სინათლესა და სიბნელეს შორის, ღვთისა და სატანას შორის ბრძოლა კვლავ გრძელდება. ხოლო თითოეული ქრისტიანი ამ ბრძოლაშია ჩართული.

რჩევა ხორცსა და სისხლს არ უნდა დავეკითხოთ. მხოლოდ ერთი გზაა, რომლითაც უნდა წავიდეთ და ის წინ მიდის. ერთი ხელი კავზე გაქვს ჩაჭიდებული, ხოლო მეორეთი თვალებიდან ცრემლს იწმენდ. სულ მალე მოვა ის დღე, როდესაც ღმერთი მოგწმენდს ყოველ ცრემლს. იცოდე ზეცა შენთვის არის.

8 ივნისი

... მისი სიბრალული არ გამოლეულა. განახლდება ყოველ დილით, დიდია შენი ერთგულება.

გოდება 3:22-23

პავლემ და მისმა თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ ყველაფერი ერთ რამეზე, იესოს ქადაგებაზე იყო დამოკიდებული. ამის გამო ისინი მას მსმენელთა თვალწინ, როგორც ჯვარცმულს სახავდნენ.

ჟამი შეიცვალა, მაგრამ შველა იგივეა. შენც იესოსადმი გმართებს ყურადღების გადატანა. ისეთი გაჭირვება არ არსებობს, მისადმი მიმართვა, რომ ვეღარ შეძლო.

შეუძლებელია იესოს უყურო და შენს წინ ის ადამიანები ვერ შენიშნო, რომელნიც სვლას წყვეტენ.

შესაძლებელია ვიღაც დაიღალოს, მაგრამ ის არა. უფალი გისმენს შენ და მისი უდიდესი სურვილია, შენს გაჭირვებაში ჩარევის ნება მისცე.

იესო ყოველთვის ისე არ ახდენს ინტერვენციას, რა სახითაც თავად გსურს. შენ გამარჯვება და ძლიერება გინდა, მაგრამ იესო მადლს განიჭებს. ის ამას აკეთებს ვინაიდან იცის, ყველაზე მეტად რა გჭირდება. მან იცის, ისეთი ქრისტიანიც რომ გახდე, როგორიც გსურდა გამხდარიყავი, მისი განმწმენდი სისხლის გარეშე კვლავ დაიკარგები.

ყველაზე დიდი შენი და ჩემი საჭიროება, ყოველი ცოდვისგან განწმენდაა. ეს კი მხოლოდ იესოს სისხლით ხდება.

ფაქტი იმისა, რომ მან თავისი სისხლი ჩვენს გამო გაიღო, იმას ნიშნავს, რომ მან ღვთის რისხვიდან და მსჯავრისაგან ჩვენდა სახსნელად, თავისი სიცოცხლე დადო. მან ჩვენი ცოდვა, მთელი მისი საზიზღრობით იტვირთა. ღვთის სიტყვა ამბობს, რომ ის თავად გახდა ცოდვა.

ცოდვა, რომელიც მან იგემა, მისი არ იყო. ღმერთმა შენი ცოდვები იესოს დააკისრა. ძემ, როგორც შესაწირავმა კრავმა, ისინი, ღვთის მსჯავრის ქვეშ იტვირთა. ღმერთმა დაუშვა, რომ იესოს ცოდვის შედეგი მიეღო. ამის გამო გახდა სიკვდილი მისთვის ასე მწარე. მისი არიდება იესოს არც კი უცდია. მან ბრძოლა ბოლომდე ისე მიიყვანა, დასასრულს შემდეგი სიტყვა წარმოთქვა, „აღსრულდა!“

პავლე ამბობს, ჩვენ მას ვქადაგებთ. მან თავად იხილა იესო და მან ყველაფერი შეცვალა. რწმენა ჯვარცმული და აღმდგარი უფლისა, მის ცხოვრებაზე გადმოღვრილი ულევი მადლის მიზეზი გახდა. იგივეა შენდამი. სიტყვა ჯვრის შესახებ ღვთის ძალაა გადასარჩენად, ახლაც და უკუნისამდეც. ის ყოველი გაჭირვების, საფრთხის და განსაცდელის ჟამს შეწევნაა — და ეს დღესაც ასეა.

9 ივნისი

განვადიდებ უფალს ყოველჟამს, გამუდმებით იქნება მისი ქება ჩემს ბაგეებზე.

ფსალმუნი 34:1

ბიბლიაში ბევრი ისეთი სიტყვაა, რომელსაც ღვთის მიერ განზრახული კურთხევისგან შენი გაძარცვა შეუძლია; ერთი მიზეზი ამისა ისაა, რომ შენ ღვთის სიტყვას ღებულობ, მაგრამ მის მიერ ნათქვამს არ აკეთებ. ამიტომ შენ მხოლოდ ნაწილობრივ განიცდი სიხარულს, ძალას და ძალაუფლებას, რომლის მონიჭება სიტყვას შენთვის სურს.

ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ არცერთ ჩვენგანს საკუთარი ძალით ღვთის სიტყვის შემეცნება არ შეუძლია. მისი გულში მიღება და ცხოვრებაში ნაყოფის გამოღებისათვის მისი გამოყენება, არ ძალგვიძს. მაგრამ საამისოდ იესომ გზა გვიჩვენა: „თუ რამეს ითხოვთ ჩემი სახელით, მე გავაკეთებ!“

როდესაც რამეს ითხოვ, უფლის აღთქმებიდან უნდა ამოხვიდე. უფალი ყოველჟამს უნდა ადიდო. სიმართლე კი ისაა, ცხოვრება ისეთი რამ არის იშვიათად თუ მოგინდება უფლის განდიდება. ცხოვრება ბრძოლით და სიძნელეებით არის სავსე, რომელთაც ადვილად შეუძლიათ შენი განდიდების საგალობელი ჩამოახმონ.

თუ გსურს მუდმივად ადიდებდე უფალს, მაშინ გული შენი დიდების წყაროსთან ახლოს უნდა შეინარჩუნო. ამის პოვნას თვით უფალში შეძლებ, არა უბრალოდ იმ გამოცდილებებში, რაც ღმერთთან გადაგიტანია, არამედ უშუალოდ იმ სურათში, რასაც ბიბლია მის შესახებ სახავს. ღმერთი თავისი ვინაობის შესახებ ჭეშმარიტებას, თავის სიტყვაში აცხადებს. მთელი წერილი მის შესახებ ლაპარაკობს.

განდიდების გზა, სიტყვაში თავის დაკარგვაზე გადის. ღმერთს ჩვენს შექმნამდე ჰქონდა ხსნა უზრუნველყოფილი. ჩვენ იესოსთან ვართ კავშირში, ვინც დასაწყისიდან ღვთის გულთან შესარიგებელი მსხვერპლია. ღმერთმა, რომელმაც საკუთარი ძე არ დაინდო, არამედ თითოეული ჩვენგანისათვის გასცა, განა მასთან ერთად ყოველივეს უხვად არ მოგვანიჭებს?

ღმერთმა გვიხსნა სიბნელის ძალაუფლებიდან და თავისი საყვარელი ძის სასუფეველში გადაგვიყვანა. ადგილი შენთვის მზადაა. შენ ზეცად გელიან, სადაც იესოს ყველაფერი აქვს მომზადებული.

როდესაც გონება და გული ამ დიდებულ სიმდიდრეს ჭვრეტს, ყველაფერი დანარჩენი ტრივიალური ხდება. პირი სავსეა უფლის განდიდებით. დიახ, შენ უფლის განდიდება მუდმივად გმართებს.

10 ივნისი

ამიტომ გთხოვთ ჭამოთ, ვინაიდან ეს თქვენივე გადასარჩენადაა საჭირო.
საქმე 27:34

როდესაც პავლემ თავის თანამგზავრებს ეს რჩევა მისცა, ზღვაზე სრულიად ექტრემალური სიტუაცია იყო შექმნილი. გემი მალტას სანაპიროზე მალე ნაწილებად დაიმსხვრეოდა, მაგრამ ბორტზე მყოფი ყოველი მგზავრი გადარჩენას მხოლოდ საკვების მიღების გამო შეძლებდა.

შენც საშიშ მოგზაურობაში იმყოფები. დარწმუნებული არ ხარ, სანაპირობდე მისვლას უსაფრთხოდ თუ შეძლებ. ზღვის აზვირთებულმა ტალღებმა უკვე მრავალი შთანთქა.

უნდა იცოდე, ხსნა შენზე და შენს ძალაზე რომ იყოს დამოკიდებული, მას თავს ვერ გაართმევდი. დინება თავის მიმართულებით წაგიღებდა. მაგრამ არის ის, რომელსაც შენზე ხელი ძლიერად აქვს ჩაჭიდებული. ამიტომ საკუთარი თავის გადარჩენა თავად არ გიწევს.

საამისოდ საკვების მიღებაა საჭირო. მრავალი ქრისტიანი უჭმელობით დაიხოცა. ისინი ყოველდღიურად ამცირებდნენ და ამცირებდნენ საკვებს. გარეგნულად ყველაფერი კარგად ჩანდა. ვინაიდან ბიბლიის კითხვა, ლოცვა და ეკლესიურ მსახურებაზე დასწრება არაა გადამრჩენელი.

ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე მშვიდობამ დაისადგურა. ადამიანებმა სულიერი სიკვდილის მიღება დოზირებულად იწყეს. ეს იმდენად უჩუმრად მოხდა, შესამჩნევი არავისთვის გამხდარა. ერთადერთი გარეგნული ნიშანი მხოლოდ ის იყო, რომ ასეთი პიროვნება იშვიათად თუ გამოჩდებოდა იქ, სადაც საკვების მოპოვებაა შესაძლებელი.

ღვთის სიტყვის უგულებელყოფა ცოდვად არაა მიჩნეული. თუმცა ის ერთერთი იმ ცოდვათაგანია, რომელმაც ადამიანთა უმრავლესობა დაღუპვისაკენ წაიყვანა.

დაე, ღმერთის სულიწმიდამ შენს სულში ცეცხლოვანი მახასიათებლები აანთოს: შენ საკვების მიღება გჭირდება. ეს გადასარჩენადაა საჭირო.

ძველ ბუნებას მუდამ წინააღმდეგობა სურს. მისი აზრით ყველაფერი დანარჩენი უფრო აღმაფრთოვანებელი და საინტერესოა. მაგრამ შენი ცხოვრების განმგებელი ძველი ბუნება არ უნდა იყოს.

შენი ახალი კაცი ღმერთის სიტყვაში ცხოვრობს. ჯანმრთელი კაცი სადილს მუდამ გემრიელად შეექცევა. მსგავსად ამისა, შენი ახალი კაცი ყოველთვის სიხარულით ღებულობს სიცოცხლის პურს.

ღმერთის სიტყვა შენი ყოველდღიური პურია. თუ მას არ შეჭამ მოკვდები.

11 ივნისი

მრავალი სიავე ხვდება მართალს და ყველაფრისაგან იხსნის უფალი.
ფსალმუნი 34:19

ძნელია სიავის გადატანა (ის გაჭირვებადაც შეიძლება ითარგმნოს). ამ მდგომარეობას შინაგანად, რაღაც აპროტესტებს. ჩვენთვის მისი არსებობა გაუგებარია. ყველა ადამიანს სიავე რატომ გვხვდება? ნუთუ ის სხვებზე უფრო მეტად დავიმსახურეთ?

ის ჭეშმარიტების შეცნობაში გვეხმარება. ღვთის სახის წინაშე ჩვენ მტვერი და ნაცარი ვართ. მის მიმართ წინააღმდეგობა უგუნურად წარმოგვაჩენს. ნაცვლად ამისა საჭიროა, დასახმარებლად სიტყვას მივმართოთ.

თუ ასე მოიქცევი, განხიბლული არ დარჩები. ღმერთმა თავიდანვე იცოდა, მისი სულის მიერ შთაგონებული წერილები თუ, რა დახმარებას გაგიწევდა.

უფალი ამბობს, რომ მართალს მრავალი სიავე შეემთხვევა. ის აქ უმართლოზე არ ლაპარაკობს. მრავალი სიავე მართალს შეხვდებაო. ამიტომ დამდგარი სიავისა თუ ჭირის გამო არ უნდა იფიქრო, რომ ღვთისგან მიტოვებული და უკუგდებული ხარ. არც ის უნდა იფიქრო, რომ მას შენს მიმართ რაიმე საწინააღმდეგო აქვს. თუ იტანჯები, მართალი ხარ და იმიტომ. სიავის უკან ღვთის აღმზრდელობითი ხელია და ის საჭიროა, თუ იესოზე დამოკიდებულებას ღრმა რწმენით ხარ მიცემული.

ყურადღებამისაქცევია აგრეთვე, რომ უფალს მართლის ხსნა სურს. ის ამას როდის გააკეთებს, არ აკონკრეტებს. თუმცა ეჭვებში შენს ჩავარდნას არ დაუშვებს. მთავარი ისაა, რომ მას შენი ხსნა სურს. არა ზოგიერთი სიავისაგან, არამედ ყოველი სიავისაგან.

შენი მხსნელი, ჩვენი უფალი იესო ქრისტე, ღვთის სიტყვის უტყუარობის დამადასტურებლი ღვთაებრივი ბეჭედია. იესოს ცხოვრება სიავეთა ვრცელი სერია იყო. როგორი ტაჯვითი სიკვდილი ერგო, კარგად იცი. თუმცა უფალმა ის ყველაფრისაგან იხსნა.

იგივეა შენს ცხოვრებაშიც. ღმერთს არ უთქვამს, რომ მისი დახსნა ამ ცხოვრებაში იქნება. თუ სიკვდილამდე არა, ის მარადისობაში გააკეთებს ამას. უბრალოდ უნდა იცოდე, რომ ის დღე ახლოა.

სიავე მომავლის ჭვრეტაში გეხმარება. შენს ფეხთ უფრო მკვირცხლს ხდის. მალე ახალ იერუსალიმში იქნები. იქ, რაც დღეს გამძიმებს თუ გვნებს, ყველაფრისაგან თავისუფალი იქნები.

12 ივნისი

დაივიწყე ხალხი შენი და სახლი მამაშენისა. მაშინ ისურვებს ხელმწიფე შენს მშვენებას.

ფსალმუნი 45:10-11

ეს აკრძალვა დედოფლისადმი არის. დიდებისა და სიუხვის ჟამს, მისი გული იმ სამყაროსკენ იხრება, სადაც მანამდე ცხოვრობდა, ვიდრე მეფე მასზე იქორწინებდა.

ღმერთის შვილს იგივე შეიძლება დაემართოს.

შენ არ აგირჩევია იესო, არამედ იესომ აგირჩია შენ. მან გადარჩენის სამოსელით შეგმოსა. ისაა მეფის ძე, რომელიც საქორწილო დარბაზისაკენ მიგიძღვის.

წარსულში დამდაბლებული იყავი; ახლა ამაღლებული ხარ. წარსულში უწმიდური და ცოდვის შლამის მატარებელი. ახლა უმწიკვლო და თოვლივით თეთრი. ისმის კითხვა, როგორ შეიძლება ისევ ცოდვის სამყარო მოგენატროს?

ამის მიზეზია ეშმაკი, ქვეყნიერება და შენი ძველი ბუნება.

როდესაც ღმერთის შვილი გახდი, ეშმაკმა შენს მიმართ ახალი დამოკიდებულება შეიძინა. როცა მისი იყავი, არ გაწუხებდა. აშკარაა, მის საკუთრებაში მყოფს გიფრთხილდებოდა. მისი ამოცანის განხორციელება მაშინ უფრო ადვილი იყო ვიდრე ახლა. მას შენი უკან დაბრუნება სურს. ის ცდილობს იესო შენი ნეფე არ იყოს, ხოლო შენ მისი საპატარძლო.

ეშმაკმა კარგად იცის, ჩვენი ძველი ბუნებისადმი ქვეყნიერებას, როგორი მიმზიდველი ძალა აქვს. მან მის მუხლებთან დამხობილი უამრავი ადამიანი იხილა, როდესაც ქვეყნიერების ძალითა და დიდებით იქნენ ცდუნებულნი. მისი წარმოჩენისას ის, საოცარი და მაცდური შუქითაა წარმოდგენილი.

ვინაიდან იესოზე ძალაუფლების მოპოვების მცდელობა მისთვის წარუმატებელი გამოდგა, იგი უფლის მიმდევრებზე გადავიდა. ის ნამდვილად მუხლჩაუხრელი მშრომელია. დღედაღამ დაძრწის და საკუთარ თავს მოსვენების უფლებას არ აძლევს.

შენ რომელიც იესოს საპატარძლო ხარ: დაივიწყე ქვეყნიერება! არ დაუშვა, რომ გული მისით მოიხიბლოს!

ღმერთის სიტყვა გასწავლის, რომ ქვეყნიერება დაღუპვისაკენ მიდის. ამის დანახვა თავადაც შეგიძლია. ჩრჩილი და ჟანგი ყველაფერს სპობს, ქურდები თხრიან და იპარავენ, ხოლო ადამიანები, რომელნიც ოდესღაც გაკერპებულნი და პატივდებულნი იყვნენ, დავიწყებას ეცემიან.

დაივიწყე ქვეყნიერება, რომლის გამომშვიდობებაც სულ მალე მაინც მოგიწევს. თვალი მეფეს მიაპყარი და მასზე დარჩეს. ამი შემდეგ კი მისთვის სასურველი შეიქნები.

13 ივნისი

საქმის აღმსრულებელს საზღაური ჩაეთვლება არა მადლის, არამედ ვალდებულების მიხედვით.

რომაელთა 4:4

მრავალი ქრისტიანი ბედნიერი არ არის. მათი აზრით თავის წარმოსაჩენად კარგი საქმეები არ აქვთ. მიუხედავად იმისა მრავალი წელია უკვე ქრისტიანები არიან, ღვთის წინაშე თავი მოწონება არაფრით შეუძლიათ. ერთადერთი რაც მის წინაშე შეიძლება მოიტანონ, ეს მხოლოდ მათი ცოდვებია.

ამის გამო ისინი კითხვას სვამენ: სასამართლოზე ჩემი საქმე, როგორ წარიმართება? განა ღმერთი არ უარმყოფს, რადგან ის ჩემში ვერანაირ ნაყოფს ვერ ნახავს?

თუ ასეთი გრძნობა გეუფლება, სასოწარკვეთის მიზეზი არ არსებობს. თუ მსგავსი კითხვა გიჩნდება, ეს ნიშნავს შენ, როგორც ღმერთის შვილს დამსახურების მიხედვით განკითხვა არ გსურს.

წარმოვიდგინოთ, ისეთი რამ გაქვს, რაც ღვთის გამოცდას გაუძლებს და გადალახავს. მაშინ მადლის მიხედვით ვეღარ მიიღებ საზღაურს, არამედ მით, რაც წარმოაჩინე. ხოლო ამ შემთხვევაში საქმე, როგორ წავა?

პიროვნება მხოლოდ იმით განისჯება, რისი წარმოჩენაც შეუძლია. ჭეშმარიტი ქრისტიანი მხოლოდ იესოს აჩვენებს. საჩვენებელი მას სხვა არც არაფერი აქვს.

ვინმემ შეიძლება იკითხოს, რამდენად ძნელი იქნება ქრისტიანისათვის ფიქრი იმ ფაქტზე, რომ ის ღვთის წინაშე წარდგება და იესოს მეტი არაფერი არ ექნება. ასეთი მიდგომა გვასწავლის, რომ ჩვენ ისევ საკუთარი სიმართლის მშენებლობით ვართ დაკავებული. კურთხეული ხარ შენ თუ ამ მიმართულებით წარმატებას ვერ აღწევ, ვინაიდან ღმერთი მხოლოდ მადლით მოგიზღავს.

შენ რომელიც ფიქრობ, რომ ღვთის წინაშე რაღაცით მოიწონებ თავს — საცოდავი ადამიანი ხარ. შენ ხომ მით განიკითხები, რასაც მის წინაშე მიიტან. ამის გამო ჯოჯოხეთს დაექვემდებარები, რადგან არაფერია ჩვენში, რაც ცოდვით ინფიცირებული არაა. ღვთის სიტყვა ამბობს, ყოველი ჩვენი სიმართლე დაბინძურებული სამოსელივითაა.

შეიძლება რჩევა მოგცე?

ის მცირე საქმენი, რომლის ჩვენებას ღვთის წინაშე ფიქრობ, დაივიწყე. იესოს რწმენით ჩაეჭიდე; როცა ღმერთი თვალს მოგაპყრობს, ხელი მისკენ გაიწოდე. მაშინ ის დაუმსახურებელ მადლს მოგანიჭებს. ამას ის თავის სიტყვაში ამბობს, ხოლო შენ მის ნათქვამს ენდო.

14 ივნისი

ბეთანიამდე გაიყვანა და ხელებაპყრობილმა აკურთხა ისინი.

ლუკა 24:50

იესოს ხელებს შეუძლია მისი ისტორია გიამბოს. ისინი მუდმივად გაწვდილი იყო ღატაკი ბრმების მიმართ და ისეთ კეთროვნებს ეხებოდა, რომელთაც არავინ ეკარებოდა.

იესოს ხელები მოწაფეთა მეხსიერებაში, ასე ღრმად რატომ ჩარჩა?

იმის გამო ხომ არა, ვინაიდან მათ იცოდნენ, რომ მისი კურთხეული ხელები მათზე რჩებოდა? იესომ გააცოცხლა ფსალმუნ 139:5-6-ს სიტყვები, „...ხელი დამადე. გაოცებული ვარ, როგორ შემიცანი ასე; ჩემს გონებას აღემატება."

საბოლოოდ მისი ხელები განმსჭვალულ იქნა. ხის ჯვარზე მისი დალურსმვნა მოხდა.

წინასწარმეტყველ ესაიას წიგნში წერია: „აჰა, ხელის გულებზე ამოგტვიფრე. . ." შენი სახელი იესოს ხელებზეა ამოტვიფრული. ის არასოდეს დაგივიწყებს. არც მაშინ, როდესაც თავისი სიყვარულით შენს დისციპლინირებას შეუდგება.

იესო თავის ხელებს რამდენჯერაც შეხედავს, შენ აგონდები, რომელიც მასზე ხარ ამოტვიფრული. მისი ხელიდან შენი წაგლეჯვა არავის შეუძლია, ვინაიდან იესოს ხელებსა და მის გულს შორის უწყვეტი კავშირია.

დედამიწაზე მის შესახებ მოწაფეებმა ბოლოს რაც იხილეს, იესოს მათკენ გაწვდილი მაკურთხებელი ხელები იყო. თითოეულმა მათგანმა სიცოცხლის განმვალობაში დიდი სიძნელეები განვლო. ზოგი მათგანი წამებულიც კი გახდა, მაგრამ ყოველივე ამისაგან ისინი კურთხევას ღებულობდნენ.

დროისა და მარადისობის კავშირზე ფიქრით, გაოცება გვიპყრობს. ქრისტიანი დედამიწაზე უფლის ხელის ქვეშ ცხოვრობს, ხოლო მარადისობაში გადასვლისას, რასაც ის პირველად იხილავს, ისევ მისკენ გამოწვდილი მისი ხელი იქნება. შენ იესოს იხილავ და არა სხვას. მისი ხილვა, სიყვარულის ფასის დანახვის გარეშე არ მოხდება. განმსჭვალული ხელები, ჩუმად მაგრამ ძალისმიერად მეტყველებენ. ძვირია შენთვის გადახდილი, მაგრამ იესოს აზრით ამად ღირდი. უფლის სურვილია საუკუნოდ მისი კურთხევის ქვეშ დარჩე. ეს არ დაგიმსახურებია. ის დაუმსახურებელი მადლია. მას უსასყიდლოდ ვღებულობთ. ამიტომ არასოდეს გექნება სიამაყის საბაბი. უფალია შენი სიმდიდრე, სიხარული და სიმღერა. ხოლო შენ მას პატივს, მისი საოცარი ხსნისათვის მიაგებ.

15 ივნისი

მე კი ნუმც დამეკვეხნოს, თუ არა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით, რითაც წუთისოფელი ჩემთვის არის ჯვარცმული, მე კი — წუთისოფლისათვის.

გალატელთა 6:14

რა ნიშნავს, კვეხნა? ეს ნიშნავს საკუთარ თავზე ყურადღების მიქცევა. ეს ცოდვა ჩვენს შორის მეტად გავრცელებულია. შეიძლება არ ვაღიარებთ, მაგრამ ჩვენი სიტყვებით, ყოველთვის თავის წარმოჩინებას ვცდილობთ. ხშირად საკუთარი ქონებით სხვას ვედრებით. ხოლო ასეთი შედარებები დიდ განხეთქილებასა და შურს ბადებს.

პავლემ კარგად იცოდა, რომ ცოდვილთა შორის ის უდიდესი ცოდვილი იყო. ამიტომ მის მიღწევებს არაფრად არ მიიჩნევდა. ის მხილებული იქნა და ღვთის სახის წინაშე ყოველგვარი საზღაურის გარეშე, დაკარგული რჩებოდა. მაგრამ ის ხელცარიელი არ იყო. მას ღმერთმა იესო მისცა. და თუ დაიკვეხნიდა, ეს მხოლოდ მისით შეეძლო.

განა იესოზე რაიმეს შედარება შეიძლება? არაფრის. ის შეუფასებელი მარგალიტია. მისით შეგიძლია იამაყო.

ჩვენს ძველ ბუნებას იესოზე ყურადღების გადატანა არ მოსწონს. მას თავის თავზე უნდა პატივის მიგება. თუმცა მისი ჯვრის გამო შენზე ცოდვა ვეღარ უფლობს. ამიტომ საკუთარ თავთან ვალში არაფერში არ ხარ. არც ქვეყნიერების გმართებს რამე. შენ იესოს მოვალე ხარ. ხოლო როდესაც ის, ერთადერთი შენი კვეხნის ობიექტი ხდება, ყველაფერი მას უნდა მისცე.

უპირველესად და ყველაზე მეტად, შენს გულში ის უნდა ამაღლდეს. იმ ფაქტზე უნდა იფიქრო, რომ შენს მიერ ჩადენილ ყოველ ბოროტებაზე პასუხისმგებლობა მან აიღო. აგრეთვე იმაზეც უნდა დაფიქრდე, რის ნაკლოვანებასაც დღეს შენ განიცდი, ის მაინც გაქვს. ვინაიდან იესოში მისი მფლობელიც ხარ.

თავს უღირსად გრძნობ, მაგრამ არ ხარ. იესოს თვალში შენ ძვირფასი ხარ. ხოლო გადამწყვეტი იესო და მისი შეხედულებაა. თუ შენ და სხვები რას ფიქრობთ, დიდმნიშვნელოვანი არ არის.

სხვების წინაშე, შენც იესოთი უნდა იკვეხნო. ო, რაოდენ გვჭირდება ისეთი ქრისტიანები, რომელთაც თვალთახედვა მასზე აქვთ გადატანილი. ისინი საკუთარი თავიდან და საკუთარი უბადრუკებიდან თვალის მაღლა აპყრობაში, გვეხმარებიან, ვინაიდან მასში არიან აღვსილი და დახმარებას გვიწევენ, რომ მთლიანად იესოთი ვიყო გარემოცული.

16 ივნისი

ხოლო ქრისტე... მღვდელმთავარი, მოვიდა დიდი და უფრო სრულყოფილი, ხელთუქმნელი კარვით... არა ვაცთა და ზვარაკთა სისხლით, არამედ საკუთარი სისხლით შევიდა ერთხელ წმიდათა წმიდაში...

ებრაელთა 9:11-12

ყველაზე დიდი დანიშნულება მღვდელმთავრისათვის, გამოსყიდვის დღეს წმიდათა წმიდაში ზვარაკის სისხლით შესვლა იყო. მას მთელი ერის ცოდვის გამოსყიდვა უნდა უზრუნველყო.

მღვდელმთავრის მსახურება იესოზე მიუთითებს. იესო ადამიანთა ხელთქმნილ წმიდათა წმიდაში არ შესულა, არამედ თვით ზეცაში შევიდა. მას ღვთის წინაშე შეწირული ცხოველის სისხლი არ მიუტანია, არამედ თავისი სისხლით წარდგა.

ეს არის უდიდესი და ყოვლის მომცველი მოვლენა, მასთან შედარებით, რაც კი ოდესმე მომხდარა. იესო სისხლს ღვრის, კვდება ღვთის რისხვისა და მსჯავრის ქვეშ და ამას ცოდვილთა ნაცვლად აკეთებს. ის შესაწირავი კრავია. მისი საქმე სიკეთეს, მხოლოდ დედამიწაზე არ მოიცავს. ის ზეცაშიც გამოიყენება. ღმერთმა მისი ძის მსხვერპლი მიიღო. ხოლო მსხვერპლი მის მოთხოვნას სრულიად აკმაყოფილებს.

იესო ზეცად და მიწად, ერთდროულად ყველგანმყოფელია. სადაც ის არის, მისი სისხლიც აგრეთვე იქაა.

როდესაც იესოს კარი გაუღე, სახლში შემავალი ადამიანივით ის შენს გულში შემოვიდა. მან შენი ცხოვრების მრავალი ოთახი დაიკავა. ეს ნიშნავს, რომ მისი სისხლი შენი არსების ღრმა ნაწილებსაც მიწვდა. შენი ცხოვრების არცერთი კუთხე არ არის დარჩენილი, მისი სისხლი, რომ არ იყოს ნაპკურები. სისხლი კი ყოველივესაგან გვწმენდს.

ეს ყველაფერი საოცარია!

სისხლი ზეცაში, როგორც ღვთის სახის წინაშე, ასევე შენს ცხოვრებაში, აქ დედამიწაზეც ერთდროულად არის. ეს ის სისხლია, რომელიც შენ ღმერთთან გაკავშირებს.

იესოს სისხლი შენ თოვლზე მეტად გასპეტაკებს. შესაძლოა თავს ცოდვილად და უწმიდურად შეიგრძნობ, მაგრამ თუ იესოსი გწამს, სინამდვილეში არ ხარ. კრავის სისხლით შენი ბინძური სამოსელი განწმედილი და გათეთრებულია. მისგან აქაც და ზეცაში, მხოლოდ სიკეთე მოდის.

გაშინებს სამსჯავროს დღე? მაშინ დაფიქრდი ფაქტზე, სისხლი იესოსი, რომელიც გამართლებს, ღვთის ტახტის წინაშეა. გული მოსვენებას ვერ პოულობს? მაშინ იმაზე იფიქრე, ის სისხლი ღვთისათვის რაოდენ ძვირფასია.

საკუთარი თავით დაკარგული ხარ. მაგრამ შენ იესოში ხარ და ამიტომ მასში გადარჩენა გაქვს მიღებული.

17 ივნისი

ვინაიდან კიდევ ცოტა, ძალიან ცოტა და მოვა, რომელიც უნდა მოვიდეს, არ დააყოვნებს.

ებრაელთა 10:37

დიდხანს ლოდინი არ დაგჭირდება. იესო მალე დაბრუნდება. დადგება დღე, როდესაც უკანასკნელად ადგები საწოლიდან. ან საღამო მოვა, როდესაც უკანასკნელად წახვალ დასაძინებლად. შესაძლოა მაშინ დაფიქრდე, რომ სიკვდილი გიხმობს. რატომ არის, რომ ჩვენში მეორედ მოსვლის საკითხს ასე მცირე ადგილი აქვს? სიტყვა გვარწმუნებს, რომ ის მოსვლას არ დააყოვნებს.

ეს სიტყვა უბრალო და წრფელი რწმენით მიიღე.

იესოს მალე დაბრუნების დაჯერება, ყველაფრისგან განთავისუფლებს, რაც მიწიურ საგნებს გაჯაჭვებს. შენი ძველი მე, დროებითი საგნებით დაკავებული ადვილად ხდება. გაუაზრებლად ცხოვრებისეულ საკითხებს ისე ალაგებ, თითქოს აქ დარჩენას საუკუნოდ აპირებდე.

იესოს სიტყვები მზადყოფნისაკენ მოგიწოდებს. ის, რომ მზის ამოსვლამდე მოვიდეს, მის შესახვედრად მზად ხარ? მიუტევებელი ხომ არავინ დაგრჩა? აუღიარებელი ცოდვები ხომ არ გაქვს?

იყავ მზად! იესო იმ დროს მოვა, როცა არ ელი.

ცოცხალი ქრისტიანი უფლის მოსვლას მუდმივად ელოდება.

სიმონი აღფრთოვანებული იდგა, როდესაც ხელთ ყრმა იესო ეკავა. მაგრამ გაცილებით აღმატებული გრძნობა იქნება, როდესაც მიწიდან ატაცებული იესოს ღრუბლებში შეეგებები. წარმოიდგინე, როგორ მიყავხარ იესოს ზეცად!

თუ მოხდება და მეორედ მოსვლის თანამონაწილე გახდი, თუ მათ რიცხვს ეკუთვნი, რომელიც მისგან არის ცნობილი, მაშინ სიკვდილს არასოდეს დაექვემდებარები. სხეული შენი აღარ განადგურდება და დასამარხი აღარ გახდება. თვალის დახამხამებაში, შენ შეიცვლები და იესოს მსგავსი შეიქნები, რადგან მას პირისპირ იხილავ.

ეს არის ღვთის შვილთა მომავალი. ამის შუქზე ყველაფერი დანარჩენი, უსასრულოდ უფერული ხდება. ყოველივე ის, რაც გტკენს, გამძიმებს და გაჭირვებს, მხოლოდ მცირე ხნით გასტანს. იესო მალე დაბრუნდება. მაშინ ის ხელში აგიყვანს და ზეცის დიდებულ სამეფოში შეგიძღვება.

განა ამ ლოცვის გარდა სხვა რამ დაგრჩენია: მოდი უფალო იესო! მოდი მალე!

18 ივნისი

და წავიდა უფალი, როგორც კი აბრაჰამთან საუბარი დაასრულა.

დაბადება 18:33

აბრაჰამი ღვთის წინაშე ლოცულობდა. მთელი გაბედულებით მან მართალთა რიცხვი მინიმუმამდე დაიყვანა, რათა ქალაქი სოდომი მათ გამო დახსნილი გამხდარიყო. ბოლო ციფრი ათი იყო.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს აბრაჰამმა დაასრულა ღმერთთან საუბარი მისი ლოცვის შემდგომ, მაგრამ სიტყვა გვეუბნება, რომ ეს ღმერთი იყო, რომელმაც აბრაჰამთან დაასრულა.

ფაქტიურად ჭეშმარიტ ლოცვას ჩვენ კი არ წარმოვთქვამთ, არამედ უფალი. ლოცვის საიდუმლოება ლოცვის სულია, რომელიც მითითებას გვიწევს.

ციფრ ათზე გაჩერება აბრაჰამის აზრი არ იყო. მან მის შესახებ არც არაფერი იცოდა, მაგრამ ათი ღვთის ციფრი იყო. იქ რომ 10 მართალი კაცი ყოფილიყო, ღმერთი ქალაქს დაინდობდა. თუმცა ამ რაოდენობის მართალი იქ არ აღმოჩენილა. ამის გამო მან ცეცხლისა და გოგირდი წვიმა აწვიმა მათ.

ღმერთს მის მოყვარულებთან ახლო ურთიერთობა აქვს. მისი სურვილია, აზროვნებაში დაიახლოვოს ისინი. ჩვენ არ ვიცით, როგორ შეეფერება ლოცვა, არამედ სული ჩვენთვის თავად შუამდგომლობს. ღვთის სული ჩვენი ლოცვისას გავლენას გონებაზე და აზრზე ახდენს. მნიშვნელოვანია ყურადღებით ვიყოთ და ის ვითხოვოთ, რის შესახებაც სული შეგვახსენებს.

მრავალი ქრისტიანი ლოცვის გადადებითაა დაკავებული და ავიწყდებათ, რომ სწორედ მათ მართებდათ ამ ლოცვების ღვთის წინაშე მიტანა. შენ მის წინაშე ლოცვა, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე შეგიძლია. ნუ გადადებ მას. როცა ის რამეს შეგახსენებს, უფლის მიმართ ლოცვა და შენი გულის ნადები დაუყოვნებლივ აღავლინე.

იესოს მოწაფეებს საკმარი თავმდაბლობა ჰქონდათ, რომ მასთან მისულიყვნენ და ლოცვის სწავლა მისგან ეთხოვათ. ჩვენც იგივეს კეთება გვმართებს. ის, რაც გულს გვიმძიმებს, უფალთან მიტანა შეგვიძლია. მასთან კი მთელი გაბედულებით უნდა მივიდეთ. ამ დროს თავად უფალმა უნდა ჩაგვჭიდოს ხელი და ლოცვის სამყაროში შეგვიძღვეს.

ლოცვას ცოცხალი ღმერთის სახის წინ ვსწავლობთ. იქ, აბრაჰამივით გაბედულად ყოფნა შეგვიძლია. წინ ჩვენით კი არა, არამედ ღვთის სახელით ვიძვრით. უფლის სული ჩვენით მეტყველებს და ღმერთი აღვლენილ ლოცვას ისმენს.

19 ივნისი

ვინაიდან ქრისტეს თანაზიარნი გავხდით, თუკი რწმენის საწყისს მტკიცედ დავიცავთ ბოლომდე.

ებრაელთა 3:14

დაუხსნელი ადამიანი იშვიათად თუ დაფიქრდება ღმერთზე. მაგრამ სივდილის წინაშე მდგომი, აუცილებლად იფიქრებს, საიქიო სიცოცხლე არის თუ არა. არის თუ არა სასამართლო, რომლის წინაშე წარდგომა ყველას მოუწევს? ბრალდების შემთხვევაში, როგორ წარიმართება ის?

ამის გამო ის ცდილობს საკუთარ ცხოვრებაში რაიმე კარგი მოიძიოს; კითხვას სვამს, ნუთუ ეს საკმარისი არ იქნება?

ღვთის სიტყვა პასუხს ნათლად გვცემს: ვერაფერი შენგან მომავალი, ღვთის გამოცდას ვერ გაივლის. ღვთის თვალთა წინაშე არავინაა მართალი. ყველამ შესცოდა.

ამის გამო შენს დაგროვილ საგნებზე ნდობა არ შეგიძლია. თუმცა გათვლა იესოზე შეგიძლია გააკეთო. გადარჩე ნიშნავს, მას მიენდო.

სრულიად შესაძლებელია იფიქრო, რომ ეს სიმარტივიდან ძალიან შორსაა. არ გესმის ხსნისთვის ეს საკმარი როგორაა, მაგრამ ის საკმარია. მისთვის იესოს და მისი საქმის აღიარებაა საჭირო და მეტი არაფერი.

საჭიროა ვიდრე უკანასკნელი დღე დაგიდგება, იესოს ამ უბრალო რწმენას ჩაეჭიდო.

ქრისტიანთა უმეტესობა იესოსადმი ამ ბავშვურ რწმენას არ ღებულობს, ვინაიდან თავიანთი დიდხნიანი ქრისტიანობით, გადარჩენის საკუთარი საფუძვლები შეიქმნეს. მთელი მათი ძალისხმევა, წარმატებულ ქრისტიანად ყოფნაზეა მიმართული. ხოლო, როცა დროდადრო მარცხს აქვს ადგილი, სასოწარკვეთის საშიშროება იქმნება.

როცა გადარჩი, იესოს სისხლმა იმ ცოდვებისაგან გაგწმინდა, რაც უღვთოობის დროს გქონდა ჩადენილი. მას შემდეგ, რაც მორწმუნე გახდი, იგივე სისხლი იმ ცოდვებისაგანაც გწმენდს, რასაც ღმერთში ცხოვრების დროს ჩადიხარ.

შენი ქრისტიანული ცხოვრება ბრალს გდებს და გასამართლებს, მაგრამ იესო ასე არ იქცევა. ის ყველაფერს თავისი ძვირფასი სისხლით ფარავს. არაფერია ისეთი, რასაც ის თავისი მადლით არ შეეხება.

შენ იმ ცოდვისგანაც ხარ დახსნილი, რომელიც ამჟამად ბრალს გდებს. შეუძლებელია ისეთი საქმე ჩაიდინო, რომელმაც ხსნა მოგიპოვოს. იესოზე დანდობა სრულიად შეგიძლია. ვინაიდან შენი ერთადერთი გადამრჩენელი ისაა.

მასში რწმენა, საკუთარი თავისაგან განთავისუფლებს და მასთან გაკავშირებს. როცა დანაშაულის, მსჯავრის და შიშის გრძობა წარმოიშვება, ადექ და მის სიტყვას ჩაეჭიდე. შემდგომ ამისა ქარიშხალი დაცხრება. იესოში ისევ მშვიდობა დაგეუფლება, რადგან მოსვენება შენ მასში გაქვს ნაპოვნი.

20 ივნისი

მაგრამ არის ზეცაში ღმერთი. . .

დანიელი 2:28

არა მხოლოდ ურწმუნო შვილები, არამედ ღვთის შვილებიც კი ისე ცხოვრობენ და ფიქრობენ, რომ თითქოს ღმერთი ზეცაში არ არის.

ყველაფერს, რასაც ცხოვრებაში ხვდები, იმ ფაქტის შუქზე უყურებ, რომ ღმერთი ზეცაშია? ხომ არ ფიქრობ, რომ შენი ცხოვრება შემთხვევითობაზეა დამოკიდებული? გააზრებული გაქვს, რომ ქრისტიანი ყველაფერში ღმერთზეა დამოკიდებული?

მითითების მიღება მტკივნეულია. თუ ის სხვისგან მოდის, ხშირად უსამართლოდ გეჩვენება. თუმცა მომხდარზე თვალი არ უნდა დახუჭო და გონებით ჩაუკვირდე. შეეცადე მოვლენები, საგნების მიღმა დაინახო.

მაგრამ არის ზეცაში ღმერთი.

ღვთის შვილი დისციპლინირებული მაშინ ხდება, როდესაც მითეთებებს ღვთისგან ღებულობს. მის მორჩილებაში ყოფნა და მისი ხელიდან აღზრდის მიღება უფლის ნებაა. ღმერთს კვლავ უნდა შენთან საუბარი. ამის გამო ის მის ხელს შენზე დებს. ამას მისი რისხვის გამო არ აკეთებს. ღვთის დისციპლინა მისი სიყვარულის ნაყოფია.

წინააღმდეგობისა და გაჭირვების ჟამს, სიტყვაში შესანიშნავი ნუგეშისცემა არსებობს: მაგრამ არის ზეცაში ღმერთი.

ღმერთს ნებისმიერი გასაჭირიდან შენი გამოყვანა შეუძლია. თუ მისი საკუთრება ხარ, ის ამას გააკეთებს. უფალი შენი მწყემსია. ამიტომ სიკეთე და წყალობა მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში უკან დაგედევნება.

ეჭვებით დაბინდულ პერიოდში, ვეღარ ხედავ, რომ ღმერთი ცაშია. ერთადერთი რასაც ხედავ, სიბნელე და შენს თავზე მდგომი შავი ღრუბელია. მაგრამ მის მიღმა უფალია. ის ამ მოვლენებს თვალყურს ადევნებს და ერთ დღეს ღრუბელი გაიფანტება. ამიტომ ცაში მყოფი ღმერთი მის მორწმუნეს, ყოველი გაჭირვებიდან იხსნის.

აუცილებელია შენი გონება უფლისადმი მიმართო და მისი უდიდესი ძალის წინაშე უბრალოდ დადუმდე. ღმერთი ამ გზას მის საკუთრებაში მყოფთა გადასარჩენად მუდმივად იყენებდა და ის მას ისევ გამოიყენებს. ის შენ თვალს გადევნებს და მიუხედავად იმისა მდგომარეობა, როგორი უიმედოა, უფალი ციდან აუცილებლად ჩაერევა. მალე დადგება დღე, როდესაც სიამოვნებით და სიხარულით შესძახებ:

მაგრამ არის ზეცაში ღმერთი!

დედამიწაზე ხალხის ის მასა არის, რომელიც ღმერთს ამ სიტყვებით ყოველდღიურად ადიდებს. ისინი ზეცად იგივე სიტყვებს იღაღადებენ. ნეტარი ხარ, თუ ამ მასის ნაწილს შენც ეკუთვნი.

21 ივნისი

მაგრამ ახლა ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ, რომ ყოველივე მას ემორჩილებოდეს. მაგრამ ვხედავთ იესოს... მცირე ხნით დამცირებულს ანგელოზთა წინაშე...

ებრაელთა 2:8-9

ბევრი ამბობს, რომ იესოსი არ სწამთ, რადგან ის დედამიწაზე არსებულ ბოროტებასა და გაჭირვებას ბოლოს არ უღებს. მათი აზრით იესოს მთელი ხელმწიფება ნამდვილად რომ ჰქონოდა, მაშინ დედამიწა იმ სახით, როგორითაც დღეს არის, არ იქნებოდა.

წუთისოფელი ბოროტია და მისი მთავარი სატანაა. ამას ღმერთის სიტყვა ამბობს. ღმერთი სატანას სამოქმედოდ ნებას რთავს, რათა ადამიანები იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ცოდვის საზღაური სიკვდილია.

ღმერთი წმიდაა. ამის გამო წუთისოფელს ის სახე აქვს, რაც ამჟამად აქვს. კაცი რასაც თესავს იმას იმკის. ის აგრეთვე, ადამიანის ღვთის წინაშე ამბოხსაც ეხება.

ცდუნებას არასოდეს დაჰყვე, რომ თითქოს მთელი ძალაუფლება ცაში და დედამიწაზე იესოს არ მიეღოს. ღმერთმა მას სრული უფლობა მიანიჭა. მაგრამ აწმყოში ვერ ვხედავთ, რომ მას ყველაფერი ემორჩილებოდეს. ჯერ კიდევ არსებობს ისეთი კითხვები, რომელთა პასუხის გაცემა არ შეგვიძლია. თუმცა არ გეგონოთ, რომ პასუხი არ არსებობს, უბრალოდ ამჟამად ჩვენი თვალები ანგელოზთა წინაშე მცირე ხნით დამცირებულ იესოზეა გატანილი.

ღმერთი პასუხს ყველაფერზე არ გაძლევთ. თუმცა, ღმერთი კვლავ და კვლავ თავის სიყვარულში გარწმუნებს. შეუძლებელია იესოს, როგორც ღვთის შესაწირავ კრავს შეხედო და არ გაიხსენო თუ, რაოდენ დიდად უყვარხარ ღმერთს.

განა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არ არის, რომ ეჭვი არ შეიტანო ღვთის შენდამი უზომო სიყვარულში? განა საკმარი არაა, ცოდვის, გაჭირვებისა და წარუმატებლობის დროს დარწმუნებული იყო იმ ფაქტში, რომ იესომ შენ მარადიული გამართლება მოგიპოვა? რა მნიშვნელობა აქვს ღმერთი გპასუხობს თუ არა კითხვაზე, როდესაც მას თავის მკლავებში აჰყავხარ და გულში გიკრავს? იმაზე დიდი რა არის, ვიდრე მის შვილობაში დარწმუნება?

ღმერთმა შენ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე მოგცა პასუხი. მის გამო გადარჩენაში ეჭვის შეტანა, ნამდვილად არ გმართებს. საჭიროა იესოს უყურო და მთელი ყურადღება, ღვთის მიერ შენზე ნათქვამ სიტყვაზე გადაიტანო. შემდგომ ამისა, ღმერთი თავის სულს მადლით განიჭებს და შენს გულში რწმენას წარმოშობს. შენ დახსნილი ხარ და იმ დღისაკენ მიდიხარ, როცა იხილავ იესოს ყოველივე როგორ დაემორჩილება.

22 ივნისი

დიახ, მამაო! რადგან ასეთი იყო შენი ნება-სურვილი.

მათე 11:26

ღვთის შვილი ღვთის ნებაზეა ჩაჭიდებული. შენ მით ხარ დახსნილი და იცი, რომ მისი ნება შენდამი ყოველთვის კეთილია.

თუმცა მისი მორჩილება ადვილი არ არის. ღვთის გზა მხოლოდ მზიან და ნათელ ადგილებში როდი მიდის, არამედ შავეთის ველებზეც გადადის. როდესაც ღმერთი ჯანმრთელობას, ძალას და მშვიდ გარემოს გაძლევს, მისი გზის არჩევა ადვილია. ხოლო ძალიან ძნელია, როდესაც ღმერთი შენზე ტანჯვას, ჭირსა და სიკვდილს უშვებს.

მიუხედავად ამისა, პირდაპირ მიმავალი მხოლოდ ერთი გზაა. ყველა შემთხვევაში ჩვენ უნდა ვთქვათ, „დიახ, მამაო! რადგან ასეთი იყო შენი ნება-სურვილი."

თუ ეს სიტყვები შენი არ გახდება, მაშინ შენსა და ღმერთს შორის უთანხმოება ჩამოვარდება და ის კურთხევამდე ვერასოდეს მიგიყვანს.

იესო მუდმივად ღვთის ნების მიღებას გვასწავლის. ღმერთის გზა საუკეთესოა, მიუხედავად იმისა ამას ვხვდებით თუ არა. ჩვენი საკუთარი გზით კი, ადრე თუ გვიან უფსკრულში ამოვყოფთ თავს.

მარადისობის საზომით ადამიანური სიცოცხლე უკიდურესად მცირეა. ის ქარივით ჩაიქროლებს. ჩვენ მალე გადავალთ. ძველი ჩვენი ბუნება ძირითადად ამქვეყნიური ცხოვრებითაა დაკავებული. ღმერთს კი ჩვენს გადარჩენას თავიდან ბოლომდე იცავს.

საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების გადაფასება ხშირად გვიწევს. იმ სახის ქრისტიანების რაოდენობა ძალიან მცირეა, რომელთაც მიზნის მიღწევა არ მიღწევა აწუხებთ. უფალი თითოეულ ჩვენგანს სრულად გვიცნობს. ამიტომაც ხდება, რომ ის დროდადრო უხეშად გვეპყრობა. მას ჩვენი საკუთარი გზებით სიარულის მიღება არ შეუძლია. ის გვაჩერებს. ხანდახან შიშს გვგვრის. და ის მუდმივად ცდილობს უკან, ისევ თავისკენ მოგვიხმოს.

კურთხევაა იმის უნარი, როდესაც ღვთისმიერ დისციპლინას, როგორც მისი სიყვარულის რეზულტატს ისე ვხედავდეთ. საკუთარი სურვილით ამის დანახვას ვერავინ შეძლებს. თუმცა ღმერთს ჩვენთვის მისი სიტყვა აქვს მოცემული, რომელიც ქადაგებს, რომ უფალი მას წრთვნის ვინც უყვარს და სჯის ყოველს, ვისაც მის ძედ ღებულობს.

სიმდიდრეა, როცა უფლისგან მომდინარე აღზრდის მიღების უნარი გვაქვს. ამ დროს შენს ცხოვრებას უფლის ხელს ანდობ. მას აძლევ უფლებას ყველაფერი აკონტროლოს, ვინაიდან იცი, რომ პასუხისმგებლობა მასზეა. მაშინ ის ღვთის მშვიდობას, რომელიც ყოველ გონებას აღემატება, შენს გულს ანიჭებს, თუმცა მისი წკეპლა ცრემლის მომგვრელი იყოს. გული შენი მის სიტყვაში პოულობს შვებას, „დიახ, მამაო! რადგან ასეთი იყო შენი ნება-სურვილი."

23 ივნისი

თქვენ ხართ ჩემო მოწმენი! ამბობს უფალი.

ესაია 43:10

ქრისტიანი მასზე თავისი ცხოვრებით, საუბრით და საქმით ამოწმებს. ეშმაკი კი კონცენტრირებულია, რომ ყოველი ასეთი მოწმობა დაადუმოს.

უძლიერესი მოწმობები რწმენით ხდება. რწმენით ცხოვრება, დაფარული სამყაროს საკუთრებაა. ჩვენ ხომ ერთმანეთის გულის გამოკვლევა არ შეგვიძლია. რწმენა კი ისეთი რამ არის, პიროვნებაზე თავის ანაბეჭდს ტოვებს. საგნების მიმართ ნათელი წარმოდგენა გვენიჭება და ცხოვრებისეული კრიზისების დროს ჩვენთვის გასაგებია წინ რა გვამოძრავებს.

ამიტომ უპირველეს ყოვლისა თქვენ ის უნდა იყოთ, ვინც სინამდვილეში ხართ. თქვენ ხართ ცოდვილი, რომელიც უშუალოდ მადლითაა გადარჩენილი. არაფერი არ გაგაჩნიათ, რომელსაც თქვენი უსაფრთხოება შეეძლოს. არაფერი არ გაქვთ, რისი ჩვენებაც შეგიძლიათ. ამიტომ ღვთის წინაშე მდუმარე პირით მოგიწიათ წარდგომა. ერთადერთი რისი კეთებაც შეგეძლოთ, ეს დაკარგული ცოდვილის მიმართ წყალობის თხოვნა იყო.

უფალს უკან არ გაუბრუნებიხარ. მან მის ტახტთან დარჩენის უფლება მოგცა. ამ დროს მან მსჯავრის ტახტი მადლის ტახტად გიქცია.

თუ, როგორც ქრისტიანი გაიზარდე, იმაზე წინ ვერ წახვალ, რაც მხოლოდ მადლით გადარჩენაა. თუ ღმერთი მადლით არ გიხსნის, ზეცა შენი ვერასოდეს გახდება. მაგრამ შენ ღვთის გული იცი. ის სულით ღარიბს არ მიატოვებს. მადლი არ დალეულა. ის ყოველ დილით ახლდება.

ამის გამო შენ სიცოცხლის წყაროსთან მისადგომი ყოველდღიურად გაქვს, რათა იესოში შენი კუთვნილი პოზიცია დაიკავო. როდესაც ის თავისი სიტყვით მოდის, შენ მას სიხარულით ღებულობ.

თუ იესოსთან ამ სახით ცხოვრობ, მაშინ ღვთის მშვიდობა შენს ცხოვრებაში დაფარული ხდება. შენ ღმერთთან მშვიდობა გაქვს, ვინაიდან რწმენით ხარ გამართლებული. უფალი მშვიდობას ყოველდღიურად გაძლევს, რომელიც ლოცვასთანაა კავშირში, რა დროსაც ყოველ შენს საზრუნავს მას ანდობ. მაშასადამე იცი, რომ ის შენზე ზრუნავს. ის თვალს გადევნებს შენ და თავის სუფევას შენით განავრცობს.

თქვენ ჩემი მოწმენი ხართ, ამბობს უფალი. პირველად ეს სიტყვები იმ ხალხის მიმართ ითქვა, რომელთაც უდაბნოში მოუწია მოგზაურობა. თავისი სვლით ისინი მოწმენი იყვნენ.

შენ კი ზეცისკენ მიმავალ გზაზე დგახარ. უფალმა ცოდვის ბორკილები დაამსხვრია და ნება დაგრთო მადლის მეშვეობით, საკვირველ თავისუფლებაში შესულიყავი. ზეცისკენ სიარულით, შენ მისი მოწმე ხარ.

24 ივნისი

შენ მირწმუნე, იმიტომ, რომ მიხილე. ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუნახივარ და მირწმუნეს.

იოანე 20:29

ჩვენი აზრით რწმენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იხილე და ირწმუნე, თუ არ გიხილავს და ირწმუნე, რა მნიშვნელობა აქვს, ხომ ასეა?

ბევრი ასე ფიქრობს. მაგრამ იესომ სულ სხვა რამ თქვა.

თუ მხოლოდ ხილვის შემდეგ ირწმუნე, მაშინ შენი ქრისტიანული ცხოვრება ღარიბია. დიახ, შენ მისი დაკარგვის საშიშროება გემუქრება. შენ დაიღალე და განიხიბლე. მას შემდეგ ყველაფერი არაფრად გეჩვენება. არ შეგიძლია თვალი აღმატებულ საგანძურსა და სიმდიდრეზე შეაჩერო. ის ხომ იესოშია დაფარული და მასში მისი დანახვა არ შეგიძლია.

შენს უბადრუკ ყოფაში რაღა გრჩება. ნათლად ხედავ ისეთი ქრისტიანი ვერ ხარ, როგორიც უნდა იყო. მაგრამ დიდი დახმარება და ნუგეშისცემა ნამდვილად არაა, როცა ამ დასკვნამდე მისვლა დროდადრო გიწევს.

სრულიად სხვა რამ არის, როდესაც უნახავად გჯერავს. მაშინ შენ ნეტარება გენიჭება. ეს ნიშნავს: შენ ნამდვილად ბედნიერი ხარ. მაშინ შენ ღვთის სიტყვას იცავ.

იესო შენთვის ვინც არის და შენს სახსნელად მან რაც გააკეთა, შენს გამოცდილებაზე სრულიად არაა დამოკიდებული. ღვთის აღსრულებული საქმის ანულირება, შენში არსებულს არაფერს შეუძლია. ღვთის სიტყვით ის ყველა ცოდვის მიტევებას აღგვითქვამს.

მისი დანახვა შენთვის შეუძლებელია, მაგრამ თუ გწამს, ნეტარი ხარ.

ხოლო მასზე არავითარი მსჯავრდადება არ არის, ვინც ქრისტე იესოშია.

მასში შენ ყოველგვარი სულიერი კურთხევა გაქვს. ამიტომ მასში ყოველმხრივ მდიდარი ხარ და არაფრის ნაკლოვანებას არ განიცდი.

შენ ვერც ხედავ და ვერც გრძნობ, რომ იესო მკვდრეთით აღდგა, მაგრამ ის ღვთის მარჯვნივ ზის და შენთვის შუამდგომლობს. მან შენს საქმეს მოკიდა ხელი და სახლისკენ უსაფრთხოდ მიყავხარ.

ნეტარი ხარ, თუ ამ რწმენას მტკიცედ ჩაეჭიდები.

ღვთის ხალხს ახალი გამოცდილებები არ ჭირდება. უბრალოდ იმის რწმენა გვჭირდება, რაც უფალმა თავის სიტყვაში თქვა. ესაა გზა ნეტარებისა. ამიტომ მოდით, სიტყვა გამოვიყენოთ. ის ქმნის რწმენას, რასაც ვერ ხედავ და იმ მიწაზე შესვლაში გეხმარება, სადაც თვალები ბოლომდე აგეხილება.

25 ივნისი

რომელთაც გაირეცხეს თავიანთი სამოსი და გაასპეტაკეს კრავის სისხლით.

გამოცხადება 7:14

იოანე უამრავ ხალხს თეთრ სამოსში ხედავს. მაგრამ მას არ შეუძლია მათი ვინაობა დაასახელოს.

რატომ?

განმარტება შეიძლება იყოს ის, რომ იოანეს არ შეეძლო იმის წარმოდგენა, რომ ღატაკი და დაკარგული ცოდვილნი, ზეცის სიწმიდითა და დიდებით ოდესმე ასე იქნებიან გაბრწინებული და მისი დიდება ამ ურიცხვი ადამიანის თეთრ სამოსზე დაივანებს. მიწიურ აზრს ზეცის წვდომა არ შეუძლია. დისტანცია უსასრულოა. ითესება ხრწნადი, ხოლო აღდგომისას უხრწნადი იქნება.

უამრავი ხალხი, რომელთა დათვლა არავის შეეძლო, ყოველი ერიდან, ტომიდან, ხალხიდან და ენიდან, იდგნენ ღვთის ტახტის წინ, ვინაიდან მათ გაირეცხეს სამოსელი და ის კრავის სისხლით გაისპეტაკეს.

არანაირი დამსახურება, მსხვერპლი და საქმე აქ ნახსენები არ არის. ცოდვილის ერთადერთი ხსნის საშუალება, იესოს სისხლია. გამოსასყიდი ისაა. ზეცაში შენს კუთვნილ ადგილს მისი მსხვერპლის გამო დაიკავებ, იმ შემთხვევაში თუ იესო მიღებული გყავს.

კრავის სისხლით ჩემი სამოსელი, როგორ უნდა გავრეცხო?

დაფიქრებულხარ იმ ფაქტზე, რომ იესო ხალხს იმ დახმარებას უჩენდა, რასაც ეძებდნენ? ბრმები იესოსთან თავიანთი სიბრმავით მოდიოდნენ. მათ მხედველობა უბრუნდებოდათ. ყრუები, თავიანთი სიყრუით მოდიოდნენ. იესო სმენას უხსნიდა. კეთროვანნი კეთრისგან განწმედას ითხოვდნენ. ისინი იწმინდებოდნენ კიდეც.

მსგავსად ამისა შენ, შენი ცოდვებით უნდა მოხვიდე იესოსთან და მის წინაშე აღიარო ისინი. თხოვე მას, რომ მისი მადლით დაგფაროს.

უნდა იცოდე, რომ იესო ყოველი ცოდვისაგან თავისი სისხლით გწმენდს. არაფერი შეედრება იმას, რომ პიროვნებას ცოდვა აქვს მიტევებული. ის გონებას შფოთისგან ანთავისუფლებს და დიდ დამაჯერებლობას ჰმატებს.

გარეცხე შენი სამოსელი, კრავის სისხლით გაათეთრე და ცოდვათა პატიება მიიღე? თუ ეს ასეა, მაშინ ზეცის გზაზე დგახარ. მალე შენც შეუერთდები იმ უამრავ ხალხს, რომელიც არასოდეს იღლება უფლის დიდებით იმ ჩაუწვდომელი ფაქტის გამო, რომ უბრალოდ მადლით იქნენ გადარჩენილნი.

26 ივნისი

იესო ქრისტე... პირმშო მკვდართაგან.

გამოცხადება 1:5

ნაინელი ქვრივის ძე მკვდართაგან პირმშო არ ყოფილა. არც ლაზარე. ისინი იმ სიცოცხლეში აღდგნენ, რაშიც სიკვდილამდე ცხოვრობდნენ, რის გამოც მათ ისევ სიკვდილი მოუწიათ.

პირველი, ვინც ახალი სიცოცხლისათვის აღდგა, იესო იყო. ამის გამო მას მკვდართაგან პირმშო ეწოდა. როგორც ღვთის შესაწირავმა კრავმა მან ცოდვა იტვირთა და ამიტომ ცოდვის საზღაურის, სიკვდილის მიღება მოუწია. მაგრამ მას შემდეგ, რაც ის ღმერთმა აღადგინა, სიკვდილს არასოდეს დაუბრუნდება.

ამიტომ თუ იმედი მასზე გაქვს, სწორად იმოქმედე. ქვეყნიერებაზე სიკვდილს სხვადასხვა ფორმით ყოველთვის შეხვდები, ვინაიდან ცოდვა და სიკვდილი ერთმანეთისგან განუყოფელია. სიკვდილმა ცხოვრების სხვადასხვა მდგომარეობაზე თავისი ნაკვალევი დატოვა. მაგრამ არის ერთი ადგილი, სადაც არც ცოდვაა და არც სიკვდილი. და ეს ადგილი, იესოსთანაა.

ადამიანებისგან მომდინარე ცოდვა და სიკვდილი, დიდ ტკივილს გვაყენებს. უფრო მძიმეა, როდესაც პიროვნება ამ ძალების შემოტევას საკუთარი თავიდან განიცდის. დაცემის დღიდან გველმა ჩვენი ცხოვრება, თავისი შხამით გაჟღინთა. მას შემდეგ ცოდვა ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი. ამის გამოა სხეული რომ იხრწნება და მისი დამარხვა აუცილებელი გახდა.

თუ იესოსი გწამს, კიდევ სხვა რამ შეიძლება ითქვას. თქვენ სხვა სამყაროში ხართ დახსნილი, სადაც ცოდვა და სიკვდილი არ არსებობს. იქ არასოდეს მოკვდები, ამ სიტყვის სრული გაგებით. შენ იესოსთან ხარ გაერთიანებული და სიკვდილიდან სიცოცხლეში გადახვედი. ამჟამად იესოს აღმდგარ სიცოცხლესთან გაქვს თანა-მოზიარეობა.

იესო მკვდართაგან პირმშოა, მაგრამ არა უკანასკნელი. უფრო მეტიც! ის მიდის წინ და შენ მის ნაკვალევს მიდევ. როგორც ღმერთმა აღადგინა ის მკვდრეთით, ასევე შენც აღგადგენს.

ამრიგად შენ ცოცხალი იმედი გაქვს. იესო მკვდარი იყო, მაგრამ გაცოცხლდა და ის ისევ არასოდეს მოკვდება. შეგიძლია დარწმუნდე, რომ იესოს შენი დავიწყება თვით შენი სიკვდილის დროსაც კი არ შეუძლია. მან ხომ თავის ხელის გულზე ამოგიტვიფრა და საკუთარი გულით გატარებს. ის შენ კვლავ აღგადგენს. იესოს სურვილია, შენ, ვინც დედამიწაზე მისთვის იცხოვრე, მარადისობაშიც ასე გააგრძელო. ზეციური სიმდიდრე, რომელსაც რწმენით ფლობ, იმ დღეს გადმოგეცემა. განსხვავება იქნება ის, რომ შენ ცოდვისა და სიკვდილის გარეშე იცხოვრებ და მას მარადიული სიმართლით, სიწმიდით და ნეტარებით ემსახურები.

27 ივნისი

და აჰა, თუ გასაჭირში ვართ, ეს თქვენი ნუგეშისა და ხსნისთვისაა.

2 კორინთელთა 1:6

თუ ტანჯვას ღვთის სიტყვის ნათელში არ შევხედავთ, მაშინ ის უაზრო გამოდის. მაგრამ, როდესაც უფალი ჭეშმარიტებას გვიცხადებს, ყველაფერი იცვლება.

როცა ქრისტიანი იტანჯება, ეს სხვათა ნუგეშისა და ხსნისათვის ხდება.

როგორ არის ეს შესაძლებელი?

დაფიქრდი შენ გამოცდილებაზე! ხშირად ის ქრისტიანები, რომელნიც მძიმე ტანჯვაში არიან, უფალში მათი რწმენისა და გაბედულების მეშვეობით დაუმოწმებიათ! მათ იესოში არსებული სიმდიდრის შესახებ გასწავლეს. ღმერთი მათი მეშვეობით გვაჩვენებს, რომ ღვთის შვილი თავისი ცხოვრებას მარადიულ საძირკველზე აშენებს. სუსტი და გულგატეხილი ქრისტიანის დასახმარებლად, ყოველისშემძლე ღმერთის ხელია გამოწვიდილი. ნუთუ არ ახდენს შენზე გავლენას, როდესაც იმ ქრისტიანთა შესახებ კითხულობ, რომელთაც ღვთის სიტყვის გამო საპატიმროში ამოყვეს თავი? ზოგიერთი მათგანი აწამეს კიდეც. მათი ტანჯვა ცხადყოფს, რომ მოწამეობა ნამდვილად არ არის რომანტიკა. ის აბსოლუტური შიში და რაღაც საშინელებაა; მაგრამ იმავდროს, იესოს ტანჯვათა თანამოზიარეობაც.

მრავალი ნატანჯი ძმა და და ამოწმებს, რომ იესოს გამო არა მარტო სიცოცხლე, არამედ მისთვის ტანჯვაც და სიკვდილიც კი ღირს.

ტანჯვასთან ერთად ეჭვებიც მოდის. დევნა, გასაჭირი, შიში და ავადმყოფობა შეტევას ჩვენს აზრებსა და გონებაზე ანხორციელებს. ღმერთი ზოგიერთ მის შვილს წინუძღვის მასში, რათა სხვებმა დახმარება ჰპოვონ. პავლე ასე აყალიბებს, „თუ გასაჭირში ვართ, ეს თქვენი ნუგეშისა და ხსნისთვისაა.“

როდესაც სერიოზული ავადმყოფობა მოდის, ოჯახს შავი აჩრდილი ფარავს და ყველას ასერიოზულებს. ახალგაზრდების გადარჩენაში მოწოდება ხდება, ხოლო მრავალი ასაკოვანი უფალთან ინტესიურ ურთიერთობაში შედის. როდესაც ღმერთი ჩვენს ცხოვრებაში სიღრმისეულად იწყებს მუშაობას, ყოველგვარი ზედაპირულობა გვერდზე გადადის.

ძნელია ტანჯვა. ტანჯვა მრავალ ბნელ და მძიმე საათებს მოიცავს. მაგრამ ის უმიზნოდ არ მოდის. დაფიქრდი ამაზე, ვინც ტანჯვის ღუმელში ხარ შესული! შენ უფლის ხელში ხარ იარაღი — მისთვის სახმარი და გამოყენებადი. დაე, ეს იყოს შენი რწმენა დღეს.

28 ივნისი

ვინც მე მომყვება, ბნელში არ ივლის, არამედ სიცოცხლის სინათლე ექნება.
იოანე 8:12

ნუთუ ნამდვილად შემიძლია ღვთის შვილად ყოფნა?

იესო ამბობს, რომ მისი მიმდევარი პიროვნება, სიბნელეში არასოდეს არ ივლის. ჭეშმარიტება ისაა, რომ მე სულ სიბნელეში არ დავდივარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ დროდადრო ჩემთვისაც ბნელა. თუმცა სინათლეზე მეტად არაფერი არ მსურს. ყველაფერს ვაკეთებ, რომ გამოინათოს, მაგრამ არა წარმატებულად.

მსგავსი აზრები მრავალთათვის ნაცნობია. როდესაც ისინი რწმენაში მოვიდნენ, იმედოვნებდნენ, რომ ცხოვრებაში ყველაფერი სხვანაირად წარიმართებოდა. მაგრამ მათ მალევე აღმოაჩინეს, რომ ეს ასე არ მოხდა. პრობლემებმა და სიძნელეებმა აღმოცენება იწყეს.

მოცემული მდგომარეობა სასოწარკვეთილებისა და განდგომილებისაკენ მიბიძგებს. ჩემს ქრისტიანულ ცხოვრებაში უთუოდ, რაღაც არასწორად მიდის, ვინაიდან ისე არ ხდება, რასაც ის ბიბლიაში ამბობს.

ასეთი აზროვნება საშიშია. არასწორია, მიუხედავად იმისა სწორად გეჩვენება, ვინაიდან დიდია სხვაობა ღვთის სიტყვის ჩვენეულ გაგებასა და მის რეალურ ნათქვამს შორის.

იესოს არ უთქვამს, რომ ბნელი ქრისტიანებისათვის არ ჩამოწვება. ჩვენ არა, მაგრამ მრავალი ეჭვებითაა შეპყრობილი. ისინი თავის თავს უყურებენ დავითის სიტყვებით: „ნამდვილად ბნელი დამფარავს და ღამე სინათლედ გადამექცევა“ (ფსალ. 139:11).

თუ ქრისტიანთა ჩანაწერებს თვალს გადაავლებ, შენ იგივეს ამოიკითხავ. მათი ხიზნობა ადვილი არ ყოფილა. ის მზიანი და სიხარულის დღეებით, ყოველთვის არ გამოირჩეოდა. პირიქით, ის შინაგანი ტკივილებით იყო სავსე.

ყოველივე ეს იესოს მიერ წარმოთქმულ ჭეშმრიტებას არ ცვლის. ქრისტიანს სიბნელეში არასოდეს უვლია და არც არასოდეს ივლის. თუ მარადისობიდან შენს ქრისტიანულ ცხოვრებას თვალს გადაავლებ, მიხვდები, რომ არცერთი დღე, დიდი თუ მცირე, სიბნელეში არ გიცხოვრია. როგორ არის ეს შესაძლებელი, როდესაც რწმენით მასთან ხარ გაერთიანებული, ვინც სიცოცხლის ნათელია?

არცერთ დღეს ღვთის გეგმისა და ხედვის გარეშე არ ჩაუვლია. ის შენს გვერდით დადიოდა, ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი იცოდა. ამის გამო შენ მუდმივად ნათელში დადიოდი.

29 ივნისი

ის უნდა განდიდდეს, მე კი უნდა დავმცირდე.
იოანე 3:30

ეს სიტყვები იოანემ მაშინ თქვა, ვიდრე სულ მალე საპყრობილეში ჩააგდებდნენ. მისი ცხოვრების აღსასრული შოკის მომგვრელი იყო; მარტოობა და საშინელი ეჭვები მას სიბნელისაკენ უძღვოდა. ამის გამო მას იესოსთან შიკრიკის გაგზავნა მოუხდა, რათა შეეტყო, მართლა ის იყო თუ არა აღთქმული მესია.

ღმერთს ჩვენი ლოცვები ყოველთვის ესმის. მან ჩვენი გულის მალული სურვილებიც იცის — ასევე სურვილი, რამდენად გვინდა იესოს განდიდება და საკუთარი თავის დამცრობა.

ღმერთი ხშირად იმ გზით გვპასუხობს, საიდანაც ვერც კი წარმოვიდგენთ. უფალი გვერდზე გვწევს. სნეულების თავდასხმის ქვეშ ვხვდებით. სულიერი სიბნელე და ეჭვები გვამდაბლებენ. ამას შესაძლოა თან დაერთოს ოჯახური და სამსახუროებრივი სიძნელეები.

რატომღაც მიდრეკილი ვართ იმ აზრისაკენ, რომ მოპოვებული წარმატების შენარჩუნება თავად შეგვიძლია. მაგრამ ეს ასე არაა. სულ მცირე სიოა საჭირო, რომ დაცემული ადამიანის გულში ამპარტავნობა გაიზარდოს. მაშინ იესო უკანა პლანზე გადადის და საკუთარ თვალში ვმაღლდებით.

მიუხედავად ამისა, ღმერთი კეთილი რჩება. ის არ დაუშვებს, რომ ამ უბადრუკებაში ჩარჩე. გამოიყენებს რა სხვადასხვა საშუალებებს, რათა საკუთარ ძალებსა და უნარებში თვითდაჯერებულობა მოგაშოროს. ის შენგან ისეთ რამეს ითხოვს, რაც სასოწარკვეთამდე არასოდეს მიგიყვანს.

იესო თავისითაა დიდი და ძლიერი. ღვთის სურვილი კი ისაა, რომ შენს გულშიც ასე იყოს. შენი დიდება და პატივი ის უნდა გახდეს. უფალი გაჩვენებს თუ რაოდენ მცირე ხარ იმისათვის, რომ შენს ქრისტეში მდგომარეობას გული მთლიანად გაუღო.

ღვთის სურვილია თავი გაბედულად აწიო მაღლა და სუნთქვა დაგიმშვიდოს. ერთადერთი სრულყოფილი და დასრულებული, იესოს მიერ გაკეთებული საქმეა. მას შენგან არაფრის დამატება არ ესაჭიროება.

იოანეს საწყისთან მისვლა მოუხდა. მისი თვალები ღვთის კრავისაკენ იყო მიპყრობილი, რომელმაც წუთისოფლის ცოდვა იტვირთა. როდესაც ეს მოხდა, იესო განდიდდა. ამ დროს კრავის საგალობელი გაჟღერდა. ხოლო ყველაფერი დანარჩენი დაიმცრო და უმნიშვნელო შეიქნა.

ღვთის სასუფეველში უდიდესი ისაა, რომელსაც ყოველი სიმდიდრე იესოში აქვს დაუნჯებული.

30 ივნისი

ამ ნათქვამიდან კი ესაა მთავარი: გვყავს მღვდელმთავარი.

ებრაელთა 8:1

საკითხის უკუღმა გადაბრუნება ყოველთვის საშიშია. ეს ეხება, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სულიერ ცხოვრებასაც. როდესაც მცირე საკითხები დიდად წარმოჩინდება, მაშინ მართლა მთავარი გვერდზეა გადაწეული.

თუ ღვთის მადლით ხარ დახსნილი, მაშინ იესო შენი მღვდელმთავარია. ის ზეციურ ტაძარში შენი გულისთვის მსახურებას აღასრულებს. ამასთან შედარებით, ყველაფერი მეორეხარისხოვანი ხდება, ვინაიდან შენი ხსნისათვის ესაა უმთავრესი.

ვიდრე გადარჩებოდი, შენთვის უდიდესი საჭიროება მადლი იყო. ის რომ არ მიგეღო, მაშინ ღვთის სამსჯავროს ვერ აცდებოდი. მას შემდეგ, რაც ღვთის შვილი გახდი, შენ კვლავ იგივე მადლი გჭირდება. იესო კვლავ და კვლავ უნდა მოვიდეს შენთან. ყველაფერი დაუმსახურებლად უნდა მიიღო. დაჯერებული უნდა იყო, რომ ის ღმერთსა და შენს შორის დგას, რის გამოც ღმერთი მასში დაფარულს გხედავს. შენ იესოში ხარ დაფარული. ღმერთი კი ისეთი გრძნობით გიყურებს, რა სათნო გრძნობითაც მისი საყვარელი ძის მიმართ არის განწყობილი.

ესაა შენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხი.

რაოდენ დიდი ძალა აქვს იმას, როდესაც მთავარი წინა პლანზეა წამოწეული. ამ დროს ყველაფერი თავის ადგილზე დგება. საკუთარი თავისადმი დაუკმაყოფილებლობა, შენს პარალიზებას ვეღარ ახდენს. შენს ცხოვრებაში იესოს ყოველგვარი პასუხისმგებლობა აქვს აღებული და საკუთვრივ, შენი პასუხისმგებლობის წინაშე, მარტო არ დგახარ.

ეშმაკი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მთავარი საკითხიდან გადაგახვევიოს. მისთვის ნებისმიერი საქმიანობა მეორეხარისხოვანია, თუ ის იესოსთან, როგორც გამომსყიდველთან არაა კავშირში. შენი ცდუნების უფლებას მას ნუ მისცემ. ჩაეჭიდე გადამწყვეტ საკითხს. თავი დაკარგე მასში, რის შემდეგაც, მიუხედავად წუხილისა, მოუსვენრობისა და შიშისა, შენ მაინც მტკიცე საფუძველზე შეურყევლად დარჩები.

შენი გადარჩენის საკითხი, ზეცაში, ღვთის ტახტის წინაშეა გადაწყვეტილი. ამჟამად ტახტის წინაშე შენს გამო იესო დგას. შენი გადარჩენა მასზეა დამოკიდებული. შენი მონაცვლე ისაა. უსაფრთხოება გარანტირებულია. საქმე მოგებულია. ეს მდგომარეობა არასოდეს შეიცვლება. იესოა შენი თავდები გახდა.

1 ივლისი

ხოლო ვიცი, რომ თქვენთან მოსვლისას მოვალ ქრისტეს სრული კურთხევით.

რომაელთა 15:29

პავლემ საიდან იცოდა, რომ ის რომში მისვლისას ქრისტეს სრული კურთხევით ჩავიდოდა?

ეს ღმერთმა უჩვენა მას.

უფალმა ყოველივე წინასწარ იცის. მან დაინახა პავლე, როგორც პატიმარი, მსოფლიოს დედაქალაქში, როგორ ჩადის, ხორციელად გატეხილი თავისი დიდხნიანი პატიმრობის და იმ საშიში მოგზაურობის გამო, რადგან გემის მსხვრევა განიცადა.

ღმერთი გარეგნულ ძალაზე, როდია დამოკიდებული. მისი ძალა უძლურებაში სრულყოფილდება. პავლე რომში იქნა ჩაყვანილი, დამდაბლებული და არაშთამბეჭდავი ფორმით. როდესაც მისი ჩამოსვლის ამბავი იქაურ საქრისტიანოს მიწვდა, ისინი მას ქალაქის ქუჩებში გამოეგებნენ. ამ სანახაობის გამო პავლემ ღმერთს მადლობა შეწირა და გამხნევდა.

პავლე ქრისტიანებს რითი შეხვდა?

პასუხი: ქრისტეს სრული კურთხევით.

რომის საკრებულოში უამრავი მცდარი შეხედულება არსებობდა. რომაელთა წერილში პავლეს მიერ გაცემული შეგონებები, ამის შესახებ არანაირ ეჭვს არ გვიტოვებს. თუმცა ამ დროს პავლე, მათ დასატუქსად და დასარიგებლად არ ჩამოსულა. ის ღვთის მადლით მოვიდა და ყოველივე იმით, რასაც ეს კურთხეული სიტყვა მოიცავს.

ქრისტეს კურთხევა ყველა ის სიმდიდრეა, რასაც ცოდვილი იესოს რწმენით ღებულობს. იმაზე დიდი კურთხევა არ არსებობს, ვიდრე ღია გული მისდამი. ამ დროს შენ ხსნის სიხარულით ივსები. თასი შენი პირთამდეა სავსე. საკუთარ თავს მადლის ოკეანით გარშემორტმულს ხედავ და ყველაფერს დაუმსახურებლად ღებულობ.

სადაც ეს კუთხევაა, იქ იძულების ძალაა. პავლე ამბობს, „ქრისტეს სიყვარული გვაიძულებს.“

ქრისტეს მსახურებაში ის საკუთარ ძალას და უნარს არ ეყრდნობა.

პავლე აცნობიერებს, რომ მას საქმის კეთების უნარი თავისით არ შეუძენია. მისი შეძლება უფლისგან იყო. აგრეთვე ის ახლო კავშირში იყო იმ შერიგების სიტყვასთან, რომელიც ღმერთმა მასში ჩადო.

2 ივლისი

და ლოცულობდა, ზეცა გაიხსნა.

ლუკა 3:21

რა ხდება როდესაც ლოცულობ? არ უნდა დაჰყვე ცდუნებას, რომ ლოცვა მხოლოდ ლიტონი სიტყვებია. შესაძლოა აზრები და გძნობა ამას გეუბნება. მაგრამ ღვთის სიტყვა სრულიად განსხვავებულ რამეს ამბობს.

როდესაც იესო ლოცულობდა, ზეცა გაიხსნა.

იესოს ცხოვრებაში ასე ხდებოდა და მისთვის მნიშვნელოვანია თავისი სიტყვით შთაგვაგონებს, რომ ყოველი ღვთის შვილი გახსნილი ცის ქვეშ ცხოვრობს.

იესო ნათანაელს ეუბნება, „შენ იხილავ გახსნილ ცას.“ როდესაც გაგიჟებული ბრბო სტეფანეს ქოლავდა, ეს სიტყვა ჭეშმარიტად აღსრულდა. მან იხილა გახსნილი ცა და ძე კაცისა, ღვთის მარჯვნივ მდგომი. იოანემაც იგივე განიცადა, როდესაც იესომ მას კუნძულ პატმოსზე უდიდესი ჩვენება მისცა და მისთვის ზეცის კარი შეაღო.

იესოა ის ერთადერთი, რომელმაც ცა გაგვიხსნა. ამის გაკეთება ჩვენით არ შეგვიძლია. მისი გახსნა არცაა საჭირო, რადგან ის უკვე ღიაა. მოცემული ფაქტი ლოცვასა და გახსნილი ცის კავშირს არ ეწინააღმდეგება. შენი და ჩემი სახელი მას არ აღებს. ღმერთმა შენ სახელი იესო მოგცა. მისით მასთან მისვლა შეგიძლია. ამიტომ ადექ და გაბედულად მიდი. ნუ დააყოვნებ, რადგან ღმერთი გელოდება.

იოანემ ზეცაში წმიდათა ლოცვები ოქროს თასში იხილა. ეს არის გამოხატულება იმისა, თუ ღვთისათვის ლოცვა რაოდენ ძვირფასია.

სულიერ სიღარიბესა და არასაკმარის ლოცვებს შორის კავშირი არსებობს. როდესაც ქრისტიანის ბაგეებზე ლოცვა კვდება, სულიერი სიღარიბე იჩენს თავს. იესოსთან ისწავლე. ეს მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები, რომ ზეცა მისი ლოცვისას გაიხსნა, მაგრამ მან იცოდა, რომ მამა მას ყოველთვის უსმენს. ამის გამო მთელი მისი ცხოვრება ლოცვაზე იყო მიძღვნილი.

ზეცაში იხილავ, ზეციური ძალები მოძრაობაში როგორ მოდის, როდესაც იესოს სახელით ლოცვაა წარმოთქმული. აქ, დედამიწაზე შენ რწმენით გიწევს სიარული; ამიტომ მთელი შენი ნდობა ღვთის მრავალ აღთქმებში ჩადე. გამოიყენე ლოცვის უფლება. ილოცე გახსნილი ზეცის ქვეშ, ვინც ითხოვს, მას ეძლევა კიდეც, რადგან იესომ ასე თქვა.

3 ივლისი

გადაივლის ქარიშხალი და აღარ არის უკეთური, მართლის საძირკველი კი საუკუნოა.

იგავი 10:25

ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობს ცხოვრების სიმდიდრეს ოჯახში, სამეგობროში, კარიერაში, კეთილდღეობასა და უსაფრთხო გარემოში ვეძიებთ. ჭეშმარიტება ისაა, რომ ყოველი აქ ჩამოთვლილი ღვთის კეთილი საბოძვარია. მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ადრე თუ გვიან ყოველ მათგანზე მოგვიწევს დამშვიდობება. თუ მიწიურ სიმდიდრეს უსაფრთხო საძირკვლად გაიხდი, მაშინ საკუთარ თავს აცდუნებ. ამას იმ დღეს მიხვდები, როდესაც შენი ცხოვრების საფუძველი მთლიანად შეირყევა.

ერთადერთი საძირკველი, რომელიც არასოდეს ირყევა, ეს ის საძირკველია, რომელზეც იესოთი გამართლებული ცოდვილი დგას. ეს ხსნის საძირკველი, საუკუნოა.

მაშასადამე საკუთარ თავს ჰკითხე, დგახარ თუ არა ამ საძირკველზე. ამ მდგომარეობაში მხოლოდ ისაა, ვინც პირად მხსნელად იესო მიიღო. შენ უნდა გახდე მისი მოწაფე და მისთვის იცხოვრო.

თუ თავშესაფარს იესოში ჰპოვებ, მაშინ ის შენთვის ყველაფერი გახდება. ნებისმიერ ქარიშხალში შესული, ნახავ, რომ ის არ იძვრის. ის მტკიცე საყრდენია, მაშინაც კი, როდესაც ყველა საძირკველი ირყევა.

კარგია, თუ უფალთან ურთიერთობის დალაგებაზე ფიქრობ. როცა ყველა გზა გადაგეკეტება, გეცოდინება საით წახვიდე.

მნიშვნელოვანია, შენი უფალთან მისასვლელი გზა ზედმეტად არ დაგრძელდეს. მიწიურმა საგნებმა შესაძლებელია შენი ყურადღება ადვილად გაიტაცოს. ეს ნიშნავს, რომ უბედურების ჟამს გამოსავლის მოძებნა გაჭირდება. სრულიად სხვა სურათია, როდესაც უფალს გამუდმებით დაეძებ. როდესაც შავი დღე დადგება, ჩვეულებრივ მაინც იმის კეთება მოგიწევს, რასაც მანამდე აკეთებდი.

როგორი ნუგეში და ძალაა ის ფაქტი, რომ იესო ჩემი საუკუნო კლდეა! თუნდაც მოვკვდე, ჩემი ცხოვრების მტკიცე საფუძვლად მაინც ის დარჩება. ის მარადიულია.

იესო იგივეა ზეცად, რაც ის აქ, დედამიწაზე არის. მისი საქმე ღვთისაგან იქნა დამოწმებული. მისი ხსნა ხიდია, რომელიც მბრდღვინავ და ცვალებად დროებაზე მამაღლებს და სასუფევლისკენ მივყავარ, სადაც ყველაფერი ახალი იქნება, რასაც უფალი იესო ღებულობს. ის რჩება იმად, რაც სინამდვილეში არის. ის მარადიული საძირკველია.

შენ მასზე უნდა იდგე — ახლაც და საუკუნოდ.

4 ივლისი

და მოჰქონდა ყორნებს პური და ხორცი დილა-საღამოს.

1 მეფეთა 17:6

ღმერთი აქ უცნაურად მოქმედებს. რატომ არ დაავალა ილიაზე მზრუნველობა ანგელოზებს, როცა ის მარტოობაში ქერითის ხევში იყო? განა ყველა ანგელოზი მომსახურე სულები არ არიან, მათ სამსახურად წარმოგზავნილი, ვინც ხსნა უნდა დაიმკვიდროს? ელიასთან ანგელოზების ვიზიტი სულ სხვა იქნებოდა! გეთსემანიაში ანგელოზის მიერ იესო განმტკიცდა.

ამ შემთხვევაში ღვთის ჩარევა იმ ფაქტით შემოისაზღვრება, რომ ყორნები უცნაურად იქცევიან.

ამის დანახვა აუცილებელია. ის დაიწერა, რათა მისი მეშვეობით გაკვეთილი გამოვიტანოთ.

ღმერთი შენს მითითებას, თუ როგორ დაგეხმაროს არ საჭიროებს. არც შენს განსჯას ექვემდებარება, თუ რა შესაძლებლობები აქვს ღმერთს. მისი ფიქრები და გეგმები ხშირად უცნაურია და ის შეთანხმებას ჩვენთან არ აწარმოებს. ჩვენდამი მისეული დახმარების გზა, შორს მიმავალი მისი გეგმის ნაწილია.

არცაა საჭირო უფალს ჰკითხო რატომ ჩაერია ღმერთი ისე, როგორც ჩაერია. დიდ ძალისხმევას ხარჯავ იმის მცდელობაში, რომ ღვთის განზრახვას ჩაწვდე. არ გააკეთო ეს. დაიცავი ღმერთის სიტყვა და იესოსთან ერთად იცხოვრე. თავს ნუ დაძაბავ იმაზე ფიქრში, რაც უფალს შენთვის არ გაუცხადებია. ნაცვლად ამისა ისწავლე ელიასგან, რადგან ღმერთი ხანდახან თავის შვილებს ყორნებით უგზავნის დახმარებას.

„ყორანთა დახმარებაა," როდესაც უმნიშვნელო ქმნილებები ან მდგომარეობები მის გეგმას ემსახურებიან, რათა მისი უსაზღვრო მზრუნველობა შენზე განხორციელდეს. ასევე შენც გმართებს ისწავლო, რომ ღმერთი ერთბაშად მთლიან დახმარებას არ გზავნის. დააკვირდით, ყორნები დილა-საღამოს მოდიოდნენ. ჩვენ უხვი მარაგი გვინდა. თუ მას მივიღებთ, მაშინ ღმერთზე მუდმივ დამოკიდებულებას ადვილად მოვწყდებით. ამიტომ ის წინასწარ გვაძლევს, რაც სამომავლოდ გვჭირდება. ჩვენ ყოველდღიურად საკმარის საზრდოს ვღებულობთ.

ყოველთვის ადვილი არაა იმ გზისათვის ვმადლობდეთ ღმერთს, რა გზითაც გვეხმარება. მაგრამ ამ გზის მიღება ღვთის შვილისთვის ყოველთვის დიდი კურთხევაა. მაშინ შენ ჰგავხარ ბავშვს, რომელიც მამის ან დედის ხელს თამამად ეჭიდება და დარწმუნებულია, რომ მშობელმა კარგად იცის რაა მისთვის უკეთესი.

5 ივლისი

რადგან არ შეგეშინდება.

ესაია 54:14

შენი სული მოსვენებას ღვთის სიტყვაში პოულობს. ის ერთადერთი ადგილია. აქ, მიწაზე იცი, შეიძლება შენი მოლოდინები გამართლდეს, მაგრამ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნაც შესაძლებელია. თუმცა ღმერთის სიტყვა შენ, სულ სხვა სამყაროში მიგიძღვის.

შიში არ გმართებს, რადგან საშიში არაფერი გაქვს.

ეს სიტყვა შენ გეკუთვნის, რომელმაც უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა, თავშესაფარი იესოში ჰპოვე. არ ფიქრობ, რომ ქრისტიანობაში წარმატება გაქვს. ინდიფერენტულობა და გულგრილობა თავს დაგტრიალებს და ამიტომ გიჩნდება კითხვა, მართლა შეიძლება ღვთის დიადი და სიმდიდრით აღსავსე აღთქმების შენს ცხოვრებაში აღსრულება.

ცხოვრებაში ღვთის სიტყვისადმი ყურის მიგდება აუცილებელია. შიში არ გმართებს. ეს სიტყვა იმ ხალხისადმი იყო წარმოთქმული, რომელთა ცხოვრება ცოდვითა და განდგომილებით იყო დადაღული. მაგრამ უფალმა მათი შებრალება გადაწყვიტა. ასეა შენს მიმართაც. შენი ცხოვრების საიდუმლო ის არაა, რაც წარმატებას და მარცხს ექვემდებარება. არა, ღმერთმა შენ ქრისტეში აგირჩია. მის საყვარელ ძეში, ყოველგვარი სულიერი კურთხევა ციდან დაგაბერტყა. ამიტომ მართლაც არაფრის არ უნდა გეშინოდეს.

ღვთის აღთქმების არ გესმის. ის შენს გონებასა და შემეცნებას აღემატება. თუმცა ის ზეცაშია განმტკიცებული. იმ დიდებულ დღეს მარადისობაში იხილავ, რომ არცერთი მათგანი არ გაცუდებულა.

ღმერთის ნათქვამი „არაფერი," არაფერს ნიშნავს. შენ აბსოლუტურად არაფრის არ უნდა გეშინოდეს.

ქარიშხლებმა შესაძლო მძლავრად დაუბეროს და სიძნელეები მთებივით აგორდეს, რამაც თვალთახედვაც კი დაგიბრკოლოს, თუმცა შენ არაფრის შიში არ გმართებს.

ქრისტიანად ყოფნა უდაოდ დიდი სიმდიდრეა. დაუკვირდი, მიუხედავად მდგომარეობისა, გასაოცარი სიმშვიდე შენი არსების სიღრმეში სუფევს. შესაძლოა მას ვერ განიცდი, რადგან საგანთა ცვლილებამ ამ მშვიდობას მოგწყვიტა, მაგრამ ის იქ რჩება, ვინაიდან ის ღვთის სიტყვის ქმნილებაა.

ამრიგად, ისმინე ბრწყინვალე სახარება, რომელიც ზუსტად იმ მდგომარეობაზე გეთქვა, რაშიც შენ დღეს იმყოფები. არაფრის შიში არ გმართებს, რადგან უფალმა ასე თქვა.

6 ივლისი

ასე შეიცანით ღვთის სული: ყოველი სული, რომელიც აღიარებს ხორცში მოსულ იესო ქრისტეს, ღვთისგან არის.

1 იოანე 4:2

აღიარება ნიშნავს გამოხატო, რაა შენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი. მრავალთა აზრით ის, რამოდენიმე სიტყვით კითხვაზე გაცემული პასუხია. ისინი თავიანთი ბაგის აღსარებით კმაყოფილნი არიან. ამიტომ ცრუ იმედში ცხოვრობენ, რადგან მათ ნათქვამსა და მათ გულში მაცხოვრებელს შორის არანაირი კავშირია.

თუ ცოდვებს აღიარებ, ამით შენს ცხოვრებაში ცოდვის არსებობას ცნობ. ცოდვა ყველაფერს ბღალავს. დროდადრო სურვილი გიჩნდება, რომ ადამიანების მიერ შემჩნეული იყო.

თუ ვერ გამჩნევენ, სასოწარკვეთილებაში ვარდები. გსურს გმადლობდნენ, პატივს მოგაგებდნენ და გამაღლებდნენ. ცოდვათა სიმრავლეს ჩვენი გონების სიღრმეში ვმალავთ. ისინი თავს მუდმივად იჩენენ. მრავალი მათგანი ცხოვრების აზრებთანაა კავშირში. ცოდვა მოქმედებაში მოდის და შიშს გვგვრის.

ამის გამო გვჭირდება ვაღიაროთ, რომ ცოდვაა ჩვენს ცხოვრებაში. საკუთარ თავს ვერ გამოვისწორებ. მიუხედავად ჩემი ძალისხმევისა, თავს მისგან ვერ დავაღწევ.

უპირველეს ყოვლისა, შენ იესო უნდა აღიარო. ყველაფერი მის შესახებ არის და ის ყველაფერთან ღრმა კავშირშია. დიახ, მას თავისი წმიდა ხელებით შენს ცოდვებთან შეხება მოუწია. მათ ის იმდენად გააბინძურეს, გოლგოთაზე ღვთის რისხვისა და მსჯავრის ქვეშ, როგორც დამნაშავეს სიკვდილი მოუხდა. თუ აღიარებ, რომ იესო ხორცში მოვიდა, ამით მასზე მიუთითებ, რომელმაც წყევლის ხეზე ყოველი ცოდვისაგან გამოგისყიდა.

იესო ზეციდან უწყებით მოვიდა. მან ღვთიური რჩევა ხსნისათვის იქადაგა, მაგრამ არა მხოლოდ ეს. მას სხვა საქმის უნდა გაეწია. ცოდვა უნდა გამოესყიდა, რაც სისხლის ფასად დაუჯდა. მამასთან მისი ურთიერთობაც მან ამ ფასში გაიღო.

ეს ყველაფერი მის გამო მოხდა. უფალმა თავისი სულით ამაში დაგვაჯერა.

„სახელი იესო საკმარისია, რათა მასში ზეცა და მიწა ერთად მოთავსდეს.“

7 ივლისი

ნუ გეშინია მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ შეუძლია. უფრო მეტად იმის გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვაც შეუძლია და სხეულისაც გეენაში.

მათე 10:28

ადამიანებს ერთმანეთის ეშინიათ. სხვას შეუძლია შენ გავნოს. შესაძლოა მეგობრებისგან ზურგის ქცევა უკვე განიცადე.

იესომ ისე, როგორც არავინ, ადამიანური ცხოვრება იცის. მას ნათქვამი აქვს, რომ ისეთი ჭირი გვექნება, უფალს რომ არ შეემოკლებინა ის დღენი, ბევრი ხორციელი ვერ გადარჩებოდა. ციხე, წამება, შიმშილი, ომი და დევნა, ვიდრე ეს დედამიწა იარსებებს არ დასრულდება.

მიუხედავად ამისა იესო გვეუბნება, რომ ჩვენ ადამიანთა შიში არ გვმართებს. მათ მხოლოდ სხეულის მოკვლა შეუძლიათ. სიკვდილი, მათი ძალაუფლების შეზღუდვას ახდენს.

თუმცა ჩვენ ღმერთის უნდა გვეშინოდეს.

ადამიანთა უმრავლესობა კითხვას სვამს: რატომ უნდა გვეშინოდეს მისი? მათი აზრით ამის მიზეზი არ არსებობს. ასე ჰგონიათ იესო ღვთის შესახებ სიმართლეს არ ლაპარაკობს. საშინელება იქნება მათთვის, როდესაც სიკვდილისა და სამარხის წინ აზრზე მოვლენ, რა დროსაც იმ ღმერთის წინაშე წარდგებიან, რომელსაც მათი სხეულებისა და სულის ჯოჯოხეთში დაღუპვა შეუძლია.

ღმერთს ამის გაკეთება შეუძლია, მაგრამ გააკეთებს კი?

იესომ ამ კითხვაზე ნათელი პასუხი გასცა. მისი თქმით ღმერთი განკითხვის დღეს, თავის მარცხნივ მგომთ ეტყვის, „წადით ჩემგან წყეულნო საუკუნო ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვის“ (მათ. 25:41).

იმ დროს ღვთის შიში ყოველ მიზეზ გარეშე იქნება, რადგან ის ადამიანებს ჯოჯოხეთში გაისტუმრებს. ამიტომ უფლის წინაშე უნდა ვილოცოთ, რომ მან ჩვენი გული გამოიკვლიოს, რათა თვით-ცდუნება ავირიდოთ. უპირველესად, ღმერთთან მშვიდობის ქონაა მნიშვნელოვანი. შენ იესო პირად მხსნელად უნდა მიიღო. თუ ამას არ გააკეთებ, ღმერთს შენი ჯოჯოხეთში ჩაგდება მოუწევს. რისიც ყველას ეშინია ნუ გაშინებს. იმის გეშინოდეს, რაც სინამდვილეშია საშიში: ღვთისგან განსჯა, მარადიულობის ჩაუქრობელ ცეცხლში გატარება, სადაც ტირილი და კბილთა ღრჭენაა.

8 ივლისი

რათა განეგო ჟამთა სისავსე და ქრისტეში მოეყარა თავი ყოველივეს, რაც ცაშია და რაც დედამიწაზეა.

ეფესელთა 1:10

საგალობლებში ვმღერით, „ღმერთს შენზე გეგმა აქვს.“ და ეს სიმართლეა. მისი გეგმა მის ზრახვასთან თანხმობაში მოდის. ღვთის სურვილია თავი ყველაფერმა იესოში მოიყაროს. ეს იმ შემეცნების გასაღებია, რისი ჩაწვდომაც სხვა გზით ურთულესია.

როცა უფალი ჩვენს ლოცვებს არათი პასუხობს, ეს იმის გამო არ ხდება, რომ ჩვენზე არ ზრუნავს. არც იმის გამოა, რომ ვერ გვიგებს. ჩვენი, როგორც მას, ისე არავის ესმის.

ღვთის პასუხი იმ ფაქტის სინათლეში უნდა იქნას დანახული, რომ შენს ცხოვრებაში ყველაფრის შეჯამება იესოში უნდა განხორციელდეს. თუ ის მიიღე, რაზეც ილოცე, გარკვეულ დონეზე საკუთარი თავის მხარდამჭერი შეიქნები. ეს კიდევ ქრისტიანისათვის საშიში მდგომარეობაა. როდესაც ისრაელი ხალხი იმ მიწაზე შევიდნენ, რომელზეც რძე და თაფლი მოედინებოდა, მათ უფალი დაივიწყეს. მათ მისი მზრუნველობა და შეწევნა აღარ ესაჭიროებოდათ.

შესაძლოა თავს უსუსურ ქრისტიანად გრძნობ. ძლიერ და გამარჯვებულ ქრისტიანულ ცხოვრებაზე ოცნებობ, რათა სხვებს აჩვენო, თუ ქრისტიანად ყოფნა რაოდენ კარგია. ამიტომ გიკვირს ღმერთი, რატომ არ გეწევა, რათა გაძლიერდე. მაგრამ თუ მოხდა და ერთ სიძნელეს გაუმკლავდი, მეორე წამოყოფს თავს. ისევ ღმერთთან მისვლა და შენი უღონობის მის წინაშე მიტანა გჭირდება. ის შენს დაცემას არ დაუშვებს. დროდადრო მაშინ გადმომდგამს ნაბიჯს, როცა შიშით იქნები შეპყრობილი. მარტო არ დაგტოვებს, მიუხედავად შენი კითხვის პასუხგარეშედ დარჩენილი: რა საჭირო იყო მოვლენების ასე განვითარება?

ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ღმერთს იესო უნდა ყველაფერი ყოველივეში იყოს. ყოველი შტრიხი მას მიუთითებს; ხოლო ეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც თავშესაფარი მასში გაქვს ნაპოვნი.

როდესაც დავითმა ყოველი მტერი დაამარცხა და მშვიდობა ყოველმხრივ უზრუნველყო, ის დაუმარცხებელ პიროვნებად ჩანდა. მაგრამ მისი ცხოვრების უდიდესი ტრაგედიის დღეს ის ბანზე მოსეირნე აღმოჩნდა. სატანას უფლება მიეცა დავითი გაეცხრილა, რათა ხსნის საწყისებს დაბრუნებოდა, სადაც მისთვის ისევ ყველაფერი ღვთის მადლი და გადარჩენა გახდებოდა. ღმერთმა ყოველივეს თავი იესოში მოუყარა.

შენსა და ჩემს ცხოვრებაში მისი გზა ანალოგიურია. ჩვენით არარაობა ვართ. იესო კი ჩვენთვის ყველაფერია.

9 ივლისი

ზღვის სიღრმეებში მოისვრი ყველა მათ ცოდვას.

მიქა 7:19

სანაპიროზე სეირნობა შთამბეჭდავი განცდაა, როცა ზღვას გასცქერი და მის ტალღათა ხმა გესმის. ზღვა არასდროს მთავრდება. ზღვას ზღვა მოდევს და ისინი ერთობლივად მთელ დედამიწას გარს ეხვევიან.

ოდესმე მომხდარა ისე, რომ სანაპიროზე მარტოდ მყოფი დაფიქრებულხარ სიტყვებზე: „ზღვის სიღრმეებში მოისვრი ყველა მათ ცოდვას?“

ზღვები მთელ დედამიწას ფარავენ. თანამდროვე ეპოქაში მრავალი საიდუმლოება ზღვებისა გახსნილია.

მაგრამ რა ვთქვათ იმ ზღვის შესახებ, რომელიც შენს ცოდვას ფარავს; ნუთუ ერთ დღეს მასში დაფარულიც გამჟღავნდება?

არა, ეს არასოდეს მოხდება. ვინაიდან ზღვა, რომელიც შენს ცოდვებს ფარავს, მადლის ზღვაა. ამ ზღვას იესო ჰქვია. თუ ღმერთმა მასში შენი ცოდვები მოისროლა, მის უკან ამოთრევას ის არასოდეს შეეცდება. ისინი გაუჩინარდნენ.

გამოცხადების წიგნი ზეცაში არსებულ ზღვაზე მოგვითხრობს. ის ყველა სხვა ზღვისგან განსხვავდება. ის ბროლივით გამჭვირვალეა.

ეს ზღვა ღვთის გულში არსებულ მადლს ჰგავს. სადაც ისაა, იქ მადლის გარდა აღარაფერია. იესოს სისხლის ძალა ასეთი მშვენიერია. როდესაც შენი ცოდვების მადლის ზღვაში მოსროლა მოხდა, ის გაუჩინარდა და მხოლოდ მადლის მიღმა რჩება.

შეიძლება წარსული ცოდვების გამო ნაღვლობ. შესაძლოა საკუთარ თავს მათ გამო კვლავ და კვლავ ასამართლებ. ნუ გააკეთებ ამას! უნდა იცოდე, რომ ღმერთი არცერთ ცოდვას, რომელიც ამ მადლის ზღვაშია გადასროლილი არ ცნობს. ამიტომ მათი დავიწყებაც შენც გმართებს.

მაგრამ სწორად ვაღიარე? ყველაფერი გავიხსენე? საკმარისი სერიოზულობით მოვეკიდე მას?

დააკვირდი იმას, რომ ღვთის სიტყვა არ ამბობს, რომ შენ ხარ ის ვინც ცოდვებს ზღვაში ისვრის; უფალია ამის მქმნელი. ყველაფერს, რასაც ღმერთი იქმს, სრულყოფილად აკეთებს. იესომ ამიტომ წარმოთქვა კურთხეული სიტყვა, „აღსრულდა!“

თქვენში ისეთ რამეს ვერასოდეს იპოვით, რომელიც განსხვავებული ან უკეთესი იქნება. უფალმა ჩვენზე, რომელნიც დაკარგულნი ვიყავით იზრუნა. მის წინაშე ჩვენი ცოდვები ბუტბუტითა და წრფელად უნდა ვაღიაროთ. ამის შემდეგ ის მათ მადლის ზღვის სიღრმეებში მოისვრის და ღმერთი აღარასოდეს მოიძიებს მათ.

10 ივლისი

მე ვიქნები შენთან და აი, ნიშანი შენთვის, რომ მე მიგავლინე: გამოიყვან რა ხალხს ეგვიპტიდან, ამ მთაზე სცემთ თაყვანს ღმერთს.

გამოსვლა 3:12

ადამიანთა უმრავლესობას ნიშანთა ხილვა წყურია. მათი აზრით თუ მას მიიღებენ და ნიშანი დასანახი შეიქნება, მაშინ ყველაფერი გაადვილდება.

მაგრამ ნიშანთა მოთხოვნა საშიშია. ხშირად ის ეჭვის დროს დახმარებას ვერ იძლევა. როდესაც სიძნელეები წარმოიშობა, ეჭვი მაინც იჩენს თავს.

არც ისაა დამაჯერებელი, რომ ღმერთს ნიშნის მოცემა სურს. ჩვენი სურვილის დაკმაყოფილება მას, სხვა გზითაც შეუძლია. მოსემ მაგალითად ის ცეცხლოვანი ბუჩქით მიიღო.

ღმერთმა მას ყოვლისმომცველი ამოცანა დაუსახა. ის ფარაონთან უნდა წასულიყო და ისრაელიანთა წასვლა მოეთხოვა. მაშინ ღმერთმა მოსეს ნიშანი მისცა. სხვა დროს ის იმ ადგილზე ბრუნდება, სადაც ცეცხლოვანი ბუჩქი იხილა, მაგრამ არა მარტო. მასთან ერთად მთელი ერი იყო.

მოსეს, ვიდრე ეგვიპტიდან ხალხს გამოიყვანდა ნიშანი უნდა მიეღო. ეს უცნაურად შეიძლება მოგეჩვენოთ. მაგრამ ღმერთი შეცდომას არ უშვებს. მან იცოდა თუ მოსეს ნიშანი რაოდენ ჭირდებოდა, როდესაც ის უდაბნოში ურჩი და თავნება ხალხით იყო გარემოცული.

თქვენს ცხოვრებაშიც იგივეა. ღმერთი იმ ნიშანს მოგცემთ, რომელიც მომავალში რაღაცის აღსრულებას მოითხოვს. უფალს რწმენის ნაბიჯების გადადგმა უნდა გასწავლოს. თუმცა უფლის ნიშანი გვიან არასოდეს მოდის. როცა, ადრე თუ გვიან, აღურიცხავი სიძნელეების გარემოცვაში თავს ამოყოფ, უფალი იმის მოწმობას მოგცემს, რომ შენ ნამდვილად მის გზაზე დგახარ.

ვიდრე ანალოგიურ დაჯერებულობას შენც არ მოგცემს, რაც მოსეს უფალმა მისცა, „მე ვიქნები შენთან!“ მანამ, არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი თუ არა ღვთის აღთქმებისადმი მოსმენა. მათ ნება უნდა დართო, რომ გატარონ. სიტყვა მაშინაც კი მტკიცედ დგას, როდესაც ეჭვების გამო ნიშანი საწრმუნოდ არ გეჩვენება.

უფალი მწყემსივით ზრუნავს — ის თავის გზაზე გატარებს. შენი ცხოვრება უფლის ხელს გაბედულად მიანდე! ის შენს გულს იცნობს და კარგად იცის, რომ შენი უდიდესი სურვილი მის ნებაში ყოფნა და მის გზაზე სიარულია.

11 ივლისი

ის არც იღლება და არც იქანცება, გამოუკვლეველია მისი გონება. დაქანცულს ძალას აძლევს და უძლურს ძლიერებას ჰმატებს.

ესაია 40:28-29

ღვთის აზრებით ფიქრი შეუძლებელია, მაგრამ მას მათი შენთვის გაცხადება შეუძლია. ეს მან იესოში გააკეთა. შენშიდაც იმავეს გააკეთებს იმ გზის კავშირის შემეცნებით, რომლითაც ის გატარებს. სხვა შემთხვევაში ის არ გიჩვენებს, რისი გაკეთება შენთვის მას სურს. ამ დროს შესაძლებელია ღვთის გზით შემოწმებით დაიქანცო კიდეც. მრავალ სხვადასხვა შესაძლებლობაზე გაგიტაცებს ფიქრები, მაგრამ დარდით აღსავსე გულს ვერცერთი მათგანი მშვიდობას ვერ მოგვრის.

იმის მიღებას როდის ისწავლი, რომ ისეთი საკითხები არსებობს, რომელთაც ვერ იგებ? მიუხედავად შენი ძალისხმევისა მათ ვერ წვდები.

მაგრამ შენ შეგიძლია სწრედ მას სცე თაყვანი, რომელსაც ვერ უგებ. მე და შენ მტვერი და ნაცარი ვართ. ჩვენ თავმდაბლობით გვმართებს თავი ბრძენსა და წმიდა ღმერთს დავუმორჩილოთ. ყველა პასუხზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ შენ მისი თაყვანისცემა და განდიდება შეგიძლია.

საკუთარი თავი იმ კითხვების გამეორებით რამდენჯერ გაგიტანჯია, რომელზეც უფალი არ გპასუხობს? შენი კითხვების მიღმა ბრალდება ხომ არ იმალება? რატომღაც ის ფაქტი არ გაკმაყოფილებს, რომ ღმერთს ყველაფერი ესმის. შენც გინდა, რომ გესმოდეს. დადგება დღე და ფიქრის თავიც აღარ გექნება. ეს კურთხეული მდგომარეობაა. მაშინ უფალი თავისი ნიჭებით შენს დასახმარებლად მოვა.

დაქანცულს ძალას აძლევს და უძლურს ძლიერებას ჰმატებს. ეს იმის გამო არ ხდება, რომ ისევ შენს კითხვებს დაუბრუნდე. არა, მას უნდა იმ გზაზე სიარულში დაგეხმაროს, რაც შენთვის განსაზღვრა.

რატომღაც ვფიქრობთ, რომ მას ვისაც დიდი ძალა აქვს, ის უფრო მეტს ღებულობს. მაგრამ ეს ასე არ არის. უფლის შეწევნა კეთილის კეთების საზღაური როდია. ეს ყოველთვის მადლით ხდება.

ამიტომ კარგია დაუძლურებულ და დაღლილ მდგომარეობაში ყოფნა. მაშინ უფალი თავის დახმარებით მოდის. ის არ დააყოვნებს. ის ძუნწად არ მოცემს. არა, შენ ძალას და განახლებულ უნარს მიიღებ, ვიდრე იმ ადგილს არ მიაღწევ, სადაც ყოველ შენს კითხვას პასუხი გაეცემა და ვიდრე ყოველი საიდუმლო ამოხსნილი არ იქნება.

12 ივლისი

მოასწორე შენი ფეხის ბილიკი და ყველა შენი გზა განმტკიცდება.

იგავი 4:26

იესო არის გზა. ღვთის გულთან მის გარდა სხვა მისასვლელი არ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოდვილის გადარჩენის პოვნა ამ გზაზეა შესაძლებელი. ეს ახალი და ცოცხალი გზაა. თუ შენ მასზე ხარ და მასზე დარჩები, ე. ი. ზეცის მიმართულებით მიდიხარ.

მოასწორე შენი ფეხის ბილიკი და ყველა შენი გზა განმტკიცდება. აქ ნათქვამი სიტყვა, ცხოვრების სხვადასხვა მდგომარეობაში მიღებულ არჩევანზე მიუთითებს. მას დანიშნულების მიმართულებით მივყავართ კი, თუ არაქრისტიანთა მსგავსად, შენი დღის წესრიგი გაქვს ჩამოყალიბებული?

ჭეშმარიტებისადმი შენი მიდგომა როგორია? სანდოა შენი ნათქვამი? თუ სხვათა საცდუნებლად ლაპარაკობ?

ყოველთვის პატიოსნად იყენებ ხელმოწერას? რა შეიძლება ითქვას ფილმებზე, რომელსაც უყურებ და წიგნებსა და ჟურნალებზე, რომელთაც კითხულობ? როგორ ხარჯავ შენს დროსა და ფულს? ისე ხომ არ იქცევი, თითქო ქრისტიანი საერთოდ არ ხარ?

შენი ცხოვრების ყოველი სფერო შეიძლება გზას შეედაროს. გზა სასიარულოდ არის შექმნილი; ამიტომ მასზე მიმართულება უნდა იყოს არჩეული. დანიშნულებამდე მისვლა გზის სიმრავლეზე როდია დამოკიდებული. თუ გზა სწორად არ მიდის, მაშინ გაუცნობიერებლად შენ იესოს უფრო და უფრო დაშორდები.

უამრავი ადამიანი ფიქრობს, რომ ყველაფერი მანამ არის კარგად, ვიდრე მათ ზეცისკენ სიარული სურთ. მათ სიზმრადაც არ მოუვათ ის, რომ ისინი იესოს „ნახვამდის“ ეუბნებიან. მაგრამ თუ ღმერთის სიტყვას გამოიყენებენ, ან უფალს ლოცვით დაუწყებენ ძიებას, აღმოაჩენენ, რომ საკითხს სერიოზულად არ უდგებიან და არც ღვთის მცნების შესრულებაზე იკლავენ თავს.

ასეთნი ღვთის ნათქვამს ყურს არ უგდებენ.

ყოველივე ამის რეზულტატი ის არის, რომ მათი გზები დანიშნულებისაკენ არ მიდის. ეშმაკი მათ ქვეყნიერებისაკენ შეუმჩნევლად ექაჩება. ხოლო ისინი დღითიდღე უფრო სეკულარულები ხდებიან.

განგაშის მიზეზი ნამდვილად არის. ჩვენ ყოველდღიურად, ცხოვრების მრავალ ბილიკზე გვიწევს სიარული. თუ მათ დანიშნულების ადგილზე არ მივყავართ, მაშინ მათი გამოყენება რა საჭიროა. იესოს შენს ყოველდღიურობაში უნდა შემოსვლა. მას სურს გადაგიწყვიტოს, რა აკეთო, რა იფიქრო და რა თქვა. თუ ისაა უფალი შენი ცხოვრებისა, მაშინ ისეთი ქრისტიანი გახდები, რომელსაც ზეციური დანიშნულების ადგილისაკენ აქვს გეზი აღებული.

13 ივლისი

ჩაუკვირდით თქვენს გზებს...თუ ვინმე რამეს შოულობს, გახვრეტილი ქისისთვის შოულობს.

ანგია 1:5-6

ისრაელისთვის მძიმე ჟამი დადგა. ქვეყანა გაღარიბდა და ოჯახის რჩენა ადვილი არ იყო. ძნელბედობამ საკუთარი საქმეებით დაკავებული მრავალი ადამიანი გახადა. ყველა თავისი მცირე სამყაროთი იყო გარემოცული მაშინ, როდესაც ღვთის სახლი ნანგრევებად იყო ქცეული.

ზოგიერთმა უფლის ნება შეისმინა. მისი სახლი რეკონსტრუქციას საჭიროებდა. ამიტომ ბევრს ისინი გიჟებად მიაჩნდა. ეს ხალხი ტაძრის აღსადგენ თანხას, როგორ დაზოგავს, როცა საკუთარი თავისთვისაც კი არა აქვთ საკამრისი?

რწმენის ხალხი არ დანებდა; თამამად აცხადებდნენ იმას, რისი კეთებაც ღმერთმა მათ მოუწოდა. ღმერთი შეეწია მათ. მეცხრე თვის ოცდამეოთხე დღეს ტაძრის საძირკველი ჩაიყარა. მაშინ უფალმა თქვა, „დღეიდან მე გაკურთხებთ თქვენ.“

ჩვენ ვიცით მომავალზე დარდი, ძალისა და სიხარულისგან, როგორ გვფიტავს. ეს მაშინ ხდება, როდესაც საკმარისი ფული აღარ გვაქვს. ჩვენი ნაშოვნი გახვრეტილ ქისაში იდება.

ამ მდგომარეობაში ღვთის სასუფევლისთვის გაღება, როგორღა არის შესაძლებელი?

ამგვარი აზროვნება საშიშია.

ისე არ უნდა მოიქცე, თითქოს ღვთის კურთხევა გაკლია. ისრაელიანებმა კურთხევა უკან მოიპოვეს, როდესაც ტაძრის ნანგრევების რეკონსტრუქციას შეუდგნენ.

ღმერთი თავისი სიტყვის ერთგულია. რასაც მისი სასუფევლისთვის გაიღებ, არ გეგონოს რომ მოგაკლდება! ღმერთმა მისი სასუფევლისთვის მზრუნველობა დაგავალა. როცა ასე იქცევი, უფალი შენზე თავად იზრუნებს. ის კურთხევის ნიაღვარს შენს ცხოვრებაზე ადინებს. შენთვისაც საკმარისი გექნება და ურიცხვი კეთილი საქმის საკეთებლადაც.

ეს არ ნიშნავს, რომ უეცრად ფულში დაიწყებ ცურვას. შენთვის ესეც საშიში იქნება. ბევრი ადამიანი ამ მიმართულებით ჩაიძირა. არა, ღვთის კურთხევა იმ საკითხებს პასუხობს, რომელიც გზაზე გხვდება. ეს შენ გაბედნიერებს და მადლიერს გხდის. ვინაიდან გამოცადე, რომ ის კარგ საწყაოს, დატკეპნილს, გატენილს და პირთამდე სავსეს იძლევა. უკვე სხვისთვისაც მისაცემი გაქვს! აი, ასეთი კეთილია ღმერთი.

14 ივლისი

ხოლო მას, ვისაც ძალუძს თქვენი განმტკიცება, ჩემი სახარების და იესო ქრისტეს ქადაგების მიხედვით...ერთადერთ ბრძენ ღმერთს, იესო ქრისტეს მეშვეობით, დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

რომაელთა 16:25,27

როდესაც ღმერთს შენი განმტკიცება უნდა, ის ამას იესო ქრისტეს ქადაგების მეშვეობით აკეთებს. ღმერთი ჯვრის შესახებ სიტყვას იყენებს. ღვთის ძალა უპიროვნო ენერგია არ არის, რომელიც ახალ ძალას განიჭებს. სახარება ღმერთის ცოცხალი და მოქმედი სიტყვაა.

სახარება შენს გულში რწმენას ქმნის. ის აგრეთვე იესოს უწყებაა, რომელიც შენს რწმენას ემატება. როცა ღმერთი განმტკიცებს, ამას შენი რწმენის გაძლიერებით აკეთებს.

თვალშისაცემია ის, როდესაც შენი რწმენა იზრდება, საკუთარი რწმენით საერთოდ არ ხარ დაკავებული. ამ დროს შენს გონებას იესო ავსებს და მის შესახებ საუბრის მოსმენა არ გღლის.

როდესაც ჩინელი ახალგაზრდების ლიდერი რამოდენიმე ათწლეულის შემდეგ ჩინეთის ციხიდან განთავისუფლდა, მან ასეთი რამ თქვა, თითქოს იესოსთან ერთად დიდხნიან საქორწილო მოგზაურობაში იყო წასული. მას ამის თქმა შეეძლო, ვინაიდან ღმერთი ის ღმერთია, რომელსაც ჩვენი განმტკიცება სახარებით შეუძლია.

პავლე სახარებას, თავისად მოიხსენიებს. ღვთის სახარება მისი გახდა. ღმერთი მას კვლავ და კვლავ გადასცემდა.

ურიცხვ განსაცდელსა და ბრძოლებში, მან მისი ძალა განიცადა. ამის გამო რომაელთა მიმართ მის დიდებულ ეპისტოლეს იმ უწყებაზე მითითებით ასრულებს, რომელსაც მისი მეგობრების მიზნამდე მიყვანა შეეძლო.

სახარებას ძალა არ დაუკარგავს. მას უნარი შესწევს ისე განგამტკიცოს, რომ ცხოვრებას გაუძლო. ამის გამო იესოს სისხლისადმი ნდობა გმართებს. ამ სისხლში შენ განწმედილი და ყოველი ცოდვისაგან განთავისუფლებული ხარ. იესოს სისხლი შენთვის გადახდილი საფასურია. შენ სისხლით ხარ ნაყიდი. იესოს მიერ გაღებული ფასით, ყოველ გასაჭირში ის განმტკიცებს.

როდესაც სახარება გულში ცხოვრობს, საკუთარი გასაჭირითა და უმწეობით შენს ირგვლივ წარმოქმნილ ბნელეთს, მადლიერების საგალობელი არღვევს. შენ უკვე აღარ ეჭვობ. შენს ცხოვრებაშიც მხოლოდ ბრძენი ღმერთი ღმერთობს. მან იხსნა შენი სული და სურს იესოს სახარების მეშვეობით ბოლომდე განგამტკიცოს.

15 ივლისი

თაყვანი ეცით უფალს წმიდა მოწიწებით; თრთოდე მის წინაშე, მთელო ქვეყნიერებავ!

ფსალმუნი 96:9

მუხლის პირველი ნაწილი ამ სახითაც შეიძლება ითარგმნოს: „წმიდა სამოსში ეცი თაყვანი უფალს.“

უფლის წინაშე ნებისმიერ სამოსში შეგიძლია ილოცო. მას ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე შეგიძლია ესაუბრო; მიუხედავად ამისა ღვთის სიტყვა ამბობს, „წმიდა სამოსში ეცი თაყვანი უფალს.“

გარეგნული ფორმები ნაკლებმნიშვნელოვანია. ისინი გაუთვითცნობიერებლად ახდენენ გავლენას, როგორც შეხედულებაზე, ასევე დამოკიდებულებაზე. სოციალური თავყრილობის დროს პატივის ნაკლებობა, ურთიერთობაზეც აისახება; ღმერთთან ჩვენს ურთიერთობაშიც ასეა.

ღმერთის სიტყვა სპეციალურ გარეგნულ ფორმებს არ გვისახავს, რომლის დაცვაც ყოველთვის და ყველგან იყოს საჭირო. მაგრამ იქ, სადაც ქრისტიანებმა წმიდა ღმერთის წინაშე თრთოლვა იციან, გარეგნული პატივის მიგების სურვილი აუცილებლად წარმოიშვება. თუმცა, ღვთის სიტყვის თანახმად უფლის თაყვანისცემისთვის მოწოდებული, მხოლოდ ქრისტიანები არ არიან. მის წინაშე მთელი ქვეყნიერება უნდა განირთხას.

ერთ დღეს ღვთის ყოველი მტერი, იესოს ფერხთა სადგამად გადაიქცევა. დედამიწაზე მას დაცინვითა და ზიზღით შეხვდნენ. მრავალი დღესაც ასე იქცევა. ისინი უდიერად ეპყრობიან წმიდა საგნებს და მათ იქ ეზიდებიან, სადაც მათი კუთვნილი ადგილი არ არის. ღვთის სიტყვას ხანდახან ხელოვნური სიცილის წარმოსაქმნელად იყენებენ. ეკლესიები ხელოვნების ცენტრები ხდებიან, სადაც ყველაფერია დაშვებული.

ადამიანთათვის, რომელთათვის წმიდა არაფერია, საცოდავნი არიან. ზღუდე მათი მორღვეულია. ყველაფერი წმიდა დანგრეული.

ამ შემთხვევაში ღვთის მსჯავრი საშინელი იქნება. ღმერთი უფლებას გვაძლევს ყოველივე იმას, რაც მის წინაშე მიგვაქვს გემო გავუგოთ. გულდამწუხრებულმა კითხვით უნდა მივმართოთ მას: ღმერთო შენს დაცინვას, როდემდე დაითმენ? მსჯავრის ჟამი, როდის დადგება?

ღვთის ხალხისათვის ჭეშმარიტება ასეთია: ქვეყნიერების სულსა და აზროვნებას ადგილი არ მისცე. უფლის წინაშე იმის გააზრების გარეშე არასოდეს წარდგე, რომ ღმერთი წმიდაა, ხოლო შენ მტვერი და ნაცარი. პატივი მიაგე მას.

სადაც უფლის მოწიწებას ადგილი არ აქვს, იქ სიყვარულის ნაკლოვანებაა. შეუძლებელია გვიყვარდეს ის, რომელსაც ფარულად თუ ღიად უპატიოვყოფთ. ამიტომ მოდით უფალი, როგორც გულებში ასევე სახალხოდ ავამაღლოთ. უფალს მოწიწებით ვცეთ თაყვანი; მის წინაშე ვთრთოდეთ! უფალს წმიდა სამოსში ვცეთ თაყვანი!

16 ივლისი

...რადგან ყველა მათგანი, დიდიან-პატარიანად, შემიცნობს მე, ვინაიდან შევუნდობ მათ უმართლობას და ცოდვებს აღარ გავუხსენებ.

ებრაელთა 8:11-12

ღვთის მადლი და მიტევება მის შემეცნებასთანაა მჭიდრო კავშირში. შეიცნო ის, ნიშნავს იცოდე მისი მადლი.

მაშასადამე ჩვენი ვალდებულებაა, ყოველი იდეა თუ აზრი, რომელიც ღვთის მადლიდან ჩვენ გულს და გონებას აშორებს, უკუვაგდოთ. სატანა ჩვენს არასწორ ბილიკზე დაყენებას სხვადასხვა გზით ცდილობს. ის ვერ იტანს, როცა ჩვენ ღვთის მადლით ცოდვათა მიტევების გამო, უსაზღვრო ბენიერებით ვართ აღვსილი.

შენი სულის მტერს, ცდუნების უფლებას ნუ მისცემ. არ დაიჯერო ის, რომ ღვთის სიღრმისეული ცოდნა ეს, რაღაც სხვა და მეტია, ვიდრე ღვთის მიერ აღსრულებული საქმით სიხარული და მოსვენება.

შენს გამოცდილებას უგდე ყური. რა არის იმ ქრისტიანის მახასიათებელი, რომელსაც ღვთის სიღრმისეული ცოდნა აქვს?

საკუთარ თვალში ისინი დამცირებულნი, მაგრამ ღვთის მადლით და იესოს გამწმენდი სისხლით იმაზე დიდი არიან, ვიდრე სიტყვით ითქმის. ეს მათთვის ცხოვრების საძირველია. არა მარტო საწყისი წერტილი, არამედ ცხოვრების ცენტრი. ისინი კვლავ და კვლავ მას უბრუნდებიან. ამიტომ მათ, იესოს შესახებ სალაპარაკოდ, ყოველთვის კეთილი სიტყვა აქვთ. ისინი მას იცნობენ; მათ ყოველდღიურად ჭირდებათ მისი მადლი. გაბედულებასა და ძალას საკუთარ თავში კი არ ეძებენ, არამედ პირადად იცნობენ მას, ვინც ისინი კლდეზე დააფუძნა. ამის გამო ისინი მარადისობისაკენ, მთელი რწმენით და დაჯერებულობით მიდიან.

ღმერთის შემეცნება ნიშნავს, იმის შესახებ ვიცოდე, რომ ჩემმა მსაჯულმა ჩემი საქმე უკვე აწარმოა. როდესაც დაკითხვაზე წარვდგები, პასუხის გაცემა მე აღარ მომიწევს. არის პიროვნება, რომელიც ჩემთვის პასუხობს. ეს პიროვნება იესოა. მან ყველა ჩემი ცოდვა გამოისყიდა. მათ გამო თავის თავზე აიღო სასჯელი. როდესაც ღმერთმა თავის ძეზე ცოდვა და სასჯელი დადო, ეს ნიშნავს, რომ ის ჩემზე აღარაა. ღმერთი საზღაურს ორჯერ არ ითხოვს. ვინაიდან იესომ ჩემი ცოდვებისათვის უკვე გადაიხადა, მე არაფრის გადახდას არ ვსაჭიროებ.

იესოს გამოსყიდვის საფუძველზე, ღმერთი თავისი მადლით ყოველ ჩემს უმართლობას მპატიობს. როცა ის მიტევებულია, მას ის აღარ ახსოვს.

ღმერთი ყოველივეს ჭვრეტს და ყველაფერი იცის. და ღვთის მსგავსად დავიწყება არავინ იცის. მე შემიძლია მიტევებული ცოდვები მახსოვდეს, მაგრამ ღმერთს არა. რაც იესომ წაიღო, ის არსებობაში აღარ არის. ღმერთს შენი ცოდვები აღარ ახსოვს. თუ შენმა გულმა ეს ჭეშმარიტება იცის, მაშინ ღმერთს ცნობ და მალე მიხვდება, რომ შენ ისიც საუკუნოდ გცნობს.

17 ივლისი

მოგცემ ბნელში დაცულს საუნჯეს და გადამალულ საგანძურს, რათა იცოდე, რომ მე ვარ უფალი, ისრაელის ღმერთი, რომელიც გიხმობს შენი სახელით.

ესაია 45:3

არსებობს საუნჯეები, რომლის მოცემა ღმერთს მხოლოდ ბნელში შეუძლია. იმაზე დაფიქრდი, უფალს რომ სირთულესა და სიძნელეში გაჰყავხარ.

განა სინათლესა და ხსნას ხშირად არ უხმობ? განა იმ საუნჯეთათვის ლოცვა ხშირად არ გავიწყდება, რომლის მოცემაც ღმერთს მხოლოდ ბნელი ჟამისას შეუძლია?

რაოდენ მნიშვნელოვანია ის, რომ ვიდრე ბნელში დაფარულ საუნჯეებს არ დაგიმკვიდრებს, ღმერთი თავის აღმზრდელობით ხელს არ გაშორებს. სიბნელეში გზას ვერ იკვლევ. მაგრამ უფალს მისი გაკვლევა შენთვის შეუძლია. მოსული განსაცდელით მას რა სურს ვერ უხვდები, მაგრამ მან, რასაც აკეთებს ყოველთვის იცის.

ღვთისათვის შენ გამჭვირვალე ხარ. მან იცის, რომ ზეციდან მომავალი ისეთი კურთხევები არის, რომლის მიღება მხოლოდ სრული სიბნელის ჟამს შეგიძლია.

ბნელში, რა სახის საუნჯეებია დაფარული?

ეს არის უფლის ღრმა ცოდნა. ღმერთი თავის თავს ბნელში გიცხადებს. შემდეგ კი მას მისი დიდების ბრწყინვალებაში იხილავ. ამ დროს შენი გულის ერთადერთი ღრმა მისწრაფება იესო ხდება.

უფალი შენ სახელს ახსენებს. ეს მაშინ ხდება, როდესაც სულიწმიდა შენთვის სიტყვას აცოცხლებს. მაშინ ცხადი ხდება, რომ სრული სიუხვე ხსნისა შენია. ყველა ცოდვები მიტევებული გაქვს. იესომ ხსნის მოსასხამით შეგმოსა. მისი საქმეები შენი გახდა. მისი ლოცვა შენი ლოცვაა. მისი სიწმინდე შენი სიწმინდე. მისი გამარჯვება კი შენს გამარჯვებად იქცა.

იმ მომენტში, როდესაც გული დიდებულ სახარებას ირწმუნებს, სინათლე ირთვება. გარე მდგომარეობა და განსაცდელი შესაძლოა იგივე რჩება, მაგრამ მიუხედავად ამისა ყველაფერი სხვანაირი ხდება.

გულს სახარების ჯერავს. შინაგანში სინათლე ჩნდება. საუნჯეს იმკვიდრებ. გრძნობა გეუფლება, რომ მასში არსებული სიმდიდრე იმდენად დიდია, მის ფასს აქ დედამიწაზე ვერასოდეს ჩაწვდები. მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ეს საუნჯე ზეცაშიც მიგყვება. იქ, საუკუნოდ მის შემეცნებაში გაიზრდები, რომელმაც აქ, დედამიწაზე „ბნელში დაფარული საუნჯე“ მოგანიჭა.

18 ივლისი

რადგან ძვირფასნი ხართ ჩემს თვალში და ღირსეულნი, მე შეგიყვარეთ თქვენ!

ესაია 43:4

ღვთისათვის მნიშვნელოვანია შენთვის ცხადი გახადოს, რომ მის წინაშე ძვირფასი ხარ. ღმერთმა შენი გული და ყოველი შენი ფიქრი იცის. მან იცის თავი, როგორ უღირსად მიგაჩნია. დიახ, როდესაც ფიქრობ, თუ ცოდვა როგორაა გამჯდარი შენში, ვერ გებულობ, ღმერთს შენთან, რაღა უნდა უნდოდეს.

ღმერთს უნდა შენ იცოდე, რომ ის შენით დაკავებული ვალდებულების გამო არაა. არა, მას შენ უყვარხარ!

ეს მისი სიყვარულია, რომელიც შენ ფასეულს გხდის.

საიდან შეგიძლია იცოდე, რომ შენ ღვთის თვალთა წინაშე ძვირფასი ხარ?

მან ეს შენი გადარჩენისათვის თავისი ძალისხმევით დაამტკიცა. საამისოდ მხოლოდ ერთი გზა არსებობდა. შენ ვიღაცით უნდა ჩანაცვლებულიყავი. შემცვლელი უნდა გამოჩენილიყო, რომელიც შენს კუთვნილ მსჯავრის ადგილს დაიკავებდა.

შენს ძმათაგან ის ვერ იქნებოდა. ღმერთთან თითოეულ მათგანს თავისი ანგარიში აქვთ გასასწორებელი. სასამართლოზე მათ პასუხი ვერ ექნებათ, არამედ მის წინაშე დგომა მდუმარედ მოუწევთ. ამის გამო შენს ვექილად ყოფნა არცერთ მათგანს არ შეუძლია.

ერთადერთი გამოსავალი ღვთის ძე იყო, რათა ადამიანად დაბადებულიყო და თავის თავზე შენი ცოდვა და დანაშაული აეღო.

რამდენადაც ვხედავთ, ფასი ზედმეტად დიდი იყო. ღვთის თვალში კი სხვანაირად ჩანს. მისთვის შენ იმდენად ძვირფასი ხარ, შენი გულისთვის თავის ძეს რისხვის თასის ბოლომდე შესმა მოთხოვა.

ამგვარი სიყვარული იმდენად დიდია, ის მე მთლიანად გარემომიცავს. მის გამოსახატად სიტყვები არ მყოფნის. კვლავ და კვლავ ბიბლიისადმი მიმართვას ვსაჭიროებ და დაე, მან ის ილაპარაკოს, რასაც საკუთარი სიტყვებით ვერ ვამბობ.

„შევიწროებული და დამცირებული იყო, მაგრამ ბაგე არ გაუხსნია; ისე წაიყვანეს, როგორც ცხვარი მიჰყავთ დასაკლავად და როგორც კრავი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ გაუხსნია ბაგე.“

იმდენად ძვირფასი ხარ ღვთისათვის, რომ მან იესო მისცა, რათა შეძლებოდა ეთქვა, რომ შენ მისთვის პატივდებული ხარ და უყვარხარ. მისი სიყვარულიდან უკვე შენი ცოდვა ვეღარ გყოფს. იესომ ის გამოისყიდა და მოგაშორა. ამიტომ შენდამი, მხოლოდ მადლი და ღვთის სიყვარული იღრება. რეალურად, შენ მისი ხარ!

19 ივლისი

ვინაიდან ვინც მის სიმშვიდეში შევიდა, მანაც ისევე დაისვენა თავისი საქმეებისაგან, როგორც ღმერთმა თავისისგან.

ებრაელთა 4:10

ქრისტიანთათვის ცხოვრება ვარდებით მორთული საძინებელი არ არის. რა თქმა უნდა მრავლადაა ბრწყინვალე და სასიხარულო მომენტები, მაგრამ მას მრავალი ბრძოლა და წინააღმეგობაც ახლავს თან; განსაკუთრებით მათთვის, ვინც იესოს ნაკვალევის მიდევნას, დიდ პატივად მიიჩნევს. ისინი გრძნობენ, შეუძლებელია იესოს მიმდევარი იყო და შენი მდგომარეობების მისდამი განდობა მოვალეობად არ გექცეს.

ზეცაში ახლავე გადასვლის სურვილის ცდუნება დიდია. იმ დღეზე ოცნებობ, როდესაც ყველა ბრძოლას ბოლო მოეღება. იმ დღეს ელი, როცა ყველა წინაღობა შეიმუსრება. დიდი საცდურია იფიქრო, რომ ის დღე უკვე დადგა. ეს საშიშია. ამ დროს მტრის ტერიტორიაზე ხარ და გავიწყდება, რომ სატანა ჯერ კიდევ ამ წუთისოფლის მთავარია.

მრავალი ქრისტიანი ელის, რომ ღმერთი დედამიწაზე სიცოცხლეს სამოთხედ აქცევს. როცა ამას არ აკეთებს, ისინი სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და მხნეობას კარგავენ. სიძნელე და გაჭირვება მათ, ღვთის აღთქმებსა და მზრუნველობაზე აეჭვებს.

ჩვენ, იესოს რწმენის მეშვეობით, დედამიწაზე ზეცას გემოს წინასწარ ვუგებთ. მაგრამ ჩვენთვის ზეცა და ზეციური მოსვენება, მომავლისთვის არის შენახული. ტკივილი და ჭირი მანამ არ დასრულდება, სანამ საქორწილო დარბაზში ფეხს არ შევდგამთ. ხოლო მანამდე შიში და დარდი, კარზე ხშირად მოგვადგება.

თუმცა მოდის დღე, როდესაც ყველა შენი საქმისაგან მოისვენებ. ყოველი ნაკლული და არასრულყოფილი არსებობას შეწყვეტს. მაშინ იესოსადმი თქმა მოგინდება, თუ რაოდენ უღირსი მსახური ხარ. მიუხედავად ამისა ის მაინც ვახშამზე შეგიპატიჟებს, სადაც თავად გელის. მაშინ ცხოვრებისაგან დაღლილი ყველაფრისაგან დაისვენებ.

მაშინ ვიგალობებთ „ნეტარია ყველა ის ვინც თავისი საქმისაგან დაისვენა.“ მაგრამ საქმე შენი ცხოვრებისა სხვა არაფერია თუ არა დასრულებული. კი მაგრამ ზეციური ნეტარება მათთვის არის, ვისაც წარუმატებელი ქრისტიანული ცხოვრება ჰქონდა?

ყურადღება მიაქციეთ, რომ ბიბლია თქვენს საკუთარ სიმშვიდეში შესვლაზე არ ლაპარაკობს. ის მის სიმშვიდეში შესვლაზე ლაპარაკობს.

ღვთის სიმშვიდეში შესვლა, იესოში მოსვენებას იძლევა. საქმეები, რომლის თვალის გადავლება არ გეკრძალება, ეს იესოს საქმეებია. ზეცაში შენ, მის დასრულებულ საქმეში მოგიწევს მოსვენება.

20 ივლისი

სხვა არავისში არსებობს ხსნა.

საქმე 4:12

ცხოვრების გზაზე უამრავი კითხვა გვიჩნდება. მრავალი სივიწროვის გავლა გვიხდება. ხშირად გზა ქარიანი და ბნელია. ისეთი ჟამიც გვიდგება, როდესაც გზის გაგრძელება გვიძნელდება.

ყველა ბრძოლის გადატანის შემდეგ ერთი კითხვა გვრჩება, კითხვა ხსნისა. როდესაც აბსოლუტურ ზღვარს მივაღწიეთ, სადაც უკან დახევა შეუძლებელია, ამ შემთხვევაში ყველაფერი დანარჩენი უმნიშვნელო ხდება. მიწაზე არსებული უკანასკნელი კითხვა, ზეცისთვის პირველ კითხვად რჩება.

ღვთის სამართლიანი სამსჯავროს წინაშე ყველაფერი მეორეხარისხოვანია. სად აპირებ მარადისობის გატარებას, ზეცაში თუ ჯოჯოხეთში? დახსნილი ხარ თუ დაკარგული? იმ დღეს, რას გეტყვის ღმერთი?

პასუხი, შენი და იესოს ურთიერთობაზეა დამოკიდებული. ხსნა სხვაში არავისში არ არსებობს.

საკუთარი თავის ხსნა არ შეგიძლია. შესაძლოა კეთილი პიროვნება იყავით, რომელსაც მრავალი ემადლიერებოდა. მაგრამ ყველა შენი საქმე ღვთის წინაშე არაფერია. ის ამით არ კმაყოფილდება. ერთადერთი, რაც ღვთისთვის არის სათნო, ეს იესოა. ჩვენი გადარჩენა ღმერთმა მხოლოდ იესოს დაუკავშირა. „ვისაც ძე ჰყავს, სიცოცხლე აქვს; ვისაც ძე ღვთისა არა ჰყავს, მას სიცოცხლე არ აქვს“ (1იოან. 5:12). მაშასადამე, გადარჩენის შესახებ შენი კითხვა, იესოსთან შენი უერთიერთობით წყდება. ის პირად მხსნელად მიღებული გყავს? ოდესმე შენი გულის კართან მდგარი იესო განგიცდია, რომელიც რეკს? მისთვის კარი გაგიღია? თუ ოდესმე მისთვის დიახ გითქვია, მინდა იცოდე, რომ იესო შენი სიცოცხლის საწყისი გახდა. საწყისი განსრულებას არ ნიშნავს. თუ გივლია მასთან ერთად, როგორც შენს ერთადერთ მხსნელთან და იმედთან? თუ ამ კითხვებს წრფელად შეგიძლია უპასუხო დიახ, მაშის ის გიცნობს შენ და მასში დახსნილი ხარ.

იესოში რეალური გადარჩენაა. თუ მას ეკუთვნი, შენ სრულად და მთლიანად დახსნილი ხარ. იესოს ძალა იმისათვის არ მოუცია, რომ შენ თავად შეძლო საკუთარი თავის გადარჩენა. არა, მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო. ეს ისაა თავად, რომელიც ზეცისკენ მიგიძღვის. ეს მისი მსხვერპლი და საქმეებია, რომელთაც ღმერთი ღებულობს. შენ ყოველივეს მფლობელი იესოს რწმენით ხდები. ამას ყველაფერს დაუმსახურებელი მადლით ღებულობ. ამიტომ, დაე იესო შემოვიდეს შენს გულში და დაე შენ იცხოვრე მასში.

21 ივლისი

ძებნას დამიწყებთ და მიპოვით, როცა მთელი გულით მომძებნით. თავს გაპოვნინებთ, ამბობს უფალი.

იერემია 29:13-14

ჩვენთვის ისე სჩანს, თითქოს ღვთის აღთქმებს პირობები ახლია თან. ის გვაფიქრებინებს, მიუხედავად იმისა მისი აღთქმები სიკეთეს მოიცავს, მისგან სარგებელს ვერ ვიღებთ, რადგან პირობების დაკმაყოფილება არ შეგვიძლია.

შენ ფიქრობ: მე ღმერთი უნდა ვიპოვო, მაგრამ პირობაა, რომ მთელი გულით უნდა ვეძიო ის. ამის გამო იწყებ ბრძოლას, რომ როგორმე მთელი გულით მოწადინებული გახდე. რაც უფრო ბრძოლობ, შენს გულს მით უფრო მერყევს და ცდომილს პოულობ. აღარ გიკვირს, რომ ღმერთი შორს გეჩვენება. სხვანაირად როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ორგული ხარ?

სინამდვილეა ის, რომ ქრისტიანთა უმრავლესობამ ცხოვრება სასოწარკვეთილებით დაასრულეს. ისინი რჯულის ქვეშ მოყვნენ. რჯულს კი მხოლოდ მსჯავრი და მათი მსხვრევა შეუძლია. ეს გზა ხსნისაკენ ვერასოდეს წარგიძღვება.

ხსნისა და მადლის სამყაროში, ერთიანი გული იგივეა, რაც გული შემუსვრილი. როდესაც გულს ისეთი არაფერი აქვს, რომლის მეშვეობით ღმერთთან შეეძლოს მისვლა, მაშინ თავად უფალს შეუძლია შენთან მოსვლა.

ჭეშმარიტებაა ის, რომ ღმერთი ზეცაში ცხოვრობს. მაგრამ ის მასთანაც ცხოვრობს, ვინც სულით შემუსვრილი და თავმდაბალია.

თუ ღვთის სულმა მისი გამოცხადების საქმე აღასრულა, მაშინ აცნობიერებ, რომ ღვთის წინაშე არარაობა ხარ. ბაგე მდუმარეა. მაგრამ ღვთის ბაგე კი არა. ის დაკარგულ ცოდვილებს მადლს უქადაგებს. ის მშვიდობას გიქადაგებს, შენ, რომელსაც გული აქაფებული ზღვასავით გაქვს. ის ქადაგებს იმედს, როდესაც იმედის ყველა კარი დარაზულია.

ნეტარი ხარ, როცა სულით ღარიბი ხარ. მაშინ უფალს ეძებ, ვინაიდან სინამდვილე ისაა თუ მას არ ჩაეჭიდები, თავად არაფრის მიღება შეგიძლია. არ შერცხვები. შენ მას იპოვნი. მან თავის სიტყვაში ასე თქვა.

არ დანებდე და არ განიხიბლო. თუ ასე მოიქცევი, მაშინ სატანას ნებდები. სავსებით შესაძლებელია ღმერთი მცირედით დაყოვნდეს, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში თავის სიტყვას არ შეცვლის.

მისი დაყოვნებით ის ჩვენს თვალებს ხსნის, რათა ნათლად შევხედოთ, უმისოდ რაოდენ დაკარგულები ვართ. მისი სურვილია, შენ რომ მადლი იპოვნო.

იპოვო ღმერთი და საკუთარი თავი მის სიყვარულში იპოვნო, იგივეა. ამას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც იესოს წინაშე შემუსვრილი და მომნანიე გულით მოდიხარ.

22 ივლისი

როგორ გადავრჩებით თუ უგულვებელყოფთ ეგზომ დიდ ხსნას?

ებრაელთა 2:3

ებრაელთა წერილის ავტორი ამბობს: ჩვენ, როგორ გადავრჩებით. ნათქვამი ჩვენ გვეხება. ადვილად ვხვდებით, რომ ჩვენ საფრთხის მიღმა ვართ. მაგრამ გონებაში მუდმივად უნდა ვატაროთ, რომ ღვთის შვილები გაფრთხილებულნი არიან, რომ ხსნის უგულებელყოფა არ ჩაიდინონ.

მათი რიცხვი, რომელიც თავის თავს ქრისტიანს უწოდებს ძალზედ მცირეა და უფლის ხსნის უარყოფას განზრახულად ახდენს. თითოეულ ჩვენგანს აქვს განცდა, რომ თუ მის უარყოფას მოვახდენთ, მაშინ ქრისტიანები ვეღარ ვიქნებით.

როდესაც სატანა იესოს უდაბნოში შეხვდა, მან ღვთის სიტყვა გამოიყენა, რათა იესოს მისთვის განკუთვნილი გზა დაევიწყებინა. ეს სატანის ერთერთი ეფექტური მეთოდია, როდესაც მათ ეწინააღმდეგება, რომელნიც ღვთისთვის ცხოვრობენ. ის ასევე ჩვენს დაბრმავებას დაწერილისადმი ცდილობს. თუ წარმატებას მიაღწია, მაშინ გამარჯვება გარანტირებული აქვს. ამ დროს ხსნის ფუნდამენტური ჭეშმარიტებიდან ვართ განდგომილნი.

სატანა ცდილობს ღვთის შვილებს გზა-კვალი აურიოს, ღვთის სიტყვის იმ ასპექტებიდან ყურადღების გადატანით, რომელნიც უგულებელყოფილნი იყო და შესაძლოა წლების განმავლობაშიც კი. ჩვენ ღვთის სიტყვა უნდა ვიკითხოთ და მთლიანი ღვთის რჩევა უნდა ვიქადაგოთ, და უდაოდ არასწორი არ არის თუ იმ საკითხებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელნიც სხვამ ვერ შენიშნა და მასზე ქადაგება უგულებელყო. საშიშია ის მდგომარეობა, როდესაც ჩვენი გული და გონება მატერიალური საგნებით იმ დონეზეა დაკავებული, რომ მთელ ჩვენ ყურადღებას გვაცლის. მაშინ მოცემული საგნები ჩვენს გონებაში იმ ადგილს დაიკავებენ, რომელიც ბიბლიას უნდა დაეკავებინა.

იმ ქრისტიანებს, რომელთაც ეს შეემთხვათ, ამბობენ, რომ ჩვენ უპირველეს ყოვლისა ღვთის ხსნას უნდა დავენდოთ. ის საფუძველია. სახარების უარყოფა მათ აზრადაც არ მოდით. იმავე დროს იმ ქრისტიანი ძმების უკვირთ, რომელნიც მათ ბიბლიის განსაკუთრებული ინეტერესების შესახებ აფრთხილებენ.

ასეთი სიტუაცია საშიშია.

ღვთის ხსნის უწყება გეპყრას, ყველაზე ძნელი რამ არის. სატანა ყველა შესაძლო საშუალებით ცდილობს, ღვთის ხსნის საძირკვლებიდან ჩვენ გადაყვანას. ჩვენ, ჯვრის შესახებ არსებული სიტყვით ვცოცხლობთ. ის გადარჩენისათვის ერთადერთი ღვთის ძალაა. თუ ამ გადარჩენის სიტყვით ცხოვრობ, მაშინ საუკუნო სიცოცხლეს ფლობ. თუ სხვა რამ სიტყვით ცხოვრობ, მაშინ მას კარგავ.

23 ივლისი

აჰა, მე მოვავლენ შენს წინ ჩემს ანგელოზს, რომელიც განამზადებს შენს გზას შენს წინაშე.

მათე 11:10

ეს სიტყვები იოანე ნათლისმცემელზე იქნა ნათქვამი. ის იყო ანგელოზი (მაუწყებელი), რომელიც ღმერთმა იესოს წინ წარმოგზავნა. როდესაც იესომ ეს თქვა, იოანე უკვე საპყრობილეში იყო. უფლის მრავალმა მაუწყებელმა წლები საპყრობილეში გაატარა. ჩვენმა საუკუნემ დაპატიმრებული ქრისტიანების რიცხვი განსაკუთრებით ამრავლა.

იყო უფლის მაუწყებელი, დიდ საფასურს მოითხოვს. მეტნაკლებად შენი მდგომარეობით იმ ბატონის თანამოზიარე ხდები, რომელსაც ეკუთვნი. ზოგ ქვეყანაში ფასი სხვებთან შედარებით კიდევ უფრო დიდია. დროდადრო ის იცვლება. მაგრამ ყველგან და ყოველ დროს იესოს საკუთრების შენარჩუნებაში იხდი ფასს. ეს დღესაც ასეა.

გაჭირვებასა და სიძნელეს ჩვენი განხიბვლა ადვილად შეუძლია. მაშინ ერთი რამ არის საკეთებელი: იმავე გზით წადი, რა გზითაც იოანე წავიდა. მან სიტყვა იესოს შეუთვალა. და მან ისეთი პასუხი მიიღო, რომელიც ყველა დაუძლურებულ მსახურს განამტკიცებს. „ბრმები ხედავენ, დავრდომილები დადიან, კეთროვანნი იწმიდებიან, ყრუებს ესმით, მკვდრები ღდგებიან და სახარება ღარიბთ ექადაგებათ.“

მიუხედავად იმისა შენთვის ბნელი ჩამოწვა, ღვთის სასუფეველი მაინც წარმატებას აღწევს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ უფალმა შენ გვერდზე გადაგწია, მისი სიტყვა დაბორკილი არ არის.

შეიძლება ტალღათა შორის ხარ მომწყვდეული და ხედვა შენი ლიმიტირებულია, მაგრამ ღვთის სამეფო ასე არაა. ის დიდებულ სასრულამდე განივრცობა. მაშინ ხალხი ყოველი ერიდან, ყოველი ტომიდან და ენიდან ღმერთს მისი და კრავის ტახტის წინაშე განადიდებს.

იოანემ კრიტიკული გამოცდა ჩააბარა. ის ცოდვილებს მონანიებასა და მოქცევაზე უშიშრად მოუწოდებდა. ამ დროს ეს ამოცანა დასრულებული იყო. მაგრამ მორიგი ამოცანა იყო გარდაუვალი. ის უფლის წამებულად ჰეროდეს ხელში უნდა ქცეულიყო. ის თავის მოწოდებას, სიცოცხლის ფასად დაემორჩილა.

მისმა აღსრულებულმა მსახურებამ ნაყოფი გამოიღო; ხომ ასეა? მრავალი დაპატიმრებული ღვთის შვილი, იოანეს მაგალითით გამხნევდა; ხომ გამხნევდა? ძნელბედობის ჟამს, მისგან იესოსადმი სიტყვის შეთვლა ბევრმა ისწავლა; ხომ ისწავლა?

მოდით ღმერთს იოანესათვის მადლობა გადავუხადოთ. მოდით მის ნაკვალევს განუხრელად გავყვეთ.

24 ივლისი

გაგამაგრებ და შეგეწევი; და მხარს დაგიჭერ ჩემი სიმართლის მარჯვენით.
ესაია 41:10

ღმერთი ჩვენი საკუთარი ძალის გამრავლებით, როდი გვამაგრებს. ამის შესახებ ჩვენ ხშირად ვლოცულობთ. ღმერთს ამ ლოცვის დაკმაყოფილება არ შეუძლია, რადგან ის მისი ნების საწინააღმდეგოა. თუ უფლის ძალა უნდა განსრულდეს, მაშინ ეს ჩვენს უძლურებაშია შესაძლებელი. მას თავისი პატივის ჩვენთან გაზიარება არ სურს.

ღმერთი თავისი სიმართლის მარჯვენით მოქმედებს. ამ სიტყვებით უფალი, ვინც ღვთის მარჯვნივ ზის, ჩვენს ფიქრებს მისკენ წარმართავს. იესო მუდამ იმას აკეთებდა, რაც უფლისთვის მოსაწონი იყო. თავისი ნებით მას არაფერი გაუკეთებია. ყველაფერში მამის ნებას ატარებდა.

როდესაც ღმერთი თავისი სიტყვის მეშვეობით იესოს რწმენას განიჭებს, ამ დროს თავად იესოს გაძლევს.

როდესაც სულით წნეხს განიცდიდი, შენი დახმარება არაფერს და არავის არ შეეძლო. მაგრამ შენი თვალები სახარებამ გახსნა და იესო შენს გულში შემოვიდა. მასთან ერთად კი მადლის ძალა მოვიდა.

იცოდით, რომ თქვენით არაფერს წარმოადგენდით. მიუხედავად ამისა თქვენ სიუხვეში ცხოვრობდით. გამარჯვებული ღვთის სიმართლის მარჯვენა თქვენზე იყო. თქვენი ძალა, შეწევნა და უზრუნველყოფა იესო გახდა.

შესაძლოა უკვე დიდი ხანია, რაც ღმერთთან მშვიდობა ჰპოვე. მაგრამ იესო კვლავ შენს საგანძურად რჩება. ღმერთი მისი მეშვეობით შენს ცხოვრებაში ჩარევას ახდენს. სიტყვა ჯვრის შესახებ, შენთვის სიცოცხლის სიტყვა გახდა. როდესაც დეპრესიაში ხარ ან გონება აღარ გიჭრის, ხსნის სიტყვას აყავხარ და კლდეზე გსვამს. გული იმ დაჯერებულობის გამო სიხარულით ყიჟინებს, ღვთის მადლში რომ დგახარ. ის მისი შვილის დაცემას არ დაუშვებს, არამედ წყალში, ღელვაში და ცეცხლში უსაფრთხოდ ამყოფებს. შენი რწმენა იესოზეა მომართული. მისგან ყოველგვარ სიკეთეს ელი. როდესაც სუსტი და უმწეო ხარ, მაშინ შესაბამისად ღვთის ძლიერი ხელი მძლავრობს. ღმერთი შენს დასახმარებლად თავის ძალას იყენებს, რათა შენს მარადიულ სამყოფელამდე მიგაღწევინოს.

აღშფოთებული სულისთვის მოსვენება, იესოს დასრულებულ საქმეშია. შენზე არანაირი მოთხოვნა არაა. პირიქით, უფლის სურვილია იმ საქმით სრული კმაყოფილება მიიღო, რომელიც იესომ შენს ადგილზე აღასრულა. თუ მას ჩაეჭიდები, მაშინ ყოველ მის სიმდიდრეში გექნება თანამოზიარეობა. ღვთის სურვილია იესოთი იქნე დაკმაყოფილებული; ამრიგად მის ძალაში მიიღე მოსვენება, შეწევნა და უზრუნველყოფა.

25 ივლისი

როგორც ამოგვარჩია მასში ქვეყნიერების შექმნამდე, რათა წმიდანი და უბიწონი ვყოფილიყავით მის წინაშე სიყვარულით.
ეფესელთა 1:4

მრავალი ფიქრობს, რომ სიწმინდესა და უცდომელობას თავისით უნდა მიაღწიონ. მაგრამ ასეთთ მმართებთ აღიარონ, რომ მსგავსი მათ არაფერი ძალუძთ. სულ მალე თავის თავს დასდებენ მსჯავრს. შენ ფიქრობ, რომ ყველაფერი სხვანაირად უნდა იყოს. ერთადერთი თავმდაბალი ქრისტიანი შენ ხარ. გაუმჯობესებისაკენ მიმართული ყველა მცდელობა გაცუდდა. მომავალს დადარდიანებული გასცქერი და კითხვას სვამ: ნუთუ ოდესმე მიზანს მივაღწევ?

თუ შენი სიტუაცია ასეთია, მაშინ ღვთის სიტყვიდან უნდა ისწავლო. ღმერთი საერთოდ არ ელოდა თუ შენ ამ გზას დაადგებოდი და ღვთის წინაშე გამოცდის ჩაბარებას თავად შეეცდებოდი. მნიშვნელობა არ აქვს განწმედისათვის თუ რა შორი გზა გაიარე, იცოდე გულს შენით ვერასოდეს გაისუფთავებ. შენით ვერასოდეს გახდები ისეთი წმიდა, როგორიც ღმერთია. უფალმა ეს თავიდანვე იცოდა. ამის გამო გარგუნა ისეთი სიწმინდე, რომელიც საფუძველს შენს ვინაობაში და შენს შემძლეობაში არ პოულობს. ის მხოლოდ იესოს საკუთრებაა. შენით კი არა, არამედ მასში ხარ არჩეული, რათა მისი სახის წინაშე წმიდა და უმწიკვლო იყო.

ამის გამო შენი სიწმინდე იესოში უნდა ეძიო. მას მხოლოდ იქ იპოვი. მანამ ვიდრე მას შენში დაეძებ, მუდამ არასასურველ დასკვნამდე მიხვალ: შენ არანაირი სიწმინდე არ გაგაჩნია. როცა მას იესოში დაეძებ, ხვდები, რომ სრული და სავსე სიწმინდის მფლობელი ხარ. მისი დალაქავება შეუძლებელია. ის წმიდა და დიდებულია. ღმერთსაც კი არ შეუძლია რაიმე ნაკლის მოძებნა, იმ სიმდიდრეში, რაც შენს მხსნელში და გამომსყიდველში მოგანიჭა.

იესოში არაფერია ისეთი, რაც ღმერთს არ მოსწონდეს. როდესაც ძის სიმართლით შეიმოსე, შენ იმდენად წმიდა ხარ, რამდენადაც ყოფნაა შესაძლებელი. მის გამო შენში ისეთი, რამ აღარ არის, რაც ღმერთს არ აკმაყოფილებდეს. შენ იესოთი სრულად ხარ შემოსილი. შენ მასში ხარ დაფარული.

საოცარია, რომ ღვთის წინაშე წარდგომა იმ ცნობიერებით შეგიძლია, რომ როცა ღმერთი გიყურებს, ის იესოს უყურებს შენში. და ეს ღვთის შვილისათვის ასეა. ამიტომ შენ კურთხეული ხარ. ყველაფერი იესოზეა დამოკიდებული და არა შენზე. შენ მასში ხარ და ღმერთი შენში მხოლოდ მას ხედავს.

26 ივლისი

მამავ, მსურს, რომ სადაც მე ვარ, ისინიც შენ რომ მომეცი, ჩემთან იყვნენ.
იოანე 17:24

ქრისტიანს დიდი ბრძოლები საკუთარ ნებასთან აქვს. ღვთის შვილში ორი ძალაა. სული და ხორცი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ იბრძვიან. ამიტომ ძნელი არ არის ზაქარია ნელსონს გავუგოთ, როდესაც წერს:

ჩემი ლოცვაა: „ო, ღმერთო, იყო ნება შენი!“
ხშირად მითქვია შენს წინაშე მე მტკიცე რწმენით,
დავკვირვებივარ და მინახავს მე ნება შენი,
და მიმხვდარვარ მიგულისხმია ჩემი და არა შენი.

ვერასოდეს მიაღწევ იმ დონეს, სადაც შენ შეუბღალავი, სუფთა და წმიდა ნება გექნება.

ამიტომ კრიტიკული მნიშვნელობა აქვს მას მიმართო, რომელსაც ყველაფერი აქვს, თუნდაც ის რის ნაკლოვანებასაც შენ თავად განიცდი. იესოს გაყოფილი გული არ აქვს. მისი ნება ღმერთის ნებასთან ერთია. ასე იყო მაშინაც, როდესაც მწარე სიკვდილის თასის შესმა უწევდა. მან ილოცა, თუ შესაძლებელი იყო აცილებოდა ის. თუმცა ლოცვა ამ სიტყვებით არ დაუსრულებია. მან საკუთარი ნება ღვთისას დაუმორჩილა თქმით, „თუმცა, არა ჩემი, არამედ შენი ნება იყოს!“

იესო თავისიდან იღებს და ყოველ ღვთის შვილს უზიარებს. თუ მისი გწამს, მაშინ მასთან გაერთიანებული ხარ. შენ ქრისტეს სისავსის თანამოზიარე ხარ. ამიტომ შენ მის სრულყოფილ ნებასთან ხარ დაკავშირებული.

რა სურს იესოს?

მისი სურვილია, ყველა ვინც ღმერთმა მას მისცა, იქ იყვნენ სადაც თავად არის.

მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა ფასი იყო გადასახდელი, იესოს ეს უნდოდა. ამის გადათქმა არანაირ ძალას არ შეეძლო. თვით წყევლის ძელზე სიკვდილსაც არ შეეძლო იესოს ამ გადაწყვეტილების შეცვლა.

მისი სიყვარული შენს მიმართ ასეთი ძლიერია. მას შენს გარეშე სამოთხის წარმოდგენა არ შეეძლო. ამის გამო მთელი თავისი ნება მას მიუძღვნა.

თუ შენი ცვალებადი და მერყევი ნებით გატანჯული ხარ, გაიხსენე იესოს შენთვის რა სურს. მიენდე მას. მისი ნება ძლიერია. მას შენი ტარება შეუძლია. ის მთელი სისცოცხლე წარგიძღვება. მას მარადიულობის გატარება შენთან ერთად სურს. მადლობა გადაუხადე მას ამის გამო და მის ნებაში ჰპოვე შვება.

27 ივლისი

(იესო ქრისტემ) გვქმნა ჩვენ სამეფოდ, და მღვდლებად ღმერთისა და თავისი მამისათვის, მას დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე, ამინ!
გამოცხადება 1:6

იესოს უდიდესი სურვილია, რომ მან ეს შენ მოგცეს. მისი მოცემით ის არასოდეს დაიღლება.

იესოსთვის საკმარისი არაა, რომ შენ განიწმიდე და ყველა ცოდვისგან თავისუფალი ხარ. ის შენ თან მის დიდებულებას და მეფურ ღირსებას გიზიარებს.

როდესაც ღვთის წინაშე წარდგები, შენ ძონძებსა და კონკებში არ იქნები გამოწყობილი. არა, შენ სამეფო სამოსელში იქნები. მის თვალში შენ მეფე ხარ.

თუ საკუთარ თავს შეხედავ, ეს ყველაფერი მიუღწეველი გეჩვენება. ყველაფერთან ერთად შენ ცოდვილი ხარ; შენი ცხოვრება და ფიქრები ადამიანის დაცემის შედეგია. ასეა, როდესაც საკუთარ თავს ჭეშმარიტების ნათლით შეხედავ.

თუმცა ღმერთის სიტყვა ამაზე მეტს ამბობს. თუ იესოსი გწამს, მაშინ ის შენ ყველაფერს გიზიარებს. მან შენ სუფთა, წმიდა და მიძღვნილ ცხოვრებაში ჩაგრთო. მან შენ ის თავმდაბლობა და მორჩილება მოგცა, რომელთაც უფალი ჯვრით სიკვდილის მიმღები გახადა.

იესომ თავი დაიმდაბლა. ამის გამო ღმერთმა ის აღამაღლა და მას ყველა სახელზე უზენაესი სახელი მისცა. ყველას თავისთან მყოფს, მის მონაპოვარს უზიარებს. მათ მის პატივსა და ღირსებაში, თანამონაწილეობა აქვთ.

ღვთის წინაშე შენ მეფე ხარ. აგრეთვე მღვდელიც.

ძველ აღთქმაში მხოლოდ მღვდელმთავარი იყო, რომელსაც ნება ჰქონდა წმიდათა წმიდაში შესულიყო და ღვთის წინაშე წარმდგარიყო. ეს ასე აღარ არის. იესომ ჩვენთვის ახალი და ცოცხალი გზა შექმნა. ამის გამო ღვთის ნებისმიერ შვილს, წმიდა ღმერთთან პირისპირ შეხვედრა შეუძლია. როდესაც იესო მოკვდა, წმიდათა წმიდის კრეტსამბელი ორად გაიხა და მასთან მისასვლელი განთავისუფლდა.

მღვდელმთავარი, როცა წმიდათა წმიდაში შედიოდა თავისთან ერთად ყოველთვის სისხლი უნდა შეეტანა. მას ამის გაკეთება მხოლოდ ხელებზე სისხლის წასმით შეეძლო. იესომ თავისი სისხლი უწმინდეს ადგილზე შეიტანა და მით, საუკუნო გამოსყიდვა მოგვიპოვა. შენ ამ სიკეთით შეგიძლია მასთან მისვლა. თუ იესოსი გწამს, ღმერთი ქრისტეს სისხლის დამსახურებაში მდგომად მიგიჩნევს.

იესომ მეფედ და მღვდლად გაქცია. ის ამას მის სიტყვაში ამბობს. ამიტომ მას სიხარულითა და მადლიერებით თამამად მიეახლე, ვინაიდან იესოს სიმდიდრის თანამოზიარე ხარ.

28 ივლისი

იმით გაიგებს ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გეყვარებათ ერთმანეთი.

იოანე 13:35

ცოდვილები იყვნენ. მათ კითხვა აწუხებდათ, თუ დიდად ვინ უნდა ჩათვლილიყო. ამგვარი ინტერესი კარგს არაფერს შობს. წუთისოფელმა კი მათ შესახებ ასე თქვა: „შეხედეთ, როგორ უყვართ ერთმანეთი!“

ქრისტიანთა შორის ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. ცოდვებსა და შეცდომებზე მითითება ძნელი არ არის. მაგრამ დღესაც დიდი კურთხევაა, ეკუთვნოდე მათ, ვისაც ერთმანეთი უყვართ.

ყველა დედამ და მამამ იცის ეს, რომ ოჯახში, ძმებსა და დებს შორის, საქმე ყოველთვის კარგად არ მიდის. იქ შეიძლება ჩხუბი და ტირილი იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ოჯახის რომელიმე წევრი გარეთ გავუშვათ. მიუხედავად უთანხმოებისა, იქ მაინც საერთო სიყვარულია.

ასეა მათთვისაც ვინც უფლის საკუთრებაა. დაძაბულობასა და დავაზე მეტი ის საკვრელია, რომელიც მათ აერთიანებს.

სიყვარული არ ყვირის. ის საკუთარ თავს ყურადღების ქვეშ არ აყენებს, რადგან თავისას არ ეძიებს. დაფარულში ცხოვრება საუკეთესოა. თუმცა დიდხანს ის ასე ვერ დარჩება. აუცილებლად წავაწყდებით თანა-ქრისტიანების ერთგულებას, რომელიც აუცილებლად შეგვარცხვენს. იმავდროს დავინახავთ, რომ ეს ღვთის მადლია, რადგან უფლება მოგვეცა იმათ გვერდში ვიყოთ, რომელნიც იესოს მიერ არიან გაერთიანებულნი.

ფრთხილად ვიყოთ, რომ ჩვენი თვალთა ხედვა ერთმანეთის ნაკლოვანებებზე არ გადავიტანოთ. ნაცვლად ამისა იმას შევხედოთ, რაც ღირსეულია. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ნუ გვექნება, რათა არ ვიფიქროთ, რომ ერთმანეთი აღარ გვჭირდება. ჩვენ ერთი სხეულის წევრები ვართ. ამ გზით, ჩვენ ერთმანეთს იმ მადლის ნიჭით ვემსახურებით, რომელიც ღვთისგან მივიღეთ.

სატანას განხეთქილების წარმოქმნა სურს, მაგრამ წინააღვუდგეთ მას. ისე მოვეპყრათ ერთმანეთს, როგორც ძმებსა და დებს, რომელნიც ქრისტეს ხსნის სამოსლით არიან შემოსილნი. მოდით მადლობა გადავუხადოთ ერთმანეთს. დავფიქრდეთ იმაზე, რანი ვიქნებოდით, რომ ერთმანეთი არ გვყოლოდა.

უპირველეს ყოვლისა, მოდით ქრისტეს სიყვარულში გავერთიანდეთ! პირველად მან შეგვიყვარა.

29 ივლისი

იწამეთ იგი და დაიბეჭდეთ აღთქმული სულიწმიდით.

ეფესელთა 1:13

სულიწმიდის გარეშე, ქრისტიანად ვერავინ გახდება. არც არავის შეუძლია ქრისტიანად ყოფნა თუ სულიწმიდა არ ექნა.

ბუნებრივად ცოდვის სერიოზულობას ვერ გავიგებ. შეუძლებელია ჩემით ჩავწვდე, როგორ უკუმაგდებს ღმერთი და დასაღუპავად მსჯავრს დამდებს. მაგრამ ყველაფერი იცვლება, როდესაც სულიწმიდა ღმერთის სიტყვით ჩემს გულს ნათელს მოჰფენს. ცოდვა სერიოზული ხდება. გულცივობა, უზრუნველობა და წინააღმდეგობა გულზე მსჯავრად დამედება. მე ღმერთის ყველაფერში მოვალე ვარ. მანამდე მას არ ვმადლობდი, პატივს არ მივაგებდი და არ ვემორჩილებოდი, ისე, როგორც საჭირო იყო. მუდმივად წინ საკუთარი მეყენა. თუ ღმერთთან რამე მინდოდა, უბრალოდ ჩემს სასარგებლოდ მისი გამოყენება და არა მისი თაყვანისცემა.

როდესაც ღვთის სული, თუნდაც მცირედით ჩემი დაცემულობის სიღრმეს მაჩვენებს, მიჭირს იმის დაჯერება, რომ რაიმე შესაძლებელობა ჩემი გადარჩენისა უბრალოდ არსებობს.

თუმცა სულიწმიდა წუთისოფლის ცოდვაში მხილებით ყველაფერს არ ასრულებს. იესოს გამოცხადება სულიწმიდის ამოცანაა. მე შემიძლია მის შესახებ მოვისმინო და წავიკითხო, მაგრამ შეუძლებელია საკუთარ თავს რწმენა მივანიჭო. თუ იესოს სულიწმიდა ჩემს გულში არ შემოუძღვება, მაშინ ის იქ ვერასოდეს მოხვდება.

ამიტომ სულიწმიდას ისე არაფერი არ ახარებს, ვიდრე იესოს განდიდება.

ის იესოს შენი გულის ყველაზე დიდ და აღმატებულ საუნჯედ აქცევს. ის ჩვენგან შორს და მიუღწეველი არ არის. მისი სიყვარული ათბობს და ბრწყინავს. ვიცი, რომ მისგან შეყვარებული ვარ. მისი სიყვარული ჩემს გულში სიყვარულს წარმოშობს და მას მის სიყვარულს უკან ვუბრუნებ.

როცა ეს ხდება, მე იესოს გარეშე სიცოცხლე აღარ შემიძლია. ჩემი გრძნობები იცვლება. ხან სიცივე და ხან სითბო დამეუფლება. ერთხანს ვიწვი, შემდეგ კი ინდიფერენტული ვხდები. თუ გრძნობები მომეტებული მაქვს, ჩემი გული იესოს დიდებით ივსება. როდესაც ისინი უჩინარდებიან, ისე ჩანს თითქოს იესომ დამტოვა, რა დროსაც დეპრესია მიპყრობს. იესო და მისი ჩემი სულისათვის მიცემული ხსნა ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ნებისმიერი სხვა რამ. მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე იესო დავკარგო.

აი, ჩემს გულში ჩატარებული სულიწმიდის საქმე ეს არის.

30 ივლისი

ასე, სიკეთე და წყალობა დამედევნება კვალდაკვალ, ყოველ დღე ჩემი სიცოცხლისა.

ფსალმუნი 23:6

შესაძლოა შენთვის ძნელად გასაგებია, რომ მთელი სიცოცხლე სიკეთე და წყალობა იქნება შენზე დადევნებული. ზოგჯერ ასეა, მაგრამ ზოგჯერ ამის საფიქრად მიზეზი არ გაქვს.

მაგრამ თუ ვინმე ცდება, ეს შენ ხარ. შავბნელ დღეებშიც კი, უიღბლობისა და ცოდვის ჟამს, ღმერთი თავისი სიკეთითა და წყალობით დაგჰყვებოდა. ამას იესოს გამო აკეთებდა. იესომ შენთვის შვილობის უფლებები მოიპოვა. იესო შენი შემცვლელია; ამიტომ ღვთისათვის სათნო ხარ. ღვთის გულში ადგილი შენც გაქვს. ის მის მადლს დღითა და ღამით შენზე აწვიმებს. შენ კიდევ ამ სინათლეში ღვთისმიერი აღზრდა უნდა დაინახო. ის შენ გამდაბლებს და გდრეკს. ეს აუცილებელია; სხვანაირად შენ მადლს ვერ იპოვი.

ტანჯვისა და ავადმყოფობის ჟამს, დიდი დახმარებაა ნაბიჯის უკან გადადგმა და მთელი ცხოვრებისადმი თვალის გადავლება. მთლიან სურათს ჩვენ ადვილად ვივიწყებთ. ყველაფერი რაც ხელში მოგვხვდება, სრულ ჩვენ ყურადღებას გვაცლის. ჩვენს ძველ ბუნებას ჩვენში დარჩენა მშვიდად უნდა. მაგრამ ეს საშიშია. თუ ძველ ბუნებას ბატონობის უფლებას მივცემთ, მაშინ პილიგრიმობას შევწყვეტთ და მიზანს ვერასოდეს მივაღწევთ.

მაგრამ უფალი გვაფხიზლებს. ის ჩვენს ნებაზე არ გვტოვებს.

ზოგჯერ აღმოაჩენ, რომ არ ღვთის ჩარევა, აუცილებლად დაეცემოდი. ღმერთს, რომ თავისი ძლიერი ხელით არ ეტარებინე, ღვთის შვილად დარჩენას ვერანაირად ვერ შეძლებდი. ეშმაკი, ქვეყნიერება და ხორციელი ბუნება უცილობლად დაღუპვისაკენ წარგიძღვებოდნენ.

მწყემსი ისე გიძღვის, რომ მიზანს აღწევ. ეს შენი ლოცვის შესაბამისად ხდება. ათასობით საშიშრობით გარშემორტყმულმა, არც კი იცი რაა კარგი. მაგრამ ეს უფალმა იცის. მას სრული ხედვა აქვს და ყველაფერს ჭვრეტს. ამიტომ გაბედულად კიდებ მას ხელს და ნებას რთავ, რომ გატაროს.

მცირე სიტყვა „ასე“ კურთხეული სიტყვაა. ასე, სიკეთე და წყალობა დაგდევს. სხვა რამ არც უნდა იყოს. ასე იქნება ყოველი დღე და ცხოვრების ნებისმიერ მდგომარეობაში. შენი მოუსვენარი გული დამშვიდდება. რწმენა განმტკიცდება, როდესაც გჯერავს, რომ ღვთის სიტყვა შეურყეველია. ღმერთს შენთვის ბოროტება არ განუზრახავს. არც სიკეთის მოცემა არ დავიწყნია. რასაც ის აკეთებს, ყველაფერი დიდებულია.

31 ივლისი

მცირე საფუარი მთელ ცომს აფუებს.

გალატელთა 5:9

მცირე რჯულის დაცვაა საჭირო, რომ ქრისტიანის სიცოცხლე ნანგრევებად იქცეს. ისე არაფერს შეუძლია ქრისტიანს გაბედულება და სიხარული მოპაროს, როგორც მის მოთხოვნას. ამიტომ აღარ უნდა გვიკვირდეს იმ ფაქტის, თუ სატანა რატომ ცდილობს, რომ ქრისტიანი ისევ რჯულის ქვეშ მოაქციოს.

მრავალი ქრისტიანი მადლით იწყებს, მაგრამ სულ მალე მადლის ადგილს მოთხოვნები ანაცვლებს. ისინი დაკავებული იმით ხდებიან, თუ რანი უნდა იყვნენ და რა უნა აკეთონ. ქრისტიანი თუ როგორ უნდა შეესაბამებოდეს ამ ორ საკითხს ინტერესთა ცენტრი ხდება. როდესაც ეს დიდი და დამღლელი საქმე იწყება, ის ქრისტიანის დაუძლურებით მთავრდება. ზოგისთვის ეს ისე მძიმე გახდა, რომ ქრისტიანობას სამუდამოდ დაემშვიდობენ და არადა ეგონათ თავისუფლებას ეწიენ.

მცირე საფუარი მთელ ცომს აფუებს. მით ყველაფერი მწარდება.

ჭეშმარიტი და ცოცხალი ქრისტიანები მადლით იწყებენ, მადლით აგრძელებენ და ცხოვრებას იგივე მადლით ასრულებენ. მადლი ნიშნავს, რომ ყველა ის მოთხოვნა, რომელიც შენდამი იყო მომართული, იესოზე გადავიდა. როდესაც მის მიერ ყოველივე აღსრულდა, შენ უკვე აღარ გჭირდება მათი დაკმაყოფილება.

ქრისტეა რჯულის დასასრული, რათა ის გახდეს ყველა მისი მორწმუნის სიმართლე. შენი სიმართლე ის არ არის, რისი მოპოვებაც სწორი ცხოვრებით შეიძლება. შენ მას იესოს გამო, მხოლოდ რწმენით ღებულობ. მან რჯული შენს ნაცვლად აღასრულა. ამის გამო შენ მისი გაკეთება არ გმართებს.

ჩვენი ძველი კაცი ვერასოდეს ისწავლის იესოსა და მადლის ძალის დაფასებას. მისი აზრით ცოდვა კონტროლის გარეთ გადის, თუ რჯულის ქვეშ არ ვრჩებით. ჩვენს ძველ ბუნებას ჭეშმარიტებისადმი მორჩილება არასოდეს ნდომებია, რჯულისა, რომელიც ცოდვის ძალაა და რომლის გამოც ცოდვა გამრავლდა.

ცოდვის გამკლავება, მხოლოდ რჯულის მოთხოვნისაგან თავისუფლებით მიიღწევა. როდესაც ამ თავისუფლებაში ცხოვრობ, რომელიც იესოს მიერ შენთვის იქნა შეძენილი, ღმერთის მადლი შენს ცხოვრებაში მუშაობას იწყებს. იესოს სიყვარულმა ისეთი რამ აღასრულა, რასაც აკრძალვები და მოთხოვნები ვერასოდეს ვერ შეასრულებდა.

მაშასადამე, რჯულის-ტყვეობას ერიდეთ! იცხოვრე ღვთის მადლში! ესაა წმიდა ცხოვრების ძალა. ესაა მადლი, რომელიც, როგორც ღვთის შვილს გიცავს.

1 აგვისტო

ვინაიდან დიდი იქნება ის უფლის წინაშე...და ივლის მის წინაშე ელიას სულითა და ძალით.

ლუკა 1:15,17

იოანე იესოს წინამორბედი იყო. ამის გამო ის უფლის წინაშე დიდი გახდა.

ვინ ხარ ადამიანთა თვალში, ნაკლებ მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ თუ სხვა ადამიანები აკონტროლებენ შენ სიცოცხლეს, მაშინ მათი მონა ხდები. ქრისტიანები თავიანთი არაჯანმრთელი სურვილით, რომ ყველას აამონ შესაძლოა დაიტანჯონ. ამის კეთება არაჯანმრთელ ბორკილებამდე მიდის.

არა, ღმერთის შვილი იმით უნდა განიკითხებოდეს, რასაც ის ღვთის თვალთა წინაშე წარმოადგენს. ღმერთი შენ იესოს მიმართ ურთიერთობით განგიკითხავს. იესო ღვთისათვის ყველაფერია. მას ძე ყველაზე მეტად უყვარს. ამიტომ გასაკვირი არაა, თუ ის მასთან მიმართებაში ხედავს ყოველივეს.

თუ იესო გიყვარს, შენ ღვთის წინაშე დიდი ხარ. მაშინ შენი და მისი სიყვარული თავს ერთ ცენტრში იყრის: იესოში. თუ ღვთის სამეფოში საქმიანობ, იესოს სიყვარულით ხარ აღძრული, ამიტომ შენი მსახურება ღვთის წინაშე ძვირფასია. ისაა ერთადერთი, რომელსაც ერთობლივად გული და მოტივი ჩვენი მსახურებისთვის აქვს.

თუ იესოს დაბრუნებას ელოდები, მაშინ ღვთის თვალში დიდი ხარ. ეს ლოდინი ღვთის ლოდინის მსგავსია. ეს მისი ნებაა, რომ იესოში ყოველივე აღსრულდეს. თუ ეს ჯერ არ მომხდარა, ეს მისი უდიდესი სულგრძელობის ბრალია. ღმერთის სურვილია მრავალი ადამიანი გადარჩეს.

იესოსთვის გზის მომზადება ქრისტიანს ღვთის თვალთა წინაშე დიდს ხდის. ღმერთი კმაყოფილი არ არის იმ ფაქტით, რომ ადამიანები უბრალოდ ქრისტიანობით არიან დაინტერესებულნი; არც იმ ფაქტით, რომ ისინი ბაძავენ ქრისტიანობას. ასეთი ქცევა ხსნამდე ვერ მიდის. არა, შენ გზა იესოსთვის უნდა მოამზადო.

სად არის ნამდვილის დიდების დასაბამი?

პასუხი მარტივია: ეს იწყება მუხლებზე, როდესაც დაკარგული ცოდვილი წყალობას ითხოვს. მაშინ შენ ჭეშმარიტების პიროვნება ხდები. მაშინ შენს თავს ისე ხედავ, როგორც ღმერთი გიყურებს.

ამ დროს რის გაკეთებას იწყებს ღმერთი?

ის ნებას გვრთავს მას შევხედოთ, რომელმაც წუთისოფლის ცოდვა იტყვირთა. ამ დროს დიდებული რამ მოხდა. მაშინ შენ გადარჩენილი ცოდვილი გახდი, რომელიც მხოლოდ ღმერთის მადლით ცხოვრობს.

2 აგვისტო

რადგან წყალს გადმოვღვრი მწყურვალ ქვეყანაზე და ნაკადებს - გამომშრალ მიწაზე: ჩემს სულს გადმოვღვრი შენს თესლზე და ჩემს კურთხევას - შენს შთამომავლობაზე.

ესაია 44:3

სულიწმიდა ყველაფერს ცვლის. გამომშრალი მიწა აყვავებულ ხეივნად გარდაიქცევა. ეს თითოეულ ღმერთის შვილს აქვს გამოცდილი. ვიდრე ღმერთის სულს მიიღებდი, უთუოდ მანამდე იცოდი ვინ იყო იესო ქრისტე, მაგრამ თვალები მხოლოდ მაშინ მიაპყარი მას, როდესაც სულიწმიდამ გულში ეს ჭეშმარიტება გაგიცხადა. მაშინ შენ იმ ფაქტში მოსვენება ჰპოვე, რომ მისი სისხლი ყოველი ცოდვისაგან გვწმენდს და სულს თოვლზე მეტად ასპეტაკებს.

თუ იესოსი გწამს, მაშინ შენც გაქვს სულიწმიდა. არ არის ისე, რომ ჯერ იესო ირწმუნო და სულიწმიდა მერე მიიღო. არავის შეუძლია „იესოს უფალი უწოდოს," თუ არა სულიწმიდით.

მაგრამ თუ შენ იესოს ეკუთვნი, მაშინ სულიწმიდით უნდა აღივსო. სული მუდმივად განადიდებს მას შენს გულში. არსებობს ისეთი ქრისტიანები, რომელნიც სულიწმიდას თავისუფლად მოქმედების სივრცეს საერთოდ არ აძლევენ. ისინი ჭკნებიან. მათი გაბედულება დღითიდღე კლებულობს. მათი სიხარული ქრება. ლოცვა მათი კვდება.

სულიწმიდა იესოს განადიდებს. ღვთის სული იქაა, სადაც მისდამი რწმენაა და ამ რწმენის ზრდაა დაშვებული. ეს ხდება მაშინ, როდესაც არაფერი გინდა იცოდე, გარდა იესო ქრისტესი და ისიც ჯვარცმულისა. ასეთი დამოკიდებულება კი სულიწმიდის მოქმედების ნიშანია.

მთელ სიმდიდრეს ძეში ღებულობ. თვალები იმ ფაქტისადმი გეხილება, რომ იესო ყველაფერს გიზიარებს. მან რწმენის მეშვეობით თავის სამყაროში შეგიყვანა.

როგორც იესოა ძე ღვთისა, ასევე შენ ღმერთის შვილი ხარ. ამიტომ შენ მოცემული გაქვს მამის წინაშე შვილის მსგავსი იყო. შენ მას შეგიძლია ყველაფერი უთხრა. თამამად შეგიძლია უთხრა მამას, რომ შენი თვალები ცხადად ვერ ხედავს. მაგრამ ღმერთს აქვს სრული მხედველობა. ამიტომ შეგიძლია ხელი მას ჩაჭიდო.

შენ გეძლევა უნარი საკუთარ ცოდვას შეხედო, როგორც საზიზღარ და ბინძურ სამოსელს, რომელიც შენს ფერხთა ქვეშ არის მოქცეული. მას შენ არასოდეს ჩაიცვამ. არა, შენი სურვილია სამეფო სამოსელი ატარო, რომელიც იესომ მოგანიჭა.

თუ შენთვის ასეთი რეალობა დგას, მაშინ სულიწმიდას ფლობ. ის შენში თავის საქმეს ატარებს. ცოცხალი ნაკადები კი შენს ცხოვრებაში ღვარად მოედინება.

3 აგვისტო

...წყალს კი ნაკადულიდან სვამდა. გამოხდა ხანი და დაშრა ნაკადული, რადგან წვიმა არ მოდიოდა ქვეყნად.

1 მეფეთა 17:6-7

ღმერთმა ელიას უთხრა, რომ ქერითის ხევში წასულიყო. მან აგრეთვე უთხრა, რომ მას ნაკადულის წყალი დაელია. რატომ აღარ დაუშვა ღმერთმა რომ წყალს ედინა? რატომ დაშრა ნაკადულის წყალი?

უეჭველია ელიასათვის ძნელად გასაგები იყო, როდესაც იხილა წყალი, როგორ წყდებოდა. ფაქტიურად წყალი აღარ იყო.

აქედან შეგიძლია ისწავლო, რომ მიუხედავად იმისა შენ ღვთის გზაზე დგახარ, შეუძლებელია სიძნელეებსა და განსაცდელებს თავი დააღწიო. სიძნელე იმის ნიშნად არ უნდა მიიღო, რომ ღვთის გეგმაში არ ხარ. ერთი რამ ცხადია: ღმერთის სურვილია იმით დაგელაპარაკოს, რასაც შენს გზაზე უშვებს.

ელია აღარ უნდა დარჩენილიყო ქერითის ხეობაში. ცარფათში იყო ერთი ქვრივი, რომლის დახმარება ღმერთს სურდა. ელია კი მისი ინსტრუმენტი უნდა გამხდარიყო.

გვალვის ჟამი ყოველთვის არ ნიშნავს, რომ წასვლის დროა. ამ დროს ცარფათშიც შიმშილი იდგა. დროდადრო ღმერთს გარე პირობებით და შინაგანი დარწმუნებით, ახალ კავშირებთან მივყავართ. ამ შემთხვევაში კი ნამდვილად წასვლის დროა.

სიძნელე ცარფათში არანაკლები იყო; შეიძლება ითქვას უფრო უარესი. ელია იქვე, ახლო დასახლებაში გამანადგურებელ სიკვდილსაც კი შეეჩეხა. მაგრამ ღმერთი იგივე დარჩა. მისი მზრუნველობაც იგივეა. შეწევნა მაინც მისგან მოვიდა, მიუხედავად იმისა ყორნები საკვებს აღარ ეზიდებოდნენ. მთავარი ისაა, რომ ღმერთი ელიას სხვა გზით გამოეცხადა. მას მიეცა, რომ ღვთის მიუღწეველი სიბრძნის სხვა ასპექტი დაენახა.

ღმერთი შენს ცხოვრებაშიც ასე მოქმედებს. მისი სურვილია შემეცნებაში და რწმენაში იზარდო. ამის გამო ის ხშირად სიძნელეებს სწორედ იმ მხრიდან უშვებს, საიდანაც არ ელოდები. თუმცა ის არ გტოვებს. ის ელოდება, რომ ყოველი გასაჭირისას მას დაუწყებ ძებნას. მაშინ ის განახლებულ შეწევნას და მადლს მოგანიჭებს.

სასოწარკვეთას ნუ მიეცემი, როდესაც ცხოვრება ძნელდება და ისე ჩანს თითქოს ღმერთი თავის სიტყვას არ იცავს. მას არც შენ დაუვიწყიხარ და არც მისი აღთქმები. მას შენ უყვარხარ და მისი აღთქმები შენდამი საუკუნოა. ღმერთი ამის თავდები ხდება.

4 აგვისტო

რომელსაც ლანძღავდნენ და ლანძღვით არ უპასუხებდა.

1 პეტრე 2:23

იესო მკაცრად იქნა გაკრიტიკებული. მას ბრალი დასდეს, რომ სიძვით იყო შობილი, გაუმაძღარი და ლოთი იყო, ადამიანები შეცდომაში შეჰყავდა, იმპერატორის წინააღმდეგ ამბოხს აწყობდა და ღვთისმგმობელი იყო.

მაგრამ იესო ლანძღვით არ პასუხობდა. ის დასაკლავად წაყვანილი კრავივით მდუმარე იყო. მისთვის უმნიშვნელო არ იყო, თუ მის შესახებ რას ამბობდნენ, მაგრამ თავის დაცვა არ დაუწყია. მან მისი საკითხი ზეციერ მამას მიანდო.

იესო ღვთის ხელს იყო მინდობილი. მან იცოდა, რომ იყო ერთი, რომელმაც ყველაფერი იცის და ყველაფერს სრულყოფილად ხედავს. ეს კი მისთვის საკმარისი იყო. ადამიანთა შეხედულებები, რაღაში ანაღვლებდა?

იესო მისი ნაკვალევის მიყოლაზე მოგვიწოდებს. ჩვენც ცრუბრალდებას დავექვემდებარებით. ზოგს ფესვები უცოდინარობაში აქვს, ზოგსაც ბოროტებაში. ამიტომ მათი შენზე საუბარი, ნამდვილად მძიმე მოსასმენია. თუმცა ისე მოიქეცი, როგორც იესო. საკუთარი თავი ღმერთს მიანდე, რომელმაც სიმართლე იცის. ის იზრუნებს შენზე. განთიადივით აღმოგიბრწყინებს შენს სიმართლეს და სამართალს შენსას შუადღის ნათელივით.

უფალი ადამინების ნათქვამით გცდის. მას უნდა ერთგული გიხილოს მისი სიტყვისა და იესოს ნაკვალევის მიმდევარი.

ღმერთმა იესოზე იზრუნა. ადამიანების დაცინვამ მარცხი განიცადა. დღეს უამრავმა იცის, რომ მის წინააღმდეგ ბრალდებები ცრუ იყო. იმ დღეს, როდესაც იესოს ყველა მტერი მის ფერხთა ქვეშ მოექცევა, ბოლო ყოველ სიცრუეს მოეღება.

შენს მიმართაც ანალოგიური მოხდება, რადგან ღმერთი ტახტზეა. შენ უბრალოდ ღვთისადმი ლოდინის სწავლა გმართებს. შენ გინდა ის დაუყოვნებლივ ჩაერიოს, მაგრამ ეს ასე იშვიათად ხდება. ღმერთი საუკუნო მეფეა და ნაბიჯს მაშინ დგამს, როდესაც ფიქრობს, რომ დადგა ჟამი მოქმედებისა.

იესო სრულყოფილი ტანჯვით შეიქმნა. ნუთუ გიკვირს, რომ იგივე გზით გიწევს სიარული? ჩვენში რაღაც ხდება, როდესაც იესოს ნაკვალევს მივყვებით და ბოროტებით უკან არავის არ ვუზღავთ. ამ დროს გაუაზრებლად, ჩვენს უფალს ავირეკლავთ. იესო ჩვენს ცხოვრებაში ხილული ხდება. ამ დროს შენ კი არა, არამედ იესო ღებულობს პატივს. განა იმაზე მეტად გინდა რამე, ვიდრე შენით იესოს განდიდებაა?

5 აგვისტო

ყოველთვის მადლობას ვუხდი ღმერთს თქვენთვის...

1 კორინთელთა 1:4

კორინთოს საკრებულო სანიმუშო ნამდვილად არ იყო. ქრისტიანთა სულიერი ცოდნა არასაკმარისი იყო. ისინი ქრისტეში ნამდვილი ჩვილები იყვნენ და მაგარი საკვების მისაღებად მზად არ იყვნენ. ძლიერი დაძაბულობა მომწიფდა და ცოდვა კართან გახდა ჩასაფრებული.

პავლე მდგომარეობის სერიოზულობას არ ფარავს. ის ცოდვას თავისი კუთვნილი სახელით მოიხსენიებს. ნებისმიერი ვინც ცოდვასთან ურთიერთობას არ გაწყვიტავს, ღმერთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ის ღმერთს კორინთელებისათვის მუდმივად მადლობდა. როგორ იყო ეს შესაძლებელი?

პავლე მათ მუდმივად იესოში ხედავდა.

ღვთის საკრებულო ცოდვილებისაგან შედგება. უამრავ სისუსტესა და ცოდვაზე შეიძლება მითითება და ეს სწორიცაა. უამრავი რამ სხვანაირად უნდა ხდებოდეს. ჩვენ ხომ ძველი საფუარიდან თავისუფლებისათვის ვართ მოწოდებული.

იმავე დროს აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ, ცოდვის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლა ქრისტიანებად არ გვაქცევს. ეს, რომ ასე ყოფილიყო, მაშინ პავლეს კორინთელების გამო არაფერი ექნებოდა სამადლობელი. ვინაიდან ყველა ისინი დამარცხდებოდნენ.

როდესაც ის მადლობას წირავს, ეს იმიტომ, რომ მათი საპასექო კრავი — იესო — დაიკლა. ისაა გამწმენდი, განმბანველი და გადამრჩენელი. და ეს არ არის ჩვენი მძიმე თუ მსუბუქი ბრძოლა.

თუ იესოს გწამს, ღვთისადმი მადლობის მიზეზი არის. იყო ქრისტიანი ნიშნავს, იყო იესოსთან. ღმერთი შენს დამოუკიდებლად არასოდეს გიყურებს. მისი თვალები მუდამ შენზეა მოპყრობილი. რასაც ის ხედავს, მას სიხარულით ავსებს. იესო შენ თხემიდან ტერფამდე გფარავს, როგორც წმიდა და მბრწყინავი ბისონი. ყველა ცოდვა და ბოროტება დაფარულია. იესოს აურაცხელი სიმდიდრე შენია და ყველაფერზე მნიშვნელოვანი.

შენ ცოცხალი მოწმე ხარ, რომ ღვთის მადლი დიდია. ის ვინც გადარჩა მცირე, უმწეო და საცოდავი არსებები არიან. თავისში მათ არაფერი გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, ისინი მდიდარნი გახდნენ. მათი ქონება იესო, ზეციური მეფის ძეა.

ამიტომ მიზეზი ყოველთვისაა, რომ ღმერთს ქრისტიანად ყოფნის გამო ვმადლობდეთ.

6 აგვისტო

სამკალი ბევრია, მუშაკნი კი ცოტანი არიან. ამიტომ ევედრეთ სამკალის უფალს, რომ წარმოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში.

მათე 9:37-38

სამკალი მართლაც ბევრია. ურიცხვი რაოდენობა, რომლის დათვლას ვერავინ შეძლებს, ტახტისა და კრავის წინაშე წარდგება. ისინი თითო-თითო მოვლენ მასთან. ღვთის სამეფოში დიდ გამოღვიძებათა შორის დიდი ინტერვალია და თუნდაც მაშინ, როცა პიროვნება იესოს ინდივიდუალურად ხვდებოდა და ხელახლა-შობას განიცდიდა.

მათი რაოდენობა მცირეა, რომელთაც მრავალი დაიმოწაფეს. ყველა ქრისტიანი უნდა შეერთებოდა მათ, მაგრამ სულ ასე არ ხდებოდა. ხალხში ყოველთვის იყო რაღაც შიში, ნამდვილი სულების მომპოვებელთა წინააღმდეგ. მცირეა იმ მუშაკთა რაოდენობა, რომელნიც საქმისათვის სულით არიან ანთებულნი.

ამის გამო საცდური და განდგომილება მუშაკებში დიდია. მათი აზრით ბევრი რამ გაადვილდებოდა, თუ მუშაკთა რაოდენობა გამრავლდებოდა.

მიუხედავად ამისა მხნეობა არ დაკარგო! ღმერთს უფრო მეტი მუშაკები ყავს, ვიდრე შენ ფიქრობ; მაგრამ ის მათ გგზავნის, რათა იმდენს მიწვდეს, რამდენის შესაძლებლობაც იქნება.

ამის გამო იესო მოგიწოდებს სამკლის უფალთან მიხვიდე. თხოვე მას, რომ მის სამკალში მუშაკნი წარმოგზავნოს. ჩვენი მოწოდება არ არის, რომ ადამიანები მსახურებაზე წარვგზავნოთ. ჩვენ მათი შეგონება და წახალისება შეგვიძლია, მაგრამ ის ღმერთია, რომელიც გგზავნის. სამკლის უფალია მხოლოდ ის, ვინც ადამიანთა გულებამდე აღწევს. თუ ეს არ ხდება, მაშინ ღვთის მსახურება დიდხანს ვერ გასტანს.

ქრისტეს სიყვარული, ყოველი ქრისტიანული მსახურების მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს. ღვთის მადლით, მისი თვალებით ცქერა უნდა ვისწავლოთ. „მომეცი ღმერთო გამგები გული ამ თაობის ტკივილისა და გაჭირვებისა! დაე, შენი ტანჯვების თანამოზიარე გავხდე და გამხადე, ძლიერი და ცხელი!“ ესაა ის ერთადერთი გზა, რომელიც ღვთის მსახურებაში გაგაძლებიებს.

ვიდრე ვმსახურობთ, ლოცვით უნდა ვიცხოვროთ. ვთხოვოთ უფალს, რომ თავის სამკალში მუშაკნი წარმოგზავნოს. ეს ლოცვა უამრავჯერ იქნა ნალოცი და ყოველთვის იყო შესმენილი. უფალი ხშირად დაუყოვნებლივ მოქმედებდა. სხვა შემთხვევაში ქრისტიანებს, მრავალი დეკადის განმავლობაში უხდებოდათ ლოცვა. „ღამე მაშინ დგება, როდესაც მუშაობას წყვეტენ.“ დროის მოახლოვებას, თავის ნიშნები აქვს. მაგრამ მაინც არსებობს მრავალი ღია კარი. მოდით კეთილად გამოვიყენოთ ეს დრო! გვახსოვდეს მცირე მუშაკთა უფალი! მოდით დავუბრუნდეთ ჩვენს შუამდგომლობით ლოცვასა და შესაწირავს. და მოდით ღმერთს ვთხოვოთ, რომ მეტი ადამიანები წარმოგზავნოს.

თავისი მადლის დიდების საქებრად, რომელიც მადლით მოგვანიჭა თავის საყვარელ ძეში.

ეფესელთა 1:6

ქრისტიანს დიდი სურვილი აქვს, მისი დამსახურებისათვის შეაქონ. ამ საკითხმა დიდი გაჭირვება წარმოშვა, როგორც ინდივიდის ასევე საკრებულოს ცხოვრებაში; და ერთ მარცხს, მეორე მოჰყვა.

ყველა ქრისტიანი თანხმდება, რომ ქრისტიანული ცხოვრება მადლით იწყება. მაგრამ ქრისტიანისთვის მიცემული დღეგრძელი სიცოცხლე, რომ მადლის დიდებითაა გაჯერებული, ეს ძნელად სასწავლი გაკვეთილია.

ადამიანთა უმრავლესობა ლოცულობდა, რომ დიდება თავად მიეღოთ. ჩვენ კმაყოფილებას ვერ განვიცდით, უბრალოდ უმწეო და ღატაკ ცოდვილად დარჩენით, რომელსაც საყრდენად მხოლოდ იესო ჰყავს. ჩვენი აზრით პატივს მხოლოდ ღმერთი იღებს, თუ წარმატებული ქრისტიანად გახდომაში ის გვეხმარება და უზრუნველგვყოფს.

შესაძლოა ამ გატანჯულთა სიაში შენც ხარ. მრავალი მცდელობის შემდეგ მოგიწევს გაათვითცნობიერო, რომ შეუძლებელია საკუთარი თავი იმად აქციო, რადაც გინდა. შეუძლებელია საკუთარ თავს რაიმე სახის დიდება მოუტანო.

ყურადღება მიაქციე ღვთის სიტყვის ნათქვამს. საკუთარი დიდების ქებაში კი არა, არამედ მისი მადლის დიდების ქებაში უნდა ვიყოთ.

ვინ რჩება მისი დიდების მადლის ქებაში?

ეს ისაა მხოლოდ, ვინც ღვთის მადლს ეჭიდება. თუ შენი წარსული მადლითაა დაფარული, მაშინ ეს მისი მადლის დიდების ქებაა. ამ შემთხვევაში თუ შენი ცხოვრების, რომელიმე პერიოდს ღმერთი თვალს შეავლებს, რასაც ნახავს, ეს მხოლოდ იესოს მადლი იქნება. იგივე ითქმის შენს აწმყოსა და მომავალზე. მადლი მეფობს შენში ახლაც და სამომავლოდაც.

შენ მადლის შვილი ხარ. რაც უფრო მეტად აცნობიერებ ამას, მადლის საქებარს მით უფრო უკეთესად გალობ. კარგად ხვდები იმას, რომ მიუხედავად შენით ღატაკი ხარ, მაინც მდიდარი რჩები. არაფრის მქონე, მაინც ყველაფრის მფლობელი ხარ.

ღვთის მადლი კურთხეულ ქრისტიანად გაქცევს. თუ მადლი შენს გულს ავსებს, მაშინ არანაირი სურვილი გაქვს იყო ან გახდე რამედ. შენი სურვილია იესო შენთვის ყველაფერი იყოს. იცი, რომ ღვთის წინაშე ეს ასეა. ამიტომ შენთვისაც ასე უნდა იყოს.

ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ, ნურც ლანძღვას ლანძღვისა წილ; პირიქით აკურთხეთ, რადგან ამისათვის ხართ მოწოდებულნი, რათა კურთხევა დაიმკვიდროთ.

1 პეტრე 3:9

დამკვიდრება ტკივილთან არის კავშირში. ვისაც უყვარდი მას ვეღარ ნახავ. მასთან საუბარს ვერ შეძლებ. შეიძლება დარდი მოგგვაროს ამ პიროვნების სახლიდან გამოტანილმა ნივთმაც კი.

ღვთის სასუფეველში კი ასე არ არის. შენი მხსნელი მოკვდა და აჰა, ის კვლავ ცოცხალია! კი მართალია მის სახეს პირდაპირ ახლა ვერ ხედავ, მაგრამ მისი გული შენთვის ცემს. მისი სურვილი და სიხარული შენი კურთხევაა.

როგორც მისმა შვილმა, მუდმივად მისი კურთხევის ქვეშ უნდა იცხოვრო. უფლის კურთხევის შემადგენელია ყველაფერი ის, რასაც მისი სიკვდილი გულისხმობს. როდესაც პიროვნება კვდება, მთელი მისი ქონება სხვის მფლობელობაში გადადის. იესოს სიკვდილის მეშვეობით, მთელი მისი ქონება ჩვენ გადმოგვეცა. მიწიური ქონებით იესო ღარიბი იყო. რაც ჰქონდა ისიც სხვამ დაისაკუთრა. სხვამხრივ იესო სულიერ სიმდიდრეს ფლობდა. მისი აღწერა ერთი ფრაზით შეიძლება: ღმერთთან მისი ბავშვური ურთიერთობა. ესაა ის მემკვიდრეობა, რის დასამკვიდრებლადაც იქენი ამორჩეული.

როცა საკუთარ თავს ვაკვირდები, ძნელია იმ ფაქტით დამშვიდება, რომ ზეციერ მამასთან ბავშური ურთიერთობით ვცხოვრობ. ვფიქრობ იმდენი რამ არის, რაც სხვანაირად უნდა ხდებოდეს, თუ ჩემი და ღვთის ურთიერთობა რეალურად კარგად მიდის. მაშინ საკუთარ თავს სხვას ვადარებ. ვხვდები სხვა როგორ ცხოვრობს ღმერთთან გახსნილი, მინდობილი და კარგი ურთიერთობით. აგრეთვე ისინი ჩემგან საკმაოდ განსხვავდებიან.

ვინც ასე ფიქრობთ, თუ დაკვირვებიხართ სიტყვა: 'დამკვიდრებას?' კურთხევას სწორედ ბავშვური ურთიერთობით მიიღებ, ვინაიდან მემკვიდრედ შენ ხარ არჩეული. კურთხევა შენი საქმეების გამო კი არ გეძლევა. ის სხვის მიერ იქნა მოპოვებული. მას შენ დაუმსახურებლად, მემკვიდრეობასთან ერთად ღებულობ.

იყო ქრისტიანი ნიშნავს, ღმერთის კურთხევის დასამკვიდრებლად იყო მოწოდებული. ამ მოწოდებას უნდა გამოეხმაურო. შენგან პასუხი მისი მიღებაა.

ღმერთთან ურთიერთობით ისეთ რამეს ღებულობ, რისი შესყიდვა თავად არანაირად არ შეგეძლო. იესომ ეს შენთვის გააკეთა. ამ ქმედებაში დიდი შვებაა. ამ დროს იცი, რომ ყველაფერი წესრიგში იქნება, ვინაიდან იესოსთან ყველაფერი სრულყოფილია. მას არაფერი არ აკლია. შენსა და ღმერთს შორის, არავითარი აჩრდილი აღარ არის. მან თავისი თავისუფალი და გახსნილი ურთიერთობის გამო შენ გიხსნა. ეს მოხდა გოლგოთაზე. იესო მისი ღმერთთან კურთხეული ურთიერთობიდან გამოვიდა, რათა შენი მასში შეყვანა შეძლებოდა. კურთხეულია მხსნელი ჩვენი!

9 აგვისტო

...არ შეგფერით ბილწსიტყვაობა, ლაქლაქი და დაცინვა.

ეფესელთა 5:4

ლაქლაქი და დაცინვა. ადამიანი იმით ერთობა, რაზეც „ხელი მიუწვდება.“ ვიღაც სიტყვებით ან ქცევით ისე თამაშობს, საკუთარი თავის რეალური ცხოვრებიდან გამიჯვნას ახდენს. ამ დროს გადაჭარბებულად ხდება გართობა და მიღებულობის ბარიერებს ამსხვრევს.

ქრისტიანთა უმრავლესობის საფრთხე, ჯანმრთელი თვით-გამოხატულების უარყოფაში არ მდგომარეობს. პირიქით, ზოგიერთ ქრისტიანს პრობლემები საეჭვო სახის ხუმრობის გამო ექმნება. ამ სახის ადამიანთა აზროვნება და ცხოვრების წესი, ქვეყნიერების სულის დიდი გავლენის ქვეშ არის.

როგორ უნდა განვასხვაოთ გზა თვით-უარყოფასა და ამ წუთისოფლის მაგალითის მიბაძვას შორის?

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ იესოს ყველაფერზე ესაუბრო. თუ ცხოვრება მისი სახელით და მის საპატივცემულოდ არ მიდის, მაშინ ამ სიცოცხლის თანამონაწილე არ გამოდიხარ. თუ არას თქმა არ შეგიძლია, მაშინ საკუთარ სულს საშიშროების წინაშე აყენებ.

ამჟამად მრავალი ქრისტიანი საკუთარი სინდისის საწინააღმედგოდ იქცევა. ისინი სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობენ, აყოლილნი არიან თვალთა გულისთქმას, რის გამოც საკუთარი სინდისით არიან დადაღული. ეს საშიშია. შენს გონებაში სხვას, რისი დათესვის უფლებასაც მისცემ, მასვე მოიმკი.

უხეში დაცინვით, ცოდვის სერიოზული გამოვლინება ხდება. ხალხი სხვისი დაცინვით ხშირად ერთობა. მალე მათ ცოდვისადმი არაპასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გაუჩნდებათ. ცოდვის ჩადენა მათთვის დიდად საშიში აღარ იქნება.

ცოდვა მცირე მარცვალივით ითესება და მას წლები ჭირდება, რომ სრულად დამწიფდეს და სიკვდილის ნაყოფი გამოიღოს. თუმცა ეს მარცვალი, საშინლად სიცოცხლისუნარიანი და ენერგიულია.

მრავალი ქრისტიანი ცოდვასა და უბედურებაში ამ გზით აღმოჩდნენ. როდესაც უკან მოიხედავენ ისეთ კავშირებს აღმოაჩენენ, რომელთაც სრულიად უვნებლად მიიჩნევდნენ. სამწუხაროდ ცოდვის სიმძიმე მოგვიანებით გაიზრენ.

დაცინვას და ბინძურ ხუმრობას, ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თუ იმას არ გააკეთებ რაც სწორია, ცოდვა კართან ხდება ჩასაფრებული; მისი ლტოლვა შენკენაა. უკუაგდე ეშმაკი, ყოველი მისი საქმე და არსი. ამისთვის ბრძოლა ღირს, რადგან ეს ბრძოლა სიცოხლისთვისაა. და ეს შენი ბრძოლაა.

10 აგვისტო

საზარელი ორმოდან და გაუვალი ლაფიდან ამომიყვანა; კლდეზე დააყენა ჩემი ფეხები და განმიმტკიცა ნაბიჯები.

ფსალმუნი 40:2

ცოდვა და მისი შედეგები საზარელი ორმოსავით და გაუვალი ლაფივითაა. შენ კი საკუთარი ფეხითა ხარ მასში გაჭედილი. მის გამო მიზანს ვერ აღწევ და უფრო და უფრო ამ ლაფსა და ჭუჭყში იძირები.

პიროვნების გადარჩენა, როგორ ხდება?

დადგება დღე, როდესაც ამ საზარელ დაცურებად ორმოს ისე გამოცდი, როგორც არასოდეს გამოგიცდია. იგრძნობ სიღრმეს, როგორ გისრუტავს. მაშინ ცხადი გახდება შენთვის, რომ დაკარგული ხარ. შეუძლებელია ამ ორმოდან თავი დააღწიო. მიზანი მიუღწეველი რჩება და ხსნა შენთვის არ არსებობს.

თუმცა შენთან ამ უკიდურესი უბედურების ჟამს, თავად იესო მოდის. შენ გამანადგურებელი სასჯელის მოლოდინში ხარ, მაგრამ ის მსჯავრით არ მოდის. ლაფში გარჩენილს თავის ხელს გკიდებს, მისგან ამოყავხარ და შენს ფერხთ კლდეზე აფუძნებს.

წარმოიდგინეთ ისეთი მხსნელი, რომელიც კეთილ რჩევას არ გაძლევთ; ის გადარჩენისათვის არანაირ ინსტრუქციას არ იძლევა. არა, ის თავად მოდის და შენს ხსნას ანხორციელებს.

იესოს აქვს ისეთი საშუალებები, რომ კლდისაკენ გაგიძღვეს. ეს მისი სიტყვაა. ჯვრის სიტყვაში გადამრჩენელი ძალაა. ეს სიტყვა გოლგოთაზე მომხდარ ამბავს ეხება. იესომ წყევლის ხეზე მიგამსჭვალა. იქ შენი მომაღლება მოხდა.

ეს მოხდა, რადგან იესო ამ საზარელ ორმოში აღმოჩნდა. ის უფსკრულის სიღრმეში გაუჩინარდა, რათა შენ მარადიული ხსნის კლდეზე აღმოჩენილიყავი.

შესაძლოა გადარჩენის რეალობა შენთვის უცხოა. ფიქრობ, რომ მხსნელი არ გყავს. მაგრამ ეს ასე არ არის. იესოა შენი მხსნელი.

ეს რწმენაა რაც შენ გაკლია. თვალი ფართოდ უნდა გქონდეს გახსნილი, რაც იესომ შენთვის გააკეთა. სიტყვა ღვთის მადლის შესახებ ყურადიღე. ღმერთის სურვილია, იესოს შენდამი გამოწვდილი ხელი დაგანახოს, რომელზეც წყლული და ტკივილია აღბეჭდილი, რაც მან შენი ხრწნილებიდან და ცოდვიდან ამოსაყვანად მიიღო.

ქრისტეს ჭრილობებით მე ვიქენ გამოსყიდული და ამიერიდან მე მის ხელში ვარ. ის არ დაუშვებს ჩემი სულის დაღუპვას და მისი ხელიდან ვერავინ წამგლეჯს.

11 აგვისტო

...არამედ მიენდო სიმართლით განმკითხველს.

1 პეტრე 2:23

იესო გადასარჩენად მოვიდა, მაგრამ თავისი ცხოვრებით მან აგრეთვე გვიჩვენა თუ ქრისტიანის ცხოვრება, როგორი უნდა იყოს.

ყველაფერს, რასაც ის შეხვდა, კანონით ხელში არ დახვედრია. ანუ, მას საკუთარი უფლებები არ დაუცვია.

არავის ისე უსამართლოდ არ მოქცევიან, როგორც იესოს. ის სიმართლის მეფე იყო; თუმცა მისმა მოწინააღმდეგეებმა ის ღვთისმგმობად შერაცხეს. ჩვენი აზრით მას თავისუფლად შეეძლო თითოეული მათგანის დადუმება. მაგრამ ის ასე არ მოიქცა. ის სიმართლით განმკითხველს მიენდო.

რატომ მოიქცა ის ასე?

იესომ ყველაფერი მამის ხელთ გადასცა. არცერთი შემთხვევა და არცერთი კითხვა თავისთვის არ დაიტოვა. მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში, ის ღვთისადმი ლოცვაში იყო. მისი ცხოვრების ურთულეს მომენტშიც კი, მას ღვთისადმი ყველაფრის მინდობა მაინც შეეძლო.

როდესაც იესომ გიხსნა, ყველა მისი პრივილეგია შენი გახდა. შენ მის მსგავსად ღვთის შვილი შეიქმენი და მისი ციური მამობიდან მომდინარე ყველა სარგებლის მფლობელი გახდი.

მან თავის თავზე აიღო პასუხიმგებლობა, რომ ყველა მდგომარეობაში დაგიცვას. ამიტომ შენი სარჩელი მასთან უნდა დატოვო.

როდესაც ადამიანები შენს წინაშე აღდგებიან და ცუდად მოგეპყრობიან, ზეციერ მამას უნდა მიაშურო. განაჩენს ის გამოიტანს და სამართლიანად განსჯის. უსამართლობა ბოლო სიტყვას ვერ იტყვის.

ჩვენ ღვთის ხელში ყველაფრის გადაცემა გვიძნელდება, ვინაიდან ღმერთი სულგრძელია. მაგრამ შეგვიძლია კი დარწმუნებული ვიყოთ, რომ ღმერთი უსამართლობის ძლევას არ დაუშვებს?

დიახ, შეგვიძლია, ვინაიდან ის მის სიტყვაში ასე ამბობს. მაგრამ იმავდროს ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ღმერთს ცოდვილები უყვარს და მისი სურვილი ყველას გადარჩენაა. იესო მისი მტრებისთვის შუამდგომლობდა. მოდით ჩვენც იგივე ვაკეთოთ! მოდით ჩვენი მაცხოვრის კვალდაკვალ ვიაროთ.

დავფიქრდეთ იმ ფაქტზე, რომ ღვთის წინაშე არა კაცი არაა მართალი, არც შენ და არც მე. ყველა ჩვენგანი მადლით უნდა გადარჩეს, მისდამი რწმენით, რომელმაც თავისი სიცოცხლე ცოდვილთა გამო მისცა.

12 აგვისტო

მუდამ წინ წაგიძღვება უფალი, გვალვებში სურვილს დაგიკმაყოფილებს, ძვლებს გაგიმაგრებს და იქნები მორწყული ბაღივით და წყაროსავით, რომლის წყლებიც არ გამოილევა.

ესაია 58:11

ცხოვრება მოკლეა. თუმცა, ქრისტიანი შეიძლება მაინც დაიღალოს. მოგზაურობა ხშირად დამქანცველია. ღვთის სასუფეველში ვერცერთი მუშაკი, საქმეში წარმოქმნილ კრიზის ვერ აერიდება. ამ დროს კაცის ფიქრები გარბის წარსულში, როდესაც ყველაფერი სხვანაირად იყო. ცხოვრება და საქმიანობა მაშინ, აყვავებული სანახებივით იყო. ამ დროს რაა იმაზე მეტი ბუნებრივი, თუ არა ლოცვა ღვთისადმი, რომ უდაბნო ააყვაოს?

ღმერთს ჩვენი ლოცვები ესმის; მაგრამ ის, ყოველთვის ჩვენი მოლოდინის თანახმად არ გვპასუხობს. იმ დროს, როდესაც ღმერთი შენს უდაბნოში სიარულს უშვებს, უფალი ცხოვრების პირობებს არ გიცვლის, არამედ თავად შენ გცვლის.

შენს სულს სიცოცხლის პურით ავსებს. იესოსთან უფრო ახლო ურთიერთობაში შედიხარ. ცხოვრების რთული პირობები გიბიძგებენ, მას უფრო ღრმად ჩაუკვირდე, ვისზეც შენი ცხოვრებაა დამოკიდებული. ღვთის ცოცხალი, მარადარსებული და შემოქმედი სიტყვა, ახალ მნიშვნელობას იძენს. ხშირად თქვენ, რომელიმე განსაკუთრებულ ბიბლიურ მუხლზე გიწევთ ჩაჭიდება, რა დროსაც მისგან მომდინარე ძალას განიცდით.

ამავე დროს თქვენ განახლებულ ძალას ღებულობთ. ეს უცნაური გზით ხდება. ჯერ სიძნელეები უმწეოდ გაქცევენ. ყოველგვარი ღირსების გრძნობას კარგავთ. საკუთარ თავში ვერანაირ ძალას ვერ ძებნით, მაგრამ ამ დროს უფალი ახალ ძალას გაძლევთ. ეს არ ხდება მაშინ, როდესაც თავი ძლიერი მიგაჩნიათ. არამედ მაშინ, როდესაც იესოსთან ახალ ურთიერთობას იწყებთ. თქვენი მასზე დამოკიდებულება იზრდება. საჭიროების ჟამს კვლავ და კვლავ მას შეჰღაღადებთ. ის არ უკუგაგდებთ. მისდამი რწმენით, მან თავად ჰპოვა თქვენს გულში განსასვენებელი და როდესაც რაიმეს კეთების თავი არ გაქვთ, ამით მის ხედვას ზიანს საერთოდ ვერ მიაყენებთ. მისი ძალა თქვენს უძლურებაში ხდება სრულყოფილი.

ამ გზით უფალი თქვენ, კარგად მორწყული ბაღივით გაქცევთ. იესო თქვენს ცხოვრებაში თავად გახდება წყარო. ეს წყარო არასოდეს შრება. თავს დიდ ვინმედ ვერ შეიგრძნობ, მაგრამ ადამიანები შენი მეშვეობით იესოს შეხვდებიან. ქრისტიანის ცხოვრებაში სულის სამუშაო სწორედ ეს არის.

13 აგვისტო

განა მომხდარა ქალაქში უბედურება უფლის უნებურად?

ამოსი 3:6

მრავალი ადამიანისათვის ძნელად დასაჯერებელია, რომ უბედურება შესაძლებელია ღვთისგან წამოვიდეს. მათი აზრით ყოველი ბოროტების უკან ეშმაკი ან თავად ჩვენ ვდგავართ. ხშირ შემთხვევაში, როდესაც უბედურება მოდის, ისინი სრულ უმეცრებაში ვარდებიან.

როდესაც უბედურება გვეწევა მას ჩვენთან, ეშმაკთან და ღმერთთან პირდაპირი კავშირი აქვს. ყოველთვის მისი განმარტება მოცემული არ გვაქვს. ცდომილებაში ჩავარდნილი მხოლოდ იობის სამი მეგობარი არ ყოფილა. იმაზე დიდი ნათელი ჩვენთვის მოცემული არაა, რასაც ღმერთის სიტყვა გვეუბნება. მეორესმხრივ ჩვენ არ უნდა ვუგულებელყოთ ის ნათელი, რომელიც უფალმა ჩვენთვის გამოაბრწყინა.

განა მომხდარა ქალაქში უბედურება უფლის უნებურად?

უფალს დამდგარ უბედურებაზე, პასუხისმგებლობის აღების არ ეშინია. თუნდაც ჩვენ მის მიზეზს ვერ ვგებულობდეთ, ღმერთი უმიზეზოდ ჩვენს აღზრდას და დასჯას არ განახორციელებს. ღმერთი დაუფიქრებლად არ მოქმედებს. ის წმიდაა. მისი სიწმინდე ყოველგვარ უღვთოობასა და უმართლობაზე თავისი რისხვით ცხადდება.

ბიბლიის ღმერთი სასამართლოს აწარმოებს. მას ის უკანასკნელ დღესაც ჩაატარებს. მაგრამ ის დღესაც ამ საქმითაა დაკავებული. მისი სურვილია გვასწავლოს, რომ ცოდვის ჩადენა მეტად საშიში რამ არის.

ზოგის აზრით ღვთის სიყვარული ნიშნავს, რომ ცოდვას შედეგი არ ექნება. მაგრამ ეს არასწორია. მათ ავიწყდებათ, რომ ღმერთს ცოდვა გოლგოთა დაუჯდა. ამრიგად, ღვთის მიდგომა არ შეცვლილა.

ჩვენ იმ წუთისოფელში ვცხოვრობთ, რომლის განადგურება კარზეა მომდგარი. ეს იმიტომ არა, რომ კაცობრიობამ საშიში გამანადგურებელი იარაღი შექმნა. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ღვთის წინაშე შევცოდეთ. ამიტომ არცერთი ერი დაუსჯელი არ დარჩება.

ისრაელს ლოდინი მოუწია ქანაანელთა ქვეყნის ასაღებად, ვიდრე მათი ცოდვის თასი პირთამდე არ აივსო. როდესაც ისრაელის ცოდვებმა სრულ ზომას მიაღწია, მაშინ მათ საკუთარი ქვეყნის დატოვება თავადაც მოუწიათ.

ღმერთი დღესაც იგივეა. თუ ადამიანები ზურგს თავისუფლად აქცევენ ღმერთსა და მის რჯულს, მაშინ ღვთის მიერ მოვლენილი უბედურება გარდაუვალია. ერთადერთი გამოსავალი ჭეშმარიტი მოქცევაა. მოდით უფლისადმი ვილოცოთ, რათა ჩვენ და ჩვენი ხალხი ამ გზაზე ვიდოდეთ.

14 აგვისტო

არ წარმოთქვა უფლის, შენი ღმერთის სახელი ფუჭად, რადგან უფალი დაუსჯელს არ დატოვებს მას, ვინც მის სახელს ფუჭად ახსენებს.

გამოსვლა 20:7

დაცემის დღეს კაცობრიობა გველის შხამით მოიწამლა.

მისი შედეგიდან თავის დაღწევა არცერთ ჩვენგანს არ შეუძლია. ღვთის ტოლად ყოფნა ჩვენს ძველ ბუნებაში ღრმადაა ჩაბეჭდილი. გველის ნათქვამი, რომ ჩვენ ღვთის მსგავსი ვიქნებით, არ დაგვიწყებია. ამის გამო ჩვენი სურვილია, ღმერთსა და ჩვენს შორის არსებული დისტანცია შემცირდეს. ვცდილობთ თავი ავიმაღლოთ, ხოლო ღმერთი ძირს ჩავწიოთ.

თუმცა ღვთის შეურაცყოფა შეუძლებელია. ფუჭად მისი სახელის მხსენებელს სჯის. ღვთის სახელი წმიდაა და მისი შებღალვა დაუშვებელია.

ღვთის სახელი შეიძლება ფუჭად, ფიცით მოიხსენიო. სინამდვილეში შენ ორი პიროვნება არ ხარ, ხომ ასეა? სამუშაოზე ღვთის სახელით განსაკუთრებულად არ ფუჭსიტყვაობთ, მაგრამ მის შესახებ ისე ხომ არ საუბრობ, როგორც შენს თანამშრომელზე ან მეგობარზე? ღმერთთან ზედმეტად შინაურული ურთიერთობა, არასწორია.

სიმართლეა ის, რომ ღმერთმა თავი დაიმდაბლა. მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მასზე ვიფუჭსიტყვაოთ. ჩვენი სიტყვებით შესაძლებელია ღმერთი იმ დონეზე დავიყვანოთ, რომ მისი სახელი შეიბღალოს. შესაძლებელია ღვთის სიტყვისა და მისი ჩარევის შესახებ, აღმაფრთოვანებელი ახალი ტერმინებით, ვულგარულად ვილაპარაკოთ. ესეც მისი სახელის ფუჭად წარმოთქმაა. შესაძლოა ისე ვუგალობოთ ღმერთს, რომ მისი სიწმინდეები შევურაცხვყოთ.

ღვთის სურვილია წმიდა შიშით აღვივსოთ, რათა მის წინააღმდეგ ცოდვის ქმნა ვერ გავბედოთ. ამის გამო ღმერთი დროდადრო ჩვენს ცხოვრებაში ცოდვის შედეგებს უშვებდა. მესამე მცნების კვალობაზე, ღმერთის სიტყვა ამ ჭეშმარიტებაზე აქცენტს აკეთებს. შენ უნდა ისწავლო, რომ ცოდვა ზედმეტად საშიში რამ არის.

არა მარტო ბაგე, არამედ გულიც უნდა იქნას განწმედილი. ეს მაშინ ხდება, როდესაც იესოს სიკვდილით აღსრულებული მსხვერპლი შენს ცოდვას ეხება. მისი სისხლი შენს ცნობიერ სიცოცხლეს სრულად უნდა მოეფინოს, ხოლო სიტყვები მისგან უნდა იღებდნენ დასაბამს.

ჩვენ ისეთი ქრისტიანები გვჭირდება, რომელნიც ცოცხალი ღმერთის წინაშე თრთიან! ღმერთი ამაღლებული და წმიდაა. ჩვენ მადლით მოგვეცა, რომ მის ფერხთა მტვრის წინაშე განვერთხოთ. ის ფეხით არ გვსრესს. ის ფეხზე გვაყენებს და უფლებას გვაძლევს მისი სახელი ავამაღლოთ!

15 აგვისტო

თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს.

გალატელთა 5:1

გარეგნულად შესაძლოა ყველაფერი წესრიგში ჩანდეს. ძირითადად იმით ხარ დაკავებული რაც სწორია. მრავალი ამაზეც არ ზრუნავს. მაგრამ შენ არსებულ საკითხს მთელი სერიოზულობით ეკიდები. სურვილი გაქვს შენს ქრისტიანობას თავისი შედეგი ჰქონდეს. ღვთისადმი მოშურნე ხარ.

შეუმეცნებლად შესაძლოა იესოსგან გადგე. საკუთარი თავით და საკუთარი ქრისტიანული ცხოვრებით, ზედმეტად დაკავებული ხარ. ფაქტიურად იესოსთვის ადგილი აღარ არის დარჩენილი. ამის გამო შესაძლოა, მცოცავი განდგომილებაა უკვე დაწყებული.

მიგაჩნია, რომ მრავალი სხვა უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგას. ისინი გახსენდება, რომელნიც ცოდვის მიმართ ჩაკირკიტებულნი არ არიან. ამ შემთხვევაში მართალი ხარ. თუმცა შენც ცდები, თუ თავისუფლებასა და სიხარულში არ ცხოვრობ, რაც იესომ შენთვის მოიპოვა.

იესომ არა მარტო რჯულის წყევლისაგან გამოგისყიდა, არამედ რჯულიდან სრულიად თავისუფალი გაგხადა. ამიერიდან შენ მას და მის ნებას ეკუთვნი. იესომ მისი მოთხოვნებისაგან დაგიხსნა. ახლა კი ის შენს გულში თავისი სიყვარულით ცხოვრობს. რაც უფრო მეტად ჭარბობს შენზე მისი მადლი, მით უფრო მეტად იღებ სიყვარულის ნაყოფს შენს ცხოვრებაში.

ღვთის მადლი უქმად არ გაქცევს. უფრო მეტიც! როდესაც უფალი ხსნის სიხარულით გარემოგიცავს, მისი მადლი მის სამსახურად განთავისუფლებს. ყველაფერს რასაც აკეთებ, იესოს სიხარულით ხარ წარმართული და აღვსილი.

მან შენ რჯულის ყოველი საკვრელისაგან გაგანთავისუფლა. ამიერიდან მტკიცედ იდექ! ნუ მისცემ უფლებას, კვლავ ხაფანგში გაგაბას და დაგიჭიროს! სხვათა და საკუთარი მოთხოვნები ადვილად გვეპარებიან და სიხარულიდან და მხნეობიდან გვძარცვავენ. გახსოვდეს: ყველა ღვთის მოთხოვნა შენდამი, ღმერთმა იესოს მოთხოვა. ამის გამოა, რომ ღმერთი შენ მხოლოდ მადლით გხვდება.

იესო, რჯულის აღსრულებაა. ხოლო რჯულის მოთხოვნის სიმართლე დაუმსახურებლად, მადლის მეშვეობით მოგეცა.

მტკიცედ იდექი ამ თავისუფლებაში. კრავის სადიდებლად იგალობე!

ჯაჭვი დაწყვეტილია! შენ თავისუფალი ხარ!

16 აგვისტო

მთიდან ბორცვებზე ახეტიალეს, თავიანთი მოსასვენებელი ადგილი დაავიწყეს.

იერემია 50:6

შენი მოსასვენებელი ადგილი, ხომ არ დაგვიწყნია?

კარგად იცი რა არის, როდესაც სხეული საჭირო მოსვენებას ვერ ღებულობს. უცებ ხდები დაძაბული, მგრძნობიარე და დარდიანი. თუ ეს დიდხანს გასტანს, მერე მოსვენებას საერთოდ ვერ ნახულობ. სულიერი მოსვენების დავიწყებას, უფრო სერიოზული შედეგები აქვს. უპირველესად მოუსვენრობა გეუფლება. შემდგომ ამისა ყოველი სიახლისადმი სიმპათიით ხარ განმსჭვალული, იმის იმედით, რომ ის რაღაცით დაგეხმარება. მოგვიანებით ყველა იმედი გეწურება და სასოწარკვეთილებაში ვვარდები. ამ დროს მზად ხარ მთელი შენი ქრისტიანობა უკან მოისროლო.

ხანდახან მთას მიმართავ; ის დიდი და უზარმაზარია. ხანდახან ბორცვებზე დადიხარ; მისგან დიდი შემოთავაზების ნიშნები არ ჩანს. ორივე შემთხვევაში ისრაელის გზას გადიხარ. იმ ღმერთებს მიმართავ, რომელთაც შენი დახმარება არ შეუძლია.

მხოლოდ ერთი ღმერთია, რომელსაც შენი უარყოფა არ შეუძლია. მან შენ ერთადერთი მოსასვენებელი ადგილი მოგცა. ეს გოლგოთაა. იესოს გამოსყიდვის მეშვეობით, შენ შეგიძლია სიმშვიდე ჰპოვო.

როდესაც შენმა გულმა იესოს ჯვრის ქვეშ სიმშვიდე ჰპოვა, ამ დროს ხელახლა იშვი. შენი თვალები შენს მონაცვლეზე გაქვს მიპყრობილი. განთავისუფლდი რა ცოდვის ტვირთისაგან, შენს სულში ხსნის ეთუზიაზმი იქნა ჩანერგილი.

შენი კუთვნილი მოსასვენებელი ადგილი, ხომ არ დაგვიწყნია?

შენს გონებას ის არ დაუვიწყნია. კარგად გახსოვს რა მოხდა წითელ პარასკევს და ჯვრის მნიშვნელობასაც არ ივიწყებ.

მიუხედავად ამისა, მისი მოსასვენებელი ადგილი გულს ხომ არ დავიწყნია? იესოს მიერ აღსრულებულ საქმეში რეალურად ისვენებ?

ეს შენთვის, რომელიც წლების განმავლობაში იესოსთან ერთად ცხოვრობდი კურთხევაა, რომ უკან, მოსასვენებელი ადგილისაკენ ისევ გზა იპოვო! შენ ყველაფრისაგან დასვენება ნამდვილად გჭირდება. ცოდვა ყველაფერს, თვით შენი ცხოვრების საუკეთესო მხარეებსაც კი ეტმასნება. ამიტომ შენ ვერაფრით ვერ განიცდი კმაყოფილებას.

თუმცა არის ერთი საქმე, რომელიც სრულყოფილია. მასში თავის დაკარგვა შენთვის ნებადართულია. რაც უფრო მეტად იქცევი ასე, უფალი შენს სულს მით უფრო ღრმა მოსვენებას აძლევს. შენ იესოს წყლულებით ხარ განკურნებული. ასეა დღესაც. როდესაც გამოსყიდვის კლდეზე ისვენებ, გონება შენი ციური მშვიდობით ივსება.

17 აგვისტო

ნუ გეშინიათ, ვინაიდან გამოგისყიდეთ, მოგიწოდეთ თქვენი სახელით; ჩემი ხართ თქვენ.

ესაია 43:1

ქრისტიანი შეიძლება ისეთ შავბნელ ეჭვებში ჩავარდეს, რომ მხოლოდ ერთი რამ იყოს მისთვის საშველი. ღმერთი თავად მოვიდეს მასთან და უთხრას: შენ ჩემი ხარ.

ღმერთმა შენი სახელი იცის. ის ყოველთვის გხედავს და შენს შესახებ ყველაფერი იცის. შენი გასაჭირისა და სიძნელეების შესახებ სრული ცოდნა არ გაქვს, მაგრამ უფლისთვის მთლიანი სურათია ცნობილი. მისთვის არაფერია დაფარული და მისი თვალები დღედაღამ შენს მიმართ არის მოპყრობილი.

მისთვის უკუნეთი ღამის შესახებაც არის ცნობილი. იქ ისე შეიძლება ბნელოდეს, რომ ფიქრობდე, რომ არავის და არაფერს შენი დახმარება არ შეუძლია. მაგრამ უფალი მოდის და სახელით გიხმობს. შეიძლება ეს ხმა ჩურჩულად ჩაგესმის, მაგრამ ეს შენ ხარ ვისაც ის ეძახის. მისი სურვილია დაგარწმუნოს, რომ შენ მას ეკუთვნი.

დარწმუნებით არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღმერთი იმ გზით გეხმარებათ, რა გზითაც გსურდათ. *კინგო შემდეგი სიტყვებით აღწერს ღვთის გზას: „მწარე და ტკბილი, სიცოცხლის თასში შეზავებული, ჩემი ცხოვრების გარდაუვალ ნაწილად მექცა.“

ქრისტიანის ცხოვრების მდგომარეობები, ტანჯვასაც მოიცავს. იყო დხსნილი არ ნიშნავს, ყველაფრისაგან იქნა არიდებული. უფალი ტანჯვის არიდებაში არ გეხმარება. ის ტანჯვაში გეხმარება. როდესაც ის განსაკუთრებულად დამძიმდება, ამ დროს უფალი გარწმუნებს, რომ შენ მისი ხარ. მაშინ სიბნელიდან, ბრძოლიდან და წინააღმდეგობიდან სინათლე გამოკრთება.

დიდებული რამ არის, რომ გაქვს უნარი თქვა: იესო ჩემია. ამაზე დიდებული კიდევ იმის თქმა არის: მე მისი ვარ. „ვიყო შენი იესო, ვიყო შენი, ეს ჩემი სურვილი და უდიდესი პატივია!“

თუ ეს იცი, რომ მისი საკუთრება ხარ, მაშინ ხვდები, რომ შიში არ გმართებს. რისი უნდა გეშინოდეს? იესომ ხელები შეგიკრა. ის ყველა მდგომარეობაში მიგიძღვის. ის შენს ცხოვრებაზე პასუხისმგებლობას სრულად იღებს.

უფალია შენი გამომსყიდველი. იყო გამოსყიდული ნიშნავს, ვალი აღარ გედოს და საკუთარი უფლებები აღდგენილი გქონდეს.

იმას ვერ გრძნობ, რომ რაიმე უფლება აღდგენილი გაქვს. მიუხედავად ამისა შენ ის გაქვს. ღვთის შვილობის უფლებები იესომ შენთვის მოიპოვა. ის იმ ურთიერთობაში განმტკიცებს, რომელიც თავად აქვს ღმერთთან. „ნუ გეშინიათ, ვინაიდან გამოგისყიდეთ, მოგიწოდეთ თქვენი სახელით.“

*ტომას კინგო: 1634-1703, დანიელი ეპისკოპოსი და ჰიმნების მწერალი.

18 აგვისტო

თქვენი ყველა საზრუნავი მას მიანდეთ, რადგან ის ზრუნავს თქვენზე.

1 პეტრე 5:7

საზრუნავი მრავალი სახის არის! ისინი დროდადრო წარმოიქმნებიან. ხარ ერთი გამოხტება და ხან მეორე და სადარდებელს გიჩენს.

შენ შეგიძლია ყველა შენი საზრუნავი იესოს მიანდო. დიახ, ეს მუხლი ნამდვილად ლაპარაკობს — საზრუნავზე, რაც თავად შენ გეხება და საზრუნავი რაც სხვას ეხება.

იესომ უპირველეს ყოვლისა შენი და ჩემი ცოდვა ზიდა. მან ის ჯვარზე იტვირთა. მაგრამ მისი საქმე ამით არ ამოწურულა. ის ჩვენს ტვირთს დღითიდღე ეზიდება.

მრავალი მძიმედ მუშაობს და თავს ურიცხვი საზრუნავით იძაბუნებს. ამას იქამდე აკეთებენ, ვიდრე საბოლოოდ არ ჩაიძირებიან. მაშინ ერთგული მწყემსი მოდის და მძიმე ტვირთს თავისი მადლით იღებს და მათ ფეხზე აყენებს.

როდის მიანდობ იესოს საზრუნავს, როგორც კი თავს იჩენს? მას რატომ რთავ ნებას, რომ სიხარულიდან გაგძარცვოს? შენთვის ამ მიწაზე ცხოვრება, ასე რატომ გართულდა?

უფალია შემწე. ის გთხოვს ყველაფერი მას მიანდო.

განსხვავებაა შენახვასა და გადაცემა-მინდობაში. თუ რამეს შენთვის ინახავ, ერთ დღეს მისი ხელში აღება მოგიწევს. ბევრს უფლის წინაშე თავისი საზრუნავი მიაქვს, მაგრამ როგორც მიაქვთ, ისე ხელს დაავლებენ ხოლმე და უკან მოაქვთ.

ყველა თქვენი საზრუნავი მას მიანდეთ ანუ გადაეცით. სიტყვა გვარწმუნებს, რომ ის თავად აიღებს ხელში.

ნაცვლად საზრუნავისა იესო თავის მძრუნველობას გთავაზობს. რა დიდებული რამ არის უთხრა მას: ყველა ჩემი გასაჭირი შენ იცი და ჩემზე მთელი პასუხისმგებლობა გაქვს აღებული.

იესო ზღვა ტვირთს თავის თავზე იღებს. მაგრამ არის ისეთი რამ, რასაც ჯერ კიდევ თავად ატარებ. ის მას მიანდე. ამის მეშვეობით ის ისეთ მშვიდობას მოგანიჭებს, რომელიც ყოვეგვარ გონებას აღემატება. მის მზრუნველობაში და მადლში შენ თავი უსაფრთხოდ შეგიძლია იგრძნო.

19 აგვისტო

და მითხრა: საკმარისია შენთვის ჩემი მადლი.

2 კორინთელთა 12:9

ჩვენს ძველ კაცს ეძნელება ის ფაქტი გაითავისოს, რომ მადლი სრულიად საკმარისია. მუდმივი მისი სურვილია ისეთი რამე მოძებნოს, რასაც დაეყრდნობა. გვეჩვენება, თითქო მთელი სამყარო ემხობა, როდესაც ღმერთი გვაჩვენებს, რომ ჩვენში ისეთი არაფერია, ცოდვის მიერ რომ არ იყოს გაჟღენთილი. მაშინ ის უფლის სამსჯავროზე გამოცხადებას, როგორ შეძლებს?

ღმერთმა ამ კითხვაზე თავად უპასუხა. თუ თავშესაფარი იესოში ჰპოვე, მისი მადლი მთელ შენს სიცოცხლეს ფარავს და ეს სრულიად საკმარისია. მეტი აღარაფერი აღარ გჭირდება.

რა არის მადლი? ეს შენი ცოდვების ღვთის მადლიანი მიტევებაა. მადლი თითოეულ ცოდვას აქრობს. ეს იმ ცოდვებსაც ეხება, რომელიც დროდადრო თავს რომ მოგაგონებთ და რომელთა ჩადენა აღარ გსურთ. ყოველი შენი ცოდვა ცვარივითაა, რომელიც მაშინვე ქრება, როგორც კი მადლის მზის სხივი დაანათებს. ეს მაშინ ხდება, როდესაც იესოს და მის შენდამი ნამოქმედარს ენდობი. ამ დროს შენი თვალები მასზეა მიპყრობილი, მასზე, რომელიც რჩება. ცოდვა აღარ რჩება, მაგრამ ღვთის მადლი კი.

ღმერთი თავის მადლს ძუნწად არ იძლევა. არა, ის მას თავის შვილებს უხვად აბერტყავს. ის მადლს, მადლზე იძლევა. ის შენგან არა მარტო ბინძურ სამოსელს იღებს, არამედ თავისი ხსნით გმოსავს. ის იძლევა სიმართლეს, რომელიც იესომ თავისი უმწიკვლო და წმიდა ცხოვრებით მოგვიპოვა. ღმერთი ისე გიყურებს, თითქოს იესო იყო. ის ამას აკეთებს, რადგან წითელ პარასკევს იესოს ისე შეხედა, თითქოს შენ იყავი.

ამაზე მეტი რაღა უნდა ინატრო, რაც ცოდვების მიეტევება და იესოს წმიდა სიცოხლეა? ეს ნიჭები იმდენად დიდია, რომ ყველაფერი დანარჩენი უმნიშვნელო ხდება. როდესაც ყველა ზეცის სულიერი კურთხევა გენიჭება, შენი მცირე საზრუნავები უკვე აღარსად ჩანს.

ამიტომ, ღვთის მადლისადმი ჩაჭიდება გმართებს. დანარჩენი ყველაფერი წაგებად და ნაგვად უნდა მიიჩნიო. უნდა იცოდე ისე, როგორც ყველაფერი მადლით მიიღე, როდესაც ღმერთის სასუფეველში შეხვედი, ასევე მადლი იქნება ის, რომელიც უკანასკნელ დღემდე შეგინახავს. ამიტომ მუდამ უნდა იგალობო: „მადლმა მე რომ მიპოვა, მადლმა მე რომ მიხსნა, მის სახლში, რომ მივყავარ, სწორედ ეს ის მადლია!“

დარჩი მადლის მტკიცე საფუძველზე; ის არ იძვრის. მას უპყვრიხარ. იესო მას მხარს უჭერს. ნაკლოვანებას ნუღარ მისტირი. შენი მონაცვლით იხარე. ის ღვთის კრავია, რომელსაც საუკუნოდ უნდა ემადლიერო.

20 აგვისტო

...მშვიდად მიიღეთ თქვენში ჩანერგილი სიტყვა, რომელსაც თქვენი სულების ხსნა შეუძლია.

იაკობი 1:21

კარგია თუ ღმერთის სიტყვას გებულობ. მაგრამ ეს საკმარი არ არის. ღმერთის სიტყვა უპირველესად მიღებულ უნდა იქნას და შემდგომ ამისა, ეს პროცესი კვლავ და კვლავ უნდა განმეორდეს. ადვილი მისაღებია აზრი, რომ არაქრიტიანთ ღვთის სიტყვის მიღება მმართებთ. დიახ, ეს ასეა; ამ საკითხში ეჭვი არავის ეპარება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მორწმუნეთაც მმართებთ სიტყვის მიღება. თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, მათი სულიერი ცხოვრება მოკვდება.

ურწმუნო შთაგონების სიტყვას არ ღებულობს. არავის, ვინც ხელახლა შობილი არ არის, სიტყვის, როგორც ღვთისაგან მოსულის მიღება, არ შეუძლია.

ღმერთმა თავისი სიტყვა შენში ჩადო, შენში, რომელიც მას ეკუთვნი. ეს ის სიტყვაა, რომლითაც ხელახლა გშვა. ამიტომ ის შენ უნდა შთანთქა, შეჭამო და გაითავისო, რათა ის რაც სიტყვის მეშვეობით მიიღე, ღმერთში ცოცხალი დარჩეს.

დიდი ხნის მორწმუნეს, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ესმოდა სიტყვა. თუმცა საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. მთელი ბიბლია ზეპირად რომ იცოდე, ღმერთი მისი მიღებისაკენ მაინც მოგიწოდებს. სიტყვა შენს გულში ღრმად უნდა გაჯდეს და თავისი საქმე გააკეთოს. ის შენი პიროვნების ცენტრამდე უნდა მივიდეს. სულის სიღრმეში ღმერთის სიტყვასთან ერთად ერთიანი უნდა გახდე.

ღმერთი ხშირად იყენებს გასაჭირს, ეჭვებს და ბრძოლებს, რათა სიტყვა, შენი პირადი გახადოს.

სიტყვა ის სამაშველი რგოლი ხდება, რომელსაც იმ დონეზე გაეცანი, რომ შეგიძლია ხელი ჩაჭიდო. როცა გაჭირვებაში ხარ, სიტყვის ძალას გრძნობ. მანამ ვიდრე ცურვა შეგიძლია სამაშველ რგოლზე საერთოდ არ ფიქრობ. მაგრამ როცა ძალა ამოწურულია, მაშინ იმის ძებნას იწყებ, რაც წყლის ზედაპირზე დარჩენაში დაგეხმარება.

ღვთის სიტყვას ასეთი ძალა აქვს. დიახ, მას შენი სულის ხსნის ძალა შესწევს. ხოლო, ყოველივე ამ წინააღმდეგობის გადატანის შემდეგ მთავარი საკითხი დახსნილი სულია.

სრულიად შესაძლებელია გაცილებით უფრო ახლოს ხარ მიზანთან, ვიდრე ეს შენ წარმოგიდგენია. თუმცა ჯერ მისთვის არ მიგიღწევია.

ამიტომ შენი ვალდებულებაა სიტყვა მშვიდად მიიღო. ეს სრულიად დაწყნარებული გონებით უნდა მოხდეს. ამ შემთხვევაში სიტყვის მიღებას კი არა აქვს ძალა, არამედ თავად სიტყვაა ძალის მფლობელი. როდესაც უფალი თავის წინაშე გამშვიდებს, ის გიხსნის, რომ შენ კი არა, რომელიც სიტყვას ატარებ, არამედ სიტყა გატარებს შენ. ჩაეჭიდე ღვთის მარადარსებულ სიტყვას. ის კვლავ ცოცხალია.

21 აგვისტო

ესაა სახელი, რომელსაც უწოდებენ: უფალი - ჩვენი სიმართლე!

იერემია 23:6

ჩვენში ღრმადაა ჩაბეჭდილი აზრი, რომ ღვთის სახის წინაშე მთავარი მოთხოვნა სიმართლეა. მის გარეშე გამოცდის გადალახვა შეუძლებელია.

მშვინვიერ კაცს მუდმივად თან ახლავს სურვილი იმისა, რომ თავი გაიმართლოს, არა მარტო ადამიანების, ასევე ღვთის წინაშე. ძნელად საშოვნელი არ არის შემარბილებელი მდგომარეობის მოძებნა. თუ ზედმეტი რამის ჩვენების გარეშე იმდენი ვქენით, რომ ყურადღება მივიპყარით, ვცდილობთ აჩქარებით არაფერი გავაკეთოთ.

მთელი ჩვენი მართალი საქმენი, გაბინძურებული სამოსელივითაა. თუ მათთან ერთად ღვთის წინაშე გამოვცხადდებით, გარესკნელში ვიქნებით გადაყრილნი, სადაც იქნება ტირილი და კბილთა ღრჭიალი.

ღმერთს არაფერი სხვა არ აკმაყოფილებს, თუ არა სრულყოფილება.

ქრისტიანის ცხოვრება სამართლიანობას არ წარმოშობს, რაც ღვთის წინაშე გამოცდას გაუძლებს. ყველაფერი ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში, ეგოიზმითა და ცოდვით არის ინფიცირებული.

სიმართლე მხოლოდ ერთ ადგილზე მოიპოვება და ეს ადგილი, იესოსთანაა. ღმერთმა მისი ძე ცნო. მასშია მისი სათნოება. იესოს არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს და არც არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც ღვთისათვის არ ყოფილიყო მოსაწონი. ამიტომ იესო მისი აღდგომის მეშვეობით, ძალაში მყოფ ღვთის ძედ გამოცხადდა.

ხსნა გულისხმობს, რომ იესო მის მთლიან სიმართლეს გაძლევს. მისი სიცოცხლე და მოქმედებანი შენ ჩაგეთვალა. ეს მადლით მოხდა. ამგვარ ნიჭს არ იმსახურებდი. ერთადერთი რისი გაკეთებაც შეგიძლია, ეს უბრალოდ მადლობის გადახდაა.

იესოს სიმართლის მიღება არ ნიშნავს, რომ შენ საკუთვრივ გამართლდი. მიუხედავად იმისა მთელ და სრულ სიმართლეს ფლობ.

ამ ნიჭს, როგორც იესოსგან განუყოფელს მუდმივად უნდა უყურო. სიმართლის ნიჭი და იესო, ერთია.

ამიტომ უწოდებ სახელ იესოს, „ჩემი სიმართლე."

გული შენი იესოთი კმაყოფილდება. შეუძლებელია წარმოიდგინო ამაზე დიდი და სრულყოფილი სიმართლე. მან შენ მთელი ცხოვრება უნდა გატაროს. სიკვდილშიც მას უნდა ენდო. დიახ, ის შენ ღვთის მსჯავრისაგან საუკუნოდ გიხსნის.

22 აგვისტო

მაგრამ როცა მოხუცდები, გაშლი ხელებს, სხვა შემოგარტყამს სარტყელს და იქ წაგიყვანს, სადაც არ გსურს.

იოანე 21:18

მოხუცებულობა ძნელია. ფიზიკურმა და მენტალურმა უძლურებამ შეიძლება ყოველდღიურობა გაართულოს და მარტოობა დაუსრულებელი გახადოს.

ის სულიერადაც ძნელი გადასატანი შეიძლება შეიქნას. შესაძლოა მსახურებაში დგომა აღარ შეგიძლიათ, მსახურება, რომელიც მრავალი წლის მანძილზე თქვენი ცხოვრების მთავარი სიმდიდრე იყო. ემოციური ყოფა ისეთი მდიდარი აღარ არის, როგორც ერთ დროს. ქრისტიანული კონტექსტის გათვალისწინებით ხშირად ისეთი საკითხები წარმოიშვება, რომელიც გაოცებისა და კითხვების დასმის საბაბი ხდება. დაღლა და გულგატეხილობა, გარდაუვალი საშიშროებაა.

ამ მდგომარეობაში კარგია, თუ პიროვნების ცხოვრებას ღვთის სიტყვის შუქის ქვეშ დავაყენებთ.

ცათა სასუფეველში პეტრეს მსახურება არ დასრულებულა, რადგან ასაკში შევიდა. არც შენი არ დასრულდება. ღვთის მსახურებას შენ სულ სხვა გზით გასწევ. ღმერთის გზა შენთვის ისეთივეა, როგორც პეტრესთვის იყო.

შენ უძლურებაში ზრდა გმართებს. საბოლოოდ პეტრე ისეთი უმწეო გახდა, რომ ვიღაც სხვას უნდა შემოერტყა მისთვის სარტყელი და გამოეწყო. მას უბრალოდ ხელები უნდა გაეშალა, ხოლო სარტყელს კი სხვა შემოარტყამდა.

არის პიროვნება, რომელიც შენ მსახურებას გაგიწევს. მის გარეშე შენ ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეგიძლია. ის შენ ყველაფერში უნდა დაგეხმაროს.

იესოზე ბოლომდე დანდობილი ქრისტიანი იყო, ჩვენი რეალური მდგომარეობის უძლიერესი გამოხატულებაა. წარმოიდგინე, რაოდენ დიდი სიმდიდრეა დაამოწმო, როგორც ასაკოვანმა პიროვნებამ.

პეტრეს იქ წაიყვანდნენ, სადაც არ სურდა წასვლა. ამ სიტყვებით იესო აღწერს იმ სახის სიკვდილს, რომლითაც პეტრეს ღმერთი უნდა განედიდებინა.

ღვთის შვილი სიკვდილითაც კი ღმერთს განადიდებს. ამის გაგება ძნელია. მაგრამ ეს ასეა. როდესაც ვკვდებით, უფლისთვის ვკვდებით. ღვთის სიტყვა ამბობს, „ძვირფასია უფლის თვალში მისი წმიდანების სიკვდილი."

ღმერთის შვილი მთელი სიცოცხლის მანძილზე იესოს ემსახურება. ეს ასაკში ყოფნასაც ეხება. საბოლოოდ ღმერთის შვილი, იესოს თავისი სიკვდილითაც უწევს მსახურებას.

ამის შემდეგ დგება მარადისობა, სადაც ყველა ვისაც მისი სწამს, თავის კუთვნილ ადგილს ზეციურ გუნდში დაიკავებს, ღვთისა და კრავის სადიდებლის აღსავლენად.

23 აგვისტო

და მიეცა მას (მხეცს), რომ ეომა წმიდებთან და გაემარჯვა მათზე.

გამოცხადება 13:7

ბიბლიის ზოგიერთი სიტყვა შოკისმომგვრელია და გვადუმებს. გამოცხადებაში მხეცი ანტიქრისტეს სახელია, რომელიც ერთ დღეს მთელ წუთისოფელს მმართავს და რომელსაც ყველანი თაყვანს სცემს. ის ომს წმიდანების მიმართ აწარმოებს და გაიმარჯვებს.

მისი გამარჯვება იმაში ირ იქნება, რომ ყოველი ქრისტიანი იესოს უარყოფს. მაგრამ გაუგონარი ტანჯვის გადატანა ყველას მოუწევს. იესო მცირე რჩეულზე საუბრობს, რომელთა გამო ის დღეები შემოკლდება.

ნუთუ ღმერთს ამის პრევენცია არ ძალუძს? დიახ, მას ამის გაკეთება შეუძლია, ვინაიდან ის ყოვლისშემძლეა. მაგრამ ის ამას არ გააკეთებს. ის ამ აზრისგან შორს არის! ღვთის სიტყვა გარკვევით ამბობს, რომ ეს ღმერთია, რომელიც ანტიქრისტეს აძლევს ძალას, რათა წმიდანების მიმართ ომი აწარმოოს.

ჩვენ ღვთის აზრების ჩაწვდომა არ შეგვიძლია. ისე, როგორც ცაა მაღალი მიწაზე, ასევე ღვთის აზრები ჩვენსაზე მაღალია.

თუმცა უფალი თავის თავს სიტყვაში აცხადებს. ის ამბობს, რომ ტანჯვებში მისი თანამონაწილეობა სხვაა. ღმერთი ტანჯვას იყენებს. მისი მეშვეობით ის თავის ხალხს, იესოს ხატებაში ადნობს.

არცერთი მსახური თავის ბატონზე დიდი არაა. იესოს მოწაფეებს მის ნაკვალევზე სიარული მმართებთ. მისი გზის დასასრული ჯვართან იყო. ჩვენი გზის სასრულიც იქ არის. სიბნელე წუთისოფლისა გაძლიერდება, ხოლო სინათლის შვილები სხვებისგან სრულიად განსხვავებული გახდებიან. ისინი თავდასხმის ობიექტი შეიქნებიან და მათი ღია დევნა ჩვეულებრივი რამ გახდება.

მაშინ სატანა შემდეგ კითხვას დაგისვამს: არ გიჯობს დანებდე? ის თავისი ცდუნებით მოვა, რომ ტანჯვის გზა მიატოვო. თუ იესოს უარყოფ, მაშინ წუთისოფელი კიდევ ერთხელ გაიღიმებს შენზე.

განა ეს გზა წინ არ მიდის? განა უკეთესი არაა დევნილი ხალხის საკუთრება იყო, რომელიც მარშირებულად დიდებისაკენ მიდის? თუ მარადისობაზე ფიქრობ, მაშინ ეჭვი აღარ გმართებს. „რა სარგებელია კაცისათვის, თუ მთელ ქვეყანას შეიძენს, ხოლო თავის სულს დაკარგავს?“ მიყევი იესოს! „ვერც ცეცხლი დაგწვავთ, როცა მასში გაივლით, ალი ვერ მოგწვდებათ. ვინაიდან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ისრაელის წმიდა და თქვენი მხსნელი.“

24 აგვისტო

მას ჰყავდა და, სახელად მარიამი, რომელიც იესოს ფერხთით დაჯდა და მის სიტყვას ისმენდა.

ლუკა 10:39

თუ სახარებებს კითხულობ, მაშინ მარიამს უფლის ფეხებთან მყოფს სამჯერ აღმოაჩენ.

პირველად ის მისი სიტყვების მოსასმენად დაჯდა. მთელი სულიერი ცხოვრების დაწყება და ზრდა ამ საქმესთან არის კავშირში. ეს ყველა დანარჩენ საკითხებზე უფრო მნიშვნელოვანია. თუ სიტყვას ყურს არ უგდებ, მაშინ მის სიცოცხლეს უარყოფ.

ამიტომ მნიშვნელოვანია თუ, როგორ ისმენ. მარიამმა თავმდაბლის ადგილი დაიკავა. მას ეს იმ მიზნით არ გაუკეთებია, რათა საკუთარი თავმდაბლობით თავი აემაღლებინა. ეს მისი იესოსადმი შემეცნება იყო, რომელმაც მისი კუთვნილი ადგილი განსაზღვრა. უღირსი ცოდვილის ადგილი, უფლის ფეხებთან არის.

ამის შემდეგ შეიძლება სასწაული მოხდეს. მადლის პოვნა იესოს სიტყვებით შეგიძლია. იესო გულს ელაპარაკება. მას სურს გითხრას, თუ შენთვის რა გააკეთა. თუ ამის საშუალებას მისცემ, მაშინ მცირედიდ მისი შენდამი სიყვარულის შემეცნებას დაიწყებ.

მეორე, როდესაც მარიამს იესოს ფეხებთან ნახულობთ, მწუხარების ჟამია. მარიამის ძმა ლაზარე მანამდე მოკვდა, ვიდრე იესო მოვიდოდა. მისი გული მსხვრევის პირას არის, მაგრამ მან ისევ თავისი ძველი ადგილი მოძებნა.

დგება დღეები, როდესაც გეჩვენება, რომ ქვეყანა თავზე ნამსხვრევებად გეყრება. ამ დროს მარიამისგან გჭირდება სწავლა. თუ გრძნობ, რომ გონება შენი შფოთავს და ღვთის წინაშე მდგუმარება გიჭირს, მიუხედავად ყოველივე ამისა იესოს ფეხებთან მოძებნე ადგილი. ისაა ერთადერთი, რომელსაც შენი დახმარება შეუძლია. თუნდაც შენს მრავალ კითხვაზე მან პასუხი არ მოგცეს, ის მაინც არ დუმს. გასაჭირის ჟამს ის უშვებს განიცადო მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება. შენამდე ეს მრავალმა ქრისტიანმა განიცადა. ერთი რამ უნდა იცოდე, რომ უფალი არ გივიწყებს.

მესამეჯერ მარიამი იესოს ფეხებთან, გულსავსე მიძღვნილობითა და პატივისცემით არის. იესო გოლგოთის გზას ადგას. მარიამი მას სიკვდილამდე სცხებს. მას უფლება მიეცა, იესოს უკანასკნელად მომსახურებოდა. ხოლო პატივის, მიგების მსახურება მარადისობაში გაგრძელდება. ეს მსახურება კი აქ, დედამიწაზე იესოს ფეხებთან იწყება. ხოლო დამთავრებით, ის ღვთისა და კრავის დიდების ტახტის წინ დამთავრდება.

25 აგვისტო

ეს ჩემი სხეულია, რომელიც თქვენთვის მიეცემა. ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონრად.

ლუკა 22:19

იესოს თავის მოწაფეებთან ურთიერთობის მწველი სურვილი აქვს. ის იყენებს ძლიერ სიტყვებს, რათა თავის სიყვარულში დაგვარწმუნოს. დიახ, ის თავის წმიდა სხეულს და სისხლს გვაძლევს და ამბობს: აიღეთ ჭამეთ და შესვით ის.

იესოს მეგობრები მის მისაღებად, დროდადრო ერთად იკრიბებოდნენ. ისინი ერთამანეთისგან ისეთი განსხვავებულები იყვნენ, როგორც ჩვენ. თუმცა ერთმანეთთან გაერთიანებულნი. გული, გონება და აზრი, იესოზე ჰქონდათ მიმართული.

უფლის სერობაზე, იესო თავის თავს იძლევა.

მოწაფეებს იესოსგან მრავალი ნიჭი მიეცა. ბოლოს კი მან თავისი თავის მისცა. როდესაც თავისი სხეული და სისხლი მათ მისცა, მას უკვე გასაცემი აღარაფერი აღარ დარჩა.

როდესაც პურსა და ღვინოს ღებულობ, იესო გარწმუნებს, რომ მასთან ერთად შენ ყველაფერი გაქვს. მაშინ შენ უმდიდრესი ადამიანი ხარ. ვისაც იესო ჰყავს, მასთან ყველაფერი აქვს.

მის სისხლს განწმენდის ძალა აქვს. ის სულს თოვლივით ასპეტაკებს. მოცემული მსხვერპლით იესო, ხსნის სამოსელით გმოსავს. მისი სიმართლე შენ გეთვლება და მისი მეშვეობით ღვთის გამოცდას უძლებ.

ზიარების ტაბლა შენთვის დღესაც გაშლილია. ის მისთვის არ არის, ვისაც იესო დისტანცირებულად უნდა დატოვოს, იმ აზრით, რახან ერთხელ ეზიარენ უკვე გადარჩენილი არიან. უფლის სერობა იესოს ნამდვილი მეგობრებისათვის არის. ეს ისინია, რომელნიც მასთან შეხვედრას სულმოუთქმელად ელიან.

თუ ასე მოქმედებ, მაშინ უფლის სერობა არ უნდა აირიდო.

ძნელია რწმენის შენარჩუნება. ღმერთს ჩემი სიყვარული, როგორ შეუძლია? მისი სურვილია თავისთან ისე გაგაერთიანოს, როგორც პური და ღვინო შენი სხეულის ნაწილი ხდება.

არ დაუშვა, რომ იესოს მოპატიჟება შენდამი ამაო იყოს. მიიღე მისი სხეული და სისხლი. დაე, ამას მის მოსაგონრად აკეთებდე.

26 აგვისტო

ჩვენ კი უკან მიქცეულთაგანნი კი არა ვართ დასაღუპად, არამედ მორწმუნენი სულის სახსნელად.

ებრაელთა 10:39

მრავალ ქრისტიანს შეუძლია დაამოწმოს, რომ ისინი გადარჩნენ, როდესაც უკან მიქცევას თავი გაანებეს.

თავიდან თვით-განმტკიცების გზას ადგნენ. მათ იცოდნენ, რომ გადამწყვეტი ადგილი ღვთის მადლს ეკავა, მაგრამ არ შეეძლოთ დაეჯერებინათ, რომ ის მათ ეხებოდა. უპირველეს ნაბიჯად ცვლილება მიიჩნიეს. ეს გზა გრძელი და ძნელი გამოდგა. მან ისინი დანიშნულებამდე ვერ მიიყვანა. ის გზა დაუსრულებელი გახდა. ერთ მშვენიერ დღეს საკუთარ თავზე მოუხდათ თქმა: ისეთი ვერასოდეს გახდები, როგორიც ქრისტიანი უნდა იყოს.

მათ საკუთარ თავს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. მაგრამ შემდეგ უფალი მათთან თავისი მადლით მოვიდა. დროდადრო ამის შესახებ თავისი სიტყვით უქადაგებდა. მაგრამ მიმღებნი ვერ გამოდგნენ. ახლა კი, როდესაც ხელში არაფერი შერჩათ, ისინი უკან აღარ მიიქცევიან.

ღვთის შვილი ნამდვილად აღარ უნდა მიიქცეს უფლის მადლისაგან. ეს ქრისტიანის ცხოვრებაში ყველაზე დიდი საშიშროებაა. თვით-სრულყოფილებისაკენ მიმავალ გზაზე, მალევე წაიბორძიკებენ. ჩვენ არ ვსაუბრობთ ქრისტიანად გახდომაზე, არამედ ქრისტიანად ყოფნაზე. თუ ამ საკითხს არ გაუფრთხილდები, მაშინ მთელი შენი ყურადღება გადატანილი იქნება იმაზე, თუ რა უნდა აკეთო, როგორც ქრისტიანმა. ამ შემთხვევაშიც უიმედო ბრძოლაში შედიხარ. მრავალი მარცხი შენს სასოწარკვეთას გამოიწვევს. ყველაფრის დათმობის ცდუნების წინაშე დადგები. სიხარული გაგიქრება. თანა-ქრისტინებთან ახლო ურთიერთობას ბოლო მოეღება. ვინაიდან თავად შენი თავი გახდება სულიერი ცხოვრების ცენტრი.

რისი გაკეთება გმართებს? შენი ვალდებულებაა საწყისს დაუბრუნდე, როდესაც განუხრელად მიყვებოდი ღვთის მადლს. თქვენდა შეუმჩნევლად ისეთ ქრისტიანულ ცხოვრებაში ჩაიძირეთ, სადაც მადლი არ არის ყველაფერი.

შენი უბედურება მარცხის სიმრავლე არ არის. არც ცოდვათა სიმრავლეა, რომელთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. არა, შენი უბედურება ის არის, რომ ღვთის მადლს განუდექი და პირი აქციე.

ამიტომ საჭიროა შენი მცდელობები და თვით-გაუმჯობესება დათმო. ნაცვლად ამისა, თავი ღვთის მადლს უნდა მიანდო. შენ, სიტყვის ქვეშ დაუმსახურებელი პოზიციით უნდა იცხოვრო. ცენტრი, იესოში არსებული განუსაზღვრელი სიმდიდრე უნდა გახდეს. შემდგომ ამისა უფალი შენში იმას მოიტანს, რაც მისთვისაა სათნო. მაშინ შენ გწამს — და გადარჩენილიც ხარ.

27 აგვისტო

მას დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

გამოცხადება 1:6

ყველაფერი რაც გაგაჩნია, ღვთისგან მოსული ნიჭია. ამის გამო ყოველი პატივი მას ეკუთვნის.

მრავალი სასოწარკვეთა და განდგომილება ახლავს თან იმ ფაქტს, რომ გვსურს პატივდებულნი ვიყოთ. ენერგიას არ ვიშურებთ, რომ ძლიერნი და გავლენიანნი გავხდეთ. დიდი შვება მოდის, როდესაც იესოს თავისას ვუზღავთ!

მისია მეფობა, ძალა და დიდება უკუნითი უკუნისამდე!

შენ მას ყველაფერში ევალები. მან შენ შეგქმნა და არაფერი არ გაგაჩნია, რაც მისგან საჩუქრად არ მიგეღოს. ღმერთს, რომ შენთვის სიცოცხლე არ მოეცა, აქამდე არსებობას ვერ შეძლებდი.

თუ იესოს ეკუთვნი, იცი, რომ შენი ხსნა მხოლოდ მის ხელშია. თუ ცოდვები მიტევებული არ გაქვს, მაშინ მათი ტარება თავად მოგიწევს. მაგრამ ამის კეთება არ გმართებს. შენი ცოდვა გამოსყიდულია. შენი ვალი გადახდილი. იესოს ძვირფასი სისხლით კი შეძენილი, რათა ღვთის საკუთრება გახდე.

საოცარ სახარებასთან შედარებით, ყველაფერი დანარჩენი უმნიშვნელო ხდება. ყოველი სიძნელე და წინაღობა, მხოლოდ მცირე ხნით გასტანს. მალე შენ სუფთა და თეთრ საქორწილო სამოსელში გამოეწყობი და უფალს დიდებას უკუნითი უკუნისამდე უგალობებ.

მადლში სიმდიდრეა, რომლის ჩაწვდომა ბოლომდე არ ძალგვიძს. მიუხედავად ამისა მის სიყვარულში ღმერთი ნებას გვრთავს, რომ მის დიდებას გემო გავუსინჯოთ.

როდესაც თავი დამდაბლებული გვაქვს და ჩვენს ვინაობას რეალურად ვუყურებთ, მაშინ მადლი, ჩვენი სიმდიდრე ხდება. თუ მოხდა და საკუთარი თავის კარნახით ვწყვეტთ სიარულს, მაშინ მის სიტყვაში ნათქვამით ვხელმძღვანელობთ.

ამ დროს ჩვენში წრფელი სურვილი იბადება. დაფიქრდით იმ დროზე, როდესაც წმიდა და უცოდველი ბაგით უფალს დიდებას მივუძღვნით! დაფიქრდით იმაზე, როდესაც ჩვენი ღარიბი ენა, ღარიბი აღარ იქნება! მაშინ ჩვენ უფალს პირისპირ ვიხილავთ და შესაძლებელი გახდება ის, რაც ჩვენს სიღრმეში ცხოვრობს ბოლომდე გავამჟღავნოთ. აქ, დედამიწაზე ჩვენ არ შეგვიძლია იესოს ვუთხრათ, თუ ის ჩვენთვის სინამდვილეში ვინ არის და მას ჩვენთვის, რაოდენ დიდი მნიშვნელობას აქვს. თუმცა დადგება დღე, როდესაც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ყოველ პატივს, ძალას და დიდებას მას მიაგებ.

28 აგვისტო

...დაღუპულთათვის, იმის გამო, რომ არ მიიღეს ჭეშმარიტების სიყვარული თავის სახსნელად.

2 თესალონიკელთა 2:10

მეორედ მოსვლამდე ხალხთა მასები განგდომილებისაკენ წავა. ეშმაკის სიცრუე გაძლიერდება. დიახ, სატანა შეეცდება თვით რჩეულნიც კი შეაცდინოს და ერესი ფართო გახადოს.

რატომ?

ვინაიდან ხალხი აღარ იკითხავს, ჭეშმარიტება რა არის.

ის რაც პიროვნებას დახმარებას უწევს, ადამიანთა უმრავლესობის მიერ სიკეთეთაა შეფასებული. მრავალ ქრისტიანსაც უჭირს იმის უარყოფა, რაც სიხარულს, მშვიდობას და ცხოვრების ჰარმონიას ქმნის. მრავალი ადამიანი კითხვასაც არ სვამს, თუ ესა თუ ის მოძღვრება, რამდენად ჭეშმარიტებაა და რაოდენ სასარგებლო.

ამ გზით ღვთის ჭეშმარიტებას ძირს ადვილად ვუთხრით. უპირველესად ამას ადგილი ქრისტიანულ ეკლესიებში აქვს, ხოლო შემდგომ რელიგიურ ადამიანთა შორის. ადამიანები აცხადებენ, რომ ყოველი ჩვენგანი საკუთარი გზებით ერთ ღმერთთან მივდივართ, მიუხედავად იმისა ყველას ჩვენ-ჩვენი ხედვა გვაქვს.

მსგავსი აზრები გზას უმზადებენ საერთო გაგების რელიგიურ ალიანსს, რომ ჩვენ — ძირითადად — ერთი რამ გვსურს.

მაგრამ ეს სიცრუეა. ღმერთთან მისასვლელი, მხოლოდ ერთი გზაა და ეს გზა იესოა. ერთადერთი გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე ის არის. გადარჩენაც მხოლოდ მისი რწმენითაა.

ღვთის შვილს ჭეშმარიტება უყვარს. ის მზად არის მისთვის თავიც გაწიროს. მისდამი მზადყოფნა გამოცდის წინაშე დადგება. წუთისოფელი იმ გზაზე მიდის, როდესაც ყველა, ცრუ პოზიციებსა და მიზნებზე შეთანხმდება.

ანტიქრისტეს ჟამი, უფლის ხალხის გამოცდის პერიოდი იქნება. ამ დროს ბუნებრივია შიში და მწუხარება დაგეუფლოს. მაგრამ მათ ადგილი არ მისცე. მიენდე იესოს. ის შენ არ უარგყოფს. უბრალოდ ჭეშმარიტებისადმი სიყვარული მიიღე. მისი ძალა ადამიანთა რაოდენობაში არ არის. ჭეშმარიტება ღმერთმა თქვა. ამიტომ, რაც მან თქვა საუკუნოდ იდგება მყარად.

იმ მცირედთა შორის იყავი, რომელნიც ჭეშამრიტების მხარეზე ბოლომდე რჩებიან! არ შერცხვები, ვინაიდან ღმერთი ამის გარანტორი ხდება.

29 აგვისტო

ქრისტე კი ყველასათვის მოკვდა, რათა ცოცხლებმა თავიანთთვის კი აღარ იცოცხლონ, არამედ იმისთვის, ვინც მათთვის მოკვდა და აღდგა.

2 კორინთელთა 5:15

იესოს სიკვდილი აღუწერელ სიმდიდრეს ფლობს. უპირველესად მან ცოდვათა გამოსყიდვა აღასრულა, რათა მადლით შეგეგებოს.

შემდგომ ამისა მან ახალი სიცოცხლისადმი მიზანი მოგცა. ის გამოხატულია შემდეგ სიტყვებში: „ცოცხლებმა თავიანთთვის კი აღარ იცოცხლონ, არამედ იმისთვის, ვინც მათთვის მოკვდა და აღდგა.“

შენ საკუთარი თავისთვის არ ცოცხლობ.

მრავალი ფიქრობს, რომ ცხოვრება, სადაც თავად არიან ცენტრი ყოველივესი, ბედნიერი ცხოვრებაა. ამ რწმენას მილიონობით ადამიანი დიდ გასაჭირში შეყავს. ისინი საკუთარი წყევლის მიზეზი თავად ხდებიან. ცხოვრებაში ყველაფერს საკუთარ თავთან მიმართებაში ხედავენ. რაც უფრო დრო გადის, საკუთარი თავით დაკავებულნი მით უფრო ხდებიან. ამის გამო მათი ცხოვრება მარტოობად იქცევა.

თავად სიცოცხლე კი მსხვერპლს მოითხოვს, რომ ცენტრი აღარ იყო. ნუ დაიკავებ ცენტრს. საკუთარ თავს უნდა განუდგე. დიახ, საკუთარი თავი უნდა დაკარგო.

რათა ცოცხლებმა თავიანთთვის აღარ იცოცხლონ. მოცემული გამოთქმა მცნებასავით ჟღერს, მაგრამ ის სახარებაა. უფალმა იმ ცხოვრებიდან გიხსნა, სადაც ყველაფერი შენკენ იყო მომართული.

ახლა კი ისეთი ცხოვრება მოგცა, სადაც ყველაფერი მისკენ არის მიმართული. სიცოცხლისათვის ყველა საჭირო წყარო, მასში უნდა გქონდეს. ყოველ დღე, რაც გჭირდება, დაუმსახურებელი მადლის მეშვეობით უნდა მიიღო.

იესო თავის სიყვარულში მიგიძღვის. შენ ერთადერთი არ ხარ ვინც იქ ცხოვრობს. ყველას, მისი სისხლით გამოსყიდულს, მასში აქვს ბინა. ამიტომ ის გიგზავნის შენს მსგავსს ადამიანებს, რათა მსახურება გაუწიო.

„რაც კი გაუკეთეთ ამ ჩემს მცირეთაგანს, მე გამიკეთეთ,“ ამბობს იესო (მათ. 25:40). ასეთი ადამიანის მსახურებით, შენ მუდმივად უფალში რჩები.

მნიშვნელობა არ აქვს უცხო ქვეყანაში წახვალ სახარებით თუ მსახურებას ადგილზე გაწევ. ის შენით კმაყოფილებას განიცდის, ვინაიდან მისი მადლი მიიღე და მისი კურთხევის ინსტრუმენტად გადაიქეცი.

30 აგვისტო

შენი ბაგეთა სიტყვის თანახმად, თავს ვიცავდი უკუღმართი გზებისაგან.

ფსალმუნი 17:4

პიროვნების ძალის გადაჭარბებულად შეფასება საშიშია. ის აგრეთვე იმ ბრძოლასაც მოიცავს, ქრისტიანებს რომ გვიხდება.

ადვილია ადამიანს კეთილი მოტივები მიაწერო. თუ ის გვიკეთებია, რაც არ უნდა გვეკეთებინა, გამამართლებელი მდგომარეობის მოძებნა ძნელი არ არის.

ეს გზა საშიშია. თუ მასში ღვთის სიტყვის ნათელს არ შეიტან, ადრე თუ გვიან მოძალადეთა გზაზე აღმოჩნდები. დაცემული კაცი და მისი შედეგები მთელი შენი ცხოვრების განმავლობაში გაგყვება.

ის ჭეშმარიტების შეხვედრისადმი ფეხს ითრევს. მისი არიდების ერთადერთი გზა, ღვთის ბაგიდან გადმოსული სიტყვისადმი მთელი ყურადღების გადატანაა. მისი სიტყვა მასთანაა კავშირში. ღვთის სიტყვა იმდენადაა ჭეშმარიტი, რამდენადაც თავად არის ჭეშმარიტება.

მისი სიტყვის მეშვეობით, შენ ყოველი დიდებიდან უფალი გძარცვავს. გულის შენიღბვა არ გამოგივა. მასში სხვა არაფერია თუ არა ცოდვილი ბუნება. საკუთარი თავის განსჯაც კი არ შეგიძლია. ერთი რამ შეგიძლია თქვა: „გამომიკვლიე უფალო და შეიცანი ჩემი გული; შემამოწმე და გაიგე ჩემი აზრები. ნახე, ზიანის მომტან გზაზე ხომ არ ვდგავარ და მარადიულ გზაზე წამიძეხი.”

უფალი ამგვარ ლოცვას შეისმენს! ის შენს გულს მისი სიტყვით დაელაპარაკება. ის შენს ხელს შეკრავს და წინ წაგიძღვება. საკუთარი თვით-დაჯერებულობა შეირყევა. მიხვდები, რომ შენი ფიქრები და შეხედულებები წმიდა არ არის. ის დაცემის ტრაგედიის მომწამლავი ფერებითაა შეღებილი. მაგრამ შენ მოცემული გაქვს იხილო, რომ დაკარგული ცოდვილისათვის მადლი არის.

ჩვენ მიდრეკილი ვართ ვირწმუნოთ, რომ მცნებებს და შეგონებებს, ნამდვილ და ჯანმრთელ ქრისტიანულ ცხოვრებაში ჩვენი დახმარება შეუძლია. მაგრამ ეს ასე არაა. შენ საიმისოდ ძალა არ გაქვს, რომ უფლის გზას მიჰყვე. მთელი ყურადღება მადლზე უნდა გადაიტანო. ისაა, რაც გეხმარება. ის გასწავლის, რომ „არა“ უთხრა უღვთოობასა და ქვეყნიურ გულისთქმებს. ის გაძლევს სურვილს, რომ იესოს ნაკვალევს მიყვე.

მაშასადამე, რაც იესომ თქვა ყველაფერი შეითვისე. ამის კეთება დღესვე დაიწყე. მაშინ შენი ნაბიჯები განმტკიცდება და უფალი ზეცისაკენ წაგიძღვება, სადაც ცოდვის ჩასადენად არასოდეს იქნები ცდუნებული.

31 აგვისტო

სადაც ჯვარს აცვეს იგი; მასთან ერთად, აქეთ-იქით, ორი სხვა, შუაში კი - იესო.

იოანე 19:18

იესოს შენთან ახლოს ყოფნა მნიშვნელოვანია, როდესაც სიკვდილის საათი დაგიდგება.

ის მათთან გოლგოთაზე იყო, როდესაც ორი ავაზაკი კვდებოდა, რომელნიც ქალაქ იერუსალიმიდან გარეთ იყვნენ გაყვანილი. რომაელებმა ისინი ჯვარს აცვეს. ორ მათგანს შუა, მსოფლიოს მხსნელი იყო დაკიდებული. ისიც ჯვარზე იყო მილურსმნული.

სამ ჯვარცმულს შორის ყურადღება მისაქცევი საუბარი გაიმართა. ის აჩვენებს თუ თითოეულ მათგანს გულში რა ჰქონდა.

განკითხვის დღეს სამივე მათგანი კიდევ ერთხელ შეხვდება ერთმანეთს. იესოსა და მის მარცხნივ მყოფი ავაზაკის შეხვედრა, როგორი იქნება?

მისი დედამიწაზე ყოფნის ბოლო საათებში მან იესო იხილა და მოუსმინა კიდეც. მაგრამ გულის მდგომარეობა არ შეიცვალა. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მოკვდებოდა. თუმცა მან მხსნელი მისი უბრალოდ დაგმო.

ამ კაცის სიკვდილი მათთვის ძლიერი გაფრთხილებაა, რომელნიც მონანიებას სიკვდილის სარეცლამდე დებს. ერთის შეხედვით თუ ის მოიქცეოდა დასაკარგი არც არაფერი რჩებოდა. ნაცვლად ამისა მას ეს არ გაუკეთებია. ის ისე მოკვდა, როგორც ცხოვრობდა.

მრავალმა ადამიანმა იგივე ბედი გაიზიარა. ისინი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს სულ დებდნენ. სამწუხაროდ ბოლოში ძალიან დაგვიანებულნი აღმოჩნდნენ.

დღეს გვიან არ არის. ეშმაკი ცდილობს დაგარწმუნოს, რომ უკვე გვიანია, რადგან წლების განმავლობაში უფლის დაძახილს ეწინააღმდეგებოდი. მისი დაჯერება არ გმართებს. იმ ავაზაკზე დაფიქრდი, რომელიც მის მარჯვნივ იყო. მისი ცხოვრების უკანასკნელი საათები მან იესოზე თავის გადასაცემად გამოიყენა.

როდესაც უფალი მოგიწოდებს, ეს მადლის ჟამია — ჟამი გადარჩენისა. გადადება არ გმართებს იმის ფიქრით, რომ ჯერ ისეთი არ ხარ, ვინც უნდა იყო. ასეთი დღე არასოდეს მოვა. შენ ისეთი უნდა მოხვიდე მასთან, როგორიც ხარ.

ერთმა დაკარგულმა ავაზაკმა ასე გააკეთა. მას არაფრის მოტანა არ შეეძლო, გარდა თავისი ცოდვილი ცხოვრებისა. მას არაფრის გაკეთება შეეძლო. მისი ხელები ჯვარცმული იყო. თუმცა მან იესოს წყალობა თხოვა. ესაა გზა შენთვის, ჩემთვის და ყოელი მათგანისთვის ვინც ამ მიწაზე ცოდვილი დაირება. იესოს წყალობა თხოვე! მაშინ შენ სამოთხეში მასთან ერთად იქნები.

1 სექტემბერი

აჰა, ღმერთმა გაჩუქა ყველა, ვინც შენთან ერთად მოცურავს ხომალდით.

საქმე 27:24

პავლეს გამო 275 პიროვნება, რომელნიც მასთან ერთად გემბანზე იყო, გადარჩა. მიუხედავად იმისა ის რომისკენ მიმავალი პატიმარი იყო, ის მეზღვაურებისა და მთელი შემადგენლობისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე თვით გემის კაპიტანი, რადგან მან ღმერთთან ლოცვით მისასვლელი გზა იცოდა.

14 დღიანი ქარიშხლის განმავლობაში, პავლე არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ ყველა მასთან მოგზაურისათვის ლოცულობდა. ცის ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა. ამიტომ პავლემ ის მიიღო, რისთვისაც ლოცულობდა. 275 კაცმა გადარჩენა მიიღო.

მე და შენ ჩვენს თანა-მემამულეებთან ერთად დიდ ქარიშხალში ვიმყოფებით. ბოროტის სულიერი არმია გვიტევს. მრავალი დამანგრეველი ძალები უკვე გამოვლენილ იქნა და კიდევ ბევრს უნდა ველოდოთ. შეუძლებელია არ ვიკითხოთ: რა ფორმით მოხდება ეს?

როდესაც სიწმიდეები იბღალება, ჩვენ აღშფოთება გვიპყრობს. მწუხარება გვეუფლება, როდესაც ისინი ამ გზით მიდიან, რომელთაც ღამის გუშაგობა და მწყემსობა აბარიათ. ადამიანთა ცხოვრებაში თესლსა და მკას შორის უდიდესი კავშირია, ხოლო ღმერთი თავის ტახტზე ზის, რომელიც სამართლიანად განსჯის.

ასეთ სიტუაციაში ძალიან ადვილია, საკუთარ აზრებზე და თვითგადარჩენაზე გადაიტანო ყურადღება. პავლეს ასე არ გაუკეთებია. მან ყველა მის თანამგზავრზე იშუამდგომლა. საშინელი ქარიშხლისას, ის მაინც თავისი მხსნელის ნაკვალევს მიყვებოდა. იმ შეძრწუნებული და უმწეო ადამიანებით ის სიბრალულით აღივსო, რომელნიც, როგორც უმწყემსო ცხვარი ისე ჩანდა.

ცოდვებში და უბადრუკებაში მყოფნი, ღმერთს მაინც ვუყვარვართ. არავინაა ჩვენს შორის, რომლის გამოსასყიდად იესოს სისხლი არ ყოფილიყო დაღვრილი. იესომ გეთსემანიის ბაღში თითოეული ჩვენგანისათვის იბრძოლა.

ჩვენ მრავალმხრივ მდიდარნი ვართ. წინა თაობამ ჩვენ შესანიშნავი კულტურული და მატერიალური ფასეულობები გადმოგვცა, თუმცა ამჟამად ჩვენ ბერვ საკითხში მეტი წარმატება გვაქვს.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ღარიბნი ვართ. ჩვენი ხალხი დიდ გასაჭირშია. დამანგრეველი და შემტევი ძალები გვემუქრებიან. ამ მდგომარეობაში შუამდგომლები გვჭირდება.

ღმერთმა 275 პავლეს მისცა. თუ იშუამდგომლებ შენ, რამდენს მოგცემს?

2 სექტემბერი

...მისი ძის იესო ქრისტეს სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისაგან.

1 იოანე 1:7

ეს სიტყვა ღვთის შვილს მთელი ცხოვრების განმავლობაში თანდევს. დღე არ არსებობს, როცა ის არ გვჭირდებოდეს. ის საუბრობს უდიდეს საჭიროებაზე: ცოდვისგან განწმედაზე.

ჩვენი განსჯიდან გამომდინარე მის მოსახდენად მხოლოდ ერთი შანსია; საკუთარი თავის განწმენდა. ამ გზას წუთისოფელში მილიონობით ადამიანი მიდევს. ყველა რელიგიის მიღმა არის სურვილი იმისა, რომ საკუთარი გზა შეიქმნან, რათა ღვთის წინაშე გამართლდნენ.

ყველა ამგვარი მცდელობა მარცხისთვის არის განწირული. ამ შემთხვევაში ვიღაც უნდა იყოს მოქმედებაში. ასეთი პიროვნება, რომელმაც ეს გააკეთა იყო. ღვთის საკუთარმა ძემ ხორცი და სისხლი მიიღო. მან შესაწირავ სისხლად თავისი სისხლი გაიღო. ცოდვა გამოისყიდა. ამის გამო მას განწმენდის ძალაუფლება აქვს.

იესოს სისხლი ნამდვილად გვწმენდს. ის ნაწილობრივ დახმარებას არ იძლევა. თუ სისხლმა გაგწმინდა, მაშინ შენ ბოლომდე წმიდა ხარ. როდესაც ცოდვის შემკვრელ ძალაზე ფიქრობ ამის დაჯერება გიძნელდება. მაგრამ ეს ჭეშმარიტებაა. იესოს სისხლი თოვლივით გასპეტაკებს.

ეს ჩვენ გვწმენდს სისხლი. იესო ნამდვილ ცოდვილთა მხსნელია. გაუაზრებლად ვუშვებთ იმ აზრს, რომ ეს ჩემს გარდა ყველას ეკუთვნის. რატომღაც გვესმის, რომ მადლი ყველასთვის არის, მაგრამ დაუჯერებელია, რომ ის ჩემთვისაცაა. მიუხედავად ამისა შენა ხარ ის, რომელსაც სისხლი გწმენდს, დიახ შენ!

ბოლოში ნათქვამია, „ყოველგვარი ცოდვისაგან.“ შესაძლოა შენ გჯერავს, რომ იესოს სისხლი ძირითადი ცოდვებისაგან გვწმენდს. მაგრამ ეს ასე არ არის. მისი სისხლი ყოველგვარი ცოდვისაგან გვწმენდს. ისეთი ცოდვა არ არსებობს და არც იარსებებს, რომელსაც მისი სისხლი ვერ განწმენდს. აი, მისი სისხლი ასეთი ძალის მქონეა.

როდესაც კრავის სისხლის ირწმუნე, ღმერთმა სიკვდილიდან სიცოცხლეში გადაგიყვანა. მის თვალში შენ სრულყოფილად ხარ ცოდვისგან განწმედილი. მანამ ვიდრე რწმენაში იქნები, შენ თოვლივით თეთრი რჩები. ყოველდღე ილოცე, რომ იესოს სისხლმა შენს ცხოვრებაში იმოქმედოს — შენი ცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულში. მაშინ შენ ღვთის მადლში დარჩები.

უკანასკნელ დღეს ზეცაში ისე უნდა წახვიდე, რომ მისი სიტყვა შენი იყოს. იესოს სისხლი ყოველგვარი ცოდვისაგან გვწმენდს.

3 სექტემბერი

ვინაიდან კრავი, რომელიც ტახტის შუაშია, დამწყემსავს მათ და სიცოცხლის წყლის წყაროსკენ გაუძღვება; და ღმერთი მოსწმენდს ცრემლს მათ თვალთაგან.

გამოცხადება 7:17

დროდადრო ფიქრობ თუ არა, ზეცაში შენი და იესოს ურთიერთობა როგორი იქნება? ეს შენი სიხარული და პრივილეგიაა, აქ, ამ ცხოვრებაში, რომ მასზე მინდობილი იყო. მას ზეცაში ენდობი თუ არა? იქ სრულყოფილებაა. დიახ, იქ შენ იესოს მსგავსი შეიქნები და ისეთი დახმარება, რასაც აქ მისგან ღებულობ იქ საჭირო საერთოდ იქნება?

ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ზეცაში ყველაფერი ახალი იქნება. მიუხედავად ამისა შენ იესოს გარეშე მაინც ვერ შეძლებ სიცოცხლეს. ვიდრე აქ ხარ დედამიწაზე, დროდადრო მაინც ცდილობ შენ თავად მოაგვარო საქმეები; მაგრამ შენი იესოზე დამოკიდებულება ზეცაში სრულყოფილი იქნება. ამიტომაა ზეცა, ზეცა.

დედამიწაზე შენთვის მდიდარი დღეები ისინია, როდესაც უფრო მეტად ხარ მასზე დანდობილი. მაშინ შენს გულში ის არის ყველაფერი. საკუთარ თვალში რაც უფრო დამცირდები, იესო მით უფრო განდიდდება.

იესო აგრეთვე ზეცაში შენთვის ყველაფერი იქნება. თავის ნათქვამში ის გვამცნობს, რომ ის, როგორც მწყემსი წარგვიძღვება და სიცოცხლის წყლის წყაროებთან მიგვიყვანს.

ზეცაში სიხარული იმისა, რომ იესო გვიძღვის, იგივეა, რაც აქ, მიწაზე. თუმცა მაინც არის განსხვავება. აქ ცხოვრებას უამრავი აჩრდილი ახლავს თან, ხოლო მარადისობაში სიმართლის მზე მუდამ ზენიტში იქნება.

საოცარი სიმდიდრეა, როცა იესო სიცოცხლის წყლის წყაროებისაკენ წარგვიძღვება. მაშინ მათ ჩვენ დავეწაფებით და ბოლომდე შევსვამთ. გულში არსებულ წყურვილს საბოლოოდ დავაცხრობთ. თასი ჩვენი კი მადლიერებით აღივსება.

ზეცაში ხსნის წყალსაც შევსვამთ. შენ, იესო ქრისტეს სიმდიდრის სიუხვის მუდმივ გათავისებაში, საუკუნოდ მოგიწევს ცხოვრება. ერთის მხრივ ზეცა ყველაფერს ცვლის. მეორეს მხრივ ის ძალინ ცოტას ცვლის. თუ გსურს იესო საუკუნოდ შენი იყოს, მაშინ ის შენ აქ უნდა მოიპოვო. სიკვდილი, მასთან პიროვნულ ურთიერთობას არ ცვლის. მაგრამ რწმენა კი. დაე, იესო დღეს გახდეს შენი მხსნელი და მწყემსი, მაშინ ეს ასე საუკუნოდ გაგრძელდება.

4 სექტემბერი

ერთი იტყვის: უფლისა ვარ! მეორე იაკობის სახელით იწოდება, სხვა თავისივე ხელით დაიწერს: „უფალს ვეკუთვნი“ და ისრაელის სახელი დაერქმევა.
ესაია 44:5

ჩვენ მატერიალური საგნების დასაკუთრებით, ზედმეტად დაკავებული ვართ. მაგრამ მათზე აღმატებული არსებობს. აღმატებულია, როდესაც ცისა და მიწის საკუთრებაში იმყოფები. ეს ნიშნავს, რომ ღმერთს შენზე ექსკლუზიური უფლება აქვს. შენ უკვე აღარ ცხოვრობ, არამედ იესო ცხოვრობს შენში.

გახდე ღვთის შვილი, არ ნიშნავს ვინც ხარ მას რაიმე დაემატოს. ის რაღაც, სრულიად ახალია. ეს ახალი შობაა. ხელახლა დაბადება.

ახლა შენ საკუთარ თავს აღარ ეკუთვნი. შენ უფალს ეკუთვნი.

ის შენ განგკარგავს. იმავე დროს მთელი პასუხისმგებლობა შენზე, მას აქვს აღებული. მის გარდა ბოლო სიტყვა არც შენ და არც სხვას არ ეკუთვნის. ღმერთია ყველაფრის უკან.

დღეს უთუოდ ხელით, რაღაცის წერა გიწევს. ეს ნიშნავს იმას, რომ ვიდრე რამეს დაწერ მანამდე გააზრება გჭირდება. ეს ეხება განკარგვასაც, რომელიც შენს საკუთრებაში აღარ არის.

შენ კვირის სამუშაო დღეები კი არ უნდა უგულებელყო. ღმერთმა ისინი მისთვის მოგცა, რომ მას ემსახურე. როდესაც ოჯახსა და სამუშაოზე სხვებისთვის სარგებლის მომტანი ხარ, ამით მას პატივს მიაგებ.

შენი მსახურების სხვა მხარე, ლოცვაა. უფლის სურვილია ხელები, რომელიც მას ეკუთვნის ლოცვისთვის გადაჭდობილი იყოს. შუამდგომლობითი ლოცვითი მსახურება, ყველა დანარჩენ მსახურებას აღემატება. ამის გამოა სულის მტერი რომ ცდილობს, სხვადასხვა გზებით ხელი შეგიშალოს.

შესაძლოა ღვთის სურვილია შენი ხელები, რომელიც მის საკუთრებაშია, დღეს ვიღაცისთვის კურთხევა იყოს. იყავი მის განკარგვაში. მაშინ უფალი წაგიძღვება. ნუ უგულებელყოფ იმას, რაც ადამიანთა შეხედულებით მცირედ და არაშთამბეჭდავად ჩანს.

შენი ღმერთის სასუფეველში მსახურება, არასოდეს არ წყდება. ამოცანა, ყოველთვის იგივე არ არის, მაგრამ უფალს უკანასკნელ დღემდე ჭირდები. ამის გამო ის ნებას გრთავს, რომ იცოცხლო.

რაოდენ დიდი კურთხევაა, საკუთარ ცხოვრებას თვალი გადაავლო, რომელიც უფლის ხელში გამოსაყენებელი იარაღი იყო! შესაძლოა შენ მცირე და უმნიშვნელო იყავი. თუმცა უფლის თბილ ხელს, რომელიც შენ გიყენებდა გრძნობდი და ეს დიდ კურთხევას განიჭებდა.

5 სექტემბერი

მხიარულებით გახვალთ და მშვიდობით იქნებით წაყვანილნი.
ესაია 55:12

გადარჩენა მხიარულებით გასვლას ნიშნავს.

გახსოვს ეს? ცოდვიდან, სიბნელიდან და ბორკილებიდან თავისუფლების საოცარ სამყაროში, რომ გახვედი.

მაშინ გულში გალობა იწყება. ეს ნამდვილი საოცრებაა, ვინაიდან ღვთის ყველა აღთქმაში იესოს მეშვეობით მხოლოდ „კი“ არის. სიბნელიდან სინათლეში და სატანის ძალაუფლებიდან ღმერთში გადასვლის მოგზაურობას, არაფერი შეედრება.

ამ დროს გულში ცხოვრებას სიხარულის შეძახილები იწყებს. თუნდაც წლები იყოს გასული, რაც ღვთის შვილი შეიქენი, კვირვობ, რომ კვლავ მისი ხარ. იესო შენს უბადრუკებაში მოკითხვით არ დაკმაყოფილებულა. მან თავისთან წაგიყვანა. მან სივდილის აჩრდილიდან, მისი სიცოცხლის სამეფოში შეგიყვანა.

ეს მაშინ მოხდა, როცა მან შენთვის სახარება მთელი თავისი დიდებულებით გააცხადა. ხსნის დასრულებული საქმე შენთვის ყველაფერი გახდა. ის ღვთისთვის რაოდენ მნიშვნელოვანი იყო, შენ დაინახე. იმ მომენტში ცხადი გახდა, რომ თავისუფლების გზის ძიება აღარ გჭირდებოდა. იესომ შენთვის ის მოიპოვა. მან თავად მოამზადა ის, დიახ ის თავად გახდა ახალი და სიცოცხლის გზა.

მაშინ შენზე სიხარული ნიაღვარივით გადმოვიდა. ასეა დღესაც. იმაზე დიდი სიხარულის შენზე მონიჭება არაფერს შეუძლია, ვიდრე ჯვრის შესახებ სიტყვის მოსმენას. ეს ის სიტყვაა, რომელიც თავისუფლებაში გამყოფებს. და ის ერთადერთია, რომელსაც უპყვრიხარ. ამ დროს შენ მხიარულებით გადიხარ.

ღმერთმა შენ ამაზე მეტი მოგანიჭა. გზად სახლისკენ, ანუ ახალი იერუსალიმისკენ მარტო სიარული არ გიწევს. უფალი შენთან ერთად ივლის. ის თავისი ღვთაებრივი მშვიდობით მთელი ამ მოგზაურობის განმავლობაში წარგიძღვება.

ამ მშვიდობას იესოს გამოსყიდვაში თავისი საფუძველი აქვს. დიახ, იესო თავად არის შენი მშვიდობა. მშვიდობის მოსაძიებლად შორს წასვლა არ გიწევს. ის შენ მთლიანად გარემოგიცავს, როგორც უფალი და მხსნელი და დღითა და ღამით შენთან ერთად აგრძელებს სვლას.

ზეცისკენ მიმავალი გზა იესოს თქმით ვიწროა. ხშირად ის უცნაური მიმართულებით მიდის. ხან მაღლობზე, ხან კიდევ ვაკეზე ეშვება. მაგრამ ეს მშვიდობის გზაა. შენს გულში რწმენის მეშვეობით მარადიული, ზეციური სიხარული ცხოვრობს. ამიტომ იესოს სახელით მით იარე.

ვერ შეიცნეს ჩვენმა მამებმა შენი სასწაულები ეგვიპტეში; არ გაიხსენეს მრავალი წყალობა შენი და ზღვასთან აგიჯანყდნენ, წითელ ზღვასთან.

ფსალმუნი 106:7

მნიშვნელოვანია ღვთის მსჯავრის სიტყვები, მისი ერის საქციელზე წარმოთქმული ყურადვიღოთ. როდესაც ისრაელიანებმა იხილეს ფარაონი და მისი ჯარი უახლოვდებოდათ, პანიკაში ჩაცვივდნენ. ჯერ უფალს მოუხმეს. მერე კი შეუბრუნდნენ მოსეს და უთხრეს, „განა არ იყო ეგვიპტეში სამარხები, ამ უდაბნოში დასაღუპავად, რომ გამოგვიყვანე?“

ასეთი მოქმედება უზენაესის შეურაცხყოფაა.

ამ სიტყვის შუქზე მოდი, შენს ცხოვრებას შეხედე. ხშირად ღვთისათვის გასაჭირის ჟამს მოგიხმიათ, ხომ ასეა? სულ მცირე ხნის შემდგომ კი, ისე ფიქრობდი და საუბრობდი, თითქოს ღმერთი საერთოდ არ არსებობდა.

შენ უზენაესს შეეწინააღმდეგე.

მოუხმო უფალს, ხოლო შემდეგ ისე მოიქცე თითქოს მან არ გისმინა, ურწმუნოებაა.

ურწმუნოება კიდევ ის მთავარი ცოდვაა, რომელიც ქრისტიანის ცხოვრებაში უამრავ ცოდვას წარმოშობს. თუ ურწმუნოება მატულობს, მას შენ საბოლოოდ ღვთისაგან განდგომისაკენ მიყავხარ. ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთმანეთს, რომ რომელიმეს ურწმუნო და ცოდვილი გული არ ჰქონდეს, რათა ცოცხალ ღმერთს არ განუდგეს.

ცოდვის შეგნება ხშირად მორწმუნეებს აკლია. ამიტომ ცოდვათა აღიარებაშიც მოისაკლისებენ. ურწმუნოება ის ცოდვაა, რომლის მონანიება ღვთის შვილს ხშირად უწევს და მაინც იმ ცოდვად რჩება, რომელიც ღმერთს, როგორც მამას შეურაცხყოფს. ურწმუნოება არ ელის, რომ ღმერთი გასაჭირის ჟამს მამობრივ მზრუნველობას გამოიჩენს. ურწმუნო ღვთის სიტყვას არ ენდობა, ვინაიდან ღვთის აღთქმებს ამაოებად მიიჩნევს. მათთვის ისინი ამაო სიტყვებია, როდესაც რთული სიტუაცია თავს იჩენს.

ეს ქცევა ღვთის მიმართ სიძულვილის გამოხატულებაა. მის სიტყვას კვლავ და კვლავ ეწინააღმდეგები. თუმცა შენი ურწმუნოება ღვთის ერთგულებას ვერ აბათილებს. უფალი ისრაელს წითელ ზღვაში მაინც უძღოდა, მიუხედავად იმ ფაქტისა ისინი მას შეურაცხყოფდნენ.

უფალმა შენც გიხსნა. ამიტომ შენი ურწმუნოება მასთან უნდა მიიტანო. შენი მიტევება და განწმედა მასთანაა. ღმერთი თავისი მადლით გპატიებს, რათა აღთქმული მიწისაკენ შენი მოგზაურობის გაგრძელება შეძლო.

ავიდა ერთ ნავზე, რომელიც სიმონისა იყო. სთხოვა, ნაპირს ცოტა გაშორებოდა.

ლუკა 5:3

იესოს თხოვნაში საძნელო არაფერი იყო. ეს მხოლოდ ნაპირიდან ცოტათი ნავის მოშორება იყო, რათა იესო დამჯდარიყო და ხალხისთვის ნავიდან ესწავლებინა.

პეტრემ ის გააკეთა, რაც იესომ თხოვა.

ქრისტიანთა უმრავლესობას სურს, ღვთის მიერ გამოყენებულ იქნან. მათ საკუთარი კვალის დატოვება სურთ, მაგრამ არ ფიქრობენ, რომ უფალი მათ მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად გგზავნის. ყველაფერი ყოველთვის მცირე და უმნიშვნელო ჩანს. ამის გამო ისინი გვედზე დგებიან.

როდესაც უფალი მოგიწოდებს, ის მცირედში ითხოვს შენგან ერთგულებას. სნეულთა და მოხუცდა მონახულება, ნამდვილი ღვთის თაყვანისცემის გამოხატულებაა. დიახ, იესო ასეთ მსახურებას განკითხვის დღეს მოიწონებს.

ღვთის სასუფეველში რა არის დიდი? დიდია იესოს მიღება.

ვინ აკეთებს ამას?

ის ვინც ერთ ამ მცირეთაგანს იესოს გამო ღებულობს, ამას ის აკეთებს. იესო ადამიანთა თვალში, დიდი და მნიშვნელოვანი არ ყოფილა. თუმცა ის თავისში ზეცის მთელ სიმდიდრეს ატარებდა. ჩვენთვის იგივეა ის მსახურება, რაზეც უფალი მოგვიწოდებს. შესაძლოა ის არაშთამბეჭდავად გამოიყურება. თუმცა აღუწერელ სიმდიდრეს მოიცავს. მისი მეშვეობით თვით იესო ჩვენთან შესახვედრად მოდის.

დღეს იესო შენს ნავში ჯდება. შესაძლოა შენგანაც ნავის ცოტათი ნაპირიდან მოშორებას ითხოვს. დიდი რამ არ არის, რაც მას შენგან სურს. მაგრამ მას შენი დახმარება ჭირდება.

პეტრეს მცირედი მორჩილებით, დიდ და მდიდრულ საქმეს დაედო დასაბამი, რომელიც მთელი საქრისტიანოსთვის არის ცნობილი. შენი მორჩილება ძნელად თუ დადებს იგივე შედეგს. მაგრამ ნებისმიერი ის შემთხვევა ძალიან მაგარია, როდესაც იესო გიყენებს! ყველა მისდამი მსახურება, დიდებულია. მის განკარგულებაში რომ იყავი, სანანებელი არასოდეს გაგიხდება.

მრავალი ღვთის სასუფევლის თანამშრომელი, ყველასგან დაფარული სვეტი იყო. ხშირ შემთხვევაში ყველასგან შეუმჩნეველნი, მაგრამ იესო იცნობს მათ. ისინი იმდენად დიდები არ ყოფილან, რომ მცირე მასშტაბით უფლისთვის მსახურება ვერ გაეწიათ.

ჰკითხე იესოს, შენგან რის გაკეთებას ითხოვს. მიენდე მას და ემსახურე. ეს გზა კურთხევისკენაა.

ხედავდა რა ხალხს, ებრალებოდა ისინი, ვინაიდან დაუძლურებულნი და მიტოვებულნი იყვნენ, როგორც უმწყემსო ცხვარი.

მათე 9:36

არსებობს ისეთი ქრისტიანები, რომელთაც იმის დაჯერება უძნელდებათ, რომ იესოს ისინი მართლა უყვარს. თუ საკუთარ გულში ჩაიხედებიან, მათდა სამწუხაროდ იმის აღიარება უწევთ, რომ მათ იესო ისე არ უყვართ, როგორც უნდა უყვარდეთ. ამის გამო მათ არ ჯერავთ, რომ იესოს ისინი ნამდვილად უყვარს.

თუ შენ ასეთი გრძნობა გაქვს, ცდომილებაში იმყოფები. იესოს შენდამი სიყვარული, შენს მისდამი სიყვარულზე, როდია დამოკიდებული. ის შენში არაფერზე არ ეყრდნობა. ეს მხოლოდ მის გამო ხდება.

ვიდრე შენ მას იხილავდი, მისი თვალები თავიდანვე შენკენ იყო მოპყრობილი. შენ მისთვის უმნიშვნელო არ ხარ. ის დღითი დღე უკან დაგყვება. სასიხარულო და სიკეთის ჟამს, სიძნელესა და ძნელბედობისას, მისი თვალები მუდამ შენზეა.

იესოსთვის არაფერია დაფარული. ის ყველაფერს ხედავს. მაგრამ მისი თვალის არიდება არაფერს შეუძლია! ის შენდამი გულითად სიბრალულს განიცდის.

შენ რომ გაჭირვებაში იმყოფები, იესო ხედავს. შენი დროებითი სიძნელეები შესაძლოა დიდია. შენ იმის ცოდნა გმართებს, რომ მან მათ შესახებ იცის. ის შენდამი თანაგრძნობას განიცდის.

ყოველი მიწიური გაჭირვების უკან, იესო უფრო მეტ გაჭირვებას ხედავს, ის რაც ცოდვამ წარმოშვა. ის საშინელებაა. ის ღვთისგან გვაშორებს. ის კეტავს ცას და ჯოჯოხეთს აღებს. თუ დახსნილი არ ხარ, მაშინ მისგან თავისუფალიც არ ხარ. სატანამ ეს ბორკილი დაგადო. მისი მსახურები ცრუ სახარებას ქადაგებენ, რომელიც არსებით სახარება არ არის. ცოდვის საცდურით მას სურს მის მახეში შეგითრიოს.

მაშასადამე, უცოდინარობაში და უძლურებაში მყოფი ადამიანი მრავლადაა. მათ ჭეშმარიტი მწყემსი არ ჰყავთ. ხოლო ადამიანებს, საკუთარი თავის წინამძღოლობა არ შეუძლიათ.

ამის შემხედვარე იესო, სიბრალულით ივსება. მისმა გულითადმა სიყვარულმა, მას საკუთარი სიცოცხლის დადებისაკენ უბიძგა. მას ისე უყვარს, როგორც პიროვნება, რომელიც თავის სიცოცხლეს წირავს.

იესო შენ არ გთმობს. ის ამ მომენტშიც მოდის შენთან. ის მის სიტყვას შენი გულის გასახსნელად იყენებს. გარწმუნებს, რომ ვინც უმწყემსოდ დაეხეტება ყველას მწყემსია. ირწმუნე ეს და იესო შენი გახდება.

საიდუმლო უფლის მისი მოშიშებისთვისაა და თავის აღთქმას აუწყებს მათ.

ფსალმუნი 25:14

ღმერთი კმაყოფილი არ არის, როცა მისი შვილები მასთან იშვითად საუბრობენ. მისთვის ეს საკმარისი არ არის. მის სურვილი არ არის, რომ მას დროგამოშვებით აკითხავდნენ. მას მათთან ურთიერთობის მწველი სურვილი აქვს და სურს, თითოეული მათგანი თავისთან მიიზიდოს.

ამ დროს შენი ძველი ბუნება ამბობს არას. ის თავისით ღებულობს გადაწყვეტილებას. ხორცი წინააღმდეგობაში მოდის. ხშირად მას ღვთის გაგება არ ძალუძს და თუ მოხდა და გაუგო, არ ეთანხმება. ის მის რჯულს არ ემორჩილება და ამის გაკეთება უბრალოდ არც ძალუძს.

ღმერთთან სიახლოვის გზა, ჩვენი ცოდვილი ბუნების სიკვდილზე გადის. მისი მწრვთნელი ხელი ჩვენზე მუდმივად მძიმეა. რამდენი რამ არის, რისი აღსრულებაც გვევალება. საკუთარი თავისთვის ცხოვრება კი ძნელად კვდება.

მაგრამ ღვთის დიდებული განგებულობით, შესაძლოა ერთ დღეს ეს ყველაფერი ჩამოგშორდეს. თუ შენი თვალები მასზე დარჩება, მაშინ კითხვაც კი არ დაგებადება, რას ნიშნავს ღვთისმოშიშება. რადგან უფალი მას თავად შეგასწავლის.

უცნაურია ის რომ, ღმერთი თავის აღთქმას მხოლოდ ამის შემდეგ გაუწყებს. იყო ღატაკი და მცირე ძალა გქონდეს, ღვთის სასუფეველში დიდი რამ არის. ღმერთი მდიდრებს ხელცარიელს უშვებს. ხოლო ღატაკთ თავისი სიკეთით აღავსებს.

როდესაც ის, მისი მადლის აღთქმის უწყებას იწყებს, მრავალი საკითხი და პრობლემა უმნიშვნელო ხდება. გაოცებული ხარ, რადგან წარსულში ყველა კითხვაზე პასუხის მიღებას ცდილობდი, მაგრამ ახლა, ღმერთთან სიახლოვეს მის აზრებთან ბუნებრივად მიყავხარ.

მისი სიტყვის მეშვეობით, ის გიცხადებს, რომ — წუთისოფლის შექმნამდე — მან ქრიტეში აგირჩია, რათა მის თვალთა წინაშე, წმიდა და უმწიკვლო ყოფილიყავი.

ღმერთმა, რომელმაც მარადისობიდან სამყარო შექმნა, რომელიც ჩვენის აზრით უკიდეგანოა, მან იესოში მანამდე გცნო, ვიდრე რამის შექმნას შეუდგებოდა.

მას შენი ცოდვილი ბუნების გამო, შენზე არჩევანის გაკეთება არ შეეძლო. ამის აღსრულება მას იესოში მოუხდა. მის გამო ის შენ მარადიულად გენდობა და მის აღთქმას გაუწყებს, რათა შენთვისაც ცნობილი იყოს.

10 სექტემბერი

ნუ მივატოვებთ ჩვენს შესაკრებელს, ზოგიერთებს რომ სჩვევიათ.

ებრაელთა 10:25

სატანა ცდილობს საკუთარი საკრებულოს მიმართ კრიტიკულები გაგვხადოს. ის, მისი ძალების კონცენტრირებას ქრისტიანი ოჯახებიდან გამოსულ თინეიჯერებზე აკეთებს. ასევე ის ცდილობს ყურადღება გაგვამახვილებიოს ასაკოვანი ქრისტიანების შეცდომებზე და მათ დაჟინებულ მოთხოვნებზე, რადგან მათ ყველაფერი ძველებურად და ტრადიციული წეს-ჩვეულებით სურთ.

ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ საკრებულოში ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. ქრისტიანულ ოჯახებშიც იგივე მდგომარეობაა. მიუხედავად ამისა ჩვენ, არც ჩვენს ოჯახს ვტოვებთ და არც ჩვენს საკრებულოს.

მშობლებმა შვილებს უნდა მოუსმინონ, მაგრამ ახალგაზრდებმა ბრძანებები არ უნდა გასცენ. ახალგაზრდებიდან უამრავი რამის სწავლა შეგვიძლია. მათ ჩვენი დახმარება შეუძლიათ, რათა გარკვეულ ფორმებსა და ტრადიციებში არ გავიჭედოთ; მაგრამ საკრებულოში სულიერი კურსი და მიმართულება, იმ გამოცდილი და მოწიფული ქრისტიანებით უნდა იმართებოდეს, რომელთაც ღმერთმა და ქრისტიანებმა მოცემული საქმე მიანდეს.

ახალგაზრდებისათვის შესაძლოა ეს ძნელი რამ იყოს. ისინი ფიქრობენ, რომ მომავალი მათია. ამიტომ ზოგი მათგანი სასოწარკვეთილების გამო არსებულ საკრებულოს ტოვებს და სხვაგან გადადის.

თავიდან ყველაფერი კარგად და პერსპეკტიულად ჩანს. მაგრამ ახალი ადგილის სისუსტეებს დრო მაინც ყიდის. სინათლეზე გამოდის ის, რომ იქ უკეთესი არაფერია. ამ ახალი ურთიერთობით, თავს სახლში მაინც ვერ გრძნობენ. ისინი მსახურებას ხშირად აღარ ესწრებიან. ამის შემდეგ შეიძლება მესამე ადგილი სცადონ, მაგრამ რეზულტატი იგივე იქნება. ხოლო საბოლოოდ ისინი ნებისმიერ საკრებულოსთან კავშირს მთლიანად წყვეტენ.

განგაშისათვის ნამდვილი მიზეზი არსებობს. მრავალი მაგალითი გვაქვს იმისა, ადამიანები გაუბედურებული როგორაა, როდესაც ღვთის სიტყვის ურჩობაში ცხოვრობენ. როდესაც უფალი ამბობს, რომ შესაკრებელი არ უნდა მივატოვოთ, ეს მსოფლმხედველობა როდია, რომელიც განსჯის საგანი უნდა გახდეს. არამედ ის არის სიტყვები ღვთაებრივი ძალაუფლებით ნათქვამი და შეუძლებელია არ შევცოდოთ თუ მის იგნორირებას მოვახდენთ.

თუ ღვთის სიტყვა შენს საკრებულოში სწორად ჟღერს, მაშინ შენი ადგილი იქაა, თუნდაც უამრავი რამ იყოს, რასაც სხვანაირად ისურვებდი. უფალს შენი გამოყენება იქ უნდა, სადაც მოგათავსა. ის, როგორც წევრს ეკლესიისა, სიყვარულისთვის და მსახურებისათვის მოგიწოდებს. ამიტომ, შენი საკუთარი საკრებულოს ერთგული იყავ.

11 სექტემბერი

თქვა ფარაონმა: „ვინაა უფალი, რომ ვისმინო მისი ხმა და გავუშვა ისრაელი? არც უფალს ვცნობ და არც ისრაელს გავუშვებ.“

გამოსვლა 5:2

როდესაც იესოს მივყვებით, მოლოდინი გვაქვს, რომ უფალი ყველა დაბრკოლებას მოგვაშორებს. მაგრამ ეს ასე არ ხდება. პირიქით! მრავალმა ქრისტიანმა გამოცადა, რომ რაც უფრო შორს მიდიხარ უფლის გზაზე, მით უფრო მეტი და დიდია სიძნელეები.

მოსეს მისიის შესრულებისას საფრთხე ელოდა. ამიტომ აყოვნებდა ის, მაგრამ მიუხედავად ამისა ღმერთმა ის ფარაონთან წარგზავნა. მოსემ მას ის აუწყა, რაც ღმერთმა მას დაავალა. მაგრამ ფარაონი აბსოლუტურად არამიმღები აღმოჩნდა. მან დამცინავად განაცხადა, რომ ის ღმერთს არ იცნობდა და მის მორჩილებას არავითარ შემთხვევაში არ მოისურვებდა. მოსეს სიტყვებმა ისრაელთა მონობა კიდევ უფრო დაამძიმა.

ქრისტიანთა უმრავლესობა ნებდება, როდესაც ანალოგიურ სიტუაციში ვვარდებიან. ძალიან სწრაფად თავის თავს უთანხმდებიან, რომ ღვთის გზაზე არ დგანან.

ისწავლე მოსესგან! ის უფალს შეუბრუნდა და ყველაფერი მას აუწყა. ღმერთმა მისი მსახური არ უკუაგდო. მან ის თავისი სიტყვის განმეორებით გააძლიერა.

მოსემ ღვთის აღთქმები გულში ჩაიმარხა. მაშინ მოსესთვის ყველაფერი შეიცვალა. არა გარეგნულად. ყველაფერი, ვიდრე აქამდე უფრო გაძნელდა. მაგრამ მას სწამდა და ამის გამო მან ყველა სიძნელე უკუაგდო და წინ, უფლის ძალით განაგრძო სვლა.

დღეს მრავალი მონობის მიწაზე ცხოვრობს. ისინი სულ სხვა მიზნისთვის არიან ქმნილნი და განზრახულნი, მაგრამ ეშმაკი მათ ბორკილებში ამყოფებს. შეიძლება მდგომარეობა ისე ჩანდეს, რომ მათი ოდესმე დახსნა სრულიად შეუძლებელია.

შენ ლოცულობ და ლოცულობ, მაგრამ გარეგნულად არაფერი არ იცვლება. როდესაც შესაძლებელი გახდა სიტყვის თქმა სცადე, წერილი მიწერე ან წიგნი აჩუქე, მაგრამ რეზულტატი არანაირი. დროდადრო აზრი გიპყრობს, რომ საქმე უარესობისაკენ მიდის.

ჩვენ არანაირი გარანტია არ გვაქვს, რომ ვინმეს გადარჩენამდე მიყვანას შევძლებთ. მაგრამ ამის გამო არ უნდა დავნებდეთ. ყველაფერი შეიძლება უიმედოდ ჩანდეს, მაგრამ ასე არ არის. ჩვენ საქმე ღმერთთან გვაქვს — ის კი შეუძლებლის შემძლეა.

ნუ დაიღლები, ეძიე უფალი. ის კი თავის დროს მოვა მოქმედებაში.

12 სექტემბერი

მხოლოდ ღმერთს ელოდება სული ჩემი მდუმარედ (ინგ. მხოლოდ ღმერთში ვპოვე შვება), რადგან მისგან არის ჩემი იმედი.

ფსალმუნი 62:5

მიუღწეველი სიმდიდრეა ყველა მისთვის გამზადებული, რომელთა სული ღმერთში პოულებს შვებას. სატანამ ეს იცის. ამიტომ ყველა გზით ცდილობს, რომ ეს შვება შენ ვერ დაიმკვიდრო.

ის ცდილობს დაგაჯეროს, რომ შვების პოვნა შეუძლებელია, სანამ ყველა სადარდებელი არ მოგვარდება. მაგრამ ეს სიმართლე არ არის. დავითი და მრავალი მისი მსგავსი, ღმერთში შვებას პოულობდნენ, თვით ბრძოლისა და ქარიშხლის დროს. შენს ცხოვრებაში ქარიშხალია, რომელიც ხარ ერთი და ხან მეორე მხრიდან ქრის. რატომღაც სიმშვიდის მიღწევა ყოველთვის რთულია.

სატანა ცდილობს შენი მოსვენება სხვა მხრიდან ჩაშალოს. ყოველთვის, როცა ბიბლიის კითხვა გინდა, სხვადასხვა აზრებით და იდეებით გავსებს.

რის გაკეთებას აპირებ?

მწუხარებისა და ბრძოლის დროს, დავითი ამბობს, „მხოლოდ ღმერთს ელოდება სული ჩემი მდუმარედ.“ შენც იგივე უნდა თქვა.

ღვთის შვილი გრძნობების კონტროლის ქვეშ არ არის. ისინი მათზე არ უნდა უფლობდნენ. იესოს ნამოქმედარი საქმე, საუკუნოდ რჩება. მან შენი სული იხსნა და ღმერთთან მიიყვანა. მის წინაშე შენ მწუხარების, ეჭვის და დაურწმუნებლობის დროსაც დგახარ.

უფალში შვების პოვნა ყველას შეუძლია. წუთისოფლის ძალები და მისგან მომავალი ბრალდებები არაფერს არ ნიშნავს. არც ეშმაკის სიტყვები ნიშნავს რამეს. ის ღვთის ტახტიდან საუკუნოდ არის განდევნილი. მას შენი ბრალდება აღარ შეუძლია.

შენი თვალები ღვთის მიმართაა მიპყრობილი, რომელიც ტახტზე ზის. მან შენ უფსკრულისგან გიხსნა და კლდეზე დაგსვა, რომელი კლდეც თავად არის. ღმერთმა შენ შეურყეველი გაგხადა.

ღმერთი შენი ხსნაა. მისი ხელი, რომ შენზე არ იყოს, მიზანს ვერასოდეს მიაღწევდი. მაგრამ შენ ღმერთს უპყვრიხარ; და ეს ასე იქნება.

ღმერთი აგრეთვე შენი დაცვაა. შენი ცხოვრების ყოველ აღმავლობას და დაღმავლობას, მისი მფარველი ხელი იცავს.

ღვთის სახის წინაშე დგომით, სიცოცხლის ნათელი სიბნელეში აღწევს და შენ იმედითა და რწმენით ივსები.

13 სექტემბერი

ამიტომ მეც, როცა შევიტყვე თქვენი რწმენა უფალ იესოში და თქვენი სიყვარული ყველა წმიდანის მიმართ, არ ვწყვეტ ღვთისადმი მადლიერებას თქვენთვის, გიხსენებთ რა ჩემს ლოცვებში.

ეფესელთა 1:15-16

ეფესოს საკრებულო უდაოდ სრულყოფილი ეკლესია არ იყო. მათთან საჭირო გახდა საუბარი რისხვის, ქურდობის, ბილწსიტყვაობის, მეძავობის, უწმინდურებისა და ძუნწობის შესახებ. თუმცა იგივე საკრებულო პავლეს სიხარულით ავსებდა.

უამრავი ადამიანია, რომელნიც საკუთარი საკრებულოსთვის მადლიერებას ივიწყებს. მათი აზრით შესაცვლელი უამრავი რამ არის.

პირველი, რაც მათ საუბარში ჩანს სწორედ ეს საკითხებია. ზოგი ადამიანი გარკვეული დროის შემდეგ იშვიათად მოდის შეკრებაზე და საბოლოოდ მისი ადგილი სრულიად თავისუფალი რჩება.

ღვთის შვილთა შორის არსებულ სისუსტეებსა და შეცდომებზე თვალის დახუჭვა არ გვმართებს. მეორეს მხრივ, მათი უფალ იესოსადმი რწმენა და სიყვარული მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, მიუხედავად იმისა მათში სხვა უამრავი რამ შეიძლება იყოს.

მრავალ შვილს მშობლებმა ეკლესიის წევრებზე ნეგატიური საუბარი უქადაგეს. ჩვენს ერთმანეთზე საუბარს, მრავალხნიანი შედეგები შეიძლება მოყვეს. პავლე მის მეგობრებს შეაგონებს, რომ ცოდვა მოიშორონ და წმიდა ცხოვრებით იცხოვრონ. იმავე დროს, ის მათ ეუბნება, რომ მათთვის მადლიერებას არ წყვეტს. მისი შეხედულებით საკრებულო ეს ღმერთის საქმეა. თვით ყველაზე სუსტი ქრისტიანიც კი იესოში, ახალი ქმნილებაა. და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მათ ცოდვა არ აქვთ მოშორებული, საერთო ურთიერთობაში მაინც ერთმანეთი უყვართ, ვინაიდან ისინი ქრისტეს სიყვარულით არიან გაერთიანებულნი.

შენს მორწმუნე მეგობრებს შორისაც იგივეა? ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებით, მაგრამ იესოს რწმენა გაერთიანებთ. რა იქნებოდით, რომ არა იესოს რწმენა და ვინც მას ეკუთვნით თქვენი ურთიერთობა, როგორი იქნებოდა?

როდესაც ღვთის ხალხთან იმყოფები, დროდადრო გულში თბილ ნაკადს ხომ არ გრძნობ? შინაგანი ხმა არ გეუბნება, რომ თქვენ იმ ცოდვილებს ეკუთვნით, რომელნიც მადლით არიან დახსნილნი? განა პავლეს მსგავსად ღმერთს ყოველი მისი შვილისთვის არ უნდა მადლობდე?

დარჩენილნი, ტყვეობას რომ გადაურჩნენ, იქ, თავის სამშობლოში, დიდ უბედურებასა და სირცხვილში არიან; იერუსალიმის გალავანი დარღვეულია, მისი კარიბჭენი კი ცეცხლით გადამწვარა.“

ნეემია 1:3

ღმერთის ხალხი ისრაელის მსგავსად, შეჭირვებულია. ჩვენი გალავანიც მორღვეულია. ღვთის ხალხიდან ძალიან ბევრმა, საღი მოძღვრება დაკარგა. პირველ რიგში ეს ეხება, ბიბლიასთან კრიტიკული აზრით მისვლას.

ედემში ეშმაკი ევას ეკითხება, „ნუთუ მართლა გითხრათ ღმერთმა?“ დღეს ის, ზოგიერთი ეკლესიის მსახურით იგივე კითხვას სვამს. ესენი არიან ულმობელი მგლები, რომელთა შესახებაც პავლე საუბრობდა (საქ.20:29). ისინი არ დაინდობენ სამწყსოს. ისინი ჩვენგან აღდგებიან და მსხვერპლის ძებნას დაიწყებენ.

მრავალი ვინც თავის თავს ქრისტიანად მოიაზრებს, ღვთის სიტყვას კითხვის ქვეშ აყენებს. მათი აზრით ყველაფერი, რასაც ის ამბობს, ყურადსაღები არ არის. ასეთი მიდგომა საშიშია. ის ინდივიდს მოსამართლის ხარისხში აყენებს.

საკრებულოში მრავალი უფრო უმრავლესობის აზრზეა დამოკიდებული, ვიდრე სიტყვის ნათელ განაცხადზე. ადამიანები ამბობენ, ბიბლიაში იმდენი რამ არის, რაც იმ დროის პერიოდს შეესაბამება. ისინი საუბრობენ წინააღმდეგობებსა და შეცდომებზე. შედეგად კი ისეთი ბიბლია გვრჩება, რომელსაც ადამიანებმა ძალაუფლება მთლიანად გამოწურეს.

ბიბლიის ფარული კრიტიკის მეშვეობით, ღვთის ხალხის მცველი გალავანიც ბოლომდე მორღვეულია. ვიღაც ღვთის სიტყვის სწორ ხედვას იცავს, სხვანი კი მას არ ემორჩილებიან. ასეთნი სინდისს, მუდამ საკუთარი ბიბლიური შეხედულებით იწყნარებენ.

ცოცხალი ქრისტიანი, რასაც ღმერთი თავის სიტყვაში ამბობს ენდობა და მის შესაბამისად ცხოვრობს. ყოველდღიურად მარცხს განიცდის. ამიტომ მადლის მიღება, ყოველდღიურად ჭირდება.

როდესაც უდიდეს სულიერ გაჭირვებას აქვს ადგილი, ის თავის თავს ღვთის ხალხზე მაღლა არ აყენებს. არა, ასეთნი ნეემიას მსგავსად თავის თავს ერთან აიგივებს და არსებული საჭიროება ღვთის წინაშე ლოცვით მიაქვს.

ღმერთს წარსულში სასწაულები აქვს მოხდენილი. მისი გაკეთება ისევ შეუძლია. უდაბნო ვარდების ბაღად შეიძლება გადაიქცეს. ღვთის სიტყვა შეიძლება ჩვენს დაცვად იქცეს. მისი სახელი კვლავ სანდო იქნება და მის ნებას ადამინები კვლავ გაჰყვებიან. უფალო, დაე ეს ყველაფერი შენი მადლით მოხდეს!

რადგან რაც რწმენით არაა, ცოდვაა.

რომაელთა 14:23

ოდესმე ამ სიტყვაზე დაფიქრებულხართ? მას შენს ცხოვრებაში, ისეთი ადგილი თუ დაუკავებია, რომ, რაც რწმენიდან არ მოდის, ყველაფერს ცოდვად მიიჩნევ?

ის წყევლა, რომელიც ადამიანური განსჯიდან მოდის, აგირიდებია თუ არა? შესაძლოა ის ვიღაცის თვალში ღვთიურად და სწორად ჩანდეს, ხოლო შენ აზრადაც არ მოგდიოდეს, რომ ღმერთი იმავე საკითხს განსხვავებულად უყურებს.

ჩვენ მრავალი რამის კეთება მოგვიწევს, როგორც საკუთარ, ასევე სხვის ცხოვრებაში, მაგრამ ეს ყველაფერი ღმერთს პატივს ვერ მიაგებს. ის მას ისე თვლის, როგორც ხელთქმნილით თაყვანისცემას. ფაქტიურად პატივი ამ დროს ჩვენ გვენიჭება. უფალი კი მათ არ ცნობს. მისი ხედვით ის ცოდვაა.

სიფრთხილეა საჭირო, სხვა შემთხვევაში შენს გზას აირჩვე და არა უფლისას. მის წინაშე უნდა იყუჩო. თუ ასე არ მოიქცევი, შენს ცხოვრებაში რწმენით არაფერი არ მოხდება.

„საიდუმლო უფლისა მისი მოშიშებისთვისაა და თავის აღთქმას აუწყებს მათ,“ ამბობს დავითი (ფსალ. 25:14). მან ეს თავად გამოცადა. მისი ისტორია იმ ქმედებების შესახებ მოგვითხრობს, რაც უფალთან მისი სიახლოვის განმავლობაში არ შეწყვეტილა. როდესაც მან ღვთის კურთხევის გაზომვა ადამიანთა თვალით გადაწვიტა, მაშინ მან თავის თავზე და ისრაელზე, ღვთის წყევლას მოუხმო.

ღმერთი აგრეთვე შენს გულს იკვლევს. ის მუდამ ქმედების სათავეს ეძიებს. ნებისმიერ, შენით წარმართულ მსახურებას, ის არ აკურთხებს. უფლის თვალში ის ცოდვაა.

ლუთერმა ეს თავისი მწარე გამოცდილებით ისწავლა. მისი ღვთისმოსაობა, როგორც ბერისა, ფაქტიურად ცოდვა იყო. თუ ჩვენი გზით გვინდა სიარული, ის გზა ყოველთვის ცოდვა იქნება.

ამიტომ იესო დღეს შენ თავისკენ გიხმობს, ახლო, ცხოვრებისეული თანამშრომლობისკენ. მას სურს გიწინამძღვროს. მას სურს რჩევა მოგცეს. ის ამას თავის სახის შენდამი მოპყრობით აკეთებს. მაშასადამე, შენ მის წინაშე მუხლის მოდრეკა გმართებს. შენით, არაფერი ხარ. ყველა შენი ზრახვა და მცდელობა წახდება. თუმცა იესო ბრმას მისთვის უცნობი გზებით ატარებს. შენს უმწეობაში, ის არის ძლიერი. თუ ხელს მას ჩაჭიდებ, ის რწმენის გზაზე და სარგებლის მომტან მორჩილებისკენ წარგიძღვება.

16 სექტემბერი

დაჟინებით გვთხოვდნენ, რომ წმიდანთა მომსახურებაში მოზიარეობის უფლება მიგვეცა.

2 კორინთელთა 8:4

მაკედონიის ეკლესია დიდ მატერიალურ საჭიროებაში იმყოფებოდა, მაგრამ მათ წმიდანთა მომსახურება სხვის ხელში არ დაუტოვებიათ. უფრო მეტიც! „მათი სიხარულის სიუხვე და მათი სიღატაკის სიღრმე, უხვად გამოიხატა მათი ხელგაშლილობის სიმდიდრეში“ (2 კორ. 8:2). ამიტომ ისინი დაჟინებით თხოვდნენ პავლეს, რათა იმ პრივილეგიის მონაწილენი ყოფილიყვნენ, რაც წმიდანთა მომსახურებაა. ისინი მათი შესაძლებლობის მიღმა იძლეოდნენ და არა მარტო თანხას, არამედ ღვთის ნებით საკუთარ თავსაც კი.

ჩვეულებრივ მდიდრები ღვთის სასუფეველს მეტს არ აძლევენ. ეს ისინია, რომელთაც თავისთვისაც არ აქვთ საკმარი. სიმდიდრემ მრავალი გული დაკეტა და ადამიანთა საჭიროებების მიმართ უგრძნობი გახადა. რაც უფრო მეტს იღებ, მით უფრო მეტი გინდა. ისე ჩანს, გაცემა მაშინ უფრო ადვილია, როცა ბევრი არ გაქვს.

ყველა ქრისტიანისთვის გაცემა სიხარულის მსახურება როდია. ოდესმე გაგიკეთებია ასე? იმათ რიცხვში შენც ხარ, რომელიც მისიონერული საქმისათვის რეგულარულად იძლევა?

ამ საქმეში თანამონაწილეობა, რა დიდი კურთხევაა! სამყარო ადვილად ვიწროვდება და აზრები მხოლოდ საკუთარ თავზე ტრიალებს. თუმცა, თუ გასცემ, შენი ძღვენის მიმღებს დაუკავშირდები. რა დიდი სიხარულია, როდესაც ადგილობრივ თუ მისიაში წასულ მსახურებს გულით ატარებ! ყოველდღიურ ცხოვრებაში ის უდიდეს პერსპექტივას იძლევა, რათა იმ დიდებული საქმის ნაწილი იყო, რაც ყველაფერზე აღმატებულია: დედამიწაზე ღვთის სასუფევლის გავრცელება.

ყველაფერი, რაც საკუთრებაში გაქვს, სესხად გაქვს. ყველაფერი უკან უნდა დააბრუნო — თუ მანამდე არა, შენს უკანასკნელ ღამეს მაინც. თუმცა ის დღეს შენს განკარგვაშია. არ დაივიწყო მისიები. მსხვერპლის გაღების გულმოდგინებასა და ჩვენს მიერ წარგზავნილ მისიონერთა რიცხვს შორის არსებობს კავშირი.

ჯერ კიდევ კარი ღიაა. არ ვიცით ეს ასე სანამდე იქნება; მაგრამ იესო ამბობს, მოდის ღამე, როდესაც ვერავინ ვერ შეძლებს კეთებას. ამიტომ სანამ დროს გვაქვს, არსებული შესაძლებლობები უნდა გამოვიყენოთ.

როდესაც ღვთის ხელში, რაღაცას ჩადებ, მაშინ ის სხვა რამით გაკურთხებს. სიხარულით გამცემსა და ღმერთს შორის, განსაკუთრებული ურთიერთობაა. ღვთის სიტყვა გვეპატიჟება, რათა მის მიერ შემოთავაზებული განვიცადოთ. იმედი არ გაგიცრუვდება. ღმერთი ყოველთვის უხვად უზღავს.

17 სექტემბერი

იმ დღეებში მთაზე სალოცავად ავიდა და მთელი ღამე ღმერთისადმი ლოცვაში გაატარა.

ლუკა 6:12

ადამიანი თავის ცხოვრების განმავლობაში გადამწყვეთ არჩევანს არა ერთხელ იღებს. როდესაც არჩევნის წინაშე დადგები და ვიდრე გონებას განაწყობ, კონსულტაცია ღმერთთან გაიარე. უდიდესი საშიშროება ახლავს თან, თუ გადაწყვეტილებას მიიღებ და შემდეგ მის კურთხევას ღმერთს თხოვ. ღმერთი ასე ვერ დაკმაყოფილდება. მისი სურვილია არჩევნის მიღების დროს თავად გიწინამძღვროს.

შენ იესოდან უნდა ისწავლო. მან მთელი ღამე ღმერთთან ლოცვაში გაატარა, ვიდრე ის თავის თორმეტ მოწაფეს აირჩევდა.

მას შემდეგ, რაც ვილოცეთ, შეგვიძლია არჩევნის სისწორეში დარწმუნებული ვიყოთ?

რამდენად სწორი არჩევანი გააკეთა იესომ, როდესაც მომდევნო დღეს მან იუდას თორმეტ მოწაფეთა შორის მოუხმო? ჩვენი ადამიანური აზროვნებით ეს შეცდომა იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა ის სწორი იყო.

ეს არჩევანი მას ძვირად დაუჯდა. იუდასთან გატარებული თითოეული დღე, მას ტვირთად ექცა. მხიარულების ჟამს თავის მოწაფეთა გარემოცვაში, როგორც კი გამცემის სახეზე მისი თვალები შეჩერდებოდა, უთუოდ მასში ტკივილი ლახვარივით გაივლიდა. იესომ თავიდანვე იცოდა, რასაც ის მისი მოძღვრის წინააღმდეგ მოიმოქმედებდა. მან ისიც იცოდა ყოველივეს, როგორ დაასრულებდა. მიუხედავად ამისა, ის მას არ მოუშორებია. არ მიუტოვებია. წყნარად და თავმდაბლურად თავის გამცემთან ერთად გზა იმ საღამომდე გაიარა, ვიდრე მისი გამცემი თავის გასაკეთებელს არ აღასრულებდა.

იესომ იმ ღამის ლოცვის შემდეგ იცოდა, რომ იუდა რჩეულთა შორის იყო.

შესაძლოა მიღებული არჩევანი არასწორად მოგეჩვენოს, თუნდაც მისთვის ნალოცი გქონდეს. მაგრამ მის დაჯერებას ნუ იჩქარებ. ღვთის გზები ჩვენი გზები როდია. მისი აზრები ჩვენსას აღემატება. შენ ყველაფერს ვიწროდ ხედავ, მაგრამ მის წინაშე მთელი სურათია გადაშლილი.

იესოს იუდასთან ერთად სიარული მოუწია. პავლეს თავისი სხეულით ეკლის ტარება მოუხდა. ღმერთმა შეიძლება ისეთი რამ დადო შენს ცხოვრებაზე, რომელსაც ვერ იგებ. მიუხედავად გაგება არ გაგებისა, ის ღვთის გადარჩენის გეგმას ემსახურება. მიუხედავად იმისა მას ღვთის მსახურების დაბრკოლებად მიიჩნევდე, მოცემული ტვირთი მაინც გეხმარება სწორი მიმართულებით იარო, იქ, სადაც იესო თავის მადლით შეგხვდება.

ამ დროს კარგია შეგეძლოს თქმა: ამის შესახებ იესოს ველაპარაკე. მან კი მიპასუხა, „საკმარისია ჩემი მადლი.“

18 სექტემბერი

ის კი ჩვენი ცოდვებისათვის იყო დაჭრილი, ჩვენი ურჯულოებისათვის იყო შემუსვრილი.

ესაია 53:5

შენში მაშინვე ყველაფერი წყნარდება, როდესაც უფალი თავისი სიტყვის მეშვეობით, მის დაჭრილ და შემუსვრილ ძეს გაჩვენებს. ეს საშინელი სანახაობაა. „არც გარეგნობა ჰქონია და არც სიდიადე, რომ შეგვეხედა მისთვის, არც იერი, რომ მივეზიდეთ." თავზარდამცემია, როდესაც ღმერთი ამბობს, რომ იესო ჩემი ცოდვებისათვის და ურჯულოებისათვის იყო დაჭრილი, შემუსვრილი და ღვთის მიერ გატანჯული.

ამ დროს არაფრის გაკეთება არ შემიძლია გარდა კითხვის დასმისა: ნუთუ ჩემი ცოდვა, ღვთისგან ასეთ მკაცრ სასჯელს იმსახურებს? იმავე დროს საკუთარ თავს უნდა ვუთხრა: ღმერთი თავის ძეს რისხვისა და სასჯელის ადგილზე არ დააყენებდა, ამის საჭიროება, რომ არ ყოფილიყო.

ამიტომ, ჯვარცმულ მხსნელს საკუთარი თავი უნდა დავუმორჩილო. ეს საკუთარ თავზე დარცხვენილმა უნდა გავაკეთო. „ვიცი ჩემში, ანუ ჩემს ცოდვილ ბუნებაში, არაფერი კარგი არ ცხოვრობს." დღიდან ადამიანის დაცემისა, ყველაფერი გველის შხამით არის გაჟღენთილი.

დაფიქრდით იმ ფაქტზე, რომ იესომ მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო. მან ღმერთს ნება დართო ის ცოდვად ექცია. შემდეგ სასჯელს დაექვემდებარა. რისხვის თასი ბოლომდე შესვა.

გამოუხატველი მწუხარება მეუფლება, როცა ვფიქრდები, თუ იესოს ჩემს გამო, რისი გადატანა მოუხდა.

იმავე დროს გული სიხარულით მევსება. იესომ ჩემი ცოდვაც და სასჯელიც იტვირთა. მისი სიყვარული იმდენად დიდია, მისი ჩაწვდომე მე არ ძალმიძს.

როგორ უნდა გადავუხადო მადლობა, როდესაც ბოლომდე არც კი მესმის, რისთვისაც უნდა ვმადლობდე?

ერთი რამ კი ნათელია: მას დღეიდან უნდა შევუდგე და ვილოცო, რომ მის მიმართ გულითადი მადლიერება არასოდეს შევწყვიტო.

19 სექტემბერი

არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა.

მათე 7:23

რა საშინელი სიტყვებია! დაფიქრდი, რომ მათ იესო ამბობს. ეს მაშინ იქნება ნათქვამი, როდესაც მონანიება უკვე გვიანია. ისეთი კატეგორია ადამიანებისა იქნება, რომელნიც ამ სიტყვებს, როგორც იესოსგან ნათქვამ უკანასკნელ სიტყვებს ისე მოისმენენ. შემდეგ კი მარადისობას იესოსგან დაშორებული გაატარებენ. ეს სიტყვები მუდმივად მათ ყურში დარჩება: „არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა!"

მე მესმის შენი, თუ ყველაფერზე მეტად გეშინია, რომ იესომ ეს სიტყვები არ გითხრას. მაშინ ყველაფერი დაიკარგება და დაღუპვა საბოლოო განაჩენი გახდება. საიდან შეგიძლია გაიგო, იესოს ბაგიდან მომავალ ამ სიტყვებს მოისმენ თუ არა? არის გზა, რომელზეც უნდა იარო. მიღწეულს ყურადღება არ მიაქციო. როგორც გახსოვთ მთის ქადაგების ბოლოს იესო ამბობს, რომ მრავალი მისი სახელით საოცრებებს მოიმოქმედებენ. ეს საქმეები მათ აფიქრებინებს, რომ ის მათ იცნობს. მაგრამ ისინი ცდომილნი იქნებიან.

ყველაფერი რაც მათ გააკეთეს, კანონსაწინააღმდეგო იყო. მათ ეს, იესოსთან ცოცხალი რწმენით ურთიერთობის გარეშე მოიმოქმედეს.

აგრეთვე ერთი გარემოებაა თვალშისაცემი, როდესაც ისინი იესოს ხვდებიან, საკუთარი მსახურებით არიან დაკავებული და არა იესოს მათთვის აღსრულებული გამომსყიდველი და მსხვერპლშეწირვითი მსახურებით.

რა ავსებს შენს გონებას? ხარ თუ არა ის ღატაკი, რომელსაც წყალობისათვის ვედრება მმართებს? გაქვს გულითად რწმენა, რომ მხოლოდ იესოს სისხლია გადარჩენის საფუძველი?

თუ პიროვნება თავის თავს გამოიკვლევს, აღმოაჩენს თუ რაოდენ ღარიბია. თითქოს ყველაფერი ქრება და ხელჩასაჭიდი არაფერი რჩება. ამ დროს მან უნდა იკითხოს: მართლა ღვთის შვილი ვარ? მიცნობს კი იესო?

კარგი ნიშანია თუ შენ, მარადისობის კითხვასთან სერიოზული დამოკიდებულების გამო, მადლის ტახტთან გაიქცევი. იქ შენ მოგიწევ უთხრა იესოს: მე არაფერი გამაჩნია და არარაობა ვარ. მაგრამ შენ გეჭიდები! ერთადერთი ჩემი იმედი შენ ხარ.

ეჭვი არ გმართებს. იესო შენ გიცნობს. ფსალმუნი 91:14 ამბობს: „ვინაიდან შემიყვარა," ამბობს უფალი, „გადავარჩენ, დავიცავ, რადგან იცის ჩემი სახელი."

20 სექტემბერი

ამის შემდეგ ვიხილე, აჰა, ღია კარი ცაში.

გამოცხადება 4:1

კარგია იმის დაკვირვება, თუ ეს მუხლი რას არ ამბობს. ჩვენს ყურადღებას მისი ნათვამი იზიდავს. როდესაც იოანეს ნება მიეცა ზეცა ეხილა, მან ისეთი კარი კი არ იხილა, რომელიც იღებოდა, არამედ კარი, რომელიც უკვე გაღებული იყო. ამის მეშვეობით მას მიეცა გამოცდილება, რომ ჩვენ იესოზე მინდობა შეგვიძლია. ის ჭეშმარიტებას ამბობდა, როცა თქვა: „ამიერიდან იხილავ გახსნილ ცას.“

სტეფანეს, პირველ ქრისტიან მოწამეს, იგივე ნება მიეცა. ვიდრე სასიკვდილოდ ჩაქოლავდნენ, მან თქვა, „აჰა, ვხედავ გახსნილ ცას.“

ღვთის შვილი გახსნილი ცის ქვეშ ცხოვრობს. ცის კარი მაშინ არ გაიხსნება, როდესაც მის წინაშე დადგები. ის უკვე ღიაა.

როდესაც შენი მხსნელი, ჩვენი უფალი იესო ქრისტე ამ კარის წინ დადგა, ის გაიღო და ის არასოდეს დაიკეტება იმ პიროვნებისათვის, რომელიც ცოდვისაგან შეჭირვებული თავშესაფრის მოსაძებნად მასთან გაიქცევა. ეს ღია კარი ადვილად გვავიწყდება. როდესაც ისრაელმა აღთქმულ მიწაზე წარმატებას მიაღწია, მან ის ღმერთი დაივიწყა, რომელმაც მას ყველაფერი მისცა.

„ადიდე სულო ჩემო უფალი, და არ დაივიწყო მთელი მისი სიკეთე“ (ფსალ. 103:2). არ დაივიწყო ღია ცა, როდესაც უფალი სიკეთეს მისგან გაღვრის. ნურც მაშინ დაივიწყებ, როდესაც შავი ღრუბელი შენს თავზე შეგროვდება. როცა ყველა გზა დაკეტილია, უნდა იცოდე, რომ არის კარი, რომელიც ღიაა. ეს ის კარია, იესომ რომ შეაღო. ის ისე აღებს, რომ არაფერს და არავის მისი დარაზვა არ ძალუძს.

მან შენსა და ღმერთს შორის ყველა დაბრკოლება მოხსნა, როცა თავისი სისხლი გოლგოთაზე დაღვარა. კარი, პირდაპირ ღვთის გულში გაიღო. თუ შენ იესოსთან ერთად იცხოვრებ, ცოდვა და სასოწარკვეთა იმ კარს ვერ დაკეტავს. შენ მადლიანი ღია ცის ქვეშ იცხოვრებ. მალე კი სასუფეველში წახვალ, სადაც საუკუნოდ მასთან იქნები, რომელმაც ჯვარზე შენთვის ყველაფერი გააკეთა.

21 სექტემბერი

იმ ადამიანთა მსგავსად...დაბრუნებას რომ ელიან...

ლუკა 12:36

დაკვირვებიხარ ოდესმე ადამიანებს, როდესაც რაღაცის მოლოდინში არიან? თუ არა, უნდა დააკვირდე. იესო მათ მაგალითის სახით იყენებს, რათა გაკვეთილი ჩაგიტაროს.

მატარებლის სადგურში ადამიანთა გრძნობა, პარკში არსებული გრძნობისგან განსხვავდება. ძირითადად ბაქანზე მდგომი ადამიანები, ძირს არ სხდებიან. გარკვეული ინტერვალით საათს მიაჩერდებიან და თვალს იმ მხარეს შეავლებენ, საიდანაც მატარებელს ელოდებიან. როგორც კი მნათ წერტილს დაინახავენ, იციან, რომ ის სულ მალე გაჩერებაზე მოვა. მაშინ ისინი მატარებელში შედიან და ის კარგა ხნის მანძილზე აღარ ჩერდება.

ჩვენი გადასახედიდან, მას შემდეგ რაც იესომ თავის მეგობრებს მოლოდინისკენ მოუწოდა, დიდი ხანი გავიდა. მარადისობის ჭრილით კი, ორი ათასი წელი წამია. მრავალი წლის განმავლობაში, იყვნენ ადამიანები, რომელნიც მაშინაც ლოდინს განაგრძობდნენ, როცა სხვა ძილს მიეცა. მათ ლამპრის გადამოწმება დაივიწყეს, მასში ზეთი კიდევ იყო თუ არა.

ღმერთმა ჩვენ საათი მოგვცა, რომელიც აჩვენებს, რომ იესოს მეორედ მოსვლა ახლოა. ეს საათი მრავალი ნიშნით შედგება, რაც იესოს მოსვლას წინ უსწერებს. შეუძლებელია ბიბლია იკითხო და წუთისოფელს გაკვირვებით არ შეხედო. ის დრო ღმერთმა უწყოდა, რომელშიც ვცხოვრობთ და ეს მის სიტყვაში აღწერა. ეს იმის მსგავსია, დისტანციაზე არსებულ ნათელს რომ ვხედავთ. ახლა კი ერთმანეთს თამამად შეგვიძლია ვუთხრათ: იესოს მოსვლამდე ბევრი აღარაა დარჩენილი.

მცირე დროით ლოდინი, სწორად უნდა იქნას გამოყენებული. საკუთარ თავს უნდა ჰკითხო: მზად ვარ? მაცვია კი საქორწილო სამოსელი? იმათ რიცხვში ვარ ვისაც მიიღებენ, თუ გარეთ ვიქნები დარჩენილი?

აგრეთვე მოვიდა ჟამი, რათა სხვებს შევახსენოთ, რომ იესო მალე მოვა. უამრავი ადამიანი, მასზე ფიქრის გარეშე ცხოვრობს. იესოს კვლავ გამოჩენა, მათთვის შოკისმომგვრელი იქნება. წარმოიდგინე გარეთ დგახარ და დაკეტილ კარზე აკაკუნებ. მოდით, ლოდინის ჟამი სწორად გამოვიყენოთ.

უფალმა უდიდეს მისიონერულ საქმეში ჩაგვრთო. სახარება წუთისოფლის კიდეებამდე ნაქადაგები უნდა იქნეს. ამის აღსრულება მსახურებით, შეწირვით და ლოცვით არის შესაძლებელი.

მეფის დავალება გადაუდებელია!

22 სექტემბერი

განა ყველანი მომსახურე სულები არ არიან, მათთვის სამსახურად წარმოგზავნილნი, ვინც გადარჩენა უნდა დაიმკვიდროს?

ებრაელთა 1:14

ეს სიტყვები ანგელოზებზე საუბრობს. ნათქვამიდან გამომდინარე იცი, რომ ღმერთს ურცხვი ანგელოზთა ჯარი ჰყავს. ისინი მის მსახურებას ეწევიან და მის განკარგულებაში არიან. ის დროდადრო მათ დასახმარებლად გგზავნის, ვინც გადარჩენა უნდა დაიმკვიდროს.

ანგელოზები ბიბლიაში ბევრჯერ არის ნახსენები. ვიღაცას უკვირს, მათზე საუბარი რატომ უფრო მეტჯერ არაა. როგორც იცით მათ უდიდესი ძალა აქვთ. აშკარაა ღმერთს უნდა, ანგელოზთა თაყვანისცემის ცოდვისგან გვიხსნას. ყურადღებას მათზე გადატანა ჩვენთვის საშიშროებას წარმოადგენს. პატმოსზე მოციქული იოანე, ანგელოზის ფერხთა წინაშე დაემხო, მაგრამ მან მისი თაყვანისცემისაგან შეაჩერა. ანგელოზები, მხოლოდ ჩვენი თანა-მსახურები არიან. თაყვანი მხოლოდ ღმერთს უნდა ვცეთ.

ანგელოზებს ამოცანა აქვთ მიცემული. ეს შენი დახმარებაა, რათა გადარჩენა დაიმკვიდრო. შენ მას ვერ გამოიმუშავებ. ეს იესომ გააკეთა. მისი საქმე გაუმჯობესებას არ ექვემდებარება. ის უბრალოდ უნდა დაიმკვიდრო, ხოლო ანგელოზები ამ საქმეში გეხმარებიან.

სატანა და მისი სულების არმია შეეცდება, ყოველ შენს საქმეში წინააღმდეგობები შეგიქმნან. მათი სურვილია მემკვიდრეობის მიღება არ დაგაცალონ. როგორ მოახდენენ ამას, მათთვის ეს მეორეხარისხოვანია, მთავარია მიზანს მიაღწიონ.

ამ სულიერ ბრძოლაში შენ მცირე და უმწეო ხარ. სატანა ძლიერია და ის ყოველმხრივ გებრძვის. ამისათვის, ღვთის სრული საჭურვლით შემოსვა გმართებს. დაცვის მიზნით ანგელოზების ხმობა კი არა, არამედ უფლის მიმართ ლოცვა გმართებს. მაშინ ის შენდა სამსახურად, ანგელოზებს წარმოგზავნის.

ჩვენ არ ვიცით ღმერთს რა სიხშირით გაუკეთებია ეს, მაგრამ დარწმუნებული შეგვიძლია ვიყოთ, რომ ეს ხშირად ხდება. ზეციდან რომ უფალი არ გვეწეოდეს, მაშინ სამკვდროს, რომელიც იესომ ჩვენთვის მოიპოვა, მთლიანად დავკარგავდით.

უფალი დროდადრო, ბნელ და საშიშ ველებზე გვატარებს. შესაძლოა შენ ამჟამად დეპრესიისა და სასოწარკვეთის ველზე იმყოფები. თუ ეს ასეა, უნდა იცოდე, რომ მარტო არ ხარ. შენი გაჭირვება ღმერთმა იხილა და შენკენ ნაბიჯი გადმოდგა. მან შენ ცეცხლოვანი ანგელოზებით გალავანი შემოგარტყა.

თუ ეშმაკს შენს მიმართ მხოლოდ ერთი მიზანი აქვს, ასეა ღმერთთანაც. მისი სურვილია გადარჩენა დაგამკვიდრებინოს. ხოლო ანგელოზები მას ამ მიზნის მიღწევაში ეხმარებიან.

23 სექტემბერი

და ფერი იცვალა მათ წინაშე.

მათე 17:2

იესომ თავისთან სამი მეგობარი წაიყვანა. მხოლოდ ისინი ავიდნენ მთაზე. შესაძლოა მთაზე გართულებული სვლისას, მისი გადაწყვეტილება უკვირდათ. რისთვის გამოყო ისინი დანარჩენთაგან? რატომ არ აირჩია ადვილი გზა? რატომ ისურვა ასე?

შენს ცხოვრებაშიც დგება ისეთი ჟამი, როდესაც მსგავს კითხვებს სვამ. შენ არ გესმის მისი. სხვებისგან გამოგყო და მისი გზა უცნაურად გეჩვენება.

გიფიქრიათ ოდესმე, რომ იესოს ისეთი განზრახვა აქვს შენზე, როგორც თავის მოწაფეებზე?

მისი სურვილია შენს წინაშეც ფერი იცვალოს.

მოწაფეები მას დიდი ხნის მანძილზე დაყვებოდნენ. ისინი მის სიტყვებს ისმენდნენ და მის მრავალ სასწაულს ხედავდნენ. მათზე უკეთ იესოს ვინ იცნობდა?

თუმცა იესო გულს უყურებს და მან იცოდა, რომ მოწაფეები მისი დიდების ხილვას საჭიროებდნენ. ის შენს გულსაც იცნობს. მისი სურვილია მისდამი ღრმა შემეცნებაში შეგიყვანოს.

მოწაფეებმა იესო მოსესთან და ელიასთან ერთად იხილეს. მათ ის გაცილებით დიდი სურათის ნაწილად აღიქვეს. იგი, ის წინაწარმეტყველი იყო, რომელიც ღმერთმა მოსეს აღუთქვა, ხოლო ელიას მსგავსად ზეცად ამაღლდებოდა.

შენ წუთისოფლის შექმნამდე იყავი მისთვის ცნობილი და მისგან არჩეული. ერთადერთია, რომელსაც სიცოცხლის აზრის მინიჭება შეუძლია. ის ყოველივეს სულ სხვა პერსპექტივით ხედავს, ვიდრე შენ და მისი მთავარი მიზანი შენს გულში განდიდებაა.

მოწაფეებთან აი, ეს მოხდა. ბოლოს მათგან ვისაც ხედავდნენ, მხოლოდ იესო დარჩა.

ღმერთი ისეთი გზებით გატარებს, სხვა ნებისმიერ დიდებას ელვარება ეკარგება. მაშინ ხვდები, რომ ყოველი ამქვეყნიური დიდება ბალახის ყვავილივითაა. ისინი უდაოდ საყვარელნი არიან, მაგრამ ერთ დღეს დაჭკნებიან და გაქრებიან.

ცხოვრებაში არსებული საგნებიც ყვავილივით დროებით არიან. ბოლოს, მხოლოდ იესო დარჩება. მაშინ ის შენთან მოვა და ის შენს წინაშე ფერნაცვალი იქნება. მას შენ მარადისობაში, სწორედ ამ სახით უყურებ. მაშინ გაიხარებ და გაოცდები, და ვერავინ და ვერაფერი ამ შენს სიხარულს ვერ წაგართმევს.

24 სექტემბერი

ვინაიდან გეუბნებით თქვენ, რომ აღარ ვჭამ მას, ვიდრე არ აღსრულდება იგი ღმერთის სამეფოში.

ლუკა 22:16

იესო ამ სიტყვებს უფლის სერობის დადგენილების შესახებ ამბობს. ის მიუთითებს, რომ ზიარების ტაბლასა და ზეციურ ქორწინებასთან გარკვეული კავშირია, სადაც მისი მეგობრები ერთად სუფრას აბრაჰამთან, ისააკთან და იაკობთან ერთად შემოუსხდებიან.

იესო მის მეგობრებს უფლის სერზე, რამდენჯერ შეხვედრია? ის თავის თავს მათ, კვლავ და კვლავ პურისა და ღვინის მეშვეობით აძლევს. მრავალ ეკლესიაში ადამიანები რკალისებურად იდრეკენ მუხლს. ეს იმის შესახებ შეგვახსენებს, რომ არსებული სერობის მეორე ნაწილი განსხვავებულ სამყაროში მიიღება.

ზიარების ტაბლა შენს თვალებს მომავალი სასუფევლისკენ მიმართავს. იესოს გონებაში ზეცა ცხოვრობდა, როდესაც მის ბოლო სერობაზე მოწაფეებთან იყო. მას არ შეეძლო არ ეფიქრა, რომ მომდევნო ჯერზე ისინი კვლავ ერთად იქნებოდნენ.

ჩვენ იესოს ტანჯვის შემეცნება გვიჭირს, თუ რისი გავლა მოუხდა თავისი აღშფოთებული სულით (სამშვინველით). გეთსემანიაში ღმერთმა ანგელოზი წარმოგზავნა, რათა გზაზე მიმავალი გაეძლიერებინა. თუმცა მაინც არ შეგვიძლია იმის განმარტება იესომ, ჯვრის აგონიის გადატანა, როგორ შეძლო. ამაში მისი სიტყვები გვეხმარება. მათი მეშვეობით მისი საოცარი სიყვარული გამოსჭვივის, განსაკუთრებით უკანასკნელ სერობაზე ნათქვამი სიტყვებით.

გული მისი მეგობართა სიყვარულით სავსე იყო. მისი აზრით, ეს მეგობრები მოწაფეები იყვნენ. თითქოს და მათთან განშორება არ შეეძლო. ამიტომ იესომ მთელი დაწრმუნებით თქვა, რომ სულ მალე ისინი კვლავ ერთად იქნებოდნენ.

ყოველთვის, როდესაც ზიარების ტაბლასთან იმუხლები, მომავლისკენ უნდა გაიხედო. თუ იესოს რწმენით ცხოვრობ და რწმენით ხარ დაცული, მაშინ ზიარების საშუალება კვლავ მოგეცემა. საბოლოოდ კი ის ზეცაში მოხდება, როცა ყველაფერი დასრულდება.

იესომ იცოდა, რომ ის მიზანთან ახლოს იყო, როდესაც დიდ ხუთშაბათს მის მოწაფეებთან ერთად იჯდა. უმრავლესობა ჩვენგანმა არ იცის, ზეცის მიღწევამდე ჩვენი ხიზნობა სადამდე გაგრძელდება. მაგრამ ჩვენი თვალები იესოსკენ უნდა იყოს მიპყრობილი, რომელიც გველოდება და მაშინ სასუფევლისკენ უფრო მეტად ვიჩქარებთ. სასუფევლისკენ, სადაც მასთან ერთად მარადისობას გავატარებთ.

25 სექტემბერი

ამას გწერთ იმისათვის, რომ სრული იყოს თქვენი სიხარული.

1 იოანე 1:4

ცოდვა, ყოველ სიხარულს არღვევს. ის თავისი ჟანგით ყველაფერს სპობს. ის ადამიანთა და ღმერთის ურთიერთობას ეხება. ასევე კაცთა შორის ურთიერთობასაც.

იოანეს ადარდებს, ივლიან თუ არა მისი მეგობრები სინათლეში. თუ არ ივლიან, მაშინ მათი სიხარული დაჭკნება. ამ დროს კრიტიკა და ჭორი იკიდებს ფეხს, ვინაიდან რაღაც საგულდაგულოდ არის დაფარული და დაცული. თუ პიროვნებას სუფთა სინდისი არ ექნება, ის მუდამ სხვაში დაიწყებს შეცდომების ძებნას, რათა თავისი თავი უკეთესად წარმოაჩინოს. როცა ეს სული საძმოს მოიცავს, იქ სიხარულისათვის ადგილი აღარ რჩება.

არსებობს ზეციური სიხარული. მანამ ვიდრე ამ ცოდვიან მიწაზე ცხოვრობ, დროებითი საგნების მიმართ სიხარული მუდმივ ცვლილებას დაექვემდებარება. სნეულება, ტანჯვა და სიკვდილი შეიძლება შენს ცხოვრებაში შემოვიდეს და მისი აჩრდილები აქეთ-იქით მოფინოს.

მიუხედავად ამისა, დედამიწაზე სრულყოფილი სიხარული არსებობს. ის ღმერთთან სწორ ურთიერთობაშია. თუ ღმერთთან შენი ცოდვით მოხვედი, ეჭვი არ უნდა შეგეპაროს, რომ მან მიგიღო. მან ეს ცოდვა მოგაშორა კიდეც. ეს მან წითელ პარასკევს გააკეთა.

არსებობს კი დაკარგული ცოდვილისთვის იმაზე სრულყოფილი და შვების მომგვრელი სიხარული, როდესაც ის ცოდვისა და დანაშაულისაგან თავისუფლდება?

ღვთის სურვილია ეს სიხარული შენს ცხოვრებაში მუდმივად იყოს და ეს შესაძლებელია, თუ შენ სინათლეში დადიხარ. ეს არ ნიშნავს, რომ ცოდვის გარეშე ვიცხოვრებთ. ქრისტიანს, ვიდრე მიწაზე იმყოფება ეს არ ძალუძს. თუმცა, მას ღმერთთან რეალურ ურთიერთობაში ყოფნა შეუძლია. ამრიგად მას შეუძლია თქვას, რომ არ არსებობს ისეთი რამ, რაც სინათლეზე არ იქნება გამოტანილი.

თუ ასეთი ხარ, მაშინ სრულყოფილ სიხარულს ფლობ. შენ ღმეთთან მშვიდობა გაქვს. გამყოფი, შენსა და მას შორის არაფერია.

შენ მზად ხარ ეს სიცოცხლე დატოვო. დაგიძახებს თუ არა ღმერთი, იმწამსვე შეგიძლია მასთან გაეშურო. მაშინ შენი სიხარული სრული გახდება, როდესაც ღვთის სახის წინაშე საუკუნოდ იქნები.

26 სექტემბერი

რომელმაც ჩვენი ცოდვები თვითონ აზიდა ძელზე თავისი სხეულით.

1 პეტრე 2:24

ჩვენ მივეჩვიეთ, ის რაც ვნებს, ავირიდოთ. მათი გახსენებაც არ გვსიამოვნებს. ჩვენი ცოდვების გამო ნაკლებად გვსურს, ვინმე სხვას სირთულეები შეექმნას.

ნახეთ, როგორი ტანჯვა მივაყენეთ იესოს! ჩვენში ჩაბუდებული ცოდვის ძალის გამო, რისი გავლა მოუხდა! ჩვენი გონება ვერ წვდება, თუ იესოს რა დაუჯდა, ჩვენი მხსნელი რომ გამხდარიყო. მაგრამ ღმერთის სიტყვა ჩვენს გულს საიდუმლოებას უცხადებს. ამას ერთხელ და ბოლოჯერ არ აქვს ადგილი. უფრო მეტად და მეტად ჩვენ იესოს მიერ გაღებული საფასურით შთანთქმული ვხდებით. მიუხედავად იმისა ღვთის სული გვიცხადებს იმას, რაც თვალს არ უნახავს და კაცს გულში აზრად არ მოსვლია, იმაზე მეტს მაინც ვერ მივაღწევთ, ვიდრე საწყისია.

იესო და ცოდვა ერთმანეთს ეკუთვნის. ღმერთმა ყველა ჩვენი ცოდვა მას დააკისრა. ყოველი მათგანი მის კისერზეა და მან მათი სიმძიმე იცის. ის დაწყლულებული მხოლოდ ხელით, მათრახით და ლურსმნით არ ყოფილა. ის თვით ცოდვით იყო დაჭრილი.

იესოში უდიდესი წინააღმდეგობები იყო გაერთიანებული. ის ღმერთი იყო. ნებისმიერი მისი მხილველი, ღმერთს ხედავდა. მაგრამ იოანეს აგრეთვე შეეძლო მისკენ ხელი გაეწვდინა და ეთქვა, „აი ღმერთის კრავი, რომელიც წუთისოფლის ცოდვას იტვირთავს!“ გეხილა იესო იგივე იყო, გეხილა მთელი წუთისოფლის ცოდვა — აგრეთვე შენი და ჩემი ცოდვებიც.

იესომ იმაზე დიდი ცოდვა იტვირთა, ვიდრე ნებისმიერმა სხვამ. ხომ არ გიკვირს, რომ მისი ცხოვრება მიწაზე რთული იყო? როგორც იცი ეს ცოდვა იყო, რომელიც მას ცხოვრებას ურთულებდა. შენი ცოდვა სირთულეს ქმნის. სხვათა ცოდვებიც ქმნის სირთულეს. მრავალი ფიქრობს, რომ აღარ შეუძლიათ ცოდვის მიერ დანგრეული ცხოვრებით ცხოვრება და მისგან თავის დაღწევა გადაწყვიტეს. ცოდვისა და მისი შედეგებიდან თავის დაღწევა, მხოლოდ სასოწარკვეთილებით დამთავრდება.

იესოს ეს არ გაუკეთებია. მან შენსა და ჩემს ცოდვას დაჰყვა. მან მათთან ცხოვრება ირჩია. ამიტომ მათთან ერთად სიკვდილიც მოუწია. მოკვდე ცოდვასთან ერთად ნიშნავს, მოკვდე მის საშინელ სიმძიმესთან ერთად. იესომ ეს გააკეთა. მან ბოლომდე იტვირთა ჩვენი ცოდვები — იქ მაღლა, ხის ჯვარზე. ჯარისკაცებმა მისი მოსასხამი აიღეს, მაგრამ ცოდვა რომელიც ღმერთმა მას დაადო თავისთან დაიტოვა. ღვთის რისხვისა და მსჯავრის ადგილზე ბოლომდე დარჩა და შენს მაგივრად, თავად შეეწირა.

27 სექტემბერი

ვინაიდან იცით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი...

2 კორინთელთა 8:9

როდესაც პავლემ კორინთო დატოვა, ის დაჯერებული იყო, რომ კორინთელებმა ღვთის მადლი შეიცნეს. მან შეძლო მათ თვალთა წინაშე იესო ქრისტე, როგორც ჯვარცმული ძე ღვთისა გამოესახა. ეს მან რამოდეიმეჯერ გააკეთა. მან მათთან ყოფნისას გადაწყვიტა, არაფერი ცოდნოდა, „გარდა იესო ქრისტესი და ისიც ჯვარცმულისა.“

ჩვენი ასაკის ქრისტიანთა შორის, რა ხდება? ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი ვიცით?

მრავალი დაუფიქრებლად იტყვის, კის. თუმცა პასუხის გაცემა არ უნდა ვიჩქაროთ.

ამის მიზეზი ის ფაქტი ხომ არ არის, რომ მათ შორის ვინც იესოს იცნობს, ცოტამ თუ იცის მადლის შესახებ? თავში ხან რა საკითხზე გვიტრიალებს კითხვა და ხან რაზე, მაგრამ გული მხოლოდ მადლით ახლდება.

შენ საწყისთან დაბრუნება გჭირდება. მაშინ შენ უფლის წინაშე დადუმდები. თავის დასაცავად ვერაფერს იტყვი. ღირსი ხარ, რომ სიკვდილის განაჩენი გამოგიტანონ. თუმცა მსჯავრის სიტყვა შენ არ გსმენია. ღმერთმა იესოს მიმართ გამოტანილი სიკვდილის განაჩენი გასმენინა. შენთვის ნათელი გახადა, რომ შენი ადგილი სხვამ დაიკავა.

მაშინ შენ გახსნილი ცა იხილე. იესომ გზა მოგიმზადა. მისი სათნოების გამო შენ მის წინაშე წარდგები. შენმა მხსნელმა და გამომსყიდველმა შენი საქმე გადაწყვიტა.

ღვთის მადლი შენთვის დღესაც ერთადერთი იმედია. იესოს სისხლმა თუ შენი ცოდვები არ დაფარა, ვერ გადარჩები. მის სანაცვლოდ, რომ რამე გაიღო კვლავ არაფერი გაქვს. მნიშვნელობა არ აქვს, როგორც ქრისტიანი რაოდენ იზრდები, იმაზე შორს ვერასოდეს წახვალ, რასაც „გადარჩენა მხოლოდ მადლით ჰქვია.“

ამისკენ უნდა ისწრაფო. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ღვთის მადლი ისეთი ყოვლისმომცველია, მასზე დიდი ნეტარება მიუღწეველია. ღმერთმა ის სიუხვის სიმრავლით მოგანიჭა.

იესოს საქმე წინ ნაწილობრივ არ გწევს. მას დანიშნულების ადგილამდე მიყავხარ. ეს ისაა, რასაც ეს შესანიშნავი სიტყვა გამოხატავს: „აღსრულდა!“

იცხოვრე ღვთის მადლით. დაე, მთელი სიცოცხლის მანძილზე მან გატაროს. შენ მთელი მარადისობა მისი განდიდება მოგიწევს.

28 სექტემბერი

...როგორიც წერილებში ვართ... ისეთივე ვართ საქმეში.

2 კორინთელთა 10:11

თქვენს სიტვებსა და საქმეებს შორის, არის თუ არა თანხმობა? სატანა ყველაფერს ცდილობს, რომ ეს კავშირი გაწყვიტოს. მან იცის, თუ ეს მოხდება, მაშინ შინაგანად პარალიზებული გახდები. შენი სიტყვები ძალას დაკარგავს და საკუთარი თავისადმი სიძულვილი დაგემუქრება.

იესო მოწაფეებს ფარისეველთა საფუარის შესახებ აფრთხილებს. მათ შესახებ მან თქვა: ისინი ასწავლიან და არკი ასრულებენ.

ყოველი ქრისტიანი, ფარისევლის მსგავსად გახდომის საშიშროების წინაშე დგას, მაგრამ საფრთხე უფრო დიდია მათთვის, ვისაც საკრებულოში განსაკუთრებული საქმიანობა აქვს მიბარებული. ყველას სხვისი მოლოდინების გამართლება სურს. ვიღაცა ვიღაცაზე, სულიერი ცხოვრების შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს შეიძლება უამრავი და სხვადასხვა გზით მოხდეს. შესაფერის შემთხვევაში პიროვნება საუბრობს ლოცვაზე, ბიბლიის კითხვაზე, დამოწმებაზე, მსახურებასა და მისიონერული საქმის დონაციაზე. ეს საშიშია. პიროვნება გაუაზრებლად ღვთის სახიდან დგება და ხალხის დასანახავად იწყებს ცხოვრებას. მაშინ შეიძლება ვიღაცაზე მოახდინო შთაბეჭდილება, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში სულიერად გამომშრალი დარჩე.

ისწავლე პავლესგან. რასაც ის ამბობდა, იგივე იყო ქმედებაშიც. ის ცოდვაზე, შეცდომაზე და დანაშაულზე მიუთითებდა, მაგრამ იმავდროს ცხოვრებას პატიოსნებაში ატარებდა. მას სინათლეში ჰქონდა ყველაფერი გამოტანილი, როგორც ღვთის, ასევე ადამიანთა წინაშე.

მასაც ჰქონდა ისეთი მოწყვლადი წერტილები, რომელზეც შეიძლებოდა მითითება. როგორც იცით, ის თავისთვის ამბობდა, რომ ცოდვილთა შორის ცოდვილი იყო და მის ხორცში, არაფერი კარგი არ ცხოვრობდა.

ჭეშმარიტი ქრისტიანები ისინი არიან, რომელნიც ცხოვრებაში ტანჯვას ითმენენ. თუ მხილებას, სიტყვასა და საქმეს შორის კავშირი არსებობს, ამ ყველაფერს თავისი საფასური აქვს.

იოანე ნათლისმცემელს არ შეეძლო ჰეროდეს შეხვედროდა და მისი ცოდვა არ გაეპროტესტებია: „შენი ძმის ცოლის ყოლა კანონიერი არ არის.“ ეს სიტყვები მას ჯერ საპყრობილე, ხოლო მოგვიანებით სიცოცხლე დაუჯდა. იოანეს სიტყვები ჰეროდესთვის, ღია ჭრილობაზე დაყრილი მარილი იყო.

იესო მოგვიწოდებს, ავიღოთ ჩვენი ჯვარი და მას გავყვეთ. დაე, ჩვენს სიტყვებსა და ჩვენს ქმედებებს შორისკავშირი იყოს.

29 სექტემბერი

უპირველეს ყოვლისა კი იქონიეთ გულითადი სიყვარული ერთმანეთისადმი, რადგან ცოდვათა სიმრავლეს სიყვარული ფარავს.

1 პეტრე 4:8

ღმერთის სიტყვა ძმური სიყვარულის შესახებ ხშირად შეგვახსენებს. შესაძლოა გიკვირს, რომ ეს საკითხი ასე მკაცრად აქცენტირებული რატომ არის. მაგრამ სიყვარული ხომ ქრისტიანული გაერთიანების სასიცოცხლო სისხლია. თუ ის გვაკლია, საერთო ურთიერთობა უფრო კონფლიქტებისკენ წავა. ერთმანეთისადმი ჭორი და ეჭვიანობა ფეხს მოიკიდებს. ამიტომ ერთმანეთისგან უფრო და უფრო მოხდება დისტანცირება და ურთიერთობა უფრო და უფრო გაცივდება.

ქრისტიანული საკრებულო მხოლოდ მაშინ აღწევს წარმატებას, თუ ცოდვები იფარება. არის ისეთი ცოდვები, რომელთა წინააღმდეგ ხმა უნდა ავიმაღლოთ. ისეთი სიტუაციები არის, რომელიც უნდა მოსუფთავდეს. ისეთი საკითხებიც შეიძლება არსებობდეს, სადაც პავლესა და ბარნაბას მსგავსად ერთმანეთისგან განშორება მოჰყვეს. მაგრამ უპირველესად, ერთმანეთისადმი გულითადი სიყვარული უნდა შევინარჩუნოთ, რათა ცოდვის გადაფარვა მოხდეს.

საკუთარი შეხედულებით მიდგომა საშიშია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ კვლავ საკუთარი სიმართლის დაცვაზე ბრძოლობ. თუ ეს არ ხდება, ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ სამართლიანობა დამარცხდა.

უნდა გაითავისო, რომ ეს არასოდეს მოხდება. სამართალმა შეუძლებელია წააგოს. არც ის შეიძლება, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში შევიწროვებული იყოს. ეს შენს სიმართლესაც ეხება. უფალი მას მზის სინათლეზე თავად გამოიტანს.

დასაჯერებელია, რომ საკუთარი სიმართლე გაგაჩნია და შენც ასე ფიქრობ. ზოგ საკითხში მეტად, ზოგში ნაკლებად.

თვით-შეხედულებადი მიდგომა, ძმათა შორის ლეგალიზმის სულს წარმოშობს. ამ დროს საკრებულო იბზარება, რის განკურნებასაც წლები ჭირდება.

ყველაფერი შავ ფერში არ უნდა წარმოვსახოთ. თეთრსა და შავში დიდი სხვაობაა. ღმერთი მოუნანიებელ ცოდვილებზე საუბრობს, რომელნიც ეკლესიის დისციპლინას უნდა დაექვემდებარონ. შესაძლოა საშიში ტენდეცია გაჩნდეს და ჭეშმარიტება გვერდზე მოისროლონ და ეს ქრისტიანული სიყვარულის სახელით. ამ გზით სიარული არ არის სწორი. ჭეშმარიტება ბრძოლის გარეშე არ ინახება. მაგრამ ყველაფერში და ყველაფრით, ჩვენ ერთმანეთისადმი გულითადი სიყვარული უნდა გვქონდეს. სიყვარული ინდულგენცია კი არ არის. ის მიმტევებელია. მის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია. სიყვარული ღმერთსა და შენს შორის, ასევე შენსა და შენს ძმას შორის მაკავშირებელი ძარღვია.

30 სექტემბერი

ერიდეთ წყალობის კეთებას ადამიანთა თვალწინ.

მათე 6:1

როდესაც იესო თავის მოწაფეებს ეუბნება, რაღაცას ერიდონ, ე. ი. ამისთვის ნამდვილი მიზეზი არსებობს. მან შენი ცხოვრების სისუსტეები, შენზე უკეთესად იცის. მან იცის ამაო როლის თამაშით შენი სულიერი ცხოვრება, როგორ ადვილად სრულდება. შენ ღვთის თვალთა წინაშე კი არა, არამედ ადამიანის წინაშე ცხოვრობ. შენი სულიერი ცხოვრება შიგთავსის გარეშე, უბრალო ფიტულად იქცა.

სერიოზული თვით-შემოწმებისათვის რეალური მიზეზი არსებობს. განკითხვის დღეს რეალური მდგომარეობის გააზრება, უდიდესი შიშის მომგვრელი იქნება. მაშინ მონანიება უკვე გვიანი გახდება.

ძველი ანგაზა ამბობს: პიროვნება სინამდვილეში ის არის, როდესაც ის სრულიად მარტო რჩება!

ღმერთი ადამიანივით არ უყურებს. ის სიტყვებს კი არა, არამედ ძალას ითხოვს. შენს გულში რაიმე ფარული ხომ არ არის, მიუხედავად იმისა საკუთარ თავზე და სხვებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენ?

საშიშროება აშკარაა, რასაც ცივი და მკვდარი გული ქრისტიანული გამომეტყველების უკან მალავს. გარეგნული, ხილული საგნებით გარემოცული ადვილად ვხდებით, რა დროსაც უხილავი ჩვენი ცხოვრებიდან იდევნება.

შეგიძლია საკუთარ თავს სირცხვილის გარეშე შეხედო? განა საკუთარ თავს არ უნდა ჰკითხო: ყოველივეს შემდეგ, სად ვიმყოფები? მეფსალმუნესთან ერთად შენც უნდა ილოცო: „გამომიკვლიე უფალო და შეიცანი ჩემი გული; შემამოწმე და გაიგე ჩემი აზრები. ნახე, ზიანის მომტან გზაზე ხომ არ ვდგავარ და მარადიულ გზაზე წამიძეხი“ (ფსალ. 139:23-24).

უფალმა ყველაფერი იცის. ამის გამო მასთან უნდა მიხვიდე. კარგია იმის ცოდნა, რომ ის შენ გხედავს. ის გადამტვრეულ ლერწამს არ გატეხს. იესოს შენი საწყის მდგომარეობაში დაბრუნება უნდა.

ეს ის ადგილია, სადაც მადლს უსასყიდლოდ იღებ. იცი, რომ შენი გულის ცოდვამ და უწმიდურებამ ცამდე მიაღწია. მაშინ იესო მადლით, დაუმსახურებელი მადლით მოვიდა შენთან.

მთელ სამყაროში ერთი პიროვნება არის, რომლითაც უნდა დაკავდე. ეს იესოა. დარჩი მის თვალთა წინაშე; იცხოვრე იქ. შენი სულიერი ცხოვრება, მხოლოდ მასთან შეიძლება უვნებლად და ჯანმრთელად იქნას დაცული.

1 ოქტომბერი

ეს დღე სასიხარულო უწყების დღეა, ჩვენ კი ჩუმად ვართ. თუ გათენებამდე მოვიცდით, სასჯელი არ აგვცდება. ახლავე წავიდეთ და...შევატყობინოთ.

2 მეფეთა 7:9

ოთხმა კეთროვანმა აღმოაჩინა, რომ მტერი, რომელსაც სამარია ალყაში ჰყავდა, გაიქცა. უფალმა მათ ეტლთა, მხედართა და მომავალი ჯარის ხმები ჩაასმინა. მათ გადარჩენის იმედი, ბოლომდე გადაწურული ჰქონდათ.

ოთხი კეთროვანი, ოთხი უკუგდებული და მოძულებული კაცი! რა უნდა გაეკეთებინათ მათ? გადაწყვეტილების მისაღებად ბევრი არ უფიქრიათ. ერთი რამ კარგად იცოდნენ, რომ მომხდარზე ჩუმად ყოფნა არ შეეძლოთ. სამარიელი, დამშეული ხალხისათვის უნდა ეუწყებიათ, რომ ისინი გადარჩენილნი იყვნენ.

ეს დღე სასიხარულო უწყების დღეა!

ასეა დღესაც. მაგრამ ამის შესახებ მცირემ თუ იცის. უმრავლესობა ადამიანებისა კვლავ სიბნელესა და სიკვდილის აჩრდილის ქვეშ ცხოვრობს და მრავალს არც არასოდეს სმენია იმ ადგილის შესახებ, სადაც ფულის გარეშე შეუძლიათ ხორბლის შეძენა, რათა ჭამონ.

თუ თავად დახსნილი ვართ, ამის შესახებ სხვებსაც უნდა ვაუწყოთ: „ხვალამდე მოცდა არ შეგვიძლია. დღეს უნდა ვუთხრათ. ვიცით ღამე მოდის, როცა ვერავინ შეძლებს კეთებას. მაგრამ ჯერ კიდევ დღეა, ამიტომ სიცოცხლის სიტყვა მათთვის გადაცემული უნდა იქნეს, ვინც მარადიული დაღუპვისაკენ მიდის.“

შესაძლოა თავს დამცირებულად და უმნიშვნელოდ გრძნობ. კეთროვნებიც ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ. მდგომარეობამ გაბედულებისაგან არ უნდა გაგძარცვოს. მოგეხსენებათ, ჩვენ საკუთარ თავს არ ვქადაგებთ. ეს უწყება მის შესახებაა, ვინც ცოდვილებს სიკვდილიდან სიცოცხლეში მიუძღვის. მან ეს გზა თავად მოამზადა. იესო ცოდვისა და ეშმაკის დამარცხებისაკენ არ მოგვიწოდებს. ის რაც მან გააკეთა, ჩვენც მისი გაკეთება არ გვმართებს. ვინაიდან მან გამარჯვება მოიპოვა, ჩვენ ნება მოგვეცა სიცოცხლის წყლის წყაროდან უსასყიდლოდ შევსვათ.

ალყაში მყოფი სამარიიდან, უთუოდ ყველა ღარიბი გაიქცა, რომ მტრის მიტოვებულ ბანაკში შიმშილი მოეკლა. იესოსთან მიმართებაში ასე არაა. მაგრამ ყველგან, სადაც კი კეთილი უწყება იქადაგება, გარკვეული ადამიანების გადარჩენა სწორედ იქ ხდება. თუ გადარჩენაზე ქადაგებას არავინ არ მოისურვებს, მაშინ ყველა დაიღუპება. ეს დღე სასიხარულო უწყების დღეა! ნუ დავდუმდებით! სასჯელს დაწევის უფლებას ნუ მივცემთ!

2 თებერვალი

მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი (ინგ. მძლეველებზე მეტი ვართ) მოყვარულის მეშვეობით.

რომაელთა 8:37

არავინ უწყის დევნა, როდის იფეთქებს. მაგრამ ქრისტიანთა მოწინააღმდეგეები იზრდება. ძველ ქრისტიანულ ქვეყნებში ადამიანები უფრო და უფრო უცხო რელიგიებს და ათეისტურ ფილოსოფიას, ქრისტიანული აზროვნებისა და ცხოვრების სტილის შეგნებული წინააღმდეგობის გასაწევად მიმართავენ. უცნაურია მსგავსება, მოციქულთა დროს არსებული ინტელექტუალურ კლიმატსა და იმ ეპოქას შორის, რომელიც ჩვენს თვალთა წინ იბადება.

ამიტომ არ უნდა გავიკვირვოთ, თუ იგივე წინააღმდეგობა შეგვხვდება, რაც პირველ ქრისტიანებს: გაჭირვება, შიში, დევნა, შიმშილი, სიშიშვლე, საშიშროება და მახვილი. პავლე გვეუბნება, რომ ქრისტიანები დასაკლავ ცხვრებად იყვნენ მიჩნეული. იესოს გამო ისინი, დღენიადაგ სიკვდილის წინაშე იდგნენ.

როდესაც ღმერთის სიტყვა ამბობს, რომ უკანასკნელი ქრისტიანული პერიოდი პირველის მსგავსი იქნება, შეიძლება მხნეობა ადვილად დავკარგოთ. ჩვენი მშიშარა და მორცხვი ბუნება, მუდამ მზად არის ადვილი გზა აირჩიოს. ამიტომ, ნუ გაჰყვებით მას! უფალს უნდა გაყვე და როცა ის შენთან ერთად ტანჯვის გზაზე წამოვა, უნდა გახსოვდეს, რომ ეს ის გზაა, რომელიც მანამდე თავად გაიარა.

ამ დროს შენ ღვთის სიტყვის მეშვეობით ძალას და უნარს მიიღებ, რათა დაითმინო. მნიშვნელობა არ აქვს გზად რა შეგხვდება, ვინაიდან იესოს მიერ შენ მძლეველზე მეტი ხარ.

ღვთის მტრებმა შეიძლება შენგან ყველაფერი წაიღონ. დიახ, შეიძლება სიცოცხლეც წაგართვან. მაგრამ მათ ერთი რამ არ ძალუძთ: შენი გამარჯვების წართმევა! შენ იესო გყავს. ბოროტის სულთა ჯარები ყველა საშუალებით ეცდება გადარჩენის საქმე ჩაშალოს, მაგრამ ის დამარცხდება. სატანამ სასიკვდილო დარტყმა გოლგოთაზე მიიღო.

ახლა ის განწირულ ომში ბროძოლობს, რადგან იცის, რომ დრო მოკლე აქვს. მას მრავალი ზიანის მოტანა შეუძლია, მაგრამ იესოზე გამარჯვება არ ძალუძს.

ამრიგად, შენ მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებულ ქრისტიანებთან ერთად შეგიძლია იგალობო: „მარადიული გამარჯვება მაქვს მუდმივად, უფალი იესო ჩემშია!“ იგალობე ხმამაღლა! დაე, მან იცხოვროს შენს გულში. ამ გამარჯვების უწყებამ ურიცხვი ადამიანი, დიდ უბედურებასა და გაჭირვებაში გამოატარა. მას თავისი ძალა არ დაუკარგავს. ის შენც გატარებს, როდესაც ნდობას მასზე დაამყარებ. როცა უფალი ამბობს, რომ უყვარხარ, ეს ლიტონი სიტყვები არ არის. ის შენთან ერთად მთლიან გზაზე მოდის. მას სურს თავისი შვილი, ციური მიზნისკენ მიმავალ გზაზე ატაროს.

3 თებერვალი

მას შემდეგ, რაც გადაცემულ იქნა იოანე, იესო გალილეაში დაბრუნდა და ქადაგებდა ღვთის სახარებას.

მარკოზი 1:14

ამ დროს ღვთის სამეფო განადგურებისაკენ მიემართება! ყოველშემთხვევაში იოანეს მოწაფეთა თვალში ასე ჩანდა. უდაბნოში გამსვლელი აღარავინ დარჩა. ხალხს მონანიების ნათლობით ვერავინ მონათლავდა. იმედი ადამიანთა გამოღვიძებისა, უცაბედად შეწყდა. იოანე დაპატიმრებულ იქნა და მისი ხმა საპყრობილის სქელ კედლებს ვეღარ არღვევდა.

ხანდახან შენც შეიძლება იფიქრო, რომ ღვთის სასუფევლის პროგრესი შეწყდა. ღმერთმა ისეთი მსახურები გვერდზე გადაწია, რომელთაც შენ ძალზე დიდ პატივს სცემდი. მათ გარეშე რამის კეთება ვერც კი წარმოგედგინა. მაგრამ ღმერთმა შენი შეხედულება არ გაითვალისწინა.

შესაძლოა შენც ამ სახის ინსტრუმენტი ხარ. იყო დრო ღვთის წარმატებულ მსახურებაში იყავი, მაგრამ სნეულებამ, ქრისტიანთა ერთმანეთში დავამ ან რაღაც სხვამ, შენი მსახურება შეაჩერა. შენც გვერდზე იქენი გადაწეული.

იმაზე დაფიქრდი, რაც მოხდა, როდესაც იოანე საპყრობილეში იქნა ჩასმული. იესო გამოვიდა და ღვთის სახარების ქადაგება დაიწყო. იგივეა დღესაც.

ღმერთს შეუძლია ჩემსა და შენს ნაცვლად, სხვა ადამიანები დაიქირაოს. ჩვენ შეუცვლელნი არ ვართ. იესოა მხოლოდ შეუცვლელი და მას საქმის გაგრძელება ჩვენს გარეშეც შეუძლია.

თუმცა გაჩერება ძნელია. ამ დროს თავში მრავალი კითხვა გიტრიალებს. როცა ეჭვები თავს იჩენს, შენ იოანესგან გმართებს ისწავლო. მან დახმარების მისაღებად იესოსთან გაგზავნა და მიიღო კიდეც. საჭირო დახმარებას შენც მიიღებ.

„ბრმები ხედავენ, კოჭლები დადიან, კეთროვანნი იწმიდებიან, ყრუებს ესმით, მკვდრები დგებიან და სახარება ექადაგება გლახაკთ“ (ლუკ. 7:22). მოცემული პასუხი იოანესათვის დახმარება იყო.

რას ფიქრობთ იოანემ რა გააკეთა, როდესაც ეს უწყება მიიღო? მან ხელები აღაპყრო და მადლობა შესწირა ღმერთს. სიტყვა რომელსაც ის ქადაგებდა უკვე ახდა: „ის უნდა ამაღლდეს; მე კი უნდა დავმცირდე.“ იესო სინათლეა, რომელსაც უკიდურესად ბნელი საპყრობილეც კი ვერ ჩააქრობს.

იოანე ვერც კი მიხვდა, მისი პიროვნების გვერდზე გადაწევამ რამდენ ქრისტიანს გაუწია დახმარება. როგორც პატიმარი, ის მოწმობაა იმ ფაქტისა, რომ იესო ყველა შემთხვევაში მათ არ ანთავისუფლებს; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის დავიწყებულია. იესო უწყებას გიგზავნის, რათა განგამტკიცოს. იმავე ჟამს ის სასუფეველს ზრდის, რაც თავისთავად ცხოვრების მიზანია. თუ ასეა, მაშინ ყველაფერი რიგზეა.

ბნელშიც რომ დავჯდე, უფალი ჩემი ნათელია!

მიქა 7:8

თანამედროვე ცხოვრებაში სულის აგონიის შესახებ, დიდი საუბრები არ არის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქრისტიანებს გასაჭირი არ აქვთ. სატანა, ქვეყნიერება და ჩვენი ძველი ბუნება, რწმენით ახალი სიცოცხლის წინააღმდეგ მუდმივად იბრძვიან. ეს ბრძოლა ხშირად ქრისტიანის ცხოვრებაში სიბნელეს წარმოშობს.

ამ დროს სულიერი სამყარო, რატომღაც დისტანცირებული გვეჩვენება. თითქოს ღვთის სიტყვა გულამდე ვეღარ აღწევს. ძველად ხსნის სიხარული სიამოვნებას განიჭებდა. ახლა კი შენს გონებას უცნაური ინდიფერენტულობა ავსებს. შემდგომ ამისა შენს თავს აზრებში იჭერ, საერთოდ დანებება ხომ არ ჯობს.

თუ ასე ფიქრობ, მაშინ ეჭვების სიბნელეში იმყოფები. აპათიის დროს მოწყენილობა გიპყრობს. სურვილი გაქვს შენი სულიერი სიცოცხლე კვლავ აღდგეს. ღმერთს შესთხოვე, რომ ემოქმედა, მარგამ არ ფიქრობ, რომ მან რამე გააკეთა. მაშინ კითხვას სვამ, „რატომ?“

ერთი მიზეზი შეიძლება იყოს, რომ ღმერთს სურს ზემოთ მოყვანილი ტექსტი შეგასწავლოს. „ბნელშიც რომ დავჯდე, უფალი ჩემი ნათელია.“

არადა, მთელი გულით გვწადია სიბნელეში მყოფებს შეგვეშველონ. ზოგიერთ ჩვენგანს ცხოვრებისეული სიტუაციის მაგალითად მოყვანა უთუოდ შეუძლია, თუ ღმერთმა სამშვიდობოზე როგორ გამოგვიყვანა. მაგრამ ღმერთი ყოველთვის ასე არ იქცევა. ღმერთს ხშირად სულ სხვა რამ სურს.

მიქას მიეცა, რომ ის გამოეცადა. სიბნელე გრძელდებოდა, მაგრამ უფალი ამ ბნელში სანთელს ანთებდა. ნაცვლად იმისა, რომ იქედან გამოეყვანა, უფალმა მისი თვალები იმ ნათლისადმი გახსნა, რაც უკვე ანთებული ჰქონდა.

ღვთის შვილებისთვის ეს არის ნამდვილი რეალობა: უფალმა სიტყვის ნათელი გააღვიძა და ის ბრწყინავს, მიუხედავად იმისა წუთისოფელში, რაოდენ არ უნდა ბნელოდეს.

მისი კეთილი სულით, უფალს შენი თვალები გახსნა სურს, რათა იხილო — თუნდაც ყველაფერი ირყეოდეს — ღვთის სიტყვა ურყევად დგას.

უფალმა შენს ხელში სიტყვა ჩადო. ის შენ გეკუთვნის. ღმერთს იმაზე მეტად არაფერი მიანიჭებს სიამოვნებას, ვიდრე სულის აგონიის ჟამს „დაწერილზე“ მთელი ყურადღების გადატანა. შესაძლოა ვერაფერს გრძნობ, მაგრამ შენს ხელს სიცოცხლის ნათელი უპყვრია და შენ მასზე ხარ ჩაჭიდებული. ამ დროს იმედი ცოცხლობს. უფალი კი ბნელში წინ გიძღვის.

ყველაფერზე მეტად განადიდე შენი სიტყვა და სახელი შენი.

ფსალმუნი 138:2

საოცარია, როცა უფალი თავის სიტყვას ადიდებს. ეს ჩვენი მუდმივი ლოცვა უნდა იყოს, რომ ის მოხდეს. შემდგომ ამისა კი, ის ჩვენ ყოველივე აღმატებულს და სიმდიდრით აღვსილს გვანიჭებს.

ხშირად ღვთის პასუხს წინ სირთულე და სიბნელე მოჰყვება. ის შეიძლება, როგორც დიდ, ასევე მცირე საკითხებს მოიცავდეს. დიახ, ღვთის შვილი განიცდის, ღმერთი ნათელს უკუნეთ ღამეში, როგორ ანთებს.

ის ადამიანის ბუნებრივ თვით-გაბედულებასთან არის კავშირში. მანამ ვიდრე იცი, რა უნდა იყოს თქმული და პასუხად გაცემული, ღვთის სიტყვა შენში ან შენით, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ განდიდებული. უფალს ამის გამო შეყავხარ სიძნელეებში და გასაჭირში, სადაც აღარ იცი, რომელ მხარეზე იმოძრავო. ამ დროს დაბნეული ხარ და რა გადაწყვიტო არ იცი.

შენმა უდიდესმა სტრესმა და უმწეობამ, ღვთის სიტყვის მიმღებად გაქცია. შენ საკუთარი საქმეებით აღარ ხარ შემოსაზღვრული. აღარ გჯერა, რომ რაიმეს დალაგება შეგიძლია. უკვე გარე დახმარების მიმართ, კეთილგანწყობილი ხდები.

იცი, რომ ვერავის სიბრძნე დახმარებას ვერ გაგიწევს. ეს მხოლოდ უფალს შეუძლია. ხოლო ის შენ, მისი სიტყვით შეგეწევა.

შენ მას, როგორც დიდსა და ძლიერს ვერ განიცდი. ის წყნარი და უმნიშვნელო გზები ხდება. თუმცა ბიბლიაში არსებული გარკვეული სიტყვები, იწყებენ ნათებას. შენი ვალდებულებაა დროდადრო მათ მიმართო. შენ ბნელში სინათლე ჰპოვე. ვინაიდან ამ სიტყვებზე რაც უფრო მეტად ფიქრობ, შენს მიმართ ისინი უფრო მეტს იძლევიან. შენ მათგან მომავალ სითბოს გრძნობ. ისე ჩანს თითქოს ეს სიტყვები ელვარებენ და სულის სიღრმეში ცეცხლს ანთებენ. იმავდროს ისინი ცოცხალი არიან. მათ გულისცემას გრძნობ და ხვდები, რომ შენი გული ამ სიტყვათა ნაბიჯებით იწყებს ცემას. ისინი ხმაშეწყობილ ტკბილხმოვანებას ქმნიან. ღვთის სიტყვა შენთან ერთი ხდება. ამიერიდან, შენი მოქმედი რეალობა და ჭეშმარიტება ის არის.

როცა ეს მოხდა, ღმერთმა ყველაფერზე მეტად მისი სიტყვა და სახელი მისი განადიდა. მაშინ მან შენში მისი სიტყვისადმი წყურვილი დაბადა. შენ გაათვითცნობიერე, რომ მას ისეთი საგანძურები უპყვრია, რომელიც მთელი წუთისოფლის სიმდიდრეს აღემატება.

მაშასადამე, თხოვე უფალს, რომ ყველაფერზე მეტად მისი სახელი და მისი სიტყვა განადიდოს. სიტყვაში საკუთარი თავი დაკარგე. ღმერთი კი შენს ლოცვას აუცილებლად უპასუხებს.

6 თებერვალი

იტანჯებოდა, მაგრამ არ იმუქრებოდა.

1 პეტრე 2:23

საშინელებაა ტანჯვა. ტანჯვა სულს, სამშვინველსა და სხეულს ემუქრება. მრავალი ტანჯვაგამოვლილი ადამიანი, ცვლილებას დაექვემდებარა. ზოგი სასოწარკვეთას მიეცა, ზოგიც აგრესიულნი გახდნენ.

ტანჯვას იესო არ შეუცვლია. მას მუქარა არ დაუწყია. ამ მიდგომისთვის რომ მიემართა, მას თავისუფლად შეეძლო მიყენებული ტანჯვა შეეზღუდა. მისი ოპონენტებისათვის პირდაპირ ეთქვა, მათ საქციელს რა შედეგები მოჰყვებოდა. მაშინ მრავალს შეეშინდებოდა, რომ უდანაშაულო, ტანჯვისათვის გაეწირათ.

ცხოვრების გაადვილება იესოსგან შორს იყო. თავმდაბლობითა და სახიერებით მან საკუთარი თავი დაცინვასა და ცემას დაუმორჩილა. ის, როგორც დასაკლავად გამზადებული ცხვარი, მდუმარე იყო.

ჩვემში ისეთი რამ თუ არის, რაც უდანაშაულო ადამიანების ტანჯვას აპროტესტებს? გიფიქრიათ ოდესმე, რომ იესოს წინააღმდეგ ქმედებაში შენც თანამონაწილეობა გაქვს მიღებული?

ის სრულყოფილად წმიდა იყო. რა ტანჯვა უნდა გაეარა მას, როცა მთელი შენი ცოდვები და უწმიდურება მას დააკისრეს? თუმცა იესო გვერდზე არ გამდგარა. ის ცოდვის ტვირთს მოხალისედ შეუდგა და მან ეს ისეთი გზით მოიმოქმედა, შენ დღესაც მის წინაშე დგომა გაბედულებით შეგიძლია.

იესო რომ დაგმუქრებოდა, მის წინაშე წარდგომას ვერასოდეს გაბედავდი. მისი რისხვის ქვეშ იკანკალებდი და განადგურების მოლოდინში იქნებოდი. ნაცვლად ამისა, ის თავისი უძლეველი სიყვარულით გხვდება. მიუხედავად იმისა მას შენი ცოდვისა და მისი შედეგების ტვირთვა მოუწია, მას არ სძულხარ. მან ჯვრის გზის არჩევით რას აკეთებდა, იცოდა. მას ღვთისა და შენს წინაშე შერიგების მოტანა სურდა და ამის გაკეთება, მხოლოდ ტანჯვის გზაზე წასვლით იყო შესაძლებელი.

მაშასადამე, უდიდესი კითხვა ასეთია: იესო საკმარისად ეტანჯა? შენი მოუნანიებლობითა და მადლზე არ მინდობით, მასზე ახალი ტანჯვა გინდა მოიტანა?

იესო დღესაც იტანჯება. ეს მათი მეშვეობით ხდება, რომელნიც მას მხსნელად და გამომსყიდველად არ ღებულობს. ისინი ხსნის საქმეს ამ ქმედებით ამაოებად ქმნიან. თუმცა იესოს ტანჯვა სიხარულად იქცევა. ეს თითოეული ცოდვილის მოქცევით ხდება.

7 თებერვალი

თქვენი ახალმთვარობანი და კრებულნი შეიძულა ჩემმა სულმა.

ესაია 1:14

ღმერთს მის მიერ აქ აღწერილის სიძულვილი, როგორ შეუძლია? სხვა რამ რომ ყოფილიყო გავიგებდით, მაგრამ გაუგებარია, რადგან უფალი თავის მიერ დადგენილ მცნებაზე საუბრობს. განა ეს კაპრიზის გამოვლენა არ არის?

არავითარ შემთხვევაში. რასაც ღმერთი თავის სიტყვაში ამბობს, გულისყურით უნდა იქნას გამოკვლეული. ეს ძველი აღთქმის პერიოდშიც ასე იყო და ახალ აღთქმაშიც იგივეა. მაგრამ ორივე აღთქმაში ცოდვა მსხვერპლს ისეთ რამედ აქცევს, რასაც ღმერთი სიძულვილით პასუხობს.

მოღალატე ქმარი თავის ცოლს ძვირადღირებულ და ლამაზ საჩუქრებს ჩუქნის; მაგრამ თუ ის ღირსეული ქალია, ის მათ მოიძულებს. მის თვალში ყოველივე ეს იაფფასიანი ნივთია, რასაც ჭეშმარიტი სიყვარულის ჩანაცვლება არ შეუძლია.

ისრაელის ხალხი ფიქრობდა, რომ მათ ღმერთს დიდი შესაწირავი მიუტანეს, მაგრამ მისით უფლის მოსყიდვა შეუძლებელია.

თუ ღვთის ხალხი ცოდვაში ცხოვრობს, ღმერთს მათი ქმედებები ეზიზღება.

თუ პაციენტი სასიკვდილო სნეულებით იტანჯება, საშინელებაა თუ ასეთი პიროვნება უმნიშვნელო საკითხებით არის დაკავებული და თავს იმ აზრით ინუგეშებს, რომ ექიმს მუდმივად აკითხავდა და ფულს უხდიდა.

ღვთის მიმართ ჩვენს ურთიერთობაზე იგივე შეიძლება ითქვას. ფუნდამენტური საკითხები პირველ ადგილზე უნდა დაყენდეს. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ იესო მათ ცოდვას განაშორებს.

ამრიგად, უფლის მოწოდება ისმის: „მოდით და ცილობა ვყოთ, ამბობს უფალი. „მეწამულივით რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით გასპეტაკდება და ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლივით გათეთრდება.“

წმიდა ცხოვრება გამწმენდი სისხლის ქვეშ იწყება და გრძელდება. სისხლი ცოდვას სპობს. ის ჩვენ იმავდროს ცოდვის ძალისგან გვანთავისუფლებს. სიტყვა ჯვრის შესახებ ცოდვის ჯაჭვს წყვეტს. ჭეშმარიტი ღვთის მადლი კი, ცოდვაში დარჩენას შეუძლებელს ხდის.

თუ შენ ცოდვათა მიტევების სამეფოში, ცოდვისადმი ზიზღით ცხოვრობ, შენი მსახურება უფლისთვის საამოა. მაშინ დღესასწაულები სიწრფელით ტარდება; ჯერ აქ დედამიწაზე, მოგვიანებით კი მარადისობაში.

8 ოქტომბერი

ვინაიდან, როცა უძლური ვარ, მაშინ ვარ ძლიერი.

2 კორინთელთა 12:10

ადამიანთა უმრავლესობისათვის, გზა საკუთარი უძლურების შემეცნებისა, გრძელია. ჩვენ ფიქრზე მეტად, ღონის გამოვლენა შეგვიძლია. თუ ერთ გზაზე გავიჭედებით, მეორეს ვცდით.

მაგრამ თუ ღვთის სკოლაში დავრჩებით, მარცხის დღე დაგვიდგება. მაშინ დუმილი მოგიწევს. მაშინ მიხვდები, რაოდენ ცოტა რამ შეგიძლია და რა სრულყოფილი უსუსური ხარ.

საკუთარი უძლურების დანახვა, ვიდრე წარმოვიდგენდით იმაზე ძნელი აღმოჩნდა. უკანასკნელი გამოსასვლელი კარიც კი დარაზულია. თავს შემოძარცვულად ვგრძნობთ. ადამიანური გზით გადარჩენა, არ არსებობს. ჩვენს აზრებში საკუთარ თავს, სიკვდილის ვერდიქტი გამოვუტანეთ.

იმავე დროს ამგვარი უძლურების განცდა ღვთის შვილისათვის კურთხევაა. როგორ შეიძლება ეს ასე იყოს?

არსებული საკითხი იმ ფაქტთან არის დაკავშირებული, რომ ქრისტიანის უდიდესი კურთხევაა ყველა მის გაჭირვებასა და საჭიროებაში, ღმერთზე სრულად იყოს დამოკიდებული. ამ დროს შენს თავზე არ ხარ დამოკიდებული და საკუთარი თავის გადასარჩენად თითსაც კი არ ანძრევ; თავის მზრუნველობას მხოლოდ უფალი ავლენს.

ამ მდგომარეობაში მყოფი, აღარ ლოცულობ, რომ ღმერთმა შენი ძალა განაახლოს. შენში ისეთი არაფერია, ღვთის ნამოქმედარს რომ დახმარება გაუწიოს. თუ მიზნის მიღწევა გინდა, მაშინ ყველაფერი ღმერთმა უნდა გააკეთოს.

როდესაც საკუთარ უძლურებას, როგორც უიმედო მდგომარეობას აღიქვამ, მხოლოდ უფალზე იმედის დადების სწავლას იწყებ. ამის კეთება, სხვადასხვა შესაძლებლობათა შორის ერთის არჩევა როდია. იესო ერთადერთი იმედია. მის გარეშე, მხოლოდ სასოწარკვეთა გრჩება.

თუ შენი ღვთის მიმართ დგომა ასეთია, მაშინ ის გამარჯვებისაკენ წაგიძღვება. ის სახარების სიმდიდრისადმი თვალებს აგიხელს და თავისი სულით და სიტყვით გასწავლის, რომ მხოლოდ იესოსადმი იყო მინდობილი.

ქრისტიანი, რომელიც თავს ბანკროტირებულად თვლის და მხოლოდ იესოს ენდობა, ის ყველა ადამიანზე ძლიერია. მასში ღვთის ძალა სრულყოფილდება. მანამ, ვიდრე საკუთარი ძალები შეგრჩენია, ღმერთს შენი დახმარება არ შეუძლია. თუ უფალია შენთვის ყველაფერი, მაშინ უძლეველი ხარ.

დიახ, თუ იესოს ენდობი, მაშინ შენ უძლურებაში ხარ ძლიერი.

9 ოქტომბერი

მუდმივი საზრდო ეძლეოდა იეჰოიაქინს მეფისაგან ყოველდღე, მთელი მისი სიცოცხლე.

2 მეფეთა 25:30

იეჰოიაქინი ბაბილონში დაახლოებით 38 წელი იყო დაპატიმრებული. მაგრამ ერთ დღეს მისთვის, თავისუფლების ზარმა ჩამორეკა. ბაბილონში სხვა მეფე მოვიდა და მან იეჰოიაქინს მიუტევა.

მე არ ვიცი, რამდენი წელი იყავი ეშმაკის ტყვეობაში, მაგრამ ერთი ვიცი, რომ ის უჟმური ბატონია. ნაცვლად ოქროს დაპირებებისა, მისი გზა მუდამ ჯოჯოხეთის აგონიით სრულდება.

თუ იესოს ეკუთვნი, ეს ნიშნავს, რომ შენს ცხოვრებაში სხვა გამეფდა. მან შენ გაპატია და ახლა საპატიმროდან გარეთ მიგიძღვის. ახლა მის სუფრაზე ზიხარ და ის ყოველდღიურად ზრუნავს შენზე. ისურვებდი საკუთარ თავზე თავად გეზრუნა. რამდენჯერ გადაწყვიტე, რომ კეთილი და გულითადი ქრისტიანი ყოფილიყავი? მაგრამ ამას ვერასოდეს მიაღწიე. შენ იესოში ყოველდღე, ღვთის დაუმსახურებელი მადლით ცხოვრება გმართებს. მანამ, ვიდრე ამ დედამიწაზე იმყოფები, შენი კონდიცია ასეთია.

ნუთუ ეს ცუდია? ნუთუ კარგი არ არის, ღმერთი რომ ყოველდღე ახალი მადლით გეგებება? და ნუთუ კარგი არ არის, რომ მადლის ზღვის დაშრობა შენთვის შეუძლებელია? „სადაც ცოდვა გამრავლდა, იქ მადლმა გადააჭარბა“ (რომ. 5:20).

შენი სურვილია მაცხოვარს დაემსგავსო. შენი ქრისტიანული ცხოვრების ცოცხლად და ჯანმრთელად შენახვაში, ეს სურვილი დიდ როლს თამაშობს. შენი სურვილისამებრ მიღება, სრულიად შესაძლებელია. ეს მაშინ ხდება, როდესაც იესოს პირისპირ იხილავ და ისეთი შეიქნები, როგორიც ისაა თავად.

საკუთარი ცოდვის გამო სინანული და უძლურება, იმის დავიწყების მიზეზი არ უნდა გახდეს, რომ შენ უკვე ღვთის მადლის მაგიდასთან ზიხარ. არ არსებობს ცოდვა, რომლიდანაც იესოს სისხლით არ იყო განწმედილი. ყველაფერი რაც მან ქმნა, შენ ჩაგეთვალა. ახლა კი ღმერთი შენ, როგორც თავის ძეს ისე გიყურებს.

ღმერთი თავის საგანძურს არ გიკავებს. ყოველდღიურად ის იმის თაობაზე შეგახსენებს, რასაც ფლობ. მიწიური პილიგრიმობის განმავლობაში უფრო და უფრო იხილავ, რას ნიშნავს იყო მეფის შვილი. ამიტომ არის ასეთი კარგი, რომ იესოს ეკუთვნოდე. თუ ჯერ მას არ ეკუთვნი, უნდა იცოდე, რომ მან თავის სუფრასთან ადგილი შენთვისაც გაამზადა.

10 თებერვალი

„გიყვარვარ?“

იოანე 21:16

ადვილია ვირწმუნოთ, რომ იესო, ჩვენი ნიჭიერებით არის დაინტერესებული. მაგრამ ეს ასე არ არის. მას ჩვენ თავად ვუნდივართ.

არ ფიქრობ, რომ ეს უცნაურია?

წარმოიდგინე ქმარი, რომელიც თავის ცოლს საჩუქრებით ავსებს. მოგვიანებით ის აღმოაჩენს — მიუხედავად მისი გულუხვობისა — მას ის არ უყვარს. ამ მომენტიდან, მიღებული საჩუქრები ქმრის ნაცვალი ხდება და ისინი უბრალოდ ცოლს იმ ფაქტის შესახებ შეახსენებენ, რომ მას ყველაზე მთავარი, ქმრის სიყვარული აკლია.

არის მრავალი, რომელთაც იესოსთვის ურიცხვი, რამ გააკეთეს, მაგრამ სიყვარულის გარეშე. ასეთნი გაუაზრებლად ცდილობენ, ღვთის კეთილგანწყობა საჩუქრებით იყიდონ.

მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარულის ყიდვა შეუძლებელია. ის მხოლოდ ერთ რამეს ეძიებს და ეს შემხვედრი სიყვარულია.

ამრიგად იესო კითხვას სვამს, „გიყვარვარ?“

ქრისტიანს იესოსადმი სიყვარული შეიძლება დაეკარგოს. მუდმივად მისი სიყვარულის დაცვა, ბრძოლის საკითხია. აზრები ყველაფერს, რაც ქრისტიანობას უკავშირდება ძალზედ ადვილად ეწევა. მაგრამ იესოს სიყვარულის მოთხოვნაა, რომ მხოლოდ მისით იყო დაკავებული. იესოს იმის დამოუკიდებლად უყვარხარ, თუ მისთვის რისი მიცემა შეგიძლია. მისი გულის განწყობა შენი მიტანილი საჩუქრებით კი არა, არამედ თავად შენი პიროვნებით ხდება. იმავე სახით მისი სურვილია, ყოველი კეთილი მისაცემლის და მისგან მიღებული დახმარების გარეშე გიყვარდეს ის.

„გიყვარვარ?“ გეკითხება იესო.

თუ ატყობ, რომ სიყვარული გაგინელდა, ეს საკითხავი სიტყვა ღაღადის მიზეზი უნდა შეიქნას. იესო უკან გიხმობს, სადაც ნაღდი და ღრმა სიყვარული მისდამი იშვა და მისი უზრუნველყოფა მიიღე. ეს ადგილი დაკარგული ცოდვილისათვის იესოს ფეხებთან არის, სადაც მის მადლს, ცოდვათა მიტევებით ვღებულობ, რადგან მისგან ვიქენით შეყვარებული.

ამაზე მაღლა ან დაბლა ვერ წახვალ. ეს შენთვის საუკეთესო ადგილია. იქ იესოს სიყვარული მუდმივად მისდამი სიყვარულისაკენ გიხმობს. ჩვენ გვიყვარს, ვინაიდან უწინარეს მან შეგვიყვარა.

11 თებერვალი

რადგან თქვენ ყველანი ღვთის შვილები ხართ ქრისტე იესოში რწმენით. ვინაიდან, ყველანი ვინც ქრისტეში მოინათლეთ, ქრისტეში შეიმოსენით კიდეც.

გალატელთა 3:26-27

საკუთარი სამოსელით გადარჩენას ვერ იხილავ. ამას ნათლად, თეთრი ნათლობის პერანგი წარმოაჩენს. შენი სამოსი ბინძური და უწმიდურია. ის სხვა არაფერია, თუ არა ჭუჭყიანი ნაჭერი; გაუშვი მას ხელი, რათა საუკეთესო სამოსელი მიიღო.

წარმოიდგინე იესოთი ნათლობაში შემოსვა! როგორც ჩვილი ნათლობის პერანგში გამოწყობილი, ასევეა ნებისმიერი მონათლული პიროვნება, თხემიდან ტერფამდე იესოს სამართლიანობით დაფარული.

შენ მთლიანად თეთრი ხარ. სრულიად წმიდა. „ძველმა განვლო, ახლა ყოველივე ახალია!“ (2კორ. 5:17)

ღვთის შვილს, რომელსაც მზარდი ეჭვები მოაწვება, ღვთის მიერ მონიჭებული ნათლობის მეშვეობით საოცარი შვება აქვს მიცემული. იესო, თავის მთელ სისმდიდრესთან ერთად, სრულიად დაუმსახურებლად გაქვს მიღებული. ის მთლიანად გფარავს. მისგან სრულიად ხარ გარემოცული. შენი აღარაფერი ჩანს.

ნათლობის პერანგი მზადაა, რომ ის ატარო. მის შესაკერად ნემსი და ძაფი არ გამოყენებულა. მონათლული ამ პერანგს თავად არ იკერავს. ეს სხვა პიროვნებამ გააკეთა. ეს იესოს მიერ აღსრულებული ხსნის საქმეს მსგავსია. მას არაფერი არ უნდა დაემატოს. ის სრული და სრულყოფილი თავისითაა.

შენ რწმენით ღმერთის შვილი ხარ. ღვთის სიტყვა აცხადებს მიზეზს, რომ შენ ნათლობის მეშვეობით იესოთი იქენი შემოსილი. რა კავშირია მათ შორის?

რწმენა სიტყვას ეჭიდება. სიტყვა ამბობს, „ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება“ (მარკ. 16:16). ჩვილის ნათლობა, რწმენის აქტია. საოცარი ისაა, რომ ასეთი აქტი, ღვთის სიტყვაზე დაფუძნებით ხორციელდება. ღმერთი რწმენას მისი სულით, სიტყვის მეშვეობით ქმნის, რომელიც წყალთანაა კავშირში.

თუ იესოსი გწამს, მაშინ შენი ნათლობის დღე დიდი წითელი ასოებით უნდა იყოს მონიშნული. მაშინ შენ ღვთაების მთელ სიმდიდრეს იქენი ნაზირები.

თუ რწმენის გარეშე ცხოვრობ, მიუხედავად შენი ნათლობისა, დაღუპული ხარ. ამ დროს ნათლობა შენი მოწოდებაა, რომ აღსარებითა და რწმენის მეშვეობით ხელახლა იშვა. ვინც მოგნათლა თავი მას მიეცი. დაე, მთელი მარადისობის განმავლობაში შენი მესაკუთრე ის იყოს.

12 თებერვალი

ძველ ტანისამოსს არავინ დაადებს ახალი ქსოვილის საკერებელს, რადგან ახლად დაკერებული მაინც მოიხევა სამოსელისაგან და უარესად დაიხევა.
მათე 9:16

ქრისტიანობა საკერებელი არ არის. მრავალს ასე ჯერავს.

მათი აზრით, ის არის მნიშვნელოვანი საკერებელი, გაცვეთილ და მონოტორულ ყოფა-ცხოვრებაზე. ადამიანი თავისი ცხოვრების გარკვეულ მომენტებში ეკლესიას სათავისოდ იყენებს. ამით ის ზებუნებრივთან ამყარებს კავშირს. ეკლესიას ხომ უფრო მაღალი ჭერი აქვს, ვიდრე ქალაქის საკრებულოს შენობას. თუ პიროვნება ეკლესიის საკუთრებად მიიჩნევს თავს, სადღესასწაულო გრძნობა და სერიოზულობის განცდა დაცულია.

სხვანი ფიქრობს, რომ ქრისტიანობა საკერებელია სნეულთა, მოხუცთა და მარტოდმყოფთა ნუგეშსაცემად. ის აგრეთვე შეწევნაა იმ უსუსური საზოგადოების ნაწილისათვის, რომელთაც ცხოვრებას თავი ვერ მოაბეს.

სხვანიც ფიქრობს, რომ ქრისტიანობის ამოცანაა შეზღუდულ ადამიანებს გარკვეული სახის განმარტება მისცეს. ცხოვრება შეიძლება ქაოტურად და უწესრიგოდ ჩანდეს. ამიტომ ქრისტიანობა, პიროვნების არსებობას აზრს ანიჭებს.

იესო იმის გულისათვის არ მოსულა, რომ ჩვენზე რაიმე დაეკერებია. სიმართლეა ის, რომ ამ გარიგების დროს ჩვენს მხარეს უფრო მეტი მოგვეცა; მაგრამ საშინელებაა თუ დამატებითი საჩუქრები, რეალურ საბოძვართან ერთად არის მოცემული. მაშინ პიროვნებას ღვთის უდიდესი ნიჭი ყურადღებიდან რჩება.

იესო მთელი ცხოვრების განმავლობაში გვეხმარება. ამის გამო დიდება ჰქონდეს მას! მაგრამ მისი მოსვლის მიზეზი ეს არ ყოფილა. მისი სურვილია ღვთის რისხვისგან გიხსნას. ჯოჯოხეთი ის ადგილია, სადაც გადაგდებული უნდა ყოფილიყავი. მისი სურვილი იყო ღვთის მსჯავრი შენს ნაცვლად თავის თავზე მოეტანა. აი ამის გამო, შენს ნაცვლად ღვთისგან დაწყველილი მოკვდა იგი გოლგოთაზე.

იმ ჯვარზე შენ უნდა ყოფილიყავი გაკრული. შენ უნდა გეღაღადა, „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“ შენ უნდა ყოფილიყავი ის, რომელსაც შიშში მყოფს ცა უპასუხოდ უნდა გადაკეტოდა და მხოლოდ სიბნელე უნდა მიცემოდა.

თუმცა იესომ შენი ადგილი დაიკავა. ამიერიდან შენ მასში რწმენით, ხელახლა შობილი ხარ.

იესომ შენ უსაშინლესი ვითარებიდან გიხსნა: მიუტევებელი ცოდვებით ღვთის წინაშე წარდგომისაგან.

ქრისტიანობა, რაღაც ძველი საკერებელი არ არის. ეს იესოა — ცოდვილთა მხსნელი და გამომსყიდველი.

13 თებერვალი

რაოდენ დიდია სიკეთე შენი, რომელსაც შენს მოშიშთათვის ინახავ...
ფსალმუნი 31:19

ღვთის აზრები ჩვენს აზრებზე მაღალია. თუ გაჭირვებაში ვართ და ღმერთი თავის სიკეთეს არ გვაჩვენებს, მისი გაგება არ შეგვიძლია. რატომ არაფერს არ აკეთებს? რატომ ახლა არ იწყებს მოქმედებას?

ღმერთის სიტყვა შენ პასუხს გაძლევს.

მისი სიკეთე დასაწყობებულია. რასაც გადიხარ, ეს მისი წვრთნის ნაწილია. მისი სურვილია მასზე მინდობა გასწავლოს.

რაც ღმერთმა დაფარა, ბოლომდე დაფარულია. წინასწარ ნახვა იმისა, რაც ხელში შენთვის მოსაცემად გამზადებული აქვს, მანამდეა შეუძლებელი, ვიდრე თავად არ გაცოდინებს მას.

ახლა ღვთის სიკეთის მცირეოდენს ხედავ. მისი უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ წინ არის. მას მისი ხელი ფარავს და ამიტომ რას გიმზადებს არ იცი.

რაოდენ დიდი სიხარული ეუფლება შენს გულს იმ სიმდიდრისათვის, რაც შენთვის არის გამზადებული? ღმერთი მისი სიტყვით მკრთალად გაჩვენებს იმას, რაც შენთვის არის გამზადებული. ის რაც გამზადებულია, ღვთისგან დავიწყებული არ იქნება. მის გულში შენი სახელი გასაოცარ სიმდიდრესთან არის დაკავშირებული და ერთი სული აქვს, როდის გახილვინებს ამ მადლს.

დავითი ღვთის სიკეთეს ყოველთვის ვერ წვდებოდა. მისი ცხოვრება სიძნელეებით, სნეულებით და ტანჯვით იყო სავსე. ამიტომ მრავალი მისი ფსალმუნი, ღვთისგან შეწევნის თხოვნის ღაღადით იწყება. მაგრამ იმავე სახით ისინი არ მთავრდება. ღმერთი აძლევს მას ცოდნას, რომ მიუხედავად მისი გამოცდილებისა, ის განუზომლად მდიდარია. ეს შენთვისაც ასეა. შესაძლოა ფიქრობ, რომ ყველაფერი გაკლია. ცოდვა და დაუდევრობა, მსჯავრს გდებს. გაყოფილი და შეწუხებული გონება შესაძლოა შენს გულში წარუმატებლობის განცდას ბადებს.

მიუხედავად ამისა შენ მდიდარი ხარ, თუ ამ გასაჭირის ჟამს მას ეჭიდები, ვინც ყოველი ცოდვისაგან გწმენდს. ამიტომ შენ, ღვთის მადლის სიმდიდრის სიუხვეში დარჩები საუკუნოდ.

საბოლოოდ ღმერთმა შენთვის დიდებული, მდიდრული და საუკეთესო გაამზადა.

რა არის ის?

ის იესოა. მას შენ რწმენით ფლობ. ის შენ გიძღვის. და ის უკუნითი უკუნისამდე შენია.

14 თებერვალი

ნუ შეგეშინდება ნურაფრისა, რისი გადატანაც მოგიწევს.

გამოცხადება 2:10

ეს ღმერთის სიტყვაა: „ნუ შეგეშინდება ნურაფრისა, რისი გადატანაც მოგიწევს.“ ღვთის სიტყვა რეალურია, შოკისმიერი რეალური, ვინაიდან ის ყოველთვის ჭეშმარიტებას ამბობს.

ცხოვრებას ტანჯვის გარეშე ვერ გაივლი. ის იმ ფაქტთან რჩება კავშირში, რომ ქრისტიანი ხარ. უბრალო ადამიანურ ტანჯვებთან ერთად, რომელსაც ადამიანთა უმრავლესობა განიცდის, შენ იმ ტანჯვათა გადატანაც მოგიწევს, რომელიც შენს ღვთის შვილობასთან არის კავშირში.

იესოს ცხოვრების გზის გასაზიარებლად შენ მზად უნდა იყო. ამას უნდა აკეთებდე შენს სამუშაო ადგილზე, სასწავლებელში თუ სამეზობლოში. მათთან შენ ბევრი საერთო გაქვს, მაგრამ სიღრმეში განსხვავებული. მათ ეს იციან. შენც იცი. შენ სულიწმიდის ტაძარი ხარ; და იესო, ზეცის მეუფე შენში ცხოვრობს.

ტანჯვის დროს სატანა შენს შიშს, შენივე პარალიზებისათვის გამოიყენებს. მისი სურვილია თვალთახედვა საკუთარ თავზე და საკუთარ სისუსტეებზე გადაიტანო. მისი სურვილია, რომ ადრე თუ გვიან დანებდე.

არ მოუსმინო მას! ნაცვლად ამისა შენი თვალები იესოს ტანჯვას მიაპყარი. ღმერთმა ის სრულყოფილი ტანჯვის გზით გახადა. გონებაში ჩაიბეჭდე, რომ ღმერთმა ეს ძალისმიერი სიტყვები თქვა, „ნუ გეშინია!“ ის მარტო არ დაგტოვებს შენ. გეთსემანიაში იესოსთან ერთერთი ანგელოზი იქნა წარგზავნილი. და ეს არ ყოფილა უკანასკნელად, როცა ღმერთმა ანგელოზები წარუგზავნა მათ, ვინც გადარჩენა უნდა დაიმკვიდროს.

მე მსურს შენ იცოდე, რომ უფალი ყოველდღიურად საჭიროებისამებრ ყველაფერს გვაძლევს. საომარი აღჭურვილობა ჩვენთვის მზადაა; უბრალოდ ყოველდღე უნდა ავიღოთ ის. ისრაელს ყოველდღე უხდებოდა საჭირო რაოდენობის მანნას მოგროვება. ეს ჩვენთვისაც ასეა. ჩვენი ძალა ერთი ჩვენი დღის სამყოფია.

ეს უფალია, რომელიც თითოეულ ინდივიდს ტანჯვის სასმისს აწვდის. ჩვენ ცათა სასუფეველში შესასვლელად, მრავალი განსაცდელის გადატანა მოგვიწევს.

სულს სიმშვიდეს ანიჭებს იმის ცოდნა, რომ ნებისმიერი რამ, რაც არ უნდა შეგვემთხვას, უფლის ხელის მიერ არის გაზომილი. თუმცა ყველაფერი სასიკეთოდ გვეწევა.

ამიტომ, ნუ შეგეშინდებათ! ტანჯვას შენ დანიშნულების ადგილზე მიყავხარ.

15 თებერვალი

ამიტომ ძალმიძს დავიქადო ქრისტე იესოში ღმერთის წინაშე.

რომაელთა 15:17

პავლე ამას მის მოციქულურ მსახურებაზე ამბობდა, მაგრამ თაობები მის მსახურებას სრულიად განსხვავებულად შეაფასებს. ჩვენ ვხედავთ, რომ პავლე ღვთის ხელში განსაკუთრებული ინსტრუმენტი იყო; თუმცა მრავალი მისი მედროვე, იგივე აზრს არ ატარებდა. მრავალი მას აკრიტიკებდა. ისინი მის პიროვნებას მუდმივად თავს ესხმოდნენ. ის იმ საცდურის წინაშე იდგა, რომ სხვებს მისი გაბედულება არ გაეძარცვათ.

საკრებულოში დიდი სიძნელეები იყო. ცრუმოძღვრება ყველა მხრიდან იყო შემოჭრილი. მორალურ განდგომილებას თავისი შემაძრწუნებელი ნიშანი დაეტოვებინა.

პიროვნულ გაღებულ ფასს, რაც სახარების ქადაგებასთან იყო კავშირში, თან ემატებოდა: პატიმრობა, გამათრახება და მუდმივი საფრთხე.

როგორ არის ეს შესაძლებელი, რომ ამ მდგომარეობაში მყოფმა კაცმა ღვთის წინაშე თავისი მსახურებით იქადოს?

პავლეს ამის გაკეთება შეეძლო, ვინაიდან მის მსახურებას ქრისტე იესოში ნათლად ხედავდა. რასაც ის აკეთებდა და რასაც ის გადიოდა, ყველაფრის ასოცირებას იესოსთან ახდენდა. მისი მსახურება უფლისგან ჰქონდა მიღებული და მას იესოსთან ერთად სწევდა.

შენთვისაც ეს გზაა.

შესაძლოა ქრისტეს მსახურებაში უკვე მრავალი წელია ხარ. მასთან შედარებით ძნელი მსახურება არ გიწევს. წარმოგიდგენია იესომ დაგტოვოს და მის ხელში მყოფ იარაღად არ დარჩე? განა შენი გულის ყველაზე დიდი სურვილი ის არაა, რომ მასთან იყო?

ვინაიდან ის ახლაც თავის მსახურებაშია, შენც გსურს მისი თანამონაწილე იყო.

კარგია ღვთის სასუფეველში მყოფი გამოცდილი მსახურების მოსმენა. მათ შეუძლიათ იმ ფაქტის დამოწმება, როდესაც მსახურება ძნელდებოდა, ისინი განსაკუთრებულ კურთხევას ღებულობდნენ. მათ სიძნელე იესოსკენ უბიძგებდა და მის დროს ის დახმარებას უჩენდა. სიძნელისა და გაჭირვების ჟამს ისინი ახალი ურთიერთობის დონეზე ადიოდნენ.

ქრისტიანისათვის იესოს მსახურება არასოდეს სრულდება. ამოცანები შეიძლება შეიცვალოს. მსახურება და მიზანი კი იგივე რჩება. ყველაფერი სულების გადარჩენას ემსახურება. შენ მარტო არასოდეს მსახურებ. შენ და იესო მსახურებთ ერთად.

16 თებერვალი

ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა.

2 კორინთელთა 12:9

თუ გვსურს იმის გაგება, როგორ ხდება უძლურებაში იესოს ძალა სრულყოფილი, ამისათვის წიგნების წაკითხვა არ არის საჭირო. უბრალოდ დავაკვირდეთ სუსტ და უმწეო ქრისტიანებს, რომელნიც ღვთის მადლით ცხოვრობენ.

ასეთი ქრისტიანები თავისით არარაობა არიან, მაგრამ საკუთარი სიმცირითა და სისუსტით თავი დიდად არ მოაქვთ. საკუთარი უბედურება და უბადრუკება ტანჯვათ ექცათ. მათი აზრით დამამცირებელია ის, რომ ამხელა მადლის და სიყვარულის მიმღებთ, ასე მცირე ნაყოფები აქვთ ცხოვრებაში გამოღებული. მათ არ იციან, რომ ისინი ღვთის მადლის ძალის ანარეკლი არიან.

ისინი იესოს თავიანთი უძლურების ჟამს მიმართავენ. ღმერთი კი მთელი დღის განმავლობაში მათ გულებსა და აზრში ცხოვრობს. მათთვის ცხოვრებისეულ წრვილმანზე მასთან საუბარიც ბუნებრივია. არ შეუძლიათ მარტო სიარული, დიახ, ერთი ნაბიჯიც კი. საკუთარი შესაძლებლობის და უნარის რწმენა დაკარგეს. იესოა მათი წინამძღოლი და ძალის ყველაფერზე მიმნიჭებელი.

ყოველ ქრისტიანს ღვთის ძალა აქვს. შეუძლებელია იესო მისი სისავსისა და ძალის გარეშე გულში ცხოვრობდეს. თუმცა უდიდეს განსხვავებას ქმნის ის ფაქტი, იესოს ძალას განვითარების საშუალება მიეცემა, თუ არა.

მანამ ვიდრე უფალი უძლურებაში არ შეგიყვანს, შენი ბუნებრივი უნარები და შესაძლებლობები იესოს ძალას ლიმიტს დაუდგენს. იესო ძალთა-გაზიარებაში არასოდეს შედის. საქმე ასე არაა, რომ ჩვენ იმას გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია და მერე უფალი დანარჩენს დაასრულებს.

ჩვენ ღვთის თანამშრომელნი ვართ ნიშნავს, რომ მის განკარგულებაში ვიმყოფებით. ნაყოფის გამოღება დამოკიდებულია, რაოდენ ეძლევა მის ძალას ადგილი. კურთხევა ჩვენი საკუთრებიდან არ მოდის. ის მხოლოდ მისგანაა.

ჩვენი აზროვნების თანახმად, უძლურება კარგი არაა. მაგრამ ღვთის სიტყვის ნათელში, უძლურება წინა-მდგომარეობაა იმისა, რომ ჩვენი მუცლიდან სიცოცხლის წყლის ნაკადებმა იდინოს.

მაშასადამე, როდესაც უფალი უძლურებაში გაგდებს სასოწარკვეთას არ უნდა მიეცე. ის ამას იმის გამო არა აკეთებს, რომ შენ მისი რისხვის ქვეშ ხარ მოყოლილი. შენ მის მიერ ხარ შეყვარებული და მას სურს მისი ძალა სრულყოფილად იქნას შენში გამოყენებული.

უფალს თხოვე მისი გზით გატაროს; ის გზა ყოველთვის საუკეთესოა.

17 თებერვალი

ვინც ცოლი ჰპოვა, სიკეთე ჰპოვა და უფლის კეთილგანწყობა მოიხვეჭა.

იგავი 18:22

უფლის კეთილგანწყობა მადლია ღვთისა. მისი მიღება მხოლოდ ნიჭის სახით შეგიძლია.

ღმერთს მრავალი სახის მადლი აქვს. ერთერთი მათგანი ცოლია.

კარგია შევჩერდეთ და დავფიქრდეთ, პიროვნებას ახლობლის გამო რა ევალება. გულში აღშფოთების მიზეზი ადვილად წარმოიშვება, როცა გაიაზრებ, რომ შენი მეუღლისათვის ღვთისადმი მადლობის თქმა დავიწყებული გაქვს. ცოლისგან მიღებული სიკეთე დამატებითი მადლია, რასაც შენ ყოველდღიურად უხვად ღებულობ.

უდიდესი მნიშვნელობის მქონე საკითხია, მადლობდე ღმერთს. რისთვის უნდა ვმადლობდე? ყველაფრისთვის, რასაც ღვთის ხელიდან ვღებულობ. ყველაზე დიდი სიკეთე, რაც შენი მეუღლისთვის შეგიძლია გააკეთო არის, რომ ის, როგორც ღვთის საჩუქარი ისე მიიღო. მაშინ შენს მეუღლეს მას დაუკავშირებ; ამის კეთებით ორივე თქვენგანზე კურთხევას უხმობ.

ასევე მნიშვნელოვანია მადლობდე შენს ცოლს, ვიდრე ამის საშუალება გაქვს. მრავალ ადამიანს მეუღლის სამარხის წინ მოუწია დგომა და ფიქრი იმაზე, რომ, რისი თქმაც მათ წარსულში მმართებდათ, უკვე ძალზედ გვიანია.

მადლობა, სიხარულს წარმოშობს. ყოველდღიური ცხოვრების მოვალეობის შესასრულებლად, ის ძალას ანახლებს. ცხოვრება უფრო და უფრო უბედური ხდება, თუ პიროვნება უკმაყოფილებას და შეურაცხყოფას ხვდება.

მეწვრილმანეობის წყევლამ, მრავალთა ოჯახები გაძარცვა. ჩვენ მისგან თავის დასაცავად, სადარაჯოზე უნდა ვიყოთ. კარგია უკან ნაბიჯით დახევა და საკუთარი ქორწინების უფრო დიდი სურათით დანახვა. საუკეთესო ვარიანტია მისი ღვთის ნათელში განხილვა. იქ მე ვხედავ, რომ ჩემი ცოლი უფლისგან მოსული მადლია. მადლი არასოდეს დამიმსახურებია. მას დაუმსახურებლად ვღებულობ. ეს იმ სიკეთესაც ეხება, უფალი სხვა ადამიანებიდანაც რომ მანიჭებს.

საკუთარი მეუღლის სინათლეში დანახვა, ქორწინებას კურთხევად აქცევს. მაშინ გონება და გული სიხარულით ივსება. სიყვარული შეწევნისა და გამხნევების გზას, ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისით ძებნის. ღვთის სიტყვა კურთხეულია. ის აქ, დედამიწაზე გვაქვს მოცემული. შენ კურთხეული ხარ, ვინც მას ყურს უგდებ. საცოდავი ხარ ვინც ფიქრობ, რომ ცხოვრებას სხვისი დახმარების გარეშეც კარგად განვლი. ასეთი მიდგომა უფლის ნათქვამს საერთოდ ცდება.

როგორც მე წარმომგზავნა ცოცხალმა მამამ და მე მამაში ვცოცხლობ, ასევე ჩემი მჭამელი ჩემით იცოცხლებს.

იოანე 6:57

ღვთის შვილი მხოლოდ იმის ძალით არ ცხოვრობს, რაა სწორი და რაა არასწორი. ის იესოს ძალით ცხოვრობს.

იესო მხსნელია იმისა, რომელმაც ქრისტიანულ ცხოვრებას თავი ვერ გაართვა. ის ხნსაა შენთვის, რომელიც მსჯავს განიცდი, ვინაიდან შენს ქრისტიანობას წარუმატებლად მიიჩნევ.

რამდენჯერ განგიწყვია საკუთარი გონება იმისათვის, რომ ამიერიდან ნამდვილი ქრისტიანი გახდებოდი, მაგრამ ყოველი მცდელობა მარცხით მთავრდებოდა. ამიტომ გულგატეხილი და სასოწარკვეთილი დარჩი. სხვამ მიაღწია წარმატებას, მაგრამ შენ ვერ აღმოჩნდი უნარიანი. ამის შემდეგ საკუთარ თავს ეკითხები, გინდა თუ არა საერთოდ ქრისტიანი იყო.

არავინაა, რომელსაც ქრისტიანად ყოფნის უნარი ჰქონდეს. ერთადერთი, რაც გვაქვს, ეს ცოდვაა, ეგოიზმი და ღვთის წინაშე ჯანყი. ამიტომ ღმერთს სურს იესოს სიყვარულით ვიცხოვროთ. იესოში ყველაფრის პოვნა შეიძლება, რის ნაკლოვანებასაც თავად განიცდი.

უამრავი ქრისტიანია, რომელთაც საკუთარი თავიდან დახსნა ესაჭიროებათ. იესოს ერთი შეხედვის დროს, საკუთარ თავს ათჯერ აკვირდებიან. ამგვარ ადამიანთა შეგნებაში ვერ დავიდა, რომ მიუხედავად საკუთარი სიღარიბისა, იესოში განუსაზღვრელად მდიდარნი არიან.

როდესაც სრულყოფილს ეძებ, იესოსთან მიდი. საკუთარ თავში მას ვერასოდეს იპოვნი. მაგრამ შენი მონაცვლითა და გამომსყიდველით, ყველაფრის პოვნა და თან უხვად არის შესაძლებელი. ის თავისთვის არაფერს იტოვებს და ყველაფერს გიზიარებს.

ეძებ სიყვარულს? საკუთარ თავს ნუ მიაკითხავ. იესოა ერთადერთი რომელსაც ისე უყვარს, როგორც ღმერთს. ფუჭად არ მოგიწევს სიარული. იესო თავის სიყვარულს შენს გულში სულიწმიდით ჩაღვრის.

გეშინია რწმენის ნაკლებობის გამო? მიდი იესოსთან. ის ყველა მდგომარეობაში ზეციერ მამაზეა დანდობილი. შეუძლებელია იესოსთან დახმარებისათვის გულითადი ლოცვით მიხვიდე და მან არ გაზიაროს თავის სიმდიდრით აღსავსე სამყაროს.

თუ ამ სახით იესო თქვენთვის ყველაფერია, ე. ი. მისი ძალით ცხოვრობ, მისით იქადი და შენი ცხოვრების საიდუმლოება ისაა, რაც მასში გაქვს მონიჭებული.

მე კი, არ შემეცოდოს უფლისათვის და არ შემეწყვიტოს თქვენთვის ლოცვა.
1 სამუელი 12:23

ბევრს შუამდგომლობითი ლოცვა, მოხალისეობის საკითხად მიაჩნია. კარგია თუ პიროვნებას ახსოვს ის და აკეთებს, მაგრამ ქრისტიანთა უმრავლესობა მას სერიოზულად არ ეკიდება, დროს საამისოდ არ გამოყოფენ ან საერთოდ ივიწყებენ.

მაგრამ ვინც იცნობს ღმერთს, ასე არ იქცევა. ამის სწავლა სამუელიდანაც შეგიძლია.

ისრაელმა ღვთის წინაშე მეფის მოთხოვნის გამო შეცოდა. მათ ის ისურვეს, რაც სხვა ერებს ჰქონდათ. ვერ ეგუებოდნენ იმ ფაქტს, რომ უხილავი ღმერთი მათი მეფე იყო. ადამიანთა სურვილით, ღმერთი დამცირდა. მიმდინარე მდგომარეობებსა და პირობებში ის მათ უძღოდა და იფარავდა. თუმცა ისრაელი ამით არ იყო კმაყოფილი. მათ ლიდერად თავიანთი კაცი სურდათ.

სამუელმა ხალხისათვის ცხადი გახადა, თუ ღმერთი მათ მოთხოვნას როგორ უყურებდა. ისინი აღშფოთდნენ და სამუელს უთხრეს, „შეეევედრე ჩვენთვის, შენი მსახურებისთვის უფალს, შენს ღმერთს, რომ არ დავიხოცოთ, რადგან მთელ ჩვენს ცოდვებს ის ბოროტებაც დავუმატეთ, რომ მეფე მოვითხოვეთ.“

სამუელმა მათ ცხადი უპასუხა გასცა. მას ღვთისადმი შეცოდება, მათთვის ლოცვის შეწყვეტით არ სურდა.

ქრისტიანის მსახურებას სხვადასხვა ასპექტი აქვს. ერთერთი მათგანი შუამდგომლობითი ლოცვაა. ღვთის სურვილია შენ სხვა ადამიანებზე იზრუნო. ეს შენ ხარ, რომელმაც ისინი შუამდგომლობის მკლავებით მის წინაშე უნდა მიიყვანო. ამის კეთება გამძლეობას ითხოვს, მაგრამ ამ მსახურების უარყოფა, უფლის წინაშე შეცოდების გარეშე შეუძლებელია.

შეიძლება ფიქრობ, რომ უკვე მრავალჯერ შეცოდე. თუ ასეა, უნდა იცოდე, რომ შენ მთელი შენი ცოდვებით შეგიძლია იესოთან მოსვლა — ყველა შენს მიერ უგულებელყოფილი საკითხებით და იესო, თავისი ძვირფასი სისხლით ყველა ამ ცოდვისაგან გაგწმენდს.

ის მისი მადლით შეგეწევა და კიდევ ერთხელ შუამდგომლობით მსახურებაში განგამტკიცებს.

რა მოხდება თუ კიდევ დამარცხდები?

იმავე გზის განვლა მოგიწევს. ყველა შენს მიერ უგულებელყოფილი საკითხის მისი სისხლის ქვეშ მოტანა მოგიწევს და დარწმუნდები, რომ მას ძალა კვლავ არ დაუკარგავს. იესო შუამდგომლობისაკენ და დამაკმაყოფილებელი მსახურებისაკენ კიდევ ერთხელ მოგიწოდებს.

20 ოქტომბერი

შვილო, მამაშენის მცნებები დაიცავი და დედაშენის სწავლებას ნუ მიატოვებ.

იგავი 6:20

როდესაც მშობლები ასაკში შედიან, მათი ჯანი დაბლა ეშვება. ამ დროს პიროვნება უფრო ფრთხილი ხდება. დროს განსხვავებულად ეპყრობა. მასი აზრით ძველად ყველაფერი კარგად იყო.

ახლაგაზრდობაში ადამიანს ბიძგი აქვს. სიახლეს მათთვის შთამბეჭდავი ეფექტი აქვს და მრავალი ახალგაზრდა წინა თაობის შეხედულებებითა და მიდგომებით აღშფოთებულია. ამგვარი დამოკიდებულებები ქრისტიანულ წრეებშიც აღწევს.

თუ მშობლის მნიშვნელოვან რჩევას არ ითვალისწინებ, შენ ღვთის მიმართ ცოდავ. ცოდვა კი კურთხევას კლავს.

მრავალი იესოსგან განდომილი რჩება, რადგან მათ გაფრთხილება უგულებელყვეს. მშობლებმა შეამჩნიეს, რომ შვილები საშიში მიმართულებით ვითარდებიან. ისინი ამის თქმას შეეცადნენ, მაგრამ ცხადად იგრძნეს, რომ არ თქმა ჯობდა. შვილების დამოკიდებულებამ ისინი მდუმარე დატოვა.

გარკვეულ პერიოდში მრავალი, მამის და დედის ნათქვამს ყურს არ უგდებს. როდესაც ფინანსურ საკითხებში სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ, არ უჯერებენ. მრავალი ახალგაზრდა ფიქრობს, რომ ის ხალხი ვინც დიდ სარგებელს იხვეჭს, ყველაზე გაბედული ადამიანები არიან. ამ შუქზე კი მშობლის რჩევა აკრძალვად ჩანს.

ახლაგაზრდას ისეთი რამ აქვს, რაც ასაკოვანს არ გააჩნია. მაგრამ ასაკოვანსაც აქვს ისეთი რამ, რაც ახალგაზრდას არ აქვს. და ეს სიბრძნეა. ყველაფრის თავზე გადატანა საჭირო არაა. შენ შეგიძლია ღმერთში თავი დაიცვა და მრავალი ტკივილი და უსიამოვნება თავიდან აიცილო, თუ ასაკოვან ადამიანთა სიტყვებს შეისმენ.

კარგია ღვთისადმი ილოცო, რომ სხვათა სწავლებით მადლი მიიღო. თუმცა საამისოდ თავმდაბლობაა საჭირო. თუ ფიქრობ, რომ შენ უფრო ინტელექტუალი ხარ, მაშინ რა თქმა უნდა შენი გზით გააგრძელებ სვლას. ეს კი კურთხევამდე არ მიგიყვანს.

ნაწილი იმისა, რასაც შენი მშობლები გელაპარაკებიან, მათი არ არის. მათ ის თავიანთი მშობლებისაგან მიიღეს. შენც მიიღე ის. მას შენ კურთხევისაკენ მიყავხარ და მისი მეშვეობით შენ სიბრძნე მოგეცემა, რომლის სხვაზე გადაცემასაც შეძლებ.

21 ოქტომბერი

თორმეტნი აირჩია და უწოდა მათ მოციქულნი, რათა მასთან ერთად ყოფილიყვნენ და საქადაგებლადაც გაეგზავნა...

მარკოზი 3:14

იესომ უპირველეს ყოვლისა აგირჩია, რათა თავისთან ჰყავდე. შენ მასთან უნდა იყო. იესოს შენთან ურთიერთობა სურს. არის ისეთი საკითხები, რომლის შენთან გაზიარება უნდა და არის ისეთი საკითხები, რომლის გაზიარება შენ შეგიძლია მისთვის.

შეიძლება ფიქრობ, რომ შენ იესოსათვის საკმარისს არ აკეთებ. ყველა ცოცხალი ქრისტიანისათვის ეს ნაცნობი გრძნობაა. საკუთარ თავს, როგორც გამოუდეგარ მსახურს ისე უყურებ.

არ დაივიწყო, მისთვის შენი მსახურება დიდმნიშვნელოვანი არ არის. მნიშვნელოვანი მასთან ყოფნაა. ამის გაკეთება უძლურსაც შეუძლია. სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ ყურადღებიდან ყველაზე მეტად ეს გრჩება. შენი გულის უღრმესი საჭიროება სწორედ ამაშია.

თუმცა, იესოსთან ყოფნა საკმარისია?

დიახ, ეს საკმარისია და თან უკუნითი უკუნისამდე. მასთან გული მშვიდდება. ისაა ერთადერთი, რომელსაც შენი სულის დაკმაყოფილება შეუძლია.

მრავალი ცხოვრებითა და მსახურებით არის დაღლილი, ვინაიდან ისინი იესოში არ პოულობენ მოსვენებას. ისინი მისთვის საქმეთა კეთებით არიან დაკავებული. ისინი გეგმავენ და თუ რეზულტატი მწირია, გული ადვილად უტყდებათ.

უპირველეს ყოვლისა შენ იესოთან უნდა დაისვენო. ის შენით უფროა დაინტერესებული, ვიდრე შენი საქმით. ის შენგან სიყვარულს ითხოვს. ეს კი ყველაფერს აღემატება, რისი გაკეთებაც კი შენ მისთვის შეგიძლია.

იესოს სურვილია მადლი გაწვიმოს. შენში მისი სიყვარული უნდა მეფობდეს. მას სურს შენს გულს აამოს. მთლიანი კურთხევის მიღება იმ შემთხვევაში შეგიძლია, როდესაც მასთან ერთად რჩები.

შენი იესოსთან თანაცხოვრება, შენი და ღმერთის ურთიერთობაში ყველაზე სიღრმისეული და ყველაზე აქტუალური საკითხია. ყველა მსახურება იესოსთან ყოფნით იწყება და აღსრულებაში მოდის. ამ შემთხვევაში შენ ვინც მსახურობ მთავარი არ ხარ. ეს შენ არ იღებ ნაყოფს. ეს იესოა. ის თავისი სიცოცხლით შენში ცხოვრობს. ის ნაბიჯებს შენით დგამს. ამიტომ დარჩი იესოსთან. მაშინ შენი გული სიმშვიდეს ჰპოვებს. და მხოლოდ მაშინ მაცხოვრისათვის გამოსაყენებლი ინსტრუმენტი გახდები.

22 ოქტომბერი

შევხედე და, აჰა, ტახტსა და ოთხ ცოცხალ არსებას შორის და უხუცესებს შორის დგას კრავი, როგორც დაკლული.

გამოცხადება 5:6

იოანე ზეცად იქნა ატაცებული. იქ მან ღვთის ტახტი იხილა. ეს განმაცვიფრებელი სანახაობა იყო. ღვთის ხელში პერგამენტის სახით გამოცხადების წიგნი იყო, მაგრამ არავინ მოიპოვებოდა, რომელსაც მისი გახსნა შეეძლო. ამის გამო ის ტიროდა და ტიროდა. მაგრამ მისი ტირილი მაშინ შეწყდა, როცა კრავი იხილა.

დაკლული კრავი ღვთის ტახტის წინაშე იდგა. ეს ნიშნავს, რომ ღმერთი მუდმივად ხედავს კრავს. ღვთისათვის კრავი ცენტრია. მისი ცენტრი შენიც უნდა გახდეს.

ღვთის ყველა აზრი, იესოშია სუმირებული. შენი ყველა აზრიც მასში უნდა იყოს სუმირებული. ისე, როგორც იესო ღვთის წინაშეა წარმომდგარი, ასევე ის შენს წინაშეც უნდა იყოს მუდმივად.

რატომ თავიდანვე ვერ დაინახა იოანემ კრავი? ეს იმიტომ, რომ კრავს გარეგნული ბრწყინვალება და დიდება არ გააჩნია. ღვთის განგებულების თანახმად, იოანეს თვალები დრომდე ჰქონდა დაბინდული.

ასეა შენზეც. თუ როგორი იქნება შენი სულიერი განვითარება, შენ ვერ წყვიტავ. ღმერთმა დროებით შეიძლება რაღაც დაგიფაროს. მისი მიზანია ღრმა რეალიზებაში შეხვიდე იმ სიმდიდრისა, რაც მასში გაქვს. ისაა ერთადერთი, რომელიც შენთვის კარს აღებს. მას შეყავხარ მარადიულ საიდუმლოებაში. შენ უნდა ცნო, რომ მას ქრისტეში ყველაფრის გაერთიანება სურს, როგორც ზეციურის, ასევე მიწის.

თუ ცხოვრებას თვალს გადაავლებ, შესაძლოა ღვთის განზრახვა იგრძნო. ღმერთს შენი იესოსთან გაერთიანება მუდმივად სურდა. და მიუხედავად იმისა მან დრომდე ეს შენ დაგიფარა, ეს მანამ იყო, ვიდრე შენი ცოდვების გამო დაკლული კრავი არ იპოვე.

იესოს შენი გულით კი არა, არამედ ღვთის გულით ჰპოვებ. ამ დროს ის ნეტარებითა და სიხარულით აგავსებს. ღმერთი იესოს, როგორც შესაწირავ კრავს მუდმივად ისე უყურებს, კრავს, რომელმაც მთელი ცოდვები წაიღო.

ესაა გადარჩენის საფუძვლები და ის საუკუნოდ მტკიცედ დგას.

23 ოქტომბერი

ვინაიდან ცოდვა ვეღარ იბატონებს თქვენზე, რადგან რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ ხართ.

რომაელთა 6:14

ღვთის სასუფეველი მადლის სამეფოა. ყველაფერს თავისი საწყისი აქვს და წყარო მისი, მადლია. ღვთის შვილი მით არის დახსნილი და წმიდა ცხოვრების ძალაც ღვთის მადლით ენიჭება.

მადლით ბევრია გადარჩენილი და ამის შემდეგ რჯულის ქვეშ, გაუაზრებლად ხვდებიან. ისინი ქრისტიანად ყოფნით და მისი საქმეებით ხდებიან დაკავებულნი. შედეგი ამისა არის ის, რომ ცოდვა მათ ცხოვრებაში ძალას ღებულობს. ღვთის რჯული ცოდვას ადიდებს.

განუზომელი კრიტიკა და სიმწარე იდგამს ფესვს, როდესაც გულში მადლის ადგილს რჯული იკავებს. ამ დროს პიროვნება საკუთარი თავიდან და სხვებისგან უსაზღვროდ მეტს ითხოვს.

მაშინ კონტროლს ცოდვა ამყარებს. ერთი მეორეზე იწყებს შედარებას. თვით-ამაღლება და შური ძლიერდება და სიყვარული ნელდება.

ღვთის სურვილია მის შვილებში ცოდვის ძალა დაამსხვრიოს. ის ამას აკეთებს მათი შთაგონებით, რომ ისინი რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ არიან. რჯულის გზა დამარცხებისკენ მიდის. მადლის გზა კი, იესოში არსებული გამარჯვებისა და სიმდიდრისაკენ.

მნიშვნელოვანია, რომ იესოს სიკვდილი და აღდგომა შენი ქრისტიანული ცხოვრების წარსული ნაწილი არ იყოს. კვლავ და კვლავ თავს უნდა შეახსენო, რომ შენ მის სიკვდილთან იქენი გაიგივებული და მის აღდგომაშიც მასთან იყავი შეერთებული.

იესომ მთელი ცოდვები იტვირთა და მან სატანის საქმეები ბოლომდე გაანადგურა. მან ეს შენს ცხოვრებაში გააკეთა. შესაძლოა ცოდვა კვლავ თავს გაბეზრებს, მაგრამ იმავე დროს შენ იცი, რომ მისი ძალა შემუსვრილია. მასზე ტრიუმფალური გამარჯვება იესომ გოლგოთაზე მოიპოვა. შენი რწმენა იესოს აღსრულებულ საქმეში, შენივე გამარჯვებაა.

როდესაც გული შენი ღვთის მადლის გამო მადლიერებით ივსება, მაშინ სატანას გაქცევის მეტი არაფერი დარჩენია. მას არ შეუძლია იქ დარჩეს, სადაც გოლგოთაზე მიყენებულ მარცხს ახსენებენ. ცოდვა სატანასთან ერთად უნდა გავისტუმროთ. ხოლო სადაც იესოა, მის უკან მადლი და სიხარულია.

24 თებერვალი

ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად.

გალატელთა 5:13

შენ ქრისტეს მთელი სიმდიდრის თანამოზიარე ხარ. არაფერია ისეთი, რაც მან გოლგოთაზე აღსრულებული საქმით მოგიპოვა და ერთიანად არ მოგცა. მასში შედის რჯულიდან თავისუფლების მიღებაც. არ არსებობს შენი მამხილებელი რჯული, ვინაიდან მან შენს მაგივრად იესო ამხილა. იესო რჯულის დასასრულია, რათა ყველა მორწმუნეს გამართლება მიენიჭოს.

სატანა ყოველმხრივ ცდილობს ამ დიდებულ სახარებას ჩამოგაშოროს. ერთერთი მისი გზაა ფიქრით გაცდუნოს, რომ ცოდვა ასე სერიოზულიც არ არის, ვინაიდან იესომ ყველა ცოდვებისაგან გამოგისყიდა.

ღმერთი ერთბაშად არ იძლევა ყოველივეს. ეს, რომ ასე გააკეთოს მაშინ მის ხედვას სხვა ჭრილში დაიწყებდით. შენი ყველაზე საზიზღარი მტერი ნასიამოვნები იქნება თუ შენი ცხოვრება ცოდვასთან რბილი დამოკიდებულებით იქნება გამორჩეული. მაშინ მას ეცოდინება, რომ შენ მას დიდი დროით ჰყავხარ დამარცხებული.

ჭეშმარიტი და ცოცხალი ქრისტიანი შეიძლება ცოდვაში ჩავარდეს, მაგრამ იქ ის არ დარჩება. შეუძლებელია ერთ ხელში ცოდვა, ხოლო მეორეში იესო გყავდეს. თუ ამის კეთებას შეეცდები, ფაქტიურად ეს ნიშნავს, რომ იესოსა და ცოდვას შორის ხიდის აგებას ცდილობ. თუმცა, მას აღარ უნდა იმ ცოდვასთან შევიდეს უღელში, რომლის ტარებაც მას ოდესღაც მოუწია. ამის გამო ის შენ გტოვებს, რადგან მის ჩათრევას ისევ ცოდვით ცხოვრებაში ცდილობ.

ქრისტიანი შეუძლებელია ერთდროულად იესოსთანაც და ცოდვასთანაც მშვიდობაში იყოს. ქრისტიანს ცოდვაში ცხოვრება არ შეუძლია. ის შეიძლება მასში ჩავარდეს, მაგრამ ეს სულ სხვა რამ არის. ეს უფრო ჰგავს წყალში ან ცეცხლში ჩავარდნას; ამ დროს რაც შეიძლება მალე უნდა იქნა მისგან ამოყვანილი, თორემ ან დაიხრჩვებით ან დაიწვებით.

შეიძლება ეს შენს ფეთქებად ხასიათს ეხებოდეს; მან შესაძლოა ღვთის მიმართ ფატალური შეცოდება გამოიწვიოს! გამოცდილებით იცი ცოდვა, როგორ გხიბლავს. მაგრამ ხორცის გულისთქმა შენს ცხოვრებას არ უნდა მართავდეს. იესოა ის ერთი, რომელმაც გამოგისყიდა და თავისი სისხლით თავისი გაგხადა.

თუ შენს გულში ცოდვა შევა და თავს შეგაყვარებს, ღვთის შიში დაგტოვებს და თავს ცოდვას დაუმორჩილებ. შენი იესოში თავისუფლება მის მსახურებაში გატარებული ცხოვრებაა და არა ღვთის კრავის წინააღმდეგ ჯანყი, რომელმაც მთელი წუთისოფლის ცოდვა იტვირთა.

25 თებერვალი

იზრუნე მასზე და თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები, გადაგიხდი.

ლუკა 10:35

ნუთუ კეთილმა სამარიტელმა საკმარისი არ გააკეთა? განა ყაჩაღების ხელში ჩავარდნილი, საცოდავი კაცის დასახმარებლად საკმარისი არ გაიღო? მას შემდეგ, რაც მას ჭრილობები შეუხვია, თავის ვირზე დასვა და სასტუმროში მიიყვანა, სადაც თანხა გადაიხადა. მაგრამ ამით ყველაფერი არ დასრულებულა. როდესაც უკან დაბრუნდებოდა, მას სასტუმროს მეპატრონისათვის დამატებითი ხარჯების გასტუმრება მოუწევდა.

როდესაც შენი გული იესოს სიყვარულით ფეთქავს, სინათლე იღვრება მასში და მზად ხარ შენი მხსნელის გამო ხმამაღლა სიხარულით იყვირო. არაფერი შეედრება იმას, როდესაც პიროვნება ცოდვებისაგან თავისუფლდება. იესომ ის იტვირთა და მას უკან აღარასოდეს მოგიგდებს. როდესაც ცოდვილის გული ამას გააცნობიერებს, სული მისი მადლიერებით ივსება და მასში წმიდა გრძნობა იბადება, რომ აღარ სცოდოს.

ეს სულ ასე, რატომ არ ხდება?

ძნელია გულის თვალი მუდამ იესოზე და მხოლოდ მასზე გქონდეს მიპყრობილი. ჩემი გონება სხვადასხვა საგნებით არის გაფანტული. ხოლო, როდესაც იესო და მისი დიდებული ხსნა გულს არ ავსებს, მაშინ ცოდვის წინააღმდეგ დაცვა მორღვეულია.

ცოდვები, რომელიც ქრისტიანად გახდომამდე ჩავიდინე, მტკივნეულია, მაგრამ მის შემდეგ ჩადენილი ცოდვები, რაც ღვთის შვილი შევიქენი, უფრო საშინლად მტკივნეული. ახლა მე ვგრძნობ, რომ ცოდვით ღვთის სიყვარული ითელება. უბრალოდ დაფიქრდი, მას ცოდვასთან გამკლავება რა დაუჯდა.

თუმცა, რას აკეთებს იესო, როდესაც ცოდვის უწმიდურებით გამოწვეულ სირცხვილში ვიმყოფები? ის ჩემთან ბრუნდება. არა მსჯავრის დასადებად, არამედ მისი გამოსყიდვით ჩემი ცოდვების გადასაფარად.

სადაც ცოდვა გამრავლდა, მას ღვთის მადლმა გადააჭარბა. შენ ვერ გაიგებ, ღმერთს განგრძნობითად შენი ცოდვების მიტევება როგორ შეუძლია. ეს იმიტომ, რომ შენთვის წარმოუდგენელია, რაიმე ლიმიტის გარეშე არსებობდეს. ღვთის სიყვარული ულიმიტოა. მას შენ, როგორც შვილი ისე უყვარხარ და შენი დატოვება არ შეუძლია. როცა შესცოდე, მისი უდიდესი სურვილია დაუმსახურებელი მადლი გიჩვენოს. ცოდვის მიერ გამოწვეული დანაშაული და იმავე ცოდვით წარმოქმნილი ვალის გამო, იესოსადმი ლოდინიღა დაგრჩენია. ის რომ მოდის, ყველაფრის ხარჯს იღებს.

26 თებერვალი

მე, მე ვარ ის, ვინც დანაშაულს ჩამოგბანს ჩემივე გულისათვის და შენს ცოდვებს არ გავიხსენებ.

ესაია 43:25

არის ცოდვა, რომელსაც ბოროტმოქმედებას ვუწოდებთ. ეს ის საქმეა, რაც არ უნდა ჩაგედინა. კარგად იცი მას ადამიანთა თვალში, რა დამღა მოაქვს. ამიტომ მათ დაფარვას ცდილობ. თუ ადამიანები მისი მეშვეობით შემოგხედავენ, არ მოგეწონება. თუ ეს მოხდა, შთაბეჭდილება გექმნება, რომ მათ თვალში პატივისცემა დაკარგე.

გაშინებს ის აზრი, რომ უფლის თვალთა წინაშე, რომელსაც ანგარიში უნდა ჩავაბაროთ, ყველაფერი ღია და შიშველია.

რა მოხდება?

სამყაროში, ღვთის წინაშე მიუტევებელი ცოდვებით წარდგომა ყველაზე საშიში რამ არის. მაგრამ რატომ უნდა გააკეთო ეს, როცა ღმერთს შენი უკეთურებისა და ბოროტების ჩამობანა სწადია?

შენს ქვა და უწმიდურ გულში, იესო შემოუშვი. მის წინაშე ყოველი დაფარული აღიარე. ის მათ მოგაშორებს. როცა იესო თავისი სისხლით მათ შეეხება, ვერცერთი ცოდვა ვეღარ დარჩება.

ძნელია მიხვდე ის გახსოვდეს, რაც უფალმა დაივიწყა. მაგრამ ღვთის შვილისათვის ასე ხდება. შენ ჩადენილი ცოდვები და შეცდომები გახსოვს. როგორც აჩრდილი ისინი ცხოვრების ბოლომდე დაგდევს. მათი გამოჩენისას მუდმივად მსჯავრდადების ძალას განიცდი.

ღვთისთვის კი ყველაფერი სხვაგვარადაა. რაც მან წაშალა, ის აღარ იხსენებს. ის სამუდამოდ მოშორებული და დავიწყებულია.

კრავის სისხლის ძალა ყოველ ჩვენგანს გვაკვირვებს. უწმიდური და დაბინძურებული ცოდვილი თოვლივით სპეტაკი ხდება. დამსხვრეული მრთელდება. ისეთი პიროვნება ხდები, თითქოს არასოდეს შეგეცოდოს.

ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ ღმერთი ჩვენს გამო ახდენს მიტევებას. ამ შეხედულებას თან უამრავი ბრძოლა და ეჭვი ახლავს. ის მადლს არადამაჯერებელს ხდის. მუდმივად გიწევს კითხვის დასმა: ნუთუ ისეთი ვარ, რომ ღმერთს ჩემი ბოროტმოქმედებების ჩამობანვა შეუძლია? მსგავსი კითხვა თავიდან უნდა მოიშორო. ნაცვლად ამისა თქვი: იესოს აქვს ჩემთვის მადლი? მასზე მიღებული პასუხით ეჭვი აღარ გაგიჩნდება. ის შენთვის ბოლომდე მიეცა, როცა თქვა, „აღსრულდა.“

27 თებერვალი

ჩამოვარდა უთანხმოება; ისე, რომ ერთმანეთს დასცილდნენ.

საქმე 15:39

პავლეს მეორე მისიონერულ მოგზაურობას, საშინელი დასაწყისი ჰქონდა. მწარე უთახმოებამ ორი ძმა ერთმანეთს დააშორა. პავლე და ბარნაბა ერთმანეთთან ვერ შეთანხმდა. დავის მიზეზი ბარნაბას ბიძაშვილი იოანე, მარკოზად წოდებული იყო. მან პირველი მისიონერული მოგზაურობის დასაწყისში მიიღო მინაწილეობა, მაგრამ, როდესაც მცირე აზიისაკენ დააპირეს წასვლა, ის უკან, სახლში დაბრუნდა. ახლა მეორე მისიონერული მოგზაურობის დროს, მან მათთან ერთად წასვლა კვლავ მოისურვა. ბარნაბა დათანხმდა, მაგრამ პავლე დაჟინებული ირწმუნებოდა, რომ ის მათთან ერთად არ უნდა წასულიყო, ვინაიდან მან ისინი მიატოვა და მათ მსახურებაში მონაწილეობა არ მიიღო. შედეგად ამ დავისა პავლე და ბარნაბა ერთმანეთს დაშორდნენ.

მრავალი ღვთისმოსავი ქრისტიანი ფიქრობს, რომ ღმერთს ამგვარ სიტუაციაში ადამიანთა კურთხევა არ შეუძლია, მაგრამ ეს შეხედულება ანტიოქიაში არ გაუტარებიათ. მათ ბარნაბა მარკოზთან ერთად წარგზავნეს, ხოლო პავლე სილასთან ერთად.

ძმათა შორის დავა და ჩხუბი, სამწუხარო მოვლენაა. ღვთის სიტყვა ერთმანეთში მშვიდობის შენარჩუნებაზე მოგვიწოდებს. უთანხმოება გაბედულებისგან და სიხარულისგან გვძარცვავს. მიუხედავად ამისა ღმერთი იმდენად დიდი და მადლიანია, მას თავისი მსახურებისათვის შეცდომებით აღსავსე მისი შვილების გამოყენებაც კი შეუძლია. უბრალოდ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ კურთხევას ისეთი საზღვრები არ დავუდგინოთ, რა საზღვრებსაც თავად ღმერთის სიტყვა არ დებს.

პავლეს და სილას, ნაყოფიერი მოგზაურობა გამოუვიდათ; მისი მეშვეობით მათ სახარება ევროპაში შეიტანეს და ეჭვგარეშეა უფალი ბარნაბასაც და მარკოზსაც დაჰყვებოდა. უფალი ხომ თავის მსახურებისთვის ცოდვილებს იყენებს.

დღესდღეობით საკრებულოში ასეთ შემთხვევებს სიკეთის მოტანა მაინც შეუძლიათ. ძმათა შორის უთანხმოება და ჩხუბი ცოდვაა, მაგრამ მათ პარალიზების უფლება არ უნდა მივცეთ. ჩვენ წინ იმ რწმენით უნდა ვიაროთ, რომ ღვთის მადლი სიცოცხლის, პროგრესის და ზრდის მომცემია.

იმავდროს უფლისადმი მუდმივი ლოცვით უნდა ვიცხოვროთ, რათა თავისი სულით ჩვენს მიერ წარმოქმნილი წყლულები განკურნოს. პავლეს ხელით დაწერილ ბოლო ეპისტოლეში, ის იოანე მარკოზად წოდებულს ახსენებს. ის ტიმოთეს თხოვს, რომ თავისთან ერთად რომში ჩამოიყვანოს და თან ურთავს, „ვინაიდან მსახურებისათვის მჭირდება.“

ღმერთს უთანხმოებაში მყოფი ძმების გაერთიანება შეუძლია. კარგია, როდესაც ეს ზეცისკენ მიმავალ გზაზე ხდება.

იესოს ამ საკითხებზე ესაუბრე. ის სასწაულმოქმედია — დღესაც კი.

28 ოქტომბერი

ისე, როგორც მისმა ღვთაებრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისათვის გვჭირდება, მისი შემეცნებით, ვინც თავისი დიდებისა და სათნოებისკენ მოგვიწოდა.

2 პეტრე 1:3

ჭეშმარიტი ღვთის შვილი, მუდმივად ღვთისმოსავი ცხოვრების სურვილით ცხოვრობს. ადამიანთა გარკვეულმა ნაწილმა ამ სურვილიდან გადაუხვია. ისინი დახმარებას არა ღმერთის სიტყვით დადგენილი, არამედ სხვა გზით ეძებენ.

მრავალმა რელიგიურმა მოძრაობამ გარკვეული ქრისტიანთა რაოდენობა, არასწორ გზაზე, ღვთისმოსავი ცხოვრების დაპირებით გადაიყვანა. ისინი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, როდესაც წლების შემდგომ აღმოაჩინეს, რომ გზა, რომელსაც მიყვებოდნენ არასწორი აღმოჩნდა.

ღვთისმოსავი ცხოვრებისათვის მხოლოდ ერთი გზაა. ეს ის გზაა, რომელზეც ღვთის სიტყვა მიგვითითებს. ის კურთხევის მომტან გზად იწოდება.

იესო ღვთის სიბრძნეა. ის ჩვენს შემეცნებას აღემატება, მაგრამ ღვთის მადლით მისი გულში მიღება, ჩვენ რწმენით შეგვიძლია.

მიუხედავად მცდელობისა, შეუძლებელია ახალი სიცოცხლე შევიქმნათ. მაგრამ რწმენით თუ იესოს მივმართავ, ჩვენ შევიცვლებით. ამ დროს სიცოცხლეს ვიღებთ.

ღვთის სიტყვა გველაპარაკება ქალზე, რომელმაც მთელი ქონება მკურნალობაში დახარჯა, მაგრამ ვერაფერმა არგო. გაჭირვებაში ჩავარდნილმა მან იესოს მიმართა. ის მას მიეპარა და მის კალთას შეეხო. მაშინ იესოდან ძალა გავიდა და ქალი განკურნა.

შენს ცხოვრებაშიც ასეა. თუ შენი ცარიელი ხელები უფლისადმი გაქვს აპყრობილი, იმედი არ გაგიცრუვდება. მისგან სიცოცხლე გამოდის. ღვთისმოსავი ცხოვრების საიდუმლოება ისაა.

იესოს მიმართ ნაკლები დაჯერებულობა, მრავალი სულიერი სისუტის მიზეზია. დახმარება ბევრს იქ უთხოვია, სადაც მისი პოვნა შეუძლებელი იყო. მის შესახებ ძიება ბიბლიის მიერ ნათქვამში უნდა ეწარმოებიათ. მისი მიღწევა მხოლოდ იესოს რწმენით ხდება.

იესო გზაა. იესო სიცოცხლეა. იესო განმანთავისუფლებელია. ის წყაროა დაუშრობელი. მისგან შენ შესმა შეგიძლია. თუ ასე მოიქცევი, როგორც წმიდა წერილი ამბობს, შენი მუცლიდან სიცოცხლის წყლის მდინარეები იდინებენ.

იესოს ცოდნა ყოველგვარი სულიერი ზრდისა და კურთხევისაკენ მიმავალი გზაა.

29 ოქტომბერი

ამიტომ გცხო ღმერთმა, შენმა ღმერთმა სიხარულის ზეთით, შენს თანამოზიარეებზე მეტად.

ებრაელთა 1:9

იესო სიხარულის ზეთით იქნა ნაცხები.

არ გიკვირს, რომ შეუძლებელია იესოზე გადაიტანო ყურადღება და სიხარული ნაკადი არ გადმოვიდეს შენზე? შეუძლებელია იესო შემოვიდეს და მას თან სიხარული არ მოჰყვეს.

ეს ზედაპირული და იაფფასიანი სიხარული როდია. ის საწყისს იმ სულიდან იღებს, რომელიც მასში მეფობს.

იესოსა და ღმერთს შორის სიღრმისეულ ჰარმონიას აქვს ადგილი. აზრი, ემოცია და ნება ერთიანია. იესო ღვთის მშვიდობითაა გარემოცული, ვინაიდან ის ღმერთთან ერთია. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ვინმე ღვთის სიხარულის ავსების გარეშე დარჩეს. ზეცაში დიდი მხიარულებაა, როდესაც ერთი ცოდვილი ინანიებს. ღვთის სურვილია ყოველჟამს, დაკარგული ცოდვილები მამის სახლის კარზე აკაკუნებდნენ.

მსგავსად ამისა, იესოს ისე არაფერი ახარებს, როგორც ცოდვილის ხსნა. ეს იმის საზღაურია, რაც მან თავის თავზე გადაიტანა.

თუ ყურს მიუგდებ იმას, რასაც ღმერთი იესოს შესახებ შენს აზრებსა და გულში გელაპარაკება, მაშინ, რაღაც საოცარი განცდა დაგეუფლება. იესო მის სიხარულს შენ გიზიარებს. ცოცხალი წყლის ნაკადები მისგან მოდის და შეუძლებელია მისგან შესვა და არ შეიცვალო. შენს სიხარულს იესოში პოულობ. რაც მას ახარებს, შენც გახარებს. ის შენ სიხარულის ზეთით გცხებს.

შევხვედრივარ ისეთ ქრისტიანებს, რომელთა უდიდესი სურვილი ადამიანთა გადარჩენა იყო. მათ მოსვენება ჰქონდათ დაკარგული იმის გამო, რომ უამრავი ადამიანი ჩვენს ქვეყანაში და მის მიღმა, უღვთოდ და იმედის გარეშე ცხოვრობდა. მათი ამგვარი მდგომარეობა ლოცვისკენ, მსახურებისა და მსხვერპლის გაღებისაკენ უბიძგებდა.

არ იფიქრო, რომ ასეთი ადამიანები ღარიბი ცხოვრებით ცხოვრობენ. ისინი სიხარულის ზეთით არიან ნაცხები. მათ ის სურთ, რაც ღმერთს და რაც ღვთის გულს ეამება, მათაც ის სიამოვნებს.

საკუთარ სიხარულზე იშვიათად ფიქრობენ. ისინი იმით არიან გარემოცული, რაც მრავალს ჯერ არ მიუღწევია. მათი სიცოცხლე ერთი მიზნისთვის არის მიძღვნილი: აამონ მათ უფალსა და მაცხოვარს.

იესო დღეს შენთან მოდის. მას შენი სიხარულის ზეთით ცხება, ზეციური კურთხევით ავსება, შენი სულის დახსნა და შენი, როგორც სიხარულის იარაღად გარდაქცევა უნდა.

30 ოქტომბერი

მაშინ ეტყვით: შენ წინაშე ვჭამდით და ვსვამდით, და ჩვენს ქუჩებში ასწავლიდი. მაგრამ ის მოგიგებთ: გეუბნებით, არ გიცნობთ, საიდან ხართ. გამშორდით, ყოველნო მოქმედნო უსამართლობისა!

ლუკა 13:26-27

სამსჯავროს დღე დიდი გაოცების დღე იქნება.

ისინი ვინც იესოსთან ერთად მიწაზე დადიოდნენ, მას ისევ შეხვდებიან. იოსებისა და მარიამის მეზობლები, მეგობრები და მათი ოჯახის წევრები — ყოველი მათგანი იფიქრებს, რომ იესო მათ იცნობს. მაგრამ ისინი ცდებიან.

არის ისეთი ადამიანები, რომელნიც მასათან ერთად ჭამდნენ და სვამდნენ; მიუხედავად ამისა ისინი მარადისობას ეშმაკთან და მის ანგელოზებთან ერთად, ჯოჯოხეთის ჩაუქრობელ ცეცხლში გაატარებენ.

როგორ იქნება ეს შესაძლებელი?

ეს ფაქტი იმის დასტური იქნება, რომ ისინი იესოსთან გულითად ურთიერთობაში არ შესულან.

იესოზე დაინტერესება, ან სიმპათია, ან მოწონება საკმარი არ არის. იესო შეცოდებას არ ითხოვს. არა, ის შენს საცოდავ და უწმიდურ გულს ითხოვს.

ის შენ იესოს გადაეცი?

შენი შემუსვრილი და დამსხვრეული გული მისი საცხოვრისი გახდა?

სამსჯავროს დღეს იესო მხოლოდ მათ ცნობს, ვისაც ის აქ, დედამიწაზე შინაგანად ჰყავდა გაცნობილი. მას შენში შემოსვლა სურს. თუ კარს გაუღებ, გაგწმენდს. მისი გამომსყიდველი სისხლი თოვლივით გაგასპეტაკებს.

თუ შენ მას ამის უფლება აქ, დედამიწაზე მიეცი, მაშინ ერთი მათგანი ხარ, რომელსაც ის მარადისობაში ცნობს.

ის დღე გამორჩერული იქნება. ახლა ვერ გებულობ იესო, როგორ გცნობს. ფიქრობ ღატაკი და უღირსი ხარ. იესოს შეეძლო მართებული მიზეზის გამო შენთვის საუკუნოდ უარი ეთქვა.

მაგრამ ეს მან არ გააკეთა. მთელი შენი ცხოვრების განმავლობაში ის შენთან ერთად დადიოდა. ყოველდღე თავისი მადლით გფარავდა. დიახ, მან შენ ხსნის სამოსელით შეგმოსა. შენ მისი საპატარძლო ხარ, ვინც მას სურს, რომ ხელი მოკიდოს და ზეციურ დარბაზებში შეუძღვეს.

შენ, რომელსაც იესო ცნობს, კურთხეული ხარ.

31 ოქტომბერი

არ უგულებელვყოფ ღვთის მადლს.

გალატელთა 2:21

მიკვირს, ნუთუ რომელიმე ქრისტიანი ღვთის მადლის უგულებელყოფაზე ოცნებობს.

ცხოვრების ორომტრიალში მყოფნი ამ აზრს მაინც არ ვეგუებით; განა ყველანი არ ვთანხმდებით, რომ ღვთის მადლს არასოდეს არ დავტოვებთ?

პასუხი აშკარაა. თუმცა ის არც ისე ადვილია. სატანა მთელ თავის ძალისხმევას იმას ახმარს, რომ ჩვენ ღვთის მადლს ავცდეთ ანუ საერთოდ ვუგულებელყოთ. მისი მცდელობები სხვადასხვაგვარია. ერთერთი მათგანი ლეგალისტური აზროვნებაა.

ქრისტიანს ორი ბუნება აქვს: ახალი და ძველი. ძველი ბუნება წუთისოფელს ეკუთვნის. მისი გადარჩენა შეუძლებელია, მაგრამ მისი განადგურება სამარხში მოხდება. ძველ კაცს მხოლოდ რჯულის მოსმენა შეუძლია. დიახ, რჯული მხოლოდ მასში მეფობს. თუ ძველი კაცი სახარებას ისმენს, ის მადლს მუდამ ცოდვის საბოდიშოდ გამოიყენებს.

ახალ კაცთან მიმართებაში სრულიად სხვაა, რომელიც იესოში რწმენით არის შექმნილი. მას მხოლოდ სახარების მოსმენა უნდა. იესო ქრისტიანის გულში უნდა იქნას დამკვიდრებული. ის ხომ რჯულის აღსასრულია, რათა ყველა მორწმუნისათვის სიმართლე გამხდარიყო.

სადაც იესოა, იქ რჯულის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. მან იმ ზომით მოიმოქმედა ეს, რჯული საერთოდ წავიდა. ეს რჯულის მოვალეობებსაც შეეხება.

სატანა ყოველმხრივ ცდილობს რჯული ისევ შენს გულში დააბრუნოს. მან იცის, თუ ამის ნებას დართავ, მაშინ ის თავის საზღვრებს გაიდიდებს. საბოლოოდ იმაზე დაიწყებ ფიქრს, როგორ უნდა დარჩე ქრისტიანად და რისი კეთება გმართებს.

ეს ყველაფერი უეცრად არ ხდება. იესო შენი გონებიდან და ფიქრიდან ნელნელა მიდის. შენ მხოლოდ საკუთარი ქრისტიანობით ხდები დაკავებული.

ღვთის მადლის უგულებელყოფა შეუმეცნებლად ხდება. სატანამ ღვთის რჯული არასწორად გამოიყენა და საშინელება მოხდა.

ამიტომ მთელი ძალისხმევა ღვთის მადლზე კონცენტრირებას მოახმარე. შენს გულში მხოლოდ ერთი პიროვნებისთვის არის ადგილი და ეს იესოა. შენი გულის ერთადერთი საგანძური, მის მიერ გოლგოთაზე აღსრულებული საქმეა. ეს ის ფუნდამენტია, რაზეც უნდა აშენო.

1 ნოემბერი

ჩვენ კი ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველივე სასიკეთოთ ეწევა.

რომაელთა 8:28

არსებობს განსაკუთრებულად პრივილიგებული ადამიანები. ეს ისინია ვისაც ღმერთი უყვარს და ღვთის განზრახვით მოწოდებულნი არიან. ყველა ღვთის სიყვარულისათვის მოწოდებული როდია. იესო ამბობს, რომ ბევრია მოწოდებული, მაგრამ მცირეა რჩეული. მოწოდებულთა შორის არიან ისეთნი, რომელთაც ღვთის მოწოდება და სიყვარული მიიღეს. ასეთ ადამიანებს, ყოველივე სასიკეთოთ ეწევა.

ყოველივე სასიკეთოთ ეწევათ ნიშნავს, რომ ყველაფერი ერთად უფრო აღმატებულ მიზანს მოემსახურება: სულის მარადიულ გადარჩენას. რა თქმა უნდა, დროებითი სიკეთეები მხოლოდ მაშინ მოგანიჭებს სიამოვნებას, თუ ისინი მარადიული სიკეთის მიღებას არ აბრკოლებს. ღმერთი თავის შვილებს ამ ცხოვრებაში სხვადასხვა გზით უწევს დახმარებას, რაც უდაოდ ადვილი არ არის. თუმცა, რად გინდა ისეთი დახმარება, თუ საკუთარ სულს დაკარგავ?

ღმერთი ყველა მდგომარეობას შენი გადარჩენისთვის იყენებს. ის ყველაფერში ერევა და ისე აკეთებს, რომ ამ ყველაფერმა, ზეცისკენ მიმავალ გზაზე მსახურება გაგიწიოს.

ეს ეხება დედამიწაზე არსებულ კარგსაც და ცუდსაც. თუ უფალი გიყვარს, ის შეგეწევა, რათა მიუხედავად შენი ქონებისა, მაინც გადარჩე. რთულია მდიდრის გადარჩენა, მაგრამ იესო ამბობს, რომ ღვთისათვის ყოველივეა შესაძლებელი.

ეს ასევე ჩვენს სიძნელეებსა და ბრძოლებს ეხება. ნათქვამი სიტყვა მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც სიძნელეები დაგიხვავდება, ან დამანგრეველ მარცხს მარცხზე განიცდი. მაშინ ამის თქმა გმართებს: ესეც ღვთის ხელშია და შეუძლებელია ღმერთი ჩემს ცხოვრებას შეეხოს და ყველა მდგომარეობა ჩემი გადარჩენის სამსახურში არ ჩააყენოს.

არ გამოგიცდიათ ასეთი რამ, როდესაც მიწიური იმედები გადაგწურიათ, მაშინ ზეციური იმედი ისე გაბრწყინებულა, როგორც არასოდეს?

დიახ, ღმერთი სწორედ მაშინ მოვიდა შენთან, როდესაც ცოდვის მწარე წყლულებში იყავი. ამის გამო შენ ღვთის წარმოუდგენელი სიყვარულის მოწმე შეიქენი. შენს ცოდვებს წმიდა შეეხო და თოვლივით გაათეთრა. ამ დროს წარმოუდგენელი რამ განიცადე. სადაც ცოდვა გამრავლდა, იქ მადლმა გადააჭარბა. ღმერთმა აიღო შენი ცოდვები და თავისი მადლით მოგიტევა. ღმერთი თავის მოყვარულთ ასე ექცევა.

2 ნოემბერი

და ვიხილე ახალი ცა და ახალი დედამიწა, ვინაიდან პირველმა ცამ და პირველმა დედამიწამ გადაიარეს, და ზღვა აღარ იყო.

გამოცხადება 21:1

ძალიან ბევრი ადამიანი სასოწარკვეთილია, რადგან აქ, მიწიერი ცხოვრებიდან დიდი მოლოდინი აქვთ. მათი რწმენით ქრისტიანული ცხოვრება, ფართო და სწორ გზაზე მანქანის ტარების მსგავსი უნდა იყოს. ბიბლია კი სულ სხვა რამეს ამბობს. ზეცისკენ მიმავალი გზა ვიწროა. ის იმ წუთისოფელს გადის, სადაც მისი მთავარი სატანაა. ის არ ფიქრობს, რომ მისი ამოცანა, ქრისტიანებისათვის გზის შემსუბუქება არის. ამის გამო იესო თავის მეგობრებს მიმართავს, „ამ წუთისოფელში თქვენ ჭირი გექნებათ.“

მის მეორედ მოსვლამდე, ეშმაკი მთელი თავისი ძალით იბრძოლებს. ის თავის მძვინვარებით იმოქმედებს, რადგან იცის, რომ დრო მოკლე აქვს. ამის გამო მრავალი ქრისტიანი მთელ ქვეყანაზე დევნას განიცდის. დიახ, ყველა ქრისტიანი სხვადასხვაგვარად გრძნობს, რომ ისინი ამ წუთისოფლისა არ არიან.

ამას თან ემატება ის ცხოვრებისეული სირთულეები, რასაც ყოველი ღვთის შვილი ყველა სხვა ადამიანთან ერთად გადის. სნეულება, წარუმატებლობა, გაუგებრობა, როგორც ახლო ნათესავთან, ასევე საკუთარ თავთან, რაც ცხოვრებას უფრო მუქ ფერებში წარმოაჩენს.

ქვეყნიერებას ის მშვიდობა არ აქვს, რასაც ჩვენ დავეძებთ, ამიტომ ჩვენი წადილი ღმერთის ქალაქში შესვლაა.

უფლის სიტყვები გარწმუნებს, რომ ჩვენი იმედი არ გაცრუვდება. გიფიქრიათ იმ ფაქტზე, რომ ზეცისადმი სურვილი იზრდება, მაშინ, როდესაც უფალი სირთულეში მიგიძღვის? დაუჯერებლობის გრძნობასა და შეუძრავი ქალაქის მოლოდინს შორის, რაღაც კავშირი არსებობს.

ღმერთი ახალ ცასა და მიწას ქმნის, სამართლიანობის სახლს. თუ იესოს ეკუთვნი, ზეცის მოქალაქე ხარ. მარადისობას იმ ქვეყანაში გაატარებ, სადაც მზე არასოდეს ჩადის. მაშინ ცოდვას და მის აღუწერელ შედეგებს ბოლო მოეღება.

უპირველესად შენი სულიერი შიმშილი და წყურვილი უნდა დაკმაყოფილდეს. იესო ისეთი უნდა იხილო, როგორიც სინამდვილეშია. მისმა ხილვამ უნდა შეგცვალოს. ისეთი უნდა შეიქნა, როგორიც თავად არის.

ის ყველას გულში უნდა ამაღლდეს და უფალს უკუნისამდე უნდა ემსახურონ.

მოდით იესოს კვლავ გამოჩენას ველოდოთ. მას არ დავუვიწყივართ. ის მალე დაბრუნდება და ყველაფერს ახალს შექმნის!

დავინახავ სისხლს და გვერდს აგივლით.

გამოსვლა 12:13

პასუხი გაქვს კითხვაზე: სიცოცხლის დასრულების შემდეგ, რა მელის? შეიძლება თქვენს საყვარელ ადამიანს მოხუცებულთა თავშესაფარში მიაკითხეთ და აზრადაც არ მოგდით, რომ შენც ერთ დღეს იქ დაასრულებ ცხოვრებას.

არც იმის წარმოდგენა არ შეგიძლია, რომ შესაძლოა მენტალურად იმ დონეზე დაუძლურდე, რომ ვერაფრის გაგება ვეღარ შეძლო. დიდებული რამ არის იხილო თუ დაზიანებულ გონებაში იესოსა და ხსნის რწმენა, როგორ რჩება. მაგრამ ზოგიერთი ადამიანისათვის ისეთი დღე დადგება, როდესაც იესოს სახელის მოსმენისას სიხარულს არ გამოხატავენ, რადგან ვეღარ იცნობენ.

მაქვს კი რწმენა მაშინ, როდესაც არაფრის გაგება აღარ მაქვს?

ამაზე პასუხი ღმერთს აქვს: „დავინახავ სისხლს და გვერდს აგივლით.“ ეს სიტყვა პირველად მაშინ აღსრულდა, როდესაც ისრაელი ერი სიკვდილის ანგელოზის ხელიდან იქნა დახსნილი. მას შემდეგ ეს იმ ყოველ ქრისტიანზე ხორციელდება, რომელიც იესოს სისხლის ქვეშ ცხოვრობს.

შენი და ჩემი გადარჩენა იმაზე არ არის დამოკიდებული, თუ რას ვხედავთ. ის იმაზეა დამოკიდებული, თუ ღმერთი რას ხედავს. ის არ ამბობს, მაშინ დაგიცავთ განადგურებისაგან, თუ სისხლს დაინახავთ. აქ ჩვენ კი არა, არამედ სისხლს ღმერთი უნდა ხედავდეს.

იესოს სისხლს ღვთის თვალში განუსაზღვრელი ფასი აქვს. როცა ყველაფერი ითქმევა და გაკეთდება, მხოლოდ სისხლი რჩება, რასაც ის აკვირდება და არა ჩვენს ძალასა და უნარებს.

ისრაელიანები სახლში დაცულნი იყვნენ. სისხლი მათთვის ამოწმებდა. ღვთის წინაშე ის შენს საქმეს აგვარებს. იესოს სისხლი შენი გამართლებაა. მთავარი ის კი არ არის, რისი გაკეთება შეგიძლია, მთავარი ისაა მან შენს ნაცვლად რა გააკეთა.

ფაქტია, რომ ღმერთი იესოს სისხლს მუდმივად უყურებს, რომელიც შენს მშფოთვარე გულს მოსვენებას ანიჭებს. ჩვენი ნამოქმედარიდან სრულყოფილი არაფერი არ არის. მაგრამ ღმერთი განმწმედ სისხლს ხედავს, როდესაც თავშესაფარს იესოში პოულობ. ამიტომ მისი ხელი არ შეგმუსრავს, არამედ დაგიფარავს, რათა გაკურთხოს.

მას დაეყრდენი, რასაც ღმერთი უყურებს! დაე, მისი მადლი შენი ხსნა გახდეს. მას სიცოცხლე და სიკვდილი, და მარადისობაც კი, თავის ხელში უპყვრია.

რატომ გეშინიათ, მცირედ მორწმუნენო?

მათე 8:26

დიდი სხვაობაა მცირედ მორწმუნეობასა და ურწმუნოებას შორის. მოწაფენი პირველნი იყვნენ, მაგრამ არა უკანასკნელნი.

მათ იესოსი სწამდათ, მაგრამ მათი რწმენა მცირე იყო.

დროდადრო იესოს მეგობრები წარმოდგენილია, როგორც დიდი ლაჩარნი, სუსტნი და საკუთარ თავზე ორიენტირებული ეგოისტები; მაგრამ ასეთი დასკვნა სრული აბსურდია. სიმართლე იმაში მდგომარეობს, კრიზისულ შემთხვევებში თამასას ქვემოთ იმყოფებოდნენ; თუმცა ისიც სიმართლეა, რომ მათ იესოს გამო ყველაფერი მიატოვეს და მას გაჰყვნენ. ისინი განსაცდელში მის გვერდით დარჩნენ. ვიდრე მისი მიმდევარნი გახდებოდნენ, არც საფასური და არც პირობები მოუთხოვიათ. არა, მათ უბრალოდ ყველაფერი დატოვეს და მის ნაკვალევს ფეხდაფეხ გაჰყვნენ.

მიუხედავად ამისა ისინი მცირედ მორწმუნენი იყვნენ. იესომ ტბის გადაცურვაზე მითითება გასცა. იესოს ნავზე ეძინა. მაგრამ, როდესაც ნავში ტალღების შემოსვლა დაიწყო, მოწაფეები შიშმა შეიპყრო.

ამ ისტორიაში საკუთარ თავს ვერ ცნობ?

ვიდრე კრიზისში შეხვიდოდი, დარწმუნებული იყავი, რომ იესო წინ გიძღოდა. იმაშიც დარწმუნებული იყავი, რომ ღვთის გზაზე იდექი, მაგრამ როდესაც ქარიშხალი და ტალღები ამოვარდა, ეჭვი დაუშვი. კითხვა გაგიჩნდა: იესო რომ რეალურად ყოფილიყო იქ...

ამ მდგომარეობაში რა უნდა ქნა?

მოწაფეთაგან ისწავლე. იესოსთან მიდი. შენი მდგომარეობა აუხსენი. მათ ასე გააკეთეს და დახმარებაც მიიღენ. იცოდე, შენც დაგეხმარებიან.

მოსალოდნელი ქარიშხალის შესახებ იესომ თავიდანვე იცოდა. თუმცა თავისი მეგობრების მასში გაყვანა მან შეძლო. მისთვის არც მათი რეაქცია იყო უცნობი, მაგრამ იესო ამას არ შეუჩერებია. მათ სწორედ ის გზა გაატარა, რაზეც მათი აზრით სიკვდილი გარდაუვალი იყო. მისი სურვილი იყო მათთვის ესწავლებინა, როდესაც გადარჩენის შესაძლებლობა კითხვის მიღმა რჩება, მას შეუძლია დადგეს და ქარები და ზღვა შერისხოს.

როდესაც მოწაფეები სანაპიროზე უსაფრთხოდ გავიდნენ, მათ იესო სულ სხვა სინათლით იხილეს. მათ მისი სათანადოდ შეფასდება ისწავლეს. ისინი დაოსტატებულ მოწაფეთა ჩამონათვალში არ ირიცხებოდნენ, მაგრამ მათი იესოში დაჯერებულობა უსაზღვროდ გაიზარდა.

შენთვისაც ასეა. ცხოვრებისეულ კრიზისებში იესო გაჩვენებს თუ ვინ არის ის და შენი რწმენა იზრდება.

5 ნოემბერი

უფლის ყველა გზა (ინგ. ბილიკი) წყალობა და ჭეშმარიტებაა მისი აღთქმებისა და მცნებების შემნახველთათვის.

ფსალმუნი 25:10

ქრისტიანთა გარკვეული ნაწილი ვერ იგებს, რომ ღვთის სასუფეველში ბილიკებია. მათი აზრით ღვის სასუფეველს მხოლოდ ფართო გზები აქვს. როდესაც ისინი, რაღაც საძნელოსა და მძიმეს გადაეყრებიან, იმწამსვე იწყებენ ფიქრს, რომ ღმერთმა ისინი მიატოვა. მაშინ სატანა მოდის და მათ გულგატეხილობითა და სიმწარით აცდუნებს.

მაგრამ ღმერთს აქვს თავისი გზები და თავისი ბილიკები. ამის შესახებ ის თავის სიტყვაში ნათლად ლაპარაკობს. ხანდახან ის ისეთ გზებზე გატარებს, სადაც სამადლობელი სიმღერის აღვლენა ძნელი არ არის. ხან კიდევ სულ სხვა რამ ხდება. ვერ გებულობ რატომ, მაგრამ შენ უბრალოდ მისი სიტყვის რწმენა გჭირდება.

ყური უფლის ნათქვამს მიუგდე, „უფლის ყველა გზა წყალობა და ჭეშმარიტებაა.“ ის არ ამბობს, რომ ხშირ შემთხვევაშია ასე. არა, ღმერთი ამ გზაზე მუდამ თავისი წყალობითა და ჭეშმარიტებით გხვდება.

ის არც იმას ამბობს, რომ ეს სიტყვები ყველას ეკუთვნის. ის მხოლოდ მათ ეკუთვნით, ვინც მის აღთქმებსა და მცნებებს ინახავს.

ისეთი ქრისტიანებიც არის, რომელნიც ამ უფლებას საკუთარ თავს თავადვე ართმევენ. ისინი აღიარებენ, რომ მათ არც ღვთის აღთქმა და არც მცნება არ დაუცავთ. ამიტომ მოცემული აღთქმა მათ არ ეკუთვნით.

თუ მსგავსი გრძნობა გაქვს, მინდა გკითხო: რას ნიშნავს აღთქმებისა და მცნებების შენახვა?

არავითარ შემთხვევაში რჯულის აღთქმა, მადლის აღთქმაში არ უნდა აურიო. რჯულის აღთქმის შემსრულებელი კაცი ვერ გამოდგა. ამის გამო ღმერთმა თავისი ძე, როგორც გამომსყიდველი და მონაცვლე ისე გამოგზავნა. ღმერთმა ახალ აღთქმას დაუდო სათავე. ეს მადლის აღთქმაა, რომლის ქვეშ მას შემდეგ იმყოფები, როდესაც იესო ირწმუნე. ღმერთი მისი ძის შესახებ მის წმიდა და სრულყოფილ სიტყვაში ამოწმებს, რომ მან შენს ნაცვლად რჯული აღასრულა.

თუ უფლის ერთერთი მცირეთაგანი ხარ, რომელიც იესოს მადლსა და მიტევებას თხოვს, მაშინ შენ ღვთის მადლის აღთქმის ქვეშ იმყოფები და ღმერთი შენზე ყოველმხრივ ზრუნავს.

ვიწრო და ბნელ ბილიკზე, ის წყალობითა და ჭეშმარიტებით გეგებება. ამას დღეს ვერ ხედავ, მაგრამ ღვთის დღეს თვალები აგეხილება. ეს მხოლოდ წყალობა და ჭეშმარიტებაა, რომელიც დღენიადაგ დაგდევს და დამკვიდრდები უფლის სახლში დღენი მრავალნი!

6 ნოემბერი

ვინაიდან გამოჩნდა ღვთის მადლი, რომელიც ყველა ადამიანის მხსნელია, რომელიც გვასწავლის, რომ უარვყოთ უღმერთოება და ამქვეყნიური გულისთქმანი, და გონივრულად, სიმართლითა და ღვთისმოსაობით ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში.

ტიტე 2:11-12

მგზნებარე სურვილები ჩვენი ცოდვილი ბუნებისა, სულს ეწინააღმდეგება. მათ შორის მუდმივი ბრძოლაა. უამრავ ქრისტიანს გამოსყიდვის წყურვილი აქვს, რადგან წუთისოფელმა ისინი აცდუნა. კვლავ და კვლავ მათ უწევთ კითხვის დასმა: როგორ შემიძლია ჭეშმარიტი და ცოცხალი ქრისტიანი გავხდე?

ღვთის სიტყვა პასუხს იძლევა.

შენ ჭეშმარიტი და ცოცხალი ქრისტიანი ახალი გადაწყვეტილებების მეშვეობით ვერ გახდები; ვერც განახლებული მცდელობებით, რომ მთელი გულით მორჩილი გახდე; და ვერც სხვადასხვა მიძღვნითი ქმედებებით.

მხოლოდ ერთი გზაა, რომელიც წინ მიდის და ეს გზა მადლია. ღვთის მადლი ქრისტიანს მოძღვრავს. ღვთის მადლი ისეთი რამის შემძლეა, რაც სხვას არაფერს არ შეუძლია. ის რაც ღმერთმა შენთვის გააკეთა სიცოცხლეს გაძლევს, რომელსაც საკუთარი ძალით ვერ მოიპოვებ.

ლეგალისტი ქრისტიანის ცხოვრებაში, გარკვეულ ავისმომასწავებელ ქმედებას აქვს ადგილი. თუ ამ პიროვნებას გამარჯვებების მიღწევა შეუძლია, მისი გული უფრო დარწმუნებული და ამპარტავანი ხდება. ამ შემთხვევაში შური, ეგოიზმი და უსახურება სულ მალე ზედაპირზე ამოვა.

მადლის ქვეშ მყოფი ქრისტიანისათვის, ყველაფერი სხვაგვარადაა. მას მადლი „არას“ თქმას იმის მიმართ ასწავლის, რაც ღვთის საწინააღმდეგოა. საკუთარ თვალში თავი დიდად არ წარმოუდგენია. მან იცის, რომ ღვთის გარეშე არარაობა იყო. ახლა კი ღვთის მადლით იქადის. ამით თავის გულს ავსებს. მადლია ის, რომელიც სხვანაირად ამოქმედებს, რასაც თავისით ვერასდროს იზამდა. მის გამო თავს ვერ იწონებს, რადგან გამოღებული ნაყოფი თვითონ არ ეთვლება, არამედ ის ღვთისაა.

არ გიკვირს, რომ იესოზე სიტყვის მოსმენა არ გღლის? მისი მოქმედება შენი ყოველდღიური პურია. იესო, როგორც შენი მონაცვლე, შენს ცხოვრებაში ყოველი სიკეთის წყაროა.

ამიტომ, ჭეშმარიტ ღვთის მადლში დარჩი. მისით იხარე. დაე, მისით განიმსჭვალოს გული შენი და მისით გათბეს.

7 ნოემბერი

ფულის მოყვარული ვერ გაძღება ფულით და სიმდიდრის მოყვარული — სიმდიდრით.

ეკლესიასტე 5:10

დღიდან კაცის დაცემისა, მისი სული მშიერი დადის. ჩვენი სიბრმავის გამო ვერ ვხვდებით, რა გვჭირდება, რათა სათანადოდ გამოვიკვებოთ. რამდენი გზა არ ვცადეთ, მაგრამ ვერაფერმა ვერ გვიშველა.

თუ პიროვნებას ფული უყვარს, მაშინ ის მისი ცხოვრების მთავარი აზრი ხდება. მნიშვნელობა არ აქვს რა რაოდენობის ფულს დააგროვებს, სული მისი ვერასდროს დაკმაყოფილდება. მნიშვნელობა არ აქვს კაცი, რაოდენ მდიდარია, მას უფრო მეტი სიმდიდრის მოხვეჭა უნდა.

რატომ?

ჩვენ ცდუნების ობიექტად ვიქეცით. ჩვენი აზრით სულის გამუდმებული შიმშილი იმ ფაქტს უკავშირდება, რომ ჩვენ არასაკმარისი ფული და სიმდიდრე გვაქვს. ვერ ვაცნობიერებთ, რომ იმ გზაზე ვდგავართ, რაც სულს არასოდეს დააკმაყოფილებს.

ერთადერთი ვისაც ამ უბედურებაში დახმარება შეუძლია, უფალია. როდესაც ის ცდუნებულ და მოტყუებულ ადამიანთან მოდის, ის ისეთ შიმშილს და წყურვილს ქმნის, რაც წინათ არ ჰქონია. ეს სიმართლისადმი შიმშილი და წყურვილია.

იესო გაჩვენებს, რომ ის რაც შენს ირგვლივაა, ყველაფერი განადგურდება. ერთ დღეს შენგან სულს მოითხოვენ და სხეულს დამარხავენ. მაშინ შენ ღვთის სამსჯავროზე მოგიწევს გამოცხადება. იქ ყველა ჩვენგანი შიშველი ხელებით წარვდგებით. შეუძლებელია აქედან ოქრო და ვერცხლი გავიყოლოთ, და რომც ეს შეგვეძლოს ჩვენს სულს მაინც ვერ გამოვისყიდდით.

მაშინ ბევრი კითხვა აღარ გვექნება. მხოლოდ ერთი კითხვა დაგვრჩება: ღმერთი მადლს გამოიღებს ჩემზე თუ „დაღუპვის“ განაჩენს გამომიტანს?

როდესაც ღმერთი თავისი სულით პიროვნებაში ამ საკითხს აცოცხლებს, სულს გადარჩენისაკენ უჩნდება სწრაფვა. მაშინ ის წუთისოფლის ყველა წყაროს ზურგს აქცევს. ასეთი კაცი უფრო მეტად დამსხვრეული ჭურჭლის მსგავსია, რომელსაც წყლის დაკავება არ შეუძლია.

ღმერთი იმედებს არ აცრუებს. მან თქვა: „ნეტარ არიან სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალნი, ვინაიდან ისინი გაძღებიან.“

ღმერთი ისეთი კეთილია, როგორიც მისი სიტყვა. ის შენ ჭეშმარიტ სიმდიდრეს გაძლევს. ის თავად მკვიდრდება შენს გულში, რა დროსაც ნამდვილი მდიდარი ხდები.

8 ნოემბერი

არავინ ზრუნავს ჩემზე.

ფსალმუნი 142:4

უკანასკნელი ჟამისკენ სიყვარული განელდება. რის გამოც დედამიწაზე მარტოობა იმატებს. კაცი ქვეყნიერებაზე მარტო შემოდის და მარტოვე გადის. უკანასკნელ დღეებში კი, თვით ის დრო, რასაც ადამიანი დაბადებიდან სიკვდილამდე ატარებს, ინდივიდუალიზმით და მარტოობით იქნება გამორჩეული.

დღესდღეობით ყველაზე ამაღლებული იდეალი, დამოუკიდებლობაა. ამის გამო ყველა საკვრელი გაწყვეტილია — სიყვარულის საკვრელნიც კი.

დღეს უამრავი ადამიანი ამბობს: ჩემს ცხოვრებაზე არავინ ზრუნავს. შეიძლება ასეთი იმაზე ფიქრობს, რისი გაცემაც შეგიძლია. თუ საკითხი მატერიალურ სიმდიდრეს ეხება, ყოველთვის იქნება მისი მიღების დიდი ინტერესი. მაგრამ თუ საქმე შენ, ანუ შენს სულს ეხება; ვის რაში აინტერესებს?

თავს, მარტო მყოფი, სახურავზე მჯდომი ბეღურასავით, რომ გრძნობდე, მაინც არ გაქვს უფლება თქვა, რომ შენს სიცოცხლეზე არავინ ზრუნავს. თუ თავი სულიერად, მდიდრის კარიბჭესთან მყოფი ლაზარესავით მიგაჩნია, იცოდე არის ვიღაც, რომლის თვალები შენდამია მოპყრობილი.

ეს ღმერთია.

ღმერთი თვითკმარია, მაგრამ შენ მაინც ჭირდები. მას შენდამი დიდი სიყვარული გააჩნია. მან შენი მარტოობის ტანჯვაც, თავისთავზე იტვირთა. ის მისი ნაწილი გახდა. გული მისი კი მანამ არ დაწყნარდება, სანამ შენთან ურთიერთობას არ დაამყარებს.

უსმინე უფალს. ის შენ თავისი სიტყვით გელაპარაკება. ის იმდენად ძლიერი და ყოვლისშემძლეა, ამ მარტოობაში იჭრება და შენ გეძლევა ადგილი, სადაც მარტო შეუძლებელია დარჩე. ეს ადგილი მარადიული დახსნის საფუძველია. იესომ საკუთარი თავის მიცემით ღვთისათვის შეგიძინა. ამის გამო ღმერთი შენთვის, შენს მხარეზე და შენთან არის.

არ მისცე უფლება გვერდზე გადგეს. მაშინ მთლიანად მარტო დარჩები, მარტო ცხოვრებაში, მარტო სიკვდილთან და მარტო სამსჯავროზე. ერთი რამ რაც დაგრჩება, ეს ჯოჯოხეთი იქნება.

დაე, შენს გულში იესო შემოვიდეს. ის შენს ცხოვრებაზე ზრუნავს.

დღეს მადლის ჟამია. დღეს ღვთის ნახვაა შესაძლებელი.

დაასრულა რა ჩვენი ცოდვების განწმედა, დაჯდა მაღლა, დიდების მარჯვნივ.

ებრაელთა 1:3

რაოდენ ძნელია იმის დაჯერება, რომ ყველა ცოდვისადვის მადლით მიტევება არსებობს. ეს საკითხი წლიდან წლამდე უფრო რთულდება.

ღმერთი, რომ ცოდვილს პირველად პატიობს, ეს დიდი მადლია. ამის დაჯერება და ამ ჭეშმარიტების მიღება არავის შეუძლია, თუ ღმერთი პიროვნებას თავის სულს არ მისცემს. თუმცა რწმენა პირველად მადლით მიღებისა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე რწმენა იმისა, რომ ღმერთი კვლავ და კვლავ გვპატიობს.

საკუთარი თავისთვის დამხმარების ძიება ჩვენს ბუნებაში ღრმადაა ჩანერგილი. ამის გამო საკუთარი თავის გაუმჯობესებისაკენ მუდმივად კონცენტრირებული ვარ. დიდი მწუხარებით მიწევს ამის აღიარება, რომ ეს მცდელობა წარუმატებელია. დროდადრო შიში მიპყრობს - ოდესმე მიზანს მივაღწევ? ღმერთმა მიხსნა და გზაზე დამაყენა, მაგრამ ამ გზაზე სიარული მე არ შემიძლია.

ჩემი სულიერი ძიების დროს მახსოვრობაში, ჩემს მიერ ჩადენილი ცოდვები ტივტივდება. ზოგიერთი მათგანი მთელი ცხოვრება აჩრდილივით მიმყვება. ისინი მყარად არიან ჩემს გონებაში ჩაკეტილი და როდესაც ღვთის წინაშე ანგარიშის ჩაბარებას ვიწყებ, თავს სწორედ მაშინ იჩენენ.

დიახ, რწმენა ღვთის მადლისა, ძნელია. მის გადასაწყვეტად მხოლოდ ერთი გზა არსებობს. ეს გზა ღვთის სიტყვის მიღებაა.

ღმერთმა ყოველივეს შექმნის შემდეგ დაისვენა და რაც ქმნა, კარგი იყო. მსგავსად ამისა, იესო ღვთის მარჯვნივ მას შემდეგ დაჯდა, როდესაც გადარჩენის საქმე აღასრულა.

არ დარჩენილა არცერთი ცოდვა, რისგანაც იესოს არ განუწმენდიხარ. იესო მოკვდა და შენი წარსულის, აწმყო და მომავალი ცოდვებისათვის გადაიხადა. ეს ეხება აღიარებულ ცოდვებს და იმ მრავალ ცოდვას, რომლის გახსენებასაც ვერასოდეს შეძლებ.

თუ იესოში თავშესაფარს ჰპოვებ და მის სისხლში განწმედის უფლებას მისცემ, ცოდვა შენთან ვეღარ დარჩება.

ისმინე, ვისაც რწმენა გიჭირს! შენი ცოდვები იესოშია დაფარული. მან შენი ღვთის წინაშე განწმედა დაასრულა. ის რაც ღვთის წინაშე დასაბუთებულია, შენთვისაც სარწმუნო უნდა გახდეს.

რაკი უფლის შიში ვიცით, ადამიანებს შევაგონებთ.

1 კორინთელთა 5:11

მონური შიში განსხვავებულია. ეს შიში კი ჩვენი მოყვარულისადმია. მონური შიში, რჯულთანაა კავშირში, სიყვარულის შიში კი მადლთან.

მაშინ როცა ღმერთთან მადლი ჰპოვე, შენში რაღაც მოხდა. შენ სულ სხვა პიროვნება შეიქენი და შენს გულში სულიწმიდით ღვთის სიყვარული ჩაიღვარა.

იმავე დროს შენ ახალი შიში დაგეუფლა. ეს შიშია, არ აწყენიო მას ვინც გიყვარს. სიყვარული თავისას არ ეძიებს.

იესოს მხსნელი-გონება დაკმაყოფილებული არ არის. ის მათ იცნობს, ვისაც ჯერ არ ურწმუნია. მისთვის ისინი უმნიშვნელონი არ არიან. იესოს თითოეული მათგანი უყვარს.

იესო თავის სიყვარულს დაუხსნელ ადამიანებს მათი მეშვეობით უზიარებს, ვისაც ის უყვარს. მან იცის, რომ სიყვარულს ადამიანი მოქმედებაში მოყავს. სიყვარულს ეშინია, ვაითუ იესოს ნებასთან თანხმობაში არ ვარ. იესო ღვთის მიმართ თავს ასე გრძნობდა. ჩვენ კი მის მიმართ.

ჩვენ გვყავს ნათესავები, მეზობლები და თანამშრომლები, რომელნიც იესოსთვის უნდა იქნან მოპოვებულნი. მისიონერულ სამკალში განუსაზღვრელი რაოდენობის ადამიანია, რომელთაც დახსნა ესაჭიროებათ. შენ მათი მიღწევა არ გევალება, მაგრამ ღმერთს სურს გარკვეულ ადამიანებზე განახორციელო მზრუნველობა. არც მთელ მისიონერულ სამკალში განვრცობა არ გევალება, მაგრამ ღმერთმა შენ გარკვეული ადგილი მოგანდო.

დამოწმების საქმეში შენი კუთვნილი ნაწილი უნდა დაიკავო. თხოვე ღმერთს, რომ ამ მნიშვნელოვანი და რთული ამოცანის შესასრულებლად, გზა მოგიმზადოს და შეგეწიოს. არის ბრძოლა, რაც ლოცვით უნდა იქნას წარმართული. თითოეული ინდივიდი შუამდგომლობითი ლოცვით უნდა იქნას დაფარული, რათა მათ სულის მტერმა ხელი უშვას.

შეუძლებელია მარადისობაში ვინმემ ინანოს, რომ სხვის გადასარჩენად დრო, ძალა და თანხა გაიღო.

იესოს სურვილია თავისი ტკივილი მათ გადაუნაწილოს, ვისაც ის უყვარს. დაე, მისი ნება შენი გახდეს. ილოცე, გაეცი და წადი!

11 ნოემბერი

უფალო, როგორ მომრავლდნენ ჩემი მტრები!

ფსალმუნი 3:1

მტერი ბევრი გყავს?

ამ კითხვის მიმართ, შენი პასუხი უთუოდ არაა! კარგი გაგებით მათთან შეზავებული ხარ. მათ შენ კეთილად ექცევი და სანაცვლოდ ისინიც იგივეს აკეთებენ. თუ შესაძლებელია, წუთისოფელში შენს ირგვლივ მყოფებთან მშვიდობიან თანაცხოვრებაა ინარჩუნებ.

საჭიროა იესოს სიტყვებს ყურადღება მიაქციო, რომ ის დაყოფისათვის მოვიდა.

შენსა და მათ შორის, რომელნიც იესოს საკუთრება არ არის, ფარული მტრობაა. თქვენ სხვადასხვა სამეფოებს ეკუთვნით, რომელთაც სხვადასხვა მეფე ჰყავთ. ეს მაშინ გამომჟღავნდება, როდესაც დევნა დაიწყება. მაშინ ცხადი გახდება, რომ კაცის მტრები, თურმე თანამშრომლები ყოფილან.

ეს დღესაც, მათი კეთილი და ღიმილიანი სახის მიღმაა შესამჩნეველი და უფრო აშკარა იესოს მოსვლის წინ გახდება.

თუმცა ნამდვილი შენი სულის მტრები, შენს ირგვლივ როდია. მტერი შენს ხორცში გყავს ჩასახლებული; ეს შენი ძველი ეგოისტური ბუნებაა. მას სიკვდილი არ სურს. ის მუდმივად შეეცდება იესოსთან მისასვლელი გზა ჩაგიხერგოს.

თუ ამ მტრის შესახებ არაფერი არ იცი, მაშინ საფრთხის წინაშე დგახარ. ხორცი ღვთის რჯულს არ ემორჩილება, ეს არც ძალუძს. ხოლო თუ ხორცი მძლავრობს, ის შენში იესოს კლავს.

ყოველი მტრის უკან, მთავარი მტერი დგას. ეს სატანაა. მის ბოროტებაში შეუძლებელია ის იმ ფაქტს შეურიგდეს, რომ შენ გადარჩები და კრავს პატივს მიაგებ. მისი სურვილია მასთან ერთად ჯოჯოხეთში წახვიდე. ის ცხოველივით გიწყოფს ჩასაფრებას და ელის მომენტს, როდესაც შენზე თავდასხმის შესაძლებლობა მიეცემა.

დიახ, შენ მტერი გყავს! როდესაც მათზე ფიქრობ, საკუთარ თავს ეკითხები, ზეცას ოდესმე მიაღწევ თუ არა.

პასუხი იესოსთან ეძიე! ის შენი გამარჯვებაა! უთხარი მას შენი სისუსტეების შესახებ. მადლობა გადაუხადე მას, რომ ყოველი ბოროტი ძალები მან დაამარცხა. თავი სახარებას შეაფარე. მაშინ დაუმარცხებელი შეიქნები. არავინაა იმაზე ძლიერი, ვინც თავისი უმწეობის დროს იესოს ეჭიდება.

12 ნოემბერი

მაგრამ სიცოცხლე არად მიღირს, ოღონდ კი დავასრულებდე ჩემს სარბიელსა და მსახურებას, უფალ იესოსგან რომ მივიღე, რათა დავამოწმო ღვთის მადლის სახარება.

საქმე 20:24

როგორ მიდის ადამიანი იმ დასკვნამდე, რომ კაცის სიცოცხლე არად ღირს? ამ კითხვის გამო მრავალი ქრიტიანი საკუთარ თავთან, განუწყვეტელ ბრძოლაშია. ხვდებიან, რომ საკუთარ თავზე ზედმეტად ფიქრობენ და ცხოვრებაში ერთი რამ სურთ, რომ საკუთარი იდეების სამყაროში თავად არ იყონ მუდმივი ცენტრი.

ღმერთის სიტყვა შენ გეხმარება, რომელიც მდგომარეობების ჭაობში ხარ ჩაფლული.

პავლე წლების განმავლობაში, როგორც ფარისეველი ისე ცხოვრობდა, სადაც ცენტრში საკუთარი თავი ჰყავდა. ეს მისი ღვთისმოსაობა, მოშურნეობა და მსახურება იყო. ასეთი ყოფა, მონურ ცხოვრებად იქცა. ის უფრო და უფრო ცოდვაში ჩაეფლო, სწორედ მაშინ, როდესაც ღვთის მსახურებას ცდილობდა. დიახ, ის საბოლოოდ მოძალადედ და მკვლელად იქცა.

როდესაც პავლე გადარჩა, მისთვის ყველაფერი იესო გახდა. გასაკეთებელი ანუ დამსახურების მიღებისათვის, არაფერი არ დარჩა. მისი რწმენა მაცხოვრისადმი დიდი იყო. ერთი რამ ემართა მხოლოდ, რომ სარბიელი ბოლომდე განევლო და რწმენა შეენარჩუნებინა. შენთვისაც ერთი მიზანია. ეს გადარჩენაა. ის სარბოლ ბილიკს ჰგავს. ამ ბილიკზე დარჩენა ყველას ვალია, სხვა შემთხვევაში მიზანს ვერ მივაღწევთ.

როგორც ღვთის შვილი გამოცდილებიდან იცი, მიზნის მიღწევაში რა გეხმარება. თუ სიტყვას ხშირად იყენებ, მაშინ უხილავი სულიერი სამყარო შენთვის ცოცხალი ხდება. მაშინ ხვდები თუ დედამიწაზე ყველაფერი, რაოდენ უნდოა. გახსენდება კაცის ცხოვრება, რა მოკლეა. მადლის სიმდიდრე და სიუხვე შენს თვალთა წინაშე იკვეთება და ხედავ ზეცას, რასაც აზრი აქვს.

ღვთის სიტყვა იმავე ჟამს ამბობს, რომ უფალმა შენ ამოცანა დაგისახა. ადამიანთა თვალში ის მცირე და არაშთაბეჭდავია. მაგრამ მიდი და აღასრულე ის! შენ ხომ ადამიანების წინაშე ანგარიშის ჩაბარება არ მოგეთხოვება.

თუ ღვთის მიზანსა და ღვთის საქმეს ცხოვრებაში ადგილს მისცემ, მაშინ ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვანი გახდება. წუთისოფლის მარწუხები იმდენად შეიხსნება, რამდენადაც ზეცას ჩაეჭიდები. სიცოცხლე არად გეღირება, ოღონდ კი დაასრულო სარბიელი და შენთვის მოცემული მსახურება.

13 ნოემბერი

თქვენი ქონების დატაცებას სიხარულით იტანდით.

ებრაელთა 10:34

პირველი ქრისტიანები ჩვენს გაოცებას იწვევენ. წარმოიდგინეთ საკუთარი ქონების დატაცებას, როგორ იღებდნენ. ამას სიხარულით იტანდნენ.

ამის გაკეთება, როგორ შეეძლოთ?

მათ იცოდნენ, რომ უკეთესი და წარუვალი ქონება ჰქონდათ. ამ ქონებისაგან მათ ვერავინ გაქურდავდა და ის საუკუნოდ მათი დარჩებოდა.

ქრისტიანი მდიდარია, ამ სიტვის ორი გაგებით. ის უპირველესად იესოშია მდიდარი. იესო მის მოყვარულს საკუთარი თავიდან ყველაფერს უზიარებს. ამ აღუწერელ სიმდიდრეს კი ის დროებითი კურთხევები ემატება, რასაც უფალი თავის შვილებს უხვად აძლევს.

ამ ორი ფორმის სიმდიდრეს შორის უდიდესი განსხვავებაა. ერთი უშუალოდ ადამიანის დროებით ცხოვრებას ეკუთვნის, ხოლო მეორე ამ ჟამსაც და მარადისობასაც.

ადრე თუ გვიან დედამიწაზე უფლისგან მონიჭებულ ყველა სიკეთეს დავკარგავთ. ეს მანამდე თუ არა, სიკვდილის დღეს მაინც მოხდება. მრავალი ადამიანის ცხოვრებაში ეს უფრო ადრე ხდება. ღმერთია ის ვინც გვაძლევს და ვისაც ჩვენგან მიაქვს.

ქრისტიანთა უმრავლესობას პირველ ეკლესიაში ყველაფერი საერთო ჰქონდა, მათ, რომელთაც მწარე გამოცდილება იესოს სახელის გამო დევნისთვის მიიღეს. მრავალმა ქრისტიანმა დაკარგა სამუშაო, თავისუფლება და ოჯახი, რადგან იესო ირწმუნეს. პიროვნებას, როცა ყველაფერს ჩამოართმევ, თავი ღატაკად მიაჩნია. მიუხედავად ამისა ქრისტიანი ამ სიტუაციაშიც არაა ღარიბი. ის იმ საგანძურს ფლობს, რომლის დატაცებას ვერავინ ვერ შეძლებს. როდესაც ღმერთი კაციდან დროებით კურთხევებს აიღებს, მისთვის მარადიული სიმდიდრე უფრო ძვირფასი ხდება.

შესაძლებელია ადამიანებმა შენი ქონება დაიტაცონ, რადგან შენ იესოს ეკუთვნი. ქრისტიანისათვის სიკეთეა, როდესაც ამგვარი რამ მასზე ეშვება. თუ ღვთის სიტყვაში ცხოვრობ, უფალი ამ განსაცდელის ჟამს შეგეწევა. ის მოგანიჭებს სიხარულს და მარადიულ სიმდიდრეს. ის მოგცემს შეგნებას, რომ ბედნიერება ცხოვრებისა ამქვეყნიურ ქონებაში არ მდგომარეობს. შენი ქონება იესოა. შენ ის ზეცაშიც და იმავდროს, გულშიც გყავს. მისი შენგან წართმევა შეუძლებელია. მაშასადამე, სიღარიბისა და გაჭირვების ჟამს, შენ მაინც მდიდარი რჩები.

14 ნოემბერი

სასწრაფოდ მოუტანეთ საუკეთესო სამოსელი და ჩააცვით.

ლუკა 15:22

ღმერთის სიტყვა სამოსელს, როგორც გადარჩენის სიმბოლოს, რამოდენიმეჯერ იყენებს. შეუძლებელია იგავში მოყვანილმა დაკარგულმა ძემ არ დაგვაფიქროს. მამას საუკეთესო სამოსელი საკუთარი თავისთვის არ უნდა. მას ის თავის დაკარგულ ძეს აძლევს.

ღვთის სასუფეველშიც ასეა. ღვთის სურვილია იესოში შემოსილები გვიხილოს. ამიტომ ღვთის სიტყვა შეგვაგონებს, რომ მით შევიმოსოთ. ამ საქმით მუდმივად უნდა ვიყოთ დაკავებული.

ეს რწმენით ხდება. თუ შენ იესოს ენდობი, ის შენი ხდება. ამაზე უკეთესი სამოსელი არ არსებობს. ის ყველა შენს ცოდვას ფარავს. ისეთი ბიწი ან ნაკლოვანება არ არსებობს, რომლის დაფარვა იესოს მეშვეობით ვერ მოხდეს.

ჩვენ არ ვიცით დაკარგულმა ძემ თავის ახალ სამოსელს რამდენჯერ დააკვირდა. ვფიქრობ დროდადრო ის ამ სამოსლით რწმუნდებოდა, თუ იგი მამას რაოდენ უყვარდა.

ღვთის შვილს, რატომღაც ამ სამოსელზე ხშირად ყურება არ შეუძლია. ის ხომ მას დაჯერებულს ხდის, რომ მეფის შვილია.

გული შენი კვირვობს: ნუთუ ეს მართლა სინამდვილეა?

კვლავ ცდუნების წინაშე დგახარ, რომ წარსულში ნატარებ საშინელ და ბინძურ სამოსელზე გქონდეს ყურადღება გადატანილი. ის სამოსელი შენი ცხოვრების ისტორიის მთხრობელია. ვერ გებულობ, რატომ უნდა შეიმოსო იმ სამოსელით, რომელიც სხვა პიროვნების ცხოვრებითა და სიკვდილით იქნა მოპოვებული. მაგრამ ეს ასეა.

ღვთის მიმართ სიხარულით მადლიერებისა და განდიდების სურვილი გიჩნდება, როდესაც იესო თავისი სამართლიანობით შენს შემოსვას იწყებს. ეს ფაქტი შენს შემეცნებას აღემატება. ამიტომ ამის შესახებ მოსმენა კვლავ და კვლავ არის საჭირო. მაშინ რწმენა მიიღებს უწყებას და ღვთის მადლით გული შენი, იესოს მიერ აღსრულებულ საქმეს ჩაეჭიდება.

შენ ერთადერთი არ ხარ, ვისაც ამ საუკეთესო სამოსელის ხედვა მიეცა. მას ზეცაში მყოფი მამაც ხედავს. ის ამ სამოსელით ხარობს. ის მის საყვარელ ძეს, იესოს მოაგონებს. როცა ღმერთი შემოგხედავს, ის იესოს ხედავს. ამაში მდგომარეობს საიდუმლოება და სიმდიდრე გადარჩენისა.

ამრიგად, საკუთარი უღირსობის გამო, გული არ უნდა გაიტეხო. თუ იესოსი გწამს, იესოთი შემოსილი ხდები. შენ ამით საუკეთესო სამოსელი მოგენიჭა. გამოეწყვე მასში, რადგან მისი მეშვეობით ღვთის წინაშე საუკუნოდ მოგიწევს დგომა.

15 ნოემბერი

ვინაიდან ფუჭია ოცნებათა და სიტყვათა სიმრავლე. ამიტომ გეშინოდეს ღვთისა.

ეკლესიასტე 5:7

ოცნებაში დიდ დროს ხომ არ ატარებ? მრავალი ადამიანი ამითაა დაკავებული. ისინი წარმოიდგენენ სხვადასხვა სურათებს თუ, როგორ იქნება მათთვის მომავალი. ისინი ფანტაზიის სულის სამყაროში შედიან, რაც რეალობის განცდას საფრთხეს უქმნის.

ეს საშიშროება ახალგაზრებს არ ემუქრება მხოლოდ. შუახნის ხალხიც მიცემული არიან ოცნებას, რომ ოდესღაც ცხოვრებას მოიწყობენ და კომფორტულად იქნებიან. მრავალი ადამიანი სასოწარკვეთაში ჩავარდა. ეგონათ მეუღლე არასოდეს დატოვებდა. მაგრამ უეცრად ერთი მათგანი წაყვანილი იქნა.

ოცნება, ყოველდღიური ამოცანების შესრულებაში ხელს გიშლის. ღმერთმა შენ მოწოდება მოგცა. უფალს ამ მოწოდებით უნდა ემსახურო. ხოლო ის, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლია, ხვალ ვეღარ შეძლებ. აგრეთვე ეს საკითხი შენს ცათა სასუფეველში არსებულ დანიშნულებასაც ეხება. „ღამე მოდის, როცა ვერავინ შეძლებს კეთებას.“ ასე იქნება შენს ცხოვრებაშიც. ამიტომ, უფალი მსახურებისათვის დღეს მოგიწოდებს.

შენთვის უცნობი მომავლისათვის ნუ იოცნებებ. ნურც ნურაფერზე იოცნებებ. უფალს იქ ემსახურე, სადაც იმყოფები.

პავლემ იცოდა, რას ნიშნავს უფლის შიში და ამაში სხვის დარწმუნებასაც ცდილობდა. მას ესმოდა, რომ აქ დედამიწაზე ერთხელ მოუწევდა ცხოვრება. მან აგრეთვე იცოდა, რომ ღმერთმა ჩვენთვის საკეთებელი კეთილი საქმეები წინასწარ გაამზადა.

შენ უფლის წინაშე უნდა გამოცხადდე და შენი ცხოვრებისათვის მას ანგარიში ჩააბარო. თუ ოცნებას მიეცემი, ბევრს ვერაფერს მიაღწევ.

ოცნებები ნებას არ მოგცემს იმ პირობებს დათანხმდე, რასაც ღმერთი მსახურებისათვის გაძლევს. ამ დროს უმადური ქრისტიანი ხდები. აღარ იტყვი: „დღეს მე მოვისმინე. დღეს მე მწამს. დღეს მე ვმსახურობ.“

ღვთის წინაშე დგომა ათრთოლებული მოგიწევს. მას შენი ოცნებები ეზიზღება. ნაცვლად ამისა მისი სურვილია შენი რწმენა მასში იყოს, ვინაიდან მას შენზე ზრუნვა უნდა.

ის არასოდეს დაგპირებია, რომ მიწაზე ცხოვრება შენთვის ადვილი იქნებოდა. მან საკუთარი თავის უარყოფა კარგად იცის, ყოველდღე ჯვრის აღება და მასზე მიყოლა რაოდენ ძნელია. მაგრამ ის ზრუნავს შენზე. მისი სურვილია, ყოველდღიური პურით გამოგკვებოს.

უფლის სურვილია ისწავლო, რომ ჯერ ზეცა არ დამდგარა. ახლა ჟამია უფლის წინაშე თრთოლვით დავდგეთ და მას მთელი გულით ვემსახუროთ.

16 ნოემბერი

ვინც ბევრს ლაპარაკობს, ცოდვას ვერ ასცდება, თავისი ენის მომთოკველი კი ბრძენია.

იგავი 10:19

აღმოგიჩენია თუ არა, რომ ჩუმად ყოფნა ძნელია? ნუთუ სულ უნდა ლაპარაკობდე?

ბევრის ლაპარაკი საშიშია. როგორც კი სასაუბრო თემები ამოიწურება, საუბარი იმ თემებზე გადადის, რომელთა შესახებ სჯობს დუმილი შევინარჩუნოთ, რადგან რაც იცი ყველაფრის ლაპარაკი აუცილებელი არ არის. ხშირ შემთხვევაში სიყვარულის უდიდესი გამოვლინება მაშინ ხდება, როდესაც იცი რაღაც, მაგრამ არ ლაპარაკობ.

მოსამართლეებად საკუთარ თავებს, რაოდენ ხშირად ვნიშნავთ? ისეთი სახით ვლაპარაკობთ, კაცი ვერც კი იეჭვებს საით მიგვყავს საუბარი.

ჭორაობა გამანადგურებელი ცოდვაა. მას ბევრი მეგობარი ერთმანეთისგან დაუშორებია. ჩვენი ნათქვამი სიყვარულით უნდა იქნას დაფარული. მიუხედავად იმისა სხვა პიროვნებებმა არც კი იციან რაზე ვილაპარაკეთ, ჩვენს საერთო ურთიერთობას მაინც შავი ღრუბელი დაადგა. ამ დროს სხვის შეცდომებზე ჩვენი შეხედულება გამძაფრდა.

იესო ამბობს, რა სასამართლოთიც სხვა განიკითხავთ, იმავეთი იქნებით განკითხულნი. ის მიმართულება, რასაც სხვისი განკითხვისათვის იყენებ, ერთ დღეს შენს წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

ის დღე შენთვის, როგორი იქნება?

არ შეგიმჩნევია, რომ ხშირად განკითხვისას იმ საკითხებში იჩენთ სიმკაცრეს, რაშიც თავად გაქვს სისუსტეები?

წარმოიდგინეთ, პიროვნების ნათქვამი გესმით! წარმოიდგინეთ, მის გვერდში გიწევთ ცხოვრების გატარება! წარმოიდგინეთ, როგორ გასამართლებთ ის თავისი სიტყვებით!

ღმერთი ადამიანის თვალებით არ უყურებს. ის გულს ხედავს. ის ბინძური და უწმიდურია.

ღვთის სიტყვა ამბობს, რომ შენ ენა უნდა მოთოკო. ენა ჩვენს ასოებს შორის მყოფი, უმართლოების სამყაროს ცეცხლია.

მოერიდე ლაყბობას. დრო სხვების დახმარებას და გამხნევებაში გახარჯე. უპირველესად ღმერთს შენი ცოდვების შესახებ ელაპარაკე. მას წყალობა შენთვის და შენი ძმისათვის თხოვე.

17 ნოემბერი

ჩვენი სასჯელი იყო მასზე და მისი ჭრილობებით ჩვენ განვიკურნეთ.

ესაია 53:5

ცოდვამ ჩვენი გული გააფუჭა. ამის გამო ჩვენ სიმართლეს გავურბივართ. შესაძლოა გაფუჭებულის შეკეთებაც კი ვცადოთ. განა მილიონობით ადამიანი ამით არაა დაკავებული.

გზა ბევრია, მაგრამ სახარებასთან მხოლოდ ერთს მივყავართ. იესოა ერთადერთი, რომელსაც სულის განკურნება შეუძლია.

იესო უბრალოდ გზისკენ არ მიგითითებს. ის იმ გზაზე მოითხოვს შენს ყურადღებას, რაზეც თავად გაიარა: გზა გოლგოთისკენ.

სული შენი განკურნებას, ამა თუ იმ მედიკამენტით ვერ შეძლებს. არა, ის მისი ჭრილობებით იკურნება.

ეს იესოს სისხლია, რომელიც ყოველი ცოდვისაგან გვწმენდს. მისი ჯვარზე ნამოქმედარით, ცოდვა შენს გულს განაშორა და თავისაში ჩაიდო. ამის გამო ღმერთმა მას მისი მრისხანების მათრახი გადაარტყა.

იესოს ჭრილობათა მეშვეობით, შენს სულს კურნება მიეცა.

როცა იესომ განგკურნა, მაშინ მშვიდობაც მოგცა — მშვიდობა ღმერთთან.

შეუძლებელია მშვიდობის მოპოვება თავად შეძლო. ცოდვილის ცხოვრებაში უამრავ შინაგან ბრძოლას აქვს ადგილი. ღვთის შვილი სულისა და ხორცის მუდმივ დავას განიცდის.

მიუხედავად ამისა, მე იესოსთან მშვიდობა მაქვს. ის დაისაჯა. მან ყველა ჩემი ცოდვა გამოისყიდა. ამიტომ ქრისტეს სიყვარულისაგან ცოდვა ვეღარ ჩამომაშორებს.

ჩემი ხსნის საფასური, მესამე პირის მიერ, საუკუნოდ არის გადახდილი. მე მის დასრულებულ საქმეში შემიძლია მოსვენება.

არაფრის გაკეთება არ მესაჭიროება იმის მისაღწევად, რაც უკვე აღსრულებულია.

ცოდვამ იმაზე მეტად გაგვანადგურა, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია. მაგრამ სიმდიდრეა იყო ცოდვილი და თან იესოსთან მშვიდობა გქონდეს. რაოდენ დიდი სიკეთეა იმ ხალხს ეკუთვნოდე, რომელიც ღმერთს იმის გამო მადლობს, რომ ის დაისაჯა, ხოლო ჩვენ მისი ჭრილობებით განვიკურნეთ.

18 ნოემბერი

ამ დრომდე... მოხეტიალენი (ინგ. უსახლკარონი).

1 კორინთელთა 4:11

ღვთის ერთერთი უდიდესი საჩუქარი, საკუთარი ჭერი და კარია. გამოკეტავ ამ კარს და შენს სახლში იმყოფები. სახლი შეიძლება იყოს დიდი ან პატარა, მდიდრული თუ ღარიბული. ადამიანთა უმრავლესობა მას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. უბრალოდ ბენიერები არიან, რომ მათ საკუთრებაში ერთი ადგილი აქვთ.

პავლე და მისი თანა-მეგზურნი უსახლკარონი იყვნენ. იესოც უსახლკარო იყო. მათ სხვის ჭერქვეშ უხდებოდათ ცხოვრება, ან ღია ცის ქვეშ ღამის გათენება.

ყოველი უსახლკარო ადამიანისათვის დიდი კურთხევაა იმ ფაქტის გააზრება, რომ იესოს მათი გასაჭირი კარგად ესმის. განსაკუთრებით ჩვენს საუკუნეში, იესოს ნაკვალევზე მიყოლამ მრავალ ადამიანს საკუთარი სახლი დაატოვებია და მათ თავი ციხეებში, ან შრომა-გასწორების კოლონიებში ამოყვენ, ვინაიდან ისინი არ მალავდნენ, რომ იესოს ეკუთვნოდნენ.

ნუ დავივიწყებთ პატიმრებს. მათი სურვილია ისეთ ადგილზე იცხოვრონ, სადაც ოთახის კარის გასაღები მათ ხელში იქნება. შიში, ეჭვი და დარდი მათ დღე და ღამ თან ზდევს და ციხის ვერანაირი კედელი ბოროტის გავარვარებული ისრებისაგან მათ ვერ დაიფარავს. გავიაზროთ, რომ ღვთისაგან ჩვენ ყოველი საბოძვარი სესხად მოგვეცა. იესო გვპირდება, რომ ის მუდამ ჩვენთან იქნება, თვით წუთისოფლის აღსასრულამდე; მაგრამ მას არ უთქვია, რომ ჩვენ დედამიწაზე სახლი მუდამ გვექნება.

მოდით უპირველეს ყოვლისა მადლიერნი ვიყოთ. მის სიკეთესა და მზრუნველობაში, იესოს შენთვის იმის მოცემა უნდა, რაც თავად არ ჰქონდა. მან ბევრ მარტოდ მყოფს, ასევე ოჯახს, მიწაზე საკუთარი საცხოვრებელი მისცა.

გვახსოვდეს ღვთისადმი მადლიერება! მოდით სტუმართმოყვარეობით სხვებს ის საბოძვარი გავუზიაროთ, რაც ღმერთმა მოგვანიჭა.

მარავალ ასაკში მყოფთ, საკუთარი სახლის დატოვება უწევთ. ერთ დღეს ეს შენი და ჩემი ხვედრიც გახდება. თუმცა ღმერთი არ დაგვტოვებს. ადამიანთა უმრავლესობას ახალ გარემოსთან შეგუება უწევს. ქრისტიანი კი უსახლკარო არასოდეს არ არის. იესო არ იყო უსახლკარო; პავლე არ იყო უსახლკარო; და შენც არ იქნები უსახლკარო, თუ გწამს.

შენ იმ სახლის გზაზე დგახარ, რომლის დატოვება არასოდეს მოგიწევს. იესომ შენთვის ადგილი გაამზადა. ამიტომ, არ აღშფოთდეს გული შენი და არც გაიტეხო. დედამიწაზე ჩვენი პირობები და მდგომარეობები მუდმივად იცვლება, მაგრამ იესოსთან ის შეუცვლელი რჩება. ამ ნათელში შეგიძლია იცხოვრო. ყოველი დღე მოგზაურობის დღეა, გზაზე, რომელიც შენს მარადიულ სახლს გაახლოებს.

19 ნოემბერი

ამიტომ, მეტი გულისყური გვმართებს მოსმენილისადმი, რათა არ გადავუხვიოთ.

ებრაელთა 2:1

ყოფილი ქრისტიანი მრავლადაა. შეუძლებელია მათ შეხვდე და საკუთარ თავს არ ჰკითხო: მათ რწმენისაგან რამ გადაახვევია?

ადამიანთა უმრავლესობა დაცემამდე გადახვევას იწყებს. მცირეა მათი რიცხვი, რომელიც განზრახულად ფიქრობს, რომ აღარ სურთ ღმერთი იყოს მათი მამა და იესო მათი მხსნელი და გამომსყიდველი. განდგომილება ნელ გადახვევას ჰგავს, როდესაც წყნარად და შეუმჩნევლად ქრისტიანი იესოს გზიდან გადაყავს.

განდგომილება შინაგანად ხდება. ღმერთის სიტყვა მუდმივად ესმის, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მის გულს აღარ ეკარება. ცოდვების აღიარებას ადგილი აღარ აქვს. ხოლო ცოდვილის განწმედა შორს მდგომი და თეორიული საკითხი ხდება.

თუ შეგონების სიტყვა იქადაგება, რომელიც მონანიებისაკენ მოუწოდებს, მის შესაბამისად არ მოქმედებს.

ცხოვრებას ისე აგრძელებს, როგორც დიდი ხნის განმავლობაში იყო.

ხომ არ გაგიკვირდება, თუ მსგავსი ინდიფერენტულობა საბოლოოდ გარეგან გამომჟღავნებამდე მივა? საკრებულოსადმი კრიტიკული დამოკიდებულება გაიზრდება. მსახურებას იშვიათად დაესწრება. ხოლო საბოლოოდ სიარულს საერთოდ შეწყვეტს.

აი, მრავალ ქრისტიანს სწორედ ეს დაემართა.

ყველაფერი იმით დაიწყო, როდესაც მოსმენილისადმი გულისყურით არ განეწყვნენ.

მე ღმერთის სიტყვასთან ახლო ურთიერთობით ცხოვრება მჭირდება, სიტყვა, რომელიც დროდადრო მამხილებს. საკუთარი სიმართლე მთლიანად უნდა შემოვიძარცვო, მაშინ, როცა საკუთარი ზნედაცემულობის უფსკრულს ღვთის სიტყვის ნათელზე ვხედავ.

ღმერთის სულმა იმავე დროს ჩემს გულში იესოს სიტვა უნდა გააცოცხლოს. მან სული ჩემი უნდა აანთოს, ვინაიდან ჩემმა მონაცვლემ და გამომსყიდველმა ზეცა ჩემს გადასარჩენად დატოვა.

შეუძლებელია ასევე არ მახსოვდეს იესოს სისხლი, რომელიც ჩემს სულს ყოველი ცოდვისაგან წმენდს. მე მისი სიტყვით ვცოცხლობ. ის ჩემი სულის პურია. მე ყური უნდა მივუგდო მას, სხვა შემთხვევაში მოვკვდები.

20 ნოემბერი

მათ თანაუგრძნეს და ნუგეში სცეს ყველა იმ უბედურების გამო, რაც მოუვლინა მას უფალმა.

იობი 42:11

ღმერთის სიტყვა გვასწავლის, რომ ეშმაკს არანარი უფლება არ აქვს ქრისტიანის ცხოვრებაზე უბედურება მოაწიოს, თუ მას ღმერთი არ დართავს ნებას. ბევრი ქრისტიანის თქმით, ღმერთი არ მისცემს მას ამის უფლებას. ღვთის ჩვენდამი ფიქრები, როგორც იცი სამშვიდობოა და არა სამტრო.

ღმერთი ნამდვილად ზრუნავს ჩვენზე. ნათელია, რომ ის ჩვენს გადარჩენას იცავს და მისი სურვილია მისი ამ მარადიული ხსნის მსახურები ვიყოთ. ზოგი ადამიანისათვის ის მოიცავს დარდს, გაჭირვებას და წარუმატებლობას. ამის მაგალითი იობია.

იობის არცერთ მეგობარს არ ესმოდა, თუ იობის ტანჯვის მიზეზი რა იყო. ღმერთს სატანისათვის უნდოდა დაენახებია, რომ მას ჰყავდა მსახური, მისი მოშიში და ბოროტებას განრიდებული, თუნდაც თავს ბოროტება დასტეხოდა.

ქრისტიანთა უმრავლესობას ისეთი გრძნობა დაუფლებია, რომ ღმერთი თითქოს უცნაურად ექცევა. მათთვის შეუძლებელი იყო მისი ქმედების განმარტება. უბრალოდ საკუთარი რწმენით დაკმაყოფილება მოუწიათ.

ყოველი ღმერთის შვილი უფლის ხელშია. ღმერთი ყველას ერთნაირად არ გვატარებს. მას ზოგი ქრისტიანი სიძნელეში და ტანჯვაში შეყავს, რათა გაუძლოს. სხვა საკუთარ რთულ გონებასთან ჭიდილშია. ზოგს ცხოვრებაში მარტო სიარული უწევს. სხვებს კიდევ ოჯახურ სირთულეებთან უწევს გამკლავება.

ღმერთი თავისი საქციელისათვის არასოდეს იბოდიშებს. იობზე მოსულ უბედურებაზე, პასუხისმგებლობას თავად იღებს. შენს მიმართაც ასეა. არცერთი ბეღურა ძირს არ დაეცემა, თქვენი ზეციერი მამის ნების გარეშე.

ჩვენი აზროვნების მიხედვით ღმერთს უფრო მეტ პატივს მივაგებდით, განსაცდელის მეშვეობით, რომ არ მოვედრიკეთ და დავემდაბლებიეთ. მაგრამ საკუთარ თავს კარგად არ ვცნობთ. ღმერთი კი სრულად გვიცნობს.

მიუხედავად ყველაფრისა, ღმერთის სიტყვის მეშვეობით ჩვენ დახმარებას ყველაფერზე მივიღებთ. ღვთის გარეშე არანაირი უბედურება არ მოდის! თუმცა მისი სურვილია შენი ცხოვრების საშინელ მომენტებში თავად შეგხვდეს. მას სურს შენს ტვირთს შეეხოს, რათა კურთხევად გექცეს. ღვთის გზა ყოველთვის არ გესმის, მაგრამ აუცილებელია მისი ნათქვამი ირწმუნო.

21 ნოემბერი

ამიტომ, გაბედულად მივეახლოთ მადლის ტახტს, რომ მივიღოთ წყალობა და ვპოვოთ მადლი დროული შემწეობისათვის.

ებრაელთა 4:16

ჩვენთვის უფრო ბუნებრივია ღმერთს დახმარება ვთხოვოთ, ვიდრე დროული დახმარებისათვის მადლი ვპოვოთ. გაუთვითცნობიერებლად მადლს თავიდანვე ვაუქმებთ. ეს ჩვენი ძველი ბუნებიდან არის გამომდინარე. მას მხოლოდ მისი ჯერავს, რაშიც თავადვე ღებულობს მონაწილეობას.

ამიტომ აუცილებელია ღვთის სიტყვის მიერ სწორად განვეწყოთ.

ღვთიური მმართველობიდან გამომდინარე ყველაფერი იმისკენ არის მომართული, რომ შენ მადლით დაგიფაროს. მისი პოვნა შენ კვლავ და კვლავ გიწევს. ასე მაშინ იქცევი, როცა შენი მარაგები იწურება. როდესაც წინ აღარ შეგიძლია სიარული, მაშინ იწყებ იმის ძიებას იესოს შენთვის, რისი გაკეთება შეუძლია. როდესაც საკუთარი ეგოიზმის გამო სასოწარკვეთას მიეცემით, რომელიც ასე ძალიან გეტმასნებათ, დიდ სიამოვნებას გგვრით, რომ ის საკუთარი თავის სახსნელად არ მოვიდა.

შეუძლებელია ღვთის მადლზე დიდი დახმარება იპოვო. როდესაც ის შენს გულს ავსებს, საკუთარ სიღატაკეში მყოფი მდიდრდები. სიუხვე გავსებს, თუნდაც საკუთარი თავი არაფრის მქონედ მიგაჩნდეს.

შენ ღვთის ტახტის წინაშე უნდა გამოცხადდე.

მის წინაშე წარდგომა გეშინია? გეშინია, რომ ის გამხელს, როდესაც პირისპირ მისი სიწმინდის წინაშე წარდგები?

გონებაში უნდა ჩაიბეჭდო, რომ შენ პირველი არ ხარ, რომელიც ღვთის ტახტის წინაშე დადგა. შენზე ადრე იქ იესო იყო. მან ყველა შენი ცოდვების გამო სასჯელი დაიმსახურა. და ის, რაც იესომ საკუთარ თავზე აიღო, უკან არასოდეს მოგიბრუნდება.

იესომ სამსჯავროს ტახტი მადლის ტახტად აქცია, სადაც შეგიძლია გაემართო და თავშესაფარი ჰპოვო. ამიერიდან გაბედულად შეგიძლია ღვთის ტახტთან მიახლოვება. ღმერთი შენს მისვლას არ უარყოფს. ის შენი ცხოვრების წარუმატებელ საქმეებს სააშკარაოზე არ გამოიტანს.

ის ნებას მოგცემს იპოვო მადლი. წარმოიდგინე მადლის პოვნა! ყველაფერი, რაც ითქვა და გაკეთდა ამ ერთი მიზნისთვის მოხდა: იყო ღვთის კეთილგაწყობით გარემოცული.

მაშინ ყველაფერი მოგეცემა, აგრეთვე შეწევნა დროული დახმარებისათვის. ღმერთი არ იგვიანებს. მისგან დავიწყებული არ ხარ. მისი თვალები შენკენ არის მოპყრობილი. საუკეთესო, ბოლოსთვის აქვს შენახული.

22 ნოემბერი

ამიტომაც გაბედა შენმა მსახურმა, რომ ასე ელოცა შენს მიმართ.

2 სამუელი 7:27

ძნელია ლოცვისას დუმილი. მოწაფეთა მსგავსად ჩვენც გვიწევს დროდადრო თქმა: უფალო, გვასწავლე ლოცვა. ლოცვა ჩვენ არ შეგვიძლია, ვიდრე ღმერთი თავისი ლოცვის სულს ჩვენზე არ გადმოღვრის. ლოცვის სული კი მადლის სულია.

როდესაც ღმერთმა დავითს განუცხადა, თუ მისთვის რის მიცემას აპირებდა, მხნეობა მოიკრიბა, ანუ როგორც წერია გაბედა, რომ ელოცა.

შენთვისაც ასეა. ზეცასთან ლოცვა მაშინ მოდის კავშირში, როდესაც მადლის სიმდიდრე და სისავსე გეცხადება. მაშინ დაკეტილი კარი არ არსებობს, არამედ ყოველი მათგანი იღება და გულის თვალი იმ გზას ჭვრეტს, რომელიც იესომ ღმერთთან მისასვლელად მოგიმზადა.

სახარებით წარმართული და ნამსახურები ცხოვრება ნიშნავს, რომ, როგორც ქრისტიანს ჩვენ ღმერთთან ლოცვით ახლო ურთიერთობა გვაქვს. რამდენადაც გაგვიჭირდება ღვთის დაუმსახურებელ მადლში დარჩენა, იმდენად ღარიბი იქნება ჩვენი ლოცვითი ცხოვრება.

ღმერთს დავითის სახლის აშენება ჰქონდა გადაწყვეტილი. ეს სიტყვები არ ლაპარაკობს იმის შესახებ, საამისოდ დავითს რა უნდა გაეკეთებია. ის მხოლოდ იმის შესახებ ლაპარაკობს, ღმერთი რას გააკეთებდა. დავითი ამ სიტყვების გამო საკუთარ თვალში უფრო დაპატარავდა. ის თავს მსახურს უწოდებს. იმავე დროს ის ხედავს ვისი მსახურია. მეფე იმაზე მეფურად არასდროს იქცევა, როდესაც მუხლს მარადისობის მეფის წინაშე იდრეკს. მაშინ ის თავის ადგილს პოულობს და ღვთის სიმდიდრის მიმღები ხდება.

დიდებული რამ არის, როდესაც იესოსთან ურთიერთობაში სწორი ადგილი გიკავია და საკუთარ გულში მისდამი ლოცვას შენც პოულობ.

ყოველი ჭეშმარიტი ლოცვის უკან, საკუთარი თავის უსუსურობისა და უმწეობის გააზრება დგას. რისი პოვნაც საკუთარ თავში შეგიძლია ეს მხოლოდ ცოდვა, სიღატაკე და დომხალია. ამ ღრმა გაჭირვების ჟამს, ღვთის მადლის ტახტის წინაშე მიდიხარ, რათა შეწევნისათვის წყალობა ჰპოვო. ეს ლოცვის სულია, რომელიც ღმერთთან გეზიდება. მასთან შიშით, თრთოლვით და სრული დარწმუნებით მიდიხარ. იცი, რომ ღმერთი მიგიღებს. ის ყურს მოგაპყრობს და შენს ლოცვას ისმენს. ამიტომ ლოცვა გაიძულებს მის ბაგეთა ხმას უფრო გულისყურით მოუსმინო.

აუცილებელია შენს გულში მისდამი ლოცვა გაჩნდეს.

23 ნოემბერი

რომელსაც არც ცოდვა ჩაუდენია და არც მზაკვრობა დასცდენია მის ბაგეს.
1პეტრე 2:22

ცოდვასთან ბრძოლაში იესოზე ფიქრი დიდი დახმარებაა. დიახ, გამარჯვების საიდუმლო იესოზე მიმართვაა. თუ ასე მოიქცევი, იესოს მიიღებ, იესოს, რომელმაც სატანის საქმეები მთლიანად დაანგრია. ამ ფაქტს შენს ქრისტიანულ ცხოვრებაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

იესოს ცოდვა არ ჩაუდენია. ეს სიტყვები შენს ცხოვრებაზე არ ითქმება. კარგად იცი ცოდვა, რაოდენ საშიშია, ვინაიდან ცოდვა ღვთისგან გაშორებს. თუმცა საკუთარი თავი შეგიძლია სისუსტეებში გამოიჭირო. ცდუნების ჟამს ცოდვა უვნებლად გეჩვენება. ხოლო წარსულში ჩადენილის გამო სირცხვილი გიპყრობს. გონების სიღმეში, რამდენი ბოროტი და უწმიდური აზრი გიტრიალებს?

რისი გაკეთება გმართებს? თავი იესოს უნდა შეაფარო.

ის შენგან განსხვავებულია. მასში ერთი უწმიდური აზრიც არ არსებობს. ეშმაკმა მისი ცდუნება ვერ შეძლო. იესო მას წინაღუდგა და ყოველი ეშმაკის შემოტევა, ღმერთის სიტყვით მოიგერია.

ჩემს უწმიდურ სამყაროში მოიპოვება ადგილი, სადაც ცოდვა არ არსებობს. ეს ის ადგილია, სადაც იესოა. ყოველ ჟამს მე მასთან გავრბივარ და მის სიმართლეში ვაფარებ თავს, რის შემდეგ ცოდვის შხამიანი ისრები ვეღარ მვნებს. ცოდვა იესოს აღსრულებულ საქმეში ვერ აღწევს.

ჩემი გაჭირვება იმაში მდგომარეობს, რომ მე სახარებაში მოსვენებას ნაკლებად ვპოულობ. უფრო მეტად ჩემი, როგორც ქრისტიანის საქმეებით ვარ დაკავებული. ძნელად გასაგებია, რომ ქრისტიანად ყოფნა, უბრალოდ იესოში დარჩენაა. გარეგნულად ადვილი ჩანს. სინამდვილეშიც ასეა. იესომ თქვა ასე. მის ბაგეში კი სიცრუე არ მოიპოვება.

ხშირად ჩვენ იესოს ნაკვალებზე მიყოლას, საკუთარი ძალებით ვცდილობთ. როცა ვმარცხდებით, ღმერთს უფრო მეტ ძალას ვთხოვთ.

სხვა გზა სცადე.

უფლის წინაშე შენი უმწეობა მიიტანე. დაე, მის შესახებ არსებულმა სიტყვამ შენი გული აავსოს. დაე, შენმა გამარჯვებულმა მხსნელმა, შენს გულში ძლიერი რწმენა დაბადოს. მან ცოდვა სძლია და ნებისმიერ დროს, როდესაც მის დასრულებულ საქმეზე შენს იმედს დადებ, ის კვლავ გამარჯვებას მოგანიჭებს.

24 ნოემბერი

პატივი ეცი მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო შენს მიწაზე, რომელსაც უფალი ღმერთი გაძლევს.

გამოსვლა 20:12

ოდესმე მეხუთე მცნების წინააღმდეგ შეგიცოდავთ? ჩადენილი ცოდვები ღვთის წინაშე გიღიარებიათ? თუ ღვთის მცნებებს, როგორც არაფრისმთქმელ სიტყვებად მიიჩნევ?

მშობლების წინააღმდეგ შეცოდების შემდეგ, პატიება მათთვის გითხოვია? თუ ეს ისეთი რამაა, რაც არასოდეს მოხდება?

უამრავი ახალგაზრდა, საკუთარი მშობლების მიმართ ზედმეტად კრიტიკულია. მათ ისინი ახლოს იცნობენ და მათი შეცდომები კარგად იციან. დღითი დღე კრიტიკის ცეცხლისთვის, შეშას ადვილად მოიპოვებენ.

ასეთნი, იშვიათად თუ ჩაუკვირდებიან მეხუთე მცნებას, რომელსაც ღმერთი აღთქმას ურთავს. ზოგმა მისგან მომდინარე კურთხევა დაკარგა, რადგან მთელი ცხოვრება მშობლების ურჩნი იყვნენ.

ბევრი ახალგაზრდა ფიქრობს, რომ როდესაც თავად დაქორწინდებიან, მათი ქორწინება მშობლების ქორწინებიდან, რადიკალურად განსხვავებული იქნება. ცხოვრებაში ყოველთვის ყველაფერი ჩვენი სურვილისამებრ არ ხდება, რადგან ქორწინებაში ორი ცოდვილი შედის.

ზოგ ადამიანს უბედური ქორწინება ჰქონდა, ვინაიდან საკუთარი დედ-მამის პატივისცემა ვერ ისწავლა. სხვანი ფინანსურ უბედურებაში გადავარდნენ, რადგან იმდენად ამაყნი იყვნენ, მშობლის კეთილ რჩევას ყური არ დაუგდენ. მრავალ ადამიანს სამუშაოზე აქვს პრობლემა, ვინაიდან თავმდაბლობა ვერ ისწავლეს. სხვანი ცუდი მშობლები შეიქნენ, რადგან მეხუთე მცნების მიმართ მოუგვარებელი ცოდვა ჰქონდათ. ყველა ასეთი იმ კურთხევას აცდა, რომელიც ღმერთმა ამ მცნების დამცველს აღუთქვა.

ეს საკითხი ასეთი სერიოზული, რატომ არის? მრავალი ადამიანი საუკუნოდ იღუპება, რადგან ღვთის მორჩილება არ ისურვეს. შეუძლებელია პიროვნებამ ღვთის ნათქვამი არად ჩააგდოს და არ დაიღუპოს. ღვთის მცნებების არად ჩაგდება, თავად ღვთის შეურაცხყოფაა. ღვთის მცნებები მისი ნებაა და ქრისტიანი მათ იმის გამო არ იცავს, რომ ეს გონივრული გადაწყვეტილებაა. ღვთის მცნებები მისი რჩევები როდია, არამედ ის მისი ცოცხალი სიტყვაა. თუ რჯული შენგან სერიოზულად არ იქნება აღქმული, მაშინ ვერც მადლს ვერ გაიგებ.

მაშასადამე, შენ მამას და დედას პატივი უნდა სცე.

25 ნოემბერი

ამ ტანჯვაში მყოფი უფრო გულმოდგინეთ ლოცულობდა; მისი ოფლი სისხლის წვეთებივით გახდა და მიწას ეპკურებოდა.

ლუკა 22:44

ღმერთს შენი მასთან გეთსემანიაში წაყვანა სურს. ის, რაც იმ ბნელ საღამოს მოხდა, დაფარული არ დარჩენილა.

ღმერთმა ნება მოგვცა მისი ძე დაგვენახა. ის მხურვალე ლოცვის დროს მიწაზეა დამხობილი. მაშინ როდესაც ის სიკვდილის შიშით იყო აღშფოთებული, ის მამის წინაშე ცრემლებით ღაღადებს.

აქ ჩვენ მას ვხედავთ, ვის მიერაც ყოველივე იქმნა. ყოველი ქმნილება მასთანაა კავშირში, ვის მიერაც ყოველივე დგას. ღმერთმა ასე გადაწყვიტა, რომ ყველაფერი მის დიდებას ემსახურებოდეს.

იმავე ჟამს იესო მთელი წუთისოფლის ცოდვას ეზიდება. ამის გამო მისი სვლა გაძნელდა. თუმცა, ყველაზე საძნელო, ამ განუზომელი ცოდვის ტვირთის აზიდვა ჯვარზე იყო — სადაც ღვთის წმიდა რისხვა და მსჯავრი მოდიოდა.

იესომ, რასთან ჰქონდა საქმე იცოდა. ის ღმერთი იყო. ასევე ღმერთს ახლოს იცნობდა. მან ისიც იცოდა მისი წმიდა რისხვა, როგორი იყო. ის სწორედ ამ ფაქტს განიცდიდა, რაც მას შიშს ყველაზე მეტად გგვრიდა. ამის გამო ის დადარდიანებული იყო.

ებრაელთა წიგნი ამბობს, რომ ის შესმენილ იქნა. მაგრამ მანამდე გოლგოთის გზის გავლა მოუხდა. ღვთის რისხვის თასი ბოლომდე უნდა დაცლილიყო, სხვანაირად შენ ვერ გადარჩებოდი.

ცოდვილისათვის კარგია იესოს გეთსემანიაში შეყვეს. იქ შენ გაიაზრებ, თუ მან შენთვის რა გადაიტანა. მის სიყვარულსა და ტანჯვას შორის დიდი კავშირია. სიყვარული სიტყვებში შეიძლება გამოიხატოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ტანჯვითაა დასაბუთებული. იესოს ოფლი სისხლის წვეთებივით იქცა, რომელიც მიწაზე ეპკურება. ასეთი საშინელი იყო მისი სულის გმინვა. მაგრამ მან სატკივარი ბოლომდე დაითმინა. ნუთუ ეჭვი გეპარება, რომ მისთვის ძვირფასი ხარ?

ნუთუ შენს შინაგანს არ მსჭვალავს ის ამბავი, რომ სხვა პიროვნებამ ამდენი ტანჯვა შენს გამო გადაიტანა?

გეთსემანია გადუმებს. ცოდვა გეზიზღება, ვინაიდან მან მიწამდე დაგცა. წელში ხარ გატეხილი და მის გამო სირცხვილში და დამცირებაში იმყოფები.

იმავე დროს შენ აღვსილი ხარ წმიდა გაოცებითა და ნეტარებით. ღმერთმა შენ გითხრა თუ მისთვის, რაოდენ ძვირფასი და საყვარელი ხარ.

26 ნოემბერი

თუ ქრისტეს სახელისათვის გაილანძღებით, ნეტარნი ხართ, ვინაიდან დიდების სული - ღმერთის სული - ეშვება თქვენზე.

1 პეტრე 4:14

ქრისტიან ადამიანს იესოს სახელი უყვარს. ეს სახელია, რომელიც დაცემულს დროდადრო გაყენებს. იესო მაშინ მოვიდა შენთან, როდესაც სრულიად ბნელოდა და თავს უიმედოდ გრძნობდი. რამდენჯერ წამოუყენებიხარ ცოდვის ტყლაპოდან და კდეზე დაუსვიხარ? რის შემდეგაც შენს ბაგეში ახალი საგალობელი გაჩენილა.

ხომ არ გიკვირს, რომ სახელ იესოზე შეყვარებული ხარ?

უცნაური ის არის, რომ ეს სახელი იწვევს დამცირებას, ვინაიდან ის არა მარტო უყვართ, არამედ სძულთ კიდეც. ადამიანები, რომელნიც იესოს სახელის წინააღმდეგნი არიან, საკუთარ რისხვას იმ პიროვნებებისადმი მიმართავენ, რომელთაც ის უყვართ. ამიტომ არის ქრისტეს სახელის გამო, რომ ღვთის შვილს დასცინიან.

ბიბლია აქცენტს სიბნელისა და სინათლის იმ უდიდეს განსხვავებაზე აკეთებს, რომელსაც უკანასკნელ ჟამს ექნება ადგილი. მაშინ ქრისტიანთა ყოფა, უფრო და უფრო პირველი ქრისტიანების ყოფას დაემგვანება.

ჩვენთვის კურთხევაა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ღმერთის სიტყვა უკვე საუკუნეებია იქადაგება. უბრალოდ გვამწუხრებს ის მდგომარეობა, რომ ადამიანებმა თავად გაინთავისუფლეს თავი, რომ ღვთის აკრძალვებს არ დაემორჩილონ, რომელიც გულისთმითა და ვნებით აღსავსე ცხოვრებას გვიკრძალავს. ამის გამო მათ ქრისტიანული მსოფლმხედველობის და ადამიანის ბუნების მიმართ დამამცირებელი დამოკიდებულება აქვთ. ამიტომ ისინი აბუჩად იგდებენ მათ ვისაც იესოს სახელი უყვარს და მისი სიტყვის თანახმად ცხოვრობენ.

მრავალი ქრისტიანი ამას სკოლაში, სამუშაოზე, ოჯახში და ყველგან განიცდის, სადაც კი არა-ქრისტიანები შეხვდებიან. ასეთი დამოკიდებულება გულს ტკენს, ვინაიდან თავს ყველასგან მოძულებულად და გარიყულად გრძნობენ.

რა შეიძლება დაგეხმაროს?

ეს ჭეშმარიტება მუდამ ძალაშია — თუ იესოს სახელი გიყვარს, მაშინ მუდამ მისი მიმდევარი იქნები. ის შენს გვერდით დგას. როდესაც გამცირებენ, ეს იმიტომ ხდება, რომ შენ ისეთი რამ გაქვს, რაც ღვთის მტერს არ გააჩნია.

დამცირების დროს შენზე სული დიდებისა ეშვება. ამ ჭეშმარიტებას შენს გულში ადგილი უნდა დაუთმო. სხვების მიერ დამცირების ჟამს, შენზე ღვთის სული განისვენებს. ის შენს ცხოვრებაზე მთელი თავისი დიდებით რჩება. რაოდენ დიდი სიმდიდრეა ეს — რაოდენ დიდი კურთხევა!

27 სექტემბერი

შვილებო! ამას გწერთ იმისათვის, რომ არ შესცოდოთ.

1 იოანე 2:1

ცოდვა ღვთისაგან გვყოფს. ის ღმერთთან ჯანმრთელ და ცოცხალ ურთიერთობაზე, საწამლავივით მოქმედებს. სატანა კი თავისით ყოველივეს ცდილობს, რომ ქრისტიანი დაეცეს და ცოდვაში ცხოვრება დაიწყოს.

თუ მოხდა და ქრისტიანი დაეცა, მაშინ სატანა ცდილობს ის კიდევ გაიმეოროს. მისი სურვილია ცოდვა ჩვევად აქციოს. როცა ეს ხდება, მაშინ ნელ-ნელა იწყებ ფიქრს, რომ ცოდვა არც ისე საშიშია. ბოლოს კი მიდიხარ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შეგიძლია ცოდვა შეითვისო და მაინც ქრისტიანი დარჩე, რომელსაც იესოსთან აქვს მოზიარეობა. მაგრამ ეს ასე არ ხდება. თუ იესოს უფლება არ მიეცემა ცოდვას ჩამოგაშოროს, მაშინ იესოსგან თავად ცოდვა ჩამოგაშორებს. მხსნელმა შენმა ცოდვებისაგან გამოგისყიდა და ეშმაკის საქმენი დაარღვია. ცოდო ნიშნავს, სატანას ემსახურო და ორი ბატონის მსახურება, ხომ იცი არ შეგიძლია.

ქრისტიანმა ცოდვას თავი, როგორ უნდა დააღწიოს?

უპირველეს ყოვლისა საკუთარი უმწეობა უნდა გაიაზროს. შემდეგ, ყური მიუგდო იოანეს დაწერილს, რომ არ შესცოდო.

ვიდრე იოანე არცოდვის შეგონებაზე გადავიდოდა, წერს: „თუ ვაღიარებთ ცოდვებს, მაშინ ის ერთგული და მართალი მოგვიტევებს ცოდვებს და გაგვწმენდს ყოველგვარი უსჯულოებისაგან.“

სისხლი იესო ქრისტესი, ცოდვის წინააღმდეგ საუკეთესო ანტიდოდია. ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ცოდვათა მიტევება კვლავ შეცოდებისაკენ გიბიძგებს. ეშმაკიც ცდილობს ცოდვით გაცდუნოს, იმ მიტევების შეხსენებით, რომელიც მოგვენიჭა. მაგრამ თუ ღვთის ჭეშმარიტი მადლი მართლა გესმის, გეცოდინება, რომ არაფერს შეუძლია ცოდვისადმი იმაზე დიდი ზიზღი გამოიწვიოს, ვიდრე მადლის მადლზე მიღებამ.

მაშასადამე, მნიშვნელოვანია სახარების ჭეშმარიტებით ცხოვრება. მაგრამ თუ, როგორც ქრისტიანი შენი ყოფითა და საქმით ხარ დაკავებული, მაშინ ცოდვა შენზე სულ მალე მოიპოვებს ძალაუფლებას. ღვთის სიტყვა ამბობს, რომ ცოდვის ძალა რჯულია.

რჯული გზას გიჩვენებს, მაგრამ თუ მის მიყოლას შეეცდები, მიხვდები, რომ ცოდვა ცოცხალი რეალობაა.

თუ გამწმენდი სისხლის ქვეშ ცხოვრობ, უფალი შენს გულში სულის მიერ წმიდა სურვილს ქმნის. შენი უმწეობის ჟამს თავშესაფარს, იესოსთან პოულობ. ყოველი ეშმაკის დავდასხმისას კი, მისი მადლი ფარად გექცევა.

28 სექტემბერი

იხსენი სასიკვდილოდ წაყვანილი და დასახოცად განწირულებს ნუ მიატოვებ!

იგავი 24:11

თუ ქვეყანა გაღარიბებული და გაჭირვებულია, მაშინ სოციალური პროგრამები დიდი მასშტაბით იწყებს მოქმედებას.

მაგრამ გრძელვადიან სულიერ გაჭირვებას რა უნდა ეშველოს, რომელიც ყველა დაუხსნელი ადამიანისათვის ჯოჯოხეთით მთავრდება?

რაოდენ დასაშვებია, რომ ქრისტიანი იმ პასიურ მდგომარეობაში დარჩეს, როგორშიც იმყოფება?

რატომ უნდა გააფრთხილო არა-ქრისტიანი მეზობელი თუ მეგობარი, რომელიც სულის მტრისაგან დასაკლავად არის გამზადებული, რომელი მტერიც მხოლოდ მოსაპარად, მოსაკლავად და გასანადგურებლად მოდის?

რას ფიქრობ, დიდი დრო გაქვს მოცემული? შესაძლოა დაგიდგეს ჟამი, როდესაც მწარედ ინანებ, რომ მსგავსი შესაძლებლობა აღარ გაქვს.

თავს ხომ არ იმართლებ იმით, რომ შესაფერისი დრო არ იყო? არის ისეთი სიტუაციები, როდესაც სჯობს დუმილი შეინარჩუნო. თუმცა, არის ისეთი ჟამი, როდესაც აუცილებლად უნდა ილაპარაკო. ერთმა კაცმა ასე თქვა, პირველი დამოწმების შესაძლებლობა ყველაზე ადვილია. ეს სიტყვები, დიდ სიბრძნეს მოიცავს.

ადამიანთა შიში ხომ არ გაბრკოლებს? თუ ადამიანებს გვინდა მათი სულის ხსნაზე დაველაპარაკოთ, მაშინ კაცთა შიში ძლეული უნდა იქნას. გზა ამისათვის, კაცთა შიშზე მეტად ღვთის მოშიშებაა.

საინტერესოა, მთავარი მიზეზი ადამიანთა დუმილისა, იმ ფაქტში ხომ არ მდგომარეობს, რომ მათ ჯოჯოხეთის არსებობის რწმენა დაკარგეს. მათი რწმენით, იესოს ნათქვამის მიხედვით მოვლენები არ განვითარდება. იმედოვნებენ, რომ ღმერთი საბოლოოდ ყველას გადაარჩენს.

მათი რწმენა და იმედი ღვთის სიტყვის წინააღმდეგაა და ეს საშიში ცრუმოძღვრებაა. ის ყველა მისიონერული საქმის პარალიზებას ახდენს.

მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანი რაოდენ კეთილი და სათნოა, ჩვენ დაკარგულ ცოდვილებად ვიბადებით. იმავე დაკარგულ ცოდვილებად მოვკვდებით და მარადისობას ჯოჯოხეთის ცეცხლში გავატარებთ, თუ იესოსთან ცოცხალ ურთიერთობას არ დავამყარებთ.

ამიტომ, დღეს არის გადარჩენის დღე. იესოსთვის ადამინები, სწორედ დღეს უნდა შევიძინოთ.

29 ნოემბერი

რადგან ერთი შეწირვით სამუდამოდ სრულყო განსაწმედელნი.

ებრაელთა 10:14

ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ მათ უნარი აქვთ მოწიფული ქრისტიანული ცხოვრებით მაშინვე დაიწყონ ცხოვრება, როგორც კი იესოს ირწმუნებენ. ეს ცრურწმენაა, რომელსაც სერიოზული შედეგები მოყვება.

ცოდვილი, რომელიც იესოს ერწმუნა, მთლიან და სრულ გადარჩენას ფლობს. მას არაფერი აკლია. იესომ ავაზაკის თავისთან ერთად სამოთხეში შეყვანა, წითელ პარასკევს შეძლო.

რა მოხდებოდა ავაზაკი, რომ ჯვრიდან ცოცხალი გარდმოეხსნათ და დედამიწაზე ცხოვრება გაეგრძელებინა?

მაშინ მას ქრისტეში, ჩვილის ასაკიდან მოწიფულ ასაკში ზრდა მოუწევდა. ეს დღეები, თვეები და წლებიც კი გაგრძელდებოდა.

ღვთის შვილი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იწმიდება. ცხადი და დაფარული ცოდვები მისგან უნდა წავიდეს. ძველი ეგოისტი კაცი უნდა მოკვდეს და მასში ახალი კაცი იზარდოს.

ამ ბრძოლასთან დიდი ჭიდილი და აგონიაა დაკავშირებული. „ვინაიდან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, ხოლო სულს ხორცის საწინააღმდეგო. ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან“ (გალ. 5:17).

მიუხედავად ამისა ამ ბრძოლის საჭიროება რჩება. მის გარეშე სულიერი ცხოვრება კვდება და ქრისტიანი განწმედას წყვეტს.

მაგრამ ღმერთი საოცარ ნუგეშისცემას იძლევა. განწმედის მეტ-ნაკლები წარმატება კი მიზნამდე არ მიგიყვანს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შენი სულიერი ზრდა შენი გადამრჩენელი არ არის.

ერთგზის შეწირვით მან სამუდამოდ გსრულყო. არ შეგიძლია ის შესაწირავი გაიღო, რაც უკვე იესომ. მან გზა ხსნისა შექმნა და მისი ნამოქმედარი უკუნითი უკუნისამდე დარჩება.

ამაში დიდი ნუგეშისცემა გვაქვს. ნუ იფიქრებ, რომ სიწმიდეში იზრდები. პირიქით, ისეთი გრძნობა გაქვს თითქოს შენში ცოდვა იზრდება.

უბრალოდ იმ ფაქტში ჰპოვე შვება, რომ იესომ მხოლოდ მადლით გიხსნა და სხვა არაფრით.

30 ნოემბერი

ეს იცი, რომ ყველამ მიმატოვა აზიაში.

2 ტიმოთე 1:15

ეს სიტყვები პავლეს უკანასკნელი ეპისტოლედან არის. ისინი, რაოდენ დიდ ტკივილს შეიცავს! მას რა ფასი დაუჯდა, რომ სახარება აზიაში ჩაეტანა? როგორ შეძლეს ქრისტიანებმა მისთვის ზურგის შექცევა, როდესაც ის მათთვის გადარჩენის ისტრუმენტი იყო?

პავლე ღვთის სამეფოში ჯებირის მოვალეობას ასრულებდა. აქაფებული ტალღები, მას პირველს ხვდებოდა. ამის გამო მას უამრავი წინააღმდეგობების გადატანა უხდებოდა. მისი სურვილი იყო იმ ზღვის სანაპირო დაეცვა, რომელიც უფლისათვის იყო მოპოვებული. გული მისი ვერ ითმენდა, როდესაც ბოროტი ძალები ნაგლეჯ-ნაგლეჯ ღვთის მიწას იტაცებდნენ. ამის გამო იყო, რომ ის ყოველთვის ღრმად შედიოდა. ის იქ რჩებოდა. თუმცა მას მტკიცე საფუძველი, ღმერთის სიტყვა ჰქონდა საყრდენად. უფალი მას იცავდა. მაგრამ მას, ადამიანური სიტყვის გაგებით, დიდი ფასის გაღება მოუწია.

ადამიანები ფიქრობდნენ, რომ პავლესთან საქმეების დალაგება ძალიან რთული იყო. ის კომპრომისზე არასოდეს მიდიოდა. მორიგებაზე წასვლა არ იცოდა. ის საქმისადმი მეტად სერიოზული იყო. ბალანსირებული განსჯისაგან შორს იდგა. ამის გამო მას ბრალს დებდნენ, როგორც უმიზნოს და ძნელად გასაგებ პიროვნებას. დიახ, მრავალი მას ადანაშაულებდა და ამას სახალხოდ აკეთებდა. თვით მისმა მეგობრებმაც კი ბოლო მომენტში ის მიატოვეს.

ღმერთს ამგვარი ჯებირები დღესაც ჰყავს. ეს ის ქრისტიანებია, რომელთაც მადლის მეშვეობით სულების გარჩევა მიეცათ. როდესაც ტალღა ღვთის ხალხის წინააღმდეგ აზვირთდება, ისინი განგაშის ზარს ცემენ. თუმცა, მათი გაგება მსმენელთათვის ძნელია. ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ისინი საგნის ბნელ მხარეზე მიუთითებენ და თავს ბედნიერად თვლიან, ასეთნი ღვთის სამეფოში ბევრი რომ არ არის.

ისინი ხშირ შემთხვევაში უფრო და უფრო მარტონი რჩებიან, ვინაიდან მათ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ტოვებს. ყოველდღიური განკითხვა და მათი ასაკი ხშირად მკაცრია, მაგრამ მარადიული განკითხვა სრულიად განსხვავებული იქნება.

ჭეშმარიტების სიყვარულს თავისი ფასი აქვს. მისი გადახდა სასოწარკვეთილებისა და სიმწარის გარეშე უნდა შევძლოთ. უფლის აღთქმები მათზე რჩება, რომელნიც მისდამი ერთგულნი არიან. მათი მსახურება ნაყოფს გრძელვადიანად იღებენ. პავლე ამის მაგალითია და ქრისტიანი დედაკაცები თუ მამაკაცები, ღვთის ხალხის ისტორიის განმავლობაში ამის მოწმენი იყვნენ.

მათგან ვისწავლოთ! მათ ნაკვალევს მივყვეთ! მათ რწმენას მივბაძოთ!

ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია.

ფილიპელთა 3:20

თუ იესოს ეკუთვნი, მაშინ ღვთის სამეფოს მოქალაქე ხარ.

ამის დავიწყება, რაოდენ ადვილია! ცხოვრებისული საქმეები ჩვენს გონებას და აზრს იკავებს. იმავდროს ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც სიტყვებს და წარმოდგენებს არა-ქრისტიანული აზროვნებით განსაზღვრავენ. ადამიანები ირიბად საუბრობენ, რომ მათთვის ეს ქვეყნიერება ყველაფერია. ამიტომ ასეთთვის მნიშვნელოვანია ამ ცხოვრებაში, რაც შეიძლება მეტს მიაღწიონ და მეტი მოიხვეჭონ.

განა უნდა გაგვიკვირდეს, რომ მრავალი ქრისტიანი იმდენადაა ამ წუთისოფლით შეპყრობილი, ზეცა საერთოდ დაივიწყენ?

დიახ, ეს გონებისათვის მიუწვდომელია!

როდესაც ღმერთი თავისი სიტყვით გვარწმუნებს, რომ ჩვენი სამშობლო ზეცაა, თავი სირცხვილით ძირს უნდა დავხაროთ. წარმოუდგენლად მცირეს ვფიქრობთ იმ სახლის შესახებ, რომლის გამო იესომ გადაიხადა და ჩვენთვის დიდი რუდუნებით მოამზადა.

შენ ზეცის მოქალაქე ხარ. შენ სახლისკენ მიმავალ გზას ადგახარ. ყოველი დღე მასთან მიახლოებას გაძლევს.

შენთვის უამრავი საკითხი მნიშვნელობას კარგავს, როდესაც მათ იმ ფაქტის ნათელით უყურებ, რომ უფალი ზეცისკენ გიძღვის. თუ ღმერთმა ყველაფერი შენი სურვილისამებრ მოგცა, მაშინ დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწევ. მაშინ სამოთხეს დედამიწაზე მოიწყობ.

უფლის მიერ შენი ცხოვრების გზაზე გამოგზავნილი გასაჭირი და განსაცდელები, აუცილებელია. ისინი გეხმარებიან, რომ თვალთახედვა წინ, სახლისკენ შეინარჩუნო. სიძნელეები და ჭირი გიადვილებენ წუთისოფლის მიერ შემოთავაზებული ვნება და ცდუნება ადვილად გაარჩიოთ.

შენ სახლისკენ მიმავალ გზას ადგახარ.

რა არის ზეცა?

უპირველესად ის იესოა. დედამიწაზე შენ მას ვერ ხედავ, მიუხედავად იმისა ის შენს გვერდით დადის. ზეცაში სხვანაირად იქნება. იქ მას შენ პირისპირ იხილავ.

ზეცაში იესოს დიდება, გულში მოჭარბებულად გექნება. ყველაფერს, რასაც გააკეთებ, მისით იქნება გაჟღენთილი. შენ მის ნათელში იცხოვრებ. შენი თვალებიდან ის ყოველ ცრემლს მოგწმენდს. მაშინ სიკვდილი, გოდება, ტირილი და ტკივილი აღარ იქნება.

ნეტარია, ვისაც ეპატია დანაშაული, ვისი ცოდვებიც დაიფარა.

ფსალმუნი 32:1

იმაზე დიდი კურთხევა არ არსებობს, ვიდრე ცოდვების პატიებაა. წარმოიდგინეთ ისეთი მდგომარეობა, როდესაც შენსა და ღმერთს შორის არანაირი აჩრდილი არაა. მხოლოდ ნათელი, სიწმიდე და სიყვარული.

ღმერთთან ცოდვების მიტევებაა. მისგან დაფარვა შენ არ გჭირდება. საკუთარი თავის განწმედა არ გევალება. არც კეთილი საქმეებით ცოდვების სინანული. არა, უბრალოდ მასთან მიირბინე, ვინაიდან შენი ცოდვების მიტევება მხოლოდ მას შეუძლია.

როდესაც ღმერთი გპატიობს, მართლა გპატიობს. ის ფარავს ცოდვას და შემდეგ მთლიანად აქრობს.

ცოდვის დაფარვა სხვას არაფერს შეუძლია. მხოლოდ ერთს შეუძლია მისი მოცილება. ეს იესოს სისხლია.

კურთხეული ხარ შენ, რომლის ცოდვა იესოს სიხლითაა დაფარული. ამ დროს ღმერთი შენს ცოდვას ვეღარ ხედავს. ის მხოლოდ მას ხედავს, რითიც ის დაფარულია. თუ ღმერთი თვალს შენს ცოდვებს მიაპყრობს, ის, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასია მას შეეჩეხება. ის სისხლს ხედავს. კრავის სისხლი ამისათვის დაიღვარა, რათა შენთვის თავისუფლება მოეტანა.

თუ იესოსთან შენი ცოდვით მოდიხარ, მაშინ მთლიანად მოდიხარ გადარჩენაში. იესოს სისხლი მთლიანად გფარავს. ის შენი ცოდვების ორ ჯგუფად დახარისხებას არ ახდენს: ცოდვები, რომლის მიტევება მას სურს და ცოდვები, რისი მიტევების „ღირსი“ არ ხარ. მრავალი ქრისტიანი მსგავსი აზრებით იტანჯება. მათ ეჭვი არ ეპარებათ, რომ იესო იმ ცოდვებს მიუტევებს, რაზეც მათ გამარჯვება მოიპოვეს. მაგრამ, როდესაც იმ ცოდვებზე მიდგება საქმე მუდმივად რომ ტანჯავთ, მასთან მისვლის გაბედულებას კარგავენ. მიაჩნიათ, ერთი და იგივე ცოდვით ღმერთთან მისვლა არ შეუძლიათ.

ასეთი ფიქრი საშიშია. თუ ის გონებაზე გაბატონდება, მაშინ ის იესოსგან ნელ-ნელა ჩამოგაშორებს.

რაც არ უნდა მოხდეს შენ, საკუთარი ცოდვებით უფალთან უნდა მიხვიდე, რათა მისი სისხლით იქნა დაფარული. იყო ქრისტიანი ეს იგივე არ არის, იყო ცოდვაზე გამარჯვებული, არამედ იესოს სისხლით მიტევებული იყო.

შენს ქრისტიანულ ცხოვრებაში— გარდა მთავარის: ღვთის მადლისა, სრულყოფილი არაფერია. ის შენია. ამ მიზეზით შენ კურთხევა გაქვს მონიჭებული.

3 დეკემბერი

უზენაესის საფარქვეშ დამკვიდრებული, ყოვლისშემძლის ჩრდილქვეშ ისვენებს. ვეტყვი უფალს: ჩემი თავშესაფარი და სიმაგრე ხარ, ჩემი ღმერთი ხარ, შენ გენდობი.

ფსალმუნი 91:1-2

უფალი ყოველი მისი შვილისათვის თავშესაფარი და სიმაგრეა, მაგრამ ამ სახელებით მას ყველა როდი მოუხმობს.

მრავალი ქრისტიანი სიმდიდრეს ფლობს, რომლის გამოც სათანადოდ ვერ ხარობს. ის იმ ფაქტთან არის კავშირში, რომ ისინი ღვთის სიტყვის გზას არ მიჰყვებიან. ბიბლია იმ სიმდიდრის შეცნობის გზაა, რაც უკვე გაქვს.

ქრისტიანთა დიდ რაოდენობას უფლის მიმართ ძალზედ მცირე აქვს სათქმელი, ვინაიდან ისინი უზენაესის საფარქვეშ არ მკვიდრდებიან. გონება მათი სხვადასხვა მხრით არის გაფანტული და ღვთის წინაშე იშვიათად თუ იყუჩებენ.

უზენაესის საფარქვეშ დამკვიდრება ნიშნავს, იცხოვრო გაშლილი ბიბლიით, სადაც მუდმივად, ღვთის საოცარი მადლის სიტყვა გესმის.

წერილი იმას გიცხადებს, რასაც საკუთარი აზრითა და მანიპულაციით თავად ვერ მოიფიქრებ.

მზე შეიძლება იწვის, მაგრამ ის არ გფერფლავს. შენ ისეთი მონაცვლე გყავს, რომელიც ამ მწველ სხივთა და შენს შორის ჩადგა. იესო ღვთის რისხვის ელვით იქნა ნაცემი; ამიტომ დღეს შენ უზენაესის საფარქვეშ მოხვდი. ღმერთი მოგიახლოვდა არა როგორც მოსამართლე, არამედ მხსნელი. უბრალოდ წარმოიდგინე — ღვთის მადლით დაფარულს შენ უფლება მოგეცა, უზენაესის საფარქვეშ დამკვიდრებულიყავი. უფლება მოგეცა ყველა შენი დარდით ყოფილიყავი იქ და ყველა შენი გასაჭირი მის მიმართ მიგეტანა, რომელიც შენთვის გაოცების ღმერთია. ამის უფლება ერთი-ორჯერ კი არა, არამედ ყოველდღე მოგეცა.

ამას რაც უფრო ხშირად გააკეთებ, ღმერთს მით უფრო ხშირად გაესაუბრები. გული აგევსება და ბაგე პირთამდე გადაივსება. მიხვდები, რომ შენ თავშესაფარი ადგილი ყოველთვის გაქვს. ეს გზა უკან დახევის კი არა, არამედ შენი მხსნელისა და მამის გაშლილი მკლავებისკენ მიმავალი გზაა.

შენ თავშესაფარი სიმაგრე მუდამ გაქვს. მტერი შეიძლება შენს ირგვლივ შეიკრიბოს. თუმცა შენ სიმაგრითა ხარ დაცული. მიწა შეიძლება შეიძრას. მაგრამ შენი ტერფები უძრავ საძირველზე დგას. ეს საძირკველი, თავად უფალია.

სამყაროში, სადაც ყველა თავის ღმერთს მოუწოდებს, შენ ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთის მყოლი ხარ. ღმერთი ამ სიმდიდრეს მათ უცხადებს, ვინც მის ჩრდილქვეშ არიან დამკვიდრებული.

4 დეკემბერი

ვინ არის ჩემთვის ზეცაში? და შენ გარდა არაფერი მსურს დედამიწაზე.

ფსალმუნი 73:25

არაფერი, რასაც მიწაზე ფლობთ, საბოლოოდ არაფერი არ შეგრჩება. სიმართლე ისაა, ამ აზრს მრავალი ადამიანი გაურბის. მაგრამ ამ დროს მათ რეალობიდან გაქცევა უწევთ. მაგრამ ერთ დღეს ეს თავს დაატყდებათ, ისე, როგორც მდიდარი ფერმერის შემთხვევაში. „მაგრამ ღმერთმა უთხრა მას, უგუნურო! ამაღამ სულს მოგთხოვენ და რაც დაიმზადე, ვიღას დარჩება?“

ერთ დღეს ჯანი გვიმტყუნებს; სნეულება კარზე მოგვიკაკუნებს და აღსასრული მოგვიახლოვდება. მაშინ, როდესაც შენი სხეული დაიმარხება, შენ წახვალ და უკან, დედამიწაზე ყველას დატოვებ.

ყველაფერი რაც მოგვეცა, სესხად გვაქვს. არაფერია ისეთი, რაც ჩვენს ხელს მოუპოვებია და მისი გაშვება არ მოგვიხდეს.

ქრისტიანთა გარკვეულ ნაწილს ამის გახსენება, განსაცდელებითა და გაჭირვებით უხდებათ. ერთერთი მათთაგანი ასაფიც იყო. მას კითხვა მთელი დღე სტანჯავდა და ვერ ამოეხსნა, ამდენ გაჭირვებაში გასვლა რატომ უწევდა.

თუმცა ეს ყველაფერი შეიცვალა, როდესაც მის გულში მარადისობის პერსპექტივა გაცოცხლდა. მის შუქზე, ყველაფერი დანარჩენი უმნიშვნელოდ იქცა. მისთვის აღარც ის იყო მნიშვნელოვანი ღვთისათვის ბოლომდე გაეგო. ზეცაში მისი ყოლის დარწმუნებულობა, სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

როდესაც იესოსი გწამს, ის შენთვის ზეცაში ცხოვრობს. ის იქ არის შენთვის, როგორც მხსნელი და გამომსყიდველი. როცა ცოდავ, ის ღვთის წინაშე, როგორც შენი სიმართლე დგება. ზეცის დიდებას არ იმსახურებ. მიუხედავად ამისა იესომ თავისი სისხლით ის შენთვის შეიძინა. ამიტომ მოწადინებულია იმ მარადიულ საუნჯეებს გაზიაროს, რის გამოც მას დიდი ფასის გადახდა მოუწია.

უბრალოდ წარმოიდგინე: შენ გყავს ის, რომელმაც ფასი ხსნისათვის ზეცაში გადაიხადა. ამის შემდეგ, ნუთუ შეძლებ იეჭვო, მოგცემს თუ არა ღმერთი ზეცის დიდებას?

საამისოდ მიზეზი არ გაქვს. შენ ღვთისათვის კრავის სისხლით იქენი გამოსყიდული. აღმდგარი იესო შენი ხსნისათვის ღვთის მიერ ნათქვამი „კია.“ ის შენთვის სად არის? ის შენთვის ზეცაში, ღვთის სახის წინაშე მყოფია.

ამიტომ შენც შეგიძლია თქვა, „შენ გარდა არაფერი მსურს დედამიწაზე.“

5 დეკემბერი

შენი წყალობა განმადიდებს!

ფსალმუნი 18:35

სურვილი განდიდებისა ჩვენს ბუნებაში ღრმად არის გამჯდარი. ყურადღება მიაქციეთ, იმავე სურვილს ბავშვში თუ ხვდებით. მას მისი ფიქრების დამალვა ჯერ არ უსწავლია, მაგრამ ის ამას დროთა განმავლობაში გამოავლენს. მოზრდილთა უმრავლესობა ამას არ ამჟღავნებს, მაგრამ სურვილი დიდებისა იქვეა ზედაპირის ქვეშ. ის ცხოვრების ყველა მდგომარეობაზე ახდენს გავლენას, ასევე ჩვენს ღვთის მიმართ დამოკიდებულებაზეც.

მე ჩემით მინდა რაღაცას წარმოვადგენდე. მე მინდა სხვებისგან გამორჩეული ვიყო. ისეთი რამ მინდა გავაკეთო, რომელიც სხვების მიერ იქნება შემჩნეული.

ჩემს განდიდების სურვილსა და სატანის ღვთის მიმართ სურვილს შორის, პირდაპირი კავშირია. გველის შხამმა ჩვენშიც შემოაღწია. რაც უფრო მეტად განადიდებ თავს, ცოდვათა გროვა მით უფრო გაიზრდება.

ერთადერთი, რომელსაც შენი განდიდება შეუძლია, იესოა.

იესო დამცირდა. მან თავი დაიმდაბლა და ყოველ უფლებაზე თქვა უარი. აი ეს არის, რაც შენ დიდებულს გხდის.

იესო ზეციდან მიწაზე მოვიდა. ამის მნიშვნელობა მხოლოდ მან იცის, ვინც ზეცას შიგნიდან იცნობს. მისი მოსვლა ჯერ კიდევ არ არის იესოს უდიდესი დამდაბლება. როდესაც იესოს ცოდვის საზღაურის მიღება მოუწია, მან ითხოვა, თუ შესაძლებელი იყო ეს თასი არიდებოდა; მაგრამ ეს არ მოხდა. იესოს თავი ღვთის რისხვისა და წყევლისათვის უნდა მიეცა. ღვთის თვალში შენი განდიდების მიზნით, იესოსთვის ჯვრის არიდების გზა არ არსებობდა. ცოდვას მეპატრონე უნდა შეეცვალა. ის იესოს ნაწილი უნდა გამხდარიყო.

იმავდროს მას საკუთარი სიმართლის გაშვება მოუწია, რათა მისი მიღება შენ შეგძლებოდა. იესოს დიდება შენი უნდა გამხდარიყო.

მან საქმე ბოლომდე მიიყვანა. ყოველი დახსნილი ცოდვილი ღვთის დაკლულ კრავს მარადისობაში განადიდებს.

თუ ღვთის შვილი ხარ, იცი, რომ შენით არაფრის გაკეთება არ შეგიძლია. მაგრამ ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებ, ვინაიდან შენ სხვა დიდება არ გინდა, გარდა იმისა, რასაც იესოში ფლობ. ის შენთვის ყველაფერია.

6 დეკემბერი

მაგრამ შენს საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული.

გამოცხადება 2:4

ეფესოს საკრებულოს ლიდერს, სიყვარულის დიდი ნაყოფი ჰქონდა. ის ჭეშმარიტების მოყვარე, დამთმენი და სულგრძელი იყო; მაგრამ ის სიყვარული ნაკლებობას მაინც განიცდიდა.

რა არის პირველი სიყვარული?

ის სიყვარულის გრძნობათა შემოტევა არ არის, რომელიც აჩქარებულ გადაწყვეტილებას მიგაღებინებს. იესო მის მოწაფეებს შეაგონებს, რომ ფასი ყოველთვის დაითვალონ.

არა! პირველი სიყვარული გულიდან მოდის, რომელიც მეორე პირის მიმართ სიყვარულითაა განმსჭვალული.

ჩვენ გვიყვარს, რადგან მან პირველმა შეგვიყვარა. შენი სიყვარული გაოცებითაა გამოწვეული. იესოს რატომ უყვარხარ ვერ გებულობ. იმავე დროს იცი, რომ მისი სიყვარულის თბილი ნაკადის ქვეშ ხარ მოყოლილი. ეს მის სიტყვაში აქვს ნათქვამი, რომელმა სიტყვამაც შენს გულში ეს დარწმუნება შექმნა.

იესოსადმი შენი სიყვარული საიდუმლოებას მოიცავს. მან თავისი სიყვარული შენს გულში ჩაღვარა. მას შემდეგ ის შენი გახდა. ახლა შენ ხარ, ვისაც უყვარს. შენ ამას იმ სიყვარულით აკეთებ, რომელიც უფლისგან მიიღე.

პირველი სიყვარული თავისას არ ეძებს. მას საკუთარი თავის გამდიდრება არ სურს, არამედ სიმდიდრის მოპოვება იესოთი წყურია. ის მას ყველაფერს მისცემს. ამიტომ იგი ყველგან მიყვება, სადაც არ უნდა წავიდეს.

რა ადვილია პირველი სიყვარულისაგან განდგომა. ის მხოლოდ იქ ცხოვრობს, სადაც შენ, როგორც დაკარგული ცოდვილი მადლის მეშვეობით ყველაფერს იღებ. მას ვისაც მიეტევა, მეტად უყვარს. ამიტომ, პირველი სიყვარული მანამდე შეიძლება შენარჩუნდეს, ვიდრე დაუმსახურებელი და უსასყიდლო მადლი იცოცხლებს შენს გულში. გაოცება დროდადრო გიპყრობს. კვირვობ, რომ ხსნა ისეთი დაკარგული ცოდვილისათვის არსებობს, როგორიც შენ ხარ! ჩვენ იესოს ფეხებთან მისვლის უფლება მოგვეცა. ვიცით, რომ დანახული ვართ. ამ დროს იესოს ჩვენთვის, რაღაც აქვს სათქმელი: „შენი მრავალი ცოდვა მოგეტევა!“

სიყვარული ჩვენზე ამ მიტევების სიტყვებით იფრქვევა. ის ჩვენს გულში პირველ სიყვარულს აცოცხლებს. ეს სწორედ ის სიყვარულია, რომლის დანახვა იესოს შენში სურს.

ვინაიდან არ მიგიღიათ მონობის სული, რათა კვლავ შიშში იყოთ, არამედ მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: „აბბა, მამაო!“
რომაელთა 8:15

როგორც დედ-მამა, დიდად არ ფიქრობთ თქვენი შვილი, რა უფლებებს მოიპოვებს. თქვენთვის ბუნებრივია თქვენი ქონება მას გადასცეთ. თქვენს შვილს, როგორც მემკვიდრეს არ უყურებთ. მიუხედავად ამისა თქვენ ამ სიტყვებით მოქმედებთ: „რაც გამაჩნია, შენია.“

შვილი ამ დროს წინ ვერ იხედება. ის აწმყო მდგომარეობით არის განსაზღვრული. შვილისთვის მცირე-ხნიანი სიკეთეებია უფრო მნიშვნელოვანი. მაგრამ მას პასუხისმგებლობის აღება არ შეუძლია. შენ, როგორც მშობელს მისი გამხნევება გმართებს, რჩევის მიცემა და წინამძღოლობა, სათანადო შენიშვნის მიცემითა და დისციპლინით. შენი შვილისთვის, რასაც არ უნდა აკეთებდე, სიყვარულითაა ნაკარნახევი.

როდესაც საყრდენად იესო აირჩია, ღმერთმა თავისი სულიწმიდა მოგანიჭა. ქრისტიანი ღმერთს, როგორც მამას ისე ენდობა და როგორც პატარა მშობლის მკლავებში გაბედულად ვვარდება, ის თავის თავს უფლის მკლავებს ასე ანდობს.

ნუ გაექცევი მას. ღმერთი თავის შვილად გცნობს — მისთვის ერთადერთი ხარ. რა თქმა შენ უნდა გაიზარდო. ჯანმრთელი ქრისტიანული ცხოვრება, ქრისტე იესოს მადლის რწმენაში სტაბილური ზრდაა.

ღმერთმა იცის, რომ შენ საკუთარი თავით სხვა ვერაფერი გახდები, თუ არა დაკარგული ცოდვილი. ამის გამო ის ყოველდღე თავის მადლს უხვად გაფრქვევს. ეს რომ არ მოხდეს, მისგან შენი შვილობა დაცული ვერ იქნება. ღმერთი თავის მადლს უხალისოდ როდი იძლევა. არა, მისი სიხარული იესოს დაღვრილ სისხლშია და ის ბედნიერებით ხვდება, როცა შენი სული ახლად მოსული თოვლივით სპეტაკდება.

ღმერთს ისიც სიამოვნებს, როდესაც იმაში გარწმუნებს, რომ იესოში არსებული მთელი სიმდიდრე შენ გეკუთვნის, ვინაიდან შენ მისი თანა-მემკვიდრე ხარ. ძემ თავის ყველა უფლებას გაზიარა.

ამრიგად, თვალები მაღლა აღაპყარი! ღვთის მამობრივ გულს შეხედე. ის შენთვის ღიაა. მამამ შენი დახსნისთვის ჯერ კიდევ მანამდე იმოქმედა, ვიდრე დაიბადებოდი. დღეს მისი ფიქრები რეალობა ხდება. ის ყველაფერს აქ, დედამიწაზე იწყებს. შემდეგ მარადისობაში აგრძელებს. შენ ღვთის საყვარელი შვილი ხარ და ამ საკითხთან შედარებით, სხვა ყველაფერი არარაობა ხდება.

როცა საზრუნავით მევსება გული, შენი ნუგეში ამხიარულებს ჩემს სულს.
ფსალმუნი 94:19

ქრისტიანის მთავარი სირთულეები დაკავშირებულია ინტელექტუალურ ცხოვრებასთან — აღშფოთებული ფიქრები, რომელიც მიწაზე ცხოვრებით არის გამოწვეული. ამას თან ემატება სულიერი ცხოვრების შესახებ არსებული დარდი. ერთობლივად ისინი შენს ბრალდებად იქცევიან. ქრისტიანული ცხოვრება შენთვის იმად არ გახდა, რადაც უნდა ყოფილიყო. ძალზედ მცირეა ლოცვა და ბიბლიის კითხვა. რწმენის გაბედულება და სიხარული საკმარის გარღვევას ვერ ახდენს.

ამ დროს წარმოიქმნება კითხვები: როგორ დასრულდება ეს ყველაფერი? ნუთუ ასეთი წარუმატებელი ვარ, რომ ყველაფერი არაფრად იქცევა. ნუთუ ყველაფერი არაფერია და მიზანს ვერ ვაღწევ.

ამ მშფოთვარე ფიქრების შესახებ მეფსალმუნემ იცოდა, მაგრამ მან გამოსავლის შესახებაც უწყოდა, რაც დღეს ჩვენ დაგვეხმარება.

ჩვენი აზრით დახმარება იმაში გვჭირდება, რომ წარუმატებელ საკითხებში წარმატება მივაღწიოთ. თუმცა ეს მიდგომა არასწორია. გზა გასაჭირიდან დასაღწევად, უფლის ნუგეშიცემასთან შეხვედრაა.

ღვთის ნუგეში იესოა. საკუთარი თავის უკმაყოფილობის ჟამს შენ იესოში წარმოუდგენელი საუნჯე გაქვს მოცემული. მისი მეშვეობით ყველაფრის მიღწევა შეგიძლია, რის ნაკლოვანებასაც განიცდი. შინაგანი სიმდიდრის განცდის ზომის წინ, ვერასოდეს ვერ წახვალ; თვით ნებისმიერი ჭეშმარიტი და ცოცხალი ქრისტიანი. მთელი ჩვენი სიმდიდრე ქრისტეშია. არაფერში, რაც საფუძველს შენი საკუთარი თავიდან იღებს, სიხარულს ვერ ჰპოვებ. იესოა ერთადერთი, რომლის მიერ შეგიძლია მიიღო კმაყოფილება.

რა საოცარია ეს ყველაფერი! მიუხედავად შენი წარუმატებლობისა, იესო შენთვის მაინც ყველაფერი რჩება. ყველაფერი იმის ფონზე, რისი მიღწევაც გინდოდა, განა ის მარგალიტივით არ ბრწყინავს? განა იესო შენი გულისთვის უფრო ძვირფასი არ ხდება, როდესაც ყველაფერი ირგვლივ გეცლება?

ღმერთი შენი მის ძეზე მზერის მიპყრობით გამშვიდებს, ძე რომელიც მისთვის სათნოა. ის ამბობს: მე იესოთი ვარ კმაყოფილი. შენ მასში ხარ. ამიტომ შენც სათნო ხარ ჩემთვის! ყველა ცოდვა დაფარულია და შენ მარადიული სიმართლის მფლობელი ხარ.

9 დეკემბერი

რადგან უფლის, ღმერთის კიდობანს ატარებდი დავითის, მამაჩემის წინაშე და ყველაფერს იტანდი, რასაც მამაჩემი იტანდა.

1 მეფეთა 2:26

ამ სიტყვებს სოლომონი მღვდელ აბიათარს ეუბნება. ნათქვამი სოლომონის მამისადმი დამოკიდებულებას ამჟღავნებს. მისი ცხოვრება დამცირებითა და ტანჯვით იყო სავსე.

ჩვენთვის დავითი დიდი მეფეა. მან აიღო იერუსალიმი და დედაქალაქად აქცია. ის გამოჩენილი ლიდერი იყო და მას კარგად ესმოდა ჯარის კარგი მეთაურები , როგორ აერჩია. მან ებრაელი ერი ფეხზე დააყენა და გააძლიერა, რის გამოც მეზობელი ერები პატივს სცემდნენ და უფრთხოდნენ.

თუმცა მისი ცხოვრება ტანჯვით იყო სავსე და ეს მისი მნიშვნელოვანი ამოცანის წინაპირობა იყო. მისი სიტყვების და ცხოვრების მეშვეობით ის ცდილობდა ყურადღება იესოზე ჰქონოდა.

შესაძლოა მიგაჩნია, რომ დიდ ტანჯვას გადიხარ. მისგან თავის დახსნაზე ილოცე, მაგრამ არ მოხდა. შეუძლებელია არ იკითხო: რატომ?

ქფისტიანის ცხოვრებაში იესოს არეკვლა ტანჯვის გარეშე არ მოხდება. თუ ცხოვრებაში ყველაფერი კარგად მიგდის, გაჭირვებაში მყოფი ადამიანის მიმართ შენს მიერ ნუგეშსაცემად ნათქვამი, ცარიელი სიტყვები იქნება. იესო, თავად უნდა გქონდეს განცდილი, როგორც გაჭირვებაში დამხმარე, რათა იმ ადამიანებს, რომელნიც გამოსავალს ვერ ნახულობენ, დაუმოწმო.

დავითი თავისი ფსალმუნებით ურიცხვ ადამიანს დახმარებია, რომელთაც მძიმე ტანჯვები გადაიტანეს. ღვთის სულით შთაგონებას, დავითის მიერ ტაჯვების აღწერით ღებულობდნენ. მათ წმიდა მიწისკენ მითითება შეუძლია. უმწეობაში მყოფისთვის უფალი უძრავი კლდე გახდება, რათა თავსდატეხილმა უბედურებამ არ შეგარყიოს.

ტანჯვა გვადუმებს. ამ დროს სალაპარაკო ბევრი არაფერი გვაქვს, რადგან დამცირებული და სიმძიმის გამო მოდგრეკილი ვართ. თუმცა ამ დროს სურვილი გვიჩნდება ვინმე სხვა ალაპარაკდეს.

უფალი იმედებს არ გაგვიცრუებს. მან ილაპარაკა და წერილების მეშვეობით კვლავ აგრძელებს საუბარს. მას ჩვენი ნუგეშისცემა, დახმარება და წინამძღოლობა უნდა. ღმერთს შენი გამოყენება უნდა, რათა „სნეულებანაგემი“ კაცის შესახებ დაამოწმო. ამის გამო შავეთის ველი გაგატარა. იქ მყოფისათვის სიტყვა უფლისა, უძვირფასესი ხდება. ყოველივე ამის გადამტანი, დავითივით იტყვის სიტყვას და სხვის ცხოვრებას კურთხევისაკენ მიმართავს.

10 დეკემბერი

ბრმებს მათთვის უცნობ გზაზე წარვუძღვები და უცნობი ბილიკებით ვატარებ. სიბნელეს სინათლედ ვაქცევ მათ წინაშე და ოღრო-ჩოღრო გზებს მოვასწორებ! ამ საქმეებს მოვიმოქმედებ და არ მივატოვებ მათ.

ესაია 42:16

ქრისტიანის წინაშე მისთვის უცნობი გზაა. უამრავი რამ მოგდის თავში, მაგრამ დარწმუნებით არაფერი არ იცი. იესო შეიძლება ნებისმიერ დროს დაბრუნდეს. შეუძლებელია სიკვდილს გაექცე, მაგრამ ესეც უცნობია შენთვის. გაჭირვებისა და ბრძოლის დროს შეიძლება იფიქრო, რომ შენს თავზე დიდი შავი ღრუბელია. ამ დროს თავს ბრმად და უმწეოდ თვლი.

ღმერთის სიტყვაში კი ყოველთვის შეგიძლია ჰპოვო დახმარება. ღმერთი შენი და ჩემი ცხოვრების სიტუაციებიდან გველაპარაკება. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ საკუთარი თავი უკეთესად შევიცნოთ. ამის შემდეგ კი ის თავის გზას გვიცხადებს.

ღმერთს ბრმათა თვალის ახელა შეუძლია, მაგრამ ამას ყოველთვის არ აკეთებს. მას წინასწარ შეუძლია ჩვენთვის უცნობი გზები დაგვანახოს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. უმეტესწილად ღმერთი თავის ბრმა შვილს ხელს კიდებს და მისთვის უცნობი გზებით ატარებს. როცა შენთვის უცნობ მომავალს გასცქერი, მწუხარება, შიში და დარდი გეუფლება. ამ დროს აუცილებელი აზრები იესოსკენ მიმართო. ის შენთან ერთად ივლის და ყველაფერს გადაგატანიებს. თუ ტანჯვებში ღმერთი გიძღვის, შიში არ გმართებს. უფალი ამბობს, რომ შენი ძალა შენი სიცოცხლის დღეთა ტოლი იქნება. ის არ ამბობს, რომ შენი სიცოცხლე შენს ძალაზე იქნება დამოკიდებული. არა, როდესაც უცნობ და ბნელ გზაზე ფეხს დადგამ, უფალი იქნება შენთან. მაშინ შენი ნაბიჯები მყარი გახდება.

კლეოპასი და კიდევ ერთი სხვა მოწაფე, ემაოსის გზას გულგატეხილნი ადგნენ. მაგრამ იესო მიუახლოვდა მათ და დაემგზავრა. მან გაუხსნა მათ წერილები და გული მათი მისი საუბრისას ცეცხლით აღინთო.

იესო შენც, რომელიც მის საკუთრებაში ხარ ასე გექცევა. ნათელი არ მიგიღია. ბნელ გზაზე მიდიხარ. მაგრამ ის ვინც სიცოცხლის ნათელია, შენთან ერთად მოდის.

ბოლოს ის ბნელს ნათლად აქცევს და ოღრო-ჩოღროს ასწორებს. დადგება დღე, როდესაც უკანასკნელ ბორცვს გაუსწორდები. მაშინ ნათელი, ღვთის მარადიული სასუფევლიდან გამოგიბრწინდება. ამ გზაზე მარტო არ მიდიხარ; შენი მხსნელი და გამომსყიდველი, ჩვენი უფალი იესო ქრისტეა შენს გვერდით. ის მთელი გზა დაგყვება, რათა სასუფევლამდე მიგაცილოს.

11 დეკემბერი

თავისი მარჯვე ხელებით უძღოდა მათ.

ფსალმუნი 78:72

უამრავი უკვე ჩავლილი მოვლენა, ზურგსუკნიდან სხვანაირად ჩანს. ცხოვრების შუაგულში უფლის მარჯვე ხელებს, ყოველთვის როდი ხედავ.

გიკვირს, რატომ აყოვნებს უფალი შენს ლოცვაზე პასუხს. შესაძლებელია დავითივით თქვა, „ჩემი ღმერთის მოლოდინში თვალები ამომიღამდა.“ გეჩვენება, თითქოს ღმერთი მოვლენებს გაურკვეველი ვადით წევს. გიკვირს: მოქმედებას, რატომ ახლავე არ იწყებს?

შესაძლოა დიდი ფიზიკური საჭიროების წინაშე იდგე. ხედავდე სნეულება, როგორ განადგურებს. ამ დროს სრულყოფილი ჯანმრთელობის წლებს იხსენებ. ახლა მთელი დღის განმავლობაში ტანჯულობ. იცი, ღვთის ერთი სიტყვა და ყველაფერი შეიცვლება. მაშინ ღმერთი, რატომ არ აკეთებს ამას?

პირადი სატკივარი, ფინანსური სიძნელეები ან გაურკვეველი მომავალი, შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში აჩრდილივით აგვედევნოს, რა დროსაც ღვთის გაგება ძალიან ძნელია.

იმ დღეს კი, როდესაც ყველაფერი ჩაივლის, საგნებს სხვაგვარად შევხედავთ. მაშინ დავინახავთ, რომ ღვთის შვილს, როდესაც ცხოვრების გაჭირვებასა და სიდუხჭირეს გადის მხოლოდ ღმერთთან აქვს საქმე. ფაქტიურად მოვლენებს ადამიანები და გარემოებები არ მმართავს. ეს ღმერთია მხოლოდ. ბედის არამარა კი არ ვართ. ყველაფერი ღვთის ხელშია და მისი ხელი ყოველივეს წარმართავს.

შენი ცხოვრების მოგზაურობა, ამოუცნობია. შენ მხოლოდ წინამდებარე მოსახვევსა და ბორცვს უყურებ. პილიგრიმობის განმავლობაში ბევრის გადატანა მოგიწევს. მოგზაურობა თავისთავად სამოთხე არ არის, მაგრამ ის ზეცის კარიბჭესთან სრულდება.

დადგება დღე, როდესაც წარსულს თვალს გადავავლებთ. მაშინ ვიტყვით: „თავისი მარჯვე ხელებით მიძღოდა უფალი“ და მთელი სიცოცხლის მანძილზე „ჭეშმარიტად სიკეთე და წყალობა დამდევდა,“ (ფსალ. 23:6).

მოგზაურობის დროს შესაძლოა ღვთის ხელის მორჩილება ძნელი იყოს, მაგრამ რაოდენ დიდია მისგან მოსული კურთხევა!

სრულყოფილად მხოლოდ ღმერთმა უწყის ყოველივე. მან წინასწარვე იცის მე და შენ, რისი გადატანა მოგვიწევს. ყოველი კურთხევა და წარუმატებლობა მისგან მოდის. მას თვალი ჩვენს მარადიულ ხსნაზე და მდგომარეობებზე უჭირავს. მალე იქ ვიქნებით, სადაც ყოველი ჭირი, ტანჯვა და ბრძოლა სამუდამოდ დასრულდება. მაშინ ღმერთს, მისი მარჯვე ხელებისათვის განვადიდებთ და მადლობას მივუძღვნით.

12 დეკემბერი

ვინაიდან ცოდვა ვეღარ იბატონებს თქვენზე, რადგან თქვენ რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ ხართ.

რომაელთა 6:14

ბუნებრივი ჩვენი აზროვნება გვკარნახობს, რომ თუ რეზულტატის მიღწევა გვინდა, გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ და მის შესაბამისად მოვიქცეთ. ჩვენმა გამოცდილებამ გვასწავლა, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ამის გაკეთება სწორი ნაბიჯია. ასეთი მიდგომა ცოდვასთან ბრძოლის საკითხშიც სიკეთის მომტანად მიგვაჩნია. მაგრამ ეს ისეთი შეცდომაა, რომელსაც საშინელი შედეგები მოჰყვება.

შენ ის ქრისტიანი ხარ, რომელიც ამ გზაზე სიარულით დაიღალე? შენ ხომ მთელი არსებით გინდა, რომ მასში ნაღდი და ცოცხალი იყო. იმაზე მეტად სხვა არაფერი გინდა, ვიდრე ის, რომ შენმა ცხოვრებამ იესო აირეკლოს. რამდენჯერ მიგიღიათ გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან ამის კეთებას შეუდგებოდი! საამისოდ რამდენჯერ გაისარჯე!

წარმატებას, რატომ ვერ მიაღწიე?

შენი გადაწყვეტილებებით ცოდვას ვერასოდეს გაუმკლავდები. ცოდვა ისეთი ძლიერია, მისი წინააღმდეგობა შენს ძალას აღემატება.

ღვთის სიტყვაში ჩვენი უნარი და ძალა, რჯულის საქმეებად იწოდება. რჯული კი პიროვნებას ცოდვისაგან არასოდეს ანთავისუფლებს. პირიქით! რჯული თავისი აკრძალვებით, ცოდვის ჩასადენად ვნებას, უფრო და უფრო აღძრავს. ამიტომ ცოდვა დომინანტ პოზიციას მაშინ იკავებს, როდესაც წმიდად ყოფნას ცდილობ.

ცოდვის ძალა მხოლოდ მადლს შეუძლია დაამსხვრიოს. როდესაც გონება შენი, ღვთის გულში არსებული შენდამი დაუმსახურებელი მადლის მიმართ ღიაა, მაშინ ცოდვისადმი ზიზღი წარმოიშვება.

როცა შენამდე დადის, რაოდენ დიდი ფასის გადახდა მოუწია ღმერთს, შეუძლებელია ცოდვას მსუბუქად მოეპყრო. თუ შენი გულის სიმდიდრე იესოს გამწმენდი სისხლია, მაშინ მონანიებისა და გამოსყიდვის საშუალება შენს ცხოვრებაში აქტიურდება.

იესომ, ყოველი შენი ცოდვისათვის გადაიხადა. ამიტომ სატანას შენზე არავითარი ძალაუფლება არ აქვს. ცოდვის გამო ვალში არავისთან ხარ.

ღვთის ძემ შენ სატანის ტირანიიდან გაგანთავისუფლა. ამიერიდან მადლის ქვეშ ცხოვრობ. რწმენა ბორკილებიდან განთავისუფლებს. ეს შენ განიცადე. ამიტომ სახით, კიდევ ერთხელ შეუბრუნდი ღვთის ჭეშმარიტ მადლს. გამარჯვებას კრავის სიხლის ძალით აღწევ. საკუთარი ძალით გამარჯვებას, რაც უფრო ზურგს აქცევ და იესოს მიერ მოპოვებულს ჩაეჭიდები, იესო შენში მით უფრო გამოისახება.

13 დეკემბერი

ვინ არის კაცი მოშიში უფლისა? მას უჩვენებს გზას, რომელიც უნდა აირჩიოს.

ფსალმუნი 25:12

ამ შემთხვევაში ღვთის წინაშე სწორ დგომას მნიშვნელობა არ აქვს. არც იმას, ოდესღაც, რომ უფლისკენ მოვიქეცით. წარსული შენი იმის გარანტორი არ არის, რომ დღეს მისი მოშიში ხარ.

რა არის ღვთის შიში?

ეს არის ღვთის სიტყვით დგომა. შენ მასთან მოლაპარაკებაში მყოფი პარტნიორი არ ხარ. შენ და ღმერთი სხვადასხვა კითხვებს, ერთად არ განიხილავთ.

ღმერთი ღმერთია. შენ მისი დაცემული ქმნილება ხარ. ამიტომ, რასაც ის იტყვის, მასზე რამის დამატების უფლება არ გაქვს. მის წინაშე მდუმარედ ხარ. ღმერთი წმიდაა; ის შენს ცდუნებულ გულს პირდაპირ ხედავს. შენს გულში წარმოქმნილი ყველა ფიქრი იცის და ისიც იცის, რომელიც ჯერ ბაგით არ გითქვამს. ცოდვილად ყოფნას საზოგადოება და მდგომარეობა კი არ გაიძულებს, არამედ შენი ბოროტი გული.

ამის გამო ღვთის წინაშე შიშით გიწევს სიარული. მან, რომ შენი დამსახურებით მოგაგოს, მაშინ საერთოდ უნდა უკუგაგდოს.

მიუხედავად ამისა, თუ შენ იესოში პოულობ თავშესაფარს, უფალი შენზე უარს არ იტყვის. პირიქით! ის თავის მადლით გადახედავს ყოველ გულშემუსვრილსა და სულით დაცემულს.

უფალთან შეხვედრისას საკუთარ თავს იმეცნებ. აცნობიერებ, რომ იესოს გარეშე არაფრის კეთება არ შეგიძლია. შენით სრულიად უმწეო ხარ. ეს შენს ხსნასაც ეხება და შენი ცხოვრების მრავალ სფეროს. ამიტომ ღვთის წინაშე სინანულითა და წმიდა შიშით უნდა მოხვიდე. მას შენი ყველაფერში დახმარება და წინამძღოლობა უნდა; ის რომ არა, ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი უკუღმა წავიდოდა.

უსმინე მის გასაოცარ აღთქმას: „ვინ არის კაცი მოშიში უფლისა? მას უჩვენებს გზას, რომელიც უნდა აირჩიოს.“

შენ მყისიერი პასუხის მიღება გინდა. მაგრამ უფალი ყოველთვის ასე არ გვპასუხობს. ის ხშირ შემთხვევაში აყოვნებს, რათა თავისზე ნდობა გასწავლოს. თუმცა, ის არასოდეს იგვიანებს.

ღმერთი გზის არჩევისაგან არ განთავისუფლებს. თუმცა ის თავისი სულით დაჯერებულობას და სიმშვიდეს განიჭებს, რათა გაბედულად, მასთან ხელიხელ ჩაჭიდებულმა წინ იარო.

14 დეკემბერი

უთხრა უფალმა მოსეს: „რად შემომღაღადებ? უთხარი ისრაელიანებს, წინ წავიდნენ.“

გამოსვლა 14:15

მოსესთვის იმდენად გამოუვალი სიტუაცია იყო, რამდენადაც მისი წარმოდგენა შეგვიძლია; ისრაელის წინ წითელი ზღვა, ორივე მხარეზე მთები, ხოლო ეგვიპტელთა ჯარი მათ უკან. ხალხს არ ეჯერა, რომ ღმერთს ზღვის გახსნით, მათთვის გზის მიცემა შეეძლო. აღშფოთებულებმა მოსეს მივარდნენ, მაგრამ მან მათ ნება არ მისცა მისი რწმენა მისგან წაეღოთ. მათ იმის რწმენით წინაღუდგა, რომ ღმერთი იმ მომენტში არ დაგვტოვებს, როდესაც ის ყველაზე მეტად გვჭირდება.

ლოცვა საიდუმლოებას ინახავს. დავითი თავის თავს მლოცველად მოიხსენიებს „მე კი ვლოცულობ“ (ფსალ. 109:4). ჩვენი ლოცვებით უკმაყოფილო ხშირად ვართ. განგიცდიათ თუ არა, როდესაც სიტყვები გაჩერებულა, ლოცვა შენი უბრალო სუნთქვა გამხდარა? ანუ ლოცვა იესოს სახელის ხმობად ქცეულა. ამ დროს მხოლოდ ერთ სიტყვას ამბობ: იესო. რაც გსურდა აღარ გამოთქვამ, არამედ უბრალოდ უხმობ მას.

როგორ უნდა ვილოცოთ და რაზე უნდა ვილოცოთ, ჩვენ არ ვიცით. მაგრამ სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით (რომ. 8:26). თუ ღვთის მადლით დახსნილი ხარ, მაშინ სულიწმიდის სამკვიდრო ხარ და შენი გულიდან ოხვრა ღვთისადმი პირდაპირ აღევლინება.

როდესაც ამას აცნობიერებ, სიტყვებით ლოცვას არ წყვეტ. პირიქით, უფლის წინაშე უფრო გულგახსნილი მიდიხარ.

ლოცვა შენი ისეთი უიმედო როდია, როგორსაც ფიქრობ. შენ იესოს სახელით ლოცულობ, რაც ნიშნავს, რომ მისი სისხლი შენს ლოცვას ყოველგვარი ეგოიზმიდან და ცოდვიდან წმენდს. იესო შენს ლოცვას თავისად ხდის. არ გიკვირს, რომ ის თვით ღვთის გულამდე აღწევს?

ლოცვა მეთოდიკის საკითხი, ან კარგად ფორმულირებული სიტყვები არ არის. არა, ლოცვა იესოზე გულითადი დამოკიდებულებაა. მოსეს სხვა გამოსავალი გადარჩენისთვის არ ჰქონდა, გარდა უფლის ჩარევისა. და მისი იმედები არ გაცრუებულა. შენთვისაც ასე იქნება. უფალი შენთვის თავად მოამზადებს გზას, რათა სიძნელეებით, ბნელი და საშიში ზღვა გადალახო.

15 დეკემბერი

მხოლოდ უფალშიაო, იტყვიან, სიმართლე და ძალა.

ესაია 45:24

რა ხშირად განიცდით სასოწარკვეთას, ვინაიდან საკუთარ თავში იმას ეძებთ, რისი ნახვაც მხოლოდ უფალში შეგიძლიათ?

შესაძლოა ძალები იმაზე ბრძოლას მოანდომეთ, რომ საკუთარ თავში სიმართლე და ძალა მოგეპოვებინათ. თუმცა, წარმატებისთვის არასოდეს მიგიღწევიათ. ფიქრობ, რომ ქრისტიანული ცხოვრება, მუდმივი მარცხით გამოირჩევა. დასაშვებია ვინმე სხვამ სხვაგვარად განსაჯოს, მაგრამ შენ კარგად იცი შინაგან ფრონტზე რა ხდება. შენ ხომ საკუთარი ცხოვრება იცი, რომელზეც წვდომა სხვას არასოდეს მიეცემა. იქ ცოდვები, გაზაფხულის დღეს შეგროვილი სარეველა ბალახივითაა დაგროვილი.

ღვთის სიტყვა შენთან თანხმობაშია: შენში, ანუ შენს ხორცში, არაფერი კარგი არ ცხოვრობს. შენს ძველ ბუნებას შეუძლია სამოსელი გამოიცვალოს, მაგრამ ის საუკუნოდ იგივე დარჩება.

ხედავ თუ არა, რაოდენ კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სიმართლე და ძალა საკუთარი თავის მიღმა ეძიო?

ამ ჭეშმარიტებას და რეალობას, როდის გააცნობიერებ? როდის დაიწყებ იესოში იმის ძიებას, რისი მოპოვებაც მხოლოდ მასშია შესაძლებელი?

შეუძლებელია ეს კითხვები საკუთარ თავს არ დაუსვა. იმავე ჟამს უფალს უნდა მადლობდე. ის თავისი სიტყვით გეხმარება. მით ის შეგახსენებს, რომ სიმართლე და ძალა მასში ეძებო. ყოველი ჭეშმარიტება და მარადიული სიმდიდრე მხოლოდ მასშია თავმოყრილი. ის სიცოცხლის წყაროა. და რაც ყველაზე გასაოცარია, ის იმას გაძლევს, რაც მის საკუთრებაშია. ამას შენი ძალისხმევის ასანაზღაურებლად როდი აკეთებს. არა, ის მადლით გაძლევს. შენ უბრალოდ მისი რწმენით მიღება გმართებს. ის სრულიად დაუმსახურებელია.

რასაც იესოში ნახულობ, მისი რწმენით შენია. წადილი სიმართლისა და ძალისა, იესოს წადილია. მასში შენ იმ სიმართლით ხარ მდიდარი, რისი გამომუშავებაც თავად არ შეგიძლია. ძალას კი საკუთარი უმწეობის შუაგულში მფლობ.

რწმენის სამეფო საკვირველია. როდესაც ხვდები, რომ სიმდიდრე მხოლოდ იესოშია, გული საოცარი სიხარულით გევსება. სურვილი გიჩნდება მასში ხსნის სისრულეს დაეუფლო. იესოს გარეშე აღარაფერი აღარ გინდა. შენი ძვირფასი მხსნელისადმი სრული პატივის მიგება გაბედნიერებს. გულის სიღრმიდან მოდის შეძახილი: „მხოლოდ უფალშია სიმართლე და ძალა!“

16 დეკემბერი

...და ეწოდება მას სახელად, საკვირველი მრჩეველი. . .

ესაია 9:6

თითოეულ ჩვენგანს მრჩეველი ესაჭიროება. თავად გზის გაკვლევა არ შეგვიძლია. ის სხვადასხვა საგნებით არის ჩახერგილი. ცოდვის შავი აჩრდილები აზროვნების გზას გვიბნელებს და ამიტომაც ცხადად ვერ ვხედავთ. წარსულიდან საჭირო გაკვეთილების გამოტანა არ შეგვიძლია, ხოლო მომავალი საერთოდ უცნობია.

იესოს ჩვენს მრჩევლად უნდა ყოფნა. მის მიერ მითითებული გზა არ დაგვკარგავს. თუ მის ნათქვამს შეისმენ, მაშინ თავს არასოდეს მოუტანს ზიანს. სხვა შემთხვევაში საფრთხე გემუქრება.

როდესაც ისრაელმა უდაბნოში ხეტიალისას ხორცი მიიღო, ისინი გაუმაძღრობაში გადავარდნენ. ჯერ კიდევ კბილებში ჰქონდათ ხორცი, როცა სიკვდილი იწყეს. თუ მე და შენ მათსავით მოვიქცევით, საფრთხეა, რომ იგივე დაგვემართოს. ჩვენ სიცილსა და გართობას ვირჩევთ და ვერ ხვდებით, რომ ის სიცოცხლის ფასად დაგვიჯდება.

იესო ძალით თავის კონტროლის ქვეშ არავის არ აქცევდა. ის ინდივიდუალურად მიდის ყოველთან და გულის კარზე აკაკუნებს. ამის შემდეგ პასუხს ელოდება, დართავენ შესვლის ნებას თუ არა.

შეუძლია მას ისე შემოვიდეს, რომ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში რჩევის უფლება ჰქონდეს? გადაწყვეტის უფლება იესოს აქვს, თუ საკუთარი თავის უფალი გინდა იყო?

თუ შენს მრჩეველს მიიღებ, ის თავისი სიტყვით შეგმოსავს. დაწერილში იესოს ნებას იპოვი. თუ შენს გულზე და სულზე ბიბლია ახდენს გავლენას, მაშინ სხვა პიროვნება შეიქნები. აზროვნება და ქცევა, სხვა ნორმალური ადამიანისაგან განსხვავებული გაგიხდება.

იესო საკვირველი მრჩეველია. მის გამო მიწაზე შენი ცხოვრება, სასწაულების ჯაჭვად გადაიქცევა. ის, რაც ყველა სხვას ემართება, შენ არ შეგემთხვევა. გარემოება შეიძლება სხვას ლაპარაკობდეს, მაგრამ რეალობა სხვა იქნება.

იესო ყველაფრის უკან დგას და შენთან ყოველივე ამით მოდის. მისი ფეხის ხმა მუდმივად გესმის და მის მფარველ ხელს განიცდი.

ის ისეთ დღეებს გაგატარებს, წარსულს გაკვირვებული შეავლებ თვალს. მაშინ შენ იტყვი: საქმენი შენი საოცარია, ეს მე კარგად ვიცი! საქმენი შენი, საკვირველო მრჩეველო!

17 დეკემბერი

ამიერიდან ნეტარად ჩამთვლის ყოველი თაობა.

ლუკა 1:48

მარიამი ღმერთს ადიდებს. ის მის სახელს სულის სიღრმიდან ამაღლებს. ღმერთმა ის ისეთ რეალობაში შეიყვანა, რომელიც ადამიანის ყოველგვარ აზრსა და იდეას აბათილებს.

ის ისრაელის ჩრდილოეთ სოფლიდან, უბრალო და არაშთამბეჭადვი გოგო იყო. ვერავინ იფიქრებდა, რომ ის მთელი მსოფლიო მასშტაბით ცნობილი გახდებოდა.

მაგრამ მოვლენები ღვთის ნათქვამისამებრ წარიმართა. თაობიდან თაობამდე მარიამის ხსენებაა. უამრავი ადამიანი, როგორც წმიდანს თაყვანს სცემს. მას ისეთი დიდებაც მიანიჭეს, რომლის შესახებაც ღვთის სიტყვა არაფერს ამბობს. მარიამი პირვანდელი ცოდვის გარეშე არ დაბადებულა. არც იმას ამბობს ღმერთის სიტყვა, რომ ის ზეცაში ისეთი გზით იქნა აყვანილი, რაც ყველა დანარჩენი ღვთის შვილის ხვედრი არ არის. მარიამის თაყვანისცემა უნდა გამოვრიცხოთ.

სხვამხრივ, ჩვენ ღვთის სიტყვის აღმსრულებელნი უნდა ვიყოთ და მას ნეტარი ვუწოდოთ, ვინაიდან ის ნამდვილად ასეთია. თუმცა ეს ნეტარება მას არ მიეწერება.

ის ნეტარია, ვინაიდან, როგორც ცოდვილი მისი ძის ძვირფასი სისხლით არის დახსნილი. მარიამიც იესოსგან ღებულობს ყოველივეს. მას რომ რწმენა არ ჰქონოდა, დაიღუპებოდა. ის დიადი მოწოდებითა და ღვთის მიერ დიდებული ამოცანის შესრულებით, გადარჩენას ვერ დაიმსახურებდა.

მაგრამ მარიამს რწმენა ჰქონდა. მისი მადლიერების საგალობელი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად მისი ახალგაზრდობისა ის კარგად იყო ღვთის სიტყვაში გათვითცნობიერებული. ის მის გულში ცხოვრობდა. იესოს სიკვდილის შემდეგ, მას ჩვენ მოწაფეებთან ერთად ვნახულობთ. ცხოვრება მისთვის ადვილი არ აღმოჩნდა. იესოს დედად ყოფნა ნიშნავდა, რომ მის სულში მახვილს უნდა გაევლო. მიუხედავად ამისა, მარიამი ღვთის ნებას დაემორჩილა და მას მისცა უფლება, რომ ყველაფერი ემართა.

ის ნეტარია! დიახ, მასთან ერთად ყველა პიროვნებაა ნეტარი, ვინც კრავის სისხლით იქნა განწმედილი. უკვე აღარ არსებობს ცოდვა, რომელსაც ცოდვილის მსჯავრდადება შეეძლოს.

საკუთარი სიცოცხლით ღვთის ნების ცენტრში ყოფნა დიდი სიმდიდრეა! ეს ჩვენ კი არა, არამედ ისაა მთავარი, რომელსაც მთელი პასუხისმგებლობა აქვს აღებული. მის დაწყებულ საქმეს ის ტრიუმფალური გამარჯვებით ასრულებს. მაშინ შენ მისდამი აღვლენილი ცოცხალი მადლიერების საგალობელი შეიქნები, რაც უდიდესი მოწოდებაა.

18 დეკემბერი

გიხაროდეს! მადლით მოსილო, შენთანაა უფალი.

ლუკა 1:28

გაბრიელის მარიამისადმი მისალმება ასე ჟღერს.

ჩვენთვის მისი დაფარული ზნეობრივი ცხოვრება უცნობია, რასაც უდავოდ ადგილი ჰქონდა. ამის მიღება, მხოლოდ მადლით იყო შესაძლებელი.

უპირველეს ყოვლისა ის გადარჩენის მადლს ეზიარა. ეს ყველაზე დიდი უწყებაა, რაც კი შეიძლება ადამიანს ეხაროს. რადგან ის ურიცხვ ადამიანზე ვრცელდება, ამით მის ბრწყინვალებასა და დიდებულებას სრულიად არ კარგავს. მეორეს მხრივ მარიამი მსახურების მადლს ეზიარა. მისი დანიშნულება უნიკალური იყო. ის თვით ღვთის ძის დედა უნდა გამხდარიყო.

მარიამის ცხოვრება უფრო დამძიმდა და გართულდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა ადამიანის ცხოვრება. ეს იმ ამოცანის გამო გართულდა, ღმერთმა რომ დააკისრა აღსასრულებლად.

იუდაელთა ბრალდებიდან ჩვენ ვიცით, რომ იესოს სიძვით შობილად მიიჩნევდნენ. ქალწულებრივი შობის უარყოფა ახლანდელი ამბავი არ არის. სახარებათა მონათხრობიდან არც იმაში გვეპარება ეჭვი, რომ იესოს ოჯახი მის მსახურებას სამარცხვინოდ მიიჩნევდა. მათაც ოპოზიციური მხარე დაიჭირეს.

წარმოიდგინეთ იესოს დედას რა დაუჯდებოდა, მის ძეს გოლგოთის მძიმე გზაზე მიყოლოდა! ჯვრის ძირში მყოფი თავს, როგორ იგრძნობდა?

მაშინ თავს გამორჩეულად ნამდვილად არ გრძნობდა. არადა იყო. ამოცანის მიცემის დროს ღმერთმა მასთან საუბარი ამ სიტყვებით დაასრულა: შენთან არს უფალი.

ღმერთს თითოეული ჩვენგანისათვის გარკვეული ამოცანა და მსახურება აქვს შესასრულებლად მოცემული. შეუძლებელია ვინმე ამ მოწოდებას ფასის გაღების გარეშე დაეთანხმოს. ის ყველა შემთხვევაში ერთგულებასა და მოთმინებას მოითხოვს. თუმცა, არიან ისეთნიც, რომელთაც ღმერთმა განსაკუთრებით მძიმე დავალება მისცა. მათ მიერ გაღებული საფასური, დიდია.

თუ ამ სახის მსახურება გაქვს მიღებული, უნდა იცოდე, რომ ღვთის თვალში მადლი გაქვს ნაპოვნი. ამის გამო უფალი დღეს განსაკუთრებულ სალამს გიგზავნის და გარწმუნებს, რომ ის შენთანაა.

შენ მის ხელში არსებული იარაღი ხარ. დედამიწაზე მისი ხსნის გეგმას ემსახურები. შენ მისით ხარ ნაკურთხი. უფალი შენთანაა.

19 დეკემბერი

ვინაიდან დიდი საქმე მიყო ყოვლადძლიერმა.

ლუკა 1:49

მარიამის მადლიერების საგალობელში ბევრი რამ არის, რასაც თითოეული ქრისტიანი თავისად მიიჩნევს. ეს ამ სიტყვებსაც ეხება: „ვინაიდან დიდი საქმე მიყო ყოვლადძლიერმა, წმიდაა მისი სახელი.“

უამრავი ადამიანი პრობლემებსა და სიძნელეებს, რომელთაც ყოველდღიურად ვეჩეხებით, გონების დაკავების უფლებას აძლევს. სიმართლე ისაა, რომ ჩვენ განსაცდელებსა და სიძნელეებს ვერ ვუმკლავდებით და მხრებაჩეჩილი, პასიურ მდგომარეობაში ვრჩებით. მაგრამ საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდები, თუ იმით არ დაკმაყოფილდები, რაც ღმერთმა შენთვის უკვე აღასრულა.

მარიამი მას ადიდებდა, მიუხედავად იმისა მისი დავალება უამრავ კითხვას აჩენდა. რას იტყოდა იოსები, როდესაც მისი ფეხმძიმობის ამბავს შეიტყობდა? რა რეაქცია ექნებოდა მის ოჯახს? შეძლებდა კი ის ღვთის ძის აღზრდას?

სიძნელეები გადაულახავად ჩანდა. მიუხედავად ამისა მარიამი არ გატყდა. დახმარება არც ვინმესთვის უთხოვია. არა, მან იმის გამო ღმერთი განადიდა, რაც მისთვის მოიმოქმედა.

გაყევი მარიამის ნაკვალევს! დაფიქრდი, უფალი ამ დღემდე, როგორ გეხმარებოდა.

უპირველეს ყოვლისა მან ის საქმე ბოლომდე დაასრულა, რასაც შენი გადარჩენა ჯოჯოხეთის მარადიული მსჯავრისაგან შეუძლია. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის. მიწიურ ტანჯვებსა და განსაცდელებზე ისე არ უნდა ვისაუბროთ, თითქოს გადატანილი ტანჯვა და წრთვნა სერიოზული არ იყო. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ისინი დროებითი იყო. ჩვენ წინ კი მარადისობაა. იესოს შემრიგებლური სიკვდილის გარეშე კი, ყველანი დავიღუპებოდით. მაგრამ ყოვლადძლიერმა ეს ჩვენთვის მოიმოქმედა. მისი საყვარელი ძე თავისთვის არ დაიტოვა, არამედ ქვეყნიერებაზე წარმოგზავნა. და ეს ყველაფერი არ იყო; მას უფლება მისცა კრავად ქცეულიყო, რომელმაც ამ ქყვენის ცოდვა იტვირთა. ღმერთმა მისი ძის სიკვდილი, რჯულის სასჯელის გამო დაუშვა. სწორედ ამის გამო ხსნის გზა გამზადდა და გაიხსნა.

ვინაიდან დიდი საქმე გიყო ყოვლადძლიერმა.

იესოს რწმენის მონიჭებით, ღმერთმა შენს გულში ხსნის სიტყვა ჩადო.

ცხოვრებისეული, სხვადასხვა მდგომარეობის გამო მისი დანახვა არ შეგვიძლია. მაგრამ ვიცით, რაოდენ დიდი საქმე გვიყო: იესოს რწმენის მეშვეობით, მადლით ვართ გადარჩენილნი. ვინაიდან დიდი საქმე გვიყო ყოვლადძლიერმა.

20 დეკემბერი

წმიდაა მისი სახელი.

ლუკა 1:49

მარიამი ღვთის სიტყვით ცხოვრობდა. მისი მადლიერების საგალობელი ძველ აღთქმაში დაწერილი სიტყვის გამოძახილია. ის წმიდა ღმერთს იცნობდა და გრძნობდა, რომ მასსა და ღმერთს შორის არსებული დისტანცია დიდი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს ღმერთი მის ცხოვრებაში შემოვიდა. ყოვლადძლიერის ძალამ ის დაფარა და ჩვილი, რომელსაც ის გააჩენდა, წმიდა ღმერთის ძედ იწოდებოდა.

ის, რომ ღმერთი მასთან მივიდა, დაელაპარაკა და ის, რომ მასში სულიწმიდით ძე ჩაისახებოდა, სრულებით არ ნიშნავს, რომ მის (მარიამის) გამო ძე სიწმიდეს დაკარგავდა. პირიქით! ისე, როგორც არასოდეს, ის ახლა მიხვდა, რომ მისი სახელი წმიდაა.

ქრისტიანის ცხოვრებაშიც ასეა.

იმის გამო, რომ იესო შენს უბადრუკებამდე დამდაბლებულიყო, მას ნაკლებ წმიდად არ ქმნის. შენს ცხოვრებაში არ არსებობს ისეთი ცოდვა მას, რომ არ შეხებოდა. მაგრამ ის მაინც წმიდა და ამაღლებული რჩება.

ამიტომ ვერ ეგუები მისი სახელის შებღალვას. გული ტკივილით გევსება, როდესაც ღვთისა და იესოს შესახებ, მოკრძალების გარეშე ლაპარაკობენ.

იესო ამაღლებულია. როდესაც ის თავისი სიტყვით გელაპარაკება, შენ მდაბლდები. მისი განუზომელი მადლი სრულიად დაუმსახურებელია. გიკვირს, რომ მას თავისი მსახურებისთვის შენი გამოყენება შეუძლია. ამ დროს შენ მას ემორჩილები, როცა ის ნებას გრთავს სხვის დასახმარებლად და კურთხევად იქნე გამოყენებული. მაშინ შენ ამბობ: წმიდაა მისი სახელი.

მრავალი ადამიანისათვის წმიდა აღარაფერია. თუ ისინი ღმერთს საერთოდ განიხილავენ, მაშინ თავიანთ ტოლად მიიჩნევენ. თითქოს ის მათ წინაშე ანგარიშვალდებულია. თუ მას (ღმერთს) მათ მიერ შექმნილი ტრიბუნალის წინაშე წარდგომა არ შეუძლია, საერთოდ უარყოფენ ან საშინელი კრიტიკოსები ხდებიან.

ასეთი დამოკიდებულება არა მარტო სულიერ სიღარიბეზე მეტყველებს, ის სატანური ცდუნებაცაა.

ღმერთი წმიდაა. ყოველთვის, როცა კი უფლის ლოცვას წარმოვთქვამთ, ვამბობთ. „წმიდა იყოს სახელი შენი.“ ამ ლოცვის ლუთერისეულ განმარტებაში ნათქვამია: ღვთის სახელი რა თქმა უნდა ისედაც წმიდაა, მაგრამ ამ ვედრებაში ჩვენ ვითხოვთ, რომ მისი სახელი ჩვენშიც წმიდა იყოს.

როცა ეს ხდება, მაშინ უფლის სახის წინაშე ჩვენ დღესასწაულობთ.

21 დეკემბერი

მაშინ თქვა მარიამმა: „აჰა, უფლის მხევალი ვარ; დაე, მეყოს შენი სიტყვისამებრ.“

ლუკა 1:38

მარიამის გულში ასეთი მზადყოფნა, ღვთის სიტყვამ წარმოქმნა. მიიღო ღვთის ნება, ჩვენი აზრებისა და გადაწყვეტილებების ნაყოფი როდია. თუმცა გზა მის მისაღებად, ღვთის სიტყვის მოსმენაა.

რაც ღვთის სიტყვას შეუძლია მიაღწიოს, სხვა ვერაფერი შეძლებს. შენს ცხოვრებაშიც ასეა. მას ძველი სამყაროდან გამოყავხარ, სადაც საკუთარი თავის ცენტრი თავად ხარ. და მას შეჰყავხარ ღვთის საოცარ სუფევაში. დიახ, ღვთის სიტყვა შენი გაჭირვებისა და ცოდვის შუაგულში, სამოთხეს გაძლევს.

მარიამი ღვთის მიერ მარადისობაში იყო არჩეული, მაგრამ მისი მოქმედებაში მოყვანა მანამდე არ მომხდარა, ვიდრე ის სიტყვის ძალის ქვეშ არ მოხვდა. მაშინ მისი ცხოვრება იესოს ცხოვრებას გადაენასკვა.

ღმერთმა გადაწყვიტა, რომ მარიამი იესოს დედა ყოფილიყო. იესოს მისი მახასიათებლები უნდა ეტარებინა. ასეთი მოწოდება უნიკალურია.

თავად მარიამი უნიკალური არ ყოფილა. ის, როგორც ნებისმიერი სხვა, ცოდვილი იყო. მასაც ჭირდებოდა ძის მიერ აღსრულებული საქმით გადარჩენა. თუმცა სხვათათვის მაინც სამაგალითოა. რწმენით ის ღვთიური ხსნის გეგმის განკარგვაში იყო: „აჰა, უფლის მხევალი ვარ; დაე, მეყოს შენი სიტყვისამებრ.“

მოდი მის ნაკვალევს მივყვეთ. თუ ასე მოვიქცევით, კურთხევად გადავიქცევით.

მარიამი ღმერთს შეახსენებს, რაც უკვე მას ეთქვა. ეს სწორი მიდგომაა. რაც დაწერილია უფალს შეახსენე. ღვთის გული სიამოვნებით ხვდება იმ ცოდვილის საჭიროებას, რომელიც მის სიტყვას ეჭიდება. სწორი ურთიერთობა, შენს გულში მისთვის გზას ანთავისუფლებს. ღმერთი თავისი კურთხევით შენთან მოდის.

თუ შენ ღვთის სიტყვით ცხოვრობ, ცხოვრება შენი იესოზე იქნება გადაჭდობილი. შენი ცხოვრების ისტორიის მთავარი გული, ის გახდება. და ის იქნება, რომელიც შენი მეშვეობით მოქმედებს.

როცა ეს მოხდება, ღვთის სიტყვა კურთხევად გაქცევს. ის იმდენი ხანი გაგრძელდება, რამდენი წელი ცხოვრებაც მოგეცა. ღვთის სიტყვას მომავალ თაობებს გადაცემ და ამაზე უკეთესს ვერაფერს გააკეთებ. ის ცოცხალი და მოქმედია, არა მარტო დროში, არამედ მარადისობაშიც.

22 დეკემბერი

წყალობა მისი თაობიდან თაობამდეა მის მოშიშთათვის.

ლუკა 1:50

მარიამი ღვთისმოშიში იყო. ამის გამო მას ღვთისგან წყალობა მიეცა.

არის ისეთი ქრისტიანები, რომელნიც თავს უბედურად გრძნობენ, რადგან თავს უღირსად და უბადრუკად მიიჩნევენ. ამ გრძნობაში ცუდი არაფერია. სხვა რა რეაქციას უნდა ჰქონდეს ადგილი?

ღმერთი ამაღლებულ და წმიდა ადგილზე ცხოვრობს. ჩვენ კი ცოდვილ და სიკვდილით სავსე სამყაროში. ჩვენი ძველი კაცი ამ რეალობით არის დადაღული. ღატაკი და დაკარგული ცოდვილის მდგომარეობას, რომელსაც მხოლოდ მადლი თუ იხსნის, არ შეგვიძლია გადავაბიჯოთ.

თუ ღვთის წინაშე საკუთარ თვალში გაღატაკებული წარდგები, შიში მოგიცავს. ისიც კი განგაცვიფრებს, რომ საერთოდ მასთან მისვლა შეძელი. როგორ არის შესაძლებელი, რომ ცოდვილი წმიდა მსაჯულის წინაშე წარდგეს და არ განადგურდეს?

უფალი თავად უპასუხებს კითხვებს. მან გული მისი სიტყვის მეშვეობით გააღო და შენ შეგიძლია მასში არსებული დაინახო. მან თავისი წყალობა გაცოდინა. ბოლომდე მას ვერ ჩავწვდებით, მაგრამ ის თაობიდან თაობამდე იარსებებს. ვფიქრობთ ის ერთ დღეს ამოიწურება. მაგრამ გვაოცებს, რომ ის ჩვენზეც ვრცელდება.

როგორ შეუძლია ღმერთს წლიდან წლამდე მისი წყალობა მიჩვენოს? ადვილი იქნებოდა ამის გაგება, თუ იმად გავხდებოდი, რადაც მინდა გახდომა. თუმცა, როდესაც ეს არ ხდება, რა, ღმერთი იღლება და წყალობას წყვეტს?

უნდა გვახსოვდეს, რომ წყალობა ჩვენგან, ანუ ჩვენი არსებიდან დასაბამს არ იდებს. ის თვით ღვთის გულიდან მოდის. როგორც დიდი მდინარე, მოდის და გვტბორავს. ჯერ გვფარავს, შემდეგ კი მის ნაკადებს მივყავართ.

დაფიქრდი მარიამზე! მან წყალობა ჰპოვა და ღვთის ხელში გამოსაყენებელ ინსტრუმენტად იქცა. ის ცოდვის გარეშე არ ყოფილა; თუმცა მისი ცხოვრება უფლის წყალობით აღიბეჭდა და აივსო. რის შედეგადაც მისი მეშვეობით, ღმერთმა თავის გულში არსებული მომავალ თაობებს გადასცა.

თავიდან ყველაფერი შეუმჩნევლად დაიწყო. პატარა გოგო ერთ იუდაურ დაბაში; გარეგნულად სხვებისგან არაფრით არ გამოირჩეოდა. მაგრამ ის ღვთისმოშიში იყო. ამის გამო ის ღმერთმა თავის იარაღად აქცია. გეშინოდეს უფლის! მაშინ მისი წყალობა შენზე დაივანებს.

23 დეკემბერი

თქვა მარიამმა: „ადიდებს სული ჩემი უფალს, და იზეიმა ჩემმა სულმა ღმერთში, ჩემს მაცხოვარში.“

ლუკა 1:46-47

ღვთის მოწოდებამ მარიამის ცხოვრება საოცრად გაამდიდრა; მაგრამ იმავდროს ის ადამიანთა ზიზღის ობიექტად აქცია. იმ დღიდან მოყოლებული მრავალ ადამიანს მისი სიტყვების, სულიწმიდის მიერ ჩასახვის შესახებ არ ეჯერა. იესომ მის ცხოვრებაში, როგორც კურთხევა, ასევე ტანჯვაც მოიტანა.

უფლის მსახურებას ყოველთვის ორი მხარე აქვს. ის ცხოვრებას განუსაზღვრელად ამდიდრებს. იმავე დროს, შეუძლებელია მასში ვინმე დარჩეს და საფასურის გადახდა არ მოუწიოს.

ემსახურო იესოს ნიშნავს, მასთან ერთად მდგომარეობების თანამოზიარე იყო. ის ქვეყნიერებაზე ყველაზე მეტად შეყვარებული და ყველაზე მეტად შეძულებული პიროვნებაა. იესოს მსახურებას, თავად მსახური ისეთ დაძაბულობაში შეყავს, რომლის თავის გართმევა საკუთარი ძალით შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ მარიამისგან უნდა ვისწავლოთ. როდესაც უფალმა მას მოუწოდა, მან ღმერთი, როგორც მხსნელი ისე განადიდა.

თუ იესო მიღებული გყავს, ის ყველა მდგომარეობაში შენი მხსნელია. მან შენ ცოდვისგან, სიკვდილისაგან და მსჯავრისგან გიხსნა. ის ასევე იმ მსახურების მხსნელიცაა, შენი ძალით, რომ არ შეგიძლია თავი გაართვა.

ღვთის სასუფეველში შენზე დავალებული ამოცანა, ცხოვრებას აზრით ავსებს. ასევე შესაძლებელია ის მსჯავრდადებად გექცეს. საკუთარი თავის გადამოწმებისას ფიქრობ, რომ ყველაფერი ამის შედეგი მცირეა. მოწოდება რა თქმა უნდა მდიდრული იყო, მაგრამ მის შესასრულებლად სრულუნარიანი ვერ გამოდექი. თუ ყურადღებით დააკვირდები, ძნელი დასანახი არ იქნება, რომ თვით მსახურების დროს ცოდავდი. საკუთარი დიდება რამდენჯერ გიძნებნია? ნებაყოფლობითი ბედნიერი განწყობა, ოდესმე გქონია?

ისწავლე მარიამისგან! უფალს, როგორც მხსნელს ისე მოუხმე!

იესომ ყველა ცოდვაზე პასუხიმგებლობა, თავის თავზე აიღო. შენ მასზე ნდობა შეგიძლია. საკუთარი თავის გამო შეიძლება სასოწარკვეთაში ჩავარდე, მაგრამ ღმერთი სასოწარკვეთას არ მიგცემს, თუ მას ჩაეჭიდები. მან სულ იცოდა, თუ ვინ იყავი. ის შენი ნაწილობრივი მხსნელი არ არის. არა, მან შენ მთლიანად გიხსნა.

ამიტომ, პატივი მიაგე უფალს. მასში გაიხარე. თუ ასე მოიქცევა, შენს სიხარულს ვერავინ და ვერაფერი ვერ წაგართმევს.

24 დეკემბერი

მოდით წავიდეთ ბეთლემში და ვნახოთ რაც მოხდა, როგორ გვაუწყა უფალმა.

ლუკა 2:15

მწყემსებმა ერთმანეთს ბრძნული წინადადება შესთავაზეს: „მოდით წავიდეთ ბეთლემში.“ მათი გული ცეცხლში იყო გახვეული იმის გამო, რაც ანგელოზმა აუწყა. ამიტომ მათ ისეთი რამ მოიმოქმედეს, რაც მანამდე არავის გაეკეთებინა. იმ ღამის შემდეგ უამრავი ადამიანი ამ მწყემსთა ნაკვალევს დაადგა. მათ უწყება მოისმინეს. მის მიერ იმედი გაჩნდა და ამიტომ იმ ადგილზე მისვლა ისურვეს, სადაც იესო იყო.

მათ მიერ შობის ღამეს განცდილი ღმერთი, იგივეა. მას ძღვენის მოტანა არ უთხოვია. ის ხელცარიელ ადამიანებს დაელაპარაკა და მისი ძე განუცხადა.

ანგელოზმა მწემსებს ბეთლებში წასვლა აუწყა. ჩვენ სად უნდა წავიდეთ?

ჩვენ ღვთის სიტყვასთან უნდა მივიდეთ. იესო იქ მოდის.

შესაძლოა ფიქრობ, რომ სიტყვა დიდად დიდი და მდიდარი არაა. ადამიანთა უმრავლესობა სხვა ინფორმაციითა დაკავებული. მაგრამ ამ მიზეზის გამო შენ მისი მოსმენა არ უნდა შეწყვიტო. მწყემსებს უდაოა აკვირვებდა უბრალო და ღარიბული თავლა. მაგრამ როდესაც იესო იხილეს, სიხარულით აღივსნენ და ღმერთი განადიდეს.

შენთვისაც ასეა. როდესაც იესოს მის სიტყვაში იპოვნი, შეუძლებელია მის გამო ბედნიერი არ იყო. გაკვირვებული ხარ, რადგან შენი ცხოვრება იესოს ძიებით იმ ადგილზე არაა დაკავებული, სადაც მისი პოვნა შეიძლება.

მწყემსებმა ის თავიანთ სამყაროში იპოვეს. მათ საზღვრების გადალახვა არ მოუწიათ. მის საჭიროებას არც შენ განიცდი. ის მასთან, ვისაც საკუთარი თავის ხსნა არ შეუძლია, სახარების უბრალო გადარჩენის სიტყვით მოდის.

ბევრი ფიქრობს, რომ მომავალში მოსახდენ მოვლენებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასეთნი ვერ აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანი უკვე მოხდა.

ღვთის ძე ქალწულ მარიამისაგან დაიბადა. ის მარადისობიდან არის. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა და ყველაფერი მის სადიდებლადაა. ის ყველაზე მაღლაა, მაგრამ ადამიანად მოგვევლინა. მწყემსებმა ამ ჭეშმარიტების შესახებ დაამოწმეს. მიყევი მათ ნაკვალევს. მაშინ შენ იესოსთან მისვლას შეძლებ და შობის ღამის კურთხევას დაიმკვიდრებ.

25 დეკემბერი

ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში თქვენ დაგებადათ მაცხოვარი.

ლუკა 2:11

ვის ესაჭიროება მაცხოვარი?

მას ვისაც გადარჩენა ჭირდება.

მრავალ ადამიანს ეს ჭეშმარიტება გააზრებული არ აქვს. ზოგი ფიქრობს, რომ მათ ირგვლივ ყველაფერი კარგადაა. სხვანი ფიქრობს, რომ საქმეები ძალიან კარგად მიდის. სხვას კი მიაჩნია, რომ ცხოვრება ხან მაღლა და ხან კიდევ დაბლა ეშვება. მაგრამ მხოლოდ მას, ვისაც თავი დაკარგულად მიაჩნია, მას იესო ჭირდება.

საკუთარ თავზე დანდობილ ადამიანებს, ნამდვილი შობა არასოდეს უდღესასწაულებიათ. ისინი ყველა საშობაო გარე მოკაზმულობას იძენენ, რაც უდაოდ დასაძრახი არ არის. შობის დღესასწაული საჩუქარია. ოჯახი და მეგობრებიც საჩუქრებია. იგივე ეხება საჭმელ-სასმელს. მიუხედავად ამისა, თუ იესოსთან შეხვედრა არ გაქვს, შენი შობის ზეიმი ცარიელია.

ცოდვა გულის სიღრმეშია ჩაბუდებული. შენ მასთან ერთად იშვი და მთელი ცხოვრება მასთან ერთად მოდიხარ. ეს ის პირვანდელი ცოდვაა. ძირითადად ის ღვთისადმი დამოკიდებულებაა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

საშობაო ატრიბუტებით მიღებული სიხარულით ბევრი არაფერი შეიცვლება, თუ ღმერთს არ მიეცემა იმის საშუალება, რომ შენი გული შეცვალოს.

აი მას ეს სურს. მას იესო იმის გამო არ წარმოუგზავნია, რომ ჩვენ მისი დაბადების დღე კეთილი სურვილების ერთმანეთზე თქმით ავღნიშნოთ.

არა, ის ჩვენ უკეთესად გვიცნობს, ვიდრე თავად საკუთარ თავს. იესო, როგორც მხსნელი ამის გამო დაიბადა.

მხსნელი პიროვნებას მაშინ ესაჭიროება, როდესაც ცხოვრებას თავად ვერ უმკლავდება. ღმერთის სურვილია მარადიული სიცოცხლის სამკვდრო მიიღო. ის ჩვენს დაღუპვას ვერ ეგუება. ამის გამო წარმოგზავნა მან თავისი ძე, რომელიც დედაკაცისაგან იშვა.

ეს ნამდვილად მოხდა. შობის ღამე ჩვენი ხსნის ისტორიის საკვანძო მომენტია.

თუმცა შობის ღამე, ღვთის ინტერვენციის ერთადერთი ღამე არ ყოფილა. ის შენი ცხოვრების ბნელ და ცივ ღამეებშიც მოდის. შენი უწმიდური გული მას ვერ იტევს. არადა მისი სურვილია, რომ შენ იესო მიიღო.

თუ ასე მოიქცევი, შობა მარტო მიწაზე კი არა; არამედ შობა შენს გულშიც იქნება. იესო მასში შემოვა. ხელახლა დაიბადები. ხოლო ასეთი შობა შენ, სრულიად ახალ პიროვნებად გაქცევს.

26 დეკემბერი

„აჰა, მე ვხედავ გახსნილ ცას.“

საქმე 7:56

დღეს პირველი მოწამის სიკვდილის დღეა. გუშინ ჩვენ სიტყვა დედამიწაზე არსებულ მშვიდობაზე გვქონდა, რომელიც მასზე მოდის ვინც მის თვალში მადლს ჰპოვებს. დღეს კი უშუალოდ იესოს სიტყვების წინაშე ვდგავართ: „ნუ იფიქრებთ, თითქოს დედამიწაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი. მშვიდობის კი არა, არამედ მახვილის მოსატანად მოვედი“ (მათ. 10:34).

იესო ჭეშმარიტი ღვთის მშვიდობით მოვიდა, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობას სინათლეზე მეტად სიბნელე უყვარდა. ამიტომ ისინი საომრად გაემზადნენ. სტეფანე უკანასკნელი მოწამე არ ყოფილა. მისი შეხსენება მუდმივად ხდება. ეკლესიის ისტორიას იმდენი მოწამე არ ყოლია, ვიდრე მეოცე საუკუნეში. წინ კიდევ დიდი ჭირი გველის. ის დღეები, რომ არ შემოკლებულიყო, ვერა ხორციელი ვერ გადარჩებოდა, მაგრამ რჩეულთა გულისათვის შემოკლდება.

თუ იმაზე დაფიქრდები ქრისტიანებს რისი გადატანა მოუწიათ, უთუოდ დადუმდები. ვერ გაგიგია შენს ცხოვრებაში ყველაფერი კარგად მიგდის, როდესაც ადამიანები წლები ატარებენ ციხესა და შრომა-გასწორების კოლონიებში. დიახ, ზოგიერთი მათგანი სიკვდილამდეც კი იქნა ნაწამები. მათ ამ ყოველივეს გადალახვა, როგორ შეძლეს? როდესაც ამ კითხვას ვსვამთ, გვაინტერესებს, ნუთუ ეს მხოლოდ საკუთარი ძალითა და კეთილმოქმედებით შეძლეს. თუმცა ეს ასე არ ყოფილა. არცერთი ღვთის შვილი, ღვთის ძალის მოქმედების მიღმა არ არის.

ღმერთმა სტეფანეს ნება მისცა, გახსნილი ცა დაენახა.

ტანჯვის გადამტანმა ქრისტიანმა გოგონამ თქვა, რომ მან მხოლოდ პირველი დარტყმა იგრძნო. შემდგომ ამისა მნათობი ფიგურა დადგა საწამებელ კამერაში და იქ მანამ იდგა, ვიდრე ის უგონო მდგომარეობამდე არ მიიყვანეს.

წინასწარ გვაშფოთებს, ვაითუ ჩვენც ტანჯვის გავლა, გასაჭირისა და დევნის გადატანა მოგვიწიოს.

იესო შენს თავშესაფრად გაიხადე. ის თავის შვილს მაშინ არ უარყოფს, როდესაც უკიდურეს გაჭირვებაში იქნება ჩავარდნილი. არავითარ შემთხვევაში! იესო მასთან ყოველთვის ახლოა, ვისაც იგი ყველაზე მეტად ესაჭიროება. მოდით შობის მეორე დღეს გავიხსენოთ ყველა ის, ვინც პატიმრობაშია, ან კიდევ სნეულებითაა დაავადებული. ხელები მტკიცედ ჩავჭიდოთ და ლოცვა ჩვენი ქრისტიანი და-ძმებისათვის აღვავლინოთ, რომელთაც შობის დღესასწაულის გატარება, თავისი საყვარელი ადამიანებიდან შორს მოუწიათ. ვილოცოთ, რომ მათაც ღია ცის ხილვა შეძლონ.

27 დეკემბერი

დიდი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება.

ლუკა 1:32

როგორ შეეძლო გაბრიელს მარიამისთვის ეთქვა, რომ იესო დიდი იქნებოდა? ნუთუ ის მუდამ დიდი არ იყო?

დიახ, ნამდვილად იყო! წუთისოფელი მის მიერ შეიქმნა. ის ყოველივეს სიცოცხლეს ანიჭებს. ყველაფერი მას ეკუთვნის. ყველაფერმა ის უნდა განადიდოს და ყოველი მუხლი მის წინაშე უნდა მოიდრიკოს. ღმერთმა მას ყველა სახელზე უზენაესი სახელი მიანიჭა. თუმცა, გაბრიელის ნათქვამიც ჭეშმარიტებაა. იესო დიდი გახდება მათ გულებში, ვინც მას ღვთის ძედ შეიცნობს.

თუ მის გარეშე ცხოვრობ, შესაძლებელია მის შესახებ ბევრი კარგი და მართალი სიტყვები თქვა. თუმცა, იესო შენს ცხოვრებაში არ იყოს განდებული. ამის გამო შენ ის არ გიყვარს, არ ემორჩილები და არ მიყვები. ხელახლა შობით კი სულ სხვა რამ ხდება. მაშინ ის ახალ გულს განიჭებს. ახალ ადამიანად იქცევი და როდესაც ღვთის სიტყვაში მის დიდებას ხედავ, იცვლები.

ამრიგად, იესო სხვა დანარჩენთან ერთად, მორიგი დამხმარე როდია. არა, ის ერთადერთია. ადვილი შესაძლებელია სხვადასხვა გზით დანაკარგი განიცადო. ეს შენ გულს გტკენს და გადარდიანებს. შესაძლოა სიღატაკისა და უმწეობის განცდა გაქვს. თუმცა, იესოსთან ერთად ყველაფრის მფლობელი ხარ. ის ყველაფერზე აღმატებულია. შენ კი, შენი სიღატაკის ჟამს, მასში მაინც მდიდარი ხარ.

შენ მისგან შეყვარებული, დამგზავრებული და უზენაესის ძის მიერ გადარჩენილი ხარ. გასაკვირი ხომ არ არის, რომ იესო შენი გულისთვის ყველაფერია?

იესოს დამდაბლებასა და განდიდებას შორის, უდიდესი კავშირია. ის, რომ ცოდვილი სხეულის მსგავსებაში არ მოსულიყო, ადამიანთა გულში არ განდიდდებოდა. ღმერთმა მას ყველა სახელზე მაღალი სახელი მიანიჭა, ვინაიდან თავი, სიკვდილდამდე დაიმცირა — თვით ჯვარცმით სიკვდილამდე.

ქრისტიანული ცხოვრების ზრდა, საკუთარ დიდებაში ზრდა არ არის. ეს შენ კი არა, არამედ იესო უნდა განდიდდეს. შენ მასზე უფრო და უფრო დამოკიდებული ხდები. ხოლო მისი სისხლით განწმედა, შენი მუდმივი საჭიროება ხდება.

ღმერთი იმავე დროს გასწავლის, განდიდება ვის ეკუთვნის. შენი გულის სიღრმიდან, დიდებისა და მადლიერების საგალობელი მაღლა მას აღევლინება, ვინც სინამდვილეში დიდებულია. ის შენთვის ყველაფერია. ამიტომ მარადისობას, ასე სულმოუთქმელად ელი, ვინაიდან იქ, მუდმივად მის ქება-დიდებაში იქნები.

28 დეკემბერი

და მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს.

ლუკა 1:32

ამ სიტყვებს ანგელოზი გაბრიელი მარიამს ეუბნება.

შეიძლება ვინმემ ნათქვამი გაიოცოს.

უზენაესის ძე, მარადისობიდან მოყოლებული ყოვლის უფალია. მთელი სამყარო და მასში არსებული, მასზეა დამორჩილებული. ამის შემდეგ კი მიწიური ტახტი, მისთვის რას უნდა წარმოადგენდეს? დავითის სამეფო უდაოდ დიდი იყო, ზეცის პრინცისთვის კი უმნიშვნელო.

იესო არსებულ საკითხს ამ ჭრილში არ უყურებდა. მას ადამიანთა გულის მეფედ სურდა გახდომა. მისთვის ეს ზეცის დიდებაზე მეტი იყო.

სახარებიდან ჩვენ გვესმის, რომ ზოგ ადამიანს მისი მეფედ კურთხევა სურდა. იმედი ჰქონდათ, რომ ის მათ რომაელთა უღლიდან დაიხსნიდა. მაგრამ მისი მიწიერ მეფედ ქცევის მოსურნეთ, ის მუდმივად უარს ეუბნებოდა.

მას დავითის ტახტი სურდა. ხოლო ამ შემთხვევაში ღვთის აღთქმა, ღატაკი ცოდვილების მის მიმართ მადლიერებასა და სიყვარულს გულისხმობს.

იესოს ტახტი ჩვენი ქმედებით არ შენდება. ამას ის თავად აკეთებს. ყოველჟამს, როდესაც ის ცოდვილის გულში შედის, მას მისი სისხლით წმენდს და ასე მის მეფობას, დედამიწაზე აფუძნებს.

პიროვნებას საკუთარ ცხოვრებაში, იესოზე გვირგვინის დადგმა არ შეუძლია. საკუთარი ძალით მისი რწმენა, ან მასთან მისვლა შეუძლებელია. იესო ის არის, ვინც ჩვენთან თავად უნდა მოვიდეს. თავისი სულიწმიდით ჩვენს გულს შუქი უნდა მოჰფინოს და მის მიერ გოლგოთაზე აღსრულებული საქმის რწმენა და დაჯერებულობა, თავად უნდა მოგგვანიჭოს.

ყოველთვის, როდესაც ეს ხდება, ღმერთი ადამიანის ხელახლა შობას ანხორციელებს, რა დროსაც იესოს ტახტი ფუძნდება.

ბიბლიას საიდუმლოებაში შევყავართ, როდესაც ის ლაპარაკობს, რომ ღმერთი იესოს ტახტს მისცემს. მისთვის ყოველი დახსნილი ცოდვილი, ღვთისგან მიცემული საჩუქარია.

განა შენი გულის ღრმა სურვილიც იგივე არ არის? განა ეს შენთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი არაა, რომ ღმერთს შენი იესოსთან მიყვანა შეუძლია? და, განა ამაზე მეტად სხვა რამ გინდა, რომ შენი ცხოვრება მის წინაშე სამადლობელ მსხვერპლად იყოს?

ამიტომ, მიიღე ის; გულში სახარებისათვის ადგილი გამოანთავისუფლე. დაე, იესო შენთვის ყველაფერი იყოს.

29 დეკემბერი

რადგან მოხედა თავისი მხევლის თავმდაბლობას.

ლუკა 1:48

უფალი მოგხედავს ნიშნავს, რომ ის თავის მადლს აღგითქვამს.

მარიამი თავს დამდაბლებულად მიიჩნევდა. მასსა და მადლის რეალიზებას შორის, არსებობს კავშირი. თუ უფალი თავის მადლის გადმოფრქვევას შენს ცხოვრებაზე დაუშვებს, თავს უღირსად იგრძნობ. ზოგი იესოსთან ყოფნით საკუთარ თავს, როგორ მცირეს უყურებს. სრულიად წარმოუდგენელია, რომ მას ისეთ ცოდვილთან სურს საქმის დაჭერა, როგორიც მე ვარ. მისგან მოსული შუქი, ჩემს სიბნელეს ამსხვრევს. ამიტომ ჩემს უწმიდურებას გარკვევით ვხედავ.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ იესო მე უმნიშვნელოდ მაქცევს. რა თქმა უნდა ის ვერ გავხდები, რაც უკვე ვარ. უბრალოდ ის, ჩემს ნამდვილ რეალობას მიცხადებს.

უამრავი ადამიანი იესოსთან გარბის. ისინი სიმსივნით დაავადებული კაცივით გრძნობენ თავს, რომელიც ექიმთან მისვლას და სიმართლის მოსმენას ვერ ბედავს.

თუმცა ეს გზა საშიშია. ის სიკვდილით მთავრდება. ის, როგორც მიწიურ, ასევე სულიერ ცხოვრებას შეეხება.

შეგიძლია დადგე და შენს შესახებ ჭეშმარიტება მოისმინო?

ამის გაკეთებას ვერ შეძლებდი, შენს შესახებ მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება, რომ იყოს ნათქვამი. ის ერთი არ არის. ის ორია: ჭეშმარიტება ცოდვისა და ჭეშმარიტება მადლისა.

იესოს წინაშე ნიღაბმოხსნილი და დაკარგული ხარ, მაგრამ იმავდროს ის შენ მადლით გიყურებს.

ყოველივე ამის განცდა, რა დიდებულია. წარმოიდგინე იესოს წინაშე ჩემი უსუსურებით ვდგავარ. ველი, როდის უკუმაგდებს. მაგრამ ის ამას არ აკეთებს. ის მე თავისი მადლით მიდგება.

უცნაური ხომ არ არის, რომ ჩემს სულს ბენიერების გრძნობა იპყრობს? განა სიხარულის ყიჟინა არ უნდა დავსცე, როდესაც ვხედავ, რომ ჩემს ცხოვრებას ღმერთის მადლი მთლიანად ავსებს?

და მე ვიცი, რომ ჩემი დამდაბლება დროებითი მოვლენაა. ის სულ მალე დასრულდება. როგორც გაცვეთილი სამოსელი, უკან სამარხში დარჩება. ხოლო ღვთის მადლი სამარადისოდ იქნება.

გული შენი მშვიდდება, როცა იცი, რომ იესო მადლით გიდგება. ის მან ერთხელ უკვე მოიმოქმედა. დღესაც იმასვე აკეთებს. და ის უკუნისამდე იგივე დარჩება. აი, ის მის უმნიშვნელო მსახურებს ასე უყურებს. გული მისი შენდამი სიყვარულითაა სავსე.

30 დეკემბერი

და მოგვიმაღლა ხსნის რქა.

ლუკა 1:69

ამ სიტყვებს ზაქარია თავის საგალობელში წარმოთქვამს. როგორც ტაძრის მღვდელმა, ხსნის რქა რა იყო იცოდა. მას ენახა ადამიანები, რომელნიც ყოვლად დასაწყველი სამსხვერპლოს ოთხიდან ერთი რქისაკენ, როგორ მიიჩქაროდნენ და ეჭიდებოდნენ. ისიც ენახა, კანონდამრღვევი მასთან თავშესაფარს, როგორ პოულობდა, სადაც მისი დაპატიმრება არავის შეეძლო. სამსხვერპლოს რქებზე ნაპკურები მსხვერპლის სისხლი, მისთვის გადარჩენა ხდებოდა.

შეიძლება ღვთის წინაშე თავს კანონდამრღვევად არ მიიჩნევ. მაგრამ იცოდე, შენ მისი კანონი გაქვს დარღვეული. ღვთისგან მომავალი გამჭოლი სხივები ნათელყოფს, რომ შენ ღვთის მცნებათაგან, არცერთი სრულყოფილად არ შეგისრულებია.

ცოდვამ ყველა შენს საქმეზე თავისი დაღი დასვა. ყოველი შენი ნამოქმედარი, შენს რეალურ პიროვნებას აჩვენებს. თუნდაც ისინი, ადამიანთა თვალში კეთილი და მართალი საქმენი იყოს, ღმერთი მათში, მაინც ეგოიზმსა და თვით-კმაყოფილებას ხედავს.

ღვთიური შემოწმებისა და ღვთის სასამართლოს წინაშე დგომა, არაფერს არ შეუძლია. მის წინაშე შენი საუკეთესოც კი, უწმიდურია. მაშინ მხოლოდ ერთი კითხვა რჩება: ღვთის წინაშე მისვლას, როგორ შევძლებ? არის კი ისეთი ადგილი, რომ მისი რისხვით არ დავიღუპო?

ღმერთის სიტყვა პასუხს იძლევა.

ისეთი თავშესაფარი ადგილი, სადაც შეგიძლია გადარჩე არის, ვინაიდან სასჯელი შენი ცოდვისა სხვა პიროვნებამ თავის თავზე აიღო.

ღმერთმა რქა ხსნისა მოგვიმაღლა. მისი ძალა იმდენად დიდია, რომ აზრი არ აქვს რა და რამდენი ცოდვა ჩაიდინე, ვინაიდან თუ მას მოეჭიდები, გადარჩები.

ეს ხსნის რქა, იესოა.

მისი საოცარი ძალა, მისივე სისხლიდან მოდის. ეს სისხლი შეწირული ცხოველის სისხლი კი არა, არამედ იესოს ძვირფასი სისხლია. მასშია გადარჩენა. მას შეუძლია მისი მორწმუნე სრულად გადაარჩინოს. მან ყველა შენი ცოდვა გამოისყიდა.

ღმერთმა შენთვის ხსნის რქა მოამაღლა. ის უკუნისამდე იქნება ამაღლებული. მხოლოდ ამ ხსნის რქას შეუძლია შენი სიმართლეში დაცვა. საოცარი თავშესაფარი ჰპოვე. შენ დახსნილი ხარ, იესოს მიერ ნამდვილად დახსნილი.

31 დეკემბერი

ღრუბელივით წარვხოცე შენი დანაშაული და ნისლივით - შენი ცოდვები.
ესაია 44:22

წლის ბოლო დღეს ჩვენი ფიქრები ინსტიქტურად უკან გარბის. ეს წელი, როგორ განვლეთ? მან შენში რა ნიშნები დატოვა და თავად შენ მასში, რა ნაკვალევი დატოვე?

სამსჯავროს წინაშე შენი წარდგომა, როგორი იქნება, როდესაც გარდასულ დღეთა გამო, რომელთა უკან დაბრუნება შეუძლებელია, ანგარიშის ჩაბარება მოგიწევს?

მოცემული კითხვა, იესოს მიმართ შენს ურთიერთობაზე იქნება დამოკიდებული. თუ შენ ის, პირად მხსნელად გეყოლება მიღებული, ღვთის მიერ განაჩენის გამოტანისას მარტო არ იქნები. იესო შენთან იქნება. მან ყველა შენი ცოდვის გამო გადაიხადა. ეს იმას ნიშნავს, რომ შენში არსებულ ყველა ბოროტებაზე პასუხისმგებელი აღარ იქნები. პასუხისმგებელი შენს ნაცვლად იესო იქნება.

წარმოიდგინე ჩავლილ წელიწადს უყურებ, სადაც ყოველი ცდუნება და ცოდვა ღრუბლითაა გარემოცული! იცი, რომ ღრუბლის სქელი ფენა ყველაფერს ფარავს. გარჩევადობა არაა. ის, როგორც უზარმაზარი ხალიჩა, დიდსა თუ მცირეს ზემოდან ადევს.

ესაია გრაფიკულ გამოსახულებას იყენებს. მის მიერ აღწერილი სურათი შენში აღშფოთებას იწვევს. მაგრამ რა ხდება, როდესაც ღრუბელი იფანტება? მაშინ ხომ ღმერთი ყველაფერს გარკვევით ხედავს?

მრავალ ქრისტიანს ეშინია, რომ ეს ასე მოხდება. წარსულის ცოდვები მათ მუდმივად სტანჯავთ. წლიდან წლამდე მათი რიცხვი მრავლდება და ასე ერთობლივად, მომდევნო წელში გადადიან. დავიწყებამ მათი ფარდა ვერ ჩამოშალა. მოვლენის ასეთი აღწერილობა იმის დასტური ხომ არ არის, რომ ღვთისგანაც ისინი დავიწყებული არ არის?

ეს ასე არაა. ღრუბლის სისქე ცოდვას რომ ფარავს, იესო ქრისტეს სისხლია. ის ვინც სისხლით იფარება, ყველა ცოდვისგანაა განწმედილი. არანაირი ცოდვა დარჩენილი აღარ არის.

დღეს, ნებისმიერ ღვთის შვილს შეუძლია, თვალი განვლილ, მადლით აღსავსე წელიწადს გადაავლოს. როდესაც ღმერთი ანგარიშს მოგთხოვს, განვლილ წლებში, მხოლოდ მადლს მადლზე აღმოაჩენ.

ეს არის გადარჩენისა და ცოდვათა მიტევების სიმდიდრე. ამიტომ ჩვენის მხრიდან მართებული იქნება, არსებული წელიწადი მადლიერებისა და განდიდების საგალობლით დავასრულოთ. პატივი ღმერთს უნდა მიეგოს. პატივი კრავს უნდა მიეგოს. და პატივი სულწმიდასაც უნდა მიეგოს!

სიგრძის კანონიერი ერთეული

[illegible]

ავტორი

[illegible]

DBM LHF